

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
„გალაკტიონის კვლევის ცენტრი“

„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რეცეფცია ქართულ
ლიტერატურათმცოდნეობაში

1910-2010

ქრესტომათია

ნიგნი I

თბილისი

2018

UDC (უაკ) 821.353.1(092 ტაბიძე, გ.)
რ-25

რედაქტორი
თეიმურაზ დოიაშვილი

შემდგენლები:
ნათია სიხარულიძე
ლევან ბებურიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

მხატვარი
მარიამ ებრაელიძე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1.

ISBN 978-9941-13-802-7

ISBN 978-9941-13-803-4

რედაქტორისაგან

ლიტერატურული პროექტი „რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“ – გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რეცეფცია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, 1910-2010 – ჩაფიქრებულია სამ წიგნად და წარმოადგენს გალაკტიონოლოგიის დოკუმენტირებულ ისტორიას საუკუნის მანძილზე.

ქრონოლოგიური პრინციპით განლაგებული მასალა წიგნებში ასე გადანაწილდა:

წიგნი პირველი – 1910-1960;

წიგნი მეორე – 1961-1990;

წიგნი მესამე – 1991-2010.

ქრესტომათიის შემდგენლებმა (თეიმურაზ დოიაშვილი, ნათია სიხარულიძე, ლევან ბებურიშვილი) სცადეს გალაკტიონის შესახებ არსებული დიდძალი მასალიდან წერილები, ესეები, რეცენზიები და გამომხაურებათა ფრაგმენტებიც კი სისრულით ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ, უპირველესად, მათი ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით ითქმის 10-20-იანი წლების კრიტიკულ პროდუქციაზე, რომელიც სადღეისოდ უკვე ძნელად ხელმისაწვდომია.

უშუალოდ გალაკტიონისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების დიდი ნაწილი ქრესტომათიაში დაბეჭდილია სრულად და უცვლელად. შემოკლებანი უმთავრესად შეეხო მიმოხილვით წერილებს და მოხსენებებს, საიდანაც გამოვყავით გალაკტიონისადმი მიძღვნილი მონაკვეთები. შემოკლების შესახებ მითითებულია კონკრეტული მასალის დასაწყისშივე, ხოლო კუპიურები უშუალოდ ტექსტებში მინიშნებულია კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სამწერტილით.

ტექსტების ზოგი რეალია, საჭიროების შემთხვევაში, განმარტებულია სქოლიოში.

გამოცემას ახლავს ავტორთა და პირთა საძიებლები.

დაბეჭდილი მასალის სტილი და ორთოგრაფია ყველგან დაცულია; გასწორდა და მოწესრიგდა მხოლოდ პუნქტუაცია.

პროექტს არ დავურთეთ ტრადიციული შესავალი წერილი, რამდენადაც შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ ამჟამად მუშაობს კოლექტიურ მონოგრაფიაზე „გალაკტიონოლოგიის ისტორია“, რო-

მელიც ქრესტომატიის გამოცემას მოჰყვება. ვრცელ ნაშრომში დეტალურად იქნება გაანალიზებული ქართველოლოგიის ამ სპეციალური დარგის განვითარების ისტორიული ეტაპები და ძირითადი ტენდენციები.

პროექტისთვის მასალის მოპოვებასა და ტექსტების გაციფრებაში მონაწილეობა მიიღო დამხმარე ჯგუფმა (სალომე ბობოხიძე, ლილი მეტრეველი, ნინო ხიდიშელი).

ვფიქრობთ, ეს ქრესტომატია მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს გალაკტიონის შემოქმედების მკვლევართ, ლიტერატურათმცოდნეებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებს, აგრეთვე, ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

თეიმურაზ დოიაშვილი

7 ოქტომბერი, 2018

ბუნება პოეზიაში

...ჰენიოსი ბაირონი, სოფლის ვაებით გულდადაგული, ხშირის წამებით გულდა-
თუთქული და თავგანწირული ინდივიდუმი თავისუფლებისთვის ბრძოლისა, ეს პესსიმისმის
ბუმბერაზი მეფე, მხოლოდ ბუნებაში პოულობს ნაშთს თავის სიხარულისას. ჰკითხულობთ მის
„ჩაილდ-ჰაროლდს“, „დონ-ჟუანს“, ჰკითხულობთ უკვდავ „კაენსა“ და „მანფრედს“ და თვალ-
წინ გეხატებათ მთელი ზღვა-გული ბაირონისა. სად, რაში პოულობს ბაირონი სიმბოლოს თავის
სარწმუნოებისას? – ბუნებაშია ერთი ძალა ბაირონის სულის კვეთებისა.

ბარათაშვილის მოციმციმე ვარსკვლავი, ეს საუკეთესო მიმბაძველი ბაირონისა, – ბუნე-
ბაში პოულობს საგანს თავის ძებნისას, მოტივები ერთი და იგივეა. განსხვავებაა მხოლოდ გა-
მობატულებათა სიძლიერეში. ლერმონტოვი, ნადსონი, ყველა თავისდაგვარად მიმბაძველია
ბაირონისა. ტიუტჩევი გააფართოვა ბუნებაზე პესსიმისტიკის შეხედულება, მთელი მისი პო-
ეზია მშვენიერის, მელოდიურის ენით არის აკინძული, მთელი ძალა კი ამ პოეზიისა ბუნების
აღწერაში გამოიხატება.

ჩვენ ტიუტჩევი არა გვყოლია, ბუნების უმაღლეს წერტილამდე აღმწერელი პოეტი, მაგ-
რამ ამის იმედს საკმაოდ იძლევა ახალგაზრდა მგოსანი **გ. ტაბიძე**. ამაში დამარწმუნა ტაბიძის
მშვენიერმა ლექსებმა (იხ. „ფასკუნჯი“, „თეატრი და ცხოვრ.“). ნაიკითხეთ პანია, მაგრამ კობტა
ლექსი „ნიაღვარი“. ნახეთ, რა წუნდაუდებელი აღწერაა ლექსის ერთ ნაწილში:

როცა მზე მწვერვალს გადმონათებს
და სხივს დაადნობს თოვლიან მთაზე,
უკვდავებაა მაშინ მნათობის
მშვენიერება და სილამაზე;
მაგრამ, როდესაც აღქაფებული
ზვირთი გზას ურხევს მომსკდარ ნიაღვარს,
ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას,
რა სული შეჰქმნის სტიქიას ამგვარს...

ანდა ნაიკითხეთ ლექსი „დილა“, სადაც პოეტი კატეგორიულად უცხადებს ბუნების
სიმშვენიერეს და მრისხანებას:

მსურს, ნაღველი საბოლოო
თქვენს უბიდან ამოვწოვო!

უფრო გადაჭრითაა გამოთქმული პოეტის აზრი ბუნებაზე ლექსში „მხოლოდ ბუნება“:

რითმების გუნდი გარს მომხვევია,
ყვავილი წყნარად მეჩურჩულება:
სულით ობოლო, შენ შეგითვისებს
მხოლოდ ბუნება, მხოლოდ ბუნება!

კარგი აღწერაა ბუნებისა ტაბიძის სხვა ლექსებში, როგორც მაგ. „ღამე“, „ნიავი“, „ფიქრი“,
„სასაფლაოზე“ („ფასკ.“) და სხ.

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, 19 სექტემბერი, № 37, გვ. 7-8.

დ. დიმიშვილი

ცხოვრება და მწერლობა

ახალგაზრდა მწერლები

[...] ჩვენ რომ თვალი გადავაგვლოთ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს, აშკარათ დავრწმუნდებით, რომ შანშიაშვილი, გრიშაშვილი, მჭედლიშვილი, მეტრეველი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, აბაშიძე, ფერიაშვილი და სხვანი ერთ განსაზღვრულ მიმართულებას სცემენ თავყვანს! იმათთვის სინამდვილე არ არსებობს, პიროვნებისათვის ბრძოლა შორს მიუგდიათ და ერთი მათი მიზანი საკუთარი „მეა“...

გაზ. „სინათლე“, 1911, 27 იანვარი, № 23.

გ. ქუმბურიძე

უკანასკნელ წლების სიმბოლიზმი

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში

[...] სიმბოლიურ პოეზიას ჩვენ ჯერ სავსებით, მთელის სისრულით ვერ შევთვისებთ-ვართ, რადგან იგი სრულებით ახალი მიმართულებაა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ძველს, ნაცნობ პოეზიასთან შეთანხმებულებს ახალთან შეგუება გვიძიმდება და სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ მან ჩვენში ჯერ კიდევ ვერ დაიმსახურა ფართო საზოგადოების საკმაო სიმპატია. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ ახალმა ფორმამაც, რომელშიაც სიმბოლიზმი თავისი შინაარსი ჩამოასხა, რომლითაც მან შეჰმოსა იგი. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ახალი პოეზია დღეს ჩვენში უკვე გამეფდა საზოგადოების ფართო მასაში თუ არა, მხატვრულ მწერლობაში მაინც, საიდანაც იგი აუცილებლად ხალხშიც უნდა გადავიდეს. როგორც უკვე ეტყობა, აქ აღნიშნული ხასიათის სიმბოლიზმი მაინცა და მაინც დიდს ეპოქას ვერ შეჰქმნის ჩვენს მწერლობაში, თუ იგი სავსებით არ დაუთმობს თავის ადგილს სხვა ახალ მიმდინარეობას, ორგანიულად მაინც შეესისხლხორცება მას და მასთან ერთად შეჰქმნის ერთს მთლიანს და ცხოვრების პირობებთან უკედ შეფარდებულს ლიტერატურულ მიმართულებას. ჩვენს დღევანდელს მწერლობაში უკვე მოიპოვება ამ აზრის დამამტკიცებელი ლიტერატურული ნიმუშები, რასაც ამ წერილის ბოლოში მოვიყვან.

საზოგადოდ თვითოეული სიმბოლიურ-ფსიხოლოგიური ნაწარმოები ერთს ვრცელს, დიდტანიან თხზულებას ვერ წარმოადგენს, რადგან ადამიანის სულიერი მოძრაობა მალაია, სწრაფი, ჩქარ-წარმავალი. ამიტომ ამ ახალი პოეზიისაგან მკითხველი საზოგადოება ერთს დიდს მთლიან ნაწარმოებს არ უნდა მოელოდეს. ეხლანდელი წვრილი მოთხრობა-ლექსები კი მკითხველს თითქმის არ აკმაყოფილებს. ახალი პოეზია მოკლე ნაწარმოებში უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოსთქვამს ხოლმე თავის აზრს. ეს თვისება მისი ღირსებაა და არა პოეტების დაჩივება, მათი დაწვრილმანება. თანამედროვე სიმბოლიურ ლირიკული პოეზიის მსახურებად უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით: ალ. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, ბაბილინა, ნ. ჩხიკვაძე და სხვანი.¹ დანარჩენებს არ ვეხები, რადგან ამ ზემოდ აღნიშნული მიმართულებისათვის მათი ლექსები თითქმის არავითარ მასალას არ იძლევა. [...]

¹ სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს იასამანის და ქუჩიშვილის ლექსები, სადაც, რამდენადაც მახსოვს, სიმბოლიური ნაწარმოებებიც უნდა მოიპოვებოდეს. ადრე წაკითხულის მიხედვით კი მათზე მსჯელობა შეუძლებლად მიმაჩნია.

* * *

[...] შანშიაშვილის და გრიშაშვილის პოეზიაში მრავალ ღირსებასთან ერთად ერთი პატარა ნაკლულევანებაც უნდა აღვნიშნო. საერთოდ ახალი პოეზია ცოტა ბუნდოვანია. ბუნდოვანია ის იმიტომაც, რომ იგი განყენებულ საგნებში დაეძებს უმთავრესად თავის საგალობელ ღვთაებას, იგი ამქვეყნიურ სინამდვილეს თითქმის სრულებით განშორებია და უსაზღვრო ოცნებას მიჰკედლებია. აქ კი მშვენიერი სულის მეუფებას ჰხდის იგი თავის მაღალ იდეალად. რაღა საკვირველია, რომ ასეთი პოეზია მკითხველსაც ამაღლებს ზნეობრივად. საზოგადოდ ასეთს შთაბეჭდილებას სტოვებენ მკითხველზე უკვე განვლილ წლებში დაწერილი მათი ლექსები.

საერთოდ თითქმის ასეთივე ხასიათისაა ს. აბაშელის და გ. ტაბიძის ახალგაზრდა მუზაც. [...]

* * *

აბაშელი ცდილობს ბალმონტისებურად განაპიროვნოს ცეცხლი და მისებრ დიდი ასოთი სწერს ცეცხლის სახელს. ამასთანავე იგი მართლაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ცეცხლს და აძლევს მას ბუნებაში უდიდეს მნიშვნელობას. რაოდენიმედ აბაშელის „ცეცხლსა“ ჰგავს **გ. ტაბიძის** „ნიაღვარიც“.

როცა მზე მწვერვალს გადმონათებს
და სხივს დაადნობს თოვლიან მთაზე,
უკვდავებაა მაშინ მნათობის
მშვენიერება და სილამაზე.
მაგრამ როდესაც აღქაფებული
ზვირთი გზას ურხევს მომსკდარ ნიაღვარს –
ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას,
რა სული შეჰქმნის სტიქიას ამგვარს?
დააძნე სხივი, სულო ციერო,
ამ გაცივებულს, ნალვლიან გულზე,
ტკბილი მორევი შემთავებდება
ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე.
და თუ ოდესმე, ვით ნიაღვარი,
გულის სიღრმიდან გრძნობა მოსკდება,
ვფიცავ, რომ მევე მომკლავს, დამლუპავს
ჩემივ ნალველი, ჩემივ ოცნება!..

ახალგაზრდა პოეტების საერთო სევდას ვერც **გ. ტაბიძე** გაქცევია: „ნუ შეახებთ ხელს ჩანგის სიმებს, ქნარი მწუხარედ აწკრიალდებაო“. პოეტი განმარტოებულად გრძნობს თავს, მას სულიერი მეგობარი არა ჰყავს და ტურფას ასე მიჰმართავს:

მე კი, ტურფავ, საფლავი ვარ,
გულცივი და მარტოდმარტო...
არრა მატკობს... არც მსურს ვისმე
გულის ფიქრი განვუმარტო.

განმარტოებული პოეტის სულიერი ტანჯვა ისე ძლიერია, რომ მას სიკვდილითაც კი არ მიეცემა დასასრული:

ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კენესა
და ტანჯვა სულის,
საუკუნეთა მსვლელობაში
გაცივებულის?

ადამიანო! ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი უბედურს თვით სიკვდილიც
არ მეღირსება!

სინამდვილით დაჩაგრული მგოსანი ოცნებაში ეძებს შვებას, მაგრამ მისგან იგი აქაც ძლეულია.

მინდვრად ყვავილთა კონა შევკარი,
ჩემთვის გვირგვინის შეკონვა მსურდა,
ოცნება იყო... და სინამდვილემ
ესეც წამართვა... ესეც შეშურდა!
კუბოს ფიცრები ყვავილით მოვრთე,
გულზე კაეშანთ გუნდი აცურდა.
სიკვდილს ვეძებდი... ის არსით სჩანდა...
ყვავილიც ჩემთვის მას შურდა... შურდა!

ღამე საზოგადოდ არც ძველ მწერლობაში ყოფილა დიდად პატივდებული, მაგრამ მას ისეთი მნიშვნელობა მაინც არა ჰქონია, როგორც ახლა. მაშინ იგი უბრალო, ჩვეულებრივ ღამედ იყო ცნობილი, ღამის მოტრფიალეთა მფარველად, ახლა კი მას რაღაც იდუმალს, საბედისწერო ძალას ანიჭებენ და მასაც სიმბოლიური მნიშვნელობა ეძლევა. ჩვეულებრივ ღამეს ადრეც ჰყავდა და ეხლაც ჰყავს თავისი საკუთარი მგოსანი და „ხანდასმით ისმის ჰანგი გულ-ჩათუთქულ ღამის მგოსნის – იადონის“. ეხლა მგოსან-ადამიანსაც კი უფრთხობს იგი ძილს თავისი არაჩვეულებრივი იდუმალობით. „შავსა უკუნეთს, საზარ წყვდიადს შთაუნთქავს მთები“, და „მალლა, ჰაერზეც, დაუღია პირი სამარეს“. ჩვენი დროის პოეტს „ბნელი ღამე“ მუდამ თან დასდევს და მისთვის „სევდის ნიავიც ჰანგებს მღერის სამგლოვიაროს“ (ნ. ჩხიკვაძე). **ტაბიძეს** სინამდვილე სდევნის და სტაჯავს, სდევნის სასტიკად, ბნელი უკუნიც გარს ახვევია ყველგან, ყოველთვის. პოეტს ვერც ოცნებაში უპოვნია თავშესაფარი, მას არც იგი სწყალობს, დამშვიდებული სულის ლტოლვა მალლა ცისკენ მას უკვდავებას ვერ მიანიჭებს. პოეტს სწამს მხოლოდ წამებულის უკვდავება და ისიც ბრძოლისათვის უხმობს ყველას, „ვისაც კი მწარედ აკვნესებული გული ედაგვის კაეშან-სევდით, ვისაც მრისხანედ უტოკავს სული“. მეორე ლექსში პოეტი განაგრძობს:

ნუ მეუბნებით, რომ განთიადზე
ულვთოდ წამებულს აღმოხდა სული, –
არა, ის სცოცხლობს, ჩვენს მიმკრთალ ცხადზე
უფრო წარმტაცი და დიდებული!

ტაბიძე ჯერ ისევ ახალი ბრძოლისათვის მზადების ხანას განიცდის. მისი „წინაპრები“ – „მეთაურები“ – მოქანცულ გულით წმინდა დროშის წინ ძირს ეცემიან და „მძიმე წყლულით დაღდასმულები ისე, ვით უწინ, მშვიდად კვდებიან! ახალ გმირს ეძებს უკანასკნელი მათი წუხილი და წმინდა გულიო“-ო და ახალგაზრდა პოეტიც მზად არის საბრძოლველად. ის გვეუბნება:

ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას,
ბრძოლის ქუხილში მიიღტვის სული.
ვერ ვუღალატებ საფლავთა მცნებას
ცხადათ და ძილში აღშფოთებული-ო.

ტაბიძესა და ბაბილინას ამქვეყნიური ცხოვრება ვერ აკმაყოფილებს: აქ ტანჯვა-ვაებისა და მონობის მეტი არა არის რა, შავბნელს მოუცავს მთელი სამყარო. არც მარტო მალლა ცისაკენ დამშვიდებული სულის ლტოლვა, ოცნების ტკბილი სიზმარი და სულის

ნეტარი ძილი ანიჭებს მათ ბედნიერებას. იმათ სწყურიათ ამსოფლად წყვდიადის გაფანტვა, ბედნიერების დამკვიდრება, მხოლოდ მედგარი ბრძოლის საშუალებით. მათი მიზანია მავნე სულთაგან წმინდა სიყვარულის განთავისუფლება და მისი გამეფება, რადგან მასში ჰხედავენ მისთვის წამებულთა უკვდავებას.

[...] მე ზემოთ აღვნიშნე მოკლედ ჩვენი მწერლობის უკანასკნელი წლების მომენტი, რომელიც ასე თუ ისე ასურათებს ადამიანის სულის ლტოლვას მარადისობისაკენ, მის სულიერ დრამას. მაგრამ სჩანს, რომ მწერლობა ამ ორი განცალკევებულის გზით დიდხანს ვერ განაგრძობს თავის დამოუკიდებელ მსვლელობას. მწერლობა უნდა გადაიქცეს ადამიანის ცხოვრების ამ ორი მხარის გარმონიულ გამომხატველად. ეს სააქაო, ამსოფლიური და ის, საიქაო, ზეციური ცხოვრება უნდა შეერთდეს ლიტერატურაშიც ისე, როგორც იგი ადამიანის ხორცსა და სულშია შეერთებული, როგორც მის მთლიან ბუნებაშია შესისხლხორცებული. ამის ნიშნები ჩვენ უკვე დავინახეთ ზემოთ გარჩეული პოეტების ზოგიერთ ლექსებში, სადაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ტაბიძეს და ბაბილინას, რაოდენიმედ აბაშელსაც.

„სახალხო გაზეთი“, 1911, 3, 5, 6 მაისი, № 293, 295-296.

ა. პაპავა

შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე

ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი

[...] დღევანდელ პოეტებს თითქოს ბუნებაც განზე გადუდგა. ბუნება და დღევანდელი პოეტი ბარბაროსები არიან ერთმანეთისათვის, ურთიერთის არა გაეგებათ რა, თითქოს რაღაც უხეში სატანიური ძალა ჩამდგარიყოს მათ შორის. საუცხოვო, პოეზიით აღსავსეა ბუნების სურათი, მაგრამ პოეტის გულს შვების ნაცვლად სევდასა გვრის.

[...] ბ-ნი ტაბიძეც კი გრძნობს, რომ

მაღე ველი ამწვანდება,
არემარე იგრძნობს შვებას
და ყვავილთა გუნდიც უხვად
გადმოაფრქვევს სურნელებას.

მაგრამ ამ ზეიმის დროსაც, გარიყული იქნება პოეტი თავის უსაზღვრო სევდით. მისი გულისთქმა და კვნესა კვლავაც „მის“ გულში იბინადრებს:

მხოლოდ მე კი არ მომაღხენს
სიკეკლუცე გაზაფხულის
გულშივ ჩაჭკნა ნორჩი რწმენა
სიყვარულის, სიხარულის!
(იხ. „გაზაფხულის მოლოდინში“)

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენი ახალი ლიტერატურა თანდათან უფრო ტოპავს ინდივიდუალიზმის სამეფოში, ისეთი განსხვავებული, განკერძოებული ხასიათის პრინციპები დაისვა, მოტივები დაისახა, რომ მასში არ შეუძლია იშოვოს მეგობარი, თანამგზავრი. აი რატომ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდა პოეტები მუდამ ობლობას და უმწეობას შემოგვჩვიან და ცხარე ცრემლით დასტირიან თვის ასეთ ყოფას [...].

გაზ. „კოლხიდა“, 1911, 1 ივლისი, №76.

ივ. გომართელი

სევდის მგოსანი

ჩემი სიმღერა ქვითინი იყო,
სულით ობლობას ჰკვენსოდა ქნარი.
ტაბიძე

სიცოცხლე ადამიანისა მეტად ხანმოკლეა; სამყარო კი უსაზღვრო, დაუსრულებელი და საიდუმლოების ბურუსში გახვეული.

გარღვევა ამ ბურუსისა და საიდუმლოების ამოცნობა – აი ადამიანის წყურვილი უძველესი დროიდან.

მინდომა მიუწოდმელისა, ამოცნობა ამოუცნობელისა, ახსნა, გაგება მთელი სამყაროსი – აი რა იზიდავდა და იზიდავს ადამიანს.

ამ წყურვილზე, ამ მისწრაფებაზე აშენდა სხვა და სხვა დროის მრავალი ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი მოძღვრებანი.

მიუხედავად ამისა ადამიანის წყურვილი წყურვილათვე დარჩა და მისწრაფება უნაყოფოთ.

რას წარმოადგენს სამყარო, სად არის მისი დასაწყისი და სად დასასრული?

საიდან, როგორ გაჩნდა ყოველივე ეს?

რა არის სიცოცხლე, რას წარმოადგენს სიკვდილი?

ყველა ამ კითხვებზე პასუხს ეძებს მოუსვენარი სული ადამიანისა.

მაგრამ პასუხს არავინ არ იძლევა, პასუხი არსაიდან არ ისმის.

საუკუნე საუკუნეს მისდევს, ათასი წლები ერთი მეორეს სცვლიან, – საიდუმლოებას სამყაროსას კი ფარდა არ ეხდება; ის იმდენათვე მიუწოდმელია დღეს, რამდენათაც მიუწოდმელი იყო ამ რამოდენიმე ათასი წლის წინეთ.

ილაჯგანყვეტილი, იმედდაკარგული ადამიანი ხშირად სასონარკვეთილებას ეძლევა და სწორეთ ასეთმა სასონარკვეთილებამ წარმოათქმევინა უძველეს დროს სოლომონ ბრძენს: ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაოაო.

სოლომონის სულისკვეთება ყოველი შეგნებული ადამიანის სულისკვეთებაა.

დიდ კითხვებსაც რომ თავი დავანებოთ და ჩვენს გარშემო მიმოვიხედოთ, ყოველ ნაბიჯზე აუხსნელ საიდუმლოებას დავინახავთ. თვით სიცოცხლე, თვით ყოველი ჩვენგანი განა საიდუმლოება არ არის?

ვიბადებით, ვცხოვრობთ, ათასი მისწრაფება, სურვილები გვებადება; სხვადასხვა მიზანს ვისახავთ და ვიბრძვით; გამოგვირბენს სიკვდილი და ყოველივე გაჰქრება, მოისპობა.

„ჭეშმარიტად ამაოა ყოველივე“ – აი ამონაკვნესი ჭეშმარიტების ძიებაში მოქანცულის სულისა.

სამყაროს საიდუმლოებათა კვლევა-ძიება ადამიანს აგრძნობინებს სრულს უძღურებასა და უმწეობას.

შეგნება ამ უძღურებისა და დაუკმაყოფილებელი წყურვილი იწვევს ერთგვარ სევდას.

ამგვარი სევდა ყოველი შეგნებული ადამიანის გულში იწვევს გამომხაურებას, რადგანაც ეს მთელი კაცობრიობის სევდაა.

პოეზიაში ამგვარი სევდის მატარებელი ჩვენში ბარათაშვილი იყო. ყოველდღიური ცხოვრება ნ. ბარათაშვილის ობოლ სულს არ აკმაყოფილებდა. მას სწყუროდა მსოფლიოს საიდუმლოებათა ამოცნობა.

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყების სანუთროება,
გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს!

– ეუბნება პოეტი ცას.

ბარათაშვილის ფიქრი მუდამ ცისაკენ მიისწრაფოდა,

მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

და ეს უძლურება ავსებს პოეტის გულს სევდით, რომლის ზეგავლენითაც მას ყოველივე ამქვეყნიური ამაოებათ მიაჩნია.

ბარათაშვილის შემდეგ ჩვენი პოეზია საკმაოდ განვითარდა, მაგრამ ბარათაშვილის გზას კი ასცდა. პოეზიის უმთავრეს საგნათ ეროვნული მდგომარეობა და საზოგადოებრივი კითხვები გადაიქცა, ჩვენი პოეზია სევდით სავსეა, მაგრამ ეს სევდა უმთავრესად ეროვნულია, საზოგადოებრივი, – ჩვენი ეროვნული მდგომარეობითა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლულოვანებით გამონვეული. ბარათაშვილის მსოფლიო სევდის კილო გაისმის ტაბიძის პოეზიაში. ხელოვნების ასპარეზზე ტაბიძე აგერ ახლა გამოვიდა, ამიტომ მისი დაფასება ჯერ შეუძლებელია; ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მკითხველს ტაბიძის პოეზიის ნიშანდობლივ თვისებებზე.

ეს ქვეყანა ტაბიძეს არ აკმაყოფილებს, ვინროა მისთვის, უშინაარსო:

ვიტყვი, რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში;

პოეტი ეძებს სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არსებულ ცხოვრებაში ამ მიზანს ვერსად ვერა
ჰხედავს.

ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს!

ქვეყნად ყოველივე წარმავალია.

არ განახლდება წარსული ჟამი
ბედნიერება არ დაბრუნდება...

ადამიანის ოცნებანი ოცნებებით რჩება და ბოლოს მისი ყოფნა კუბოთ იქცევა. პოეტი უარყოფს ამგვარ ცხოვრებას, რომელიც მის თვალში უმიზნოა და ფუჭი, ის გაურბის ხალხს, საზოგადოებას და სევდით გამსჭვალული ეძებს განმარტოებას, მთვარიან ღამეს, სასაფლაოს, რომ დაივინყოს დედამიწა, ფიქრს მისცეს თავი და გაჰყვეს ოცნებას.

ოცნებას პოეტი ცისაკენ მიჰყავს, პოეტის ფიქრი შორს მიჰქრის, ვარსკვლავებისაკენ. ის ამ დროს ბედნიერია, დამმორჩილდით, მე ღმერთი ვარ, ყველაფერსა ვქმნიო, აღტაცებით გვიცხადებს პოეტი, მაგრამ მის აღტაცებას ისევ მალე მოჰყვება სევდა: ცაში პოეტი ეძებს სამარადისოს, მიუწვდომელს, ვრცელს, უსაზღვროს.

ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.

მაგრამ პოეტი თანდათან რწმუნდება, რომ მისი ძებნა მხოლოდ აუსრულებელი ოცნებაა.
სასონარკვეთილებით შეპყრობილი, ის ყოველივეს უარყოფს:

რად მინდა მივწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს:
ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც ვერასდროს!

სწერს ის ერთს თავის საუკეთესო ლექსში.

პოეტს ცხოვრება არ აკმაყოფილებს, ცა მას არასფერს ეუბნება; საიდუმლოება მსოფლიო-
ოსი მისთვის მიუწვდომელი რჩება და პოეტი მთელს ქვეყანაზედ ეულადა გრძნობს თავს, რო-
გორც უდაბნოში.

უმინობის, სიცალიერის შავი ნისლი თან დასდევს მას, როგორც ნ. ბარათაშვილს თან სდევდა შავი ყორანი და პოეტის სევდა მატულობს, მისი სულიერი ტანჯვა იზრდება.

პოეტი სამუდამოდ მარხავს თავისი სიყმანვილის ტკბილ ფიქრებსა და ოცნებებს და მისი გულის სიმები მხოლოდ სევდიან ხმებს იძლევიან.

იყო დრო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იტაცებდა პოეტის „სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას“.

მაშინ პოეტი ბედნიერი იყო, ის გულში ძლივს იკავებდა მომსკდარ სიმღერას. ეს იყო დრო, როდესაც პოეტს სწამდა, რომ ცა დააკმაყოფილებდა იმის სულიერ წყურვილს, რომ ცა აუხსნიდა მას ბუნების საიდუმლოებას და ხელში ჩაუგდებდა უსაზღვროს, მიუწვდომელს.

პოეტი ოცნებობდა; ის სიხარულით მოელოდა ამ გაზაფხულს თავის ცხოვრებაში.

სინამდვილეში ოცნებისას ავანთებ კანდელს,
იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს.

მაგრამ ცამ პოეტს არაფერი უთხრა, გაზაფხული არ მოვიდა და პოეტი აღარც ელის იმის მოსვლას. ის შორდება ზეცას:

არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნალველი,
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრო ხელი!

სიყმანვილის ოცნებანი განქრენ და დღეს კიდევ რომ უნდოდეს, მაინც აღარ შეუძლია ზეცისაკენ ხელები აღაპყროს, აი აქ პოეტის სული განიცდის სრულ მარტოობას, ობლობას და უნუგემობას. ეს მარტოობა, სულის ობლობა ტაბიძეს საუცხოვოდ აქვს გამოქანდაკებული განსაკუთრებით „უდაბნო“-ში. ძლიერი, ღრმა გრძნობა თვისებაა პოეტისა. ვისაც ეს არ ახლავს, ის არ არის პოეტი, რაგინდ დახელოვნებულიც იყოს ლექსთა შეწყობაში.

მაგრამ მარტო ძლიერი გრძნობა საკმარისი არ არის პოეტისათვის; მან უნდა შესძლოს ამ გრძნობის ჩვენება. გამოხატვა; უამისოთ ის ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს და, როგორც პოეტი, მკვდარია. გ. ტაბიძე ორივე ამ ღირსებით საკმაოდ არის დაჯილდოებული. ის ძლიერათ გრძნობს, ღრმად განიცდის ადამიანის არსებობის ტრალედიას და ამ სევდიან მწუხარებით სავსე გრძნობის გამოხატვა საკმაოდ ეხერხება.

მაგრამ პოეტის საკაცობრიო სევდას, იმის მსოფლიო სულის კვეთებას მაინც უკეთესი ფორმა შეეფერებოდა; გ. ტაბიძეს ჯერ ბევრი შრომა სჭირდება ლექსის გარეგნობის გაუმჯობესებისათვის.

ობოლი სული პოეტისა, როგორც დავინახეთ, განმარტოებას, სიმშვიდეს ეძებს; მას უნდა ისეთი წყნარი, ჩუმი ადგილი, სადაც სრულ მყუდროებას ადამიანის ხმაურობა არ არღვევს. მას ეშინია კიდევ, რომ ეს მყუდროება არავინ დაურღვიოს.

და შიში, რომ ხმა ადამიანის
დაარღვევს ციურ იდუმალეებას,
მაქვავებს-ო

გვიცხადებს პოეტი ერთ თავის ლექსში.

სრული მყუდროება საჭიროა ოცნებით, ფიქრით მცხოვრები ადამიანისათვის. მაგრამ როდესაც მისი ოცნებანი იმსხვრევიან და ფიქრი სევდას და სულიერ ტანჯვას ვერ უქარვებს, პოეტი, ვით დემონი, სწყევლის ყოველივეს:

უსიხარულოდ, უმნიშვნელოდ
მიჰქრიან დღენი!
ოჰ, ვის, ვის ძალუძს განიცადოს
ტანჯვა ესდენი?

მას ყოველივე მობეზრდა, მას ქარიშხალთან შებმა უნდა.
მაგრამ ბრძოლა თვისებაა ძლიერი, მომქმედი ნებისა.
ბრძოლისათვის ნაპოლეონობა თუ არა, ნაპოლეონის შორეული ნათესაობაა მაინც
საჭირო.

ტაბიძე კი განჭვრეტის, ფიქრის ადამიანია, ის უფრო ჰამლეტს ენათესავება. ამიტომ
მისი სულიერი ტანჯვა თანდათან სევდის ნაზ და წარმტაც თაიგულათ იშლება.

პოეტი ობოლია ქვეყანაზედ. სიღრმე-სიგანე მისი სულიერი ტანჯვისა არავინ არ იცის.

რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოთ შენახული.

პოეტი არავის არ უმჟღავნებს თავის სევდას, იმიტომ კი არა, რომ მეგობრობა, ან სიყ-
ვარული სრულებით აღარა სწამდეს, – იცის, რომ იმისი წყლულები უკურნებელია. ის დარ-
წმუნებულია, რომ თავის გაზაფხულს ვერასოდეს ველარ იხილავს, აღტაცების დრო სამუდა-
მოდ გაჰქრა და ბედნიერებას არ ეღირსება, ამიტომ არც ეძებს.

და შეეჩვია გული სევდას, ურწმუნოებას.

და აი ამ ტანჯვაში, ამ სევდაში ჰქმნის პოეტი თავისებურ ნეტარებას, თავისებურ
ბედნიერებას.

ვიტანჯებოდი, მაგრამ ამ ტანჯვით
გულის სიღრმეში მევე ვსტკებოდი!

მას უნდა რომ ეს სევდიანი ხვედრი თან წაიყოლოს.
დეე იმისი სევდა, მისი წამება უკურნებელი და დაუსრულებელი იყოს.
მე ვეძებ მასში თავისებურ ბედნიერებასო, გვიცხადებს პოეტი.
სევდის, წამების შეყვარება,
სევდაში, წამებაში თავისებური ბედნიერების ხილვა – აი ტრადედია პოეტის სულის
კვეთებისა!

ბარათაშვილის საკაცობრიო სულის კვეთება და კვნესა გულისა ობლად დარჩა, ის
ეროვნულმა გოდებამ შთანთქა.

ტაბიძემ ღრმად იგრძნო ყოველი შეგნებული ადამიანის სევდა და სულის სწრაფვა,
ბარათაშვილს გამოეხმაურა და, თავის მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა.

ნიგნიდან: გ. ტაბიძე, „ლექსები“, ქუთაისი, 1914, გვ. I-IX.

აკ. პ-ვა.

ბიბლიოგრაფიის მაგიერ

გ. ტაბიძის ლექსები¹

გ. ტაბიძის წიგნი ერთგვარ ნაზ და სევდიან განწყობილებას ქმნის ჩვენში და ეს გან-
წყობილება საკმაოდ დაცულია ბოლომდე.

ის არევ-დარევა და გამოურკვევლობა, რომელიც ამჩნევია ჩვენს ახალგაზრდა მგოსან-
თა უმეტესობას, ის განწყობილება, რომელსაც მთლიანობის სახე არა აქვს და უკიდურესის
სიხალისიდან საშინელ სასონარკვეთილებამდე აღწევს, სრულიად უცხოა ახალგაზრდა მგოსან

გ. ტაბიძისათვის.

1 ბ. გ. ტაბიძის ლექსებს უფრო დანვრილებით გავარჩევთ შემდეგ. ა. პ.

ამიტომ მის შესახებ შეუძლიათ ჩვენს კრიტიკოსებს რაიმე გარკვეული შეხედულება გამოსთქვან.

ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ის სულიერი განწყობილება, რომელიც ფლობს მგოსნის სევდიან სულს, მშვენიერ, მელოდიურ ფორმაში აქვს გამოხატული. თქვენ გრძნობთ, რომ ცრემლების წმინდა წყარო ნელად მიდუღუნებს და ბუნებას გულში ეხვევა.

მაგრამ აი, მას თავს წამოადგა ბურძგი, ეკალ-ნარი, დიდრონ ბჭეებიანი ხეები გადაეფარა მის გულს და მზის სხივები მოსტაცა მას. წყარო ერთის ნუთითაც კი არ ივსება მათადმი შურითა და მტრობით, მას არც კი სწადია შეჯახება, თვის ოქროს ფიქრებს და ლამაზ ტანჯვას იგი უფრო ღრმად იხვევს გულის სიღრმეში და ისევ მშვიდად მიდუღუნებს მწვანე ველზე. მწარე ფიქრები გზა-ხსნილს ვერ პოულობენ, მათ რეალურად გამოსახვის უნარი აკლიათ და გარეგნული მოქმედებაც სავსებით მიმქრალია.

ცხოვრების მსვლელობას მიჰყვება ისიც და არ გაისმის ხმა მონოდებისა და პროტესტის.

წინააღმდეგ, აქ სჩანს ერთგვარი მოღლილობა, ნელი მოძრაობა და მონოტონური ნაბიჯი. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ – გავიგებთ, თუ რისთვის **გ. ტაბიძის** ნაწერები ამდენად ჰარმონიულ-მუსიკალურია.

იგი შეგუებულია გარეგნულად არსებულ ვითარებასთან და მის შემოქმედებაშიც დისგარმონია არა სჩანს. მაგრამ ეს გარეგნულად; სამაგიეროდ, საკმარისია ჩაიხედოთ მგოსნის სულში და თქვენ აშკარად დაინახავთ აჩქარებულის ტემპით მიმდინარე ლელვას, მწუხარებით დაგუბებულ ცრემლთა მსხვრევას ნაზ გულის ფიცარზე.

თქვენ მოგისმენიათ მელოდია, ერთი ჰანგიც კი, რომელიც საშინელ ღრმა მწუხარებას ხატავს.

აქ არ არის აღშფოთებული ტირილი, ბედის წყევლა, ცხოვრების მრისხანე გმობა, მაგრამ, სამაგიეროდ დაგუბებულია ღრმა მწუხარება რომელიც არ შეიძლება შემსუბუქდეს, რადგან სიტყვით არ გამოითქმის მისი ძალა.

გ. ტაბიძეც სიტყვით იმდენად ვერ ხატავს ამ სევდის ძალას, მაგრამ მისი ფორმა, ტონები და მკრთალი სახეები ქმნის ისეთ განწყობილებას, რომელიც უთქმელ სევდას ნერტილებითაც გადმოგცემს.

გარდა ამისა, გ. ტაბიძის სევდა ყველასათვის საყვარელი და ძვირფასია, რადგან იგია ჩვენი სულის ინტიმობა, ჩვენის ცხოვრების ტრადიკული ნუთები და ამ ხელოვნურად შექმნილ განწყობილებაში თქვენ სრულიად თავისუფლად შეგიძლიათ აჰყვეთ, გაშალოთ საკუთარი ვარამი და სევდა. იგი არ გზღუდავთ თქვენ ნაძალადევის განმარტებით...

განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში იგრძნობთ სულიერ ნათესაობას ამ შემოქმედებასთან; იგია ღვიძლი შვილი ჩვენის ეპოქის, – ქართველი ინტელიგენციის სახე, მისი სულის სარკე. ასეთსავე მოღლილობას, იდუმალ ძიებას ლამაზის ფორმისა მწუხარების გამოსახატავად შეამჩნევთ თქვენ დღეის ინტელიგენციაში.

ასეთსავე გარეგნულად არ გამოსახულ აქტივობას და ნელ ჰარმონიას შეამჩნევთ დღეს ამ წრეში; მაგრამ გულის სიღრმეში იდუმალ სცემს ახალი წყურვილის ძალა, რომელიც თანდათან მოჰკლავს უმიზნო მწუხარებას. გატყდება რეაქცია და ეს გარეგნული სინყნარეც გაირღვევა.

მაშინ ველარ იტყვის ცრემლით დატვირთული და გულდაფლეთილი პოეტი:

რა სინყნარეა! მთვლემარე კორდზე

მე შევაყენე დაღლილი ცხენი,

.....

არც სიო დაჰქრის, არც ხის რტო იძვრის...

რა სინყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო.

მაგრამ საზოგადოებრივი სიმკვირცხლე და აქტივობა ვერ მოჰკლავს სავსებით პოეტის ლტოლვას სინყნარისადმი. მის პოეზიაში ისეთი ჩანასახი სჩანს, რომელიც ეძებს მარადიულს და ცხოვრების ღრმა საიდუმლოებაზე ფიქრობს. ასეთი ადგილი განცვიფრებისა და ძიებისა

ამ უკვდავების და დაუსრულებელის წინაშე არასოდეს არ შესწყდება მომავალ თაობის წიაღშიც. და ბ. ტაბიძის ლექსები, როგორც შემქმნელი ნაზ, წყნარ განწყობილების და იდუმალ სიჩუმისა, მუდამ უპასუხებს ჩვენს დაღლილ და ლოცვის წყურვილით აღტყინებულ გრძნობებს.

ეს ნაზი აკორდია ქართულ მუსიკალურ პოეზიაში და ვისაც უყვარს ლამაზად სახული ტანჯვა მწუხარებისა, იგი შეიყვარებს ამ წიგნსაც, ვისაც უნდა მოისვენოს და წუთით დაა[ა]-მოს მშფოთი გრძნობანი, ის აქ იპოვის ქრისტესებურ მშვიდ, სადა და თბილ სიტყვებს, წარმტაც სახეებს სინყნარისას.

გაზ. „შრომა“, 1914, 14 ივლისი, № 20.

ვ. ყიფიანი

ბ. ტაბიძის ლექსები

ქუთაისი. 1914.

ივნისში ახალგაზდა მწერლის გ. ტაბიძის ლექსთა კრებული გამოიცა. საზოგადოთ სამხიარულოთ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ამ ბოლო დროს ახალგაზდა მწერალნი თავის ნაწარმოებთა გამოცემას ახერხებენ. ეს მოვლენა საინტერესოა, რადგანაც მკითხველსა და განსაკუთრებით კრიტიკოსს შეძლება ეძლევა ესა თუ ის მწერალი გაიცნოს და ერთგვარი შეხედულება შეიმუშავოს მასზე. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა მწერალთა პატარ-პატარა ლექსები ძველ ჟურნალ-გაზეთებში ეძიო და ამოიწერო. ამას მეტი დრო და ენერჯია სჭირდება. გ. ტაბიძის ლექსთა კრებულს ერთვის ორი სურათი, ერთი ავტორისა და მეორე (ყდაზე) – მწუხარე ქალი ლირით ხელში. ქაღალდი სუფთა და თეთრია. კრებულში 181 ლექსია მოთავსებული. გ. ტაბიძე პესიმისტ პოეტთა ჯგუფს ეკუთვნის. მას, როგორც სხვა პესიმისტებს, გულს უღრღნის ის მარადის გამოუცნობელი საკითხი, რომელიც კაცობრიობას სფინქსივით წინ უდგას. სახელდობრ ის, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება, რათ ვიბადებით და ვკვდებით, რა არის ჩვენი გაჩენის მიზეზი და მიზანი.

საით მივყევარ ჩემს მონყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?

კითხულობს პოეტი. ის წუხს, ეძახის „სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს“, კითხვა ისევ კითხვათა რჩება. თვით ცხოვრება პოეტისათვის ტანჯვას წარმოადგენს. მთელი ქვეყანა მისთვის უდაბნოა. ტკბილი ფიქრები, რომელიც მას სულის სიყმანვილის დროს დაბადებია, დღეს უკვე გამქრალა. წყეულმა და ბოროტმა დრომ სადღაც წარიღო მისი ფიქრები და „ოცნება წყნარი“. გაქრა, ვით ღამის სიზმარი, პოეტის „ყვავილები“ და რწმენა და იგი ხშირად უკიდურესობამდის მიდის იტალიელ მწერალ ლეოპარდივით, სიკვდილს ეძებს, სიკვდილს უყვივს.

ჩქარა სიკვდილო, ოჰ, გევედრები-ო...

ის ბუნებას ეუბნება, რომ

ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე-ო.

იგი ხშირად ძველ დაკარგულ ბედნიერებას იგონებს და უიმედოთ გაიძახის, წასული ბედნიერება არასოდეს არ დაბრუნდებაო...

პოეტს ხან სურს, რომ ტანჯვას გამოიღოს და ხან კი არ უნდა მისი მოშორება და შიგ
ერთგვარ სიამოვნებას პოულობს:

„მე ვეძებ მასში (ტანჯვაში) თავისებურ ბედნიერებას“-ო.

ტაბიძეს თუმცა ლექსები სხვა ტემებზეც აქვს ნაწერი და ხშირათ საიმედო მომავალსაც
გვისურათებს, მაგრამ ის პესიმისტური ხასიათის ლექსებით ხასიათდება. აქ იგი ხატავს თავის
გულის სიღრმეში დაფარულ გრძნობებს და ლტოლვილებებს...

ტაბიძეს ნ. ბარათაშვილის გავლენა ეტყობა („ელეგია“). თუმცა იგი ნ. ბარათაშვილზე
შორს მიდის. სამშობლოსა და სატრფოს განშორებით არ კმაყოფილდება და, როგორც ვსთქვით,
ხორციელათ და სულიერათ დატანჯული პოეტი სიკვდილს ნატრობს, რათა სამუდამოთ
გაეცალოს ამ არარაობას, ორპირ ქვეყანას და იქ დაისვენოს, სადაც სამარადისო სიჩუმე
მეფობს.

ჟურნ. „ცხოვრება და მეცნიერება“, 1914, № 1, III განყოფილება, გვ. 10-11.

მ. ნულუკიძე

გ. ტაბიძის ლექსები

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ქართველ ახალგაზრდა მწერალთა გამოცემათ ერთი ლექს-
სთა კრებულში მიემატა – გ. ტაბიძის ლექსები. 1908 წელს ე. ი. მაშინ, როდესაც საზოგადოებ-
რივი ცხოვრება საშინელ რეაქციას განიცდიდა – გამოვიდა ახალგაზრდა მგოსანი სამწერლო
ასპარეზზე და ამან წაუშლელი დალი დაასვა მის პოეზიის შინაარსს და, ასე გასინჯეთ, დღე-
საც გ. ტაბიძის შემოქმედება სავსებით ამ საშინელ დროის ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფება.
უიმედობა, პესიმისტური გოდება ახასიათებს ჩვენს ახალგაზრდა მწერალს. „შემოდგომის
დღე, დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი ეკვრება ცას“, „ყველა მობეზრდა მას ამ ქვეყნად“, –
უძღურია მგოსანი, მისი მე ცხოვრების ქარიშხალის, უღმობელოების წინაშე. ცალკე ადამიანი,
როგორც მთელი საზოგადოება – ამას განიცდის მგოსანი – სრულ უიმედობაში ცხოვრობენ, –
გამოსავალს ვერსად ხედავს მწერალი – გამომთქმელი მათ გულის ნადების, მათ მისწრაფება-
მიდრეკილების – და ამიტომ გ. ტაბიძე სრულ უვიცობაში იმყოფება იმის შესახებ, თუ რა
ქნას, ვის ან რის შესამკობლად, სასიმღეროდ მომართოს თავისი „მონყენილი“ ქნარი ან საჭი-
როა კი ის ვისმესთვის.

საით მივყევარ ჩემს მონყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს
ვითვლი და ვითვლი ყმანვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულისტკივით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.

– ამბობს ერთ თავის ლექსში ახალგაზრდა მგოსანი. არ იცის უიმედომ „საითკენ“ წავიდეს –
საშინელ „მარტოობას“ განიცდის და ამიტომ ასეთ მდგომარეობაში საკვირველი არ არის, რომ
მგოსანი „განდეგილს“ ადარებს თავის თავს და „სუსტი, მოცახცახე“ ქედს იხრის ცხოვრების,
სინამდვილის უღმობელოების წინაშე:

თვალწინ მეშლება განვლილთა დღეთ მწუხარე რიგი,
და უნაყოფო ჩემსა ბრძოლას მაგონებს იგი,
ჩემს სიყმანვილეს და დაკარგვას რწმენის, სიმტკიცის,
არარაობას სიცოცხლისას თვალწინ გადმიშლის...
რისთვის? ვინ იცის!

ასე გოდებს ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი, გოდებს იმიტომ, რომ ფეხქვეშ ნიადაგს ვერ გრძნობს, – საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი მუზა ვერ ირკვევა, გზას ვერ პოულობს. აქ სავსებით აშკარადება ის გავლენა, რომელიც მოახდინა ახალგაზრდა მწერალზე იმ სულისკვეთებამ, რომელიც გამეფებული იყო ქართველ ინტელიგენციაში სწორედ იმ დროს, როდესაც გ. ტაბიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ხალხს დამორებული, გამოურკვეველი იმედების და მისწრაფებების მექონე, ღონემიხდილი იდგა ქართველი ინტელიგენტი და არ იცოდა, რომელი ღმერთისათვის დაენყო საკმევლის კმევა. ამ გავლენის ქვეშ ძალაუნებურათ აღიზარდა პოეტური აღმაფრენა გ. ტაბიძისა, დაშორდა იმ ნიადაგს – ნამდვილ ხალხის სულისკვეთებას, განცდას, მისწრაფებას, რომელსაც შეეძლო გარკვეული, ფართო გზა მიეცა მისი შემოქმედებისათვის; მაშინ აღარ იქნებოდა არც გოდება, არც უიმედობა და ყოველივე გრძნობას თუ აზრს, მგოსნის მიერ გამოთქმულს, სიხარულისა და ხალხის დალი ესმებოდა. ეხლა კი განმარტოებულად მდგომი მგოსანი, თავის ნამდვილ ნიადაგს მოშორებული საშინელ დრამას განიცდის; მას

ვილაც ეძახის სიცოცხლისაკენ,
სიკვდილის გზაზე თრთოლვით მიმავალს.
ვაგლახ! ვერავის ირგვლივ ვერ ხედავს
და ისევ ცრემლი ახუჭვინებს თვალს...

„ხალხისაგან გაუგებარი“ მგოსანი სავსებით თავის ტანჯულ პიროვნების ცხოვრებას უბრუნდება და აქ ეძებს თავისუფალ აღმაფრენის საშუალებას: – თუ ხალხი, საზოგადოება ვერას მისცემს მგოსანს – თვით მგოსანი დაანახვებს მას, თუ რამოდენად მდიდარი და მძლავრია მისი პირადი ცხოვრება, რამოდენად მშვენიერი და ფაქიზია მისი **მეს** განცდა. – მგოსანი ეძიებს, „მიზეზთა მიზეზის“ გამორკვევას ლამობს, მაგრამ თუ მგოსანმა ვერ მონახა „მიზეზთა მიზეზი“ იქ, სადაც ის ადვილი მოსანახავი იყო, აბა როგორი ხასიათისა იქნება მის[ი] ძიება, – იმ „ნიგნში“, რომელიც „არვის ახსოვს“, – „დღეს ის ნიგნი არვინ იცის და ჟამთ მტვერით იფარება ნიგნი ცის და დედამინის“ და

შავი ნიგნი არ თავდება, შავი ნიგნი შუაზე წყდება...
მას იქით კი კაცის გრძნობა და გონება ვერას სწვდება.

ეძებს მგოსანი და ვერ პოულობს, „სწერს ჟინით, სწერს ვნებით“, – სწერს და „ვერ ათავენს“, რადგან ყოვლად შეუძლებელია დამთავრება დაუმთავრებელის; ეს სტანჯავს მგოსანს, სტანჯავს მის განმარტოებულ განცდას და მის **შავ ნიგნში...** მწარე გესლი, სისხლის წვეთი ჩნდება.

და მომწყინდა ყველაფერი, და მომწყინდა ყოფნის მცნება,
ვსთქვი, სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად – რომ **რა იყოს ხელოვნება...**

აღარაფერს აღარა აქვს „ფასი ქვეყნად“, ყველაფერი ამაოა – ასეთია დასკვნა გ. ტაბიძის ლექსთა კრებულის, – დაუსრულებელია ყოველგან და ყოველთვის შინაარსი ტანჯვისა, რომელსაც მოუცავს სამყარო.

ასეთი დასკვნა, ასეთი მიმართულება ქნარისა არ შეჰფერის ახალგაზრდა მგოსანს – გ. ტაბიძეს, რომელსაც თავისი თავი ხალხის შვილად მიაჩნია; – აბა, ჩაიხედოს მწერალმა ამ ხალხის გულში, – თუ დაინახოს აქ უიმედობა, ჭმუნვა, გოდება; – ძლიერია განცდა მისი – ამ ხალხისა – იმედების მომგვრელი, სიხარულის შემქმნელი. – და მგოსანი ხომ ხალხის შვილია არსებითად. ხალხი ის ძლიერი ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ყოველი კარგი და მშვენიერი, ძლიერი და სრული.

ხან უგუნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ესა ვარ, არც ისა,
შუა კაცი ვარ უბრალო,
ხან მინისა ვარ, ხან ცისა .

– ამბობს აკაკი და ეს ანდერძი ჩვენმა ახალგაზრდა მგოსნებმა არ უნდა დაივიწყონ.

გაზ. „შადრევანი“, 1915, 5 იანვარი, № 3.

ს. აბ–ელი

ყვითელი ფოთოლი

(გ. ტაბიძის პოეზია)

დღეს ჩვენში ბევრს აღონებს პოეტთა განსაცვიფრებელი სიმრავლე. ბევრი ჰფიქრობს, რომ მოლექსეთა ასეთი გამრავლება მომასწავებელია პოეზიის დაქვეითებისა, – „ოდეს ტურფა გაიფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად“. ხელოვნების საიდუმლო ტაძარს, მოკვდავთათვის მიუწვდომელ პარნასზე აგებულს, ჩამოეცალა ვარსკვლავებით მოჭედილი ფარდა და იგი ყველასათვის მისაწვდომი გახდა: ყველას შეუძლიან ქვის განიერ კიბეზე აირბინოს და მშვენიერების საკურთხეველში უდარდელად ააღიღინოს სტვირი.

ასე ჰფიქრობს ბევრი.

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

ქართველ მგოსანთა სიმრავლე უბრალო ილუზიაა და აიხსნება ორი გარემოებით: ქართველი ერის სიმცირით და ჩვენი მხატვრული ლიტერატურის შესაფერ კრიტიკული მწერლობის უქონლობით.

ჩვენი ერი მეტად მცირერიცხოვანია: ჩვენს მწერლებს თითქმის ყველას პირადათ ვიცნობთ. ყველა ისინი თავმოყრილია ჩვენს რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში. ქართველი მკითხველი ყველა ქართულ გამოცემას იცნობს. საკმარისია რომელიმე ავტორმა დაჰბეჭდოს ორი-სამი ლექსი, რომ ის მკითხველმა საზოგადოებამ პოეტთა რიცხვში მოათავსოს. არც ერთი ახალი მწერალი, რა ღირსებისაც უნდა იყოს იგი, არ ეკარგება საზოგადოებას და ყოველი ბედის მაძიებელი ჩვენს მწერლობაში პირველი კალმის ცდისათანავე ცნობილი ხდება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მწერალთა რიცხვი გაიზრდება. მრავალრიცხოვან ერში კი მწერლობას არა აქვს ასეთი ოჯახური, ინტიმური ხასიათი. მაგალითად, რუსეთის დიდსა და მცირე ქალაქებში აუარებელი ჟურნალ-გაზეთები გამოდის და ყოველ მათგანს ყავს მთელი რიგი მწერლები-სა. რუსეთის ზღვა პროვინციას რომ თავი გაანებოთ და სატახტო ქალაქების უკანასკნელი ათი წლის ჟურნალ-გაზეთები გადაათვალიეროთ, თქვენ აღმოაჩენთ მრავალ მოლექსეთ, რომელთაც არავინ არ იცნობს რუსეთის ლიტერატურაში. იქ მხოლოდ ძლიერ თსმენს მთელი ერი და დიდი უმრავლესობა კალმის მოთამაშეთა ისევე შეუმჩნევლად იხოცება, როგორც იბადება. ჩვენში კი შემთხვევით რომ კალამი აიღო ხელში, ძალაუნებურად მთელს ერს უნდა გამოეჭიმო წინ.

ასეთ პირობებში მყოფს ლიტერატურას დიდს დახმარებას გაუწევდა კრიტიკა, რომელიც მკითხველ საზოგადოებას გზას გაუკაფავდა და მისცემდა საშუალებას მრავალრიცხოვან მწერალთა სიიდან ამოეკრიფა რამდენიმე პირი და დანარჩენი წაეშალა. მაგრამ ჩვენში კრიტიკული მწერლობა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს და ჯერ ამ დარგში თვალსაჩინო არაფერი გაკეთებულა. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ მიუხედავად ჩვენი მხატვრული ლიტერატურის საკმაო სიმდიდრისა, ჩვენში არ არის განვითარებული ესთეტიური გემოვნება და ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი არ გაურბის მდაბალ ღირსების მწერლობასაც და რა გასაკვირია, რომ ჩვენში პოეტებს ასობით სთვლიდენ.

პოეტი! ვინ არ არის დღეს პოეტი! ყველას, ვისაც შეუძლია სტრიქონებში ხმოვანი ასოები დასთვალოს და „ლევანს“ „მტევანი“ მოუნახოს – პოეტად მოაქვს თავი. და ვინ არის გამრჩევი? ჩვენი გაზეთები უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხთა სფეროში ტრი-ალეზენ და პოეზიას დიდს ყურადღებას არ აქცევენ. პოლიტიკური გაზეთების საქმე არც არის პოეზიის ხელმძღვანელობა და ამას ისინი ვერც იკისრებენ. ჩვენში არ არსებობს სპეციალური სალიტერატურო-სამხატვრო ორგანოები, რომელთა გარშემო შეეძლო თავი მოეყარა ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის მესვეურთ და გზა გაეკვლია სამშობლო ხელოვნებისათვის. და სანამ მდგომარეობა არ შეიცვლება, ჩვენში სიტყვა „პოეტი“ დარჩება საგინებელ სიტყვად, როგორც ეს დღეს არის.

ნამდვილ პოეტთა რიცხვი კი, მიუხედავად მოლექსეთა საშინელ გამრავლებისა, ძლიერ ცოტაა, თითქმის თითებზე ჩამოსათვლელი.

„მრავალ არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“...

და ამ რჩეულთა შორის პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენმა ახალგაზრდა მგოსანმა გ. ტაბიძემ. მე არა ვარ კრიტიკოსი და არც მაქვს აზრად ამ მგოსნის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა. მე მინდა მხოლოდ მკითხველებს გავუზიარო ჩემი პირადი შთაბეჭდილება, თუ როგორ ნაწიკითხე მე გ. ტაბიძის ლექსთა კრებული.

რა არის პოეზია, როგორ უნდა გააჩიოს კაცმა კარგი და ცუდი ლექსი?

ამ კითხვაზე რუსის გამოჩენილ კრიტიკოსს ბელინსკის აქვს შესანიშნავი პასუხი: „ნამდვილს პოეზიასა და უნიჭოდ შეთხზულ ნაწარმოებთა შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც არსებობს ცოცხალ ადამიანსა და მკვდარს შორის“. და მართლაც, რა ანსხვავებს მკვდარს ცოცხალისაგან? ერთი შეხედვით, გარეგნულად, მკვდარი ადამიანის სახე ისეთივეა, როგორც ცოცხალის: ყველაფერი თავის რიგზეა, ცხვირი, თვალები, შუბლი, ტუჩები და სხვა. მაგრამ ერთი თვალის გადავლება საჭირო, რომ გიჟიც კი მიხვდეს იმ საშინელ განსხვავებას, რომელიც ღრმა უფსკრულსა სთხრის ცოცხალსა და მკვდარს შორის. აი სწორედ ის, რაც ახასიათებს სიცოცხლეს და რისი გამოთქმაც შეუძლებელია, შეადგენს პოეზიის თვისებას. პოეზია ის არაჩვეულებრივი, უცნაური ცეცხლია, რომელიც მომჯადოებელ შუქად არის ანთებული ცოცხალ ადამიანის თვალებში. წყარო ამ შუქისა, ამ ციურის ცეცხლისა არის სული, რომლის საიდუმლოებასაც მგოსანი ფარდასა ჰხდის თავის შემოქმედებაში. ათასნაირი სხივით ათამაშებული გრძნობათა ზღვა, როცა მას დაჰბერავს ქარი შთაგონებისა, გადმოისვრის სულის იდუმალ წიაღით რამდენიმე შუქმფენ ტალღას, რომლის შხეფებიდა თუ მიაღწევნ ხილულ ნაპირს, – სულის შინაგან ლეღვას არა აქვს გამოსავალი და მის ცხადსაყოფლად საჭიროა სასწაულებრივი ძალა შემოქმედებისა. ლექსის გარეგანი ფორმა მხოლოდ საშუალებაა გრძნობათა სფეროში დატყვევებულ შუქის გადმოსაცემად. თუ ლექსში არ არის დაფარული სუნთქვა ცოცხლის არსებისა, თუ მისი სტრიქონები არ არის აკინძული უხილავ ცეცხლის სხივით, რაც უნდა ლამაზი იყოს მისი ხილული გამოხატულება – იგი მკვდარია. ლექსი ჰგავს სარკეს. როგორც სარკე უარყოფს თავის თავს და გამოსახავს იმას, რაც თითონ არ არის, არამედ მასში შეუქმნია სხივთა უცნაურ ძალას, ისე ლექსი, თავისი ხილულ სტრიქონებით ღაღადებს სადღაც, ამ სტრიქონთა შორის მიმალულს სულის საიდუმლოებაზე და უმთავრესი ლექსში სწორედ ეს მიმალული შუქია. თუ ეს ლექსს აღარ ახლავს – ის არ არის პოეტური ნაწარმოები. მაგრამ ამ შუქის დანახვა არ შეიძლება, ის უნდა იგრძნოს ადამიანმა. ამიტომ არის ძნელი და უნაყოფო კამათი იმაზე, თუ რა არის მშვენიერება. თუ ადამიანმა ვერ იგრძნო ცხოველმყოფელი ძალა პოეზიისა, მშვენიერებისა, მისთვის მიუწვდომელია აღტაცება ეს-თეტიურის ტკბობისა. როგორც სიყვარული, მშვენიერების გრძნობაც თავისუფლად და ძალდაუტანებლად იღვიძებს ადამიანის გულში.

გ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით. მისი სულის სევდა, მისი ნაღველი იმდენად წარმტაცი, იმდენად მრავალფეროვანია, რომ გავიწყდება ამ სევდაში ჩაქსოვილი არარაობა სოფლისა და მშვენიერების გრძნობით აღტაცებული მზა-და ხარ მუხლმოდრეკით თავყანი სცე პოეზიის აღმაფრენ ძალას და თავდავიწყებით შესძახო: „რა კარგია, რა მშვენიერია სიცოცხლე!“ მისი სევდა არ არის გამონვეული რაიმე შემთხვევითი

მიზეზით, ის უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა. ამიტომ არის, რომ ეს სევდა არ აჩლუნგებს სიცოცხლის გრძნობას, პირიქით უფრო აღრმავებს და აკეთილშობილებს მას.

პოეტის გრძნობა გამსჭვალულია შემოდგომის ნაზი სიმფონიით. „ყვითელი ფოთოლი“, აი ემბლემა მისი ლირიკისა. შესანიშნავის ხელოვნებით აქვს მგოსანს გადმოცემული გრძნობა სიცოცხლის წარმავლობისა. იგი ისე მძლავრად გრძნობს „ყვითელი ფოთლის“ ნაღველს, რომ იკარგება განსხვავება ბუნებასა და ადამიანს შორის და მომხიბლველი კაეშანი ოქროდ მოსილის შემოდგომისა საკუთარ სევდის ჰანგად ქვითინებს მგოსნის გულში. რაოდენი გრძნობაა აღბეჭდილი შემოდგომის „ყვითელ ფოთოლზე“? გაზაფხულის მატყვევებელი შრიალი, ზაფხულის სხივთა სიუხვე და სილაღე სრულყოფისა; ალერსი სიცხისგან მინაზებულ სიოსი და აღტკინება ფრთა-გაშლილი ქარისა... და ყველაფერი ეს გაჰქრა, ნავიდა... ცივი შემოდგომა აქრობს სიცოცხლეს და ძალამიღეული „ყვითელი ფოთლები“ წყნარად სცვივა ხიდან, სცვივა და მათს სევდიან ჩურჩულში მეტყველებს კაეშნიანი ჰანგი სოფლის ცვალებადობისა, სიცოცხლის წარმავლობისა... და მგოსანი დასტირის მათ:

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა,
და როცა დილით გამომეღვიძა,
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს
მიმოეფარათ ყამირი მიწა.
ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე
დაცვენილიყო ფოთოლი რბილი,
და დიდხანს, დიდხანს ვხეტილობდი
წარსულ სიზმრებში გადაფრენილი...

მგოსანი გრძნობს სულიერ ნათესაობას მჭკნარ ფოთოლთან:

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჭკნება ფოთოლი;
ყმანვილი გულიც უნუგემო
ფიქრებში დნება.
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული —
და სიყმანვილე კი არასდროს
არ დაბრუნდება!..

და გულის ტკივილით ჰგოდებს:

ოჰ, მტკივა გული! ყვითელ ფოთლებით
კვალ-ბილიკები მიმოიფარა,
ფოთლები სცვივა ჩემს გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა!..

და მგოსანი თავის გულის ტკივილს ჰშლის საუცხოვო ჰანგებში. ყოველი მისი სიტყვა სისხლის წვეთია, მაგრამ მისს გრძნობაში იმდენი ცეცხლია, რომ მას ვერ აკმაყოფილებს სიტყვა:

არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება,
სიმართლის ალი, როგორც ბურუსი
ისე ირღვევა და იფანტება...
და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს
გამოუთქმელი და მწვავე ალი,
სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს
გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?...

და ზემთაგონების ცეცხლით იწვის გრძნობა მგოსნისა. ამიტომ არის, რომ მისს შავ ნიგ-
ნში აღარ არის „რამ ისეთი, / რომ არ აჩნდეს მწარე გესლი, / რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი“...

და სწორედ ეს „სისხლის წვეთია“, რომ ახდენს სასწაულს და მის ლექსებს ჰმოსავს
მშვენიერების შუქით. აბა, ნაიკითხეთ ლექსი „კორდზე“, თუ გსურთ, რომ „მისმა სიმღერამ
დაგწყვიტოთ გული“, ნაიკითხეთ „უდაბნო“ და თქვენ იგრძნობთ, თუ რა არის „მარტოობა
სულისა“, ნაიკითხეთ შესანიშნავის ძლიერებით დაწერილი ლექსი „ორი ზარი“, სადაც
სიცოცხლე და სიკვდილი ერთი მეორეს ეძახის და მოუწოდებს და თქვენ მოისმენთ
არაჩვეულებრივ ზარის ხმას ქვესკნელიდან, – „კუბოს ფიცარზე ძვლების რახუნს“, რო-
მელიც ეძახის მათ, ვინც აქ დარჩა, რომელთაც სწამთ „ყოფნის ზღაპარი“. და რამდენი
ჩამოვთვალო! ლექსები: „მესაფლავე“, „გურიის მთები“, „მე და ღამე“, „მუსიკა“, „მთვარე
მთის ხრიოკს ამოეფარა“, „რა მშვენიერი იყო ნამი“, „სარკმელთან“, „სარკესთან“, „დუმილი“,
„გზაზე“, – ისეთის ხელოვნებით არის დაწერილი, რომ ჩვენი ახალი პოეზიის მარგალიტებად
უნდა ჩაითვალოს. არ შემოიძლია არ მოვიყვანო რამდენიმე ლექსი მთელად.

მოგონება

ტყის ფართო გზაზე მახსოვს ეტლი მიგვაქროლებდა,
შენს სუნთქვას ვგრძნობდი ბედნიერი შენსა მახლობლად.
მე გაიმბობღი ჩემს მრავალგვარ თავგადასავალს,
სიყმაწვილეზე გაიმბობღი შთენილი ობლად.
სალამო იყო... მზე დასავლით ესვენებოდა,
ტყეს ედებოდა გამჭირვალე და ლურჯი ბინდი.
ამ დროს ვიგრძენ, რომ შენ სრულიად ყურს არ მიგდებდი,
ეტლის სიღრმეში გადავემხვე და ავეკითინდი.
წამოვიწიე და მათრახი გადავკარ ცხენებს,
ელვის სისწრაფით გზას გაეკრა ბუქ-ბუქად მტვერი.
როგორ უგონოდ მივაფრენდი გზაზე ჩემს სევდას,
როგორ უგონოდ ტრიალებდა გარს ყველაფერი.
ტყე გზას გვიცლიდა და ბინდ-ბუნდში თვალს ვერ ვასწრებდით,
ხეების გუნდი იქ, ეტლს უკან, როგორ რჩებოდა,
ისე მწყუროდა ამ დროს ლტოლვა განუსაზღვრელი,
ისე მომნატრდა, რომ გზას ბოლო არ ჰქონებოდა.
და ერთადერთი ცის ღრუბელი ვრცელ უდაბნოში
მოხეტიალე, უთვისტომო, მიუსაფარი,
თან მიგვეყვებოდა განუყრელად. განუმორებლად,
მსუბუქი, როგორც განვლილ დღეთა შორი სიზმარი.
მეჩვენებოდა – თითქო ტყეში ვიღაც კვნესოდა,
და მე ეგ კვნესა უსასოო გულში მწვდებოდა,
ცრემლი მდიოდა, რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა...

ეს ლექსი კი არ არის, ეს მთელი პოემაა, ექვს ტაეპში მოთავსებული. იშვიათია ასე მოკ-
ლედ, ასე შემკულად ზღვა გრძნობის გადმოშლა. რა დიდი მანძილია ლექსის დასაწყისსა და
ბოლოს შუა?

შენს სუნთქვას ვგრძნობდი, ბედნიერი შენსა მახლობლად...

აქ მხოლოდ ფრთებსა ჰშლის სიცოცხლის გაზაფხული, აქ სიყვარულის მეჯლისია.

ცრემლი მდიოდა, რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა...

აქ კი დამსხვრეული სიყვარულისაგან მხოლოდ მწუხარე მოგონებალა დარჩა. და მთელი ეს გზა ბედშავის სიყვარულისა, სიცოცხლის დასრულებული რგოლის ყველა წერტილი, მთელი გამმა სათუთ გრძნობათა ამონურულია ოც სტრიქონში.

აი, მეორე ლექსი, რომლის ყოველი სტრიქონი უსაზღვრო სევდის ცრემლით არის ამოქარგული.

სასაფლაოზე

ნიავი დაჰქრის... სასაფლაოზე
ლამე ეშვება წყნარად, ბინდდება.
შემოვა ქალი, დაჯდება ქვაზე,
და მწარედ, მწარედ აქვითინდება.
ქვითინი თვითონ კუბოს ჩასწვდება,
ცრემლები კიდევ – ყვავილთა ძირებს...
გამოიგლოვებს პირველ სიყვარულს
და სიცოცხლესაც გამოიტირებს.
ვინ მისცემს ნუგეშს ობლადა შთენილს?
თვითონაც იცის – რისთვისაც კვდება:
არ განახლება წარსული ჟამი,
ბედნიერება არ დაბრუნდება!

აქ შესანიშნავია არა გარეგანი ფორმა ლექსისა, არა მისი ხილული სახე, არამედ ის ციური შუქი, რომელიც ამოჰყვამს გრძნობათა აფერადებულ ტალღას და ააკაშკაშამს ყოველი სიტყვა ლექსისა.

საზოგადოდ გ. ტაბიძის ლექსთა წყობა სადაა და უბრალოც, რაც უფრო მეტის სინათლით ჰმოსავს გულწრფელ გრძნობათა სათუთ სიმებს:

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი, განთიადის შუქით ძლეულს,
მონყენია სანყალს ცაზე, უიმედოს, ფერმილეულს.
არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს, ცას რომ ფარავს ფრთატივტივა,
ატკივდება ხოლმე გული და ცრემლები სცვივა, სცვივა...

მშვენიერია გ. ტაბიძის პოეზია, ვით ფრთამოქარგული პეპელა და ნაზი, როგორც ძილში მონასმენი სტვენა ბულბულისა; იგი ისე მოევილინა ჩვენს მწერლობას, „როგორც სიმღერა მოულოდნელი“.

ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში,
გრგვინვა-ქუხილში, კენესა-წუხილში,
ფრთხილად მოისმის ბულბულის სტვენა,
ნაზად, ნარნარად, ისე ვით ძილში.
ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,
როცა ქვითინებს და კენესის ყველა,
როგორც ჩვენება გასაკვირველი,
ფრთხილად აყვება თეთრი პეპელა...
ასე, ნუგეშო, ჩემს მშფოთარ ყოფნას
შენ მოუვლინე სხივი პირველი,
როგორც სიმღერა მოულოდნელი,
როგორც პეპელა გასაკვირველი...

ვუსურვებ მგოსანს არ ჩამქრალიყოს მასში ის ღვთიური ცეცხლი, რომლითაც ასე წარმტაცად არის დაფერილი მისი აცრემლებული სტრიქონები.

გაზ. „შადრევანი“, 1915, 19 იანვარი, №5.

ღამის გმოსანი
(გალაქტიონ ტაბიძის ლექსები)

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს
სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის
თეთრმა ღამემ.
იცის – როგორ დავრჩი ობლად, როგორ
ვევნე და ვენამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე,
მე და ღამე!

გ. ტაბიძე

ფსიხოლოგიური მონობა ისე არაფერს არ ავნიებს, როგორადაც ხელოვნებას. ხელოვნება თავისუფლების და ინდივიდუალურ სიძლიერის თვისებებს თავისივე მე-ში ფარულად ყველგან ატარებს. თავისუფალი ხელოვნება, – აი რა ესაჭიროება უპირველეს ყოვლისა ქართველი ერის შემოქმედებას. ეს პრინციპი კი, ისეთი სიძლიერით არავის არ უგრძნია და დაუცავს თანამედროვე მგოსნებში, როგორც გრიშაშვილსა და გ. ტაბიძეს. თუმცა პირველი ხანდისხან „იღუნება წნორის ხესავით“, მაგრამ იგი მაინც ბოლომდის, სიცოცხლით სავსე შეყვარებულ ჭაბუკად რჩება, რომლის ფართე გული შიგ იტევს ხავერდოვან საქართველოს მშვენიერ ქალწულთა სილამაზეს. მეორე კი განმარტოვებით მდგომარე, მსოფლიო საკითხებს თავს დასტრიალებს, მოშორებია ამ ვიწრო ცხოვრებას ემპირიულს და ღამის ჩადრში გახვეული, ვარსკვლავებით მოჭედნილ ცაზე კითხულობს „სისხლის წვეთით დანერილ შავ ნიგნს“ მსოფლიო გაუგებრობაზე.

მაგრამ მსოფლიო ისეთი გულჩათხრობილი და გამოუცნობი სფინქსია, რომ მრავალ მგოსანს აუხმაურებია ჩანგის სიმები და დაუღვრია მწველი ცრემლები მის ნინაშე; მაგრამ ცივი, გამოუცნობი სფინქსი სდგას, ბურუსით მოცული და მწველი ცრემლები მგოსნისა მყისვე აშრებია მის ცივ საიდუმლოებას. ჭაბუკი მგოსნის ლალ ოცნებას ფრთა ეჭრება, აღფრთოვანება მისი დუნდება, იმედი ცივ მინაზე ერთხმება და მღელვარე სული იმედადღაფრ-ფლილ მგოსნისა სიკვდილს უხმობს, რომ სამარადისოდ მიეფაროს „ლურჯი ბურუსით“ მოცულ სამყაროს:

ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები...
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავბნელი ფრთები.

მაგრამ ასეთი სასონარკვეთილება მწუხარე მგოსნისა არ არის გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიმღერა გედისა, არამედ მის სისხლით დანერილ ლექსებში იდუმალად კიდევ გაისმის მელოდიური ლოცვა მწირისა სიცოცხლისმომცემ ზევსისადმი. მგოსნის იმედადკარგული ლოდინი სიკვდილისა ნაყოფია მშრალი გონების და არა გრძნობის მიერ ნაკარნახევი. ამ იდუმალ ინსტიქტს მგოსანი ააშკარავებს უფრო ღიად გაზაფხულზე.

გაზაფხული, რომელიც ყველაზე უფრო აგრძნობინებს მგოსანს, და სიცოცხლის სიმშვენიერეს, სიმბოლოა დაუდგრომელი მოძრაობის; ამ დროს ყველაფერი აჩქარებულის ტემპით მოძრაობს: ფრინველნი თვის აღფრთოვანებას გამუდმებულ სიმღერა-ჭიკჭიკში ააშკარავებენ, მცენარე იშორებს ცივ მინას საბურავად და გულღიად შესთამაშებს მზის სხივებს, სიცოცხლის მომცემს. მთელ ამ საერთო მოძრაობაში შეხმატკბილებული ჰიმნია ჩაქსოვილი სიცოცხლის სიმშვენიერისადმი და მჭმუნვარე მგოსანს „სიკვდილის გზაზე თრთოლვით მიმავალს, ვილაც ეძახის სიცოცხლისაკენ“. ამ იდუმალ ხმაში, რომელიც ჩაქსოვილია მგოსნის ფარულ ფსიხიკაში,

იმალეა აზრი სიცოცხლისა, რომელიც მხოლოდ ირრაციონალურ სამოსელში თუ მჟღავნდება. და მგოსანმაც იგრძნო იგი ფარული ძალა, რომელიც უკიდურეს სასონარკვეთილების დროს უხატავს სიცოცხლის გრძნეულ სიმშვენიერეს. ამ დროს იგი მძლედ განიცდის სინამდვილის აზრს, „ყოფნის მგომბელი“ კვლავ ურიგდება სასტიკ ცხოვრებას და მისი სიცოცხლის საიდუმლოებით დატვირთული ჩანგი სოციალურ სიდუხჭირის ხმებს გამოსცემს:

სიმღერავ, უხმე დალილ-დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნანართობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგომბელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

მგოსნის მელოდიურ ლილინში წითელი ზოლივით გასდევს სურვილი ადამიანის ტრაგედიის გამოცნობისა: ჰქრება ადამიანი სიკვდილის შემდეგ თუ კიდევ რჩება რაიმე, რომელიც მის ამქვეყნიურ ცხოვრებას რაიმე იმედით ავსებდეს? ამ საკითხის გამორკვევაში მგოსნის მოაზროვნე სახე ორად გამოიყურება; რაციონალისტი და მისტიკოსი ერთმანეთს ეჭვის თვალთ უცქერიან. რაციონალურ საზომით სიცოცხლის ბოლოს გაგება ყოველთვის უიმედო ამონაკვნესით თავდება: მას საქმე აქვს მხოლოდ ჩვენს ფსიხოლოგიურ მე-სთან, რომელსაც სიკვდილის მხნე ძალა უვნებო მატერიალად აქცევს და მთლიან ბიოლოგიურ ერთეულს ხრწნის და ანანილებს. პიროვნების ფიზიოლოგიური ჭურჭელი გაიხრწნა და მასთანვე მიეფარა მისი სიცოცხლე და არსებობაც, ადამიანის ტრაგედია დამთავრდა სიკვდილის გამარჯვებით და რაციონალისტ პიროვნებასაც შავი ფარდა ჩამოეფარა, რომლის იქით ხილვა მას არ ძალუძს.

სულ სხვაა გრძნეული თვალი მისტიკოსისა. იგი ადამიანის „ნამტვრევ ჭურჭელს“ იქითაც ეძიებს ბედს პიროვნებისას და გრძნობს მას მხოლოდ თვით სუბიექტი და მტკიცებაც მისი მხოლოდ განჭვრეტიტ კმაყოფილდება და მეცნიერულ ობიექტურ ღირებულებას ვერ იღებს. მეცნიერება ერთობ ეჭვიანი და სკეპტიკური იერის მატარებელია; ყოველისფერი მისთვის ფუჭია, რაიც ლოგიკურ კანონების შამფურზე არ არის აცმული, მაგრამ სავალალო ის არის, რომ მეცნიერება რამდენათაც ეჭვიანი და უნდობია, იმდენად იგი – ვიწრო და უმწეოა, – ადამიანის ფსიხიკა კი ღრმა და ფართეა, მას კმაყოფილება სწყურია, იგი იჭვით დატვირთული ვერ იცხოვრებს და ხშირად რაციონალისტი პიროვნება მისტიურ სამოსელში ეხვევა და სჭვრეტს საიდუმლო სამყაროს მსოფლიოსას.

ვიმეორებ: მგოსნის სულში ჯერ კიდევ ბრძოლა სწარმოებს რაციონალისტს და მისტიკოსს შორის, თუმც გამარჯვებას თანდათან პირველი ირჩენს.

ეს ღრმა პრობლემა გამოსჭვივის პატარა ლირიულ პიესაში „ორი პეპელა“. ეს პიესა მით უფრო ლამაზ და ღრმა სევდით სავსე სახეს ღებულობს, რომ აქ სიცოცხლის ტრაგიულ სცენაზე გამოყვანილია პეპლები, რომელთა სიცოცხლე რამოდენიმე დღით თუ განიზომება; და რამდენადაც ხანმოკლეა სიცოცხლე ამქვეყნიური, იმდენად უფრო მეტია სურვილი სიკვდილის გამოცნობისა. პეპლების ბაასი მით თავდება, რომ ერთი მათგანი ჰკვდება იმ იმედით, რომ მის გაქრობის შემდეგ

...ის ღელვა, ან უჩინარი,
მუდამ იცოცხლებს და არ მოკვდება,
რადგან არ არის ხელის შემშლელი
მისთვის საზღვარი და დაბრკოლება.

დაიმსხვრა სუსტი ჭურჭელი პეპელასი და მისი მტვერი, ყვავილებზე დაპკურებული, ფრთხილად აპკირფა ფუტკარმა და იგი მტვერიც მას ზღაპარს უამბობს „კვალგადაშლელ საუკუნისას“. ამ ლირიულ პიესაში მგოსნის მოაზროვნე პიროვნებას ფარდა აქვს ჩამოფარე-

ბული, მაგრამ დაკვირვებული თვალი ოდნავ ამჩნევს მის სახეს და იგი სახეც ორ უკანასკნელ სტრიქონში გამოსჭვივის!

ეჰ, მაგრამ სხვაა მაინც სიცოცხლე,
ვნებებს ხომ მარხავს მისი გაქრობა.

ეტყობა, რომ მგოსნის რაციონალისტი სახე იმარჯვებს; მას არ აკმაყოფილებს მარტო მტვერი, რომელიც ფუტკარმა აჰკრიფა და გადასცა შთამომავლობას, მაინც ფიზიოლოგიური მე აინტერესებს პიროვნებას. მტვერი იგი, თუმცა ზღაპარს უამბობს „კვალგადაუშლელ სა-უკუნისას“, მაგრამ იგი უვნებოა და უსხეულო, იგი ერთ მთლიან ჭურჭელს არ წარმოადგენს ხორციტა და ვნებებით სავსეს. მგოსნის ტრაგიული განცდა კი მით უფრო და უფრო მწვავედ-ბა, ცხოვრებას ეკარგება ყოველივე აზრი და „სიცალიერის შავი ნისლი იპყრობს“ სევდიან მის სახეს:

ოჰ, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაცალო.

მაგრამ მგოსნის ამოძახილი უხმოდ რჩება და უცნობი „ბინდის სტუმარი“ კვლავ უხატავს „სიცვივს სასაფლაოსას“.

მგოსნის გესლიანი სიმღერა ოდნავაც არ ატარებს მარადიულობის ძიების ბეჭედს, პირიქით, მას ეს ცხოვრება, როგორც დაუდგრომელი ცვალებადობა და გარდაქმნა, ისე აქვს წარმოდგენილი, ერთფეროვნება და მუდმივობა მგოსნის ისედაც მწუხარე გულს მოწყენილობით ავსებს:

მაგრამ, ეჰ, სულო, ერთფეროვან ბრწყინვალეებაში
თუნდაც ედემში რა იქნება შენთვის ახალი!..

მგოსანს უფრო წუთიერი იტაცებს – „მოელვარე ცის კიდურში გამიტაცებს ხოლმე წუთი“. და იგი წუთიერი გატაცებაც მგოსანს მეტ შვებას ანიჭებს, ვინემ მარადიულობა. სიუღლი პრიუდომის სევდით სავსე ლექსი, ეჭვს გარეშეა, მგოსანს უფრო მეტ დაღრეჯილებას აგრძნობინებდა:

ამ სოფლად ხმება იასამანი და ფრინველთა გალობაც ხანმოკლეა
ამ სოფლად, ტუჩი ტუჩს ოდნავ ენაფება...
ამ წუთისოფელში ყველანი დასტირიან – ზოგი მეგობრებს, ზოგი საყვარლებს...
იგი კი ოცნებობს იმგვარ კოცნაზე, რომელიც სამარადისოა...
იმგვარ ზაფხულზე, რომელიც სამუდამოა...
იმგვარ კავშირზე, რომელიც მარადიულია...
მარადიული კოცნა... მარადიული სიყვარული... მარადიული კავშირი...

ტაბიძის ტრაგედიას ჩვენი ცხოვრების წუთიერობა კი არ შეადგენს, არამედ მისი გამოუცნობლობა, მისი ბურუსით მოცულობა. სიკვდილი მით უფრო საზიზღარია, რომ იგი შავი გამოუცნობი მანტიით არის მოცული: არ იცი კაცმა, სად მიდიხარ, არ იცი, სამუდამოდ კვდები, თუ კიდევ რჩება რაიმე შენი პიროვნების და მკვდართ უკანასკნელ მოთქმასა და ცოცხლების ძახილს შუა აღმართულია:

ჩაბნელებული უფსკრული შავი...
სამარადჟამოდ დაუნახავი.

და მართლაც, ადამიანი, მოკლებული ყოველივე მარადიულობას, ვერ ურიგდება სიკვდილს კი არა, არამედ კიდევ უფრო უკვდავებას, საუკუნო ცხოვრებას. მას ეშინის სიკვდილის შემდეგ უცნობის მხარის: ვაი თუ კვლავ ესტუმროს მოჩვენებანი და დღიური სიცხადის სიზმრები დაუხატოს, ასეთივე შიშს აგრძნობინებდა სიკვდილის ცივი საიდუმლოება ჰამლეტს:

და მხოლოდ შიში სიკვდილის შემდეგ,
მხარე უცნობი... სიდგანაც მგზავრი
დაბრუნებული ჩვენ არ გვინახავს,
აშინებს ნებას.

ვინ იცის, იქნებ ცხოვრება მით არის მიმზიდველი, რომ იგი სავსეა წუთიერი კონტრასტებით? შუადღის მცხუნვარე მზეს საღამოს სევდით სავსე ბინდი სცვლის, დილის ცვრით დანამული ვარდის კუკური საღამოს მშრალ ფერფლად იქცევა; აღქაფებულ მდინარეს მდოვრე და უმოძრაო ზღვა სვამს; სიყვარულის პირველ ამბორს მშრალი ანგარიში სცვლის; გულუბრყვილო ბავშობას, – სკეპტიკი და უნდობი სივაჟკაცე; სიცოცხლეს ღელვით სავსეს – მოდუნებული სიკვდილი. დიად, ცხოვრება სავსეა ქალური წინააღმდეგობით და იგი მხოლოდ გარდაქმნაა, მოძრაობაა და მასშია მისი სიმშვენიერე და სიმახინჯეც.

ცხოვრებით განანამებ მგოსანს, რომლისთვისაც უცხოა მთელი სამყარო, სანუგეშებლად მხოლოდ ორი რამ დარჩენია: ესაა მგოსნის „სისხლის წვეთებით დანერილი სიმღერა“ და მყუდრო ბურუსით მოცული ღამე. ღამე მგოსნის სტიქიას შეადგენს, მისი მწუხარე და ეული სული ძლიერ ნათესაობასა გრძნობს ღამესთან; ღამეში პიროვნება ყოველთვის უშუამავლოდ უერთდება მთელ სამყაროს, ყოველდღიური ცხოვრება სიმშვიდეს მისცემია... პიროვნება თავის მე-ს დამოუკიდებლად გრძნობს, იგი განშორებია თითქოს ამ მსოფლიოს და ვარსკვლავებით მოჭედულ ცის საიდუმლოებაში აწნავს თავის ოცნებას; ღამე მით უფრო იტაცებს მგოსანს, რომ იგი მასავით მშვიდი და წყნარია, გულწრფელი და გულღია, თუმც ღრმა და საიდუმლო, მგოსანი გამოდის გარედ; მის პიროვნებას აღარ ხუთავს ეს წარმავალი ემპირიულობა და იგიც თავისუფლად შლის თავის სევდიან ფანტაზიას და „მტრედისფერ ლურჯ“ ცაზე კითხულობს „საიდუმლო შუქით შესუდრულ ზღაპარს“ მსოფლიოსას. და იგიც მხოლოდ ღამეს უმყლავნებს „გულის ბნელ სიღრმეში“ მოთავსებულ ფიქრებს:

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

მგოსნის ასეთი დამეგობრება ღამესთან, ძლიერ არის ჩაქსოვილი მის ფსიხიკაში. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება გულშემზარავ მონობის და უგულწრფელობის დაღს ატარებს, იგი ყოველთვის ნიღაბის ქვეშ გამოიყურება და თავის ნამდვილ შინაგან სახეს არ გიჩვენებს. ცხოვრებამ ადამიანს ჩამოაცალა გულუბრყვილობის იერი და დღეს იგი მხოლოდ დახელოვნებულ არტისტს მოგაგონებს, რომელიც გველურის მაცდურობით თამაშობს ცხოვრების სცენაზე, და რომლის გარეგანი ქცევა მაღავს მის შინაგან ნამდვილ მე-ს. და გულწრფელი და თავისუფლების მოტრფიალე მგოსანიც, რომელიც ცხოვრების ჭუჭყსა და ბინიერებას დასტირის, ისევ გულღია და მშვიდ ღამეს უხმობს. იგი მისთვის უფრო ახლოა და გასაგები, ვინემ ნიღაბჩამოფარებული ადამიანი:

შენ იცი მხოლოდ, თუ რასაც ვგრძნობდი
მარტობაში შუალამისას,
რომ ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას.

მეორე ნუგეში მგოსნისა ეს მისივე „სისხლის წვეთებით დანერილი სიმღერა“.

საზოგადოთ, მგოსანი, უპირველეს ყოვლისა, თავის თავისთვის ჰქმნის, თვის შემოქმედებას შემდეგ იგი ისე უცქერის, როგორც რაიმე ობიექტიურს, რომლის ხილვა მასშივე სიამოვნებას აღძრავს და ეჭვს გარეშეა, მგოსნის, რომელიც ცხოვრების მიერ გარიყულია, ვით უდაბნოს მწირი, რომლის გულს სერავს ტრაგიული ბოლო ადამიანისა, ერთ მანუგეშებლად და სიცოცხლის აზრის განსამტკიცებლად მისივე ცრემლით სავსე ლექსი იქნება. მგოსანი ცხოვრების მიზანს მხოლოდ ხელოვნებაში ხედავს, მას სძაგს ეს ემპირიული და ტლანქი სინამდვილე და სცოცხლობს მხოლოდ თვის მიერ შექმნილ ცხოვრებით, რომელიც უფრო ნაზი და მგრძობიარეა, ვიდრე ის, რაზედაც მას ფეხი უდგია. და ეს ასეც არის, ყოველივე ხელოვნება ცხოვრების ასლი კი არ არის, არამედ ახალი, ცხოვრებაზე უფრო მეტი, ხელოვნის გრძნეულ ქურაში გამომწვარი და „ყოფნის მცნებით“ მოზებრებულ მგოსანს უხმობს ფარული ძალა ხელოვნებისა და მისი გესლით სავსე ქნარიც, მწუხარე სიმღერას გამოსცემს. სიმღერა იგი თან ნაჰყვება მგოსანს, უდაბურ ატევერებულ ტყეში და გადახრუკულ უდაბნოშიაც, ცხოვრების დღიურ ჟრიაშულში და ღამის საიდუმლო მყუდროებაშიაც:

დღეს ტყეა ჩემი თავშესაფარი;
ხვალ – უდაბნოელ დარაჯის კერა,
ზეგ – გაშლილ ცისქვეშ გავათევ ღამეს
და მუდამ მიძმობს ჩემი სიმღერა.

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“, – სთქვა დიდებულმა ილიამ. ტაბიძის სევდისთვის კი ეს ბრძნული ნარკვევი ძლიერ საგულისხმოა, რადგან მოძრაობა მატებს ჯანს, არა მარტო ჩვენს სხეულს ხორციელს, არამედ იგი სულსაც ამაღლებს, აფაქიზებს, ფართედ შლის, სიმკვეთრეს მატებს. სიცოცხლის საიდუმლოების გასაგებად ცხოვრება არის საჭირო, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მოძრაობაში ცნაურდება, და როდესაც მგოსანი ამოძრავდება, მას თვალწინ გადაეშლება სარკესავით ცხოვრების საიდუმლო ჯურღმულები, მისი სევდა და სიხარული, სიმშვენიერე და სიმახინჯე, მისი წარმავალობა და ჩვენი უიმედო მისწრაფება მარადიულის და წარუვალისადმი. მარტო ცხოვრების ჭვრეტა საკმარის არ არის, განჭვრეტით ჩვენ მხოლოდ სახეს ვხედავთ, უვნებოს და უმოძრაოს, ვით ცივ მარმარილოს ქანდაკებას, მაგრამ ღამაში ქალის მარტო განჭვრეტით ხილული სახე ვერ მოგხიბლავს, თუ მისი ვნებით სავსე სხეულის, ნაკვთების რხევაც არ განიცადე, მისი სისხლის დუდილი, თვალთა ელვარება და თეთრ სხეულზე თხელი სამოსის შრიალი.

ტაბიძე და ნ. ბარათაშვილი – სრული წინააღმდეგობაა თვისი ტემპერამენტით. პირველი თითქოს დატყვევებული უმოძრაო სულია, ბარათაშვილი კი ძლიერ ტიტანია, სულით მაღალი და გულით ვაჟკაცი. იგი თვის ბედს ფატალურად არ მინდობია, არ სცხოვრობს მხოლოდ შავი ფიქრებით, არამედ კიდევ ძლიერად მოძრაობს, იბრძვის, მუხთალ ბედს უმკლავდება. მის მერანს ძლიერი მუხლი და მაგარი ლაგამი აქვს და მგოსანიც ვაჟკაცურად და შეუპოვრად მიერეკება, რომ გადალახოს ეს ემპირიული და ვინრო რკალი ცხოვრებისა; თუმცა ვარსკვლავებით მოჭედილის ცის მზერა მასშიაც მხოლოდ დუმილის, მშვიდობიანობის ემბლემას ატარებს, მაგრამ მგოსანი მის მყუდროებისადმი მიისწრაფის, იგი მხოლოდ მოძრაობით დაღლილ მგოსანს აყუჩებს, სევდით სავსე ოფლს უშრობს. ტაბიძე კი მხოლოდ გარინდებული შესცქერის ციურ მნათობთა მყუდროებას, მის ელვარებას შავ ღამეში და საიდუმლოებით მოსილ მშვენიერებას. იგი სდგას ვით უდაბნოს მწირი მწუხრის დროს და აღავლენს მელოდიურ ლოცვას. მგოსანს ამ დროს მწუხარე ოხვრა ვერ აღმოხდება გულიდან, ცხარე ცრემლი ვერ გადმოსცვივა თვალთაგან, თვის ჩანგის სიმებს ხელს ვერ ჩამოკრავს, რადგან ემინის არ დაარღვიოს საიდუმლო მყუდროება მსოფლიოსი:

და შიში, რომ ხმა ადამიანის
დაარღვევს ციურ იდუმალებას,
მაქვავებს თავის ფარული გრძნებით,
მხოლოდ მე ძლივს ვგრძნობ ამ წარმტაც გრძნებას.

მგოსნის ფარულ ფსიხიკაში სასტიკი შეჯახება სწარმოებს ძლიერ გონებასა და სუსტ ნებას შორის. ასეთმა შეუთანხმებლობამ მგოსნის მთლიანი პიროვნება ორად გაჰყო: ერთის მხრივ, მგოსნის ლალი ფანტაზიით შექმნილი ძლიერი პიროვნება და მეორე მხრივ, თვით მგოსნის ემპირიული, ყოველდღიური, სუსტი და მოცახცახე პიროვნება. ხდება სასტიკი შეჯახება ძლიერ და მოძრავ უსხეულო პიროვნებას და მშვიდ მგოსანს შორის. იგი აგონებს მგოსანს წარსულ დაფერფლილ ცხოვრებას და უხატავს სიცოცხლის არარაობას. პიროვნების გაყოფა ხვედრია ყოველი ძლიერი გონების მატარებელ ადამიანისა, ვისი სულიც არ ეტევა ვინრო ემპირიულ ცხოვრების რკალში, და ვისაც მხოლოდ თავის წარმოდგენაში სურს, შეუერთდეს მის მიერ შექმნილ სამყაროს მარადიულობას. ასეთ ორსახიან იანუსს წარმოადგენდა ბარათაშვილი, რომელსაც ცალი ფეხი ცივ მიწაზე დაეყრდნო, თვისი განუსაზღვრელი ლტოლვა კი მერანის სიმკვირცხლისთვის შეეერთებია. მგოსანი, რომელიც სდგას სამყაროს საიდუმლოების წინაშე, ჰქმნის ილლუზიას, რომ თითქოს გასცილდა საზღვარს, „რასაც კაცთათვის ამყარებს ბედი“.

ემპირიულ სინამდვილით დამარცხებული მგოსანი გონებით ჰქმნის ახალ სამყაროს, რომელიც ისეთივე რეალურ მოვლენას წარმოადგენს შემოქმედისთვის, როგორადაც ეს ჩვენი ხელშესახები ემპირიულობა.

– „ქალი არა მარტო ღვთის ქმნილებაა, არამედ კიდევ უფრო მამაკაცისაო“, – სთქვა აღმოსავლეთის მზიურმა სიტყვამ რაბინდრანათ თაგორმა: „მამაკაცის ოცნებამ შეჰბურვა თვის ელვარებით ქალის უმანკო სიყმანვილე და იგიც ნახევრად ქალია, ნახევრად კი ოცნებაო“.

ეს ნათქვამი ყველაზე უფრო ტაბიძის სულს ენათესავება; ქალის მშვენიერი სახე, მისი აზრით, მხოლოდ მგოსანთ და მხატვართ ფანტაზიის შემოქმედებაა. და ქალი მის პოეზიაში დღიურ სიცხადის და ტლანქ სინამდვილის ელფერს კი არ ატარებს, არამედ მგოსნის მიერ „გარდაქმნილ“ ოცნებას. მან უარყო ქალის ემპირიული სახე და მხოლოდ მის ლანდს თვით მგოსანმა მისცა სხეული, სახე მისი შემოსა თვისი ხატებით და მკერდი მისი ააჩქროლა თვისი სევდით დატვირთულ სიმების ხმაზე და ქალიც მის წინაშე წარსდგა, როგორც მგოსნის მიერ შექმნილი ნამდვილი რეალობა.

ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო,
მე იმგვარად გარდაგქმენი,
რომ მეგონა, თუ ხორცსხმული
იყო ლანდი იგი შენი.

ტაბიძის საკაცობრიო სევდას უკეთესი ფორმა შეეფერებაო, – სთქვა ივ. გომართელმა და იგი ნათქვამი მართალია; მხოლოდ საკითხია, რად არ მოგვცა მგოსანმა წარმტაცი ფორმა თვისი ლექსებისა, რად ვერ ჩააცვა შესაფერი სამოსი თვის ნაზ სულს და მძაფრ სევდას? მიზეზი ამისა უფრო შინაგანია, ვიდრე გარეგანი, იგი უფრო ღრმაა, ინტიმიური, – ვინემ ზერე-ლი და აშკარა. მგოსანი თუმც მძაფრად განიცდის, მაგრამ ბუნდოვანად გრძნობს. ცხოვრების უღრან ტყეში იგი ცალ-ცალკე ხეებს ვერ ამჩნევს; მგოსანი შედის ამ სიბუნელეში, მაგრამ ხელთ ძლიერი პატრუქი არა აქვს, რომ სინათლე შეიტანოს, იგი ჯერ კიდევ ქაოსს ებრძვის და მასში ნათელი და მკვეთრი სილუეტები ვერ შეაქვს; და რასაც ადამიანი ქაოტიურად გრძნობს, მას ბუნდოვანად გამოსახავს, სიტყვა[ს] მხოლოდ გარკვეულ შემეცნებასთან ერთად იშოვი, ისე-კი მგოსანი მხოლოდ ტანჯვას განიცდის ნაგრძნობის გამოუთქმელობით და დუმილში

აღრჩობს თვის მწუხარე სევდას. ტაბიძე აღწევს ძლიერებას ფორმის მხრივ არა მაშინ, როცა ის თვის სუბიექტურ ნაგრძნობს გადმოგვცემს, არამედ მაშინ, როცა ის გაგებულს ხატავს. ეს ორი თვისება შემოქმედებისა კი სულ სხვადასხვაა; პირველ შემთხვევაში მგოსანი უფრო გადმოგვცემს თავის შინაგან ნაგრძნობს, მეორეში კი უფრო ასწერს, გვიხატავს დანაკვირვებს და აზრის ჩარხზე დარკვეულს ასურათებს ეპიურად. აქვე აიხსნება ის საკითხიც, თუ რატომ მგოსანი ძლიერია ეპიურ ლექსებში; აქ იგი არა თუ მარტო გრძნობს და განიცდის, არამედ კიდევ უფრო იგებს, უკვირდება: ობიექტიურ მოვლენას განჭვრეტით უყურებს, და ეს კი უფრო ნათლად აქვს წარმოდგენილი მგოსანს და იგიც ლაღად მეტყველებს, ნათელ და გარკვეულ კონტურებს გვიხატავს. ასეთია ლექსები: „ხელოვნება“, „ქალი და ხელოვნება“, „სიყვარული და ხელოვნება“, „მე და ღამე“ და სხვა...

მგოსანი ჯერ ნორჩი კუკურია, რომელსაც შუადღის მცხუნვარე სხივები არ მოხვედრია და მრწამს, რომ მგოსანი ფართედ გაიშლება, ღრმად ჩახედავს მსოფლიო საიდუმლოებას. მისი სული ღელვასა და მოძრაობას მოუმატებს, თვის ქაოტიურ ნაგრძნობს აზრის ჩარხზე დაარხვევს; და მაშინ იქნება მისი ლექსი ღრმა ზღვასავით და მსუბუქი ეთერივით, მწუხარე გაზაფხულის ვაზივით და მწველი ცეცხლივით და დასტკბება მგოსანი მზერით თვისი ლექსისა და იგიც იგრძნობს თვის ძლიერებას.

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, 12 ივლისი-30 აგვისტო, № 28-35.

იოსებ არიმათიელი

ქართველი მწერლები – გალაქტიონ ტაბიძე

(მისი ლექსების გამოცემის გამო)

საქართველო მგოსანთ ქვეყანააო, სთქვა ვილაცამ. თუ რითმებით ამბების მწერალთ აიღებთ, ეს აზრი იქნება მართალიც იყოს, მაგრამ ჭეშმარიტი მგოსანი კი, ისეთი, რომელმაც შეიცნოს ბუნება და ადამიანის სულისკვეთება, მსოფლიოს გარე-მიდამო იგრძნოს და ნაგრძნობი სხვასაც აგრძნობინოს, ისეთი მგოსანი მაინცდამაინც ბევრი არ მოიძებნება ჩვენს ახალგაზრდა მოლექსეთა შორის.

ადამიანის სულის კვეთების, შინაგან განცდის გადმოცემა ერთია და რომელიმე წინადადე აღებულ, აზრის გართმულ პნკარებში ჩამოყალიბება მეორე. ჩვენი მნიგნობრობა ჯერ კიდევ ელის კრიტიკოსს და ვიდრე მაღალნიჭიერი კრიტიკოსი მოგვევლინებოდეს, ჩვენი მწერლობა განუვითარებელი იქმნება და ყოველ მოლექსეს მგოსნის სახელით დააგვირგვინებენ.

გალაქტიონ ტაბიძე კი, რომელმაც პირველი ორიოდე ლექსი 1908 წ. გამოაქვეყნა, ხოლო უფრო მეტად 1910 წ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრებაში“ და სხვაგან გაშალა ფრთა და თვის ლექსთა თაიგული გასულ წელს გამოსცა ცალკე წიგნად, არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელიც ლეგიონია...

გ. ტაბიძე, – ეს ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა მესაიდუმლე, – სრულიად განკერძოებითა დგას და თვისი შემოქმედებით იგი მსოფლიო სევდის მგოდებელთ (ჩვენში ნ. ბარათაშვილს) უახლოვდება. სამართლიანად შენიშნავს კრიტიკოსი ივ. გომართელი, როდესაც ამბობს: „ტაბიძემ ღრმად იგრძნო ყოველი შეგნებული ადამიანის სევდა და სულის სწრაფვა, ბარათაშვილს გამოეხმაურა და თავისი მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა“-ო.

ჩვენი პოეზიის ქურუმნი მეცხრამეტე საუკუნეში და ახლაც უმეტესად მამულიშვილურ-მოქალაქეობრივ ჰანგთა მღერამ გაიტაცა, უკანასკნელ ხანში ხომ „პროგრამულ“ ლექსებს სწერენ. ეს იქნება სწორედ ასეც იყოს საჭირო, მაგრამ ჭეშმარიტ მგოსანს კიდევ სხვა მიზანი აქვს: ადამიანის სულის განცდათა გამომჟღავნება, ჩვეულებრივ ადამიანისათვის მიუწვდომელის შეცნობა...

გ. ტაბიძემ თავის ლექსთა მშვენიერ თაიგულში საუცხოვოდ გადაგვიშალა მუდამ მეძიებელის, სულით ღელვილი ადამიანის სწრაფვა, აღბეჭდა უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის რწმენის მერყეობა, ახალი გზების ძებნა, იმედის გაცრუება, უნუგეშობა...

ამ პატარა საბიბლიოგრაფიო წერილში მოუხერხებელია მკითხველს გადავსცეთ ყოველივე ის, რითაც გასულდგმულებულია გ. ტაბიძის ნაზი ლექსები (ვფიქრობთ, მოკლე დროში უფრო ვრცელი განხილვა მოვათავსოთ), ვიტყვი – კი, რომ ახალგაზრდა მგოსანი დიდის ყურადღების ღირსია, და ვისაც ჰსურს განიცადოს სულიერი კმაყოფილება, უაღრესი სიტკბოება, მან თვით ნაწერები – მგოსნის შემოქმედება უნდა გაიცნოს.

ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 2, გვ. 5.

გრიგოლ რობაქიძე

ფრაგმენტები

[...] სულ ახლად გაიფურჩქნა ნიჭი **გალაქტიონ ტაბიძისა**. მის ლექსთა პირველ ტომში ოთხი-ხუთი ლექსია მხოლოდ ნამდვილ-პოეტური. მაგრამ ნიჭის დასაფასებლად ესეც კმარა. თვისება მისი ნიჭისა – **უშუალობაა** (გერონტი ქიქოძის ტერმინი რომ ვიხმაროთ). მისი პოეტური ტემპერამენტი ნერვიულია მეტად და ამასთანავე „გულლია“ ძალზე. ამით მოქმედობს იგი. თანვე სილამაზის ფაქიზი გრძნობა აქვს. იცის თავდაჭერა. მშვენიერია მისი უკანასკნელი ლექსი – „მერი“.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, 1 იანვარი, № 469.

ტ. ტაბიძე

მარტოობის ორდენის კავალიერი

გალაქტიონ ტაბიძე

ა.

– „არავინ, როგორც მე მახსოვს, ჩვენთან მოსული განიერი შესტით რომ ლაპარაკობდა „აი – მე...“, არ ყოფილა გაქანებული ილიუზიის ქარით, უხილავ ნაბიჯებში რომ არი შემალული იმნაირი უჩვეულო და უტეხი გატაცებით, როგორც ოდესღაც ეს ჭაბუკი. არავის არ უმხელია იმ ჭაბუკობის ნამში, ნამში, რომელშიც ინთებიან ბედისწერის ელვანი, იმნაირი ბრწყინვა აზრისა, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება მკერდზე მარტოობის ორდენის ბრილიანტით“... – ასე ამბობდა გრაფი ვილიე დე ლილ ადანზე სიმბოლისტების ბრწყინვალე მეტრი სტეფანე მალარმე...

მართლაც არსად მზის ქვეშ არ იქმნება მომღერალი, რომელსაც არ ესუნთქა მარტოობით... სული ცხოველი, სული შეციებული, რომელმაც არ იცის სითბო და ნელცივობა, ან იწვის ან იყინება, უთუოდ დაიწრდილება მარტოობასა და ტანჯვაში: ეს ორი ყოველთვის თანამგზავრია პოეტის, მაგრამ მოხდება ხოლმე, ზოგიერთი მას მოიშორებს მცირე ან დიდი ხნით, ზოგისთვის კი ის სამუდამო თანამგზავრია, დაუშორებელი... თან სდევს, როგორც მთვარიან ღამეს საკუთარი ჩრდილი და მაშინ მისთვის ყველაფერი იქარგება მარტოობის და ტანჯვის კანვაზე, ყველაფერი ჩნდება ამ ფონზე და მკერდზეც დაეკიდება მარტოობის ორდენის ბრილიანტები.

მარტოობის და ტანჯვისთვის ნიადაგი საქართველოში არ არის ყამირი. საქართველომ მხოლოდ ერთხელ გაიცინა თამარ მეფის შემხედვარემ იმ სიცილით, რომლითაც იცინიან ჯავარაყრილი ეროვნებანი და ეს სიცილი მზიური გენიისა ეხლაც დაჰქრის ჩვენში, როგორც ღიმილი მგლოვარ ტუჩებზე. დიდი ხანია ჩვენ ცას გაუკითხავი ღრუბლები დაეკიდენ და ტრანსის ვუალით შეიფუთენ ჩვენი მგოსნების მუზანი... ხანდისხან თუ გაეცინებოდა აკაკის, თვითონ დაურთავდა, ეს სიცილი ცრემლზე უფრო მწარეაო... ჩვენ მგოსნებს შეუყვარდათ მამული და მამულისთვის დამწვარ პოეტის ადამ მიცკევიჩის თქმით, რომ იმას უყვარს ვინც დაკარგა იგი. არ შეიძლება სიცილი იქ, სადაც კუბო დგას, რომელშიც წევს ეროვნული დამოუკიდებლობა, ისე როგორც არ შეიძლება შებრალება მისი, ვისაც შემოქმედების ცეცხლი სწვავდა. პირველი კავალერნი მარტოობის ორდენის არიან ნ. ბარათაშვილი და მამია გურიელი. დღეს კი ახალზე მინდა საუბარი. მორცხვად შემოდგა ფეხი ჩვენ მწერლობაში გალ. ტაბიძემ რომ დაერეკა გლოვის ზარებზე და უკვდავ მეზარეთა ჩრდილები არ განყრებიან მის დანახვაზე. ეს მწერალი საინტერესო სახეა ქართველი მწერლის არა მარტო სამგოსნო ტალანტით, უფრო წერის მანერით და ლიტერატურულ გავლენით.

ბ.

ქართული მწერლობა ჩვენი დღეების მიაგავს საბანს, ნ. ლორთქიფანიძის ერთ ეტიუდში დედაბერი რომ კერავს სხვადასხვა ნაჭრებიდან, ზოგ ნაკერში მოსჩანს „სილუქე აბრეშუმის ქსოვილისა“, შემთხვევით არის ისტორიულ ბაღდადის ხალიფის ხალის ნაჭერიც, ხან კი ხამი არის შიგ შეკერილი და „ამერიკა“, რომელსაც თავშესაფარის მათხოვრის ფეხსაფენის სუნი უდის: არიან ლამაზი აღმაფრენი სტრიქონები, მაგრამ მხოლოდ სტრიქონები... ესკიზები, ეტიუდები... მომავალ დიდ სურათისა, რომლის დახატვას ჯერ კიდევ არჩილი აჩქარებდა; შალვა დადიანი, მ. ადამაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, სანდრო შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, შალვა ამირეჯიბი, გრიგოლ რობაქიძე, კ. აბაშისპირელი... ღმერთო, რამდენი დაპირებაა, რამდენი შესაძლებლობა და რა ცოტა მიღწეული, უკვდავ მიღწევათა აზრით რასაკვირველია. იჭვი გიპყრობს მომავალზე, როცა წარმოიდგენ, რომ უკვე აღიარებული პოეტები სონეტს რვა სტრიქონად სწერენ, რომ ლექსის ნოვატორად ითვლება იმისთანა პოეტი, რომლის ნაჯახით დათლილი ლექსი ვერ გასცილებია რუს სიმვოლისტთა პირველ ცდას. სიმვოლიზმი კი, ოფიციალურად რამდენიმე წელია, რაც სკოლად გამოცხადდა... მაგრამ სიმვოლიზმს ჩვენში ღამეც არ გაუთევია... მხოლოდ ეხლა იწყება პირველი ხაზების გახსნა, უკვე გრძნობ ახალ სიოს, ეს გარიჟრაჟის წინ ბურუსია: და უნდა გათენდეს. ამ სახეთა ცვლას უჩვეულო თვალის შეამჩნევს გალ. ტაბიძე. გრძნობ, რომ პოეტი უკვე გადმოფრინდა ძველი ბუდიდან, მაგრამ სივრცეს ლაღად საფრენად ჯერ კიდევ ვერ ენდობა და შიშით იკვლევს გზას: მის სიმღერაში გზების ძებნაში თქვენ მოდიხართ ნ. ბარათაშვილიდან და მამია გურიელიდან, მაგრამ სწორი ხაზი, რომელიც გაარჩევდეს მას ამ პოეტებისაგან ისე, როგორც ლამარტინიდან ირჩევა ვერლენი და პუშკინიდან ალ. ბლოკი, ჯერ მხოლოდ კონტურით არის დახაზული. ამ გამოურკვევლობით და ბურუსით ხასიათდება გ. ტაბიძე და მწერლობა ჩვენი დღეებისა.¹ აქ ბევრია სახეები არქაიული, მაგრამ არიან სახეებიც, რომელნიც ქმნიან ილიუზიას სიმვოლიზმისას. უფრო ბევრია კიდევ სახეები სპეციფიკურ-ორიენტალისტური, რომელსაც, თუ შეიძლება, უნდა დაერქვას აზიური უკვდავი რომანტიზმი (ტერმინი ეკზოტიკა დაახლოვებითაც არ სწურავს ამ ცნებას). აი ეს სახეები, მიუხედავად საუკუნოებით დაშორებისა, ერთმანეთს ამსგავსებენ ეგვიპტის პაპირუსებს – ინდიურ საგალობლებს; საადის – შოთას; ჰაფიზს – აკაკის; უფრო ახალ რაბიდრანათ ტაგორს – სანდრო შანშიაშვილს; ეს თავისებურობა ჩვენი მწერლობის უნდა ეგრძნოთ. კიტა აბაშიძეს, რადგან ესტეტიურ ალღოს გარდა, იმას ყველაზე მეტი შრომა მიუძღვის ლიტერატურულ სკოლათა კლასიფიკაციაში, სადაც უფრო მხილდება ეს თავისებურობა; რადგან რომანტიკოსს გრ. ორბელიანსაც აქვს იგი და ულტრანატურალისტ გ. წერეთელსაც. ეს ჩვენია ჩვენთაგანი და აღნიშნავს ჩვენ გზას წინა აზიაში და დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც მწერლობის, ისე ქართულ ისტორიის ბუნების შესწავლისთვის.

1 გამონაკლისს შეადგენენ სანდრო შანშიაშვილი და გრ. რობაქიძე: პირველმა შეაერთა მოდერნიზმი ქართულ მწერლობის ტრადიციასთან და შექმნა ახალი სკოლა, რომელიც აკადემიურ კონსერვატიზმსა და ახალ ქროლათ ბედნიერად აერთებს, მეორე იძლევა ნიმუშებს დეკადენტურ პოეზიისას... დალაგებით ცალკე წერილებში.

გ.

გაძარცული ბალი, ყვითელი ფოთლებით... ქარვის ჩარდახი, გაუკითხავი ტყვიისფერი ღრუბლები, ქარიშხლის ვნებიანი მოთქმა, „რომელსაც არ ჰქონდა ბინა“, დაწყება შემოდგომის საღამოსი, რომლის მელოდია შეჰქმნა ჰუგო ჰოფმანსტალმა, რომელსაც დაარქვეს საღამოს აქტიორი. თავის გულის, შემოდგომის საღამოს დაწყების პოეტია გ. ტაბიძე. მისი სიმღერა ნაზია, როგორც დედოფლის სიზმარი და თავისვე ნამღერ შემოდგომის მელოდიით აცრემლებული დასცურავს ამ საღამოს ჯერ კიდევ გამჭვირვალე მწუხრში... მაგრამ თუ ჰოფმანსტალი აქტიორია თავის გულის, გ. ტაბიძე ძალიან ახალგაზდაა, რომ აქტიურობა შეიფეროს... მისი პიროვნების გარდა ეროვნული სული ლაპარაკობს, ქართველი პოეტი ჯერ ვერ შეიშვნევს, რომ პეტრონიუსივით თავის სიკვდილის ანტრაქტებში ეროტიული ლექსი დასწეროს... ჩვენი პოეტის სიმღერა არ გავს ადრინდელ რომანტიკოსთა მწუხრიან მელანქოლიას, მაგრამ მასში არც გლადიატორის კვენესაა ბოდლერის და ფრანგების „დაწყველილთა“. იცი, რომ ის საშინელ სიტყვებს არ ამბობს, მაგრამ... გრძნობ, რომ ეს პრელიუდიებია მომავალი დიდებული ორატორიების... მართალია, ინოკენტი ანენსკის თქმის არ იყო, ჩვენ გვანამეს დოსტოვესკით, ბოდლერით, ჰიუსმანით, ჩვენ ვიცით სასტიკი სიტყვები და თეთრი ექსტაზი, მაგრამ ეს ხომ ჩვენში არ გაგვიგონია და ამ პოეტში გვიხილავს, რომ მანაც უნდა სთქვას რაღაც ამგვარი:

„რომ დავიღალე მე ამ კუბოში“.

ეს პირველი “Lama sabachthanz”¹ – არი ჩვენ პოეზიაში.

მამია გურიელი თითქო სცდილობდა ეთქვა ეს დამწვარი სიტყვები, იმაში იყო რაღაც, რაიც განაწყობდა ამ სიტყვების სათქმელად, მაგრამ მაინც უმღერი დარჩა ბალახვანი. მამია უფრო პოეტი მჭვრეტელი იყო, ვინემ მქნელი, მის ნერვებსა და ხმის ყვირილში არ ყოფილა პროპორცია... ეს დაწყებულაა პოეტის... რამდენ დაუთავებელ სიმღერებს ვათავებთ ჩვენ და რამდენს ვგრძნობთ კიდევ რომ დაწყებულიყო!.. მამიამ თავის კახაბერიც ვერ გამოიტირა საშინელი ტირილით, თუმცა, ყველაზე არაგულწრფელმა, უფრო ძალათ არაგულწრფელმა უაილდმაც ნახა ცრემლით სოველი სიტყვები მოშორებულ შვილების დასატირებლად.

ჩვენ გვჯერა გ. ტაბიძე ნახავს სიტყვებს, ყოველ შემთხვევაში აუსპიციები² სანდომიანი მოსჩანან: აბა წაიკითხეთ ლექსები: „შორეულს“, „მე და ღამე“ და თქვენ მიხვდებით რომ ის „დაიღალა ამ კუბოში“!..

დ.

როგორც კი გადაფურცლავთ მის პირველ წიგნს, ძალიან გაძრცვნილს, თუმცა არის რაღაც ცდა ბუტაფორიით შელამაზების, თქვენ დაგქროლებთ შემოდგომის სუნი. წიგნზე მოთავსებული სურათი ძალიან პრიმიტიული რომ ითქმის რამე იმაზე, მაგრამ არის რაღაც მგძნობიერი განჭვრეტა... ქალს, რომელიც ალბად მუზაა, ხელში უჭირავს ქნარი, არ იცი, სძინავს, თუ მოთენთილია, ალბად სძინავს, ირგვლივ გაბნეულია ყვავილები, ყოველ შემთხვევაში, ეს მიახლოებითი სიმბოლოა გ. ტაბიძის მგოსნური სახის:

მე ყვავილები მესიზმრებოდა
და ყვავილებს მე ვესიზმრებოდი.

წიგნის პირველ სტრიქონებზე ათამაშდება შემოდგომის ყვითელი ფოთლები.

ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს
შემოდგომა თავზედ ივლებს,
კორდი კდემით თვალებს ნაბავს,

¹ ფრაზა სახარებიდან: რატომ მიმატოვე მე? (მარკოზი 15: 34).

² მისნობა ფრინველებზე დაკვირვებით (ლათ.).

მორცხვით თავს ხრის, სუნთქვას სძაფავს,
ტანთგახდილი და შიშველი
მთას შესჩივის: „ვერ მიშველი?“
(ლექსი: „შემოდგომა“)

შემოდგომის დღე... შემოდგომის დღე.
დღე ნალვლიანი, ღონემიხდილი
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე,
შემოდგომის დღე... შემოდგომის დღე...

ცვივა და ცვივა ხეებს ფოთოლი
გაყვითლებული, უდროოდ მჭკნარი,
დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი,
გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი...
(ლექსი: „შემოდგომის დღე“)

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჭკნება ფოთოლი
ყმანვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებში დნება.

კიდევ რამდენიმე სტრიქონი და შეხვედით შემოდგომის ბაღში... თითქო მხრებზე გეცემათ მონყვეტილი გამხმარი ფოთოლი, „რომელსაც ღმერთი არ სწამს“ და ამბობენ უკვდავ ზღაპარს დამჭკნარ სილამაზეზე, ახალგაზდობის ჭაღარაზე, ალერსისთვის გაუღვიძებელ სულის სიკვდილზე... ხედავთ თეთრ ნამის წვეთებს, ეს თქვენი ცრემლებია: როდის დაღვარეთ ამდენი?..

და აიშლებიან ქარავნები აუხდენელ ფიქრების:

აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,
ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს?
ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმანვილეს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს!..

აქ დაადებს პოეტს თავზე ხელს ედგარ პოეს ეშმაკი და უჩვენებს მწუხარე მხარეს მდინარე ზაირის ნაპირებზე და ამღერდება სიჩუმე და მარტოობა მწუხარე ღამეში... უდაბნო იზრდება, უახლოვდება და ელუაზარივით უწვება საწოლზე, როგორც ცოლი და ატირდება პოეტის ქნარი, „მარტოობით შექმნილი ქნარი“.

დღესაც მარტო ვარ... სიყვარულის არ მესმის ნანა;
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა...
მოვკვდე და გული ვის დავსწყვიტო, ვინ დავაობლო,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო...
.....
.....

ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია წიგნში. აქ პოეტი მიდის ნამდვილ მოდერნისტულ გრძნობის ჟონგლერობამდე და თვრება მარტოობით. ნ. ბარათაშვილის შემდეგ ბალიშს ცრემლით ეს ლექსი დაგასველებიებს. არიან პოეტები, რომელთაც შორიდან უყურებ...

გრიშაშვილის შაირის წყარო გაბრმავებს, მაგრამ არჩევ, რომ ის სხვაა. გ. ტაბიძე თითქო შენში სტირის, შენი თვალებით, იგი ახლობელია, საყვარელი და მიყვები იმას:

და გავყვები ჩემს მარტოობის გზას
სამარისაკენ მიმავალ გზამდე.

ჯერ არ შესჩვევიყო პოეტი თავის თანამგზავრ მარტოობას, არცა ენახა იგი, მაშინ ის ეძებდა უხილავს:

სშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვილაცას!..

მაგრამ ცხოვრების გზაჯვარედინზე გამოჩნდება შავი ყორანი, სიმბოლო ორი ცხოვრების, მარტოობის, აქეთ და იქეთ მხარის და დასჩხავის: „ნუ იხედები, ნუ იხედები“...

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის —
„შორს ნუ გასცქერი, შორს ნურვის ელი“...

ასე შეეჩვია მარტოობას და დაეკიდენ მისი ორდენის ბრილიანტები:

ახალი მხარე... ახალი ბინა
ჯადოთა მხარე, შიშველ-ტიტველი
მე მარტოობამ შემამჩნევინა...

გრძელია გზა „სამარისაკენ მიმავალი“ და დიდებულია პოეტის სვლა.. აქ [იმ]ას გაგონებს, ჟამიანობის დროს მღვდელი რომ თავისთავს უკითხავს გამოსათხოვარს.

ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე
და იმიტომ მსურს
ვიპოვო რამე, რომ ნავულო
ზეცას მედიდურს...

უკეთესი საჩუქარი რა იქნება მედიდური ცისთვის, როგორც დამწვარი პოეტის სული!..

ჟ.

ლექსი გალაქტიონ ტაბიძის მონყვეტილია, უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება... მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმიულად ცეკვავენ, თითქო „ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისეში“. ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს და საკვირველი ის არი, რომ მუსიკა შინაგანი, ბუნებრივად არი გამოწვეული და არა იმ აკრობატიული ლექსის შეზებით, ჩვენში რომ ბევრი ფონს გადის... ზევით ამონაწერი ლექსები ამტკიცებენ ამას, მაგრამ მე არ მომწყინდება მშვენიერი ლექსების ამონერა:

ზეფირს ფოთლებით
კალთა ევსება,
ზამბახს ოცნებით
ეაღერსება: —
„გამომყე, წამო!“

ხარობს მიდამო...
ზეფირს ქნარი აქვს,
დაუგდე ყური
დაგწვავს, მოგხიბლავს
ჰანგი ველური,
დაგძლევს ეკსტაზი...

ციური, ნაზი.

.....
.....

(„ტყეში“)

განა არ გვაგონებს ეს ლექსი პოლ ვერლენის ლექსის ინსტრუმენტაციას, ფრთააშვე-
ბულ ფრენას ვერლენისას, რომელმაც სთქვა: მუსიკა, მუსიკა ყველაზე უნინ (Art Poétique); აბა
შეადარეთ:

La lune blanche
Luit dans les bois;
De chaque branche
Part une voix
Sous la ramée...

Ô bien-aimée.

L'étang reflète,
Profond miroir,
La silhouette
Du saule noir
Où le vent pleure...

Rêvons, c'est l'heure.

.....
.....

(ლექსი: “La lune”)

ქართული ენა მრავალ შესაძლებლობას ინახავს, ყოველ შემთხვევაში, ქართველი პო-
ეტების წინ დიდი ასპარეზია: ლექსთა გძელთა თქმის და ხევის, მხოლოდ ხელმარჯვეები
იგვიანებენ.

ლამაზი შედარებანი, მეტაფორები გ. ტაბიძის უბრუნებენ ქართულ მწერლობას
ბრწყინვალე პერიოდს... უკანასკნელად მწერლობაში შემოიპარა რუხი არმია მელექსეების,
რომელნიც კარგს არაფერს უქადიან პოეზიის მომავალს. შოთა დაგვაფინცდა, აკაკი და ვაჟა
ისტორიაა; მართალია, არიან გრიშაშვილი და შანშიაშვილი, მაგრამ ისინი მარტო ხომ ვერ
გამოიყიდინ მთელი მწერლობის ცოდვას:

გრიშაშვილის მეტაფორა ველურია და მჭრელი:

შენი ტანი დროშის ტარს ჰგავს,
ამართულსა, ასულს, აყრილს,
შენი ტუჩი ფინჯანსა ჰგავს,
ვარდის ფინჯანს, ნამგადაყრილს...

სანდრო შანშიაშვილის ლექსი უფრო დარბაისელია, იმას ემჩნევა კლასიციზმი, თუმცა არ
არი ეს დამახასიათებელი, მაგრამ მაინც. აი მაგალითი:

მიყვარს ცხოვრება ფაფარაშლილი
შფოთის მინდორი მასზე გაშლილი!..

გ. ტაბიძის ლექსებიც მდიდარია პოეტური სახეებით, ამასთან ეს სახეები უშუალოდ განცდილი არიან. შედრევანივით ამოდის, არ არის წიგნით მოწერილი ან ძალით გამოგონებული, ყველას უაღრესად ქართული სული აქვთ:

ა.
ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს
ქარიშხალი თავზედ ივლებს...

ბ.
ლამის სიცილი დასცურავს ქვეყნად
ათეთრებული და მოვერცხლილი.

გ.
ღრუბელთა შორის ისე წევს მთვარე,
როგორც ცხედარი ვერცხლის კუბოში.

მ.

ამ პატარა ესკიზში ფრთაფარფატა შეხებაც კი მისი პოეზიის მოტივების შეუძლებელია, რომ წერილის მთლიანობა არ დაირღვეს, ისე მრავალმხრივია და ინტიმიურად ღრმა ეს პოეზია. პირველი წიგნის გ. ტაბიძე არ მღერის ჯერ „ქაოსის ხველაზე“. ამისთვის ხმა არ აყვება, მაგრამ მისი გამოჩენა მაინც ბევრის მაჩვენებელია...

იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა, მისი ლექსი განცდილია და ლამაზი. პოეტის სახელს უკავშირებენ ერთ ცნობილ მიმართულებას, მხოლოდ ეს წიგნი დაწერილია პირობითი პოლიტიკურ და სოციალურ Sine ira et studio¹, რაც მის ღრუბულებას ამაღლებს და ააშკარავებს მასში ნამდვილ მხატვარს. გ. ტაბიძეს აქვს მთელი ციკლი რომანტიულ პიესების საქართველოს წარსულიდან, ეს ლექსები ამ წიგნში არ მოხვედრილან, გარდა ერთისა „სამშობლოში“, რომელიც თითქო შესავალია ამ ციკლისა... ამგვარი ჟანრის ლექსები ჯერ მარტო შალვა ამირეჯიბს აქვს დაწერილი უტყუარი ნიჭით და პოეტური პათოსით, თუმცა ჩვენი საზოგადოება არ იცნობს ამ ლექსებს, მაგრამ ეს ისეთი გადანახული საუნჯეა, რომ როცა ნახავს, შემდეგში მაინც გაიხარებს ნამდვილი სიხარულით. არ არის საჭირო ლოცვა იმაზე, რომ პოეტის ნიჭი აყვავდეს, როგორც არ არის საჭირო მზის ამოსვლაზე ლოცვა... მზე უნდა ამოვიდეს ყოველდღე და პოეტის სიმღერაც მალღებოდეს, იზრდებოდეს სიახლით და სიძლიერით.

საით მივყევარ ჩემს მონყენილ გზას
სად ვპოებ შვებას მიუსაფარი?!
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?..

– კითხულობ შენ?..

საქართველოს ჯერ შეუძლია მარტო ტანჯვის და წამების მოცემა, მაგრამ ეს დიდი ძღვენია... შენმა ქნარმა უნდა აამღეროს ეს ტანჯვა, სთქვას საქართველოთ ნაწამები ქებანი... მაშინ მონყენილი გზა წაგიყვანს დიდებისაკენ და ეს იქნება უდიდესი შვება მსხვერპლის მიმღებისა და მიმცემისაც...

გაზ. „საქართველო“, 1916, №3-4.

¹ „მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე“ (ლათ.).

სტუდენტი

კიდევ „ყანნების“ გამო

ჩვენ წინ ძვეს ჟურნალი „ცისფერი ყანნები“. რამდენჯერმე წავიკითხეთ იგი და ვეძიებთ პასუხს მასში შემდეგ კითხვებზე: რას წარმოადგენს ეს ჟურნალი? რა მიზანი აქვს მას? და გვინდა ვიცოდეთ, ის ახალგაზრდები, რომლებიც მოგვევლინენ ამ ჟურნალის სახით, სრულ ჭკუის მყოფლებათ უნდა ჩაითვალოს თუ არა? [...] რა ვუნოდო „ცისფერ ყანნებს“, თუ არა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული გაკოტრების ნიმუში.

[...] გადავიდეთ ახალგაზდა მოციქულებზე, რომლებიც მოგვევლინენ „ცისფერ ყანნებში“.

ვნუხვართ და ჩვენს გულის წყრომას უცხადებთ მგოსან გალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და გამრყენელ ჟურნალში მონაწილეობა მიიღო.

გაზ. „სამშობლო“, 1916, 9 მარტი, №305.

ფ. მ-ძე

საბრალონი

[...] არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ აქ კიდევ ბ. ტიტე ტაბიძის წერილზე, რომელსაც სათაურათ აქვს „ცისფერი ყანნებით“ და რომელშიაც ბოძვა და სინამდვილე დომხალივით არის ერთი-ერთმანეთში არეული. ამ ვაჟბატონს მოუნადინებია ქართველ ლოთი ბიჭების ფილოსოფიურ-კრიტიკულათ დახასიათება, მაგრამ იმდენათ არევია დავთარი, რომ შანში-აშვილის და გრიშაშვილის გვერდით, ერთი მხრით, და გრ. რობაქიძის და ელენე დარიანის გვერდით, მეორე მხრით, იგი ათავსებს გალ. ტაბიძესაც. ვისაც გაგების უნარი სავსებით არ დაუკარგავს, მისთვის დღესავით აშკარა უნდა იყოს, რომ გალ. ტაბიძის საგრძნობლათ პესსიმისტური მოტივებით გაჟღენთილ პოეზიას არაფერი აქვს საერთო ლოთი ძმა-ბიჭების ვაკხანალიასთან, ელენე დარიანის და გრ. რობაქიძის ტლანქ პორნოგრაფიასთან. მაგრამ აქ ერთი სამწუხარო გარემოებაა: გალ. ტაბიძის ორი ლექსი რაღაც მანქანებით სწორეთ გრ. რობაქიძის და ელენე დარიანის ლექსების შუაშია მოთავსებული. როგორ მოხდა ეს, – ჩვენ არ ვიცით. ერთი რამ აშკარაა: ტაბიძის „მთანმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“ პირდაპირ დისსონანსი ანუ აშკარად წინააღმდეგობაა იმის, რაც მოთავსებულია „ცისფერ ყანნებში“. საკვირველია, როგორ გამოეპარათ ეს, როგორ ვერ მიხვდენ ეს აშკარად წინააღმდეგობა ან ერთი ან მეორე მხარე? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა გვგონია, რომ კარგათ გრძნობდეს თავის თავს გალ. ტაბიძე ელენე დარიანების და გრ. რობაქიძეების კომპანიაში. Sapienti sat! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი შესძლებს მის მიერ არჩეული გზით ბოლომდის სიარულს. [...]

გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, 10 მარტი, № 56.

¹ ლათინური ფრთიანი გამონათქვამი: გამგები მიხვდება (გაიგებს).

სატურნი

პოეტიკა

გალაკტიონ ტაბიძემ თავის ლექსების პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ ერთ ქართულ ჟურნალში მოათავსა ლექსი: „Art Poétique“. ეს იყო თანამედროვე მგოსნებისადმი პირველი მანიფესტი, მოწოდება მუსიკისა და სილამაზისადმი, მსგავსი პარიზის ბოგემის მეფის პოლ ვერლენის მოწოდებისა. პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძეს ჰქონდა უფლება ამნაირი მოწოდებისა! გრძნობ, რომ ეს პრელიუდიებია მომავალი დიდებული ორატორიებისა, – განაცხადა ამ წიგნის შესახებ ერთმა ახალგაზრდამ მწერალმა – და დაამატა: გ. ტაბიძე საინტერესო სახეა ქართველი მწერლისა არა მარტო სამგოსნო ტალანტით, უფრო წერის მანერით და ლიტერატურული გავლენით („მარტოობის ორდენის კავალერი“). აქვე უნდა აღვნიშნოთ: უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ მწერალზე იმდენს არ სწერენ, რამდენსაც გალაკტიონ ტაბიძის შესახებ და მაინც გაუშუქებელია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარეები, ერთი ასეთი მხარეთაგანია მისი „წერის მანერა“, მთელი სახელმძღვანელო, **პოეტიკა**, სრულიად ახალი პოეტიკა.

ახლა ყველას შეუძლია ისარგებლოს იმ ახალი შემოღებით, რომელსაც გვაძლევს გ. ტაბიძის ლექსები.

ჯერ კიდევ პირველ წიგნში მრავლად არის **ასსონანსები**, რითმების ახალი სახე (იხ. ლექსები: „ორი ზარი“, „გურიის მთები“, „ტყემ წამიყვანა“, „უსიყვარულოდ“ და სხ.). აქ თქვენ გხვდებით რითმების საუცხოოვ თამაში:

ტყის სიმწვანემ **წამიყვანა**,
გადმიშალა ხის რტოთა და
ბალახების **მწვანე ყანა**.

არის ასსონანსები ცნობილ ლექსებში „მერი“ და „აკაკის ლანდი“.

ეს იყო წინად, დიდხნის **წინად**
ეს იყო ვერხვის ფოთოლთა კვნესა
დრომ ყვავილებით **დაგვაგვირგვინა**
მე პაჟი ვიყავ, ის კი პრინცესა.
(ლექსი: „ვერხვები“)

როდესაც მთვარე თოვლიან ალევებს
ათრობს ცისფერი ყინვის **თასებით**
შვენის ბეჭდები ალვის მწერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და **ალმასები**.
(ლექსი: „ალვისხე თოვლში“)

ასსონანსები არის აგრეთვე ლექსში „კოშკი“, რომელიც ჩვენს ალმანახში იბეჭდება; (მეგობარი – გაუგებარი; ელვარე თალი – უიარალო, აშენებული – დაშინებული და სხვა.) პირველი ასსონანსის მთქმელი დღესაც შეუდარებლათ ხმარობს ამნაირ წყობას.

გ. ტაბიძის ლექსებში აგრეთვე მოხერხებულათაა ნახმარი **შინაგანი რითმები** („ატმის ყვავილები“, „აკაკის ლანდი“, „Nocturne“). აი ნიმუშებიც:

1. „მაგრამ ეწვია ატმის ხეს **ქარი**
და ფრთა **მედგარი** შემოახვია,
ეხლაც **ატყვია** ხეს განაზზარი,
ყვავილთა **ღვარი** რომ **დააფრქვია**.
(„ატმის ყვავილები“)

2. მე დამავინყდა ძველი წვალეზა
და ვალალეზა გრძნობათ დამზობის
და მახსოვს მხოლოდ ცისფერთვალეზა
იდუმალეზა შორეულ ტრფობის
(„Nocturne“)

3. მზარეს მწუხარეს, არეს მთებისას
დახარის მთვარის შუქთა დოლბანდი...
(„აკაკის ლანდი“)

ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი.
(„აკაკის ლანდი“)

შინაგანი რითმები მომავალში ფრთებს გაშლის, რადგან ქართული ენა საუცხოოდ ჰგუობს მას, როგორც ამას გვიჩვენებს ზევით ამოწერილი ნიმუშები.

ახალია აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსების ჩამოყალიბებული მიწყობა ხმოვანთა და **თანხმოვანთა, განსაკუთრებით დასაწყის სიტყვებში (სქოლასტიკურ პოეტიკაში ანაფორა):**

მიდუმდა შამბი, მიჩუმდა შქერი
შესწყდა ნაკადის ზვირთების მღერა...
თეთრი ჭალარით მოსილი მთები
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით...
ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი...

შემდეგ აღსანიშნავია, აგრეთვე **ხმათა მიბაძვა, თანხმოვანთა ერთნაირი ბგერა**, რომელიც სურათს ამშვენებებს. ჩვენს აღმანახში დაბეჭდილი ლექსი „კოშკი“ იძლევა ამის ნიმუშს: საუკუნით აშენებული, მაღალი კოშკი ინგრევა:

აჰა! ყრუ რყევით, ხმაურობით, გრგვინვა-გრიალით
დაეცა კოშკი, სიყვარულით აშენებული!

აქ ასოები „რრ“ და „გგ“, – თითქო თავის თავად ამბობენ კოშკის დაცემას, აქ არის ხმათა მიბაძვა, თანხმოვანთა ერთნაირი ბგერა, რომლის წყალობითაც იქმნება სათანადო ილიუზია.

ჩვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა გალაქტიონ ტაბიძის დაუბეჭდავი ლექსი სათაურით „იაგუნდა“, რომელშიაც არის **დისონანსები**. დღემდე ყველასთვის წარმოუდგენელი იყო თუ ქართულ ლექსში შესაძლებელი გახდებოდა **დისონანსის** შემოღება, მიუხედავად ამისა, ამ ლექსში დისონანსი სავსებით იმარჯვებს.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია აღვნიშნოთ ჩვენი ფრიად ნიჭიერი მგოსნისა მწერლობის სხვა მრავალი სიახლე, რომლითაც, ვიმეგორებთ, ბევრს შეუძლია ისარგებლოს.

აღმანახი „ახალი ცისკარი“, 1916, № 1, გვ. 11-12.

სამი ჟურნალი¹

„სხივი“ – გაზეთ „შრომის“ თანამშრომელთა გამოცემა

[...] ამავ ეჟურნალ „სხივი“ არის მოთავსებული ორი ლექსი ცნობილის პოეტებისა ვ. რუხაძისა (ჩახრუხაძისა) და გალაქტიონ ტაბიძის.

[...] გ. ტაბიძე მგოსანია სევდა-კაემნისა, ის ტლუ არის ახალგაზრდა მგოსანთა შორის, როგორც დედის ერთა ობოლი – ხალხთა შორის. მისი ჩანგი სევდიანია, ნაზი, ფაქიზი. არავის არ შერცხვება იტიროს გ. ტაბიძის ცრემლით და იკვნესოს იმის კვნესით. იგი მგოსანია ამაღლებულის სულისა და დაჩაგრულის სიამაყისა. გ. ტაბიძე მსუბუქია ფარავანასავით და მგრძნობიარე ახლად შვილმკვდარი დედასავით. მის ლექსს, მის ჰანგს სათანადოდ გაიგებს და მიხვდება მხოლოდ „სულით ობოლი“, მხოლოდ უანგარო მეოცნებე! ცრემლი გ. ტაბიძისა არის ცრემლი განსპეტაკებულის ადამიანისა და ოხვრა მისი არის ოხვრა ხალხის სასამსახუროდ განმზადებულის ზვარაკისა. გ. ტაბიძის ლექსებს განიცდის მხოლოდ თვით პოეტი, თვით შეგნებულად ნატანჯი და ნაბრძმედი მკითხველი! ამ მხრივ გ. ტაბიძე ნაკლებად გასაგებია საშუალო მკითხველისათვის.

„ცისფერი ყანწები“

ამ ჟურნალის შესახებ იმდენი რამ დაინერა, რომ იმის მეასედის ღირსიც არ არის.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს არც „ფუტურიზმი“, არც „სიმბოლიზმი“, მით უმეტეს, არც ახალი მიმართულება ჩვენ მწერლობაში, არამედ ეს არის ლიტერატურული გაბედულობა და სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა „პოეზია“ და სხვა არაფერი! (ვწუხვართ, რომ ამ ჟურნალში მოჰყვენენ გ. ტაბიძე და ნ. ლორთქიფანიძე).

გათენდება, ამოვა მზე და ჩვენებური „ფუტურისტ-სიმბოლისტები“ თვისის ვეჭილებით, გრ. რობაქიძითა და იმ კრიტიკოსით, „რომლის სულშიც არც ერთი თეთრი არ ეგულება“ ბ-ნ რობაქიძეს, ისე გადნებიან, როგორც შარშანდელი თოვლი.

გაზ. „სამშობლო“, 1916, 27 აპრილი, № 341.

სიკო ლეონიძე

„სხივი“

ლიტერატურული-სამხატვრო კრებული

[...] ბელეტრისტების გვერდით სჩანან პოეტები გალ. ტაბიძე და ვ. რუხაძე. უკანასკნელის ლექსი პოეზიის მხრივ მის წინანდელ ლექსებზე მოისუსტებს. ბოლოს ჩართული სიტყვა „ვეყვირი“ ხომ სულ მთლად შეუფერებელია. მთელი შინაარსი და იდეა ლექსისა არის: მიხედეთ სოფელს ნამებულს!.. ეს კი უფრო პუბლიცისტისაა. სამაგიეროდ ნაიკითხეთ რა პოეზიის საბურველშია გახვეული გალაქტიონ ტაბიძის ლექსები „მთვარის ლანდები“! თვითეული სტრიქონი ამ ლექსისა პოეზიაა და განხორციელება მშვენიერებისა. აქ თვითეულ სიტყვის სიძლიერეს და სინაზეს გრძნობთ, აქ თავისუფლათ ამოისუნთქებთ, რადგან შორსა ხართ „პუბლიცისტურ პოეზიისგან“.

¹ ეს წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას სამ ჟურნალზე („სხივი“, „ცისფერი ყანწები“, „ახალი ცისკარი“) და განხილულია არაერთი ავტორის შემოქმედება. მოგვაქვს ის ფრაგმენტები, რომლებიც უშუალოდ გალაქტიონს შეეხება.

თუმცა დიდ ნაკლსაც არ წარმოადგენს, მაგრამ სჯობდა არ ეხმარა მგოსანს ლექსში ისეთი სიტყვები, როგორც მაგალითად „პაჟი“, „პრინცესა“, „სილუეტები“ და სხ. ჩვენი ენა მეტად მდიდარია და მრავალშინაარსიანი და როდესაც მგოსანი ვერ იყენებს სიტყვებს მშობლიური ენისას, მაშინ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ასეთი „ევროპეიზმი“; თუმცა იგინი ლიტერატურაში მიღებულია, მაგრამ ქართველს უფრო ეჩოთიერება, რადგან რუსთაველის ცეცხლოვან სიტყვებთან აჭრელებულის სიტყვების ხმარება და შემოღება ცოდვად ჩაითვლება...

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, №15, გვ. 15.

ალ. ნერეთელი

ნეორომანტიზმი ქართულ თანამედროვე სიტყვააზოვულ მწერლობაში

[...] რუსეთის მწერლობის ცნობილმა მკვლევარმა პროფ. ვენგეროვმა რუსულ ლიტერატურაში ის ახალი მიმართულება, რომლის ტალღა თანდათან წყნარდება და რომელმაც უკვე სთქვა ის, რისი თქმაც შეეძლო, ნეორომანტიზმის სახელით მონათლა და ამ ზოგად ცნებაში ერთად მოათავსა განახლებისა და აღორძინების მწერალი მაქსიმ გორკი, რომლის გმირებსაც სწყურიათ დაინახონ მაღალი ლურჯი ცის პატარა ნაგლეჯი მაინც: „მაქსიმ, მოდი ვუცქიროთ ზეცასო“, და პესსიმისტი ლეონიდ ანდრეევი, რომელმაც თავის ნაწერებში თავისებურად წამოაყენა ძირითადი საკითხები ადამიანთა არსებობისა, მზის მგოსანი ბალმონტი, შემოქმედებაში მუდამ მხოლოდ თავისი ინდივიდუალი ბუნების გამომხატველი, ეკზოტიკის პოეტი ბრიუსოვი და სხვა. და ეს ჩაიდინა მხცოვანმა პროფესორმა იმ მოსაზრებით, რომ მან ჩამოთვლილ მწერლებს ერთი საერთო პსიქოლოგიური ნიადაგი და ნათესაური სულისკვეთება აღმოუჩინა. „ჩვენი დროის ხელოვნება, – სწერს გერმანელი მწერლობის მკვლევარი პროფ. **ბრაუნი**, – განიცდის ისეთ სულიერ განწყობილებას, რომელიც დიდად გვაგონებს იმას, რაც ოდესღაც განცდილი იყო გერმანული რომანტიზმის მიერ. **იგივე ძიება ახალი გზებისა, იგივე მისწრაფება შეიმეცნონ და გამოსატონ ცხოვრება მთლად. არა გარეგნულის მხრივ, არა მისი მრავალფეროვანი გამოკრთომით, არამედ არსებითად დაგვისურათონ ის, რაც შემთხვევით, და კერძო მოვლენებს იქით იმალება და რაც შეადგენს მათ დაფარულს არსს. ძიება უსაზღვროისა მის საზღვარდადებულ გამოსატულებაში, წყურვილი აბსოლუტისა ტრივიალურ და გაუგებარ სინამდვილის მუხრუჭებშიო**“. ასეთ თვისებებს ვამჩნევთ ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას. ამიტომაც სამართლიანი იქნება ახალ მიმართულებას – „ნეორომანტიზმი“ ვუწოდოთ. ვსთქვათ, მაგალითად, ჩვენი ბელეტრისტის **ა. ჭუმბაძის** შემოქმედებაში ნათლადა სჩანს სურვილი ჩასწვდეს მოვლენათა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სულს, ამოიცნოს მათი „სუბსტანცია“ და არა მათი მიზეზობრივი დამოკიდებულება. ასევე ემჩნევა მეორე ბელეტრისტს **ნ. ლორთქიფანიძეს** და სხვებს. ამასთანავე ჩვენში ახალი მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელთ ახასიათებს ერთი საერთო სურვილი, სურვილი თანამედროვე მეშჩანურ საზოგადოებრივი ცხოვრების ნგრევისა, ხოლო რა საშუალებით, ან რა გზით, ეს სულ სხვა საკითხია. აქ კი მივადევით ერთ კითხვას, რომელიც უეჭველად დაებადებოდა ჩვენს მკითხველს. „კი მაგრამ, არა რა საერთო აქვთ, ვსთქვათ, პოეტს – მოქალაქეს **ვარლამ რუხაძეს**, რომელიც საერთო განახლებას შეჰხარის და მზის მგოსანს, ქართველ ბალმონტს – **აბაშელს**, რომელიც სხვადასხვაგვარად აბრუნებს, მხოლოდ თვის „მე“-ს? ან **იროდიონ ევდოშვილს**, ტანჯულს ერისა და მშრომელთა მგოსანს, სილამაზისა და სიყვარულის მომღერალ პოეტ **გრიშაშვილთან**? ან ცხოვრებისაგან გარიყულთა გამამხნეველ პოეტს **ქურიშვილს** წმინდა ხელოვნების მგოსან **გალაქტიონ ტაბიძესთან**? მართლაც, ერთის შეხედვით, თითქოს არა არსებობს რა საერთო მათ შორის, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით მათ შემოქმედებას,

დავინახავთ, რომ საერთო მათ შორის უეჭველად არსებობს. მათი შემოქმედების უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ლტოლვა ამ ტრივიალურ და მეშჩანურ ქვეყნისაგან სხვა მშვენიერ ქვეყნისაკენ, თუმცა, ვიმეორებ, თვით ამ ლტოლვის გამოხატულება სხვადასხვა სახისაა.

ხელი მოვჭკიდე შვილდ-ისარს,
შევუდექ ბრძოლის ზრუნვასა;
იმედის ქარი დავჭქროლე
სევდის ნისლს, სულის ჭმუნვასა!
ოცნების მერანს მივაფრენ
მთა-ბარად, მინდორ-ველადა;
არწივებს ვუხმობ, არწივებს,
ყორნებთან საბრძოლველადა!!

იტყვის **გ. ქუჩიშვილი**, რომელიც ზოგჯერ ღალატობს მხატვრულ ფორმებს, ოღონდ თავისი საარსებო სულისკვეთება კი გადმოგვცეს. **გალაქტიონ ტაბიძე** ისწრაფვის, ყოველ-დღიური სიცხადით გულმოკლულმა სიმშვიდე მხოლოდ წმინდა ხელოვნების ცალმხრივ სამ-სახურში მოიპოვოს და იტყვის:

ხელოვნება – ეს ოქროა მინის გულში დამარხული,
ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, 1 იანვარი, №246.

აკ. პაპავა

წლის ნაკვეთები

მიმოხილვა 1916 წ. სიტყვაკაზმულ მწერლობისა

მეტად საყურადღებო პოეტია გ. ტაბიძე და დიდი გულწრფელობა, უმეშვეობა სჩანს მის სათუთ შემოქმედებაში. ნაზი მუსიკა უხვად იფრქვევა თქვენს წინ და გხიბლავთ უცხო ჰანგე-ბით... ანკარა ცრემლები არასოდეს ყოფილა ასე მოდუდუნე ჩვენში.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, 11 იანვარი, №768.

ვ. გაფრინდაშვილი

რითმების ტურნირი

რითმა – სიტყვის ორეულია და სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯული;
მას შეჰყავს ჩვენებათა ქაოსი სამუდამო ნაპირებში.
აი რითმები – პოეტების ახალი პორტრეტები:

გაფრინდაშვილი ვალერიან: ქორწილს – დალორწილს.
მაინც – რაინდს.

გვეტაძე რაჟდენ: მემინდე – შემინდე,
ტაროსი – მარაოსი.

გრიშაშვილი ი.: ამქარი – ყალამქარი,
მდურავი – ნურავინ.

დარიანი ელენე: ხელუხლები – მუხლები,
არ სჩანს არავინ – ტანსაფარავი.

იაშვილი პაოლო: ნადიმი – ბადიმი,
მაესტრო – დაესწრო.

კარმელი შალვა: ტევრებს – სატევრებს.

ლეონიძე გ.: სერაბიმი – ესერაბამი.

მაჭავარიანი ლადო: ზღვაბინდი – რაინდი,
გადაღმა – ამაღამ.

მეგრელიშვილი გ.: მადამი – მუდამ.

ნადირაძე კოლაუ: პარადი – მარადი,
ქუჩებს – ურჩევს.

რობაქიძე გრიგოლ: ლადარი – ნადალარი,
შოთასი – ათასი.

ტაბიძე გალაქტიონ: ასოებით – სასოებით,
სილაში ვარდი – სილაჟვარდე.

ტაბიძე ტიტე: ყავრები – კენტავრები,
მხედარს – მხედავს.

ცეცხლაძე გრიგოლ: როდენს – „გიხაროდენს“,
ხელაპყრობილი – საპყრობილე.

ჯაფარიძე ლელი: ქუჩა – დააჩაქუჩა,
ბარათს – ამირბარათ.

ჟურნ. „აისი“, 1918, №1.

ი. გრიშაშვილი

„სონეტი საქართველოში“

საკითხი ასეა დასმული: ისეთი სონეტი, როგორსაც დღეს რობაქიძე სწერს, იყო ჩვენში თუ არა? მე ვამტკიცებ, რომ იყო! ხოლო რობაქიძე კი ამბობს: „რაც „ცისფერყანწებამდე“ სონეტი დაწერილა, არც ერთი მათგანი დაახლოვებით არ შეიძლება სონეტად იყოს მიღებული!“ ნიმუშად, რასაკვირველია, თავისი ლექსი მოჰყავს და დასძენს: „საქართველოში ერთადერთი სწორი სონეტი მე შემოვიტანეო!“

სპარსელებს ერთი ანდაზა აქვთ: „ვინც უზალთუნს მიწუნებს, იმან აბაზიანი მაინც უნდა მიჩვენოსო!“

აბა, მკითხველო-ჯან! ერთი გულისყურით მომექეცი, რომ „ყანწელების“ სონეტები (და მათ შორის რობაქიძისაც – რასაკვირველია) გავარჩიოთ და დავრწმუნდეთ: მართლა მათი სიტყვა ჯანაოზ ექიმის ფაზარი და ხუთოა თუ იმერული აბაზი!

[...] მე აქ აღარ მომყავს გ. ტაბიძის და ტ. ტაბიძის სონეტები, ვინაიდან როგორც რობაქიძე ამბობს: მათ თურმე თვითონვე აუღიათ ხელი თავიანთ ლექსების სონეტობაზე!

დაშხოშ ბიჭო!

რა კარგია და!

ამ პოეტებმა მარტო იმიტომ უარყვეს თავიანთი სონეტები (არა ორფა რითმით აკინძულნი), რომ რობაქიძისთვის გაეადვილებინათ სხვათა გა[და]ფასება.

„სიყვარულო ძალსა შენსა“.

ეხლა, მაგალითად, მე რომ დაუმტკიცო გრ. რობაქიძეს არა-პოეტობა და ნამდვილ პოეტებად მივიჩნიო ტ. ტაბიძე და გ. ტაბიძე – დარწმუნებული ვარ, ეს უკანასკნელნი ამ ფემქაშად მირთმეულ პოეტობასაც უარყოფენ, ოღონდ თავიანთ „ალა-ბატონის“ ბედი გაიზიარონ!

ნათქვამია, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო!“.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, 16 ნოემბერი, № 385.

ვახტანგ კოტეტიშვილი

გალაქტიონ ტაბიძე

(გაკვრიო)

ჩვენში იშვიათია ასეთი უმზეო პოეტი.

ეს უმზეობა მასზე ღრმად და ლამაზად არავის გადაუშლია.

იგი მარტოა.

ამ მარტოობაშია მისი ძალა.

იგი არავის ეკარება, მიტომ არც სხვა ეკარებს მას.

ჟრიაშულ ცხოვრებაში იგი განდევილია.

თუმც მუდამ ხალხში ტრიალებს, მაგრამ ერთი აზრით:

უფრო გამოჰკვეთოს თავისი განდგომილობა.

ძვირად უჯდება კი, მაგრამ მისთვის უფრო ძვირფასია ეულობის ამაყი ცრემლები.

რა უყოთ, რომ იტანჯება და მის სახის კუნთებს ნერვიული ცახცახი ერქმებათ.

აღბად, მისთვის უფრო კარგი იქნება ამ სენის ლოლიკური ბოლო: სახის პარალიჩი, რომ ის დამტვრეული ღიმილიც კი ველარ შესძლოს, ხანგამოშვებით ირიბად რომ ეფინება მის გაცრეცილ ტუჩებს; რომ უნერვო ნიღბად გადაიქცეს „მერი“-ს მიერ უარყოფილი სახე.

სხვა რა აზრი აქვს მის თვალთა მოძრაობას?

„მერი“-ს ხომ ველარ ნახავს.

და ხომ მის ტუჩებსაც სიკვდილის მეტი ველარავინ დაჰკოცნის.

მთელი ცხოვრებაც ხომ „მერი“-ს სასაფლაოდ გადაექცა.

იმ საფლავის ქვეშ კი მთელი ქვეყანა ეგულება.

ამას დასტირის.

მიტომ არიდებს თვალს მზეს და ღამეს უმეგობრდება.

მიტომ არის, რომ გალაქტიონი დღისით მთვრალია მუდამ. ღამით კი, აღბად, სტანჯავს ცივ ბალიშს და ცხარე ცრემლით ასველებს შუქჩამქრალი.

* * *

სევდიანი, უიმედო და ცრემლგამმშრალი გაჩერდა გალაქტიონი იმ დიდ და ქრელ მოედანზე, სადაც სიცოცხლე გამოფენილი. ერთი იყო, მარტოდ დარჩა.

რამდენჯერმე კი სცადა ცხოვრების კალეიდოსკოპიდან გამოეტაცნა რამ მასალები, მაგრამ ვერ შესძლო.

ცხოვრების ეკრანზე სწრაფად ჩნდებოდნენ და ჰქრებოდნენ მისთვის ძვირფასი ლანდები.

„მერი“ – ეს არის გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის გასაღები.

„სთქვი: უეცარი გასხივოსნება

რად ჩაქრა ასე“... ვის ევედრება?

მერის გაელვება წუთი იყო. გაჰქრა და მას ველარ დაიბრუნებენ პოეტის „ლურჯა ცხენები“.

თუმც „როგორც ბედის ტრიალი,

ჩქარი გრგვინვა-გრიალით,

ქრიან ლურჯა ცხენები!..“

მაგრამ უფრო მეტად „იჩქარიან ნამები“... და მათ ჯოჯოხეთურ გაქანებას თან მიაქვს პოეტის უკანასკნელი იმედიც კი... რისთვის? — მოპასუხე არა სჩანს.

ამიტომ მას სიცოცხლე მოვლენათა უაზრო ცვლად ეჩვენება, გონებისთვის მიუწვდომლად, ადამიანი კი, თავისი საცნობ სახით საშინელი, ბოროტი...

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები

სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,

სადაც იქნება ცოფი ნაკლები

და უფრო ნაკლებ ადამიანი...

ქვეყნის ამგვარ უარყოფის გარეშე იგი სხვა გზას ვერ ხედავს. სიცოცხლის ტრაგიზმის ძლევას ასე ჰფიქრობს.

უფრო შორს მიდის. ადამიანის ბედის გადაღმა სჩანს მთელი ბუნების ტრაგიკულობა. მთელი ბუნება აატირა გალაქტიონ ტაბიძემ ადამიანის ცრემლებით. თვით ვერ ურიგდება ამ სინამდვილეს და აოცებს სხვათა შერიგება:

ოჰ! ეს ფოთლები, ცვენილი ქარით,

ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,

ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,

არავის თქვენგანს არ ენანება?..

* * *

ქართული პოეზიისთვის ნაცნობია გალაქტიონ ტაბიძის ხმა, მაგრამ ის ქალური კოლორიტი, რომელიც მის მელანქოლიას ახვევია, მხოლოდ გალაქტიონ ტაბიძის საკუთრებაა.

ასე ნაზი, ასე მელანქოლიური და ქალური ჩვენს პოეზიას არავინ ახსოვს.

თუმც მას ხშირად მოსწყურდება ხოლმე ლირის პათოსი, გმირულ სიამაყედ რომ სჩანს, ან და იმ პიროვნების ძალა, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ღრმა ხმებში რომ ქვითინებს, მაგრამ არა.

მისი ბუნებისთვის ეს როლი მძიმეა.

ბრძოლის ცეცხლზე დანვა მას არ შეუძლიან.

მიტომ რომ 1) ბრძოლის პათოსი არა აქვს. 2) რომ მას ბრძოლა არ სწამს.

მისი პოეზიის „non credo“¹ აქაცა სჩანს.

და ისევ ყრუ ქვითინს არჩევს უმთვარო ღამით.

გალაქტიონ ტაბიძე მოუქცეველი პესიმისტია. შავ განცდებში ეღვარებს მისი ესთეტიკური არისტოკრატიზმი.

მას უკვე მოერია მონამულ მგლის პსიხოლოგია.

¹ ურწმუნოება.

„...ნუთუ ვერ ველირსები ღამის ხარებას: უკანასკნელი ადამიანი მოკვდა. ყველაფერი გათავდაო“, – ასე კვნესოდა დიე „ადამის ლოცვაში“.

გალაქტიონ ტაბიძესაც ეს ხმა ენატრება, რადგან უკურნებელ სევდით არის შეპყრობილი. და ეს სევდა მას არ მოსცილდება, ვიდრე მისი პოეზიის გალერეაში ჩუმი შრიალით ივლის მოლაღატი „მერი“, რომელსაც თან მისდევს პოეტის დამარცხებულ იმედთ შავი ამაღა. „მერი“ მუდამ ივლის.

* * *

გალაქტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ მბორგავი პოეტია.

ხელოვნების გზათა განშტოებაში ის ჯერ ბორძიკობს.

პარნასელები, სიმბოლისტები, დეკადენტები, დემონისტები... ყველაზე ლოცულობს, ყველას შეთავსება სწადიან.

ფორმა თუ შინაარსი? ეს ძველი საკითხი მის პოეზიასაც მეტად სტანჯავს. სიმბოლისტების ფორმის და დეკადენტების პსიხოლოგიური განწყობილების შერიგებას სცდილობს გულმოდგინეთ.

მას თითქოს არ სურს, რომ პოეზია მწყობრი დალაგება იყვეს მხოლოდ, მთელი თავისი რითმებით, ასონანსებით...

მას ჰსურს სიტყვათა შეერთება, შეხამება, რაც აზროვნებას ჰგულისხმობს, ან კანტის ენით რომ ვსთქვა, „აზროვნება ნიშნავს შეკავშირებას და შეერთებას“.

მაგრამ მას ხშირად პარნასიზმის იდეოლოგიაც იტაცებს და მის ლექსებში ირღვევა ბუნებრივი ასოციაცია, თანმიმყოლობა და ლექსიკონებიდან, ან მუზეუმის კატალოგებიდან ამოკრეფილი სიტყვებილა რჩება, როგორც ბალლასტი.

რასაკვირველია, სიტყვების თანხმოვანება ესთეტიური საუნჯეა, მაგრამ ერთი პირობით: როდესაც ბუნებრივად არიან შერჩეულნი და დაკავშირებულნი.

ეს მეორეხარისხოვანი ნაკლია, მისი ნიჭი ამის დაძლევას შესძლებს.

და რომ ვერც შესძლოს, მარტო „მერით“ და „ლურჯა ცხენებით“ გალაქტიონ ტაბიძე მაინც გამართლებულია. მისი გამარჯვება კი მუდამ წინ არის.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 3 მარტი, №768.

ვ. ჩ.

ბალაქტიონ ტაბიძე: CRANE AUX FLEURS ARTISTIQUES.

ლექსები. წიგნი მეორე (1914-1919). ტფილისი. ფასი 25 მ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თანამედროვე პოეზიაში მოიძებნებიან თითქმის ყველა ლიტერატურულ შკოლის და მიმართულების მწერლები, ვიდრე სრულიად უიმედო ფუტურისტებამდე, „თანამედროვე“ პოეტები ჩვენ არა გვყავს. ეს ჩვენს განსაკუთრებულ უბედურებას არ შეადგენს და ჩვენი დროისთვის ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ის, რაც კაცობრიობის ცხოვრებაში მოხდა ამ რამოდენიმე უკანასკნელ წლების განმავლობაში, გადაუვალ ზღუდეთ დაედვა ძველსა და ახალს. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი არასოდეს არ ყოფილან ასე ცხადი, როგორც დღეს. რაც უნდა მოხდეს, მაგრამ ამ ორი ქვეყნის შერიგება შეუძლებელია. ახალი ქვეყნის ცხოვრება დადგა არა თუ იდეალებში, სინამდვილეშიაც. საყვირის ხმით მოევლინა კაცობრიობას, საუკუნოებით ნაშენი სოციალური შიპები შეანგრია, მასების გრანდიოზული ფსიქოლოგია გადაშალა, ადამიანის სულის ნახეთქებში ჩაიხედა. ამ ქვეყანას უნდა ეშვა თავისი პოეტები. მაგრამ... ყველაზედ უფრო თანამედროვე პოეტები სდუმან ამ ქვეყნის შესახებ: მათ ვერ „ჩაფლეს ხელი მის სიღრმეში“, ვერ

მოახერხეს მისი მხატვრული აპერცეპცია. საეჭვოა, რომ ამას ისინი ოდესმე შესძლებენ, რადგან არც სოციალურად, არც ფსიქოლოგიურად ისინი ამისთვის მომზადებულნი არ არიან. არ ვიცი, რა სახით მოვა, მაგრამ ჯერ არ მოსულა ის, ვინც პოეზიის მეხით უნდა ეკვეთოს ამ ბურუსს და გამოსჭედოს მისგან ფოლადისა და ცეცხლის სურათები.

ამ თემაზე და საერთოდ ჩვენს თანამედროვე პოეტებზედ საუბარი შემდეგ გვექნება. ახლა საჭიროდ მიგვაჩნია, რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ გალაქტიონ ტაბიძის ლექსების ახალი კრებული „Crâne aux fleurs artistiques“.

ჯერ თვით სათაური, მერე ეპიგრაფები. წარსული დღის „თეთრ გედებზე“ და „ლურჯ ფრინველებზედ“ მოგვითხრობენ ისინი. გუშინ ისინი დასცურავდნენ მონყენილ დედამინის ტბებში, დასრიალებდნენ მის გალაღებულ ბალებში გუშინ, მაგრამ მას შემდეგ თითქო მთელმა საუკუნემ განვლო. რასაც არ უნდა მოკიდო აქ ხელი, მასში უკვე არ სცემს უშუალო სიცოცხლის მაჯა. გადაშალეთ კრებული, აიღეთ რამდენიმე ლექსი, ალალებზე, რომელიც კი მოგყვით ხელში და, თქვენ მიხვდებით, რომ პოეტი დანთქმულია განმარტოებულ სულის მელანქოლიაში. დედამინა და მისი ცხოვრება ვერ გაუმართლებია მას, დაობლებულს და მუდამ მოგონებებით სავსეს, მაგრამ ეს გრძნობა არ იწვევს მხატვრულ აქტივობას მასში. ის არ ეკვეთება არსებულს, რომ შესცვალოს იგი: ეს შეუძლებელია:

ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერაგინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!

დედამინის ცხოვრება გაუგებარია. შეშინებულ სულის სიღრმიდან მისჩერებია ავტორი მას. ცხოვრება გამოუცნობ აჩრდილებითაა სავსე. ის რაღაც აპოკალიპსური ზმანებაა:

შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმრიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!

„გრაალის კოშკები, ლიდის სამრეკლო“ დაიმსხვრა, დაიმსხვრა ოცნება და რომანტიკა. ავტორი ემშვიდობება მათ, მაგრამ არ ძალუძს მოშორდეს, არ ძალუძს დაივიწყოს იგი:

ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე...

გალაქტიონ ტაბიძე წმინდა წყლის რომანტიკოსია. მის პოეზიაში მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაქსოვები ახალი რომანტიზმის საღებავშია გავლებული. მისი ფუტურისმიც კი უაღრესათ რომანტიკულია. მისი სტიქია არის გაღრმავებული პირადი გრძნობა და პიროვნებაში ჩაკეტილ ქვეყნის ჭაპანწყვეტა. ამაშია მისი ძალა და სისუსტე. თანამედროვე ცხოვრებას საზოგადოთ არ სწყალობს იგი (უკეთ – თანამედროვე ცხოვრება არ სწყალობს მას), მაგრამ იქ, სადაც ძალაუნებურად არ შეუძლია აუაროს მას გვერდი, ტრალიზმით სავსე კაცობრიობის დოკუმენტები ვერ ჩამოუშორებია შეკუმშულ სულის მელანქოლიისათვის: „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „გემი დალანდი“, „რამდენიმე დღე პეტროგრაფში“. ამ ლექსებში „სხვათა შორის“, გაკვრით ეხება ის ისეთ რამეებს, რასაც არ შეიძლება გაკვრით შეეხო.

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი!
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი:
სიკვდილი ერთი და უცაბედი.

აქ არა სჩანს ჩანასახიც კი თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ შემეცნებისა, თქვენ წინ დგას „ობივატელი“. მისთვის რევოლუცია და მისი ეტაპები უბრალო შემთხვევაა, რომელმაც ავტორს ფიზიკურად შეუშალა ცხოვრების გეზი. როგორ ან რისთვის მოხდა ეს – ალაჰმა უწყის. რევოლუციის ფსიქოლოგია სდუმს.

ჩვენ არ გამოუდგებით ამონაწერებს. ავტორის რომანტიულ პესიმიზმის დასახასიათებლად თითქმის ყოველი ლექსი გამოდგება, საიდანაც არ უნდა ამოიღოთ იგი. აქ ყველაფერი ახალიც კი მუდამ ძველზედ მოგვითხრობს. არის ამაში თავისებური „ნასტრონიე“ და გრძნობა, რომლებიც ავტორს ჩვენს დროშიაც მოუპოვებენ თავის მკითხველებს.

იმავე მელანქოლიურ გრძნობით უდგება ტაბიძე გარეშე ბუნებას. მწუხარე დაცვენილი ფოთლები, ყვავილები, ჰაერში ოხვრა, „თმაგანწილი ქარი“ და ასე – ეს ერთი, მუდამ დაჭიმული სიმია მისი ჰანგებისა. ერთი რამ აქვე უნდა აღვნიშნოთ. იქ, სადაც გალაქტ. ტაბიძე ეხება ბუნებას, ის წყვეტს ვინრო სკოლის ბორკილებს და ჩვენს წინ იშლება ნამდვილი პოეზიის სულით აღბეჭდილი სურათები („ატმის ყვავილები“, „ვერხვები“, „მთანმინდის მთვარე“ და სხვ.).

მაგრამ გალ. ტაბიძის ამ წიგნს ბევრი ცოდვა მიუძღვის პარნასისაკენ. ერთი, რომ კრებულში ბლომად მოიპოვებინა ისეთი ლექსები, რომლებიც აღმასების მაგიერ „კუზნეცოვის“ თეფშების ნამსხვრევებით ბრწყინავენ; მეორე – ვერც მან დაახნია თავი ფუტურისტურ თავის გამორეკლამებას. ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ კრებულში მრავალი ისეთი „ლექსი“ არის მოთავსებული, რომლებიც მღვრიე წყალს ურევენ პოეზიის არმუჯში და რომელთა არ მოთავსება კრებულის ღირსებას ასწევდა.

აიღეთ, მაგალითად, მისი „ღრუბლები ოქროს ამურებით“. მოგვითხრობს: „ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული, ვეზუვის ფერფლი... და სხვა და სხვა, და უეცრად, **Deus ex machine**!¹

...საქართველო!
შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე
ჩემს მეგობრობას
უფრო მხურვალედ —
ვინემ მე შენსას!

რისთვის უნდა ნატრობდეს საქართველო ასე „მხურვალედ“ გ. ტაბიძის მეგობრობას, ეს, ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ სჩანს ზემო-ნაპოეტებიდან. სამაგიეროდ „ლექსი“ მშვენიერი ილიუსტრაცია არის ჩვენებური ფუტურისტისა.

სასტიკ დროში სცხოვრობენ ჩვენი პოეტები: ცხოვრება გაძვირდა. ლექსები კი... ლექსებს საზოგადოთ არ ეტანებიან მშვიერ კუჭზედ. არიან მაძღრებიც, მაგრამ მათ პოეზიისათვის არ სცხელათ. რა უნდა ჰქნა, ვის უნდა მიაგებო ლექსები, რა უნდა მოუხერხო ამ დროში ასეთ ფასდაცემულ საქონელს? ერთილა დაგრჩა: გამოხვიდე დიდ შარა-გზაზე და იყვირო: „საქართველო, შენ მოვალე ხარ“... იყვირო ისე, რომ ძალათ გააგონო, თორემ ყურადღებას ვინ მოგაქცევს, ყველას თავისი საქმე აქვს... ყვირიან კიდეც... მაგრამ ბაზარი, რამდენათაც ჩვენ ვუწყით, სდუმს. ალბად სხვა გზებია საჭირო საზოგადოთ.

კრებული შეიცავს საშუალო ფორმატის 128 გვერდს. მასში მოთავსებულია 86 ლექსი უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში დაწერილი. გარეგნულის მხრივ წიგნი ვერაა ხეირიანად გამოცემული, მაგრამ ეს ხომ ჩვენი დროის ჭირია და ჩვენი კიდეც – განსაკუთრებით. ყველაზედ სამწუხარო ისაა, რომ კორექტურა მოიკოჭლებს, რაც ლექსების კრებულისთვის ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენი დროის მიხედვით წიგნი არაა ძვირი და ვინც ჩვენს პოეზიას თვალყურს ადევნებს, მისთვის ამ კრებულის შეძენა აუცილებელია.

ჟურნ. „შვიდი მნათობი“, 1919, ოქტომბერი, № 2, გვ. 451-454.

¹ სიტყვასიტყვით: მანქანიდან გადმოსული ღმერთი. დრამატურგიული და სადადგმო ხერხი ძველ საბერძნეთში. სცენაზე ღმერთის როლის შემსრულებელ მსახიობს საგანგებო აზნე მანქანის საშუალებით ჩამოუშვებდნენ და იგი ცვლიდა მოქმედების განვითარებას, წყვეტდა ძირითად კონფლიქტს. გადატანითი მნიშვნელობით: კონფლიქტის მოულოდნელი გადანწყვეტა.

ივ. გომართელი

ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა

1919 წ.

პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ გალაქტიონ ტაბიძე დიდხანს სდუმდა. ეს გარემოება განსაკუთრებით იყო სანყენი ჩემთვის, რადგანაც პირველ ტომში უტყუარი ნიჭი სჩანდა და ამავე დროს ბარათაშვილის მონათესავე სული.

მეორე წიგნში გალაქტიონი იმდენათ გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი ჩვენს მწერლობაში მეტათ იშვიათი მოვლენაა.

ჩვენში უფრო ხშირათ მწერალი დიდ იმედებს იძლევა თავში, შემდეგ კი ეს იმედი აღარ მართლდება. მწერალს ან აღარ ეტყობა ზრდა, ან ის კუს ნაბიჯით მიდის წინ.

ამის მიზეზი ქართველი მწერლის ნიჭის თვისებაში არ იყო, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრების პირობებში.

მომავალი მწერლები ამ მხრივ გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებიან: თავისუფალი საქართველო და დემოკრატიული წყობილება საუკეთესო ნიადაგი იქნება მათი ნიჭის გასაშლელად.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება ცხოვრებამ ვერ ჩაკლა, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდანვე ცუდ პირობებში იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ის საგრძნობლად გაიზარდა და მისი მეორე წიგნი ჩვენი ახალი პოეზიის ერთი საუკეთესო თვალია.

გრძნობათა სიმდიდრე, სიღრმე და სინაზი, განცდათა სიუხვე და სილამაზე, ფორმის მრავალფერობა და სირთულე, მუსიკისა და რითმის სინაზე და კეთილშობილება, მოცეკვავე, მომღერალი რითმების ნაირ-ნაირობა და სილამაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან და ასეთი ყოველმხრივი სიმდიდრე ხელოვნებისა პირველად მკითხველს ათრობს, აბრუებს, როგორც ცხოველი მზე გასწორებულ თვალს.

პირველად როცა ჰკითხულობთ გალაქტიონის მეორე წიგნს, ის თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებისა გამო გაურკვეველ შთაბეჭდილებას სტოვებს.

როდესაც რამდენჯერმე წაიკითხავთ, მხოლოდ მაშინ შესძლებთ იმის ჩანდომას, გაცნობას, დაფასებას და მისი პოეზიით დატკობას.

გალაქტიონის ახალი წიგნი სარკვეა პოეტის სულისა. აქ მან ჩაგვახედა იშვიათი ლირიზმით გაჟღერებულ პოეზიაში.

ამდენად ნაზი, სათუთი, ფაქიზი, წმინდა და მომხიბლავი გრძნობა, ხან ჩუმი და წყნარი, ხან კი უსაზღვრო, უძირო სევდით დათალხული, – გრძნობა, რომელიც სულისა და გულის სიღრმეში გნვდებათ და მთელს არსებას იპყრობს, იმონებს, ბარათაშვილის შემდეგ პირველად არის ჩვენს პოეზიაში.

გალაქტიონ ტაბიძემ გადაგვიშალა დიდი ესტეტიური ნიჭი, რომელიც ყოველისფერს ზომავს, წონის და აფასებს ესტეტიურის თვალსაზრისით.

გალაქტიონი რითმის, სიტყვათა მუსიკისა და კეთილხმოვანების ბატონია.

ვალერიან გაფრინდაშვილი რითმის ჯამბაზია, მაგრამ ალაგ-ალაგ მასაც ეტყობა ნაძალადეობა – ჭკუა ფიორი – კუ ფიორი და სხვ.

გალაქტიონის მეორე წიგნში ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაძალადევე რითმას. რითმები და ასონანსები აქ ერთიმეორეს ეჯიბრებიან და რითმათა გადაჯგუფებაში მას ტოლი არა ჰყავს.

აიღეთ მისი ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „Voiles“, „ატმის ყვავილები“, „ის“. აქ რითმები მარტო ბოლოში კი არ არიან, არამედ შიგ სტრიქონების შუაგულში.

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი.
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

ჩაუკვირდით მარტო ამ ერთ ტაეპს „ატმის ყვავილები“-დან და დარწმუნდებით, როგორის ხელოვნებითა აქვს ავტორს აწყობილი რითმები შიგ შუაგულ სტრიქონებში.

ასეთი რითმებით მოქარგული ლექსები ჩვენს ახალ პოეზიაში მხოლოდ გალაქტიონსა აქვს.

გალაქტიონის სული მეტად ნაზია, გრძნობით აღვსილი. ამიტომ ის ვერ ასცდა გავლენას. და იმის მეორე ტომს საკმაოდ აჩნევია კვალი სიმვოლიზმისა.

თუ გაფრინდაშვილის პოეზიას ახასიათებს ერთგვარი მისტიური შიში, აქა-იქ ამასვე ვხედავთ, ან ვგრძნობთ გალაქტიონის შემოქმედებაში.

სიმვოლისტებს სჩვევიათ ბუნდოვანად, გაუგებრად წერა.

გალაქტიონის მეორე წიგნშიაც არის რამოდენიმე ლექსი, რომლის აზრი მეტად ბუნდოვანია.

ყოველივე ეს არის შედეგი მიბაძვისა და არ წარმოადგენს გალაქტიონის ნიჭის თვისებას. ამიტომ რაც ადრე მიატოვებს პოეტი ამ დროებითს ნახტომს განზე და მიენდობა მხოლოდ თავის ნაზ და ლამაზ, ტკბილის სევდით დათენთილ აღმაფრენას, მით უფრო ნაყოფიერი და უფრო სხივოსანი იქნება მისი შემოქმედება.

საზოგადო მიმოხილვაში უალაგოა ვრცლად დახასიათება გალაქტიონის პოეზიისა. იმის სევდას, ისე როგორც ბარათაშვილის გულის კენესას ხშირად საპირადო საჩუქარი უძევს.

გალაქტიონი გრძნობს თავის ნიჭს და სულიერ ძალას, იმას საკმაოდ განვითარებული თავმოყვარეობა აქვს და ამავე დროს მეტად ნაზი გრძნობა. სინამდვილე ჯერ არ აძლევს მას, რაც საჭიროა, რომ მისმა ნიჭმა დაუბრკოლებლად გაშალოს ფრთები.

აი აქ არის ახსნა იმისი, თუ რად იმეორებს პოეტი:

რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ.

გალაქტიონ ტაბიძე დიდი ნიჭია და მას დიდი ყურადღება უნდა, სხვანაირი მოპყრობა.

ეს ყურადღება და მოპყრობა მან დაიმსახურა.

თავისუფალ საქართველოში რომ კიდევ ამოიკენესოს მან: რადგან არ მაქვს სამშობლოვო, ეს უკვე ჩვენი სირცხვილი იქნება.

გაზ. „ერთობა“, 1920, 1-3 იანვარი, №1-2.

ალფა

წიგნი არამრავალთაშვის

(გალაქტიონ ტაბიძის ლექსთა კრებულის გამო)

უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი ნიჭიერი მგოსნის, გ. ტაბიძის, ამას წინედ გამოსული წიგნი. კითხულობ პიესას პიესაზე და თავში ბურუსი მეფდება. უკვირდები ნაკითხულს, ეძებ აზრს, მაგრამ ის, თითქო, საუცხოვოდ ნაქსოვ რიდეში გახვეული, თრთის და გარბის, ვით მოჩვენება პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე.

ასე ზაფხულის ბნელ ღამეში გაანათებს ციციანათელა. მას დასაჭერათ დაედევნება მოხიბლული ბავშვი, მაგრამ სინათლე ჰქრება და მან არ იცის, საით ეძიოს ის. მაგრამ, აი, კვლავ იელვა ნაპერწკალმა, ბავშვი კვლავ იმისკენ გაექანა, კვლავ უნაყოფოთ ნაპერწკალი ისევ გაჰქრა. ასე გადაირბენს ის ფართო მინდორს, გულნატკენი გაჩერდება ბნელი ტყის წინ და მწუხარებით მიაპყრობს თვალებს მის წყვილადს, რომელშიაც უიმედოთ ჩაიკარგა უცხო მოჩვენება.

ის, რაც უპირველესათ ყოვლისა იპყრობს თქვენ ყურადღებას ამ წიგნში, არის საზღაპრო ფერია და კრთომა უსისხლო ფერებისა, განსაკუთრებით ცისფერი და ლურჯისა.

მგონია, რომ შემთხვევით არ არის წიგნი ლურჯ ქალაქზე დაბეჭდილი.

„ლურჯა ცხენები“, „ლურჯი რაში“, „ლურჯი ჰაერი“, „ლურჯი ყვავილი“, „ლურჯი ზვირთი“, „ლურჯი ფიფქი“, „ლურჯი ოლარი“, „ლურჯი ზღაპარი“, „წიგნი ლურჯი“, „ლურჯი მანდილი“, „ლურჯი იალქნები“, „ლურჯი სარკე“, „ლურჯი აჩრდილი“ და სხვ.

მერე – ლანდები სასახლეში, ლანდები თეთრ სარკეზე, ფოთლების ლანდი, სიკვდილის ლანდი, დალილას ლანდი, ვან-დეიკის ლანდი, გოიას და ბოტიჩელის ლანდი, მოხუცის ლანდი, აკაკის ლანდი, კაენის ლანდი, მოლანდება ასი ათასი და ნისლის ნამქერი, ნისლის თარეში, მორევიანი ნისლი, ნისლის ლაკე, ნისლიანი ამიდი, ნისლიანი თანამგზავრი, ნისლთა წამოსასხამი.

ამ ლექსთა კრებულის გადაკითხვის შემდეგ თქვენ ვერ წარმოიდგენთ ჩვენ მგოსანს ისე, თუ არ გალურჯებულ ნისლში და ლანდებში.

ოჰ, რა ძნელია აზრის, რაიმე აზრის გაგება იქ, სადაც ამდენი ნისლია!

პეტერბურგი აჯანყებულია. ბრბო ბორგავს და ღმუის. მას მოელანდა ის ბედნიერება, რომელზედაც ასე დიდხანს ოცნებობდა, ეპოტინება ამ მოლანდებას, მაგრამ ამოდ და ის, გაბრაზებული, ცეცხლმოდებული, ყველაფრის დანგრევითა და გაცამტვერებით იმუქრება.

სად არის ის ამ დროს?

რა აზრებს უბადებს ყველა ეს მგოსანს?

ის მხოლოდ განცვიფრებაშია, ის აზრებაბნეულია, მან არ იცის, თავს რა უყოს, „მანაც სად გაჰქრა ეს წერეთელი, ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი! ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი: სიკვდილი ერთი და უცაბედი“, – გაუელვებს მას თავში, – „და როცა ცეცხლში ქანაობს ლავრა, ბრმების თუნუქებს ტყენენ ლოთები, ლავრაში ლოცვა ვერ დავამთავრე და კალუგისკენ გზებს ველოდები“.

გზა გაიხსნა. თავზარდაცემული და ლოცვადაუშთავრებელი მგოსანი მოეშურება სამშობლოსაკენ, მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ მან თუნდა ამბავის ჩამოტანა შესძლოს თფილისში, ისე გაუგებარია მისთვის ყველაფერი ის, რაც მან ნახა. ის, თითქო, სიზმარშია. „შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“ – ჩასძახის მას რაღაც მანვალეული ლანდი.

და სამშობლოში ერთი სურვილი აქვს მგოსანს – „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი. ცა ლაჟვარდია... დღე არის თბილი, მზე არის მწარე... გზა არის ცხელი. კმარა! მოვშორდი შფოთიან ტფილისს! არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი!“

ასე ოცნებობს „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ ლექსში, რომელსაც ჰქვია „გზაში“.

როგორ არა ჰგავს ყველაფერი ეს ნადსონის იმავე სახელის ლექსს:

О горячий песок и об острый гранит

Ты изранил усталые ноги.

Истрадалась, измучилась смелая грудь,

Истомилась и жаждой и зноем,

Но не думай с тяжелой дороги свернуть

И забыться позорным покоем!

შესამჩნევია, რომ გ. ტაბიძის მშვენიერ, ჰაეროვან პოეზიაში ლავრების, საკმევლის მსუბუქი სუნია დაგუბებული.

ეს მისტიციზმი უნდა იყოს.

მისტიკის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მას სწამს სხვა ქვეყანა და მისი იდუმალი კავშირი ჩვენ ცოდვით სავსე ქვეყანასთან.

მისტიკს არა სწამს ბრძოლა და გამარჯვება. მას სწამს ლოცვა და სასწაული. და თუ როდისმე მას გაიტაცებს საერთო აღფრთოვანების ტალღა, ის ადრე იღლება; პირველივე დამარცხება მას სასოწარკვეთილებაში აგდებს და ის მზათ არის, ვით მონამ, მტვერში განთხეულმა, გულში ცემითა და მდულარე ცრემლებით მოინანიოს თავისი თავხედობა.

ამის მაჩვენებელი უნდა იყოს მგოსნის ოცნება „უმანკო ჩასახვის“ სავანეზე, მის წმინდის ადგილების მომლოცველობა, მის გულამოსკენილი –

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს...
შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს – ჩემს თვალებს.
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დაღალულს,
მე შენი უმანკო ნათელი მანვალებს,
მე ველი სასწაულს.

უნუგეშო საქმეა.

რუსი იტყოდა – უკანასკნელიო.

გ. ტაბიძე თავისი წიგნით პირველ ადგილს იჭერს თანამედროვე ქართველ მგოსანთა რიგში. მისი ახალი კრებული დიდი და არაჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენ ახალ პოეზიაში. ის ღირს იმათ, რომ მას დრო და ადგილი დაეთმოს გასარჩევად და შესასწავლად.

ვისაც ხოხვა უნერია, ის ვერ გაფრინდება.

ჩვენი პარნასელებიც, ჩვენ აღმაფრენას, იშვიათად თუ მისწვდებიან გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის სიმაღლეს. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ. დღეს, რევოლუციონური ბრძოლის ხანაში, გამარჯვებისა და ამომავალი ბედნიერების მოლოდინში, მებრძოლი დემოკრატიის, ფართო მასის სულს ვერ მოხიბლავს პოეზია უსიცოცხლო-უსისხლო ფერების, ჩამავალი მზის და უილაჯო მისტიციზმისა.

ამით უნდა აიხსნას ის, რომ ამ შესანიშნავი კრებულის გამოცემა თითქმის შეუმჩნეველად ჩატარდა. დღეს ის არის „წიგნი არამრავალთავის“.

ჟურნ. „მუშათა ცხოვრება“, 1920, 14 იანვარი, №1.

აკაკი პაპავა

ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე

1919 წ. თვალის გადავლებით

[...] „მე მივყვებოდი მწუხარებას შეყვარებული და ქარვისფერი“, – ამბობს გ. ტაბიძე. ეს მწუხარება საშუალებაა ბუნებაში შესასვლელად, მაგრამ თუ სხვას ბუნებაში შესვლა, მასთან შესხეულება, კოსმოსის ზიარება სიხალისეს გვრის, მსოფლიოს მიღებას ამკვიდრებს, ტაბიძისათვის ასეთი ზიარება შვება არაა, მწუხარებისგან დახსნა არაა. მას ისევ მწუხარება ატკბობს. ეს უაილდის თქმაა მწუხარების შესამსუბუქებლად, მისგან ესთეტიურ სიამით დასატკბობად. ტაბიძემ ჰპოვა ასეთი ფორმა სევდისა და ამიტომ უყვარს მას იგი უსაზღვროდ.

ადამიანის ფსიხიკაში ღრმად ჩამარხულა პანთეისტური დასაწყისი, უსაზღვროებისადმი იდუმალი ლტოლვა, ბუნების ყოველ გამოხმაურებაში შესვლა. ეს არის ქალწულებრივი დასაწყისი ბუნებაში გათქვეფისა, პასიურ შესვლისა. მაგრამ ტაბიძეს ასეთი პანთეიზმი პიროვნებას ვერ უკლავს. მსოფლიოს ყოფის ყოველ გამოხმაურებას ემუსიკება ავტორის ქნარი, მაგრამ მისი პიროვნება არასოდეს არ იჩრდილება... სევდით მიღება მსოფლიოსი, აი, მისი სტიქია. მისი რელიგია მწუხარებაა, მაგრამ მას იგი ლხინისათვის არასოდეს დათმობს, მისი ბუნება უაღრესად სუბიექტიურია და მას უყვარს საკუთარ „მე“-ს გამოხმაურება ბუნებაში:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ცვენა.
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.

.....

თოვს: ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
(იხ. თოვლი)

* * *

თუ აბაშელი გარედან თვალებით, ფერადის ქვევით შემოსილი ჭურჭელია – მოზაიკით, გ. ტაბიძე სრულიად სადა ჭურჭელია, გარეგნულად მას ერთი ტონის ფერი აკრავს: მკრთალი, მოღლილი, მაგრამ შიგ უნაზესი სითხეა მშვენიერ სურნელებას რომ აკმევს. გ. ტაბიძე არისტოკრატია ჩვენს პოეზიაში ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით... მასში არ არის სიძულვილი მასისადმი, მაგრამ ამ მასას იგი მიიღებს, როგორც ერთ ობიექტს სევდის წარმოსადენად, მისი სტიქია მარტოობაა უაქტო და უვნებო, მას არ ენათესავენ ცეცხლეული ინდივიდუალური შტირნერისა და ნიცშესი, მას არ უყვარს ლოცვა განმარტოებით, მას უყვარს ყველგან, ყველაფერში თავისი პიროვნების დამტკიცება... მას უყვარს ავტოპორტრეტი. და აი, ერთი მშვენიერი ასახვა ბუნებაში ამ ავტოპორტრეტისა: ატმის ხე თაიგულივით იდგა, მშვენიერი ნაზი ყვავილებით დატვირთული.

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი –
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ხე გაძრცვნილია, მაგრამ ყვავილმა „წითლად დაფარა ბალის ბილიკი“ და პოეტისათვის ეს ავტოპორტრეტი პესიმისტური, უიმედობის მომგვრელი არაა, მასაც შემოეცლება სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი ინდივიდუალობა ნაზი მწუხარების სახით დაეფინება ცხოვრების ბილიკზე და ისიც დასძენს:

„მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?“ სიკვდილი მისთვის საშინელი აღარ არის, იგი ცდილობს, რომ აქაც მუსიკა ჰპოვოს.

გ. ტაბიძე მსოფლიოს ესთეტიურად უდგება და ამაშია მისი ფილოსოფია, პანთეიზმი; ესთეტიურის ღირებულების არის ყოველი საგანი, მოვლენა, როგორც ემპირიულ, ისე გარდაღმა ქვეყნის. მაგრამ უხილავ-მშვენიერებასა და მასში ფანტაზიით შესვლაზე ჩვენ ხშირად გვსმენია. მეტაფიზიკა სიმდიდრის სამყაროა და უხილაობას ბრჭყვიალა პორფირით ჰმოსავს. ტაბიძე უფრო ჩვეულ საგანთა, ამქვეყნიურ მოვლენათა მგოსანია და სწორედ ამ რეალობას უდგება იგი ესთეტიურად. ჩვეული საგანი მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს მუდამ, თუ მხატვარმა მის ინტიმობას მიაგნო. და ტაბიძის გასაღები ამ მხრივ საარაკოა, იგი პირდაპირ, უმეშვეოდ შედის საგანთა ინტიმობაში და ჩვეული მოვლენა თქვენთვის მხატვრულის სახით, უცხო, მაგრამ სადა ესთეტიურის პროფილით იშლება:

საღამო იწვა ხავერდის ყდაში,
ვით წიგნი ლურჯი და ძველის ძველი...
ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული? –
წინაპართაგან ნავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის ნიაღში,

მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაეგვანება.
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!
(იხილეთ „მამული“)

ბუნების სისაღე, საგანთა სიმარტივე მისი „მე“-ობის მუსიკაა და ამიტომ მას არ უყვარს ქალაქი ბუმბერაზობით, გიგანტობით. მაგრამ ქალაქი მაინც ჯერ ვერ ჰკლავს მის პიროვნებას, ამ კონსტრასტებშიც იგი ეძიებს ესთეტიურად მისაღებს... ჰპოვებს ერთ შტრიხს ლამაზს და მთელი ქალაქიც მისაღები გახდება, ქალაქი, რომელიც იწვევს ოცნებას სოფლის შესახებ, იწვევს სურათებს, კონტრასტებს.

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, – თმით მიმოზებით,
და მწუხარების მალენიავეში
მოფრინდენ ლურჯი ანგელოზები.
შემლილი სახით კიოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და სოფლის კერა!
მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა.

მარტოობა ზრდის ტაბიძის არისტოკრატიზმს, მარტოობის მუსიკა ასაზრდოებს მის ესთეტიზმს, მაგრამ მასში იღუმალ სცემს შიში ამ მარტოობისა, მის უკიდურეს სუბიექტივიზმს, ღრმა სევდას გზახნილი სჭირია, სხვა პირთა გამოხმაურება; მაგრამ მსოფლიოს სევდით შერიგება სხვებისთვის მიუღებელია. რეალურ პიროვნებათ და მათ სოციალურ კრებულთ პასიური ჭვრეტით შეგუება არ უყვართ, იქ ბრძოლაა და ამიტომ ვერც ერთ რეალურ პიროვნებას ავტორი ვერ მიიღებს. რადგან ბრძოლა მისი სტიქია არაა. მას არა ჰყავს მეგობარი სევდისა, მაგრამ სიცხადის სიმბოლო მახინჯი სახით ხშირად ევლინება მესამე პირად, დაუპატიჟებელ სტუმარად, რათა ოქროს სიზმრები დაუმსხვრიოს და მისტერიების ჩირაღდნები ჩაუქროს. ეს თანდაყოლილი აუცილებლობის სიმბოლოა, რომელიც გძაგს, გაურბიხარ, მაგრამ ვერ ასცდები.

ეს ყოველდღიურობაა, სინამდვილეა, რაც დისჰარმონიად იჭრება პოეტის ქვეყანაში, მის პლასტიურობაში: „მაგრამ უეცრად ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის... და მივდიოდით ტაძრისკენ სამი“. ასეთივე მახინჯი სჩანს დაუპატიჟებელი „ახალ მოსახლეობაში“. ქალაქი არ უყვარს ტაბიძეს, ქალაქი ცოცხალი სურათია არსებობისთვის ბრძოლის, აქ დაუზოგველობაა, სოციალური ჯგუფების შეხლა და ნაკლებად შეიძლება ესთეტიური მოცუულებით ცხოვრება. ცხოვრების მატერიალური მხარე ესთეტიურ ფასეულობას რომ არ უდგება, ქალაქში უფრო სჩანს, სოფელი შეულახავი პოეზიაა და ისიც აღტაცებით ეძლევა ბუნებას სოფლისას და ამბობს:

კმარა! მოვმორდი შფოთიან ტფილისს:
არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი.

* * *

მგონია, უდავოა, რომ ძვირად მოიპოვება ჩვენში მეორე პოეტი, რომელსაც შესძლებოდა თავისი კოლორიტის შექმნა ფორმისა და შინაარსის მხრით. ტაბიძის ესთეტიურ არისტოკრატიზმს, მის ლამაზ სევდით მიღებას ქვეყნისას შეეფერება ლექსების მსუბუქი ფორმა, ქარვის კეთილშობილი ბზინვა. ეს შეუწყვეტელი, ნელი მუსიკაა, ქალაქისაგან მოღლილ ნერვებს რომ ატკბობს, ეს ყოველი საგნის ინტიმობის ხმაა, მასთან ახლოს რომ მიგიზიდავთ და შეგაყვარებთ:

ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე.
ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!

საზოგადოდ, მთვარე ვით სიმბოლო წყნარის სევდისა და უვნებო ჭკრეცისა – ახლოა ტაბიძის ბუნებასთან ფრიად.

თამამი და ორიგინალური შედარება ხშირია მის ლექსებში. შევჩერდეთ ერთზე.

წარსული წმინდა იყო ამ ქალის –
როგორც სოფელში სამრეკლო ზარი,
როგორც ყანებში ელვა ნამგალის.

განსაკუთრებულია მისი წერის მანერა და ამ შემოქმედებას არ შეხებია თავისი სიტლანქით ცხოვრების სიცხადე – მას უყვარს სიზმრები მარტოობისა და ვერც ერთ სტრიქონში ვერ იპოვით იმედს, მას არ უყვარს სამსახური, იგი არისტოკრატია...

გ. ტაბიძე ქალური დასაწყისია, საყვარელ ვაჟზე სიზმრებით რომ ოცნებობს... აბაშელი მწირია, ამქვეყნიურობას ძალად რომ მოჰგლეჯენ, ასკეტის ყოფაში ჩასჭედენ. შორიდან უჭვრეტს ქვეყანას, საგნებს და ლამაზი სახეებით სტკბება, მაგრამ შეხება კი არ შეუძლიან. იგი პლატონურად ოცნებობს. ტაბიძეს ვნებამ ფრთები დასწვა, ვნებამ ჩაფერფლა მისი ოცნება და მაინც ვერ შევიდა მთელის არსებით მსოფლიოში. იგი შენანიებულია და დაეძებს სხვა გზას, ცხოვრების გასამართლებას, ვნებამ კი მარტო ნუთიერი ნეტარება აგრძნობინა და ნუთითვე მოაშორა ყოფნის კომპარებს. მას მუდმივი დათრობა სწყურია, საიმისო საიდუმლოებას სევდაში დაეძებს: „ღამენათევი და ნამთვრალევი დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“, ამბობს ავტორი. იქნება რელიგიურ აღფრთოვანებაში, მის ექსტაზში ეძიებდეს იგი სულთა იდუმალ შფოთვის დაწყნარებას, ცხოვრების შერიგებას, მიღებას. არა! ეს მას ვერ მისცემს ხსნას, მას მისტიციზმი უყვარს, როგორც არტისტს, მაგრამ მასში დავინწყებას იგი ვერ ჰპოულობს, მას უნდა მარტო თავისი სახე უჩვენოს ღვთაებას, გული გადაუშალოს და ერთი კუთხე აჰხადოს სევდის ფარდას:

...აჰა მოვედი
გედი დაჭრილი ფრთების ცახცახით,
შეხედე, დასტკბი ყმანვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, ნამებულ სახით.

ეს ერთი სახეა მისი სევდის მშვენიერების გადასაშლელად, ეს სევდა კი თავისი შინაარსით ისევე მიუნდომელია, უაღრესად ინტიმური:

სული ლურჯდება და მეოცნებე
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა
.....
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

ცხოვრების რეალური სახე, სინამდვილე (ჩვეულის თქმით) მისთვის ანტითეზაა ნამდვილ ყოფისა და ამ „ნამდვილი“ ყოფის გადაშლა ჩვენს წინ მას არ შეუძლიან. იგი ამაყია ამ ქვეყნის ინტიმობით და ჩვენ მარტო მისდამი სევდას გვიჩვენებს. ტაბიძე უეჭველად ორიგინალი გამოხმაურებაა დღეის ნეორომანტიზმისა, მისი ადგილი მუდმივია სიცხადეში, ვით მუდმივია იდუმალი ლტოლვა ფარულ ოცნებისაკენ, რომელიც ცხოვრების სინამდვილის ანტიპოლია...

* * *

თუ შესაძლებელია პოეზიის პარალელი პრიმიტიულ, ელემენტარულ გრძნობებთან, მაშინ ვიტყვი, რომ გ. ტაბიძე ესთეტიურ ცნოსვის და შეხების პოეტია, ამიტომ ყოველ არსებასთან იგი უფრო ახლო სდგა და მის ინტიმობით მეტყველებს. ს. აბაშელი ესთეტიური ხილვის მგოსანია, ამიტომ ყოველი არსება მისგან მზეს უკავშირდება და სხივების ფერებით ლაპარაკობს და მხატვრობა, ფორმა, გარეგანი მშვენიერება მისი სტიქიაა. ტაბიძე დაწურავს სევდას და მისით მთვრალია მუდამ, აბაშელი შორით უცქერის სიმბოლოს და ნაზ ჭვრეტაში მუდამ აღნიშნავს თავის მარტოობას.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 16, 17, 22 იანვარი, № №729, 730, 733.

ვარლამ ხუროძე

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება

(კრიტიკული ცდა)

ორი წლის უკან ქუთაისში საჯაროთ გამართულ მუსაიფის დროს ჩვენ შევეცადეთ ზოგადად დაგვეხასიათებინა პირველი რევოლუციის აქეთ ამოძრავებული ჩვენი ლიტერატურა, რომელმაც ცხრაასიან წლების მიწურულში ჩვენს ძველ მწერლებთან ერთად თითქოს მიიძინა და მიჩუმდა.

ამ მუსაიფში ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ გამოცოცხლებული ქართული ლიტერატურა ერთგვარ მოსამზადებელ ხანის ელფერს ატარებს; ბევრ უთუოდ ნიჭიერ მწერალს ვახასიათებდით, როგორც ვინრო ფარგლებში მომქმედ მხატვარს, რომელსაც აკლია ცხოვრების მრავალმხრივობა და უთვალავფერიანობა. ჩვენი აზრით, ამ ხელოვანთა შემოქმედების ძირითადი თვისებები მომავალ დიდი პოეტის ქმნილებებში შემადგენელ ელემენტებად შევა. პოეტის სიდიადეს ჩვენ ვახასიათებდით როგორც ნიჭის სიღრმავით, ისე ცხოვრებისეურ მრავალფეროვანებით და სიფართოვით.

ამასთანავე ჩვენ ის აზრიც გამოვსთქვით, რომ ასეთ დიდ პოეტად თანამედროვეებიდან შეიძლება გახდენ შანშიაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, აბაშელი და ნ. ჩხიკვაძე-თქო. არ ვიცი, დანარჩენი სამი როგორ გაამართლებენ ამ აზრს, ხოლო გალაქტიონ ტაბიძემ კი თავისი ლექსების მეორე ტომის გამოცემით კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი იმედები და დღეს უფრო თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტაბიძე დიდი პოეტი იქნება. დიახ, ასეთია ჩვენი განმეორებითი დასკვნა ამ მგოსნის შესახებ, თუმცა, როგორც ქვევით დაინახავთ, ბევრ რამეში არ ვეთანხმები პოეტს.

1

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების ჯერჯერობით ორი წიგნია გამოსული, პირველი წიგნი 1914 წ. გამოვიდა, მეორე კი – ამ გაზაფხულში. ორივე წიგნი ძვირფასი მარგალიტებია ქართული ლიტერატურისათვის, ჩვენს ხელოვნებას უთუოდ დიდი საგანძური შეემატა ამ ტომთა გამოცემით. მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალ კალაპოტში და ახალ ფორმებში ჩამდგარ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უთუოდ ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ნიჭიერი მგოსანი, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში და რომელზედაც ბევრ იმედებს ამყარებენ ჩვენი ლიტერატურის კეთილისმსურველნი.

რას შეიცავს ბ. ტაბიძის პოეზიის სული და გული, ანუ როგორც ბელინსკი იტყოდა ხოლმე – რა შეადგენს ჩვენი მგოსნის აღმაფრენას, პათოსს?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს მივიღებთ პოეტის ორივე წიგნის ზეზეურად გადათვალთქვითადაც კი. ზეზეურად-თქო ვამბობთ იმიტომ, რომ ახალგაზრდა მგოსანი ჯერჯერობით მაინც ერთობ სადა და ადვილად საცნობ სამოსელში გვევლინება, თითქმის ყოველ ლექს-

ში ჩვენს თვალწინ დგას ქართული ლიტერატურისათვის კარგად ნაცნობი ღვთაებრივი სახე „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულის მახვრალი“ ნიკო ბარათაშვილისა. ხელოვნურის სურათის ყოველი ნაკეთის ჩვენებისას ბ. ტაბიძე გულდათუთქული ჭაბუკია მისტიურის სახით, რომელიც გოდებს:

სწუხს ჩემი სული – ვით სამრეკლო
ცის უდაბნოში!

ამქვეყნიური სიხარული მას არ უხილავს სინამდვილეში, – მგოსნისთვის

ყოველი ნუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით.

არსება მისი მოშხამულია და გულამოსკვნით შესტირის ზეცას:

ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი
რომ დამაბარე – ვერსად ვერ ვპოვე,
ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე!

განაწამები პოეტი სასონარკვეთით ამბობს:

ვიცი, ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს,
მაგრამ წამებას, ჩემს წამებას კი არ აქვს ბოლო.

პოეტი გვეუბნება:

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალეში შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის! არ არის!

ამიტომ უიმედოთ დაასკვნის:

მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამავინყოს გულის ღრმა წყლული...

რამ დაუდაგა ასეთნაირად მგრძნობიარე გული ახალგაზრდა მგოსანს, ვინ აწამა მისი სული, ვინ ურჩევს ჯვარს ეცვას?

ბარათაშვილი თავის ზრახვებს „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამაგალთა“ უმხელდა, ადამიანებისთვის კი ვერ გაეხედა წმიდათა წმიდის გადაშლა. ასე იქცევა ბ. ტაბიძე:

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეწენ და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე.

ღამე ბნელი და ნაუკითხავია, მაშ პოეტის სევდაც ჩვენთვის გამოუცნობი რჩება. აგრე ხელძვირობს ჩვენი მგოსანი, მაგრამ როგორც ლირიკოსი თავს ვერ იჭერს და მოზღვავებული სევდა მაინც ამოაკვნესებს:

მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა,
სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული.

სწორეთ ამ „ოდესღაც ზმანებულმა, ერთხელ ნახულმა“ ქვეყანამ დაუდალა ხელოვანს გული:

და დღე და ღამ იმ ოცნებას კვლავ ატარებს ფიქრი ჩემი,
იდუმალად არარა მაქვს მნუხარე ჟამს ნუგეშმცემი.

პოეტს მთელის თავისი არსებით სწამდა სიყვარული და კიდევ სწადდა ამ გზით გაბედნიერება, მაგრამ

დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა!!

– გოდებს იგი.

უმიზნოდ და უაზროთ როდი მოვლინებია ამ ქვეყანას მგოსანი, ის გვამცნევს:

მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძღურდი და მოვიშხამე.

პოეტის აზრით, უბედურია ის ადამიანი, რომელსაც ნუთისოფელში ბედნიერება ვერ უპოვია:

ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა
ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა,
ვისაც აქ სურდა ბედნიერება,
მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვა.

მგოსანს ყავდა სატრფო ამ ქვეყნად, მისის სიყვარულით და შეერთებით ის ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ რაღაც გამოუცნობ მიზეზის გამო მერიმ სხვას უძღვნა თავისი გული და ბედის მონა ჩვენი მგოსანიც უიმედოთ უსაყვედურებს თავის თავს – რისთვის მოვტყუედი და ვიფიქრე ბედნიერი ვიქმნებოდიო:

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?

ბედნიერების მიუზნომლობა, სიყვარულის დაღუპვა, უმეგობრობა, ადამიანთა გაუტანლობა, – აი, რა სტანჯავს პოეტს, აი, რა სწამლავს მისს არსებას. ამიტომაცაა რომ:

უსიყვარულოდ, უმნიშვნელოდ
მიქრიან დღენი,
ოჰ, ვის, ვის ძალუძს განიცადოს
ტანჯვა ესდენი?

ასე გოდებს და ასე სტირის ჩვენი მგოსანი. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ეს გოდება სოციალურის ხასიათისაა, პოეტი ცოდვილ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა ცხოვრების უკუღმართობას დასტირის, ამაზე ჩივის და გულდათუთქულია. პოეტს ამ ქვეყნად ერთი მეგობარიც კი არა ყავს, გული ვერავისთვის გადაუშლია:

არვინ არის – ვუალერსო და მივიკრა დაღლილ გულზე,
არვინ არის, რომ ვუამბო დროთ ზამთარი გაზაფხულზე.

– ჩივის პოეტი.

2

ტაბიძე სოციალური ხასიათის გოდების პოეტი, მისი გოდება, მსგავსად ბაირონისა და ბარათაშვილისა, მსოფლიო გოდებაა. ამ გოდებას არა აქვს მარტო ნაციონალური ხასიათი, ამგვარი სულის ტანჯვა და ასეთნაირი მისწრაფება ყველასათვის ერთნაირია, განურჩევლად ეროვნებისა: დიდი პოეტები ყოველთვის ეძებდნენ ადამიანის არსებობის მიზანს, უძებნიდნენ აზრს ცხოვრებას და მით ცდილობდნენ ადამიანის სოციალურ საიდუმლოებათა წიგნის ნაკითხვას. ამავე წიგნზე იტყვს თავს გალაქტიონ ტაბიძე, მაგრამ სანუგეშო ვერა უპოვია რა და მისი გულიც დასევდებულა, მისი არსება დაცხრილული და მოშხამულია.

ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს

– ამბობს პოეტი.

ბევრი იტანჯა მგოსანი, ეგონა, რომ ბედნიერებას მისწვდებოდა, მაგრამ მოტყუვდა:

მე მჯეროდა, რომ შვება სუფევდა
უჩინრად სადმე: ქვეყნად თუ ცაში,
ნამდვილად იგი არსად არ სუფევს,
არც ცის სივრცეში, არც ქვეყანაში.

ამიტომ თავის მტვრევაც ზედმეტია, მიზანს ვერ მივაღწევთ:

ოჰ, ევა, ევა! ედემს დაკარგულს
ოდეს ვიგონებ, თვალნი ცრემლს ღვრიან,
დარდით სამარე მე გამეთხრება!
დავიღუპები ადრე თუ გვიან.
და ვერ გავიგებ სიცოცხლის მიზანს...

ათასი რომ ეძებოს და შეიძინოს ადამიანი, ბოლო მაინც მიზნის მიუღწევლობა და სიკვდილია, ამ ხვედრს ვერავინ გაექცევა:

ადამიანო, ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი, უბედურს, თვით სიკვდილიც
არ მელირსება,

– სტირის პოეტი, რომელსაც ამ უმიზნო ცხოვრებაში სიკვდილის სურვილიც კი ვერ ასრულებია თავის დროზე.

კიდევ რომ გაბედნიერდეს ადამიანი და მიაღწიოს თავის მიზანს, შვებას მაინც ვერ ელირსება, მისი ბედნიერება მიუწვდომელია და მარტო მირაჟია:

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალეშში, ნევხარ ცივ სამარეში,
ნევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

საზოგადოდ ქვეყნად სრული გაურკვეველობა და ქაოსია:

რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?

ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ სვეულებში გამოუცნობ ქიმერებს.

ადამიანს ირგვლივ გამოუცნობი სახეები და ქიმერები ახვევია, ბედნიერებისა და მისი რაობის წიგნი მისთვის „დაბეჭდილია ბეჭდითა შავითა“, გარშემო ნისლი და გაურკვეველობაა, რომელსაც მგოსანი თითქოს კიდევც შეხარის და მოწინებით ამბობს: „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი“-ო.

ამ შეუცნობელ სამეფოში მოძრაობაც შესაფერი და შეუცნობელია:

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.

და რადგან ხსნა არსად არ არის, ბედნიერებისაკენ მიმავალი გზები დახშულია და განანამებ პოეტს შავი ყორანიც ასე დასძახის:

ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის.

პოეტი სასოებით შელაღადებს მაცხოვარს:

დაქრიან უდაბნო ქარები,
მტანჯავენ და ვიცი – გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

იმედმიხდელი პოეტი, სიკვდილისკენ მიისწრაფის:

მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

რადგან: არ არის არსად ბედნიერება,
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში.

ასეთია გალაქტიონ ტაბიძის, ამ გულდათუთქულ რაინდის, ტანჯული ხატება, რომელიც შესანიშნავის ხელოვნებით გადმოგვცა მან. რამდენი ორიგინალობა გამოიჩინა მან ამ დროს, რამდენი უცხო სურათი და ხელოვნური ხერხები იხმარა მან. მაგრამ ამაზედ ქვევით ვილაპარაკებთ, ახლა კი ჩვენი ახალი ბარათაშვილის შემოქმედებითი სახის სხვა მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

3

როგორც ამოწერილ ადგილებიდან სჩანს, ბ. ტაბიძის შემოქმედება ერთიანად პესიმისტურია, მის წინ ქვეყნიერებას შავი ჩადრი ფარავს, მისთვის ყველგან ბნელია და საშველი არ არის. მაგრამ დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა, რომ პოეტის შემოქმედების მეორე მხარე – იმედიანობაც – არ აღგვეჩუხებდა და შესაფერად არ დაგვეფასებია. ამ შემთხვევაში მგოსნის მჭმუნვარე სახე ცალმხრივი და ერთფეროვანი იქნებოდა. ბ. ტაბიძის გულშიც ღვივა იმედის ნაპერწკლები, ის როდია სავსებით სასონარკვეთილი და მოშხამული, მაგრამ თუ ჩვენ მაინც პირველად ყურადღება პოეტის პესიმიზმსა და უსასობას მივაქციეთ, ეს იმიტომ, რომ იმედიანობის ნაპერწკლები ჩვენი პოეტის ქმნილებებიდან მხოლოდ და მხოლოდ პირველ ტომში

გამოსჭვივის, მეორე ტომი კი ნამდვილი შავი წიგნია, უიმედო, უსასოო. აქაა, რომ შავი ყორანი „საშველი არ არის, არ არის“ ჩამოსძახის მგოსანს.

ლექსთა პირველ კრებულში, რომელიც გამოცემულია 1914 წელს, ავტორი ერთის თვალთაგან რომ შავ სამარისა და ჯურღმულისკენ იხედება, მეორეთი ხანდისხან მაინც იმედოვნობის ვარსკვლავს გაჰყურებს.

როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით,
ლურჯ ხავერდით მოიქარგება,
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით
ბუჩქებს ედება და იკარგება,
ვიღაც მეძახის სიცოცხლისაკენ-ო

– გვეუბნება პოეტი, რომელიც ასე ანუგეშებს თავის გულს:

დამშვიდდი, გულო, შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო,
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღდგება გამქრალი შვება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

მართალია, ადამიანის სიცოცხლე სიკვდილით თავდება და პეპელას არსებობას მოგვაგონებს, მაგრამ

წელიწადები წელიწადს შეცვლის,
შთამომავლობას – შთამომავლობა,
მხოლოდ ის ღელავს ან უჩინარი
მუდამ იცოცხლებს და არ მოკვდება.

მართალია, ამ უჩინარმა ღელვამ პოეტის არსება უღვთოდ დათუთქა, მაგრამ

ოჰ, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი,
განადგურების სევდიან გზაზე
ბევრი რამე მაქვს ხელუხლებელი.

– ამბობს მგოსანი, რომელსაც პეპელასთან ერთად სჯერა, რომ

მისი „ყოფნა ვარდ-ყვავილებზე
სულ არ ყოფილა ისე ამაო“.

იმედია, იმედია, ერთად პოეტს ბრძოლის წყურვილიც აცხოველებს, მას სწადია, გმირულად ჩადგეს მოძმეთა შორის და მედგრად შეებრძოლოს შავ ბედს:

სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

დამახასიათებელია ამ ლექსის ბოლოს სიტყვების „ყოფნის მგმობელის“ ხმარება. პოეტი იმდენად არის განანამები, რომ სიყვარულის ფიცის დროსაც კი ყოფნის გმობა ახსოვს,

– უწმინდესი გრძნობის გადმოშლაშიც კი შხამს ურევს იგი. ასეთივე იყო ბარათაშვილის სულის კვეთებაც: მიუსაფარი და სულით ტანჯული პოეტი, როდესაც შავი ყორნის ხმაზე უგზო-უკვლოდ მიაქანებდა თავის მერანს, თითქოს სასონარკვეთით გაჰკიოდა: „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება“.

ადრინდელი ტაბიძე – ვიტყვით პირველი ტომის, – მართალია, გრძნობს სიკვდილის საშინელებას, მაგრამ წამსვე აქცევს მას ზურგს, არ უჯერის სკეპტიკ მესაფლავეს და ცხოვრების აუცილებლობასა და მიმდინარეობასთან წუთით შერიგებული ამბობს: „ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება“-ო.

ჩვენს მგოსანზე უკეთ ძვირად თუ ვინმეს უგრძვნია ამა ქვეყნის მშვენიერება და მომხიბლაობა:

მთები! როგორ შვენის მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,
როგორ შვენის ველზე ნამი გამჭვირვალე, როგორც ბროლი,
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი.

ლაჟვარდი ცის სიყვარულში ტაბიძესავით არც ერთ ჩვენს მგოსანს არ უფიქრია ანგელოზის დანახვა. მან იცის, რომ

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში, (გურიაში)
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარისობის ნიაღვარი...

და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,
ისე ცეცხლით, ისე ჟინით და იმგვარი გატაცებით,
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ლერწამ-ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში.

ქართულ ლიტერატურაში მე არ მინახავს ამ ლექსზე ხელოვნური, აზრიანი და მომხიბლავი რამე, ასე სხარტად, ღრმად და მოჭრით არ ვიცი, რომ ვინმეს ერვენებინოს ჩვენი ცხოვრების მიმზიდველობა და მხიბლაობა.

მამ ტაბიძეც არ ყოფილა სრული უნუგემო და უსაზღვრო პესიმისტი, მაგრამ, ვიმეორებ, იმედიან ტაბიძეს ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პირველ ტომში, მეორე ტომის ტაბიძე კი სრული უიმედო და სასომიხდილია, იმედიანი ტაბიძე ერთიანად ჩაყლაპა უიმედო გალაქტიონმა. 4-5 წლის უკან თუ იგი ცალის თვალით მაინც გაჰყურებდა იმედის ვარსკვლავს, დღეს ის ორივე თვალით შავს წერტილს უცქერის და მგლოვიარე სერაფიმების ენით ასე მიმართავს თავის თავს:

იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვაილივით დაეცი გზაზე.
ცაცხვები დგანან შენს საფლავთან ვით ცენტავრები,
მათ სიბნელეში ნისლიანი და უეცარი,
გამოჩნდებიან პოეზიის თანამგზავრები,
სდგანან მწუხარედ და იტყვიან: აი, ეს არი.

ერთის მხრივ, სევდა-ტირილი და მეორეს მხრივ, იმედიანობა, ჩვენი ცხოვრების უმიზნობისა და სისაძაგლის გმობა და თან მომავლის იმედები – ეს ნამდვილი ბარათაშვილისეზურია. ბარათაშვილმა იცის ცხოვრების ამაოება, მეგობრის გაუტანლობა, სატრფოს ღალატი, მისი არსება ერთიანადაა დაშხამული ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირით, მაგრამ ბედს მაინც ებრძვის; სიკვდილს არ შეტრფის და ნაღვლიანად ამბობს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა-ო.

ამნაირად პირველი ტომის ტაბიძე და ბარათაშვილი ერთნაირის თვალთახედვის ისრით არიან შეიარაღებულნი, ხოლო მეორე ტომის ტაბიძე უკვე დაშორდა ბარათაშვილის მთლიან სახეს და მარტო და შავ აჩრდილად დგას განშორებული.

რაგვარ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენდა ტაბიძის შემოქმედება და სად უნდა ვეძებოთ მისი ჯერ ბარათაშვილისებური იმედიანობის და შემდეგ სრულის უიმედობის მიზეზები?

4

გალაქტიონ ტაბიძე პირველი რევოლუციის შემდეგ ჩამონოლილ რეაქციის დროს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. რეაქცია იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი. 1905 წლის დამარცხებამ ბევრს შეურყია რწმენა და იმედები. დაიწყო რევიზია და ნაგრძობ-ნაფიქრის ხელახალი გადასინჯვა და აწონ-დაწონვა: ახალი აზრებისა და გრძნობების მაგიერ დაიწყო „კვლავ ფიქრი უკვე ნაფიქრის“, ერთი ადგილის ტკეპნა და სინჯვა. „შემცდარი ხომ არ ყოფილა უწინდელი ჩემი შეხედულებათ? იმიტომ ხომ არ დავმარცხდით, მიუწვდომლისაკენ რომ მივინევდით?“ ჩვეულებრივი იყო ასეთი კითხვების დასმა. საზოგადოების ერთი ნაწილი, ინტელიგენციის ფართო წრეები, რომელიც საკუთარ სოციალურ მდგომარობის გამო მუდამ რყევამა და ყოველ რევოლუციაში უფრო სტუმრის როლს თამაშობს, ვიდრე მასპინძლისას, ამ კითხვებზე უმეტესად დადებით პასუხს იძლევა: კი, მაშინდელი ჩვენი შეხედულება შემცდარი იყო, მიუღწევლისაკენ მივინევდით და იმიტომაც დავმარცხდითო: და იწყება ახალი იდეალების ძებნა, რენეგატობა, სხვათა ბანაკში გადაბარგება. ასეთი მაგალითები ბლომათ მოიპოვება ჩვენში. ძველ რწმენათა რევიზია განსაკუთრებით ძლიერი იყო ჩვენი ნაციონალისტური ინტელიგენციის ფართო წრეებში. ბევრმა 1905 წ. გასოციალისტებულმა ხელი აიღო ამ „უნიდაგო“ ოცნებაზე და უშიშარ ადგილს მოიკალათა. სოციალიზმის „გადასინჯვაზე“ ერთი მიმართულების ლიტერატურაში გვარიან ხმამაღლა იწყეს ლაპარაკი, მიიჩქმალა შორეული მიზანი და წინ წამოდგა პრაკტიციზმი, რუსულ „хоть клоки шерсти“-ს იდეამ ჩვენში უფრო კლასიკური გამოხატვა პოვა განსვენებულ კიტა აბაშიძის სიტყვებით. სოციალიზმი ვის ახსოვდა ამ დროს, ნამდვილ დემოკრატიულ ერთობის მოთხოვნისათვის დასელებს მასხარად იღებდენ.

ერთის სიტყვით, ამეტყველდა ინტელიგენტური სული. ნოე ყორდანია ამ მეტყველებაზე მაშინ ამბობდა: არ არის ყველაფერი თავის რიგზე დანიის სამეფოშიო. როგორც ვიცით, ამ ინტელიგენტურ სულის აფორიაქებას მოყვა ნაციონალ-დემოკრატიებისა და ფედერალისტების განქორწილება, დასელების წრიდან ზოგიერთი პირების რენეგატობა და საერთოდ ბევრი ინტელიგენტის „ყოფილ ადამიანებში“ ჩარიცხვა. ძვირად თუ ვინმე დარჩა შეურყეველ ძველ პოზიციებზე და დროებით ბრძოლის ყველაზე წამოჩოქილ რწმენაშეურყეველ მუშათა კლასთან ერთად განაგრძობდა შავ და უმადურ მუშაობას.

აი, ამ ხანამ იქონია უდიდესი გავლენა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. ტაბიძე უტყუარი სარკეა ჩვენი ინტელიგენციის ფართო წრეების სულის კვეთებისა, იმ სულის კვეთების, რომელიც თავის მიზნით და სინრფელით უთუოდ უაღრესად კეთილშობილური და სპეტაკია, მაგრამ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევებში საზოგადოებრივის თვალსაზრისით სრულებითაც არ ჩაითვალოს პროგრესულად. უკანასკნელი სიტყვები არაფერ შემთხვევაში არ შეიძლება მივაკუთვნოთ ტაბიძის შემოქმედებას, რომელიც ყოვლად სპეტაკი და ყოვლის მხრით კეთილშობილურია.

პირველ ხანებში – პირველი ტომის წერის დროს – ტაბიძეს ჯერ კიდევ უდგია ფეხი მიწაზე და ამიტომაც, რომ უიმედობასთან ერთად მისი ლირიკული ქნარი იმედიან ჰანგებსაც დამღერის. იმედიანობა და ოპტიმიზმი მუშა ხალხის თანდაყოლილი მდგომარეობის მიერ შესისხლბორცებული თვისებაა, მიუხედავად იმისა, რომ „ყველა დაწყველილი კითხვები“ დემოკრატიისათვისაც არსებობს, ბრძოლისა და სიცოცხლის ინსტინქტი ისე ძლიერია მასში, რომ ბოლოს და ბოლოს ის მაინც ოპტიმიზტია და ფილოსოფიური სიდიდით უყურებს სიკვდილსა და სიცოცხლეს, სიცილსა და ტირილს: ცხოვრებაზე ასეთ შეხედულებას, ანუ შერიგებას ასე გამოსთქვამს ვაჟა-ფშაველა:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ერფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ყვავისა.

იმავე მგოსნის სიტყვით, ბუნებაში ერთგვარი აზრიანობა და მიზანშეწონილება არსებობს:

ხევი მთას მონებს, მთა ხევსა,
წყალი ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყველანი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ,
და მე ხომ ყველას მონა ვარ
პირზედ ოფლ-გადამდინარეთ.

აი ცხოვრების პროცესის ფილოსოფიური განჭვრეტა, მასთან შერიგების ნიმუში, რაც ასე ახასიათებს მშრომელთა კლასს, სოციალური ოპტიმიზმის ბუნებრივად მატარებელს. სწორედ ეს ოპტიმიზმია, რომ პირველი ტომის ტაბიძეს იმედიანობის სამოსელში გვაჩვენებს, სიცოცხლისაკენ მაყურებელს გვიხატავს, მაგრამ გადის დრო, საზოგადოებრივი რეაქცია თანდათან ძლიერდება, დგება ომიანობის შავი ხანა – 914, 915, 916 წლები – ინტელიგენცია თითქმის ერთიანად შორდება დაბალ ხალხს... აი ამ ხანაში ტაბიძის განმარტოვებული მუზა, რომელიც უკვე დავაჟუკაცებული და მომნიფებულია, ძალუმად მიექანება ლოლიკურ დასკვნისაკენ და კიდევ იწერება შავი წიგნი, რომელსაც ეწოდება გალ. ტაბიძის ლექსთა მეორე ტომი, სევდითა და უიმედობით აღსავსე.

იქონია თუ არა მეორე რევოლუციამ შესაფერი გავლენა ჩვენი პოეტის მუზაზე? ამ დიდებულ მოვლენას ტაბიძე აღტაცებით შეხვდა, ქუთათურ „სოციალ-დემოკრატი“ მან დაბეჭდა მშვენიერი ლექსი – „დროშები, დროშები“, – მაგრამ ეს აღტაცება ნამიერი იყო, ტაბიძე იმდენად მომნიფებული და ფეხმომაგრებული აღმოჩნდა, რომ ამ უდიდესმა ტალღამაც კი ვერ მოაცვლევინა ფეხი, ის ვერ გადაეშვა რევოლუციის ემბაზში, რევოლუციამ მის გარეშე გაიარა, კოლექტივიზმმა ვერ სძლია ინდივიდუალიზმს.

თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე-ო

მოსთქვამს მგოსანი უიმედოთ მეორე ტომში. დამახასიათებელია, რომ ზემოთ დასახელებული ლექსი – „დროშები“ – ტაბიძეს არ შეუტანია მეორე ტომში, ალბათ თითონ პოეტიც არ სთვლის ამ ლექსს მისი დღევანდელი სულიერი მდგომარეობის დამახასიათებლად.

ამნაირად, ჩვენს წინაშე დგას გულდათუთქული რაინდი, რომელსაც მხოლოდ ყმანვილურ გატაცებისას ეწვევა იმედი, ესიზმრება ზღაპრული ქვეყანა, ხოლო მას შემდეგ თავჩაქინდრულია, უიმედოთ კვნესის.

შორეული ქალის ემხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის.

ტაბიძის მუზას მართლაც განმარტოებული სასახლე აქვს აგებული და ამიტომაცაა, რომ იგი მეორე რევოლუციაში გარიყულივით დარჩა. თავიდანვე ფართო ცხოვრების გარეშე დარჩენილი, რომელიც პირველ ტომშიც ასე ნატრულობს:

„და ვიყო ერთი ყველგან, მუდამ მსურს ვიყო ერთი“-ო, დღეს მართლაც განმარტოვებულა, სურვილი აუსრულდა.

ტაბიძის შემოქმედების მეორე ხანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად სიმბოლიზმის საკმაოდ დიდი გავლენაც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

5

ამნაირად ჩვენი შეძლებისდაგვარად ავხსენით ტაბიძის შემოქმედების სული და გული, მთავარი დამახასიათებელი გზა, ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეშალა მგოსნის აზროვნება და მსოფლმხედველობა. შევეცადეთ აგრეთვე გვეჩვენებინა ამ მსოფლმხედველობის გამომწვევი საზოგადოებრივი პირობები. ახლა კი შევხებით ტაბიძეს, როგორც მხატვარს, როგორც ხელოვანს.

ტაბიძე როგორც ხელოვანი, თავიდანვე თითქმის უნაკლულო იყო და ზედმინწევით აკმაყოფილებდა ესტეტიკის მოთხოვნილებებს, დღეს კი თვით უსასტიკეს დაფასებასაც თამამად გაუძლებს. სწორეთ ამიტომ იყო, რომ ესტეტიკურად განუფითარებელი ჩვენი საზოგადოება და რამდენიმეთ თვით მწერლებიც კი ტაბიძის შემოქმედებას კარგა ხანს ჯეროვანათ ვერ აფასებდა. საზოგადოება ისე იყო გატაცებული სიტყვებით მორახუნე ლექსებით, რომ ტაბიძის ნაზი ქნარი მას ვერ ხიბლავდა, მაგრამ ხელოვნებამ მაინც თავისი ქნა და ტაბიძეც დააფასეს.

ტაბიძე ძლიერი და შეუდარებელია, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრის ღრმა ალბექდვაში და მკვეთრად გადმოცემაში, ისე იმ ხელოვნურ ხერხებში რომელსაც ის ხმარობს, ხელოვანის ალლო იმდენად ძლიერია მასში, რომ თითქმის ყოველი ლექსი დასრულებული და უტენდენციო ხელოვნური ქმნილებაა. ვერსად ვერ გრძნობთ თან აღებულ აზრის ან გრძნობის გადმოცემას, ყველგან ბუნებრივობა და მომხიბლავი უბრალოებაა, რაც უდიდესი განძია ყველა შემოქმედისათვის. მშვენიერი და ორიგინალური შედარება, ნარნარი და ქალწულებრივი წრფელი გრძნობა – პირდაპირ ატყვევებს და ბოჭავს ადამიანს. ტაბიძე ყოველთვის და ყველგან გულწრფელია, მანჭვა და ნაძალადევი ექსტაზი მისთვის შეუძლებელია, არ არსებობს, მხატვრული გადაჭარბება და თავშეუკავებლობა მან არ იცის. მართალია, ხანდისხან ის ბარათაშვილს ბაძავს („ხომლი“) ხან ტიუტჩევს („***არ მინდა სიტყვა“), მაგრამ საერთოდ ის მაინც ორიგინალურის სურათებით მოაზროვნე მგოსანია და მისი პოეზიის საღებავიც ათასფეროვანია. თითქმის ყველა ლექსის თემა ერთნაირია, მაგრამ გადმოცემა ისე ხელოვნურია და იმგვარის საღებავებითაა შემკული, რომ პირდაპირ იხიბლებით და სრულებითაც ვერ გრძნობთ პოეტის ერთფეროვნებას.

ტაბიძის ხელოვნური ნიჭი იმდენად ძლიერი და მომაჯადოებელია, რომ ყველას დაიმორჩილებს; თქვენ შეგიძლიათ არ გაინანილოთ ტაბიძის მსოფლმხედველობა, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფთ, რომ მისი ლექსების კითხვის დროს სწორეთ იმ გრძნობას განცდით, რასაც თითონ პოეტი განიცდიდა, სწორეთ ისე უყურებთ მაშინ ამქვეყნიურ ცხოვრებას, როგორც მგოსანი. პირადად მე არ ვიზიარებ ტაბიძის მსოფლმხედველობას, მაგრამ პირდაპირ ჟრუანტელს მგერის ამ სიტყვების ნაკითხვა:

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალეში შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!
დაქრიან უდაბნო ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო, მაცხოვარ-ო!!.

მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უაღრეს წერტილზე ასულად უნდა ჩაითვალოს, ასეთი სადა, მომხიბლავი და ძალდაუტანებელი რითმა თითონ გრიშაშვილსაც კი არ მოეპოვება; ამ მხრივ ტაბიძე პირდაპირ აკაკია ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურისთვის.

აი ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ, აზრის სიღრმავე, ძლიერი ხელოვნური ალლო და საშემოდგომო ტილოს სიფართოვე – გვგონია, რომ ტაბიძეს უთუოდ მოელის დიდი პოეტის გვირგვინი. მე სრულებით არ თანაუგრძნობ მეორე ტომის ტაბიძეს, ვერ გავიზიარებ „ლურჯა ცხენების“ ფილოსოფიას, ეს მიმართულება არ მიმაჩნია საღათ და ცხოვრების შესაფერისად, მაგრამ ამავე დროს ღრმად მჯერა ისიც, რომ ტაბიძესავით ღრმა და სრული ხელოვანი ამ გზაზე ვერ შეჩერდება, მრწამს, რომ ტაბიძე ისევ პირველი ტომის ხაზს დაუბრუნდება და, ადრე იქნება თუ გვიან, თავს დააღწევს იმ მისტიკურ ნისლს, რომელშიაც ის გახვეულა. ამას მოამოქმედებინებს პოეტს მისი მხატვრული ალლო და არა სხვა რაიმე.

მეორე ტომს აშკარად აზის სიმბოლიზმის ბეჭედი: მისტიკა, ღვთისმშობელი, წმინდა ჩასახვის მონასტერი, მაცხოვარი, ჯვარის წერა, სამრეკლო, ზარები... და სხვა საეკლესიო ატრიბუტები ხშირია ამ ტომში. გაუგებრობას და სტილის ბუნდოვანებასაც, – რაც ასე ახასიათებს სიმბოლიზმს – დიდი ადგილი აქვს დათმობილი: ზოგი ლექსის კითხვის დროს ლექსიკონის ხმარებაც კი არის საჭირო. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შინაარსის ბუნდოვანებას თითონ ლექსის ფორმის – გარეგანი მხარის – ბუნდოვანებაც თან მისდევს. ფორმა და შინაარსი – ორივე ძნელად გასაგები – მშვენივრად შეუთანხმებია ტაბიძის ძლიერ ნიჭს. ნაიკითხეთ მეორე ტომი და აშკარად დარწმუნდებით ამაში.

სიმბოლიზმის დახასიათება ჩვენ სხვა ადგილას მოვახდინეთ („სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში“, „ერთობაში“) და დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია ამ მიმართულების აწონ-დაწონვა. ეს ლიტერატურული მიმართულება საზოგადოებრივი რყევის, ქანაობის და ამ ქვეყნის უარისყოფაზეა აგებული, სრულიად ბუნებრივია, რომ ტაბიძის აფორიაქებულმა ინტელიგენტურმა სულმაც აქ იპოვა ნავსაყუდარი, მაგრამ ეს მიმართულება ავადმყოფურიც არის და ხშირად მომხდარა, რომ ამ მიმართულებისაგან განკურნებული მწერლები ისევ ჩვენს ცოდვილ დედამიწას დაბრუნებიან. ასე განიკურნა, მაგალითად, რუსეთის ბევრი სიმბოლისტი, დასავლეთ ევროპაშიც ხშირია ამის მაგალითები. აი რასა სწერს ევროპის საუკეთესო სიმბოლისტი, მორის მეტერლინკი: „მე დავწერე რამდენიმე პატარა დრამა, რომლებშიაც გამოიხატა მისტიურად განწყობილი აზრის ნუხილი: ეს ნუხილი შეიძლება მისაღება სახეში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კეთილი გავლენა არა აქვს და არც უნდა მივეჩვიოთ ხოლმე მას. ამ დრამების წარმომშობი მთავარი მიზეზი ცხოვრების გაურკვევლობის წინაშე თრთოლვა და შიში იყო: მე მაშინ მწამდა, რომ ქვეყნად არსებობს შეუცნობელი, აუცილებელი და ფატალური ძალა, რომლის გავება ადამიანისთვის შეუძლებელია და რომელიც ჩვენი მტერია... აქ არეული იყო ქრისტიანულ ღვთაებისა და ანტიკური ფატუმის იდეა, რომელიც ბუნების სიბნელეშია მოთავსებული და შეუბრალებლად არღვევს ყველა ჩვენს მისწრაფებას და ანადგურებს ადამიანის ბედნიერებას“. მეტერლინკის აზრით, შეიძლება, რომ პოეტი გაიტაცოს ამ პასიურმა მსოფლმხედველობამ, მაგრამო – დასძენს იგი, – არ შეიძლება, რომ კაცი ერთ წერტილზე გაიყინოს, არც იმოძრაოს. ადამიანური გრძნობა პოეტობაზე უფრო ღრმა და ძლიერია და წინაც დიდი მიზნები უძევსო. ძლიერ კაცს, მეტერლინკის აზრით, მშვენივრად ესმის, რომ უნდა შეისწავლოს და იცოდეს მისი ბედნიერების მომსპობი ძალები, ამ ნიადაგზე მას ბრძოლაც მოელის და სხვა (Кризисъ театра, 1908, გვ. 23-24).

აი, ასე მსჯელობს ერთი დროის დიდი სიმბოლისტი და დიდი ხელოვანი მეტერლინკი, რომელიც სიმბოლიზმით გატაცების შემდეგ ისევ ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ტაბიძესაც მალე მოაბრუნებს ამ ქვეყნისაკენ მისი ადამიანური გრძნობა და მხატვრული ალლო, მისი გოდება და ტირილი გამოწვეულია სახელითა სიცოცხლისათა, სახელითა ამქვეყნიურ ბედნიერებისათა და დიდი ნიჭი კიდევ მიაღწევს მიზანს: ტაბიძემ სთქვა, რისი თქმაც კი შეეძლო. მისტიციზმის გზაზე, აქ დარჩენა მას დღეიდან სიკვდილს უმზადებს; მასში ძლიერი და უსაზღვროა ცხოვრების ინსტიქტი – ამისთვისაა მისი ტირილიც აგრე გულშემზარავი – ამიტომ, ჩვენის აზრით, ტაბიძე ისევ ცხოვრებას მიხედავს, დაუბრუნდება პირველ ტომს, კვლავ აღინთებს ამქვეყნიურ სიღუბჭირესთან საბრძოლველ ცეცხლს და ერთხელ კიდევ იტყვის საყვარელ გურიის შესახებ:

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,
ისე ცეცხლით, ისე ჟინით და იმგვარი გატაცებით.
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ლერწამ-ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში.

დავასრულეთ ჩვენი კრიტიკული ცდა. ღმერთმა გვაშოროს მსაჯულის როლი ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ვცდილობდით ჩვენი სუსტი ძალ-ღონით აგვეხსნა და განგვემარტა მგოსნის შემოქმედება და მისი მომავალი გზები. არ ვიცი, რამდენად დამაკმაყოფილებელია ჩვენი ცდა, მაგრამ ერთ ღირსებას კი მაინც ვერავინ წაართმევს ჩვენს ნაშრომს. ეს არის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ავტორის წმიდათა წმიდასთან, მის პოეზიასთან. გვწამს, რომ უამისობა არ მიეტყვება პატიოსან ადამიანს და ამ შემთხვევაში აშკარა შეცდომებიც კი ეპატიება მას.

თქვენ გითხოვთ საკურთხეველიდან აღსავლის კარებში ბარძიმით ხელში მორწმუნეთა საზიარებლად გამოსული მღვდელი, რომელიც მონინებით ამბობს: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით.“ ასეთნაირად მეხატება მე თავისი ნაწერების ქვეყნად გამომშვები მგოსანი, რომელიც ღალადებს: კრძალვითა ხელოვნებისათა და სიყვარულით მოხვედით. და ვაი იმას, ვინც ბინძურის გულით მიეგება მას, ვინც შუარცხყოფს პოეტის წმიდათა-წმიდას.

ხონი, 1919 წ., აგვისტო

ჟურნ. „ცისარტყელა“, 1920, № 2, გვ. 81-96.

ვალერიან გაფრინდაშვილი

რითმა და ასონანსი

[...] თუმცა რითმის ნახვა შრომის საქმეა, მაგრამ აქ ფანტაზიაც საჭიროა უსათუოდ. ვიცა, საც შეუძლია მოიგონოს ასეთი რითმა: სილაში ვარდი – სილაჟვარდე (გალაქტიონი), უკაცრავად – დაუკანრავად (პაოლო) – იმას აქვს რითმის მჭერმეტყველი ფანტაზია და რითმის ხილვა...

ჟურნ. „შვილდოსანი“, 1920, იანვარი, № 1.

ტ. გრანელი

გალაქტიონ ტაბიძის საღამოს გამო

აპრილის 7 სახელმწიფო თეატრში კიდევ იმართება საღამო ჩვენი მგოსნის გ. ტაბიძისა. ჩვენ, რასაკვირველია, ბევრს ვერაფერს ვიტყვით გალაქტიონის პოეზიაზე, განსაკუთრებით ამ წერილში, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც მინდა ხაზი გაუსვათ მის შემოქმედების ზოგიერთ თვისებებს. გალაქტიონს უმთავრესად თავისებურობა ახასიათებს პოეზიაში და ეს გარემოება უეჭველია დადებითი მხარეა მისი შემოქმედებისა. საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაქტიონმა თავისი წვლილი შეიტანა.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ გალაქტიონი მიმართულებით სიმბოლისტია, იგი ყოველთვის თავის განცდებს სიმბოლიურად გვიხატავს და მის ლექსებში უმთავრესად სიფაქიზის

და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. გალაქტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალული, მას სწამს მხოლოდ „მე“, როგორც მსოფლიოს განუსაზღვრელი და განუყრელი ნაწილი. გალაქტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილულ ქვეყნის ანარეკლია, იგი ყოველთვის საგნების გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს და აქ არის გალაქტიონის გამართლება; მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალურ და ესტეტიურ გრძნობის დაკმაყოფილება. გალაქტიონმა ნახა თავის სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს თავი რომ გავანებოთ, „ლურჯა ცხენები“ შედეგია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. აგრეთვე ასონანსებს მის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რომელსაც უმაღლესი პრეროგატივა ეძლევა ახალ პოეზიაში.

გალაქტიონი ვინრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავის შეუკავებელ სულით ლიცენციისაკენ მიისწრაფვის, და აქ იმალება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები.

ჩვენ ამ წერილში ყოველივე პრეტენზიებს გვერდს ვუვლით და თამამად ვამბობთ, რომ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში არ დავეთანახმოთ გალაქტიონს, მაგრამ რამდენიმე ლექსით ჩვენ მას ვღებულობთ, როგორც პოეტს. რასაკვირველია, აქ ვერ შევეხებით ჩვენს შეხედულებას თანამედროვე პოეზიაზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ გალაქტიონმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი, მან იცის თავისი დანიშნულება, და ჩვენ ვფიქრობთ, მომავალში იგი სავსებით დაიკავებს იმ ხაზს, რომლის წიაღში პოეზიის აბსოლუტიური გამარჯვება აუცილებელი იქნება. წერილს აქ ვათავებთ და ჩვენ ვფიქრობთ, ვისთვისაც საინტერესოა პოეტის პატივისცემა, მან, უეჭველია, საღამოზე დასწრების სახით უნდა მოიხადოს თავისი მოვალეობა.

გაზ. „ახალი ნაკადი“, 1920, 4 აპრილი, № 4.

კოლაუ ნადირაძე

ქართული პოეზია

გ. ტაბიძე „Crâne aux fleurs artistiques“

II ტ. თფილისი. 1919 წ.

მიუდგომელი მინდა ვიყო. გალაქტიონ ტაბიძე ქეშმარიტი პოეტი არის – მაღალი რანგის. ეს ბევრს ავალებს მას. მისი ლიტერატურული ბიოგრაფია 1907 წლიდან იწყება. პერიოდი „სევდიან“ ლექსებისა მან განვლო და პირველ წიგნში ვალი მოიხადა თავის ახალგაზრდობის წინაშე. რამდენიმე წლის შემდეგ მისი მეორე წიგნი გამოდის. ჩვენ დიდის ყურადღებით შევხვდით მას, მით უფრო, რომ ჩვენ ის დასრულებულ პოეტათ მიგვაჩნდა „ცისფერ ყანებში“ მოთავსებულ ლექსების შემდეგ.

„ლურჯა ცხენები“ შედეგია, თუმცა გალაქტიონ ტაბიძის ქმედით ინდივიდუალობას არ ეთვისება. ამ ლექსის შემდეგ ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით, მაგრამ წიგნში ვერსად აღმოვაჩინეთ. ირრაციონალური პოეზია „ლურჯა ცხენებისა“ არსად არ მეორდება მისი საოცარი დინამიკით. იქნებ ეს უკანონო მოთხოვნილება იყოს. შეიძლება ის შემთხვევითი ლექსია – ალკოგოლის კოშმარი, ცრემლებით და რითმით გაკეთილშობილებული.

მთელი წიგნის მიღება გასაჭირია: აქ არ არის დაცული ესთეტიური კულტურა და მხატვრული სისწორე. პრეტენზიებს ჩვენ გვერდს ვუართ.

ფარულ ტკივილების ბალი დაბურული
ასეთ გრადაციით მიდის ფრთა – ზვიადი! (?!)
ღამე – მარტოობის მტევნით დახურული (?!)
ფარდა იდუმალი, სარკე – იშვიათი.

ღამე ჩრდილოეთში უნდა გამეთია,
როცა აზიიდან მოდის განათება –
ათას საუკუნის მთელი ტრაგედია
მოსდევს მოგონებას როგორც ანათემა.
(„გრადაცია“)

ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს (?)
პალაცო პიტტი და პერუჯი, ვენეტა.
ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,
რომელსაც იძლევა ხმები მასენეთა. (!)
(„ვუალისა და ვიოლეს შესახებ“)

არის სასტიკი ადგილებიც, უმხატვრო, ყალბი „ბუტაფორიის შეხლა“. ჩვენ ამას თამამად ვამბობთ. მაგალითი:

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი! (?!)
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი!
სიკვდილი ერთი და უცაბედი.
(„რამდენიმე დღე პეტროგრადში“)

და სხვ.

ზოგიერთი შედარებები და მეტაფორები თარგმანია ჩვეულებრივ რუსულ სახეებისა, თუმცა სიძვირფასის შთაბეჭდილებას იძლევიან. მაგრამ ერთი რამ ითქმის უსათუოდ: წიგნში არის ამღერება (напев), და თუ სამი სტრიქონი ყალბია, მეოთხეში დიდ პოეტს იგრძნობთ. კარგია ლექსები: „მარმარილო“, „პარალელი“, „ედგარი მესამედ“, „სახლი ტყის პირად“, „შენი სადღეგრძელო“. გალაკტიონ ტაბიძისთვის სახიფათოა ის ქება, რომელიც მას ერგო ბ. გომართელის, პაპავას და სხვების მიერ. ეს სწრაფი მიღება არ არის გასახარელი, მით უმეტეს, რომ მას ყველაზე პირველათ აგრარულ საკითხებზე ჭკუადაქნილი კრიტიკოსები ასხამენ ქებას.

საქართველოში ყოველთვის ადვილი იყო პოეტის სახელის ტარება და არც ერთ ქართველისთვის პოეტათ ყოფნა ჯერ კატასტროფით არ დასრულებულა. ქართული პოეზია და ქართული სცენა ყოველთვის ერთი განცდის ქვეშ იყვნენ და ერთ ღირებულებას წარმოადგენდნენ. ქართველი პოეტი და ქართველი არტისტი ეს ორი საოცარი კონგენიალობაა ბანალობისა. გრიშაშვილი და „არშინ მალ-ალან“ – ჩვენი გემოვნების და ესთეტიურ კულტურის კოეფიციენტათ უნდა ჩაითვალოს. მათი გამარჯვება სასწაული არ ყოფილა, არც მოულოდნელი. დღეს საქართველო ეშაფოტათ გადაიქცა ზოგიერთისთვის და ბევრი დაიტირებს მას, როგორც დაკარგულ იმედს...

ჟურნ. „შვილდოსანი“, 1920, იანვარი, №1.

ი.ი – ანი

გენიალური გალაკტიონი

ეს მეათეჯერ წავიკითხე ეს თეთრყდიანი წიგნი და ვიცი: კიდევ მრავალჯერ დავუბრუნდები, რადგან აქ ყოველი ლექსი ღამაზი სიზმრებით გასწვრივს, აქ სინამდვილე მთვარის შუქით დაფერილი სიზმარეთია. ეხლა ცხადია, რომ გადავიდა მამულიშვილური და პროგრამული პოეზიის ხანა. ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღსარება ეს წიგნია: „Crâne aux fleurs“.

გავიხსენოთ ჩვენი პოეზიის უფსკრული გუშინდელი. აკაკის მზეობამ ბევრი დააბრმავა, მისი მარგალიტები დაიტაცეს და დაახურდავეს. გახშირდა ტრაფარეტული „ფიალი – ტრფიალი“, „ჭალარა – ნალარა“. პოეტური შემოქმედება შაირობამდე დააქვეითეს.

შინაარსი კი ყველასათვის ერთგვარი იყო, უკვე მოცემული: ტურფა სამშობლო ერთ დროს ედემივით ყვაოდა, მტკვარი და არაგვი მხიარულად ბუტბუტებდენ, მაგრამ დაბერა „ჩრდილოს ქარმან“ და ყოველივე დააჭკნო, გაავერანა!

ეს იყო შაბლონი, რომელსაც არა ერთი ნიჭი ემსხვერპლა.

შემდეგ ჩვენი პოეზია თითქო ეზიარა ახალ კულტურას, მოინდომა ქალაქის გართულებულ ცხოვრების ახატვა, მაგრამ შაბლონს და უფერულ სიმარტოვეს აქაც ვერ ასცდა. უდავოდ მიგვაჩნია, რომ ამ სახის პოეზიამ ვერ მოგვცა ვერც ერთი პირველხარისხოვანი ნიჭი... აქ ერთი მეორეს მოგვაგონებს, მეორე მესამეს აზრდილია. საერთოდ კი ხშირია გაცვეთილი სიტყვების ჯირითი და გახუნებული სახეების გამოფენა.

და დღეს, როგორც ქალაქის კულტურაში, ისე ქართველი ერის არისტოკრატიული სული, თანაბრად ელიან თავიანთ უნიჭიერეს ამსახველს – და მის ვინაობას მომავალი დაგვანახვებს. ამჟამად კი ცხადია: საქართველოში მოდის დიდი მწერალი და მას გზას ულოცავს ერის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება. ჩვენს თვალწინ ირღვევიან ხელოვნების დამჩრდილავი სოციალური პირობები და ამიერიდან ხელოვნება არ იქნება მარტო ბრძოლის საყვირი, არც სიბრალულისა და სათნოების ფსალმუნად იქცევა იგი. სილამაზე, მშვენიერება! – აი, რა იქნება მისი მიღწევა, თავისუფლება ყოველგვარ დოგმატებისაგან! – აი, რა იქნება მისი დევიზი.

ათ წელიწადზე მეტია, რაც ქართული პოეზია განწმენდის პროცესშია. ძველი ტრადიციები კვდებიან უძღურად, კვდებიან ურევანშოთ; ისინი ადგილს უთმობენ ახალს; ეს ბუნებრივი მოვლენაა. ძველმა სთქვა – რაც შეეძლო და ვალმიხდილი მიეცა ლიტერატურის ისტორიას (საუკუნო იყოს ხსენება მისი! ძველი სტილისა და ფორმა-შინაარსის მათუსილობა ხელოვნების გაყინვა და სიკვდილი იქნებოდა!).

ახალი პოეზია ჩვენში მოდერნიზმის სახით მოდის, ჩვენ მოწამე ვართ ამ მიმართულების პირველი თამამი ნაბიჯების. აქ ცხადდება ახალი გაფრენა, ახალი და ცხოველი შემოქმედებითი ძიება, ხშირია ნიჭიერი მიღწევა და გვჯერა, რომ ეს მიმართულება მალე ჩამოქნის თავის უტყუარს, თავის ბუნებრივ სახეს.

სრულიად განსაკუთრებული გზით მიდის გალაკტიონ ტაბიძე: ასეთი გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. წარსულის პოეზიამ მას უანდერძა ბუნებრივობა, ესთეტიური სისპეტაკე და ლიტერატურული სინდისიანობა. ამავე დროს იგი მთელი თავისი ტემპერამენტით, შეშლილი ნერვებით და ნაღვლიანი ოცნებით ახალი კულტურის წინამორბედა.

პოეტის შემოქმედების წყარო – დიდი თანამედროვე ქალაქია, ქალაქი გიგანტი, სადაც კინემატოგრაფიული ჩქარი ცახცახით ცვლიან სურათი სურათს, გრძნობა – გრძნობას, სადაც ყოველი ხვეული სავსეა „გამოუცნობი ქიმერებით“.

გალაკტიონის ნერვიული სტილი და შფოთიანი სული – გადატანილი სახეა ტფილისის, რომელსაც ბედმა არგუნა იქცეს საქართველოს პარიზად, და თუ ბარათაშვილისა და აკაკის შემდეგ მთანმინდამ ერთხელ კიდევ შესძლო გაღიმება „მთანმინდის მთვარეში“, იქნებ ტფილისსაც ასეთი ხვედრი აქვს და პოეტის ერთ-ერთი წიგნი მის შვენებათა სარკედ გადაიქცეს ლურჯა ცხენების ქროლით, ედგარზე საუბრით, თოვლით და ბრბოში სვლით დაღალულ პოეტს ქალაქის ანთებულ თეატრში ხშირად მოაგონდება საქართველოს სოფლები, ხეები ქალაქის სასახლეებიდან მას იწვევს „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანისაკენ“; მერის, მარიამ ანტუანეტ[ას] და ლედი გოდივას ლანდებით დასნეულებული, იგი სიონის კარებისაკენ მიეშურება კიდევ. თვალწინ უდგას ატმის ყვავილებში ჩაფლული სოფელი, სოფელი ჯერ არ ნახული:

რალაც შორეულია შენი კარგი სოფელი,
ალუბლების ღიმილი და მზე დაუნდობელი...

„სადაც მწვანე ველია და მქუხარე არაგვი“, იქ მივარდნილ აივანთან

ამპარტავანი თათარი,
ეზოში დადის მამალი,
მახსოვს მოხუცი ჭადარი
და ძველი დასტურ-ლამალი.

და აი სხვა საქართველოც:

დავინწყებული ჭიშკრის კარბაზე
ხავსი, ყავრები და წვიმის წვეთი!
გაქრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი!
.....
გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბალი
და მწუხარება დამრჩა ასეთი.

ოჰ! სრულიად არ შეიძლება ყოველივე ამას პესსიმიზმი და ცხოვრების უარყოფა დაერქვას! პოეტის უნაზესი სევდა დიდი სიყვარულის და გრძნობათა სიჭარბის ნაყოფია. მართალია, პოეტს ხშირად „ბედით დაწყველ გზაზე სიკვდილის ლანდი მოეჩვენება“, მაგრამ მან იცის, რომ „სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა“, „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“ და სიცოცხლესთან შერიგებული აღიარებს:

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი!
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან შენი შემრიგებელი.

გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა ჩვენში შკოლა: წმინდა ესთეტიური (განა ეს ადვილი საქმეა?). მეორე მხრით, დღეს ფორმისა და სტილის დაძლევისათვის ბევრი ნიჭი ვირტუოზობს, მაგრამ გალაკტიონისებური ბუნებრივობა, მისებურ სიმარტივით მიღწევა იშვიათია, საკმარისია დავასახელოთ ლექსები: „თოვლი“, „შერიგება“, „პირიმზე“, „ატმის ყვავილები“, „მარმარილო“, „ანგელოზი პერგამენტი“, „ის“, „პარალელი“, „მთანმინდის მთვარე“, „შიშველი“, „დღეები პეტროგრადში“, „შენ ერთი მაინც“ და სხვ. ლექსებში თქვენ გესმისთ შოპენის მელოდიები; გხიბლავთ ისეთივე სირბილე და რიტორთა გრძნეულება, როგორც შოპენის მუსიკაში.

ჭეშმარიტად, გენიალური გალაკტიონის მსგავსად ბევრს არავის აქვს უფლება სთქვას:

საქართველო!
შენ მოვალე ხარ,
რომ ნატრობდე
ჩემს მეგობრობას
უფრო მხურვალედ,
ვინემ მე შენსას!!

ჟურნ. „ტფილისი“, 1920, №1, გვ. 12-14.

იოსებ არიმათიელი

თეთრი მეფე გალაქტიონ ტაბიძე

ხანგრძლივ ნაზამთრი ახალ გაზაფხულს შესწრებისხართ თუ არა მთის მწვერვალზე მზის პირველ სხივებს, – აი გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის ელვარება და პირველი სალამი: გინახავთ თუ არა კამკამა, უმნიკლო ქაფი, ან ბუჩქის ძირას ახლად ამოტყორცნილი ია, ახალ გაფურქ-ქნილი ვარდი, ყნოსვას რომ უმანკო სურნელებით გიტკობთ, აი გალაქტიონის შემოქმედების შინაგანი ძალა; წყნარ მზიან ამინდში, დილით, გაგივლიათ შავ ზღვაზე და ჩაგიხედნიათ თუ არა მის კამკამა გულში, ან კიდებში, ხავსით მოსილ ტინთა შორის ჩაისრებული მზის სხივი თვა-ლის მომჭრელ მრავალ ფერადოვნებას რომ წარმოგიდგენთ, მთელი სიმდიდრე უძირო ზღვისა რომ ჯადოსნურად გეჩვენებათ, უმაღლეს განცდით რომ გატკობთ და ვერ კი აგიხსნიათ, რა გრძნობაა. აი სწორედ ასეთია გალაქტიონის სამგოსნო ძალა.

გალაქტიონი ჯერ კიდევ საუკეთესო ყურძნის წვენივებურ დუღილშია, მას თავისი სა-ბოლოო სიტყვა არ უთქვამს, და რა თქმა უნდა, ჯერ ვერც კრიტიკა იტყვის შეუმცდარს.

გალაქტიონ ტაბიძემ ათის წლის წინად ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში აიდგა სამგოსნო ფეხი და დღეს, ათი წლის თავზე, უკვე სახელმძოხვეჭილი მგოსანია, რომლის ქიშპობაც არც თუ აგრე ადვილია. ჩვენ გვეგულება მისი ერთი მოცილე მგოსანიც, ქიზიყის კალთებში რომ ნებივრობს.

ოთხშაბათს სახელმწიფო თეატრში იმართება მისი სალამო. და თუმც სალამოს მძიმე ამინ-დი დაუდგა, მაინც გვეგონია, სილამაზის, უმაღლეს განცდის და მშვენიერების თაყვანისმცემელ-ნი უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ სალამოს.

გულითადი სალამი ჩვენის გრძნობათა თეთრ მეფეს – გალაქტიონ ტაბიძეს!

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, 29 თებერვალი, №8, გვ. 3.

მარუთა შუამდინარელი

ახალი ნიგნები გ. ტაბიძის მეორე ტომი

ტაბიძე სხვანაირია. იგი ყველა ჩვენ პოეტებზე უფრო ფანტასტიური ადამიანია, მისი მეორე ტომი დიდათ განირჩევა მის პირველ ტომისაგან. და როგორც მის პირველ ტომში, ისე აქაც მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორის დამახასიათებელი. საკვირველია, რომ დასავლეთ საქართველოს პოეტებს ქართული ენა ვერ ეხერხებათ. გაფრინდაშვილს თავის „დაისები“ სავსე აქვს პროვინციალურ გამოთქმებით. – მაგ., ჩაყენილი, ლურჯი, ქალურებ, დაღალდი, გარება და სხვ. გალაქტიონ ტაბიძემ კი უკვე მოიხსნა თექა პროვინციალური (წინათ ჰქონდა: ცვენა) და როგორც ყოფილი სემენარიელი და ნიჭიერი პოეტი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდება ქართულ ენას. გალაქტიონს თავის ღირება-ნაკლულოვანებით ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ნაფიცი კრიტიკოსები ამ ნიგნზე სდუმან, მათ უფრო ეინტერესებათ სიმბოლისტების დაბალი შკოლა (კრონოსის სარკე, ნიჭი ხალასი, უმეშვეო და თავისებური). მე ვამზადებ ვრცელ გამოკვლევას ამ სათაურით „ასონანსები ძველ მწერლებში“, ხოლო ახლებში კი უნდა ითქვას, რომ არც ერთს პოეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც გალაქტიონს. ჩამოთვლა ნუ გვინდა. აჰფურცლეთ ნიგნები და ირწმუნეთ! პირადათ მე მომწონს მისი: „ლურჯა ცხენები“, „მერი“ და „პირიმზე“, ამ უკანასკნელში თინათინობს საქართველოს ყოფილი სევდა.

ჟურნ. „ლეილა“, 1920, № 2, გვ. 17.

ქართული პოეზია

„თფილისი“. ხელოვნებათა და ლიტერატურის ყოველკვირეული
ჟურნალი. № 1. თფილისი. 1919 წ.

[...] თფილისის გამოცემები ჩვენ გვაკვირვებენ უბრალოებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოეზიის ყველა „ქურუმები“ იქ ბრძანდებიან და ტენიკური მხარე მათ უფრო ხელს უწყობს. ჟურნალი „თფილისი“ თითქმის არარაობას წარმოადგენს, რადგანაც ნახევარზე მეტად უბრალო თარგმანისგან შესდგება, „чтец декламатор“-იდან. კარგია გ. ტაბიძის ლექსი „თფილისი“, თუმცა ბუნების აღწერით იწყება. ვგონებ იგი დასცდა იმ დროს, როცა ამ მანერით სწერდენ და ცოტა გრძელი არის. სუსტია პირველი და მეშვიდე ტაეპი. [...]

რაც შეეხება კრიტიკულ ნაწილს, „გენიალური გალაკტიონის“ მიღება ჩვენთვის ძნელია. გენიალობა ცოტა უხერხული პრივილეგია არის და სახიფათოც, რომ ასე ადვილად დაბოლოვდეს ი.ი. – ანის მიერ პატენტის მიცემა და გენიალობის არსებობაზე ხელის დადება.

ჟურნ. „შვილდოსანი“, 1920, თებერვალი-მარტი, № 2-3, გვ. 21-22.

პ. კეკელია

ქართული პოეზია¹

(1919)

[...] არა ერთხელ დასმულა ტანჯვის პრობლემა, როგორც ფილოსოფიის სამყაროში, აგრეთვე პოეტურ ფილოსოფიის სამფლობელოშიც [...] ეს პრობლემა თითქმის დღესაც კი გადაუჭრელია და, ვფიქრობთ, სანამ ადამიანში აღარ მოკვდება ცოცხალი ბუნება, იარსებებს უჯრედები, ეს პრობლემაც მუდამ იქნება, მუდამ იარსებებს, რადგან სიცოცხლის რეაბილიტატორები მუდამ იქნებიან პარალელურად სიცოცხლის დამსამარებლებთან.

ჩვენს ახალ პოეზიაში სიცოცხლის პრობლემა ტანჯვის პრობლემას დაუკავშირეს. სიცოცხლე თვითმიზეზია (самопричина) causa sui (სპინოზას ტერმინი). შეიძლება ყველაფერზე ვიკითხოთ: რატომ? რისთვის? მაგრამ რატომ არის სიცოცხლე? – ასეთი კითხვის დასმა ყოველად მიუღებელია, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, სიცოცხლე causa sui თვითღირებულეა.

ყველაზე მეტად ძლიერად სიცოცხლის და ტანჯვის პრობლემა ერთმანეთთან დაკავშირებულია გ. ტაბიძის პოეზიაში. აქ სიცოცხლის კითხვას განკერძოებულად ტანჯვის პრობლემასთან თქვენ ვერ აღმოაჩენთ. ამით გ. ტაბიძესაც შეუძლია იამაყოს. ტანჯვის რელიგიას დოსტოევსკის შემოქმედებაში მით ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ რელიგიაში ღრმად გადაიშალა რუსის ხალხის ინსტინქტიური სოციალური მოტივები და ეს მოტივები ორგანიულად დაუკავშირდა ევროპის ცივილიზაციით იმედგაცრუებულ რუსეთის ინტელიგენციის გონებრივ სიმდიდრეს, ხოლო დოსტოევსკის მიერ შექმნილი ტანჯვის რელიგია ერთი უდიდესი მომენტი იყო სოციალურ ელემენტთა ერთს ორგანიულ მთელში ჩამოსხმისა.

გ. ტაბიძეც ჩვენში ეძებს იმ შინაარსს და იმ სისტემას, რომელშიაც მას შეეძლება ეს სოციალური ელემენტები შეჰკრიბოს და მოგვცეს მთლიანი, დამთავრებული პოეტური სისტემა. გ. ტაბიძის პოეზიაში არის ტენდენცია ამ გზისკენ და მიუღებლად უნდა ჩავთვალოთ ზოგიერთ

¹ პ. კეკელიას წერილი „ქართული პოეზია“ (1919) გამოქვეყნდა ორ ნაწილად (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №4, №6). პირველ ნაწილში ავტორი ზოგადად ახასიათებს უახლესი ქართული პოეზიის ტენდენციებს, მეორე ნაწილი კი უმთავრესად გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას ეძღვნება. ვაქვეყნებთ წერილის მეორე მონაკვეთს.

დამფასებელთა მოსაზრებანი, ვითომ გ. ტაბიძეს მოვალეობას მომავალში ის შეადგენდეს, რომ დასტოვოს ძველი გზა და ახალს დაუბრუნდეს. ასეთი მოსაზრება განსაკუთრებით ეყრდნობა იმ ოპტიმისტურ შეხედულებას, რომ სიცოცხლე რეალობაში პოეტურიც არის და სათაყვანოც. ჩვენ კლასიურ თვალთახედვის ისრით ვუყურებთ ჩვენს პოეზიას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჩვენი“ ვამართლოთ, „სხვისი“ ვამტყუნოთ. ჩვენ მიზეზებით ვხსნით ამა თუ იმ მოვლენას და შესაძლებლადაც ვცნობთ მომავლის პერსპექტივების დაახლოვებით აქედანვე განჭვრეტას.

გ. ტაბიძემ თავის პოეზიაში სწორედ ორი ელემენტი აიღო. ეს არის ინტელიგენციის, როგორც ასეთის, მოტივი, „სევედის ტანჯვის პრობლემა“. ვ. ხუროძე სიმართლეს დაუახლოვდა, როდესაც „ციხარტყელას“ №2-ში სოციალური პირობები ახსნა გ. ტ-ის პოეზიისა, ხოლო ჩვენის მხრივ, ვიტყვი, თვისი მსოფლშეგნება გ. ტაბიძემ ბოლომდე უნდა მიიყვანოს და კერძო ფორმულა მისი გაასაზოგადოებრივოს. აქ იქნება სწორედ ტ-ის უღრმესი მნიშვნელობა და ტალანტი. და ამ გარემოებას ისიც უნყოფს ხელს, რომ ტ-ძეს სკოლა არა აქვს, თუ აქვს ძლიერ სუსტი და უმნიშვნელო.

ტაბიძის პოეზიაში ძალაუნებურად შევა მესამე ელემენტი – ეს სულ ახალი ინტელიგენცია, დღევანდელი, რომელიც სრული ანტიტიპია ძველი, ამ ათი წლის წინანდელ ინტელიგენციისა.

მეორე წიგნი გ. ტაბიძის ნაწერებისა ამას შესაძლებლად სცნობს.

ფორმა გ. ტაბიძის შემოქმედებისა არსებითად არ განირჩევა სხვა ჩვენში კარგად ცნობილი მგოსნების ნაწარმოებთა ფორმებისაგან (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასსონანსებს).

და ამიტომ ამაზე შემდეგ, როდესაც მივალთ საერთოდ ჩვენი პოეზიის გარეგნულ ფორმამდე.

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №6, გვ. 11-12.

დემნა შენგელაია

ბალაქტიონ ტაბიძე

(სილუეტი)

მთელი საუკუნის განმავლობაში ჰკვდებოდა საქართველო.

იყო ბარათაშვილი და მისმა სათუთმა სულმა იგრძნო მძიმე ავადმყოფ დედოფლის სასიკვდილო აგონიის დასაწყისი.

ბედით დაჩაგრული, მოხელეობით დანყველილი გენია დასტიროდა ქართლის ბედს.

უკუნითი...

ხსნა არსით სჩანდა. არ იყო გზა. იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი,

– მონობაში ორგია და თავდავინყებაში გადავარდნა.

აღექსანდრე ჭავჭავაძის ტრალიკული სიკვდილი...

გრ. ორბელიანი სადღეგრძელოებში და ლოპიანას მუხამბაზებში იკლავდა პატრიოტულ ჟინს.

დავლიეთ, გაგიხარია...

ვამაყოფ საქართველოთი.

(გ. ტაბიძე)

იყო უდაბნოება.

„ბარაბანითა და მუზიკით კვდება საქართველო!“ – ამბობდა მწუხარედ პატრი ნიკოლა.

„რა კარგი გამოგონებაა სასაფლაო!“ – ამბობდა დამტვრეულ რუსულით ბარათაშვილი.

შემდეგ ერთი საუკუნის უდაბნო აქა-იქ ოდნავ ნაღვლიანად მბუფტავ კელაპტრებით.

მივიწყებულ მონასტრის კედლებში ნაღვლიანი ცეკვა სამაიისა.
 საუკუნეებით დაბინდული სახე ქართველ ქალებისა...
 ქართული სულის ინტერესი სამზარეულოს სიბრძნით დამთავრდა.
 რუსთველიდან და ბესიკიდან კნ. ჯორჯაძემდის.
 „ვეფხისტყაოსნის“ უნაზეს აკვნესებიდან საქართველო კერესელიძის „ცისკრის“ რე-
 დაქციადმის მივიდა, სადაც გულმოდგინედ სწავლობდნენ კომპოსტოს დამყავებას და ბოზ-
 ბაშის კეთებას.
 შემდეგ ილღუზია ლიტერატურულ რევოლუციისა.
 თერგდალეულთა პოეზია.
 კეთილშობილი გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა!
 ბანკობია და აპელაცია.
 კრილოვის იგავ-არაკებით თავის გართობა.
 და ასე უდაბნოება და უდაბნოება...
 შემდეგ შეიქმნა ახალი გაჭენებული ცხოვრება...
 პროპელერმა დააფრთხო ზეცის იდუმალება.
 სივრცე აცახცახდა რადიოს ტოკვით.
 დრო გაფრინდა ელვის სისწრაფით.
 მანქანების ქარიშხალმა გაანიავა წარსული.
 და აი მოვიდა ვაჟი დათენთილი ამ სასტიკ ქარიშხალით, დათენთილი ქალაქის შემოდგო-
 მინ დღეებით, დაწვნილი სულით.
 მოვიდა იგი „დაღლილ ქალივით“ და მას შორეულად ეალერსებოდნენ წარსულიდან თეთრ
 პარიკებით, მაღალწინდებიანი და თეთრხელთათმინიანი პაჟების გვერდით პირიმზის სამაია
 თავისი ოქროსბალთიან ქოშით და ამდგარი ცამეტი სვეტი.
 მოვიდა იგი ნაზი, მოქანცული და დაემხო შემოდგომის ფოთლებით დაფურცლულ, ანი-
 ავებულ ჟამთა ვითარების გამო გამოყვითლებულ, მივიწყებულ მარმარილოს თლილ კიბეებზე
 და აქვითინდა უცხო ხმაზე.
 საგნებმა და მოვლენებმა უღალატეს ადამიანს.
 ისინი არ იძლეოდნენ ჩვეულებრივ სახეებს.
 ისინი არ ეგებებოდნენ ჩვეულებრივად მოსიყვარულე ქალივით შემოქმედს. და პოეტი
 დაიბნა. პოეტმა იგრძნო ღალატი სამყაროსა.
 იგი ვერ იჭერს ჩვეულებრივ გამოსახვას საგანთა შინაგან არსისას და სასონარკვეთილი
 იმწყვდევს თავის სულში.
 და ნაღვლიანი აქვითინდა პოეტი.
 ჯერ არავის ეგრძნო ასეთი ღალატი სამყაროსა და სმენა მიაპყრეს პოეტს.
 ჯერ არავის გაეგონა ასეთი ქვითინი, ასეთი ნაზი ტიტინი აკვნესებულ სულისა.
 ჰქვითინებდა იგი თეთრ ვერსალზე, საუკუნეების ქარიშხლით დაღვნილ ძველ მცხეთაზე
 და თეთრ სვეტიცხოველზე.
 მოვიდა იგი და მას მტრულად განწყობილი ცხოვრება დახვდა ბროლის ვაზებისა და წერ-
 ნეტ დედოფლის მაგიერ.
 მათ უკვე კარგა ხანია სცენა დასტოვეს. სცენა ცარიელია. იგი კი ისე შემოიჭრა კულისე-
 ბიდან ნეტარ მოლოდინით აღსავსე, მაგრამ სიცარიელე და ათითხნილი, ბინძური დეკორაციები
 დაჰხვდა ლეგენდების მაგიერ.
 მას მეტად დააგვიანდა გამოსვლა.
 იგი დაგვიანებული გრძნობების მაყარია მივარდნილ აივნებისა, რომელზედაც კევილე-
 ჭია, ხავერდისფერთვალეებიანი, დამწველი, თავდახურული ქალები რომ გადმოეფინებოდნენ
 ხოლმე ჭრელ ნოხებივით. მოვიდა იგი ნაზი, სათუთი და მოიტანა თავისი გამხდარი, გრძნობე-
 ბით დათენთილი ნერვები.
 მოვიდა და ჰკითხულობს უმანკო გულუბრყვილობით:

შორეული ქალის ეშხი
 მოვა, მაგრამ როდის?

სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!..

იგი ჭიანჭურის კვნესასავით ნაზია და ჰშიშობ, რომ გრძნობათა ამონთხევაში სული არ დალიოს წყნარად, ნაზად, როგორც უიმედო სიყვარულით დაჭლექებული ასული, გაეპარება ხოლმე ერთ მოქათქათე ღამეში სიცოცხლეს.

მეცხრამეტე საუკუნის სულის დაღევაში არიჭრაჟდა ანთებული მე-XX საუკუნე.

გ. ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი.

და პანაშვიდი იგი მიაგავს ხანდახან ლიუციფერის შავბნელ მესსას, შავს მესსას ფარულ ღვთის გმობით:

გალაკტიონი შევიდა ძველ პარკში და დაიძრა მის ნოტიო ბინდების მტვენებში, მთვარე ოდნავ ანათებს უნუგეშო მათხოვარ ქალის მკლავებივით დაძონძილ ხეებს.

ოქროს ფერია ყველგან თავადათ.

მივინყებულნი, ნახევრადდანგრეული და ჩამშრალი აუზი.

დაცარიელებულ და თაღებჩამოქცეულ ძველ სრა-სასახლეებში დადის ლანდებთან ერთად ნაღვლიანი პაჭი ნელა.

და აქ გ. ტაბიძე ჯადოქრობს ძველ კარაბადინით. ამოდრავდნენ მარიონეტები, ცოცხლდებთან ნიღბები:

ღამეა. მთვარე. ხეივანი.

– ოჰ, მეგობარო!

მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი

გუშინ რუსუდანს.

– მაშ ახლა უნდა მოგილოცო.

თუ გსურს მართალი,

მე მშვენიერი მირჩენია

ყველას თამარი!

რაც შეეხება ლამაზ ნინოს...

(დაბოლოება წარმოითქმის

საესებით წყნარად:

ხელი მეგობრის დაეყრდნობა

მოსაუბრის ხელს.)

– დეე იყოს ასე! მაგრამ შერიფს!..

ოჰ ეს შერიფი!

(ღურჯდება ჰაერი.

ენტება ღამე)...

ასეთია საუბარი ძველ პარკში.

საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში.

ყველაფერი მოულოდნელია და თეთრი საშინელება იპყრობს შენს სულს, საშინელება თენებისა, როდესაც ჰგრძნობ სიცრუეს, ჰგრძნობ შეჯგუფებულ კომმარებს დღისას.

მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად.

მისი ნაღველი გიპყრობთ თქვენ და უმწეობას გაგრძნობინებს.

უმწეობა და ირონია.

არ არის ხსნა. არ შეიძლება გამოხლართვა იმ წარსულის სახეებისა თანამედროვე ცხოვრების კანვაზე. ფორმა დაშორდა შინაარსს. საგანი არ ენდობა თანამედროვე თვალებს.

ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი

არ არის, არ არის, არ არის.

– მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ ჰკარგავს. იგი იპოვნის სულს საგნისას, სულს გარემო-ისას. ხანდახან მისმა სულმაც იცის მოლოდინი და იმედი:

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!..

ჰკვივის იგი აწივილებული სულით, მაგრამ ლურჯა ცხენები მიჰქრიან:

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!

ასეთია გ. ტაბიძე.
მერის სახელი არ ასვენებდა მის სულს, სახელი, რომელიც ისე სასტიკად აკვნესებდა
შელლისაც. სახელი, რომელიც ლეგენდად გადაიქცა.
დადგა ბებერი როკაპივით ავი ზამთარი.
თოვლით დაიბინდა ყველაფერი.
ლამაზია ზამთარი, მაგრამ ნალვლიანი.
ალეები დაყუნული არიან თოვლის ბრილიანტებით.
„ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი!..“
ნატრობს პოეტი.

ათოვდა ზამთრის ბალებს.
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირალებს
თმაგანწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო,
მიჰქონდათ კიდეც კუბო.
ყორნების საუბარი;
დარეკე!.. დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბალებს.

გალაქტიონი დათენთილია ტფილისით.
მას უყვარს იგი.
და მას ელანდება მისი მოჩვენებანი. მოსვენებას არ აძლევს მის სულს მადათოვი,
მამადავითი, არსენალი. მას უყვარს ტფილისი და სულის კანკალით შესცქერის ყორნის მა-
დათოვზე გადმოფრენას, სადაც მიყრუებული რესტორანი ანათებს ტივებიან ნაპირებს.
იგი მოვიდა დატვირთული ძველ სახეებით, ძველ, ძვირფას ნივთებით, მაგრამ თანა-
მედროვეობას არ ესმის ამ ნივთების მნიშვნელობა. თანამედროვე სასძლოს არ უნდა იგი. და იგი
დადის მარტო, დადის თავისთვის.
თამაშობს ამ ძვირფას ქვებთან...
ეაღერსება მათ...
იტანჯება მათთან ერთად – და ცრემლით დატვირთულს ისერის ზღვაში თავორეს
მეზღვაურით.
მეტად სასტიკია, ავი ქარიშხალი დაუნდობელი.
პოეტის სული კი მეტად ნაზია, რომ მას გაუძლოს.
იგი სასაფლაოზე აშოლტილ კიპაროსის წელივით იზნიქება ქარიშხლიან ღამეში და მისი
ტოტები სტვენენ, ჰქვითინებენ ზამთრის სისასტიკეს.
და მწვავეა ეს ქვითინი, მწვავე. პოეტმა არ იცის, სად მიიტანოს იგი, ვის სულში დაასვე-
ნოს, რადგან მეტად უყვარს თავის ნამება, უყვარს ტანჯვა და ეძნელება, რომ ანდოს იგი ვისმეს.
პოეტმა სულიდან ამოიგლიჯა მოფართქალე გული, ჯერ კიდეც მოცახცახე არტერიებით
და სწურავს იგი თავისსავე გულს, სწურავს და შიში გიპყრობს, რომ იგი დაიცლება სისხლი-
საგან და დაეცემა პაჟი დედოფლის ფერხითით უსულს.

და დედოფალს თვალიდგან რამდენიმე მდულარე ცრემლი ჩამოვარდება და მარგალიტად გაყინულ მკერდზე დაებნევა პაჟს.

გათავდება პიერო, სულს დალევს იგი და ნაზი კოლომბინა დაიტირებს მას.

გათავდება ყველაფერი, გათავდება...

ფარდა...

პარტერი დაიცლება.

და დარჩება ცარიელი სცენა და ცარიელი პარტერი, ნაღვლიანი, დასევდიანებული ნაზ მოგონებათა და იდუმალ ფუსფუსით.

იქ, მძიმე ვარდის ფოჩვებქვეშ, პატარა ჯუჯა გამოძვრება მშვილდისრით და პატარა რუხ თაგვს უდარაჯებს მოსაკლავად.

ნიღბები კედელზე ჰკიდია და ელიან ხელახლად მგოსანს.

ნიღბები ელიან პოეტს განუსაზღვრელი სურვილით ამეტყველებას მოსურვებულნი.

საათი კი კაკუნობს, კაკუნობს.

ნიღბები ხელახლა გაცოცხლდებიან და იტყვიან ახალ სიტყვას,

იტყვიან...

ნიღბები ელიან მგოსანს...

ჟურნ. „ილიონი“, 1922, № 2, გვ. 46-50.

ხომლედი

გალაქტიონ ტაბიძე¹

...1915 წ. იანვრის თვეში, როცა აკაკი გარდაიცვალა, სულ ახალგაზრდა მგოსანმა ჩემს ჟურნალ „განთიადში“ დაბეჭდა ფრიად შესანიშნავი ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“. ამ ძლიერს და დიდი ენტუზიაზმით აღსავსე ლექსში, რომელიც თავიდან ბოლომდე ერთიანი სიცოცხლე, გრადაცია, გრძნობა და აზრია, მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე ანუგეშებდა ამ დიდი ეროვნული უბედურებით გულმოკლულ ქართველობას, რომ აკაკიმ

სულ უცვლელი უკვდავება

ირგვლივ დაამყარა...

საქართველოვ! მაშ, აკაკი

არ მომკვდარა, არა!.. და სხვ.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ ფეოდალიზმი ძირფესვიანად ამოაგდო და ამ გარემოებასთან ერთად სოფელსაც უნდა საქართველოში დაეკარგა ჰეგემონია და პირველ ადგილზე დამდგარიყო ქალაქი... ლიტერატურასაც ქალაქი დაეუფლა. ეს მთელი ეპოქაა ჩვენში და ამ ეპოქის ფილოსოფოსი, მიუცილებლად, უნდა დაბადოს ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ...

ჯერჯერობით ქართულ ლირიკაში პირველი მერცხალი ასეთი ახალი ლიტერატურისა შეიქმნა გალაქტიონ ტაბიძე და ამაშია მისი განსაკუთრებული ინდივიდუალური მნიშვნელობა. ამის უტყუარი საბუთია მისი ლექსების მეორე ნიგნი. აქ სრულიად განსხვავებულია მგოსნის რიტმიც, რითმაც, სტილიც, წერის მანერაც, გრძნობა და აზრიც. კარგ გუნებაზე მოყავხართ პოეტის მღელვარე, დაუცხრომელ გრძნობათა აღმაფრენას და გულწრფელობას, საკუთარი ტემპერამენტით განცდათა სიტურფეს, რითმათა მრავალგვარობასა და მშვენიერებას, სალიტერატურო ფორმათა ნაირნაირობას და სილამაზეს, ლექსთა მუსიკალობასა და სინაზეს-სინარნარეს...

¹ ამოღებულია დაუბეჭდავი სტატიიდან „გალაქტიონ ტაბიძე“. ავტ.

ამ ლექსებში გალაქტიონ ტაბიძე – ნამდვილი და ჭეშმარიტი იმპრესიონისტი.

დღეინდელი მხატვარი-მგოსანი, მიუცილებლათ, იმპრესიონისტი უნდა იყვეს. და ასეთე-ბიც არიან დღეს ჩვენში: კოტე მაყაშვილი, ს. აბაშელი, ი. გრიშაშვილი და სხვ.

სად შეუძლია დღეინდელ ქართველ მგოსანს, რომელიც ცხოვრებამ მწარე ყოფაში ჩააგდო, დიდხანს შეჩერდეს ერთ აზრზე, ერთ გრძნობაზე და ერთი და იგივე შთაბეჭდილება აგუნდაოს. დღეინდელ ცხოვრებაში ქარიშხალივით მიქრის და მიფრენს პოეტის მიერ ნახული და განცდილი სანახაობა, სურათები, შთაბეჭდილებანი. ამიტომაც დღეინდელი მგოსანი ვერც ასწრებს საფუძვლიანათ, ყოველის მხრით გარკვევით, ნათლად მათ ჩამოსხმას და დახატვას. ბევრჯერ მას არა თუ ქალადი, მელანიც არა აქვს, მელანიც რომ ქონდეს, კალამიც არ გააჩნია. ამიტომაც განახევრდა, ასე ვსთქვათ, შთაბეჭდილებანი, გულისთქმანი, გრძნობანი, რომელნიც საშინლად დაანვრილმანა, დაახურდავა ჩვენი დიდი ქალაქის აზვირთებულმა, აჭრელებულმა ცხოვრების ნაირნაირობამ და გამწარებამ...

ახლანდელ ქართველ მგოსანს არცა სცალია შთაბეჭდილებასა და გრძნობათა დიდის მხატვრობით გამოთქმას დაუნვირლმანდეს. პოეტმა ერთ საათში, ან უკეთა ვსთქვათ, ერთ წამში რამდენიმე შთაბეჭდილება მიიღო და ეს შთაბეჭდილებანიც ელვის სისწრაფით გაქრენ და ადგილი დაუთმეს ახალ-ახალ სხვა სანახაობას, სხვა სახე-სურათებს... დღევანდელი პოეტიც, ამჟამად ვსთქვათ გალაქტიონიც, მიყვება ამათ და სწერს ნაწყვეტებს, მსუბუქი და ცელქი ნიავით, მძივებათ ასხმულ და დაუსრულებელ, მოკლე-მოკლე შთაბეჭდილებებს და იმას როდი დაგიდევს, ეს რამდენათ მართალი, მიხვედრილად უტყუარი გამოვლენ მის მიერ განცდილი შთაბეჭდილებანი. პოეტს უნდა დახატოს ის, რაც ნახა ამ წამში, რაც თვით განიცადა და არა ხელოვნურად დახატოს საგანის შთაბეჭდილება, სწორი, ნამდვილ ისეთი, როგორიც არის განცდილი და ეს საგანი ფსიხოლოგიურად.

ამისთვის დღეინდელი მგოსანი-იმპრესიონისტი არც ფიქრობს, არც წვალობს, არც დარდობს...

გალაქტიონ ტაბიძისათვის მის საკუთარ, ინდივიდუალურ შთაბეჭდილებებს, გრძნობებსა და განცდათა საკუთარს ილუზიებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აი მაგალითად, პოეტმა ნახა პეტროგრადი, თქვენა გგონიათ მან მიაქცია ყურადღება რაიმე ისტორიულს ან თანამედროვე პოლიტიკურს პეტროგრადისას? აი, თქვენ თვით ნაიკითხეთ, თუ რაზე წერს. მე კი ადგილის ეკონომიისათვის ამ ლექსს არ მოვიყვან.

გალაქტიონ ტაბიძის ლაზათიანი სტილი და აშფოთებული სული მშვენიერი, ნაზი ლირიზმით გადატანილია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ ტფილისზედ, რომელსაც ბედმა არგუნა პარიზათ იქცეს. დიადი მგოსნების, ნ. ბარათაშვილის და აკაკის შემდეგ, კლასიკურმა მთანმინდამ კიდევ შესძლო გალაქტიონის ლამაზ ლირიკაში გაღვიძება – „მთანმინდის მთვარეში“ ნერვებდაქანცულ მგოსანს დედაქალაქის გაჩირალდნებულ თეატრში ხშირად მოაგონდება საქართველოს სოფლებიც... არაგვი.

ჩვენი მგოსანი ქალაქის სასახლეებიდან მიეშურება „უმანკო ჩასახების „მამათა სავანი-საკენ“... სიონის კარებისაკენ მიეშურება და თვალწინ დაეხატება მის მშვენიერ ყვავილებში ჩაფლული სოფელი.

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს...
(„ატმის ყვავილები“)

რა მშვენიერებაა! აქ რითები შიგ შუა სტრიქონების გულშიაც არის...

მშვენიერია ლექსები: „პირიმზე“, „მარმარილო“, „ის“, „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“ და სხვა... გალაქტიონ ტაბიძემ ამ ლექსებით ჩვენში შექმნა საკუთარი, ინდივიდუალური ესთეტიკა და თუმცა პოეტს „ბედითი დაწყვეტილ გზაზე სიკვდილის ლანდი მოეჩვენება“, მაგრამ მან იცის ფასი სიცოცხლისა, მოდერნისტივით სიკვდილს ჰიმნს არ უგალობს და გულმხიარული მღერის:

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი...
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!!.

ბოლოს, ნება მიბოძეთ, გალაქტიონ ტაბიძის ლირიკის მოკლე კრიტიკული დახასიათება დავასრულო ერთი უმშვენიერესი მისი ლექსის („აკაკის ლანდი“ – რედ.) აქ მოტანით [...]

გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 25 ივნისი, № 229.

ომეგა

გალაქტიონ ტაბიძე

ქართული მუზის მიჯნურია, მისი ტრფობით დამნვარი და ტყვექმნილი.

ტარიელივით აცრემლებული რაინდი, მასავით გაჭრილია ოცნების ველად, მაგრამ ვეფხვის ტყავის ნაცვლად უხდება ჰამლეტის შავი მოსაბურავი, როცა გამოუცნობი, სევდით შეპყრობილი დაეძებს ოფელიას.

უძილო ღამეების მეგობარი და სათუთ ნერვებით მოსაუბრე გალაქტიონი მთვარის სხივებზედ უფრო უდარო ნაზი მგოსანია.

როდესაც მისი დაღლილი სულის აკორდი აქვითინდება გლოვის ჰანგზედ, სადღაც გრძნობათა სიღრმეში იწვევს უჩულო თრთოლვებს და სწურავენ სევდის ცრემლებს.

ტირიფივით განმარტოვებული სდგას გალაქტიონის მუზა ცხოვრების ტბის ნაპირას და სევდით დამძიმებული იყურება მის უძირო სიღრმეში; ალბად იქ დაეძებს სიცოცხლის საიდუმლოებას, რომელიც ვერ ჰპოვა ღამის წყვილადში.

ობოლ ტირიფს ზედ აყრია ტანჯვით ნაჟური ცრემლები მარგალიტებად.

ზოგიერთებს ისინი დილის ცვარი ჰგონიათ, ზეცად რომ იტაცებს ხოლმე მზის სხივი შეყვარებული...

მაგრამ ნუ გეშინიათ: ღამე, ჩუმად, ისევ იტირებს ნაზი მგოსანი და ობოლი ტირიფი ისევ მარგალიტებით დაიტვირთება.

გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 25 ივნისი, №229.

ს. ფაშალიშვილი

ღია ბარათი

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს¹

გაზეთებში გამოქვეყნებულ ქრონიკის საშუალებით გაგებული გვექონდა, რომ ივნისის 25-ს, სახელმწიფო ოპერის თეატრში მწერალი გალაქტიონ ტაბიძე მართავს საღამოს.

რა თქმა უნდა, რომ ასეთი საღამო სრულიად ჩვეულებრივია მწერლისათვის. მას უმთავრესად მატერიალური მიზანი ამართლებს.

გალ. ტაბიძესაც, როგორც ერთ-ერთ მწერალს, (რომელსაც ბევრი ჩვენთაგანი კარგის თვალთ უყურებს), რასაკვირველია, აქვს უფლება ასეთი საღამოები გამართოს და როგორც მწერალთა კავშირი, ისე საზოგადოებაც მორალურად ვალდებულია, დახმარება გაუწიოს მას.

¹ მიუხედავად წერილის კილოს სიმკაცრისა, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფს, რომლის სახელით გამოდის მოქ. ფაშალიშვილი, გამოსთქვას თავისი აზრი. რედაქცია.

მაგრამ მე მინდა მიგიითითოთ იმ სკანდალზე, რომელიც მოახდინა ამ საღამოს შესახებ გამოკრულმა აფიშებმა, ქართულსა და რუსულს ენაზე, სადაც არშინიან ასოებით გამოცხადებულია, რომ იმართება „საქართველოს პოეტების მეფის, გალაქტიონ ტაბიძის“ საღამო (Вечер короля поэтов грузий Г. Табидзе). აფიშაში ჩამოთვლილი მწერლები, რომელთაც საღამოში მონაწილეობა უნდა მიიღონ, არიან სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს წევრნი, ხოლო საღამოსა ხსნის ამავე კავშირის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს ოფიციალურ საზეიმო საღამოს, რომელზედაც აწესებს „დინასტიას“ და მეფობის ტიტულს აძლევს „რამოდენიმე კარგი ლექსის ავტორს“. ეს მაშინ, როდესაც ქართულ მწერლობასა და განსაკუთრებით პოეზიას, ახსოვს თვის მნათობთა მაღალი სახელები, რომელნიც უგვირგვინოდ ჩასულან საფლავს და ისტორიასაც არ მოსვლია აზრად ასეთი აბსურდი, რომ მათთვის მეფობის მარკა მიეცა. ისინი მეფობენ რამდენადაც მეფობს ქართული პოეზია.

ეხლა კი ამ გამოსვლას ეძლევა რაღაც იაფი, ცირკის ხასიათი, რომელიც შეურაცხყოფს ქართული ლიტერატურის ღერძს, და ეს ხდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თვალწინ და მისი სახელითაც.

თუ ეს ასეა და ამ სასკანდალო საქმეს მწერალთა კავშირის საბჭო ხელმძღვანელობს, მაშინ სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ასეთი განცხადების გამოქვეყნებამ, როგორც ქართველ მწერლებში, ისე საზოგადოებაშიც.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც მწერალთა კავშირის წევრი, ვესწრებოდი და მონაწილეობას ვიღებდი სრულიად საქართველოს მწერალთა ყველა კონფერენციაში, სადაც მუდამ ირჩეოდა წმინდა საორგანიზაციო პროფესიონალური საკითხები და ყველა საბჭოსთვის კონფერენციის მიერ მოცემული დირექტივები არ გასცილებია ამ ფარგლებს (ყოველ შემთხვევაში, არც ერთ კონფერენციას არ მოსვლია ასეთი სულელური აზრი, რომ საბჭოსთვის მიეცა ინსტრუქცია მეფეების დანიშვნისათვის).

ასეთივე იყო უკანასკნელ კონფერენციაზედაც, რომელმაც თქვენ აგირჩიათ საბჭოს წევრებად, რომელთა რიცხვში პერსონალურად შემოყვანილ იქნა აგრეთვე გალ. ტაბიძეც.

ამიტომ მწერალთა ერთი ჯგუფის სახელით გეკითხებით: თუ მართლა საბჭოს რაიმე კავშირი აქვს ხსენებულ საღამოსთან და იგი აპირებს ამ **„დაგვირგვინებას“**, რომელი სტატუსის მიხედვით ხელმძღვანელობს და რა მიზანი აქვს მას ასეთი „დინასტიის“ დაწყებით?

ხოლო თუ ეს შანტაჟი კერძო, უპასუხისმგებლო პირისგან ხდება, რა ზომებს იღებს მწერალთა კავშირის საბჭო თავისი შეურაცხყოფილი სახელის აღსადგენად და ასეთი კრიმინალური ტიპის თავის წრიდან განსადევნათ?

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

ს. ფაშალიშვილი.

ტფილისი, 24 ივნისი.

გაზ. „კომუნისტი“, 1922, 26 ივნისი, № 142, გვ. 78-79.

პატარა ფელეტონი

ღალატი

„საქართველოს პოეტების მეფის,
გალაქტიონ ტაბიძის სალამო“.
აფიშებიდან.

ქართველ ერს რესპუბლიკანური მთავრობის და პრეზიდენტის ბედი იმთავითვე არ დაჰყოლია.

ოცი საუკუნის განმავლობაში ძლივს ელირსა ერთი პრეზიდენტი, – ნოე ჟორდანიას, – და იმანაც სამი წელიწადი ძლივს იბოგინა.

სამაგიეროთ მეფეებს ბედი მუდამ სწყალობდა. ხშირად ერთსა და იმავე დროს შვიდი მეფენი და მთავრები ერთად ჰყოლია საქართველოს.

თუ შინაური მეფენი და მთავრები საკმაო არ იქნებოდნენ, – გარეშე მეფეთ მეფის ანუ იმპერატორის შოვნაც არ უძნელდებოდათ.

გამოსცადა რა პრეზიდენტობაში უბედობა ქართველმა ერმა, მოისურვა ისევ მეფობის აღდგენა.

ჯერ მეფე ერეკლეს საიქიოდან გამონვევა სცადეს ვიქტორ დოლიძის მუსიკალური ჯადოსნობის საშუალებით, მაგრამ ურწმუნო ბოლშევიკებმა დააფრთხეს ერეკლეს აჩრდილი და გააქციეს სახელმწიფო თეატრის სცენიდან.

რადგან ასეთი გულითადი მეფის აჩრდილი, როგორც ერეკლე იყო, ასეთი მშიშარა გამოდგა, ამიტომ გადასწყვიტეს ნამდვილი ცოცხალი სამეფო გაბედული კაცის გამოძებნა.

ძველ მეფეთა ჩამომავლობის შორის ბევრი მოიძებნებოდნენ ასეთები, მაგრამ რადგანაც მოსალოდნელი იყო მათ შორის ტახტის მემკვიდრეობაზე ქიშპობა, ამიტომ გადასწყვიტეს სულ ახალი დინასტიის დამყარება.

ტაბიძიანთ გვარში აღმოჩნდა რაინდი, რომელმაც განაცხადა სურვილი საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლისა გალაქტიონ პირველის სახელით.

და აი, ოცდახუთ ივნისს, საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი დიდი ამბით შეუდგა საგვირგვინო მზადებას.

სიონის ტაძრის ძველ ავეჯეულებათა შორის გამონახეს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი ზაქიჭამიას ტახტი. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ გიორგის საჯდომი ტახტი სრულებით არ ჰქონებოდა, – ის თურმე მუდამ სანოლ ტახტზე კოტრიალობდა.

გვირგვინის და კვერთხის საკითხიც გართულდა, რადგან ისინი საქართველოს დამმეულთა დამხმარე კომიტეტის სიაში მოხვედრილიყვნენ, როგორც ეკლესიისთვის გამოუსადეგარი, მაგრამ დამმეულთათვის ფრიად სასარგებლო საქმე.

ამ უხერხულ მდგომარეობიდან ფრიად მოხერხებული გამოსასვლელი ნახა თვით ტახტის მემკვიდრემ.

სამეფო ტახტი შესცვალა თეატრის ბუტაფორიული ტახტით, გვირგვინი – დაფნის გვირგვინით და კვერთხი – ბატის ფრთის კალმით.

ამნაირათ ყველაფერი მზად იყო საგვირგვინოთ.

მაგრამ მოულოდნელად თავი იჩინა საქართველოს მეფეთა სასახლეში ჩვეულებრივმა მოვლენამ – ღალატმა.

გალაქტიონის უმცროს „ძმას“ ტიცციანს შეშურდა თავის უფროსი „ძმის“ ბედნიერება და მოინადინა მისი გაუბედურება.

გადიბირა თავისკენ ძველ მეფეთა კარისკაცის ჩამომავალი ს. ფაშალიშვილი და მისი დახმარებით მოაწყო აჯანყება გალაქტიონის წინააღმდეგ.

ამიტომ ველარ შესდგა სახელმწიფო თეატრში ოცდახუთ ივნისს ყველასათვის მოუთმენლათ მოულოდნელი საქართველოს სამეფო ტახტზე გალაქტიონ ტაბიძის აბრძანება, რომელიც გადიდო განუსაზღვრელ დროსათვის.

დარჩა საქართველო კიდევ უმეფოთ.

გაზ. „კომუნისტი“, 1922, 29 ივნისი, № 145.

ია ეკალაძე

ქვინად გალაკტიონ ტაბიძეს

არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვუძღვნა „ლურჯა ცხენების“ და „მე და ლამის“ მგოსანს [...]

უმაღლესი სახება ხელოვნებისა არის პოეზია, საზოგადოთ, და მგოსნობა კერძოდ. პოეზია არის ფსალმუნება ამაღლებული სულისა და ღალადისი ქვენა გრძნობათაგან განწმენდილი გულისა. პოეზია არის მსხვერპლი შეწირული კაცთმოყვარეობის საკურთხეველზე და ზვარაკი, უკვდავების ტაძრად მიყვანილი. პოეზია არის სიყვარულისა და სათნოების ცეცხლზე დამწვარი ცრემლი და მწუხარება. პოეზია არის მალამო წყლულებისა და ამოხშობა ყოველგვარი ბოროტებისა. პოეზია ღმერთ-კაცობაა, სისხლის მსმელთა და მტაცებელთა ხელფეხის შეკვრაა. პოეზია სიმია უკვდავებისა და ჩანგია მოძმეთათვის, რომელთა რაოდენობა ჩვენში დღეს ბევრზე ბევრეულია და უამრავზე უამრავესია, მაგრამ რომელ საზომსაც მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძე და კიდევ ერთი-ორი თუ ამართლებს...

გალაკტიონ ტაბიძე მე მაგონებს ხეხილთა შორის განმარტოებით მდგარ ძენას, საოცნებოთ რომ ინვევს ხოლმე ადამიანს, აშორებს რა ყოველდღიურ სიგლახეს და მიწიერ ჭუჭყიანობას.

მაშ, გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ოცნების ამ წყაროს, თუ არ გინდათ მსხვერპლი შეიქმნეთ დაწყველილი დღის სიცხადისა!

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, 3 დეკემბერი, № 1, გვ. 5.

ნ. გერგესელი

სამრეკლო უდაბნოში

(კრიტიკული ესკიზი)

ალბად კიდევ მრავალი საუკუნეები გაივლის და მაინც კაცობრიობის ყოფნის წყვედი-ადიდან ლაბირინტში შეუწყვეტელად მოგვესმება ძახილი: „ყოფნა არყოფნა“ და დონ კი-ხოტის ძველი აბჯრის რახუნი და როსინანტის გაძვალტყავებული ფეხების შემანუხებელი წანწალი.

...ისევ სიბნელე. ისევ ისე კომშარები და ქიმერები უხუთავს სულს წამებულ ადამის ძეს. შეიძლება თანამედროვე კულტურა ერთი წუთით მომხიბვლელი მირაჟი იყოს; მიზანი კი მისი.. იქნებ ხელოვნების ხელოვნური სალტეა, შემოვლებული პიროვნების ნებისყოფაზე, და მის დაუდგრომელ სულზე.

მთრთოლვარე სული, რომელიც შორით მოკიაფე სიმბოლოებში ქმნის წარმტაც და ჯადოსნურ სახეებს, ისევ ისე უდაბნოშია; ისევ ისე მისტიურ საშიშროებაშია.

და ასე გრძელდება. და როდემდის – აუხსნელია. არის იდეალები, გატაცება, აღმაფრენა, მიღწევა მხოლოთ ოცნებით და მიუღწევლობა, ღონის მიხდა.

...და ასეთს დროს ძნელია უდარდელი ღიმილი, მკვირცხლი კისკისი.

პათოსები მწუხრის მანტიებით არის შესუდრული.

ყოფნის განსაზღვრული საუკუნეები აპოთეოზებია სევდის და კაემნის.

ნაზარეველის გაფითრებული, გაფერმკრთალებული სახე, კიდევ ინვევს რომანტიულ ქვითინს.

და „ბარძიმი წამების“ ისევ ისე დაუშრეტელია. უაღლდის სიტყვები, კიდევ ისე ღრმა საიდუმლოებითაა მოცული.

– სადაც ტანჯვაა, იქ წმინდა ადგილია. სთქვა მანვე:
– სიმწუხარეში, გარდა სიმწუხარისა, მუდამ იფარება სულიც.. და როგორ გვესალმუნება ჩვენ ეს სიტყვები!...

ჩვენ გვაქვს ეს „წმინდა ადგილი“.

ჩვენ გვაქვს „დაფარული სული“.

და აქ, ამ მწუხრის სარბიელზე სევდიანი სახით, მაგრამ მთრთოლვარე ნერვებით და მშფოთვარე სულით დგას გალაკტიონი.

და მის სევდას აქვს „სული“ – იდეა.

გალაკტიონი, სათუთი ლირიზმით, გამომხატველია როგორც არსებული სოციალურ მოვლენათა ცვალებადობის – ფორმათა შენების, ისე მისი დინამიკის – მისი სულის დაუდგრომელ დუდილისა.

სევდა კოსმიური წვის გენიაა. ის რამდენათაც უსაზღვროა და ყველა არსის სულთან უხილავი ძაფებით გადაქსოვილი, იმდენად ძნელი განსაცდელია. და თუ გინდა მას მოუნახო ჭეშმარიტი სახე და განცდითი ბგერა, ის უფრო რთული და უჩვეულოა. შემოქმედს – სევდის გამომხატველს, მარტო ოხვრა, ცრემლიანი თვალები, სახის ნაოჭები და სხვა, ვერ გახდის სხვის სულში მოსაუბრედ; საჭიროა მელოდიები, ყოველი მხრივ სრული, რომ იყვე ამტირებელი მეორესი, საჭიროა მაგიური ინტუიცია, რომ შენს სულში შვებულები სურათები, სახეები და აზრები სხვას შეაყვარო.

და საჭიროა ითქვას სიტყვა ხალასი: გალაკტიონი აქ არის ორიგინალობა და განუმეორებელი.

გალაკტიონი გამოჩენის დღიდან, თავის დღიდან, თავის უჩვეულო ლექსებით, მარმარილოს ნაჭრებათ სჩანდა.

დღეს ეს ნაჭრები გამთლიანებულია. და ლამაზი მშვენებით აღმართულია ერის პარნასის მწერვალზე. და ეს მწერვალი ისე მაღალია და კიდევ მაღლდება, რომ მასზე მდგომი მგოსანი ამაყი პროფილით მისჩერებია მსოფლიო კაემნის ტიტანებას, და მით, ასეთი დამეგობრებით რეალურ საზღვრებს შლის, და საერთო ეოლოსის ქნარზე ერთ სიმათ ევლინება, რომელიც აკორდში არასდროს დისჰარმონიას არ შეიტანს.

შეიძლება ეს გაგება ფართოა, ასეთია ჩემი აზრი. და ვიტყვი თუგინდ აზრს კადნიერს: ამ მხრივ გალაკტიონი არ არის სავსებით გაგებული. მნამს, მას გაიგებენ, მაგრამ საჭიროა იქნებ ტრაგედია – მისი სიკვდილი.

რა საშინელია, მაგრამ სინამდვილეა!.. შეიძლება მას მიაკუთვნეს ნ. ბარათაშვილის მივიწყებული სავარძელი და სწამთ, როგორც უაღრესად მომცემი სათუთ განცდათა. მაგრამ მართალია ბელინსკი: არ არის საკმარისი პოეტი მოიწონო ან არ მოიწონო, ის უნდა გაიგო. და გალაკტიონი მოწონებულია, მაგრამ არ არის გაგებული.

პოეტის სულის ლირიკა, თავის ორიგინალურ ცვალებადობით არ შეიძლება შედარებით კანონს დაემორჩილოს. არის გავლენები, აქ იტანჯება შემოქმედება.

ყველა ნიჭი მაშინ არის ორიგინალური, როცა იგი სრულქმნილი და თვითარსია.

და ასეთს სრულ ქმნილებას აყალიბებს ეპოქის სული და ამ სულის ხერხემლის იდეის სწორი შემეცნება. ბაირონი თავისი ეპოქის შვილი იყო და მისი ტიტანიური სულის კვეთება ეპოქის კარნახია. და თუ ეს სულისკვეთება ეპოქის საზღვრებს გასცილდა, ეს იმისთვის, რომ ბაირონის ეპოქას ქონდა დიდი ტეხილები, დიდი შინაარსი და მრავალი დეტალები ამ ტეხილებისა იმდენად დიდი იყო და მრავალფეროვანი, რომ მისგან გამონვეული განცდები მარადიულ განმეორებებს იძლევა.

ასეთი გაგება დღემდე მეთოდად უძევს გენიალობის ახსნას.

იგივე ითქმის ბარათშვილზე, მისი სევდის საგუბარი ერის ტრადიული ბედისწერის ცვალებადობაა.

„ქართლის ბედის“ უკუღმართობამ გარდაქმნა იგი ობოლ სულად, რომელიც ეძიებდა „ტაძარს“, სადაც წმინდა სანთელს აანთებდა, უღთოდ ქრებოდა მისი „ლამპარი“.

და მისი ოცნება – მერანი უსაზღვრო იყო, მისი „ჭენების“ ასპარეზი – უნაპირო. და აქ ერის ტრაგედია, მისმა უშინაარსობამ მოაძებნინა გაქანების და დაუდგრომლობის მერანი და მით ყველასათვის საერთო გასაგები გახდა იგი. და გალაკტიონიც ილტვის თავისი

„ლურჯათი“ ამ უსაზღვროებაში.

ჩანგია მსოფლიო. სიმები: ბაირონი, ბარათაშვილი, კიდეც და მათთან გალაკტიონი, იქნება მთლიანი აკკორდი. და თუ მოვალთ ეხლა, დავინახავთ სევდას ერთგვარი ძგერით, მაგრამ ცალცალკე ისინი შლიან გულს და გვაჩვენებენ მრავალფეროვან მიზეზთა რგოლებს, რომელიც ჰოაზისია განცდათა გამონვევისა.

გალაკტიონი ორიგინალობა იმდენად, რამდენათაც ის თავისი ეპოქის პირმშოა.

მისი შემოქმედების მთლიანი ქანდაკება მოზაიკურია. ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგან თვით საშო ეპოქაა. მის სულზე მისი დროის ყველა კითხვები აღბეჭდილია და მშვენიერად გაშლილი.

და თუ საჭიროა სწორი კრიტიკა მის გასაგებათ, აქ საჭიროა გაგება ეპოქის და მერე მისი მოძრაობის მხატვრულად გამომხატველის.

როგორც ვსთქვით, გალაკტიონი ეპოქის გამთლიანებული სულის კვეთებაა.

მის სულის პარტიტურაზე ყველა ის ტაკტებია გადატანილი, რომელიც დღეს სევდის მუსიკად ევლინება განანამებ კაცობრიობას.

დღევანდელი კაცობრიობის ყოფნა საშინელ ჯადოსნურ რკალშია მომწყვდეული, თანამედროვე ეპოქა ეს ლითონის, რკინის, ფოლადის ეპოქაა.

მისი მაღალი ყორე, რომელსაც თავისი გულის სიღრმეში „უდაბნო“ შეუქმნია და მოუკლავს სიყვარული სიცოცხლისადმი – კაპიტალიზმია.

გალაკტიონი ამ უდაბნოს ყოველმხრიობის და მისი კომპარების შვილია.

ის ამ რკალის შიგნითაა მომწყვდეული, და მისი სულის ტრაგედია უფრო მძიმე და რთულია, რადგან მან იცის რკალის იქით არის ქვეყანა, ქვეყანა განახლებისა და ახალი სიცოცხლისა.

და რა უსაზღვრო ხაოსია! და მტანჯველი დუალიზმი!..

ამ ხაოსში წუთიერ სიცოცხლეს არ არის დაზღვეული.

მოსალოდნელია სიკვდილი უმზგავსო, შეიძლება უაილდის ტრაგედია განმეორდეს, რამდენიმე ადამიანმა მიგაცილოთ საფლავამდი.

და გალაკტიონი შიშით არის შეპყრობილი. მას ეშინია, მისი გრძნობათა სისათუთე არ წავიდეს ამ ხაოსიდან მახინჯი სიკვდილით.

მას სურს ლამაზი სიკვდილი.

და სიკვდილი განა ლამაზი შესაძლებელია? ეს სურვილი ერთი მთავარი შტრიხია მისი, რადგან სიცოცხლემ დაჰკარგა სილამაზე.

და ეს სიცოცხლეს ხანმოკლე, ზვარაკთა შემოქმედების სამსხვერპლოზე.

გალაკტიონის ლოცვა – მისი შემოქმედება კი არ არის მარტო მიძღვნა ამ სამსხვერპლოზე, არამედ თვით გალაკტიონი თავისი არსებით და განცდებით მსხვერპლია.

და ასეთი სინტეზი ბევრ საუკუნეების შორეულ გრეხილებსაც გვიახლებს, და ამ უდაბნოში ცოტა დროა ყოფნის, ეს მაშინ, როცა ბევრია სათქმელი.

და გალაკტიონი თუ სევდიანობს, მუდამ ცრემლიანი თვალებით გვევლინება, თრთოლავს, ეს იმისთვის, რომ მან იცის არსებობა „უდაბნოსი“, შემდეგ სამოთხისა და ის ასე, თავისი „ლურჯათი“ მიქრის ტანჯვის ქვეყნიდან და სიზმარიული სახით ეალერსება „შუქთა კამარას“, რომელიც მისი ინტუიციისთვის „ვერაფერმა დაფარა“.

გალაკტიონი საბედისწეროთ გაჭიმული სიმია აღნიშნულ რკალზე და მთელი ფუსფუსი, მოძრაობა, რომელიც ხდება ქვევით ნაპრალში, ამ სიმს მსუსხავ-ქარიშხლიან სრბოლით ხვდება. და ასეთი რხევა მისი გრძნობის სიმებისა უმთავრესად მელოდიურია. ერთხელ იქნება განყდება ეს სიმი და ნაპრალი მას შეუბრალებელი ტრადიციით გულში შეიხვევს.

ის ვერ აცდება ამას. მისი სიცოცხლის სამარე დღევანდელი ცხოვრებაა – ცხოვრება „უდაბნო“. და ეს გრძნობა გულს უთანაღრებს და მით იქნება საერთო კოსმიური სევდა „შიში“.

გალაკტიონი მოწამე იყო ისეთი მომენტების, რომელიც მას იმედს აძლევდა და ინახავდა ახალ ქვეყანას, მაგრამ... ეს თითქოს მოხდა იმისთვის, რომ მისი სევდა უფრო გაბასრებულიყო. „მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა. სადღაც, ოდესღაც ზმანებული, „ერთხელ ნახული“ და ეს ერთხელ ნახული ახსოვს მას, მაგრამ მისი იმედები ისევ შეისუდრა.

ვეშაპმა მოისუნთქა, „დალანდი“ ნამსხვრევად იქცა.

„მქონდა მიზანი, ბრძოლა იყო ცა მისი მცნების...“

მაგრამ გრძნობიერ სულს აღარ განვდა „ლონე“, ის „მოესმინა“, „გესლით დაუძღურდა“, მიიხედა ირგვლივ და ისევ საშინელი რკალი, ისევ საშინელი „უდაბნო“.

მას შეებრძოლა თავის თავი, მან შეიმეცნა თავისი უმშვენიერესი სულის სევდიანი კვეთება. მიმოიხედა... თავი იგრძნო შეუბრალებელ „ბრბოში“, აცრემლდა, დასუსხულმა ნელი კანკალით იპოვა „ნმიდა ადგილი“:

მე მივყვებოდი მწუხარებას, შეყვარებული და ქარვისფერი...

პოეტი ბრბოში, სულ ერთია, ვიქნები ზრდილი.

პოეტმა ამ „მწუხარებაში“, „უდაბნოში“ „დაინახა თოვლი“, რომელიც გულზე აწევს ნაპრალში მყოფთ, და ის მაინც აქ არის. წავიდა, მაგრამ მაინც მოვიდა და ნელი სევდით აღმოხდა გულიდან, რომ მას უყვარს „იისფერი თოვლი“ და მას ასე „მწუხარე გრძნობით“ მოუხდა „სიყვარულის ასე მოთმენა“.

გალაკტიონი ამ „თოვლში“ ხედავს მშვენიერებას, მისი სათუთი პოეტური ინტუიცია იგონებს განვლილ სახეებს „ძვირფასო! ვხედავ... შენს ხელებს უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში. **იელვებს, ქრება, კიდევ იელვებს შენი მანდილი ამ უდაბნოში**“.

გალაკტიონი ასეთს უსაზღვრო სევდების ტეხილებში ატარებს იმედის სიღიადესაც:

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,

როგორმე ქარმა თუ მიმატოვა...

ის არასდროს არ ივიწყებს თავის ტიტანიურ სულის კვეთების დიად მნიშვნელობასაც. ის „სამრეკლოა ამ უდაბნოში“.

„მერი“ წავიდა მის სევდიანი ცხოვრებიდან, რადგან ვერ მიწვდა პოეტის ცვალებად სულს. პოეტი დამშვიდებული, მაგრამ განცდით აღნიშნავს „სიყვარული სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის“... ეს მაშინ, როცა „ამქვეყნად სურდა მას სიყვარული, მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა“.

ვინ იქნება ბედნიერი ეს ერთხელ მოსული სიყვარული მიიღოს, არავინ! და გალაკტიონიც უსიყვარულოდ არის. ჩვეულებრივ სახეებში მან ვერ იპოვა, რომ მისი სული მოეთავსებია და აქ მასზედაც გამართლდა ნიცშეს შეხედულება შორეულის სიყვარულისა და პოეტი გადაექსოვა შორეულ ხატების სახეებს.

ის ცხოვრების ბნელ ხვეულებში მრავალ „მერის“ გამოიტირებს. ეს იმისთვის, რომ გალაკტიონი არ შეიძლება რომელიმე ერთის ჭირისუფალი გახდეს.

მან იცის, რომ „მერის“ ჯვარის წერა „დღესასწაულს არ გავდა“: პოეტი, ყველას შემცნობი, აღნიშნავს, „როგორ ღუპავს გრძნობა“.

ის საშინელ ქარიშხლიან დღეებში დადის „ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“ და ეს მაშინ, როცა „ქუჩაში მძაფრი დაქროდა ქარი და განუწყვეტლივ წვიმდა და წვიმდა“. ასეთს სევდიან ამინდში პოეტი გულში მაინც ატარებს „ფიქრს შეუწყვეტელს“ და გაკვივის „მცივა! მომეცით ჭერი!..“

და ეს ძახილი ის სამრეკლოა, რომელიც ისმის პარნასიდან, მაგრამ –

ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?

ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში.

სძინავს ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!...

და

სწუხს ჩემი სული ვით სამრეკლო ცის უდაბნოში.

გალაკტიონი გასცქერის საშინელ სივრცეს, ხედავს ადამიანებს. ესენი მისი მზგავსებია. მას ერთ წუთს სწამს, რომ ისინიც იბრძვიან და შეურიგებლობის სტიქიას ატარებენ, მაგრამ... მათ თვალელებში „ცეცხლი არ კრთის“, კითხულობს „ესენი ცოცხლებია?“

„არა! გზაზე მიდიან მკვდრები, და სამარისებურ უდაბნოში ტოვებენ ქალაქს...“

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში, სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა“ და გალაკტიონი ისევ ისე, თავის საშინელი კაეშნის ამარა რჩება.

ის მუდამ ევლინება ქუჩებს, ათვალეირებს, ეძიებს შინაარსს და როცა ხედავს ადამიანის გულს, კითხულობს: „ცოცხლებია?“ კითხულობთ პოეტის „მგლოვიარე სერაფიმებს“ და თქვენ წინასწარათ იგებთ მის წინათგრძნობას თავის თავზე. შეიძლება ეს ასე არ იყოს, არ მოხდეს, მაგრამ როცა წარმოიდგენს მკვდრებს, ეშინია მათი. არ სწამს ისინი.

როგორ გრძნობს პოეტი თავს „ქიმერების“ ქვეყანაში?

„ყოველი წუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით; ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე, იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით და უაილდის ყვაველივით დაეცი გზაზე“.

უაილდის ტრაგედია მას სიმბოლოთ ევლინება და ფიქრობს, რომ წყვედიადოვან ყოფაში, „ბრბოში“ ასეთს ბედს პოეტი უნდა მოელოდეს, მაგრამ მაინც სწამს, რომ ოდესმე გამოჩნდებიან „პოეზიის თანამგზავრები და იტყვიან – აი, ეს არის!..“

პოეტს უკვირს, რომ ასეთ საშინელებაში „დღემდე გასძლო“.

„სასახლეც გავყიდე... სათიბიც ავცელე“...

განმარტოვდა მისი სული, გადაენა ქარს, დაფრინავს ყველგან, „ოცნებობს მზეზე“, დადის ცხოვრების ყველა ხვეულებში, მოუსვენრობს, და ეს ყოველმხრივობა გალაკტიონის პოეზიას აძლევს არა მარტო ინდივიდუალობის ელფერს და შინაარსს, არამედ ის უაღრესად სოციალური და ფილოსოფიური შინაარსის მატარებელია.

გალაკტიონის მეორე წიგნი აღსანიშნავია, როგორც სიმბოლიზმის ახალი და სამაგალითო ნიმუშები.

ჩემი აზრით, ჩვენში სიმბოლიზმის გაგება ორგვარია. ამ ორგვარ გაგებას ერთგვარი ფიგურალობაც აქვს.

მე ვგულისმობ მეორე კატეგორიაში ეგრეთ წოდებულ ახალ მწერალთა ჯგუფს. თუ ერთ წუთს ასეთს განსაზღვრებას მივიღებთ, მაშინ მე მინდა გალაკტიონი დავაყენო ერთ მხარეზე დამოუკიდებლად.

გალაკტიონის სიმბოლიზმი, მეორე წიგნით გაგებულ, ეს ერთგვარი მანიფესტია ქართულ ლიტერატურაში. აქ არენა ფართოა იმდენად, რამდენადაც მკვეთრი შტრიხები თითქმის ეპოქის ყველა კითხვებს უდგება. არის ერთი დამტკიცებული მოვლენა შემოქმედებაში, ხანა შობს პოეტს, რომლის ბუნება თავისი ჭეშმარიტი განცდით პოეზიის სამოსით იძლევა მრავალ კონსპექტებს. პოეტურ ხაზებით, რომელიც თავისი მთლიანი სახით შემდეგ ფართო მრავალფეროვან ფორმებში იშლება. დასამტკიცებლად გავიხსენოთ პუშკინის მოვლენა რუსეთის ცხოვრებაში, პუშკინის შტრიხები შემდეგ დიდმა გენიალებმა ტოლსტოიმ და დოსტოევსკიმ გაშალეს.

ახალი ჯგუფის დიდი პრეტენზიები, ეს მხოლოდ განმეორებათა აპოგეია და მათში თუ ჭეშმარიტი შემოქმედება ვერ იკიდებს ფეხს, ეს იმისთვის, რომ ცივი მიმბაძველობა მტერია შემოქმედების.

გალაკტიონის პოეზიის გამართლება შეიძლება გავიგოთ პუშკინის და ლერმონტოვის გაგების თანახმად.

გალაკტიონ ტაბიძის ინდივიდუალიზმი ეს ისეთი მაგიური ფოკუსია, ისეთი „განწმენდის კარებია“, რომელშიც ყველა კითხვა ღრმა ფილოსოფიური და სოციალური შტრიხების კანონებით პოეტურ ფარგლებში იშლება. და მე მწამს: შესაძლებელია ჩვენი ერის საუკეთესო მერმისში ერთი პატარა ხაზგასმა გალაკტიონ ტაბიძისა დიდტანიან რომანის იდეათ და აზრათ გამოდგენ. ამ მდგომარეობის გამართლებას დღესაც ვხედავთ, გალაკტიონის გზაზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გხვდება. შეიძლება ისინი თავის ორიგინალობას ააშკარებდნენ, მაგრამ იდეური და სულიერი ხერხემალი გალაკტიონიდან იწყება.

არიან ჩვენს მწერლობაში ბევრი ისეთი ჯგუფების „იდეოლოგები“, რომლებიც ვითომც გალაკტიონ ტაბიძის მომსპობი პოლიუსია. მე ვეტყვი ასეთებს, რომ ოდესმე, როცა დადგება

დრო – ჩვენში წმინდა კრიტიკის ჭიდილის ხანა, იქნება ამ მადლიონებმა აღმოაჩინონ ის, რომ მემკვიდრეობითი ბიძაშვილობა პოეზიაშიც ნახონ, დღეს ნილაბების ხანაა, ფარდის ახდამდი ყველაფერი ითქმება.

გალაკტიონ ტაბიძე, როგორც დაჯილდოებული პოეტური ინტუიციით, სავსებით ჩამოყალიბებულია.

მისი რითმიული და რიტმიული მუსიკალობა ძვირფასი სამოსია დიდი პრობლემების, რომლითაც ასე სავსეა მისი პოეზია.

და გალაკტიონი მაშინ უფრო დაფასდება, როცა მისი ბრჭყალები გაიხსნება და ჩვენში დაიწყება ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. და მოკვდება ის ლიტერატორობია, რომელიც თავის ინტიმობით, მიუღებელია.

აქ არ შემოიძლია არ ავლნიშნო ერთი მთავარი კითხვა.

ამ უკანასკნელად დიდი ძახილია ქალაქის პოეზიაზე, ქალაქის სულის გამლაზე. ვერჰარნი კერპად ხდება. მის მიმბაძველობას ბევრი ცდილობს, მაგრამ ვერჰარნის ქართულ ფონზე გადმოტანა მიმბაძველობითი კარიკატურაა. ასეთი მასალა ბევრია დაგროვილი.

ვერჰარნი ბელგიის განვითარებულ ინდუსტრიალური ქალაქების შვილია.

მისი გაგება ბელგიასთან დაკავშირებით შეიძლება.

მე ეს მდგომარეობა აქ იმისთვის მოვიგონე, რომ ქალაქის სულის პოეზიის ბუნებრივი სურათები გალაკტიონ ტაბიძეს თავის მეორე ნიგნში საგრძნობლად მოეპოვება.

გალაკტიონის მიერ ქალაქის პოეზიის ხელშეხება იმისთვის მიმართა საჭიროდ, რომ ყველა ნივთები არიან დანერგული არა იმისთვის, რომ ვიღაც ქალაქის სულზე წერდა, არამედ ყველა ეს ლექსები განცდის ჭეშმარიტი კარნახია.

თუ გალაკტიონი ფართედ არ შლის ქალაქის სულს მის ნაწარმოებში, ეს ზემოდ ნათქვამის მიხედვით ბუნებრივია.

აღსანიშნავია ამ მხრივ მისი ლექსები „ი. ა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ და „შიში“. საერთოდ ლირიკა მკვეთრი თქმის დარგია, შტრიხების სახით, ის ნაზია და მიმზიდველი თავისი ფერადებით და სურათებით. გალაკტიონის ქალაქის სულის გამომხატველი ლექსები მოკვეთილი ხაზები, ცოცხალი მთრთოლვარე სიმბოლოებია. და როცა მას ვშლით, ჩვენ წინაშე იშლება მთელი არენა ნახულთა, მოვლენათა, მოძრაობათა და სხვა.

ლექსი „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ ეს მთელი ეპოპეიაა. აქ ყოველი წინადადება საშინელ ტრაგედიებს გვიშლის თვალწინ, რომელიც რევოლუციის გულის სიღრმეში არის ჩაქსოვილი.

მე არ მინდა ჩვენში იყოს ესეთი, რომელსაც ეს ლექსი არ წაეკითხოს.

მაგალითად თუ გინდ შემდეგი:

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა,
თან მეფიცება ძმობას და დობას –
და ყორანივით უცნობი სკრიპკა
ჩემს მხართან ტირის უამიდობას.

.

მე, ნოემბერი და პეტროგრადი
ასეთი კარგი და უდაბური

.

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძე გაქრა, როგორც ასეთი!
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი:
სიკვდილი ერთი და უცაბედი.

... თან ასე ვფიქრობ, **ეს ბავშვი ტირის!**¹

მე კი რადგანაც გამძარცვეს გუშინ,
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,
ანდა რევოლვერს დავიცლი გულში!

¹ მოიგონეთ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ და იქ „ბავშვის“ ფილოსოფიური გაგება თავის სინამდვილეში.

განმარტება მეტია. აქ სიმბოლიზმი ისეთის ბუნდოვანებით არ არის მოცული, რომ მკვეთრი და ღრმა შინაარსიანი შტრიხები რეალისტური სახით გაუგებარი დარჩეს.

ლექსი „შიში“ – ეს რიტმით დაწერილი განცდა, შეუდარებელია თავისი სურათებით და შინაარსით.

შიში დალუპვის ყველგან მიწვდა.

თეთრი ეტლები მიქრიან

ღრღნის მიწას...

ეძახის...

ვინ ისმენს?...

არავინ, არავინ

ის ილუპება!...

წინ მიქრის კუბო.

ქალაქი ფითრდება.

მან შეამჩნია, რომ ბერდება.

.

ნიავეც სავსეა ხოლერით,

მთვარესაც ედება ბაცილა!

ხოლერა...

ის...

საშიშროება ახალი ყოფნის მოახლოების დროს. შემოქმედის სული, ზოგჯერ სავსებით განიცდის იმ მოვლენას, რომელიც მის მიერ წარმოდგენილ ტიპში ხდება და თვით ხდება ბუნებრივი აღმასრულებელი მისი ტანჯვისა.

ასეთი აღსრულება სხვისი ტანჯვისა მსახიობის განცდების საზღვრებს სავსებით შორდება. ეს მიმღებიანობა სხვისი ტანჯვისა უდიდესი საიდუმლოების მატარებელია.

თქვა ისე – სხვა აატირო, აამოძრავო და ამასთან თქვა ის, რასაც სხვა განიცდის, აი ახსნა შემოქმედების კანონებისა. და გალაკტიონი აქ სრულუფლებიანია. გალაკტიონს სმენაც უჩვეულო აქვს, აქ – სმენაც კი მისტიურ ხასიათს ატარებს,

ოჰ! მე მომესმის შეყვარებულ წამწამთ კანკალი.

(„სამრეკლო უდაბნოში“)

მის მგრძნობიარე სულს თუ ესმის „წამწამთ კანკალი“, მაშინ წარმოიდგინეთ მთელი საშინელება ჩვენი ეპოქის ხმაურისა, ყრიაშული, ჯოჯოხეთი... და ამ დროს ჩვენ სავსებით გავიგებთ, თუ პოეტის გულში რა „აჭკნობს ნაადრევ იებს“. და ყველგან მუდამ დგას თავის სამრეკლოზე უდაბნოში, და იძახის: სწუხს ჩემი სული – ვით სამრეკლო ცის უდაბნოში..

მაგრამ სად არის პასუხი!

მხოლოდ „იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს...“

და ასე მხოლოდ გაიელვებს ყრუ ძახილი, დიდი ნაპრალი ბობოქრობს, დალუპვა, სიკვდილის სიყვარული, სიცოცხლის სიძულვილი, და ასეთს საშინელებაში ყველა, ყველა ყრუ ქვითინით გავიძახით:

ცხოვრებდა ვინმე... გულში ფარული

უთრთოდა ციურ შუქთა კამარა:

ამ ქვეყნათ სურდა მას სიყვარული,

მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა.

და ასეთი ძახილის, სევდიანი ოხვრის საპასუხოდ მხოლოდ „იელვებს, ქრება“... ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?..

როცა:

ტკივილებით გამწარებული
ღრღნის მინას...
ეძახის...

და ამ ძახილს ყველაზე უფრო გარკვევით გალაკტიონი ისმენს, და მისთვისაა, რომ მას ასე „ღუპავს გრძნობა“...

8 დეკემბერი
1922 წ.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №3, გვ. 6-11.

დავით შავლიაშვილი

ორი პორტრეტი

[...] ვინ არ არის ჩვენგანი მთვრალი სულხანიშვილის მუსიკით, გალაკტიონის ლექსით. და რათ გვიტაცებს, რათ გვაჯადოებს, რათ გვატყვევებს ნეტავ ასე პირველის მუსიკა, მეორის ლექსი?

და ვერც ახსნით ამას ისევე, როგორც ვერ ახსნით იმას, თუ რათ გიტაცებთ მზის ამოსვლა ბახმაროზე! ორთავე სანახაობა კალმით აუნერვლია, როგორც ალაზნის მზის – სულხანიშვილის ჩასვენება, ისე ბახმაროს მზის – გალაკტიონის ამოსვლა.

ორივე მზე ერთი და იგივე სულის ნატეხია...

ანჩისხატი
10 დეკემბერი.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 3, გვ. 13.

ნ. ელიანი

მწერლობისათვის

იცოდეს ყველამ, რომ დღეს ცამდე მალღება მწერლობის მნიშვნელობა, მიუხედავად მისი მნიშვნელობა. იგი ასულდგმულებს ეროვნულ სხეულს, აცისკროვნებს მის სულთანსწრაფვას და მიუძღვის მთელს ცხოვრებას მკვდრეთით აღდგომისაკენ. მწერლობა საზოგადოებრივ წყვიადს კვეთს და სინათლის ბრწყინვალებას ამკვიდრებს ქვეყნის სულსა და გულში.

„ცხოვრებას დაჰკვივის ხმა – ცოცხალი უნდა ვიყოთ“. ეს ხმა პირველყოფლისა მწერლობამ უნდა გაიგონოს და უნდა გააუკვდავოს ჩვენი საღვთო ლტოლვები.

ამიტომ ადვილათ გასაგები და ბუნებრივია, როცა ამ მწერლობის უმშვენიერესი დარგის – პოეზიის ერთი დიდი თანამედროვე ქურუმთაგანი – გალაკტიონ ტაბიძე თავის ნაზი, მომხიბვლელი ხმით გაჰკვივის სამშობლოსათვის –

„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

ამით სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ საერთოდ ხელოვნება, პოეზია და კერძოდ მბრუნებელი პოეტი, როგორც მისი უმნიშვნელო რაინდი, უბრალო „გარემოების საყვირია“

და მიზნად ისახავს **სამარადღეო** ჭირ-ვარამის სამსახურს. ხელოვნება თავის შინაგან მიზნებს ემორჩილება. მას საკუთარი თვითმყოფობა ახასიათებს. მაგრამ იგი ამავე დროს უაღრესად სოციალური მოვლენაა და წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეროვნული ორგანიზმის **უდიდეს და უფაჩიზეს ფუნქციას**.

ხელოვნება ადამიანთა საზოგადოების აუცილებელი საჭიროებაა. ეროვნული ცხოვრების გარდაუვალი მოთხოვნილებაა. და რამდენადაც ხელოვანი ინდივიდუალურად სავსებით აკმაყოფილებს ამ უმაღლეს მოთხოვნილებას, იმდენად იგი ხდება საზოგადოების გულთმისანი, ერის დიდების მომღერალი და მისი უკვდავების მოციქული, რაც უნდა „წმინდა“ პოეზიის წარმომადგენელი იყოს პოეტი, თუ კი იგი ჭეშმარიტად პოეტია, **თავის დანიშნულების ბუნების ძალით** ყოველთვის გამამტკიცებელი და მადაიდებელი იქნება იმ ეროვნული მთლიანობის, რომელსაც იგი ეკუთვნის, მას შეუძლია აგრეთვე სხვა ერთაც – ინტერნაციონალს და კაცობრიობასაც ამაგი დასდოს მხოლოდ და მარტოოდენ ნაციონალური ღვედემოქმედების – სისრულით და ამაღლებით.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, №3, 1922, გვ. 11.

ონი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“

№ 3, ტფილისი. 17 დეკემბერი. 1922 წ.

ჟურნალის სახელი ორიგინალობისა და სიახლის იმედს იძლევა. დიდი დეკლარაციული პათოსით გაიხსნა მისი პირველი ნომერი. „ძირს ყოველგვარი რუტინა“, „ან სიკვდილი, ან განახლება“, ასეთ ალტერნატივაზეა აგებული გალაკტიონ ტაბიძის დეკლარაცია.

პროჟექტორის შუქით დატეხა ბნელეთის და თანამედროვეობის შეუკავებელი სრბოლა, რომელიც აცამტვერებს ყველაფერს დრომოჭმულს და დახავსებულს, სავსებით შეუგნია გალაკტიონ ტაბიძეს, მაგრამ... მხოლოდ შეუგნია!

შემოქმედების მხრივ კი – დეკლარაციის მეორე გვერდიდანვე ჟურნალის მთელ დამსახურებას შეადგენს მზის სინათლეზე გამოყვანა იმ მწერლებისა, რომელთა უმრავლესობა გაჩენის პირველსავე დღეებში ჩაძირულან უნიჭობისა და წვრილმანების ბსკერზე ან სამართლიანათ დავიწყების მსხვერპლნი გამხდარან...

„თეატრი და ცხოვრება“-ს შემდეგ ჩვენს ლიტერატურას არ ახსოვს ჟურნალი, რომელსაც თავი მოეყაროს პოეზიის ასე გაუმართლებელ მიმდევართათვის და ისიც ასე ყოველგვარ სკოლისა და ლიტერატურულ კრედოს გარეშე.

იპოლიტე ვართაგავა და ია ეკალაძე ამშვენებენ ჟურნალის კრიტიკულ ნაწილს.

ეს ყოველგვარ განახლებების მოულოდნელობის გადაჭარბებაა! უკანასკნელი იძლევა ხელოვნების გაგებას, რომელშიც მას ალბათ ტოლსტოის „Что такое искусство“-დან ამოუკითხავს: „ხელოვნება არის ერთ-ერთი საშუალებათაგანი ხალხთა ურთიერთობისა“, „ხელოვნება იგივე მეცნიერებაა“. „პოეზია არის ფსალმუნება ამაღლებული სულისა და ღალადისი ქვენა გრძნობათაგან განწმედილი გულისა“.

ჩვენ არ გვეგულება საქართველოში მოქალაქეც კი – ასეთი პრიმიტიული გაგებისა ხელოვნებასა და პოეზიაზე.

ასე დაიწყო „რუტინების ნგრევა“ და „განახლება“ ამ ახალმა ჟურნალმა.

უკანასკნელი ნომერი ამ ჟურნალისა მესამეა. ამიტომ ჩვენც უფრო ახლო მივუდგებით ამ ნომერს.

ნომერი იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით: „ეფემერები“. ჩვენ ვფიქრობთ, გალაკტიონ ტაბიძე მეტისმეტად „სეზონის პოეტი“ გამოდგა. იგი მაშხალისებურად ავარდა ჩვენი პოეზიის ჰორიზონტზე და ნაადრევათ დაცხრა. მარტო ის ფაქტი, რომ ის დღეს ათი წლის წინათ

დანერილ ლექსებს კითხულობს საღამოებზე, უდიდესი დაეჭვებაა წინსვლასა და გამარჯვებაზე. დღეს იგი თავის ძველი ლექსების გადამღერებას უნდება, მაგალითათ: „შავი პელიკანი“, რომელიც ორი წლის წინათ დაბეჭდა, ეხლა ორბელიანისებურ „სადღეგრძელოებით“ გააჭიანურა. თვით ეს ლექსი – „ეფემერები“ გამღერებაა „ლურჯა ცხენების“, დატვირთული ისეთი ლაპსუსებით, როგორიცაა მაგალითად:

ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი შვენებით
ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტერვალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა ცხენები.

ან კიდევ: ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე,
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო.

№1-ში მისი ლექსები – „ალზიორა“-ში მესამე ლექსის კომპოზიცია „თებერვალი დადგა“-ზეა დაყრდნობილი. ნიმუშები:

შუქი ჩაიშალა,
წყალი დაიფერა,
სიო დაიბერა,
ჩალა გაიჩალა.

საერთოდ, გალაქტიონ ტაბიძე ამ ჟურნალში ვერ იძლევა მოსალოდნელ პროგრესის რწმენას.

[...] უფრო უმწეოა კრიტიკული ნაწილი: ნ. გერგესელის გრძელი წერილი გალაქტიონ ტაბიძეზე სავსეა ულოლიკობით. აქ თანამედროვეობა დახასიათებულია, როგორც ლითონის ეპოქა და გალაქტიონი – ეპოქის პოეტათაა აღიარებული, თუმცა მის პოეზიაში ლითონის კულტის ნასახიც არ სჩანს. ამ წერილში იმდენი სიყალბეა, რომ მათი დასახელებაც კი გადაგვაცილებს ბიბლიოგრაფიის საზღვარს. ნ. ელიანის წერილი „მწერლობისათვის“ შაბლონიური ახსნაა მწერლობის მნიშვნელობის და სრულიად უკულტურო ხოტბა „მირონცხებულ პოეტისა“ (თქმა ავტორისა).

ამრიგად ეს ჟურნალი სრულიად არ არის გამართლება მისი დეკლარაციის.

საერთოდ, ეს ჟურნალი დამცირებაა გალაქტიონ ტაბაძის სახელისა და ავტორიტეტის, თუმცა ის ალბად წინააღმდეგშია დარწმუნებულს.

გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 24 დეკემბერი, № 378.

ლ. ქ.

1922 წლის ლიტერატურული შთაბეჭდილება

[...] გალაქტიონ ტაბიძემ სულ რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა 1922 წ. – შესაძლებლობა – აი, ვისზე შეიძლება ითქვას. ქართულ პოეზიაში გალაქტიონ ტაბიძის მეორე წიგნი – უდიდესი მიღწევაა ახალი დროისა. სანამ გავიცნობდი პირადად პოეტს, ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა – ვაი, თუ დაიფერფლა იგი და მის გაცნობა ვერ შემემთხვას მეთქი, – ისეთ დიდ წვას იძლეოდა იგი თავის წიგნში. მე მიმაჩნია დიდად საინტერესოდ ამ პოეტის პიროვნება. ის ახლა საკუთარ ჟურნალს სცემდა და დარწმუნებულია, რომ სხვანაირად მისთვის მოქცევა შეუძლებელია. არც ერთ პოეტს, გარდა ს. შანშიაშვილისა და ს. გრიშაშვილისა, არ ჰქონია გავლენა ახალგაზრდო-

ბაზე, როგორც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აი, ახლა იგი საკუთარ ჟურნალს სცემს და მე თავს ვერ ვიკავებ გაფრთხილებისგან. თუმცა 1923 წელია, იქნება, წინააღმდეგი დამიმტკიცოს.

გაზ. „ლომისი“, 1923, 1 იანვარი, № 18.

მირბახ

1922 წ. ლიტერატურულ კრიტიკის მიმოხილვა

[...] დავიწყეთ ჟურნალ „ლომისი“-დან, ვინაიდან ამ ჟურნალმა პირველმა შემოაღო 1922 წლის კარები. ეს ასე ვსთქვათ ამ წლის „მეფეხურია“. პირველსავე ნომერში მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენთვის დიდად საინტერესოა გალაკტიონ ტაბიძე ამ წლის განმავლობაში იმ მხრით, რომ მის წერილებს, თუ არ ვცდები, ამ წელში პირველად ეცნობა ქართველი საზოგადოება, სადაც გადაჭრით არის ნათქვამი, თუ რა გეზი უნდა აიღოს ქართველმა ხელოვანმა: პოეზია უპირველეს ყოვლისა, დაიწვიტ პოეზიის კოცონზე, მოუწოდებს იგი ქართველ ხელოვანთ. „ჩვენ უნდა ვიყვეთ ერთის მხრით მომავალ საუკუნეთა დღესასწაულის პლანეტარულ ქაოსის გამომხატველი და მეორე მხრით ნაციონალურ სახეების მძებნელი“.

იგი აღშფოთებულია, რომ ზოგიერთი თანამედროვე პოეტები სცდილობენ წარსულს გვერდი აუარონ, მოსწყდენ მშობლიურ ხელოვნების ცხოველ ნაკადს, იგი გრძნობს, რომ ეს იქნებოდა დაღუპვა ქართული ხელოვნების და ამბობს: „წარსულს ნურავინ სთვლის უმნიშვნელოდ დაკარგულად“. იგი უარყოფს აგრეთვე „კაფე-შანტანების პოეზიას“, რაც ასე გაღმერთებულია ერთი ჯგუფის მიერ. „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. საუკუნე მომნიშვნელებულია მათთვის, ვინც მიდის ხალხში, საუკუნე გათენდა მათთან ერთად და მათთანვე ჩაესვენება“ და რომანტიზმი, გალაკტიონ ტაბიძის აზრით, „ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებათ“.

თავისი შეხედულებები ხელოვნებაზე გალაკტიონ ტაბიძემ კიდევ უფრო ნათელჰყო სრულიად საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ გამოცემულ „პოეზიის დღის“ მონინავე წერილში. „ჩვენს პოეზიაში ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული ნამება და ჯვარცმა. არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით, ცხოვრება წინ მიდის და პოეტი არ შეიძლება ჩამორჩეს მას, ჩვენთვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, რომელნიც შეეფერებიან ჩვენს დროს, საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოეზია, და პოეტებისთვის უპირველეს ყოვლისა – საქართველო“. უფრო გამძაფრებით აკვილდა დღემდე ნაზი და მისუსტებული ხმა ცისფერ რომანტიკოსის გალაკტიონ ტაბიძისა, მისი სახელწოდებით ჟურნალის პირველ გვერდზე.

აქ იგი არა მარტო მსჯელობს პოეზიაზე, აქ იგი უკვე მონოდებით გამოდის და დევიზით მოაქვს „ან სიკვდილი ან განახლება“. გრძნობს რა, რომ „თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანჭებში ახრჩობს ძველს, ამ საბედისწერო მკვლევლობას გადარჩება მხოლოდ ის, რაც ძლიერია არა მარტო დღეს, არამედ საუკუნოებში“.

და აღარ შეიძლება შეჩერება ერთ წერტილზე, აღარ შეიძლება ძველის გადამღერება. „რითმებში ახლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახებანი, ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიურ დროს“.

იგი მოუწოდებს თანამოკალმეთ: „სისხლში მცურავ და მძიმედ დაჭრილმა ჯარისკაცმა თოფის ლულაზე ააფრიალა თეთრი ჩვარი. მას შემდეგ თქვენ რაღაც სამუდამოდ დაჰკარგეთ, ძვირფასო ძმებო, ამაოდ ეძებთ მას მშობლიურ ქალაქებში, სახლებში, ქუჩებში. მე ვამბობ

გადაჭრით, საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერსად ვერ იპოვით. აირჩიეთ: „განახლება ან სიკვდილი“.

ამრიგა,თ, გალაკტიონ ტაბიძემ შემდეგი დებულებანი წამოაყენა პოეზიის სფეროში: 1) ქართველი ხელოვანი უნდა იყოს ხალხში და ხალხთან ერთად, 2) ქართველი ხელოვანი უნდა იყოს ერთის მხრით მომავალ საუკუნეთა თანამგზავრი, მეორეს მხრით – ნაციონალურ სახეების მძებნელი, 3) ქართველმა ხელოვანმა უნდა უარყოს კაფეების პოეზია, 4) ქართველი ხელოვანი ვერ დაკმაყოფილდება მარტო წარსულით, ძველი ღმერთებით და 5) ქართველი ხელოვანის დევიზი უნდა იყოს ამ საბედისწერო ხანაში „ან სიკვდილი ან განახლება“.

[...] „დემნა შენგელადაც წელს იწყებს დებულებით (თუ არა ვცდები) კრიტიკულ ეტიუდებით. მისი ეტიუდი „ლომისში“ – „დაგვიანებული მაყარი (შალვა ამირეჯიბი)“; „ჭოლა ლომთათიძე“ და „ილიონში“ – „გალაკტიონ ტაბიძე“ მეტად საყურადღებონი არიან.

ყველა ზევით ჩამოთვლილ წერილების სტრიქონები გამთბარია პოეტური გრძნობით და ინტუიციით. აქ არა სჩანს რაიმე წინასწარი განზრახვა. ავტორი გადმოგვცემთ, მას, რასაც ისა გრძნობს, რაც მას განუცდია მათი შემოქმედების კითხვის დროს [...]

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 1 იანვარი, № 5, გვ. 6, 8

სპონდე

სიტყვაკაზმული მწერლობა

1922 წელი

ერთი წლის განმავლობაში ენეოდნენ მუშაობას ქართველი მწერლები თავიანთ სასახლეში. ეს იყო შრომა პატიოსანი და წრფელი და ამ მუშაობამ გაამართლა წარსული წელიწადის არსებობა.

ქართულმა ლიტერატურამ დასვა მრავალი პრობლემები და ეს პრობლემები მოითხოვენ აუცილებლად დიდ მხატვრის თვალებს, რომ ისინი შესაფერისად იქმნან განათებული.

საქართველო სიზმრისა და მწუხარების ქვეყანაა! საქართველოს ისტორია, ერის მითები განვლილი კოშმარული ღამეებია და ამ ღამეებს ანათებს მეთორმეტე საუკუნე თამარის მწუხარე, ნაღვლით დაბინდული ნუშის თვალებით. მეთორმეტე საუკუნე ანათებს მთელი ერის ისტორიას. ჩვენ ახლა ახალ ეჭვებთან ვართ მისული. აგასფერივით გადავდივართ საუკუნეებიდან საუკუნეებში და ადგილებიდან ადგილებში, იყო ქალდეა, კაბადოკია, კავკასია. განვლეთ ქალდეველთა კულტურა, განვლეთ მითრიდატისა და პომპეუსის მიერ დანთებული ქარიშხალი და მივადექით მეთორმეტე საუკუნეს. დღეს ჩვენ შუბლით მიბჯენილნი ვართ კავკასიონის ქედს და აქედან ძვრა უკვე შეუძლებელია. აგასფერმა ნახა დაბრკოლება, მაგრამ იგი უნდა აღიმართოს კავკასიონის ქედის სიმაღლეზე და გაფრინდეს ლურჯთვალეზიან სივრცეებით. სიზმრები განაგრძობენ საქართველოზე გულიმედობას. ქართველი ერის ისტორია ეს ათას ერთი ღამეა, სადაც ქართული პოეზიის ალადინი დადის თავისი ჯადოსანი ლამპარით. ედგარ პოე ამბობს: „პოეზია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ სიზმარი არსებობსო“. ალბად საქართველოშიც იმიტომ უყვართ პოეზია, რომ მისი სიცოცხლე ხანგრძლივი სიზმარია. საქართველოს მისდევენ ათასეული საუკუნეები, აგლეჯენ სამოსს, მაგრამ იგი ფენიქსივით განახლებული მიდის და მიდის შეუდრეკელად, მემათიანები იქანცებიან თვალყურის დევნებით. მისი წარსული უხსოვარ სიზმარშია დაკარგული და კიდევ ახალი სიზმრები ელოდება მის თვალებს. საუკუნეები და ქართველები ჰფრენენ მის თავზე და იგი მაინც უტეხი, უსწორებს თვალებს მათს თამამ ქროლვას. საქართველო სავსეა ნანგრევებით, მაგრამ იგი სავსეა ახალ იმედებით. ქრისტესავით გააკრეს იგი მრავალჯერ ჯვარს, მაგრამ ქრისტესავითვე დგებოდა იგი მესამესა დღესა და პოეზია იყო მხოლოდ მისი ერთგული და მეგობარი, მისი ცრემლების შემშრობი. შოთა ლეგენდარულ თეთრ პრინცივით დადის ახლაც ხალხის ხსოვნაში.

და ჩვენ ახლა ახალ ბჭეებს მივადექით, ქართულ სულს უკვე ელანდება ფოლადით გაჭენებული საუკუნეები, რამდენი გზაა! და ყოველი ახალ-ახალი წლები ანმტკიცებდა და ამართლებდა ჩვენს არსებობას და ამან მოგვიყვანა ჩვენ მე-20 საუკუნემდის. იქნებ ეს წლები აღსავსე იყო ჩვენი წამებით, მაგრამ ჩვენ ვმართლებოდით ამ წამებაშიც. ლომისისა და ლაშარის მაღლი სდარაჯობდა ჩვენს ეროვნულ გენიას. და შარშანდელი წელიწადი გაიხსნა ჟურნალ „ლომისი“-თ, სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გალაკტიონ ტაბიძის წინადადებით იანვრის 22-დან აარსებს ჟურნალ „ლომისს“. აქ თავს იყრიან თითქმის ყველა მწერლები.

პირველი ნომერი გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ზამთარი“, ამავე სექტემბრის 1-დან „ლომისი“ გაზეთის სახით განახლდა.

ამავე წელს გამოვიდა მე-2 და მე-3-4 ნომრები ერთი ჯგუფის მწერლობისა ჟურნალ „ხომალდით“, ამ ჟურნალის მე-3-4 ნომრებში იყო მოთავსებული შესანიშნავი მოთხრობა ლომთათიძისა „1-ლი მაისი“.

ზაფხულს გამოვიდა ჟურნალი „ილიონი“. [...]

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ № № 1, 2, 3 და № 4.

ამ ჟურნალში მთავარ ყურადღებას იქცევდა პოეზიით მუდამ ათრთოლებული გალაკტიონი.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №5, 1 იანვარი, გვ. 13-14.

ვასილ წერეთელი

ძველი და ახალი

[...] გადავავალიერე გალ. ტაბიძის ჟურნალი (№2, №3, №4). გული გამიტყდა, რისთვის იხარჯება ამდენი ქალაქი?!

[...] გალაკტიონ ტაბიძის „ეფემერა“ მანერინანია, არა-სადა, არამარტივი, მისი პოეზიის ღირსება კი უმთავრესად სიმარტივესა და გულწრფელობაშია. [...]

გ. ტაბიძის ლექსის – „ისევ ეფემერა“ – დედააზრი ეს არის? პოეტი ისე მაღალია, რომ ის იმგვარადვე ტყდება, როგორც მაღალი ხე, რომლის მწვერვალსაც ხვდება ქარი. მაგრამ ხე-ლოვნიური მიღწევა ვერ შეედრება განზრახვას...

ჟურნ. „კოლხეთი“, 1923, №1, გვ. 50-51.

ვახტანგ გარრიკი

გალაკტიონ ტაბიძე

ძნელია პოეტის პიროვნებაზე ლაპარაკი. ძნელია მისი სულის პასუხის ამოკითხვა. ხშირად მისი გზა – გოლგოთის გზაა და წამება მისი, როგორც ხელოვანის მუდამ ტრადიულია.

ამისთანა სახეების გამოცნობა ისევე გვიძნელდება, როგორც თვით ჩვენების საიდუმლოება. აქ საჭიროა დიდი პოეტური აპპერცეპცია. უნდა იყო თვით პოეტი განცდით და ტემპერამენტით, რომ სთქვა ის, რაც გრიგალივით დაგროვილა პოეტის სულში.

პოეტის სახე ყოველთვის პლასტიურია. მისი შინაგანი ხმაური – ზვიადი და ჰარმონიული.

ხელოვნება – მარადიულია და ხელშეუხებელი სინმინდე, მჭვარტილიანი სული ხელოვნების საიდუმლოებას და დიადობას ვერ ჩასწვდება. მხოლოდ მაღალ ბუნების ადამიანს შეუძლიან იყოს ხელოვანი. საქართველოში არის ერთი პოეტი, რომელიც განსაკუთრებულ

ტოგით სდგას. დიდი ხელოვანია იგი, იშვა ახალი სულისკვეთებით. მოვიდა ახალი შემეცნებით და ახალი ესტეტიკით.

ეს არის გალაკტიონ ტაბიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ეს უდიდესი პოეტი-ფილოსოფოსი, რომლის ტანჯვა და პესიმისტური მსოფლმხედველობა თანაბარი იყო ჰამლეტის ტრაურის, – გალაკტიონ ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში განცალკევებულ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიის ლამაზი რაინდია. ის მოდის ლაჟვარდი ოცნებით და „არწივის ფრთებით“. მისი პოეზია არის

ვარდთა ნელი სურნელი.
აფეთქებული და მოცახცახე.

ის იწვის როგორც წმინდა სანთელი! და მის ფიქრთა, ზღვათა იდუმალებაში იმალება:

იაგუნდი, ლალები.

იშვიათია პოეტს ჰქონდეს ისეთი შინაგანი განათება და ხმაური, როგორც ეს გალაკტიონ ტაბიძეს. პოეტის სული ამეტყველებულია მუსიკალური აკომპანიმენტით. და თითო მისი კალმის მოსმა ქალაღზე – არის კლავიატურაზე კლავიშების ერთი მეორის ამოძახილი.

გალაკტიონ ტაბიძეს ლექსის რიტმი – მუსიკალურ ჯადოსნობით არის გამართული. პოეტმა იცის მუსიკალური პათოსი და ის ხმარობს იმისთანა სიტყვათა კომბინაციებს, რომელნიც ლექსს ჰქმნიან – მუსიკალურ კასკადათ.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის რიტმში არის მინორი და სიტყვების ფიგურაცია.

ლექსის მთავარი ფუძე – მუსიკალური რიტმია, სიმეტრია და პროპორციაც ამით უნდა გაიშინჯოს. თანამედროვე ხელოვნებას ახასიათებს ლაკონიზმი – ნერვიული ხანა ვერ ითმენს სიტყვის გაგრძელებას, მას უყვარს სიტყვის მოკვეთა, სწრაფი, ალეგორიული თქმა.

ასეთია გალაკტიონ ტაბიძის ლექსიც.

მაგრამ მეორე, უარყოფითი მხარეც აქვს თანამედროვე ხელოვნებას. ეს არის დეკადანსი, რომელიც სწრაფი სვლით უფსკრულისაკენ მიდის. გემოვნების და ფანტაზიის დაქუცმაცება, გრძნობა და გონების გახრწნა. კომმარული ვნება და განცდანი.

გალაკტიონ ტაბიძე ამაზე შორსა სდგას.

ის ესტეტია, ლამაზი შემეცნების პოეტი. ფაქიზი და უნაზესი სულის მატარებელი. დანტეს და პეტრარკას ცის ქვეშ იზრდებიან ასეთი პოეტები.

ისინი ესალმებიან ნესტან-დარეჯანს და ბეატრიჩეს „პირველი ტრფობის ინტერვალებით“.

შეუძლებელია საერთოდ გადმოვცეთ პოეტის ის ფიქრნი და ზრახვანი, რასაც ის ფიქრობდა და განიცდიდა, როდესაც კალამი მაგიური ძალით მეტყველებდა.

გალაკტიონ ტაბიძის ფიქრი – ეს „ოცნებათა კრებაა“: მთა თეთრი, გერალდიური რაში... ფარჩა და აღმასები, ყინვის თასები, ნაქარგი ქოშები, გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო, გამოუცნობი ქიმერები, ნისლის ნამქერი – მზით ნაფერი, – მთელი ეს ფანტასმაგორია გრადაციის სახით უცნაურად იშლება პოეტის ფანტაზიაში და ეს მოგონება მისდევს მეორე მოგონებას „როგორც ანათემა“.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები ნაზ ფიქრებით არის მოქსოვილი, ხასხასა გაზაფხულის ყვავილებით მოქარგული. მისი „ლურჯა ცხენები“ ვირტუოზული ტექნიკით და მქშინავი ცეცხლის სტრიქონებით არის დანერილი და თითქოს გაგონდება ბარათაშვილის მერანი – თავისი გამკვეთი სტიქიურობით. და დღესაც მიქრიან ეს „ლურჯა ცხენები“ როგორც „ნისლის ნამქერი“.

პოეტის „შემოდგომის ფრაგმენტი“ არის იმ ბუნების რეკვიემი, რომელიც ეთხოვება დროებით ზაფხულის სილამაზეს და თეთრ თოვლის ნამქერში იმალება.

და დიდებულია მისი „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანე“ თავისი რიტმიული სიცხარით:

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირეკს ნოემბრის ბალები.
მხურვალე ვნებები გამივლის,
სასახლის ჩაქრება ჭალები.

აქ არის მოცემული პოეტის დიადი პოტენცია და ასხმულია ლამაზი რითმით.
„მერი“ – დილის ცისკრის ზარების რეკვას მოგვაგონებს და იგი არის ნამდვილი
ლექსმოტივი პოეტის შემოქმედების.

გალაკტიონ ტაბიძე მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან და მისთვის
გასაგებია ქართული ეროვნული კულტურა.

იგი ეზიარა ევროპის კულტურას, სულით და მისწრაფებით დასავლეთისკენაა, მაგრამ
ტემპერამენტით აღმოსავლეთის შვილია და ამიტომ უყვარს პოეტს ასე ტფილისი:

სიონი ჩემი ნათელს დამათოვს,
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას,
ათოვს ხიდეებს, ათოვს მადათოვს,
ათოვს ზმანებებს და მწუხარებას.

პოეტს არ შორდება „ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით“ და მთა
არსენალი, მთა სავანე აღიმართებიან მის წინაშე „ვით ჟირაფები“. გალაკტიონ ტაბიძე ხშირად
იგონებს „დანყევლილ ყრმას“ – ნ. ბარათაშვილს და მოხუცის – აკაკის ლანდს. გალაკტიონ
ტაბიძეს უყვარს ტფილისი, მაგრამ ტფილისი მისთვის ყოფილა ხშირად: „გილიოტინა და
ეშაფოტი!“ ამ სიტყვებში მარხია პოეტის მთელი ტრაგედია და ტრალიული სიმძაფრით არის
დანერილი ეს დიდებული სტრიქონები:

ნერონის ცეცხლზე იფიქრო კაცმა,
მადონნას გწვავდეს მზე უვედრები,
და განიცადო ასეთი ჯვარცმა:
უდაბურება, რღვევა, ცხედრები!

ამ სიტყვებით გალაკტიონ ტაბიძის ფიგურა სდგება ჩვენ წინ, როგორც დიადი
ტრალიული პიროვნება, მოსილი შავი სევდით, რომლის სულის კვეთება მსოფლიურია და სავ-
სეა კოსმიური წვით.

მართალია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია – მაღალი ლირიზმია, მაგრამ ეს ლირიზმი და-
თალხულია ნაზი სევდით, ჰარმონიულად ამეცყველებული.

გალაკტიონ ტაბიძე ღირსეული შვილია იმ ქვეყნის, რომელმაც წარმოშობა გენიალური
რუსთაველი.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 4 თებერვალი, № 8, გვ. 8-10.

საღამოს მომწყობი კომისია

ა. ნ. ივნიისის 17-ს რუსთაველის თეატრში გაიმართება

საზეიმო საღამო

გალაქტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 15 წლის შესრულების აღსანიშნავად

რამ გამოიწვია გალაქტიონ ტაბიძისადმი ასეთი არაჩვეულებრივი ინტერესი, რისთვის უყვარს საზოგადოების ყველა წრეებს გალაქტიონ ტაბიძე? საზოგადოებაში, პრესაში, თვითვე შეგნებულ ოჯახში არავისთვის დღეს საეჭვოა არ არის, რომ გალაქტიონ ტაბიძე, როგორც პოეტი, ეპოხალური მოვლენაა საქართველოში. იგი ედარება ხან იმ სისწრაფით მოვარდნილ ნიაღვარს, რომელიც საკუთარი ძალღონით ერთადერთი მიანგრევს დაბრკოლებათა რიგებს, რაც კი გზად ხვდება, ხან მისი ენერგია ედარება წვეთს წყალისას, რომელიც ეცემა რა ერთსა და იმავე ადგილას, თავისი დაჟინებული ნებით ბურღავს ქვის გულს და ბოლოს სრულიად ანგრევს მას. თხუთმეტი წლის წინად მკითხველმა საზოგადოებამ ერთხმად აღიარა მასში შეუდარებელი პოეტური ნიჭი. თხუთმეტი წლის განმავლობაში თვითვეული მისი ლექსი იწვევდა არაჩვეულებრივ გამოსმაურებას. მისი ლექსების წიგნები ათასობით ვრცელდებოდა; უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღელვებული პირველი მიესალმა ამ წიგნის გამოსვლას. გალაქტიონ ტაბიძის თვითვეული სალიტერატურო საღამო იყო პოეზიის ნამდვილი დღესასწაული, სადაც საზოგადოება დაუსრულებელ ოვაციებს უმართავდა თავის საყვარელ პოეტს. „მე და ღამე“, „მერი“, გენიალური „ლურჯა ცხენები“, „მთანმინდის მთვარე“ და სხვა ასეთი შედეგები ხელიდან ხელში გადადიოდა. მან შექმნა თავისი საკუთარი შკოლა. მისი ლექსების მეორე ტომი – დღემდე დაუფასებელი განძია, უკანასკნელი ეფემერები კი, მესამე ტომისათვის, შეეჯიბრებიან საუკუნეებს მოხდენილი რითმებით, ასსონანსებით, ალიტერაციებით და სხვ. მან დაუფასებელი ღვაწლი დასდო თანამედროვე ლექსის ტექნიკას. აქ ჩვენ ვერ ვეხებით პოეტის შემოქმედების სხვადასხვა მხარეებს, მხოლოდ მოვავიწყებთ ქართველ საზოგადოებას, რომ იგი მოვალეა დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საღამოში, რომელიც იმართება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 15 წლის შესრულების აღსანიშნავად, რადგან ასეთი პოეტი საუკუნეში მხოლოდ ერთი იბადება.

ტფილისი
1923.

გაზ. „ტრიბუნა“, 1923, 10 ივნისი, № 49.

გ. ა.

გალაქტიონ ტაბიძის „ჯონ რიდი“

„ჯონ რიდი“ (ანუ „ორი პოეტი რევოლიუციის ცეცხლში“, დავუმატებდი მე, ეს ორი პოეტი – ჯონ რიდი და გალაქტიონ ტაბიძე არიან) – „ჯონ რიდი“, ეს პოემა, – არის მოგონება მე-III ინტერნაციონალის კეთილშობილ დელეგატზე, მოგონება, რომლის ფონზე გადაშლილია რევოლიუციის ცეცხლში მყოფ რუსეთის სამოქალაქო ომის სურათები.

გალაქტიონ ტაბიძე პირადად ღებულობდა მონაწილეობას რუსეთის რევოლიუციაში. ამ მხრივ ის პოემა უნდა პოეტის დღიურად ჩაითვალოს; მაგრამ ეს უბრალო დღიური კი არაა: ეს არის, ასე ვსთქვათ, ფანტასტიური დღიური პოეტის, რომელმაც რევოლიუცია სავსებით

მიიღო, მაგრამ თავისი ლირიული სულის პრიზმით ასახა იგი. როდესაც ფიქრობ გალაკტიონ ტაბიძეზე, გრძნობ, რომ პოეტი ყოველთვის რჩება თავის თავად, ერთი და განუმეორებელი. მისი პირველი წიგნიდან დაწყებული და „ჯონ რიდი“ გათავებული, იგი ყველგან ნაზია და ათრთოლებული. მე ვამბობ, რომ მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს შეეძლო პირადი და მასების განცდები და ნგრევის სურათები ფანტასტიკის რეალში მოემწყვდია, მაგრამ ამავე დროს მხატვრულ რეალიზმს არ გასცილებოდა. ამიტომ იძლევიან „ჯონ რიდის“ სტრიქონები იმ წითელი ყვავილების შთაბეჭდილებას, რომლებიც დარჩენილია რევოლიუციის დროიდან.

როდესაც პოემას კითხულობთ, თქვენ ფეერიულად წარმოგიდგებათ თვალწინ ის ხანა, როდესაც რუსეთი უზარმაზარ კოცონს წარმოადგენდა, როდესაც ქარხნები და მინდვრები გაჩუმდნენ, როდესაც ადამიანს აწვალდნენ შიმშილისა და გაჭირვების კომმარები, როდესაც კლასები დრტვინავდნენ, ხოლო ამ ნისლში მაინც შეუდრეკელად იდგა შუშის ფიგურა, სოციალიზმის სხივებით განათებული.

აპოთეოზად ჩვენ ვხედავთ, „შებინდებულ მირაჟს მწუხარებისას“. იმ კეთილშობილი პიროვნების აჩრდილს, რომელმაც ასე შეიყვარა სოციალისტური რუსეთი და თავისი სიცოცხლე შესწირა მას.

პოემაში მრავალი შესანიშნავი ადგილია. მე არც ერთ მათგანს არ მოვიყვან. შეუძლებელია ყველა საინტერესო ადგილების გადმობეჭდვა.

„ჯონ რიდი“ ძვირფასია, როგორც მოგონება, როგორც რევოლიუციის დღიური და აღსანიშნავია, როგორც პოეტური ნაწარმოები, რომელიც მომავალშიც არა ერთხელ მოხიბლავს და ჩააფიქრებს მას.

ჟურნ. „მნათობი“, 1925, № 1, გვ. 251.

ვასილ ბარნოვი

გალაკტიონ ტაბიძეს

ლექსთა კრებული მომძიმო ტანის. ჰაეროვანი ციაგი ნაზთა გრძნობათა. განცდათ წალკოტი პირადპირად ყვავილით სავსე. მგრძნობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი.

ქართული ტკბილი. სულ უბრალოდ, მეამიტად იწყობს სიმღერას, ლაჟვარდ ცაში სანავარდოდ ჰშლის ფრთებს თანისთან. სიტყვის სიუხვე. ყველა კუთხის ლამაზი თქმა ერთ თაიგულად. სინამდვილეც ხომ აერთებს ან ქართველთ მოდგმას.

ცეკვით მოხლტის, მოიმღერის ლექსთა მდინარე. ხან ღიმილი, ბევრჯერ დარდი ხმაშენწყობილი. მღერის ქართველი ლხინშიც, გლოვაშიც. ზარით ტირილი გოდებაა ლექსად რხეული.

მთელი ლაშქარი საარაკო სახეებისა. უღვეელი სხვადასხვაობა. მიჰნიჭებიათ ლექსებში მათ სიცოცხლის ძალა: გილიმიან, გეხვევიან, ალერსს გეტყვიან; ცელქობენ შენ წინ. ხანდახან კიდევ გელრიჯებიან. ახალი არე ჩვენებებით სავსებით სავსე. თუ ნაშლილან სინამდვილის, ზმანებათა, ოცნებათ მზღვრები?! სინამდვილეს ეთერიული ხორცი შეუსხავს, ოცნების სახეს შეუმოსავს ნივთიერება.

საოცნებო სახეთ სიუხვე წვრილ ლექსებში ვეღარ ეტევა. გალაკტიონ! ოცნებები დაგრაზმიან. ითხოვენ პოემებს.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

დავით კლდიაშვილი

შვენიება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიის გალაკტიონ ტაბიძე

ხშირად ვიცნებობ და შევცქერი ცას,
ვეძებ უხილავს...
რა სინყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო!..
ჰეი, გაიღვიძე, ქარო ძლიერო,
გამოაღვიძე მიდამო მკვდარი,
გასწი, უამბე ადამიანებს –
ჩემო ოცნება მიუსაფარი;
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი
უუშორესი თანამგრძობელი,
ისიც დიდია მისთვის, ვისთვისაც
ზღვა-უდაბნოა მთელი სოფელი.

ასე დასვედიანებული იყო ახალგაზრდობისას „უხილავის მეზობლი“ მგოსანი, მთრთოლავი, რომ მის აღელვებას არავინ გაიგებს. მაგრამ იგი შემცდარი შეიქმნა. მისი ღელვა, მისი სულის კვეთება ერთმა კი არა, მრავალმა გაიგონა, მრავალთა გულს მოხვდა და აღელვა და მათი შვების მიმცემი შეიქმნა და შეიყვარა; ეს იმიტომ, რომ მისი აღელვება, მისი სულის მოძრაობა მხოლოდ მგოსნისა კი არ იყო, არამედ ათასი მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანების სულის კვეთების, რომელთა შორის იგი იყო; და ადამიანებმა შეიყვარეს მათი სულიერი ცხოვრების გამომსახველი და მუდამ სიყვარულით შემოსილს იყოლიებს. ეს ბუნების ჯილდოა. ცოტას ხვდება ასეთი ბედნიერება; და ამათ შორის ჩვენს საყვარელ გალაკტიონ ტაბიძეს, ქართული ლირიულ პოეზიის შვენებას და სიამაყეს.

დიახ, გალაკტიონის განცდანი მარტო მას კი არ ეკუთვნის – იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

განდევილი

სადღეისო

... გალაკტიონ ტაბიძე, – ეს დიდი პოეტია, უდიდესის განცდებით და უნაზესის გადმოცემებით...

– ჩვენ გვყავს რამდენიმე თვალსაჩინო პოეტი, როგორც ძველ, ისე ახალ პოეტებში: ზოგი მათგანი ახლავე შეიძლება ნამდვილ პოეტად გაჩენილად ჩაითვალოს არა ლექსთა სიმრავლით, არამედ ნამდვილ პოეტურის სულით, მაგრამ გალაკტიონი, – ეს სულ განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში!

– შეიძლება იმას ამიტომაც უწოდეს პოეტთა მეფე!

მე კი ამ სახელს ვერ ვუწოდებ მას, თუნდაც მარტო იმ მოსაზრებით, რომ ყოველი მეფე თავისებური დესპოტია; და გალაკტიონს, როგორც პოეტს, ვერავინ დააბრალებს დესპოტობას, – იგი არავის შესცილებია არც გვარიშვილობასა და არც ნიჭში... გაჩნდა თავისთვის პარნასის მწვერვალზე, და იმავე პარნასსმა გადმოსტყორცნა ამქვეყნათ, რათა თავისებურის სინარნარით იმღეროს: რომ „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“, და ჩვენს

სიამაყე ბარათაშვილს ამდენ წლის მდუმარების შემდეგ პირველათ გალაკტიონი გაეხმაუროს იქიდან, სადაც „დანყევლილ ყრმას“ უყვარდა „ობლად სიარული“.

გალაკტიონი განსხვავებულის სიმძლავრით გრძნობს ბუნების ხვაშიადს და ამ ძლიერი განცდის შედეგია ის, რომ ობოლმა სულმა თამამად შესძახა მერის: „და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“.

იშვიათი განცდა ასე ძლიერის სიტყვით მოსწყდება ხოლმე პოეტის ბაგეს...

გალაკტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი, და ამიტომაც მას სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი...

7/VI/1927.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

ვალერიან გუნია

ტემპერამენტი

ამბობენ, რომ ჩვენს კოლექტიურ სოციალისტურ ხანაში ტემპერამენტმა თავი დაგვიკრა და მოგვშორდაო.

მე მგონია, ეს მართალი არ უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ცხოვრების ტემპში, ხელოვნების მაჯისცემაში ნელ-ნელა და თანდათან სუსტდება და დუნდება მაღალი პოეზია, მისი გულუბრყვილობა და „სინმინდე“, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ტემპერამენტმა ბარგი შეიკრა და სამუდამოდ დაგვტოვა.

ცნობილმა ინგლისელმა ჯონ რესკინმა, დიდმა მწერალმა და ესტეტიმა, მჭერმეტყველურად და გულისტკივილით დაამტკიცა, რომ თანამედროვე ცხოვრება ხელს არ უწყობს პოეზიას და მის აღმაფრენასო.

იგი ამტკიცებს, რომ ქარხანა ჰკლავს ბუნებას, მექანიკა – შემოქმედებას და ხელოსნობა – პოეზიას; ამიტომაც, მოგვიწოდებს იგი, ყოველგვარი საშუალება და ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რათა დავიხსნათ ბუნება, შემოქმედება და პოეზიაო...

მართალია, კულტურა და განვითარება თანდათან შლის და აჩლუნგებს ტემპერამენტის სიმახვილეს და მის მძაფრ გამომეტყველებას, მაგრამ მაინც საეჭვოა კოლექტივიზმის მიერ ტემპერამენტის სრული გაუქმება.

თუ კაცთა ცხოვრებიდან გაქრება ტემპერამენტი, ეგ ხომ იმას ემგვანება, რომ მთელი ჩვენი სამყარო – დედამიწა საბოლოოდ გაცივდეს და გაიყინოს! მაშინ ხომ არავითარ მცენარეს არ შეეძლება მასზე ზრდა და გახარება.

გაციებულ გულსა და სულში მხოლოდ ჯოჯო ხარობს, ხავსი და ეკალნარი იზრდება.

ტემპერამენტის დაკარგვასთან ერთად უნდა გაჰქრეს ზეგარდმო ნიჭიც და უმაღლესი უნარიც, სამუდამოდ მოისპობა აღმაფრენა, აღტაცება და აღტკინება.

მე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება უტემპერამენტოდ, ურჯულოთ, უტრალედიოთ, უვიშოთ, ულოცვოთ და უიაჯოთ.

მაშინ არც ტანჯვა, არც სიხარული, არც ცრემლი, არც სიცილი: მაშინ მხოლოდ უკუნეთია, – სრული სიკვდილი.

და ვაშა იმას, ვისაც ტემპერამენტი აქვს, ვისაც ეს ტემპერამენტი ასულდგმულებს და ამოქმედებს.

ჩემს ახალგაზრდა მეგობარს, – გალაკტიონ ტაბიძეს ეს ტემპერამენტი ჭარბად აქვს და ამიტომაც მისი პოეზია ეგ ზომ მომხიბლველი და სხივოსანი.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

შალვა დადიანი

გალაკტიონის ახლოს

გალაკტიონ ტაბიძის ლაბორატორია...

(ყველა შემოქმედს ხომ თავისი ლაბორატორია აქვს) შემოსილია ოქროს ჩარჩოთი. ჩარჩო უცნაურია, როგორც საერთოდ მაღალნიჭიერ მგოსნის უცნაურობა და ჰგავს საარაკო ყვავილებს და ზოგჯერ ზღაპრულ კომპოზიციას და თანამედროვე კონსტრუქტიულ ხაზებსაც ხუროთმოძღვრებაში.

მხოლოდ მთელი აღნაგობა ამ ჩარჩოისაც, რომელიც ერთბაშე თითქო შეჩვეულ ქნარს გვაგონებს, ჰაეროვანია, მსუბუქი და ხელთდაუჭერელი.

გალიის იქით მოსჩანს თვის ტაძარში, ლაბორატორიაში, მღვდელმოქმედი პოეტი-ავტორი, რომელიც აგრეთვე უცნაურ ღიმილში ცვალებადობს: დასცინის ამ ცხოვრებას თუ სევდიანობს, ხალისით უღიმის თუ კმაყოფილებით აღფრთოვანებულია.

ლაბორატორიიდან კი გამოდის ხმები ნაზი და სალუქი, გულისმომწყვლევი და ამამალღებელი.

ხშირად ეს ხმები ისეთი მომხიბვლელია, მიმზიდველი, მახლობელი და სულშიჩამწვდენი, რომ განცვიფრებული დგები ამ ტაძრის წინაშე და... თითქო გაბედნიერდი.

დიდია ძალა ამ წარჩინებული ლაბორანტისა.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

ია ეკალაძე

მკითხველს

ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს

[...] როდესაც დღევანდელი ჩიქორთული პროზისა თუ პოეზიის კითხვით თავმოებურებულებს მოგინდეთ წმინდა ქართული მეტყველებისა და განცდის გემება, ან მოგესურვოთ „ოცნების მთაზე“ შედგომა, გადაიკითხეთ ხოლმე ლექსთა კრებული გალაკტიონ ტაბიძისა, – და თქვენ უმალვე გაგახსენდებათ ლოცვები უებრო სიჭაბუკისა და მოგაგონდებათ უებრო გულისთქმანი ძმობის, ერთობის აფრთოვანებული მისწრაფების იდეალისადმი, გაგიტაცებთ ბრძოლის კიჟინა, წაგაქეზებთ ლურჯი თუ შავი თვალები ბანოვანთა, თქვენშიაც აჭარბდება გრძნობა სამართლიანობისა, სურვილი მოძმეთათვის თავდადებისა, გრძნობა ძველი რაინდი მწერლების, რომლებიც ნატრობდენ, რომ დამხობილიყო ძველი წესი ცხოვრებისა, დანგრეულიყო მაშინდელი ქვეყანა, ქვეყანა ორგულთა და ორპირთა, ქვეყანა მლიქვნელთა და ძალმომრეთა, ქვეყანა ფლიდთა და თვალთმაქცთა, ქვეყანა ჯაშუშებისა და მტარვალებისა!

ამ მხრივ ჩვენი უშუალო მასწავლებელი იყო მშობლიური მწერლობა და ქართული პოეზია: პოეზია თავგანწირვისა და ოცნებისა, პოეზია ბრძოლისა და შრომის სუფევისა, პოეზია უანგარობისა და ფაქიზი გრძნობებისა. ასეთია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაც, დღეს უკვე ძველი ოცნების გამართლებულ პირობებში.

ფერადია იგი ვით ზიზილა ყვავილებით შემკული მინდორ-ველი ჩვენი მშვენიერი ქვეყნისა, უმანკო ბავშვების თვალებივით რომ შესცინიან ხოლმე სოფლიდან ლტოლვილ მეოცნებეს და ჩასაკოცნად იწვევენ მას.

საამურია პოეზია იგი, ვით ხმაური მთის ცრემლებისა, სადღაც, ყრუ ღელეში რომ მიიკლავება, გვერდზე წამოხრილი, დახავსებული ცალთვალა წისქვილის ასამუშავებლად და დაუსრულებელ ზღაპარს რომ უამბობს გათავისწინებულ მოყურადეს, აგონებს რა მას იმ მწარ-ტკბილ სიყვარულს, რამაც მოუკლა გული და მოუშხამა სიცოცხლე.

გალაკტიონის პოეზია ტკბილია, ვით რძე დედისა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია წკრიალაა, ვით ციდან მონასმენი ზარის რეკვა, ას წელიწადში ერთხელ რომ მოესმით ხოლმე ლიტერატურაში.

გალაკტიონის პოეზია წმინდა წყლის ზმანებაა, მიმოფრენა წინაგრძნობათა და ოცნების სამყაროში თანადროულობის სამოსელში გამოხვეული, იგი იმ ოცნებათა ჭიდილია, საუკუნოებით რომ დასდევს ხოლმე ჭირნახულსა და კულტუროსანს ქვეყანას და ამ ქვეყნის მესაიდუმლეთ. იგი ცრემლისა, სისხლისა და სიყვარულისაგან შეზავებული მსხვერპლია, საუკუნოების წიაღში გადასროლილი სამშობლოსა და კაცობრიობის საკურთხეველზე შესანიშნავად.

იგი ის გაუქრობელი კანდელია, რომელიც ენთო, ანთია და მარადის ენთება.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია პოეზიაა ყოველი დროისა.

საერთო ლიტერატურული მიწვევ-მონევისა და ღრიანცელის დროს ისეთი კაცი უფრო სჩანს ხოლმე, ვინც მეტსა ჰყვირის, ჰბაძავს სხვებს, სესხულობს სხვის აზრებს, ბოხოქრობს, თავხედობს.

გალაკტიონს ასეთი გამოჩინება არა სჭირია!

მისი წმინდა ქართული, წკრიალა ლექსები, უაღრესად მხატვრული მოსმა კალმისა, სისადავე და ბუნებრივობა აზრთა გამოთქმისა ნათლად მოწმობენ, რომ იგი ნათლულია თვით პოეზიის ღმერთისა.

საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება ამ ღვთიურ ნიჭისადმი, როგორც საზოგადოებისა, ისე თვით პოეტის მხრივ!

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

კაიუს პელი

გალაკტიონ ტაბიძე – პოეტი საქართველოსი

ქართულ პოეზიაში არავინ არ წარმოადგენს ისეთ რთულ მოვლენას, როგორც გალაკტიონ ტაბიძე.

გათვალისწინება იმ იდეებისა თუ იდეოლოგიურ შენობისა, რომელიც პოეტურ სახეებსა და ფორმებს წარმოქმნის, გაგება იმის, თუ რა ამოძრავებს პოეტს ამა თუ იმ სახეებისა და ფორმების შექმნაში, არის მოხაზვა პოეტის პორტრეტის, რომელიც შეიცავს განსაკუთრებულ, პოეტისათვის დამახასიათებელ, ორიგინალობას, საკუთარი პოეტური ნიჭისა და ესტეტიურ საგანთა შექმნის პირობების ფაქტს და ჯამს.

სწორედ ამ მიდგომით გვხვდება გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიაში, როგორც ცალკეული მოვლენა.

მაგრამ ვიდრე ვიტყოდე რაიმეს ამ მითითებით, საჭიროა იმ პრინციპიალურ საფუძვლის გათვალისწინებაც, რომელზედაც სდგას გალაკტიონ ტაბიძე.

გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა ფორმები, რომლებიდანაც სკოლები და მიმართულებები უნდა გამომდინარეობდეს. ვერც ერთი სინდისიერი ქართველი პოეტი ვერ იტყვის, რომ გალაკტიონ ტაბიძის გავლენა აეცილებინოს. გალაკტიონ ტაბიძის სტილისა და ფორმის ექსპლოატაცია ხდება ქართულ პოეზიაში ყოველ ნაბიჯზე. ახალგაზრდების ის მთელი წყება, რომელიც გამოდის ქართულ სიტყვაში, როგორც შემოქმედი, აღიზარდა და გამოჩნდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსებით. ეს ფაქტი ყოველ ლიტერატორისათვის უდაო ჭეშმარიტებას შეიცავს და დროა ეს სიმართლე ითქვას გადაჭრით. ვინც დაიწყებს წერას ქართულ ლიტერატურის ხანისას და პოეტიკის და ლექსის რეფორმის საკითხის გაშუქებას, ის დიდხანს შეჩერდება გალაკტიონ ტაბიძეზე, როგორც ქართული ლექსის და სიტყვის შემოქმედზე და სტილის უდიდეს ოსტატზე.

მის თითოეულ ლექსს მოაქვს გრძნობა მთელი ეპოქისა.

ერთი უპირველესი რამ ეს ისაა, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ლექსები ატარებენ საიდუმლოზე უსაიდუმლოეს შინაარსს. ყოველ მის ლექსიდან მოდის უცნაურ სასახლეების, უნაზეს ქალწულებისა და გამოუცნობ ფერის ყვავილების მდინარება.

ყოველი მისი ლექსის გაგებისათვის საჭიროა განსაკუთრებული გრძნობა და განსაკუთრებული ბუნება. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზია მრავალფეროვანი და მრავალთემიანია. არც ერთ ქართველ პოეტს არ აქვს იმდენი თემა, რამდენიც გალაკტიონ ტაბიძეს. იგი არ არის ერთფერი და მონოტონური.

გალაკტიონ ტაბიძეში ღრმა განცდებითაა მოცული რევოლიუცია („ჯონ-რიდი“ და რიგი ლექსებისა).

როდესაც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ეცნობით, გაგონდებათ დიდებული შელლი, რომელიც ამბობს:

„მე ვეკუთვნი მათ, რომელთა დაკმაყოფილება არაფერს არ შეუძლია, მაგრამ რომელიც მზადაა დაკმაყოფილდეს ყველაფერ იმით, რაც არსებითად მისაწვდომია“.

ამიტომაც არის, რომ უიმედობისა და სასონარკვეთილების ელემენტები მასში ნაკლებია. ეს არის ერთი პოეტი, რომელმაც გადიტანა ტრადიციის მოზღვაება, გაიგო სიკვდილსიცოცხლის პრობლემა და მაინც დგას ლამაზ ცხოვრებაზე და იმედებზე მეოცნებე რაინდი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სრულიად საჭირო არაა ის ცნება, რომელიც პესიმისმიდან გამოსავალ წერტილად თვითმკვლელობის მანიას გამოხატავს. შესაძლოა მისი შემოქმედებიდან ფორმულირება მისი მსოფლშეგრძნობის: ცხოვრება არის საყვარელი იმიტომ, რომ იგი იძლევა ისეთ ტანჯვებს, რომელნიც სილამაზის განცდის საშუალებანი არიან. მისაღებია ცხოვრება იმიტომ, რომ მასშია ის სევდა, რომელსაც მოაქვს პოეტისათვის უსაზღვრობის და მარადობის იდეის არსებობის გრძნობა. ამ იდეით გამაგრებული და კმაყოფილი, ის ამბობს სულის უნაზეს გადატეხებზე. ის ამბობს სიყვარულზე და ოცნებებზე, რომელნიც ყოველი ადამიანის საკუთრებანი არიან. მაგრამ აქ არ არის მაინც ავადმყოფობა და განცდა დაღლილობის. აქ არაა სული დაავადებული. აქ არის ჯანსაღი სული, რომელიც განიცდის ქეშმარიტ ცხოვრებას.

როგორ შეიძლება წაიკითხო გალაკტიონ ტაბიძე და განიცადო ქართული პოეზიის კრიზისი? აქ არ არის საჭიროება არც მემარცხენეობის და არც პოეზიის დატვირთვა სოციალური თემებით, ყალბი რევოლიუციონური პათოსით და რიტორიკით.

გალაკტიონ ტაბიძის სახით დადის საქართველოში პოეტი, რომელშიც მაღლი ქართული მიწის და ცისფერი ცის გადმოსულა. ეს სახე გალაკტიონ ტაბიძეში გამოქანდაკებულია უდიდესი ლირიკოსის ხელით.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

ზაქარია ჭიჭინაძე

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის

შესახებ

ქართულ პოეზიას აქვს მდიდარი ისტორია; მის წარმომდგენთ რიცხვი სამს ჯგუფად გაიყოფა: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან შოთა რუსთაველი, მის წინამორბედთ კი ჩვენს ბევრს არ ვიცნობთ. რუსთაველს მოსდევს გრიგოლ ჩახრუხაძე, ივანე შავთელი, ვინც იყო არაბეთის უნივერსიტეტის პროფესორი და ვისაც არაბთაგან ეწოდა აბდულ მესია. ამათ მოსდევენ თეიმურაზ პირველი, დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.

დღეს ამ პირველ ჯგუფს უნდა მიემატოს გალაკტიონ ტაბიძეც.

ამის გამოთქმის უფლებას მაძლევს მე გალაკტიონ ტაბიძისაგან დაწერილი და ახლად დაბეჭდილი ლექსების ვრცელი ტომი, რომლის ფურცელთა რიცხვიც შესდგება 542

გვერდისაგან. ჩვენს მწერლობაში ასეთი უხვი, დიდი ტომი ლექსებისა ახალგაზრდა კაცისაგან დიდ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და უმაგალითო მოჩვენებით, ვინაიდან ჩვენს მწერლობასა და ცხოვრებაში ახალგაზრდა პოეტისაგან ასეთი მაგალითი არავის არ უნახავს, ეს ნამდვილი ფაქტია და ცოცხალი მაგალითი ჩვენს მწერლობაში.

ვინაიდან ასეთი ზომის წიგნი და ასეთი ლექსის მრავალფეროვნება, ლექსების სილამაზე, ქართული ენის სინარნარე და სიკეკლუცე არავის უნახავს, ეს არც ჩვენი დროის ახალგაზრდა მოლექსეებს ჰქონიათ და ამისათვის ვიტყვი, რომ არც ჩვენ ძველს მეორე ხარისხის მელექსე პოეტებს აქვდათ, ამისათვის ამათაც დავასახელებთ.

ჩვენში კარგად ცნობილი არიან ქართულ პოეზიაში შემდეგი პირნი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, მამია გურიელი, ვაჟა-ფშაველა, პარმენ ცახელი, და ბევრიც სხვანი. მათში ზოგმა 80 წლამდისაც იცოცხლეს და მათ ამ ხნის განმავლობაში დასწერეს და დაგვიტოვეს თითო პანია ლექსების წიგნები.

ამიტომ დღეს ქართულ მწერლობას და ხალხს უნდა მივულოცო ეს სასიხარულო მოვლენა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ დაარღვია ეს მამაპაპური იშვიათობა. ასე და ამით მან დაადანტურა თავისი ვრცელი ტომის ლექსების მოვლენით, რომ იგი ჩვენ უნდა მივუმატოთ და მივაკედლოთ ჩვენს პირველხარისხოვან ჯგუფს პოეტებისას.

იგივე უნდა გახდეს მაგალითი ჩვენი ახალგაზრდა პოეტების წინაშეც, რომ მათაც მიბადონ გალაკტიონ ტაბიძის უნარს, პოეტობის შემძლებლობას, შეისწავლოს ევროპიული რეალური კრიტიკა ევროპის პოეტების და მათი პოეზიის შესახებ. [...]

ვულოცავთ გალაკტიონ ტაბიძეს ასეთს დიდს და უხვს წარმატებას და მოვლენას ქართული პოეზიის ასპარეზზედ.

„სახელგამსაც“ ვსწირავთ მადლობას, რომ იგი ხელს უწყობს და ამხნევებს ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს, რომლის მაგალითიც გახლავთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ვრცელი ტომის გამოცემა.

20 მაისი

1927

ტფილისი.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

ალექსანდრე შანშიაშვილი

დიდი ლირიკი (ნაწყვეტი წერილიდან)

ძმაო გალაკტიონ!

სანამ „სახელგამი“ შენს წიგნს გამოსცემდა, ნაკითხული მქონდა შენი პირველი ტომი.

ამ წიგნით უკვე აღტაცებული ვიყავ და ბევრჯელ მქონია ჩვენს ლიტერატორებთან საუბარი, რომ შენ ხარ ჩვენი ეპოქის დიდი ლირიკი და ტოლი არც გყავს.

„ლურჯა ცხენებით“ შავს მანტიაში, როგორც გაბედულმა და შეყვარებულმა რაინდმა შემოარღვიე მეოცე საუკუნე.

შენმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი ლირიკოსები. სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე? სადღაა ილია ან აკაკი? ან და ახლები? გადაღმა დარჩნენ და შენ წინ მისდისხარ ჟინჯღლიან ჩირაღდნებით.

შენი პოეზია ბუნებრივი ჩანჩქერია, წმინდა და ანკარა, რომელიც უცხო და ფერად, სურნელოვან ყვავილებს გვერდით ჩაურბის. იქვე პატარძალი „მერი“ მღერის. შენ გიცდის. ეს წყარო არ შრება. არ იღევა. არ ჩერდება. მიექანება სადღაც დაუსრულეთისკენ.

ამ დროს რა სასაცილოა შენს გვერდით მეორე პოეტი, რომელსაც ერთი „ვედრო“ წყალი სადღაც უშოვია, (ვგონებ, მოუპარავს). თან დააქვს, ყველას თავს აბეზრებს. შენს ბუნებრივ

წყაროს ეჯიბრება. ექიშპება. მაგრამ „ვედროში“ აჰყროლებია, ბოლოს გადაუღვრია ჟურნალის თუ გაზეთის ფურცლებზე, ან წიგნად გამოუცია და უყვირნია:

„ჰხედავთ, რა დაუშრეტელ პოეზიის წყაროს სათავე ვარო!“

ასეთი მეტიჩარა და ცრუ პოეტები ხომ მრავლად მოგვეპოვება, რომელთაც არც თავი უჩანთ, არც ბოლო; არის აბდაუბდა, როტვა, ბნედა, მალაყი, ბოდვა. კიდევ ათასი უმსგავსოება და მაინც ძველი თუ ახალი „პატენტი“ ფონს გადიან.

აბა, მიუდგომელმა კრიტიკოსმა მოახდინოს ხელახალი გადაფასება, რაც კი გაკეთებულია დღევანდლამდე და მაშინ „ურწმუნო თომაც“ კი დაინახავს, სად იმალება პოეზიის მარგალიტები. მაგრამ ასეთ კრიტიკოსს მაგარი ცოცხი და მაგარი „მკლავი“ კი დასჭირდება, თორემ...

შენ თანამედროვე ეპოქას ღრმად ჩასწვდი. ვინც ხალხის გენიას თვალთ იხილავს, უკვდავია. შემოსილხარ მარადიული თემებით, ახალი ხილვით თვით ანთე და აანთე სხვაც. შენი ლექსების თვითუფლი ბნკარი ჩამოკვეთილი სახეა. მღერის, ნკრიალებს, ხან კისკისებს, ხან ჰქუხს, ხან ბზინავს, ციალებს, როგორც განთიადზე, ავდრის შემდეგ პირველი უმანკო სხივი. ხან შავის ძაძით და თალხით იმოსება, მაგრამ მაინც მომხიბვლელია და საყვარელი.

ისეთი პოეტი მწამს, რომლის ლექსს კი არ კითხულობ მარტო, არამედ იზეპირებ, როგორც მორწმუნეები იზეპირებდენ ლოცვას. გრჩება გონებაში სიკვდილამდე. სახე არ გავიწყდება და არც სტრიქონები. გრძნობ, რაც პოეტმა იგრძნო. ჰიპნოზს გადმოგცემს. აგაჟრჟოლებს. ამღერდები ლექსის წაკითხვით. ან შეგანუხებს, ან დაგამშვიდებს. ან შეგაძულებს, ან შეგაყვარებს. სადაც შინაგანი და გარეგანი ფორმა, შოთას თქმით, „ერთმანეთზედან ჰკიდია“. ვერც დაშლი, ვერც დაანაწილებ. და ამავე დროს არის სადა და უბრალო, მთლიანი, მუსიკალური.

შენი ლექსები ასეთია და მიტომ ხარ დიდი ლირიკი.

როგორც მე ჩემს თავს, ისე ვერც შენ მიგაკუთნებ რომელსამე არსებულს შკოლას. მაგრამ ყველგან კი ჰპოვებ ნათესაობას. რეალიზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი და ყველა სხვა „იზმი“, ჩემის აზრით, შენთვის მხოლოდ ნიადაგია, საიდანაც ნათესაურს მიიღებ, მაგრამ არ დაემორჩილები; სადაც შენი პოეზია ფესვს იდგავს, მაგრამ სხვა ახალს კოშკებს აშენებს – უცხოს და თვალწარმტაცს. ჰქმნი სინტეზს. ყველაფერს გამოიყენებ ცხოვრებისთვის, ცხოვრებას პოეზიის შინაარსად და უბრუნებ ისევ ცხოვრებას საერთო საუნჯედ. ნიადაგი ცხოვრებაში გაქვს, მიწას არ მოსწყვეტილხარ. ჰყივი გარდაქმნას მშვენიერების ხელშესახებად და დასატკობად.

მე რომ კრიტიკოსი ვიყო, ასეთს მიმართულებას სახელს მოვუძებნიდი, სრულიად ახალს, რაც არ ხმარებულა სხვა ხალხის ლიტერატურაში. ასეთს სინტეზს, საქართველოში პოეზიის ასეთს სხვაობას, რომელიც არც ერთ შკოლას არ ეკუთვნის, ყველაფერი მასშია ახლად გარდაქმნილი ახალს თემაზე, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და ეპოქის სინამდვილეში ღრმად შეჭრილი, თვითონ უნდა გახდეს მომავალ თაობისათვის შკოლად და მიმართულებად, მე დავარქმევდი „ბიონოვიას“¹.

მაგრამ ამაზე შემდეგ... ვრცლად შენს ლექსებს შემდეგ წერილში გავარჩევ. პოეტი პოეტს უფრო გაუგებს და სათანადოთაც დააფასებს. ნახვამდის.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

თედო ბეგიაშვილი

რევოლუციის მგოსანი

წინასწარ უნდა ითქვას, რომ რევოლუციას ქართველი ინტელიგენცია და კერძოდ კი ქართველი პოეტები უფრო შეეგუენ და საერთო ენა გამონახეს, ვიდრე საბჭოთა კავშირის დანარჩენი ერების ინტელიგენცია. ქართველი პოეტებიც ჯერ ისევ რევოლუციამდე რე-

¹ ახალი ყოფა-ცხოვრება.

ვოლუციონურად განწყობილი (თავის უმრავლესობაში), ზოგი კი მისი აქტიური მოღვაწე, პირველშეძლებისთანავე მეზობლთა რიგებში ჩადგენ და თავისი ბედი რევოლუციის სასწორზე შეაგდეს. მათი პოეტური ჩანგი ბრძოლის კილოთი შრომის ჰანგებს ამღერებს.

ქართველ პოეტებში ეს განსაკუთრებით **გალაკტიონ ტაბიძეზე** ითქმის, რომელიც რეაქციის სუსხიანობაშიც კი სჭვრეტდა რევოლუციის ხანძარს, რომელსაც უხილავი ძალები, მშრომელი მასის კუნთებიდან გამომდნარნი, ანთებენ და აჩალებენ. ამიტომ მგოსანი ჯერ მაშინვე გაბედულად გაჰყოფდა:

ვილაცა დაქრის და ცეცხლს აჩალებს,
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი.

პროლეტარულმა რევოლუციამ კი უშუალოდ იმოქმედა **გალაკტიონის** შემოქმედებაზე. წარმოუდგენელი სისწრაფით მსრბოლი ისტორიული ამბები თავს იყრის პოეტის შემეცნებაში და მხატვრული სილამაზით ობოლ მარგალიტებივით პოეტის ლირიკაში სახიერდებიან. იშვიათია ქართულ ლიტერატურაში, თვით რუსულ პოეზიაშიც ისეთი სწორი განჭვრეტა რევოლუციის მსვლელობისა, დიაგნოზური სწორი გათვალისწინება რევოლუციის პერსპექტივებისა, როგორც **გალაკტიონის** პოეტურ შემოქმედებაშია. აქ თითქოს პოეტი-ესთეტი და პოეტი-მოაზროვნე პოლიტიკოსი ერთმანეთს ეჯამებიან.

მგოსნის შემეცნებაში უდაოა ის გარემოება, რომ რევოლუციის ცეცხლი მთელ ქვეყნიერებას ხანძრად უნდა მოედვას. და რაც საყურადღებოა, მგოსნის პოეტური დიაგნოზით, ამ ხანძრის გაძლიერება აღმოსავლეთიდან დაიწყება. მიმდინარე მომენტი მართლაც ააშკარავებს, რომ აღმოსავლურ ერების გამოღვიძებაზე და მათ ამოძრავებაზე ბევრი რამ არის და მოკიდებული მსოფლიო რევოლუციისთვის. შეიძლება აღმოსავლეთმა გადამჭრელი როლიც კი ითამაშოს მიმდინარე მოძრაობის ისტორიაში.

გალაკტიონმა ეს მოვლენა პოეტური ინტუიციით იგრძნო, და რა დამშვიდებით გადასცქერის მსოფლიო ღელვებს, გრძნობს, რომ ახლოა ის, რასაც ელის:

მას სამოსელი ბრწყინვალეების და გამარჯვების
მოაქვს მეზობლი პოეტისათვის...

ხოლო ეს მსვლელობა კი აღმოსავლეთიდან იწყება:

დასცხრით, ტალღებო, მზე ამოდის **აღმოსავლეთით**;
მზე მოდის არა ერთი და ორი...

პირადათ მგოსნისთვის უდაოა, რომ რევოლუციის ვარსკვლავი აღმოსავლეთით ამობრწყინდება. ეს რწმენა მას სურს გულში გადაიტანოს და მშრომელთა მოძრაობის პროცესი ყველასთვის თვალსაჩინო გახადოს:

ვინ იცის, გრძნობენ თუ არა გრძნობით,
რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი,
მოჯადოებულ ბურუსში მყოფი
სდგება, იღვიძებს **აღმოსავლეთი**,

რომელიც ემუქრება უპირველესად „ევროპის მდიდარ სალონებს, მხარეს ურკინესს, როკ-ფელერს, სტინესს“.

ისტორიის მკვლევართა და მეცნიერთა შემეცნებაში აღმოსავლეთი მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენდა დღემდის. ეს იყო ქვეყანა, სადაც უგვანო ექსპლოატაციის განევა შეიძლებოდა, სადაც „მაღალი რასის“ თარეშს ხელს არავინ შეუშლიდა, სადაც მკვიდრნი, უსიტყვო მორჩილებაში მყოფნი, არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდენ „რკინის, ფოლადის და ნახშირის მეფეებს“. ეს იყო ქვეყანა, პოეტის თქმით: „შექმნილი ბრძანებელთა და მონათათვის“, სადაც:

სასახლე, ციხე, ქოხი, ფაბრიკა
ხვეულად ქარგავს მრავალფერ ქარგებს
მათ სხეულებზე, ვინაც ვნებიან
სიმხურვალეთა სულის სუნთქვას არ აისარკებს
და „კულტურული“ ბორკილის ქვეშ
იმყოფებიან.

გალაკტიონმა ეს სურათი რევოლუციონული კალმის წვერით მთლად გადახია, ხოლო სურათის ფონი წითელი მელნით წითლად შეღება. საუკუნეთა მსვლელობაში გარინდებულ ნირვანაში მყოფ აღმოსავლეთს, მგოსნის სიტყვებით, დღეს:

აღარ აშინებს ცეცხლის ფანტელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
არც უდაბნოს კორიანტელი,
არც მომავალი ბარიკადები...
.....
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე,
როგორც არავის არ უბრძოლია...

აღმოსავლეთის ბრძოლის მომავალიც მგოსნისთვის ნათელია. აქ მალე „დაიძვრის ქვეყნის აურზაური“, მოისპობა „მუქარა, წყევლა და შეჩვენება“, რის შემდეგაც სულ ახლო იქნება „თავისუფლების მზემდე! ბრძოლამდი!“.

თუ ვაღიარებთ, რომ პოეზიას, გარდა ესტეტიური განცდებისა, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, ამ მხრივ **გალაკტიონის** შემოქმედება (მეტადრე უკანასკნელი პერიოდი) უნაკლო შედეგს წარმოადგენს. ბრძოლაში ჩაბმულ მშრომელთა მასებს დღეს ეჭირვება პოეზია გამამხნეველები, პოეზია ბრძოლის ემოციების აღმძვრელი, პოეზია მხიარული ოპტიმიზმით შეზავებული, ნათელი და იმედიანი. მგოსანის ყოველი ლექსიც სწორედ ამ თვისებისაა, მას ყოველთვის „ეჩვენება, რომ სულ ახლოა ბედის ხომალდი“, რომელიც „საამოდ სულს ეფერება“, „რადგანაც ცეცხლებით იწვება ქვეყნიერება“. სწორედ ასეთი პოეზია ეჭირვება ჩვენს მოზარდ ახალ თაობას, რომელიც უშუალოდ არ ყოფილა ჩაბმული რევოლუციონურ ბრძოლაში, რომელმაც არ იცის ამ ბრძოლის სიტკბოება და იძულებულია მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ნიმუშებით გაეცნოს ამ გრანდიოზულობას. უეჭველია, ამ დარგში **გალაკტიონის** პოეზია პირველთაგანი იქნება.

აღმოსავლეთის ეპოპეია ბოლოს „კოსმიურ ორკესტრად“ უნდა გადაიქცეს. მგოსანს სწამს, რომ აღმოსავლეთის ცეცხლი იქ არ ჩაქრება, პირიქით იგი მსოფლიოს მოედება, მოძრაობა გახდება საერთო, კაცობრიული და ყოველი ჩვენთაგანი:

მსოფლიო ნგრევათა
კვლავ მონმე გავხდებით...

ყოველ ეპოქას ჰყავს თავისი წინასწარმეტყველი. იქ, სადაც ჩვეულებრივი ადამიანი მომავლისას ვერაფერს გრძნობს და ინერციით მიყვება ცხოვრების მსვლელობას, ეპოქის წინასწარმეტყველები ინტუიციით ჭვრეტენ მომავალს. წინათგრძნობა უფრო პოეტებს ეხერხებათ. პოეზია ობსერვატორიის სეისმოგრაფს გავს და „მინისძვრამდე“ პოეტი უკვე შეირხევა.

გალაკტიონიც ნათლად ხედავს მომავალს:

ველი... ველარ გადარჩეს
დროთა ძველთა დუდილი;
ეს ვსთქვი. ეხლა დანარჩენს
იტყვის ჭექა-ქუხილი...

და თუ რევოლუციის ცეცხლი ჯერ აღმოსავლეთს მოსდებია, მალე იგი მსოფლიო კოცონად იქცევა:

მსოფლიო ვულკანის ავარდენ ბოლები,
მსოფლიო მდინარეთ ადიდდენ ტალღები,
მსოფლიო მწერვალთა დანისლდა ზოლები,
.....
მსოფლიო მუსიკა, მსოფლიო ორკესტრო,
მსოფლიო ახალ დღეს მოესწრო.

ასეთია **გალაკტიონი** – მსოფლიო რევოლუციის **წინასწარმეტყველი**. არ გეგონოთ, რომ მგოსანი მარტო უბრალო დიაგნოსტი იყოს. არა, მან განჭვრიტა ბრძოლის მომავალი, იგივე ისხავს იარაღს ამ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. აქ მგოსანმა არამც თუ იცნო რევოლუცია, არამედ ის აქტიურ მოღვაწეობას ხელს კიდებს. თავის მოძმეებსაც აქეთკენ მოუწოდებს:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი...

ეს არ არის უბრალო მონოდება. მგოსანმა კარგად იცის, რომ მსოფლიო რევოლუციას აქტიურ მოღვაწეებს, ყველაზე მეტს რიცხოვნობადაც და თვისობრივადაც (პროცენტულად რასაკვირველია), საქართველო აძლევს. სწამს საქართველოს დიდი როლი კაცობრიობის ისტორიაში, სწამს საქართველოს მომავალი და შემოქმედება:

სადღაც რეკავს დაირა
და სიცილის წვეთება,
საქართველო! აი რა
არის შემოქმედება...

და ყველას აქეთკენ მოუწოდებს.

სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927.

ვარლამ რუხაძე

მცირე განმარტება

გადაჭრით ვაცხადებ, რომ გ. ტაბიძისათვის ლექსი არ მიმიძღვნია. მან ჩემს ჩვეულებრივ ლექსს, რომელიც გადავეცი მის მოგზავნილ კაცს საგაზეთო მასალათ, სათაური გამოუცვალა და მოაქცია მისდამი მიძღვნილ ლექსებში. ეს, ჩემის აზრით, დაუშვებელია და გარდა იმისა, რომ აშკარად ამჟღავნებს ავტორისადმი უპატივცემულობას, სიყალბის სუნიც უდის, რაც არ შეეფერება მწერალს.

რომ ეს ასეა, ამას ოდნავ დაკვირვებული მკითხველი მაშინვე მიხვდება: ამ ლექსში მოცემულია რევოლუციის დამახასიათებელი ხაზები და გალაქტიონის პიროვნებასთან არაფერი საერთო არა აქვს.¹

1927 წ. 23 ივნისი

ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 5, გვ. 138.

¹ საუბარია ვ. რუხაძის ლექსზე, რომელიც გალაქტიონისადმი მიძღვნილ ბიულეტენში დაიბეჭდა, როგორც ჩანს, შეცვლილი სახით.

„ქართული მწერლობის“ რედაქცია

3. რუხაძის „მცირე განმარტების“ გამო

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამას წინად გამოვიდა „გალაქტიონ ტაბიძის გაზეთი“, რომლისთვისაც ვ. რუხაძეს მიუცია თავისი ლექსი. მათ, ვისაც ეს ლექსი მიუღია დასაბეჭდად, შეუტანიათ მის სათაურში შესწორება, რასაც გამოუწვევია ვ. რუხაძის განმარტება, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი ჟურნალის მე-6 ნომერში.

ამ განმარტებაში წერია:

„გადაჭრით ვაცხადებ, რომ გ. ტაბიძისათვის ლექსი არ მიმიძღვნია. მან ჩემს ჩვეულებრივ ლექსს, რომელიც გადავეცი მის მოგზავნილ კაცს საგაზეთო მასალათ, სათაური გამოუცვალა და მოაქცია მისდამი მიძღვნილ ლექსებში. ეს, ჩემის აზრით, დაუშვებელია და გარდა იმისა, რომ აშკარად ამჟღავნებს ავტორისადმი უპატივცემულობას, სიყალბის სუნიც უდის, რაც არ შეეფერება მწერალს.

რომ ეს ასეა, ამას ოდნავ დაკვირვებული მკითხველი მაშინვე მიხვდება: ამ ლექსში მოცემულია რევოლიუციის დამახასიათებელი ხაზები და გალაქტიონის პიროვნებასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ვ ა რ ლ ა მ რ უ ხ ა ძ ე 1927 წ. 23 ივნისი“.

ამ განმარტების გამო რედაქციის მოუვიდა შემდეგი „წერილი რედაქციის მიმართ“:

„ქართულ მწერლობის“ 6 მოთავსებულნი: „მცირე განმარტება“ ვ. რუხაძის, თითქოს მას გალაქტიონ ტაბიძისათვის ლექსი არ ეძღვნას და გ. ტაბიძეს მისდამი მიძღვნილ ლექსებში, ყოველივე პრეტენზიების გარეშე, მაინც მოეთავსებოს სათაურის შეცვლით რუხაძის ლექსი, ეს სინამდვილეს მოკლებულია. ვ. რუხაძის ასეთი განმარტება შეიცავს ლიტერატურულ სიყალბებს.

აღნიშნულ გაზეთის სარედაქციო კოლეგია გადაჭრით აცხადებს, რომ გაზეთის გამოცემაში გალაქტიონ ტაბიძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ, მისი პოეზიის პატივისცემლებმა, რამოდენიმე პირმა ვიკისრეთ გაზეთის გამოცემის ინიციატივა და ჩვენ მიუგზავნეთ კაცი ზოგიერთ მწერლებს არა თხოვნით, არამედ ვაცნობეთ: სურვილისამებრ მიელოთ მონაწილეობა ამ გაზეთში. ვ. რუხაძისაგან ერთი ლექსის მაგიერ ორი ლექსი მივიღეთ.

სიყალბეა, თითქოს რუხაძის ლექსს სათაური შეუცვალა ვინმემ. სათაურისათვის ხელი არავის უხლია. ჩვენ, სარედაქციო კოლეგიამ, ჩავუმატეთ სათაურს მხოლოდ პირველი სიტყვა, რითაც ლექსი შევუთანხმეთ გაზეთის შინაარსს:

მასალის ასეთი უბრალო შესწორების უფლება, ჩვენ ვფიქრობდით, ყოველთვის აქვს სარედაქციო კოლეგიას. იქნებ ვ. რუხაძეს ეგონა, ჩვენ დედანი აღარ გვაქვს ხელთ. ჩვენ გვაქვს გაზეთში მოთავსებულ ყველა წერილების და ლექსების ხელნაწერები, სადაც ერთი წერტილიც კი არ შეგვიცვლია არავისათვის. ეს ხელნაწერები ინახება ჩვენთან.

„გ. ტაბიძის გაზეთის“ სარედაქციო კოლეგია“.

„ქართულ მწერლობის“ რედაქციამ მოითხოვა ვ. რუხაძის ლექსის დედანი. აი ეს ლექსი:

„უტეხი ძალა“

ამოვარდება
როგორც გრიგალი.
იცის კვეთება
დაურიდალი.
ვერ აკრთობს ტყვია,
ვერ იჭერს ზღუდე,
მძლე გაქანებას
საზღვარს არ უდებს.
მოდის თამამათ,

რწმენით ნაპოხი
და ავსებს ქუჩებს
შფოთით, ამბოხით.
ისვრის ეპოქებს
ცეცხლით აღსავსეს:
საუკუნოებს
ნუთმი ათავსებს.

დედანში ამ ლექსს ჰქვია „უტეხი ძალა“, რომელსაც ვ. რუხაძის განმარტებით, წარმოადგენს რევოლიუცია. „გ. ტაბიძის გაზეთში“ ეს სათაური ასეა შეცვლილი: „პოეზიის უტეხი ძალა“. ეს საკითხი ამგვარად რედაქციას სავსებით ამომწურავად მიაჩნია. დასკვნები გააკეთოს თვით მკითხველმა.

ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 6-7, გვ. 312-313.

დიმიტრი ბენაშვილი

ბალახტიონ ტაბიძე – „ეპოქა“

სახელგამი – 1930 წელი

გ. ტაბიძემ ძალიან გვიან, მაგრამ მაინც მოასწრო სიმღერა რევოლიუციაზე. მისი უკანასკნელი წიგნი „ეპოქა“ არის დიდი პოემა (ან უკეთ, – ლექსი), რომელშიაც პოეტმა სცადა მოეცა ეპოქა, ეპოქა ბრძოლის, ნგრევისა და აღმშენებლობის.

200-გვერდიან პოემით პოეტს მკითხველი შეჰყავს ეპოქის პოლიტიკურ და იდეურ სამყაროში და აქ იგი უმღერის რევოლიუციის ქართველს, ინდუსტრიას, ელექტროფიკაციას, კულტურულ რევოლიუციას, ახალ მორალურ ნორმებს, მუშის გარუჯულ მკლავს და გლეხის ძარღვიან მარჯვენას.

პოეტმა იცის, რომ იმპერიალიზმი ახალი ნგრევისათვის ემზადება, შეიძლება კიდევ აკაკანდნენ ტყვიისმფრქვევლები, მაგრამ ეს არ აშინებს მას, რადგანაც

... კვლავ იმდაფრება მედგარი მენი
მოახლოვებულ რევოლიუციის.

სარეცენზიო წიგნი „ეპოქა“ იხსნება ჟურნალ „მნათობისადმი“ მიძღვნილი ლექსით, სადაც ავტორის მხატვრული და იდეური კონცეპცია ძირეულად განსხვავდება მის ძველ ლექსებიდან:

სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს!
დროშას, განევას, ძალთა მოკრებას!
ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,
ინტერნაციონალის აბობოქრებას!

შემდეგი ლექსის ფონი იშლება იმპერიალისტური ომის გრიგალში. მოთხრობილია იმპერიალისტების არაადამიანური, გამხეცვებული სახე. მოქმედება გადადის ბრძოლის ველზე...

შემდეგ პოეტი იგონებს 1921 წლის შიმშილსა და უიმედობას, გაფიცვებსა და რევოლიუციებს, იარაღის ჟღარუნს და ხოცვა-ჟლეტას. მეექვსედ დედამიწის ზურგზედ პროლეტარიატი გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ იყვნენ ხალხი, რომლებსაც არ სწამდათ ამ რევოლიუციის სოციალისტური ხასიათი. ასეთ რენეგატების საყურადღებოდ პოეტი ხაზგასმით ამბობს:

ვის შეუძლია უსაყვედუროს,
რომ მას არ ჰქონდა მშრომელთა ცნობა.

მაგრამ იყვნენ და არიან სხვა ჯურის ხალხი – ობივატელები და მეშჩანები. ისინი საკუთარი გემოვნებით ზომავენ რევოლიუციის მნიშვნელობას. მათთვის თბილი ბუხარი, სავარძელი, კომფორტი და რომელიმე მოძველებული პოეტური ლირიული ლექსების სიმღერა უფრო ძვირფასია, ვიდრე მილიონიანი მასების ეკონომიური და პოლიტიკური მოძრაობა. პოეტი ასეთ ხალხს ზიზღით მიმართავს:

თქვენს ცხოვრებაში
ყველაფერი ისევ ისეა —
წიგნის შრიალი,
ლურჯი მთვარის გზებით მიდიან.

და ბოლოს ყველას საყურადღებოთ აცხადებს:

იმიტომ ხდება რევოლუცია,
რომ გაიფანტოს აბრაკადაბრა.

ოქტომბრის რევოლიუციამ რღვევის გზაზე დააყენა სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ერთეული – ბურჟუაზიის სახით. ეკონომიკურ ფრონტზე დამარცხებული მტერი დროებით ისვენებს იდეოლოგიურ სფეროში. როდესაც რევოლიუციონურმა ძალებმა მათ შემოტევენ გამანადგურებელი პასუხი გასცა, მაშინ მათ დაიწყეს წუნწუნი. ტაბიძე ასეთ პოეტების და საერთოდ მწერლების საყურადღებოდ ამბობს:

იმიტომ ხდება რევოლიუცია,
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნი,
რომ პოეტების არ გაისმოდეს
უიმედობა, კენესა, წუნწუნი!

პოეტი იჭრება რევოლიუციის სიღრმეებში და მკითხველსაც ეზიდება თავისკენ. აქ ერთხელ კიდევ დიამეტრულად უპირისპირდება ქართულ მწერლობის რეაქციონურ ფრთას. გ. ტაბიძეს აქვს ნათესაობა ბლოკთანაც. ხშირად პოეტი იძლევა ანარქისტულ, ბუნტარულ განწყობილებას, კმაყოფილდება რა რევოლიუციის გარეგნული სიმშვენიერით, მასთან ძმაბიჭურად მიდის. ხშირად ანეული და ზოგჯერ „მყვირალა“ ტონი პოეტს უკარგავს ზომიერების გრძნობას და რევოლიუციის მიღება ხდება, როგორც გრიგალის და ქარბუქის:

რევოლუცია არის გრიგალი,
რევოლუცია არის სტიქია.

ხშირად ტაბიძეს ეკარგება რევოლიუციის ამოსავალი წერტილი და სინამდვილის მიღმა ეძიებს მის ნამდვილ ბუნებას. ავტორისათვის რევოლიუცია საინტერესოა არა იმიტომ, რომ მან დაგლიჯა მონობის ხუნდები, არამედ – იმიტომ, რომ რევოლიუციის გარეგანი მხარე თავისთავად მშვენიერი და ლამაზია.

ხანდისხან პოეტს იპყრობს სანტიმენტალური „გულთბილობა“, მას უნდა, რომ რევოლიუციის შემდეგ ყველა თავისუფალი იყოს, ლიბერალური ქადაგი „ძმობა-ერთობაზე და თავისუფლებაზე“ მაინც და მაინც ახალი არ არის და მისი შეტანა „ეპოქაში“ ზედმეტი იყო.

ნაციონალისტური მოტივიც საკმაოდ დოზით შედის ამ პოემაში. პოეტს უნდა, რომ მომავალში საერთაშორისო ენად ქართული ენა იყოს. ამ „კეთილ“ სურვილს ვერ დაიტევს ის რევოლიუცია, რომელსაც ტაბიძე 200-გვერდიან პოემაში ხოტბას ასხამს. ზემოაღნიშნულ ნაკ-

ლთა შორის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ეპოქას“, როგორც პოემას, არ აქვს, ან არ გააჩნია სიუჟეტი. მკითხველს შეუძლია მთელი რიგი ფურცლებისა არ წაიკითხოს, ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადავიდეს. ეს არ უშლის ხელს იმ აზრის გაგებას, რომელიც ავტორმა სხვა ადგილზე სთქვა... არ არის თანმიმდევრობა დაცული. მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, გ. ტაბიძის ეს პოემა აუცილებლად შევა რევოლიუციონურ ლიტერატურის საგანძურში.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930, 4 იანვარი, № 3.

გიგლა მებუკე

გალაქტიონ ტაბიძე – „ეპოქა“

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის საშუალო თაობის პოეტებს შორის გალაქტიონ ტაბიძე უეჭველად ერთი უდიდესი ფიგურაა.

სევდის ჰანგებით, ზოგჯერ უიმედო სევდის ჰანგებითაც კი, სავსე იყო მისი პირვანდელი ლექსები. თვითმპყრობელობისდროინდელი არსებული პირობები მას არ აკმაყოფილებდა, ის ერთი წუთიც კი არ ყოფილა მთვრალი მეშინაური კმაყოფილებით. რაც იყო მაშინდელ სინამდვილეში, ის მისთვის შავი იყო, მურიანი, მიუღებელი, მაგრამ პოეტს არ აღმოაჩნდა იმოდენი ძალა და მხნეობა, რომ მას ბრძოლაში შეებოდა და თუმცა ცხოვრების სიდუხჭირეს ქედი არ მოუხარა და ფარ-ხმალი არ დაუყარა, მაგრამ ირჩია ნაკლები წინააღმდეგობის გზა და ოხვრა-გოდებას მისცა თავი.

გალაქტიონ ტაბიძე ჩვენს პოეტობაში ერთი იმ იშვიათ პოეტთაგანია, რომლის ყოველი ახალი წიგნი მისი წინსვლისა და მისი გამარჯვების მაჩვენებელია და არა უშნოთა და უფრო დაბალი ხარისხით გადამღერება იმისა, რაც ოდესღაც დაუნერია. გალაქტიონი წიგნიდან წიგნამდე იზრდება და სულ უფრო ახლო და ახლო მიდის მუშათა კლასთან, რევოლიუციასთან, მეზრდოლ პროლეტარიატთან. მის ზრდას რევოლიუციისაკენ აქვს გზა, ის აქეთ მოემართება და ზრდის პროცესში უფრო მჭიდროდ და მჭიდროდ ედულება მას.

მისი უკანასკნელი ნაწარმოები „ეპოქა“, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინააღმდეგ ცალკე წიგნათაც გამოვიდა, დიდი მოვლენაა და პოეტის იდეოლოგიური ზრდის საუკეთესო მაჩვენებელი. გალაქტიონი რევოლიუციისა და ეპოქის მიმღობაშიაც არ ჰგავს სხვა ჩვენს პოეტებს და აქ ის ძველი ხურჯინით და ძველი ბაგაჟით კი არ მოდის, არამედ ლიკვიდაციას უშვრება როგორც თავის ოხვრა-გოდებას, ისე გულუბრყვილო ტკბილ გრძნობიერებასაც. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ მისი ეპოქის მიმღობა უფრო ღრმაა, თამამი, გაბედული.

„ეპოქა“ პოემა არ არის, ის სიუჟეტით არც მთლიან ნაწარმოებს წარმოადგენს. მასში მოცემულია ასეული ლექსები ეპოქაზე, ეპოქის სხვადასხვა მომენტებზე, ეპოქის სოციალისტური დაჯგუფება იდეოლოგიურ სახლ-კარზე. პოეტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მას მარჯვედ აქვს გამოჭერილი ეპოქის მთავარი და ძლიერი მომენტები.

აი, ყოველივე ის, რაც დადებითია ამ ნაწარმოებში. მაგრამ მარტო დადებითი მხარეები არ ამოსწურავს მის შინაარსს. ზოგი რამ უარყოფითიც უნდა ითქვას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაწარმოები დეკლარაციაა, საზეიმო თქმა და არა კონკრეტული ასახვა ეპოქისა. უეჭველად არის მისვლა ეპოქასთან, გაგება ეპოქის სულის, მაგრამ პოეტს მთლად დამაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ ვერ ეხერხება ამ ეპოქის დაბლა პოეტურ სახეობებში მისი კონკრეტული შინაარსის მხატვრული სახეებით მოცემა. ის კიდევ ხედავს ამ ცხოვრებაში რაღაც გაურკვეველობას. მართალია, ახლა პოეტი ამის გამო წუნწუნს არ ეძლევა, პირიქით, მას ახლა გაგონებაც კი არ უნდა „ჭიანურის და თარის ქვითინისა“, „პოეტი ახლა ახალი სიცოცხლით უნდა შეიქმნეს სავსე“, ამიერიდან პოეტის ბაგეს აღარ უნდა ამოხდეს: „უიმედობა, კვნესა, წუნწუნი“, „დეკადანსის ხანას“ ზურგი უნდა ვაბრუნოთ. მას ესეც არ მიაჩნია საკმაოდ და უფრო შორსაც მიდის. პოეტი წინააღმდეგია დღეს განზე დგომისა და შორიდან

ცქერისაც. ასეთი პოეტი „პოეტს დროგადასულად და მოხუცად“ მიაჩნია. ახლა განზე დგომა კი არა, მასიურ ტალღებთან შედუღებაა საჭირო, – გაიძახის პოეტი.

მაგრამ პოეტი ძველი ხარკიდან სავსებით განთავისუფლებული მაინც არ არის. მას კიდევ წასცდება სიმღერა ძველი. მას კიდევ ეგულვება ბედნიერი სოფელი, კიდევ ლაპარაკობს ძველ ჯარისკაცზე, როგორც საბრალო არსებაზე, კიდევ ოცნებობს და ფიქრებს ეძლევა ბედის ხომალდებზე, ზოგჯერ კიდევ დაეჭვიანდება და კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს, აქა-იქ ის თავის გამირს სიფხიზლის ნაცვლად დაძინებას ურჩევს. ასეთი გადავარდნები, გამოწვეული ძველის ხარკით, სხვაც ბევრი აქვს.

სარეცენზიო წიგნის კითხვის ხალისს და ინტერესს აძლიერებს ლექსის წყობის ნაირობა და ფერთა სიმრავლე. ამ მხრივ პოეტი პირდაპირ ვირტუოზულ ნიჭს იჩენს და ყოველ ახალ გვერდს ანსხვავებს წინა გვერდთან. პოეტის მაღალი ნიჭით უნდა აიხსნას, რომ ერთ წიგნში თითქმის მთელი ქართული მწერლობა ლექსით წერის მხრივ დასწურა. მისი ლექსი ხან რაკრაკით მიიმართება, ხან ზღაზნით მოდის, ზოგჯერ ანცია, ზოგჯერ – ბრაზიანი და მუქარით სავსე.

ის აკაკის სიმსუბუქით და რაკრაკით სულ ოთხიოდე სტრიქონში იძლევა მთელ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას:

წინანდელი თოხის ყანა
რჩება მამა-პაპასთანა,
შეესია ტრაქტორები,
კვალი კვალზე გაიტანა.
ინჟენერი თუ ხარ, განა
ცოტა არის ამოცანა?
სახლი დადგა იმისთანა,
საუბრობდეს ღრუბლებთანა.

ილიასებური სიღინჯით და სიმძიმით მოგვითხრობს პოეტი:

ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს:
ბორბლებს, რესსორებს, რონოდებს, ლერძებს,
ქურა აღვივებს და ასხივოსნებს
ყველაფერს, რასაც აქ შრომა ეძებს და სხვ.

შემდეგ ევლოშვილ-რუხაძის ენით პოეტი გაბრაზებული ამბობს:

ის მონა არის, მონა საბრალო,
თვალთმაქცი მონა და უბედური.

ვიმეორებთ, ლექსის წყობის ასეთი ნაირობა პოეტის უდიდესი ღირსებაა, მისი მაღალი ნიჭის მაჩვენებელი და არა ნაკლი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქართულ თანამგზავრულ ლიტერატურაში თავისი დიდი ღირსებითა და თვისებით ამისი ფასი ჯერ არაფერი დანერვილა.

აქ გაბედულად და თამამად არის ნათქვამი ის, რასაც სხვები აგრე მორცხვად და აგრე გაჭირვებით ამბობენ. მისი თქმა არ არის დადალული და პოეტი იღებს ეპოქისას არა მარტო კულტურულ მშენებლობას, არამედ – სიძნელეებსაც.

პოეტს რევოლიუციის თარიღი აქვს ჩვიდმეტი წელი. ჩვიდმეტში ორი რევოლიუცია იყო – თებერვლის და ოქტომბრის. ვინაიდან მას რევოლიუცია ზოგადი გზებით და საზეიმო თემებით აქვს მოცემული, უმჯობესი იქნება, უფრო გარკვეული სახელებით ელაპარაკა.

ჟურნ. „დროშა“, 1930, №1.

გალაქტიონ ტაბიძე – „ეპოქა“

გალ. ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც პროლეტარული რევოლუციის ერთი პირველ თანამგზავრთაგანი. 1917 წელს მან საკუთარი თვალეებით დაინახა, თუ როგორ ინგრეოდა ძველი რუსეთი. ამ ნიადაგზე მის მაშინდელ მხატვრულ ფაქტებში იპოვა გამოვლენა გრანდიოზული გარდატეხის ამბებმა. გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების სოციალური საფუძველი, როგორც საერთოდ ყველა თანამგზავრის, წვრილბურჟუაზიულია. წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას უყვარს ფილისტერული თამაში ცხოვრებასთან, მას არ აქვს მტკიცე ნებისყოფა. ის მერყევია, მუდამ წინ და უკან იცქირება, რომ მის თვალს არ გამოეპაროს ის გარემოება, თუ ვის მხარეზეა გამარჯვების სასწორი. ის დგას პროლეტარი-ატთან, რადგანაც ემინია ბურჟუაზიის ეკონომიური კონკურენციისა, ამავე დროს, ის გვერდში უდგას კაპიტალისტებს, რადგან აფრთხობს ბოლშევიზმის პროლეტარული იდეოლოგია და კერძო საკუთრების მომსპობი იდეები. გალ. ტაბიძის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი აცდა ამ ვაჭრულ მერყეობას. ის თავიდანვე ერთ გზას დაადგა: ეს გზა იყო პესიმიზმის, სიკვდილის და აგონიის მწუხარე გზა. გ. ტაბიძის ამ პერიოდის შემოქმედება გარდაიცვალა ქართული ობივა-ტელის ესთეტიურ სახარებათ.

მოხდა ოქტომბრის რევოლუცია და ეს დიადი სოციალური დემონსტრაცია ძველი ქვეყნების წინააღმდეგ გალაქტიონმა აითვისა, როგორც მარადიული ჯანყი, ბუნტარული ნგრევა და განუწყვეტელი გრიგალი. ასე აითვისეს რევოლუცია ყველა დიდმა ლირიკოსებმა. ოქტომბრის რევოლუცია ეპიური მოვლენა იყო, ამიტომ ინდივიდუალური ლირიკა და-იბნა, ვერ მონახა თავის წერტილი და მხოლოდ რევოლუციის ენერგიული ბრჭყვიალა ეფექტის მიხედვით დაიწყო ნაღვლიანი სიმღერა. ასე დაემართა გალ. ტაბიძესაც, ეს მოვლენა განსაკუთრებით მკვეთრად მოსჩანს მის ახალ პოემაში – „ეპოქა“:

რევოლუცია არის გრიგალი,
რევოლუცია არის სტიქია,
რომლის სისწრაფე და ძლიერება
არ გნამს, არ გჯერა, არ გაგიგია?
რევოლუცია არის ქარბუქი,
იგი მაისის არის დამდეგი.

რევოლუციას არაფერი არა აქვს საერთო მაისის ლირიკულ სიზმრებთან. ოქტომბერი ჩატარდა არა ანარქისტული ჯანყის ნიშანქვეშ, არამედ მისი მწყობრი, ორგანიზაციული პროცესი იმთავითვე განსაზღვრა პროლეტარულმა ტაქტიკა-სტრატეგიამ.

დღეს კულტურულ რევოლუციის პროცესში მხატვრულ მწერლობის წინაშე დგება მთელი რიგი აქტუალური ამოცანები, რომელთა სწორი გადაჭრა შეუძლებელია ლიტერატურული რაციონალიზაციის გარეშე. ამ მცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ მხატვრულ ფაქტს, რომლის ყოველი ნაკვეთი წინასწარ გამიზნულია და ლიტერატურის საერთო სხეულში იმყოფება ორგანიულ კავშირში დანარჩენ ელემენტებთან. ამ მოთხოვნილებას ჩვენ ვუყენებთ არამარტო პროლეტარულ მწერლობას, არამედ თანამგზავრულ ფრთასაც. ამ თვალსაზრისით ყოველ-გვარი ლირიკული წყალდიდობა, მრავალსიტყვაობა, უსიუჟეტო ფაქტი და ინტელიგენტური არშიყობა სიტყვებთან წარმოადგენს ერთგვარ „უხერხულობას“, რომელიც ვერაფერს ვერ გააკეთებს კულტურულ რევოლუციისათვის. გალ. ტაბიძის უკანასკნელ პოემას სწორედ ეს ნაკლი აქვს: ამ პოემაში არ არის არც დასაწყისი, არც დასასრული. არის მხოლოდ წყალდიდობის რომანტიზმი და ინტერნაციონალის მარადიული გუგუნი. ეს ორასთობმეტგვერდიანი პოემა სრულიად ადვილი წასაკითხი და სასარგებლო იქნებოდა, რომ ათ ფურცელზე მოთავსებულ-ლიყო. „ეპოქას“ აკლია მონტაჟი. ამის გარეშე თანამედროვე ლიტერატურა მოკლებულია სოციალურ ფუნქციონალობას; ამ პოემაში მომენტი მომენტს მისდევს, ლექსი – ლექსს და

საბოლოო ანგარიშში მკითხველი ფაქტების ანალიზს, მათი დაჯგუფების და გარკვევის მიზნით, ვერ ახდენს.

მიუხედავად ამ ძლიერ დიდი ნაკლისა, „ეპოქა“ მაინც პროგრესიული მოვლენაა თანამედროვე ლიტერატურის ზედაპირზე. პოეტი გრძნობს ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზულ როლს. მას იტაცებს ამ რევოლუციის ყოველი მომენტი: იგონებს პოემაში სამოქალაქო ომის წლებს, იქვე ეხება ევროპის პროლეტარიატის აუტანელ გაჭირვებას, შემდეგ ჰკიცხავს მეშჩანების დახავსებულ ყოფას, რომელთა ცხოვრებაში ჯერ ისევ ძველი მთვარეების რომანტიზმის სურნელება ტრიალებს. ის გრძნობს ოჯახის გარდატეხის საჭიროებასაც:

იმიტომ ხდება რევოლუცია.
იყოს ოჯახიც ახალით სრული
და არა ძველისძველი რუტინით
შებორკილი და შენუხებული.

გალ. ტაბიძე ეხება წარმოების ელემენტებსაც, როგორცაა, მაგალითად, ქარხანა:

ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს,
წარმოებისთვის წამი არ იცდის...
პროლეტარული აღფრთოვანება
მოახლოვებულ სოციალიზმის!

„ეპოქა“ დიდი ლექსია, სადაც სისტემატიზაციის გარეშე ასახულია ომი, რევოლუცია, გრიგალი, ქარბუქი, ქალი, ჯარისკაცები, ქარხანა, მოტორი, კრემლი, უზარმაზარი გემები, აეროპლანის ჩრდილი, მაქსიმ გორკი, ხანჯალი, პანსიონი, ირისისფერი შარფი, ტფილისი, ცისფერი ყელსახვევი და ზაჰესის ტურბინები. ყველაფერი ეს ბრუნავს ერთიმეორეში და ყოველგვარ სიუჟეტის გარეშე დაშლილ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საერთოდ, „ეპოქა“ დადებითი მოვლენაა, ერთი ახალი ნაბიჯია წინ თანამგზავრულ ლიტერატურაში.

ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1930, № 2.

ბენიტო ბუაჩიძე

რევოლუციონური ეპოქის ენთუზიასტი

[...] გალაქტიონ ტაბიძე დამშრალი და უძარღვო წვრილბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო. სასონარკვეთა, უსასობა, გადაგვარება, დაცემულობა, მეშჩანობის შიში, სევდა, „ყოფნა არ ყოფნის“ ტვინნაღრძობი ფილოსოფია, ანარქია, ტირილი და ბოჰემურ განწყობილებათა ლოთური ბოდვა გალაქტიონ ტაბიძის ნიჭიერი სიმღერების „ზურმუხტი და ლალი“ იყო. მაგრამ მოხდა რადიკალური გარდატეხა. ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა ელვარებამ დაიპყრო და აღაფრთოვანა პოეტის სულისკვეთება. ის სასტიკათ შეებრძოლა საკუთარ თავს, დეკადანსს, გახრწნას, უსასობას, წუნუნს.

ქართული მწერლობის ოქტომბრის წინამორბედ თაობის უნიჭიერესმა წარმომადგენელმა, ძლიერმა შემოქმედმა მთელი არსებით იგრძნო, რომ რევოლუციით იწყება ახალი ეპოქა, რომ თავდება მესაკუთრეთა ბატონობა, რომ აუცილებელია რევოლუციის ფეხდაფეხ მიყოლა. სხვა გზა არის – გზა სიკვდილის, ბნელი წარსულის აგენტობის, ყვლეფის, ჩაგვრის და მონობის.

პოეტი, ახლა გამდგარი განზე,
დროგადასული და მოხუცია,
უნდა შეერთო მასობრივ ტალღებს,
ამიტომ ხდება რევოლუცია!

გალაქტიონ ტაბიძემ მხნეთ და გაბედულათ დაარღვია ამ განზე გამდგართ, დროგადასულთა, მოხუცთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდილია, ერთნაირობა, ღვარძლიანი შეთქმულება და მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიით ჩადგა რევოლუციონურ მასის საომარ ბანაკში. კლასიურ ბანაკის თვალსაზრისის გამოცვლა უეცარი და ადვილი არ ყოფილა. ეს მთელი გზა იყო, ძველ განწყობილებათა და მოტივების დაძლევის გზა, რომელიც ია-ვარდით არ იყო მოფენილი. მან ბევრჯერ წაიბოროძიკა, რამოდენიმეჯერ ძველი განწყობილებანი ისევ შემოესიენ პოეტს („ასი ლექსი“). პოეტის გულში ძველის და ახლის გამოძახილი უკანასკნელათ გამოქვეყნებულ „ეპოქაშიც“ ჩანს:

რა გამოიტანს ეხლა,
რაც სამუდამოდ გიზის,
ინტელიგენტის გულში
შეჭრილ შხამიან სინდისს?
გამოურკვევლად მიდის,
მოსაგონებლად მწარე,
გამოურკვეველ ბინდის
და მისტიციზმის მხარე.

პოეტმა დასძლია „შხამიან სინდისს“, მისტიციზმის მხარეს. პოეტმა განდევნა, ამოსწვა სინდისის და ჭვარტლიან სევდის განწყობილებანი. სიხარულით და ენტუზიაზმით განიმსჭვალა. შეხედა, დარწმუნდა, იგრძნო:

ის პოეზია გაჰქრა,
იგი ოქრო და ვერცხლი,
დრომ ძველ მიდამოს გაჰქრა
ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი...
რა საჭიროა ნანა,
ან მოგონება ხშირი,
დღეს თანასწორად დგანან:
მზე, პოეტი და გმირი.

მან შეიგნო, რომ აუცილებელია:

ჯვარედინებზე მყოფი პოეტი
ახალ სიცოცხლით შეიქნეს სავსე.

პოეტმა მონახა ეპოქის ძარღვი, გაიგო და განიმსჭვალა ეპოქის რევოლიუციონურ პროგრამით. ის სავსებით დაენდო და შეერთო მასიურ ტალღებს, ამოქმედდა ეპოქის სულიკვეთებით, შეუბრალებლად დაამსხვრია მეშჩანობის ჩონგური და ამეცყველდა ეპოქის იდეებით. მტკიცედ დარწმუნდა, რომ ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს ააყირავებს რევოლიუციის წლები, ის მოითხოვს:

ხელოვნებათა არმია! ჩქარი
ეპოქის გვერდით იარე, წადი!
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.

პოეტი მოუწოდებს ხელოვნებათა არმიას, მის მსგავსათ იაროს ეპოქის გვერდით, ჩაეხედოს მასის ტალღებში, გასწავლიოს კავშირი ძველთან, ანტიპროლეტარულ კლასებთან. რევოლუციონურ ეპოქის „გვერდით“ დგომა სხვაგვარათ არ შეიძლება... ხელოვნება, მწერლობა – კლასიური ბრძოლის იარაღია. თავისი შემოქმედებით უახლოვდება პროლეტარიატის იდეურ პოზიციებს, წინააღმდეგ რეაქციონურ ფენებისა, მათი იდეებისა. პოეტი გაემიჯნა მათ. პოეტმა არამარტო „ანყენია“ მათ, არამედ მთელი თავისი შეგნებით აქტიურად მიმართა მათ წინააღმდეგ მხატვრული მახვილი:

ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,
ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.
**მოგხვდათ? იგრძენით? შევატრიალე
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?“**

პოეტი მიმართავს მათ, ვისაც ის „თავისი“ ეგონა და კიდევაც ჰქონდა ამის საბუთები. მაგრამ რევოლუციამ საბოლოოდ ჩამოაცილა მათ ნიჭიერი შემოქმედი და გახადა მათი მტერი. ამიერიდან პოეტის ბასრი ხანჯალი – ლექსი – რევოლუციის მიზნებს ემსახურება. ეს, ცხადია, არ მოეწონებოდა კონტრრევოლუციონურ ხროვას, მეშინობას, რომელიც გალაქტიონ ტაბიძისაგან დამატკობელ პოეზიას მოელოდა. მაგრამ პოეტმა შეატრიალა ნისლში მყოფი ბორბალი და ხავსმოკიდებულ ნისლს რევოლუციის ენტუზიაზმი ამჯობინა. ეს უეცარი „მოტრიალება მთელზე მეტი“, ცხადია, იგრძნეს, ცხადია, მოხვდათ მათ, ვისაც საჭირო იყო. პოეტმა ეს კარგათ იცის და კიდევაც გამომწვევით ხაზს უსვამს ამ გარემოებას. მას ზოგიერთებივით უკან დასახევი ხიდეები აღარ აქვს დატოვებული. მან უკვე ააფეთქა ეს ხიდეები. ის მარტო დეკლარაციებით, გონებით კი არ შეთვისებია ეპოქას, ბოლშევიკურ ხანას, არამედ – გულით, მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობებით:

ჩვენ რასაც ვმღერით – მას გული მღერის
ისევ ცეცხლოვან თავდავიწყებით.

ეს მწერლისათვის აუცილებელი ენტუზიაზმია. მწერლობა თვალთმაქცობა არ არის და არც – დიპლომატია. ვინც ამ გზაზე ადგება, მისი „ჩავარდნა“ და გამომჟღავნება ადვილია. ჩვენს ეპოქაში ყოველგვარი ბენვის ხიდეები დაწყვეტილი და განადგურებულია.

გალაქტიონ ტაბიძე – ბარიკადების ზევით არ დგას. არავის არ ურჩევთ ამ საქმეს. უხერხული ადგილია. ორივე მხრიდან დაიცხრილება იქ მდგომი. ეპოქის მოთხოვნილება კატეგორიულია: ან ბარიკადების იქით, ან აქეთ. შუაში დგომა არ შეიძლება. ძალთა დანაწილება გარკვეულია.

გალაქტიონ ტაბიძემ შესძლო ეპოქის პათოსის განცდა და მითი აღფრთოვანება. ამას სავსებით ადასტურებს პოემა „ეპოქა“. ის უპირისპირდება არამარტო რეაქციონურ ფენებს, არამედ – მათ მწერლობასაც. პოეტი ბრძოლით დასცილდა ამ მწერლობას და დღეს გესლიანათ ამათრახებს მათ:

**როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა
და ავჭალაში კიოდა ტურა,
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა
თქვენი მხატვრული ლიტერატურა.**

პირდაპირ ზედგამოჭრილი ფორმულაა, დიდებული, ზუსტი და მიზანში მხვედრი. რამდენი ჩვენი დღევანდელი მწერალი ნახავს თავის სახეს ამ ტაეპში, რამდენი აღელდება და მისი ავტორის მისამართით ობივატელურად გაიღიმება. მით უკეთესი.

„ეპოქა“ გალაქტიონ ტაბიძის უკანასკნელ ხანების ცენტრალური ნაწარმოებია. პოეტი სცდილობს გადმოგვცეს ჩვენი ეპოქის ძირითადი განწყობილებანი, მთავარი მოვლენანი,

ფაქტები. „ეპოქა“ ეპოპეია არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები დიდია, მასში ჩვენ ეპიურ თხრობას ვერ ვხედავთ. აქ არც ჩვენი დროის „წვრილმანი“ მხარეებია, რომელნიც შეადგენენ ეპოქის „ხორცს“. გალაქტიონ ტაბიძე დღესაც რომანტიკოსია, ცხადია, არა – „ვერ-ხვის ფოთოლთა შრიალის“, მერის ჯვარისწერის, არამედ – რომანტიკოსი რევოლიუციის. ამიტომ „ეპოქაში“ ეპოქის გარეგნული ეფექტი უფრო მძლავრად იგრძნობა, ვიდრე შინაგანი დულილი და საქმიანობა. „ეპოქაში“ გადამწონ ნაკადათ სჩქევს პოეტის ლირიკა. ესეც, ცხადია, არაა კამერული, ვინრო ინდივიდუალისტური, არამედ – საზოგადოებრივი, აქტიური.

„ეპოქა“ ნაწყვეტებია, უსისტემოა. შეგიძლიათ ბოლოდან ნაიკითხოთ, შეგიძლიათ – შუადან, თუ წესს მისდევთ, შეგიძლიათ თავიდან დაიწყოთ. ავტორი კი ამ შეკრულობის თანდათანობის წესს არ დაგიდევსთ „ეპოქაში“. მიუხედავად ასეთი „არეულობისა“, მთავარი პრობლემები, ფაქტები, ეპოქის დამახასიათებელი განწყობილებანი, ძალები და სწრაფვა რელიეფურად სჩანს. არის ეპიურობის ტენდენციებიც...

„ეპოქის“ ლირიკა იმედით სავსეა. გალაქტიონ ტაბიძე გამარჯვების ენტუზიასტია. არა სჩანს სევდა, უიმედობა, ენერჯის მღრღნელი ეჭვები. რბილი ინტელიგენტების სილამაზე განდევნილია პოეტის მახვილ პოლიტიკურ არსენალიდან. გამარჯვების ენტუზიაზმი რევოლიუციონერ მებრძოლის პროგრამის ქვაკუთხედაა. მთავარია რწმენა საკუთარ ძალებში და კლასიური სიძულვილი...

„ეპოქის“ მხატვრული ხარისხი გალაქტიონ ტაბიძისათვის ჩვეულ მაღალ სიმაღლეზეა. აქ მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი მრავალი ფორმებია გამოყენებული. ერთი რიტმი, ერთი ძარღვი, ერთი ტემპი არა სჩანს. ეს საჭიროც არის და აუცილებელიც. ეპიურობა მასში არ არის. მაგრამ არის ზოგიერთი ადგილები, ეპიზოდები (ასოთამწყობი, ბარიკადებზე მებრძოლი ქალი და სხვ.) ძლიერი, მკვეთრი თხრობითი მანერით გამართული. პოეტი ამჟღავნებს, რომ ეს ხერხი მას მშვენივრათ ეგუება. პოეტს მახვილი უნარით აქვს დახატული ღარიბი გლეხის ყოფის სურათი.

„ეპოქაში“ არის საგრძნობი სუსტი, ბუნდოვანი, გაუგებარი და აშკარად ზედმეტი ადგილები. კითხულობ და თავი ნისლიანდება. ვერ გაგიგია: რისთვის? რატომ? საიდან? რა შუაშია? შიფრი არ არის, აზრი არ არის, თავი არ არის, ბოლო არ არის. არც რაიმე გარკვეული განწყობილება – ლირიკა. არავითარი კავშირი „ეპოქის“ მთლიან კონსტრუქციასთან. არის კურიოზული, სავსებით დამოუკიდებლათ ჩამოვარდნილი „აზრიანი“ ადგილებიც:

გამოსულა ტიტველი
და ბაზარზე დიდგულობს.
ერთი ნემსის მყიდველი
ბათმან რკინას კითხულობს.

რა შუაშია? საიდან? ეპოქასთან რა გინდათ? ალაგ-ალაგ არის მხატვრულად არამცთუ გაუმართლებელი, არამედ გალ. ტაბიძისათვის აუტანელი ადგილები. პირველსავე გვერდზე ჩართმულია „კალამი – სალამი“.

შეიძლებოდა „ეპოქის“ დანმენდა, შემკვრივება, რომ პოეტისათვის ხანდისხან მხატვრულ ალლოს არ ევალატებია. მაგრამ ეს საგრძნობი ეფექტები ვერ ჩრდილავს „ეპოქის“ მხატვრულ-საზოგადოებრივ ღირებულებას. ამაოდ შეეცდება გალ. ტაბიძის რევოლიუციონურ შემოქმედების მხატვრული ხარისხის დამცირებას ის ხალხი, რომელსაც „ნაზი“, „სათუთი“ გალაქტიონი უფრო ერჩია, ანდა ისინი, რომელთაც რაიმე „სხვა“ ლიტერატურული თუ პოლიტიკური მოსაზრება ახელმძღვანელებთ.

„ეპოქის“ დიდი ნაწილი ძლიერი ტემპით, უნარით და რევოლიუციონური ენტუზიაზმით არის დაწერილი, ხშირად არის ყოველმხრივ ბრწყინვალე ადგილები. „ეპოქა“ საბჭოთა მწერლობის სანიმუშო ნაწარმოებია.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ „ეპოქის“ ფორმალური ღირსება ახალი მწერლობის უკანასკნელი სიტყვა იყოს. ეს არის ქართული მწერლობის რევოლიუციამდე გამოსული თაობის საუკეთესო და ნიჭიერი პოეტის გამორჩეული ნაწარმოები, მისი გაბედული სიტყვა.

საერთოდ კი, ბევრი ახალგაზრდა პოეტია დავალებული გალ. ტაბიძის პოეზიისაგან. ახალი პოეზიის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა გალ. ტაბიძის რიტმის დარღვევა-გარდაქმნა. საჭიროა სხვა ტემპი. თვითონ გ. ტაბიძე ნოვატორი იყო პოეზიაში და ის დღესაც კარგათ იყენებს თავის ნარსულ მიღწევებს.

ამრიგად, გალ. ტაბიძე „ეპოქაში“ გამომჟღავნებული მახვილი რევოლიუციონური ენთუზიაზმით, თავის შემოქმედებითი ენერჯის და შესაძლებლობების სრული გამოყენებით, რევოლიუციის გამორჩეულ თანამგზავრთა პირველ რიგებში უნდა დავაყენოთ.

დღეს ის რევოლიუციის ერთგული რომანტიკოსია. ის ოცნებობს ახალ საქართველოზე: „ამ მინდვრებზე, ხვალ რომ დაიბადება“.

რევოლიუციამ მისცა მას შემოქმედებითი მარაგი, გამსჭვალა ენთუზიაზმით, ახალი ენერჯით.

რევოლიუციას სჭირდება ასეთი თანამგზავრები.

გაზ. „კომუნისტი“, 1930, 26 აპრილი, № 96.

კ. მელაძე

შენიშვნები ლიტერატურული თანამგზავრობის შესახებ

წავიდა დეკლარაციების დრო [...] დღეს ყოველი დაჯგუფების მწერალი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკოს და ბევრი აკეთოს, რაც შეიძლება ერიდოს დეკლარაციებს, საჭიროა დეკლარაციების გაკონკრეტულება [...]

დღეს ჩვენი მწერლობის წინაშე რევოლიუციის მიღების საკითხს კი არ ვაყენებთ, არამედ რევოლიუციის საქმეში პრაქტიკული მონაწილეობის მიღებას. დღეს მწერალი აქტიური მონაწილე უნდა იყოს სოცმშენებლობის. საბჭოთა მწერალი დღეს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული ცნება როდია, როგორც ერთ-ერთი ამხანაგი სრულიად სამართლიანად შენიშნავდა, არამედ საბჭოთა მწერალი მხოლოდ ისაა, ვინც აკეთებს საბჭოთა საქმეს ყოველგვარი ეჭვისა და ყოველგვარი ბორძიკის გარეშე.

დღეს ყოველი საბჭოთა მწერლის წინაშე ვაყენებთ კითხვას: **„ან ჩვენთან, ან იქ, სადაც ამზადებენ ჯოჯოხეთის მანქანებს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ“.** მესამე გზა მათთვის, გზა „ნეიტრალიზებისა“ არ უნდა არსებობდეს. რადგან ეს გზა ყველაზე მავნებელი, საეჭვო და დამღუპველია მწერლისათვის. საბჭოთა მწერალი უნდა გადაიქცეს საუკეთესო დამკვრელად და მილიონიან მასებთან ერთად, შრომის ენთუზიასტებთან ერთად უნდა აკეთოს სოციალიზმის საქმე. ამის შემდეგ ჩვენ გვინდა შევეხოთ **„თანამგზავრობის“** საკითხს...

ტერმინის **„თანამგზავრი“¹** მნიშვნელობა დღეს მთლიანად შეიცვალა. თანამგზავრობა დღეს ჩვენ არ გვესმის ისე, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ გვესმოდა, თუმცა თანამგზავრობის საკითხს მაშინაც აღმოუჩინდა მონინალმდეგენი მწერალთა ფენებში, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ჩვენი ამხანაგების ნაწილმა ტერმინი „თანამგზავრი“ ყალბად გაიგო და გახშირდა თანამგზავრობის მანდატის ბოძება ყოველგვარი კონტროლის გარეშე. საკმაო იყო მწერალს დაენერა ერთი ან ორი ლექსი, ეხსენებია შიგ რევოლიუცია, რომ იგი უკვე თანამგზავრი იყო და შესაფერი მანდატიც მზად იყო.

თანამგზავრობის საკითხთან დაკავშირებით ძალზე გახშირდა „ნითელი ხალტურა“ და ხშირად ეს ხალტურშეიკები თანამგზავრებად სალდებიან. ამიტომ ჩვენ როდესაც რომელიმე

1 თანამგზავრი (რუს. Попутчик) – საბჭოთა პოლიტიკური ტერმინი, რომელსაც კომუნისტები იყენებდნენ იმ საზოგადო მოღვაწისა და ხელოვანის აღსანიშნავად, რომელიც თანაუგრძნობდა პროლეტარულ რევოლუციას, ზოგჯერ თანამშრომლობდა პარტიასთან, მაგრამ არ იდგა თანამიმდევრულ მარქსისტულ პოზიციაზე. ტერმინის შემომტანად მიიჩნევა ა. ლუნაჩარსკი.

მწერალს ვაკუთვნებთ თანამგზავრის სახელწოდებას, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ წინააღმდეგობაში არ ჩავვარდეთ [...]

დღეს მწერალმა, რომელსაც სურს გახდეს ჩვენი ეპოქის ნამდვილი და ღირსეული თანამგზავრი, უნდა დასწვას უკან დასახევი ხიდები, მან თავი უნდა ანებოს უკან მალიმალ ხედვას, იგი უნდა იხედებოდეს წინ და ჩვენთან ერთად ზვერავედეს ხვალინდელ დღეს [...]

ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი იმდენად გულუხვი აღმოჩნდა, რომ ცოტა დააკლდათ, თორემ **ტ. ტაბიძეს** თანამგზავრად აღიარებდნენ... ყველა ამხანაგი თანამგზავრობის საკითხს ძალზე ფრთხილად უნდა ეპყრობოდეს. ტ. ტაბიძემ ერთ ლექსში ვითომდა თანამგზავრული ტენდენციები გამოამჟღავნა, მეორე ლექსში კი ყოველივეს გადაუსვა ხაზი. მაგრამ ეს მწერლები ტყვილა ცდებიან, თავს იტყვილებენ: ჩვენთვის ძალზე ადვილად გასარჩევია თეთრი შავისაგან.

რაც შეეხება ქართველ მემარცხენე თანამგზავრებს, კერძოდ **გალაქტიონ ტაბიძეს**, იგი უკვე თავისი რევოლიუციონური ლექსებით ჩვენი ეპოქის საუკეთესო ენთუზიასტი ხდება. მისი ძახილი, მისი პოეტური ხმა არის ხმა იმ ადამიანის, რომელიც ორგანიულად განიცდის ჩვენი მშენებლობის ყოველ დეტალს. გ. ტაბიძეს ღრმად აქვს შეგნებული თავისი ვალდებულება და იგი მწერლებს მოუწოდებს:

ვჭედოთ რკინად, ვჭედოთ რკინად
გული ჩვენი ზიარული,
აღარ ვარგა, როგორც წინად,
ძველი გულით სიარული!

ანდა: დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი,
ჰეი, დაჰკარი!
გადმონგრეე მძიმე ლოდები
ნიადაგარი.
აგურს – აგური, ფიცარს – ფიცარი,
მკლავი მაგარი,
ვერას დააკლებს ახალ შენობას
წვიმა და ქარი.

ვის შეუძლია იმღეროს ასე გატაცებით და გულწრფელად, თუ არა რევოლიუციონური ეპოქის დიდ ენთუზიასტს! გ. ტაბიძემ იცის, რომ დღეს ძველი გულით და ძველი გზით სიარული არ არგებს და „ნეიტრალურ“ პოეტებს მოუწოდებს:

გართმევთ პოეტობას?
გირჩევთ: მენანებით –
მიეთ-მოეთობას
თავი დაანებეთ!

ყოველმა მწერალმა დღეს თავი უნდა დაანებოს „მიეთმოეთობას“, მან უნდა ილაპარაკოს გარკვევით და გაბედულად იმის შესახებ, თუ რის თქმა სურს. გარეშე ამისა, არ შეიძლება, რომ მწერალი თანამგზავრი გახდეს. გ. ტაბიძეს აუცილებლად ღრმად აქვს ეს შეგნებული.

ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1930, № 12, გვ. 96-101.

ვ. ლუარსამიძე

მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე

[...] ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც დღემდე მხოლოდ დეკლარატიულად იდგა „საბჭოთა პლატფორმაზე“, ან ნეიტრალობის პოზიციაზე, უკვე ნიღაბს იხსნის და პროლეტარიატის კლასიური მტრის ბანაკში გადავიდა (მაგ.: მიხ. ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე და სხვ.). მეორე ნაწილი კვლავ განაგრძობს მერყეობას და ნეიტრალობის პოზიციაზე დგომას, მესამე ნაწილი – წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის საუკეთესო ლიტერატურული წარმომადგენლები – პროლეტარიატთან კავშირის პოზიციაზე გადადის და თანდათანობით სოციალისტურ პრაქტიკაში აქტიურად ებმება. მიუხედავად იმისა, რომ თანამგზავრებს შორის იდეოლოგიური მერყეობა ჯერჯერობით მთლიანად არაა დაძლეული, უკანასკნელ ხანებში გარკვეულად იზრდება და მტკიცდება თანამგზავრების ის ნაწილი, რომელმაც მუშათა კლასთან ერთად სვლა მტკიცედ გადაწყვიტა, რითაც თანამგზავრიდან მოკავშირე ხდება. [...]

იმ მწერლებიდან, რომელნიც **შემოქმედებითი მონაცემებით** ცდილობენ პროლეტარიატის ლიტერატურული მოკავშირენი გახდნენ, შეიძლება დავასახელოთ გალაქტიონ ტაბიძე, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი და სხვ. აღნიშნული რიგი, მიუხედავად სავსებით ვერდაძლეული წვრილბურჟუაზიულ მერყეობისა, ცდილობს შემოქმედებითი ფაქტებით გვიჩვენოს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები, ცდილობს ამხილოს, ეპოქის პირობებში წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის მავნებლობა, ნაციონალიზმის და რასიული რომანტიზმის რეაქციონურობა, „დემოკრატიული“ ილუზიების ბანკროტობა, იდეოლოგიური მერყეობის და ნეიტრალობის პოზიციის შეუძლებლობა. რეკონსტრუქციის პერიოდის ინტერესების ძირითადი რგოლი მოკავშირეთა შემოქმედებითი ინტერესების ძირითადი რგოლი უნდა გახდეს.

არათუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ყოველმხრივ დავეხმაროთ ლიტერატურულ თანამგზავრებს პროლეტარული იდეოლოგიის პოზიციაზე მთლიანად გადმოსვლაში, ამხანაგური კრიტიკა ვანარმოთ ამა თუ იმ ჩავარდნაზე და შეცდომაზე თანამგზავრთა შემოქმედებაში. აღნიშნულის წარმატებით ჩატარებისათვის მთავარი პირობაა ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ბურჟუაზიული გავლენების წინააღმდეგ მკაცრი იდეოლოგიური ბრძოლის წარმოება. ყოვლად დაუშვებელია თანამგზავრებს შორის იდეოლოგიურ-მხატვრულ ჩავარდნათა მიჩქმალვა და ჩავარდნებისადმი ლიბერალურ-მოთმენითი დამოკიდებულება; ბოლშევიკური ბრძოლა უნდა სწარმოებდეს საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში მემარჯვენე ოპორტუნისტული ტენდენციების და ოპორტუნისტული გადახრებისადმი შემრიგებლობის წინააღმდეგ. უამისოდ შეფერხდება თანამგზავრების პროლეტარული იდეოლოგიის პოზიციაზე გადმოსვლა.

ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931, № 1-2, გვ. 128-130.

გ. მ-ლი

გალაქტიონ ტაბიძე – „ეპოქა“

გალაქტიონ ტაბიძე თავისებური გზით მივიდა პროლეტარულ რევოლუციასთან. გზა საიმედო აღმოჩნდა – მივიდა მტკიცეთ, პირდაპირ, წარბშეუხრელად. თანამგზავრს ვეძახო-დით გალაქტიონს. მართლაც, ის იყო პირველი ნამდვილი თანამგზავრი. ახლა თანამგზავრზე მეტია გალაქტიონი. მარტო „თანამგზავრულად“ როდი „მოინათლება“ გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციონური პოეზია.

ქართული პოეზიის „ისტორიაში“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გალაქტიონ ტაბიძეს. უაღრესად საინტერესოა მის მიერ განვლილი გზა. მხატვრული კრიტიკა, ალბათ, შუქს მოჰყვენს ტაბიძის მხატვრულ შემოქმედებას. გალაქტიონის პოეზიის საფუძვლიანი გარჩევა მოითხოვს სერიოზულ კრიტიკულ-კვლევით მუშაობას.

უიმედობის, სასონარკვეთის, პესიმის უკიდურესი გამომხატველი – ასეთი იყო ტაბიძე. მისი პესიმისტური ლირიკის ჰანგები საკმაოდ ჩრდილავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრებს მტკვრის პირას“. გალაქტიონ ტაბიძე როდი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის უბრალო განმეორება. მან გააღრმავა ბარათაშვილის პესიმისტური ლირიკა, უკიდურესობამდე მიიყვანა ის. ქართული პოეზიის ბაირონი იყო გ. ტაბიძე. ცხადია, ეს იყო თანამედროვე მეტრძოლი ადამიანის სულიერი დაცემის, განიარაღების, გახრწნის მხატვრული ფილოსოფია – შავი პროზა, თეთრ პოეზიაში გამოხატული. მოკლეთ, გალაქტიონის შემოქმედების პირველი ხანა, პირველი პერიოდი განუსაზღვრელი პესიმის სუდარაშია გახვეული.

სულ სხვაა საბჭოთა საქართველოს გალაქტიონი. მენშევიკურ „ეპოქის“ გალაქტიონის მწარე მოგონება თუ დაგვრჩა მხოლოდ. გალაქტიონმა გააკეთა მხატვრულ მწერლობის ისტორიაში იშვიათად ნახული, ძნელად წარმოსადგენი „სალტომორტალი“. მან საკუთარი ხელით დაამსხვრია საკუთარი ქნარი, დალენა მისი პესიმისტური სიმები. ქართველი ბაირონი ქართველ მაიაკოვსკით გარდაიქმნა თითქმის. მართალია, გალაქტიონი ჯერ კიდევ განზე სდგას მაიაკოვსკიდან, მაგრამ არც ისე შორს. გალაქტიონი პოეტია რევოლუციის. მან მიიღო პროლეტარული რევოლუცია, თავისებურად განიცდის მას. რევოლუციის პოეტი არ მოკვდება არასოდეს. დიდი პოეტი რჩება დიდ რევოლუციაში – სრულებით გამართლდა პლენანოვის ეს შეხედულება. ამას მოწმობს ჩვენში გ. ტაბიძე, საბჭოთა რუსეთში – ვალერი ბრიუსოვი. ბრიუსოვი, სიმბოლისტი, არამცთუ მივიდა პროლეტარულ რევოლუციამდე, გაცილებით მეტი – შეუერთდა მას, გახდა კომუნისტი.

რევოლუცია არის გრიგალი,
რევოლუცია არის სტიქია,
რომლის სისწრაფე და ძლიერება
არ გნამს, არ გჯერა, არ გაგიგია?
რევოლუცია არის ქარბუქი,
იგი მაისის არის დამდეგი,
რა დაუნდობლად განადგურდება –
ყოველი მისი წინააღმდეგი.

ასე ამბობს რევოლუციის მგოსანი გ. ტაბიძე. რამდენად მკვეთრია ეს თქმა, დამაჯერებელი, მართალი, ამავე დროს, – ბევრისათვის სიკვდილის ჟრუანტელის მომგვრელი. გულწრფელია ეს თქმა, მაშასადამე, – მხატვრულიც. შემთხვევითი არაა ეს აზრი გალაქტიონისათვის, რევოლუციის „საყვირი“ „მინისა“ და არა „ცის“. პოეტი პესიმისტი, პოეტი განზე გამდგარი, გაბუტული, ზედმეტი ხორცია რევოლუციისათვის. ის მუნუკია პროლეტარიატის ჯანსაღ სხეულზე.

ჩვენი საუკუნე ეპოქაა პროლეტარული რევოლუციის. ნამდვილი პოეტი უნდა იყოს „ეპოქის“ მხიარული მომღერალი. რევოლუციონურ ეპოქაზე „ეპოქა“ უნდა იწერებოდეს,

უნდა ინერებოდეს ლიტერატურაშიც ახალი ეპოქა. განწირულია „ჯვარედინზე მყოფი პოეტი“. პროლეტარული რევოლუციის ბრძანებაა, მრისხანე – „პოეტების არ გაისმოდეს უიმედობა, კვნესა, ნუნუნი“. კლასობრივი ბრძოლაა პროლეტარული რევოლუცია, ბრძოლა ახალ ქვეყნისთვის, კომუნისტებისთვის. უიმედობა, კვნესა, ნუნუნი სრულებით უცხოა და დაუშვებელი ბრძოლების ცეცხლში. გალაქტიონმა კარგად იცის ეს ბრძოლის ფილოსოფია. ამიტომ ის ესხმის თავს უიმედობას, განზე გადაგომას, ებრძვის დახავსებულ მწერლობას:

როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა
და ავჭალაში კიოდა ტურა,
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა
თქვენი მხატვრული ლიტერატურა...

აი სატირა, ირონია, მწარე დაცინვა გამსახურდია-გრიშაშვილების ტიპის მწერლებზე. მათი „შემოქმედება“ „დროგადასული და მოხუცია“, კიდევ მეტი – მკვდარია და გახრწნილი:

ხელოვნებათა არმია! ჩქარი
ეპოქის გვერდით იარე, წადი!
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.

ეპოქის გვერდით, ეპოქასთან ერთად, ეპოქის კვალდაკვალ, ეპოქის ტემპით წერა, – „ეპოქის“ – განა არ ისმის აქ ბოხი ხმა მაიაკოვსკის?

Если стих не поспевает
За былью плестись,
Сырыми фразами бей, публицист!¹

ასე ამბობდა მაიაკოვსკი, პროლეტარული რევოლუციის დაუდგარი მყვირალი. ამასვე ამბობს გალაქტიონი, ქართული ლიტერატურის მომავალი მაიაკოვსკი...

გალაქტიონის ახალი წიგნი – „ეპოქა“ – პროლეტარული რევოლუციის მხატვრული დიდება, აქ დახატულია მთელი თანამედროვე ეპოქა, დახატულია ვრცელ ტილოზე დიდი მხატვრის ხელით. „ეპოქა იშვა და დაიბადა სამოქალაქო ბრძოლების რკალში“, – აი, ამ ეპოქაზეა, პროლეტარულ რევოლუციაზე გალაქტიონის „ეპოქაში“ ლაპარაკი. ეპოქაც არის და ეპოქაც, – ეს არ ავინყდება გალაქტიონს. პროლეტარულ რევოლუციის ეპოქასთანაა გალაქტიონ ტაბიძე, ამ ეპოქაზე სწერს ის მთელ წიგნს, სწერს და... ვეღარ ამთავრებს. „როდის დამთავრდება ეს ეპოქა?“

ეპოქა დამთავრდება
მსოფლიო რევოლუციის
მოხდენის დღესავე,
მე მისი გული ვარ
და მონათესავე.

გადაჭრითაა ნათქვამი. აქ ერთი აზრია და ერთი გრძნობა. მსოფლიო რევოლუციის გული და მონათესავე! შეიძლება გადაჭარბებულია ეს თქმა, მაგრამ გაბედულია და პირდაპირი.

წიგნში არის, რასაკვირველია, მხატვრულად სუსტი ადგილები. ეს ბუნებრივია. 200 გვერდის მხატვრულად დაწერა შეუძლებელია. ერთი კი ცხადია: ყოველ გვერდზე იგრძნობა, რომ კითხულობთ დიდ მწერალს, მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, დიდ ხელოვანს.

გაზ. „კომუნისტი“, 1931, 7 მაისი, № 103.

¹ ციტატა ვლ. მაიაკოვსკის ლექსიდან - „Жид“ (1928): „თუ ლექსი ვერ ასწრებს მიჰყვეს სინამდვილეს, ნედლი ფრაზებით იბრძოლე, პუბლიცისტო“.

ვალერიან ლუარსაბიძე

ქართული ჟირონდის მწერლობა¹

[...] გალაკტიონ ტაბიძე შუამდებარე სოციალური ჯგუფების წარმომადგენელია, დღეს პროლეტარული რევოლუციის რომანტიკოსი, პროლეტარული მწერლობის ლიტერატურული მოკავშირე. ელემენტარული მცოდნეობაა, რომ საზოგადოებრივი კლასების, შუამდებარე საზოგადოებრივი ჯგუფების, საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქოლოგია და იდეოლოგია მათი სოციალური ყოფის ცვლილებასთან ერთად იცვლება; მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ ისიც, რომ შუამდებარე ჯგუფების ფსიქოლოგია ძირითადად შუამდებარეა. მთავარია: „საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე, ე.წ. არსებობის პირობებზე აღიმართება მთელი ზედნაშენი სხვადასხვაგვარი თავისებურად შექმნილ გრძნობების, ილუზიების, აზროვნების წესების და ცხოვრებაზე შეხედულების. ამას მთელი კლასი ჰქმნის და აყალიბებს თავისი მატერიალური საფუძვლებიდან და შესაფერი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან“ (კ. მარქსი – „18 ბრიუმერი“).

1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, დაცემულობის, მებრძოლი პესიმიზმის პროპაგანდისტი, რელიგიური ექსტაზის მწარმოებელი, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული და პატრიოტული „თრთოლვის“ ვირტუოზი და ბოჰემა-ანარქისტი. სოციალური მოტივები მის პოეტურ პრაქტიკაში განდევნილი იყო, გ. ტაბიძე გაურბოდა სოციალური საკითხების რგოლს, და თუ „შემთხვევით“ შეეხებოდა სოციალური საკითხების ჯაჭვს, გულგრილად გაენწყობოდა მას, ობივატელი იყო. სოციალურმა ქარტეხილმა რამდენიმედ შეუბღალა პოეტს მისტიური ბურანი და 1919 წელს, თუმცა ნაუცბადევად და დროებით, მაგრამ მაინც სტიქიურად (ბლოკისებურად) განიცდიდა ეპოქის აგორებული ტალღების „კატასტროფულ“ გრანდიოზულობას. დადებითი იდეების, სოციალური პროგრამის უქონლობის გამო მისტიკოსი გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციონურ წყალვარდნილს სტიქიურად, „კატასტროფულად“ განიცდის. „როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები“ მოცემული დებულების არგუმენტაციაა:

მე ისევ მიყვარს დალილთა ცრემლი და ბრძოლა,
ბრძოლა მოუსვენარი,
ქარიშხლიანი მეხი და ელვა, რისხვით მრისხანე
ტალღებთან შებმა
...
სანამდე დროშებს ეძებდა თვალი, დროშები ქარში
გაშალეს უცებ!
დღითა და ღამით, დღითა და ღამით გრგვინვით
ებრძოდენ ზარებს ზარები.
მოსკდა კიდევს, გასცდა ნაპირებს და გრიგალივით
მოედო ქუჩებს
სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის ზვირთი,
ყველაფერს ნაზიარები...
დაეცა კრემლი! და ნაფოტებად იქცა წარსულთა
ტანჯვათ მიზეზი.
მე ვალმოხდილი ისევე ველი, როგორ მოჰყვება
ავდარს ავდარი.

ბუნდოვანი, შეუკვრელი განწყობილებები, რევოლუციის დამრღვევი ძალისადმი მისტიური მიკედლება, ქაოსის რომანტიკა. თუმცა პოეტის მიერ ნაწილობრივ შეგნებულია იმპერატორების კრემლის დაცემა, ამ დაცემის სოციალური შინაარსი, მაგრამ... გ. ტაბიძე

¹ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი.

კვლავ მოლოდინშია „როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი“. ეს უკვე გ. ტაბიძის შემოქმედებაში ახალი მოტივია, თუმცა არსებითად – სტიქიის კულტი. პოეტი ცდილობს სოციალურ მოტივზე სწორებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკის, ტემპების თვალსაზრისზე დადგომას, მაგრამ თავის მისტიურ დატენილობას ვერ სძლევს, მხოლოდ დროებით განწყობილებებთან დროებით გათამამებას თუ ახერხებს. თებერვლის რევოლუციამ მასში რევოლუციონური აკიჟინების სწრაფვა გამოიწვია:

გათენდა; შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

მაგრამ ხმა ვერ გამართა, კვლავ მისტიური ხაზით განვითარდა პოეტი; სუსტი გამოდგა გალაქტიონის ხმა „დროშებზე“ ამღერებისათვის! რატომ? შუამდებარე ჯგუფების ფსიქოლოგია ძირითადად შუამდებარეა. კვლავ უბრუნდება გ. ტაბიძე საზოგადოებრივ ცხოვრებას, აწარმოებს საკუთარი თავის მოქალაქეობრივ გამოცდას, იწერება პოეტური ნაწარმოებები: „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, სადაც პოეტი თბილად იგონებს ოქტომბერს – „მე ნოემბერი და პეტროგრადი ასეთი კარგი“ და „გემი დალანდი“:

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდათ ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა.
გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

გალ. ტაბიძეს უყვარს სამშობლო, პატრიოტია, თუმცა მისი სამშობლოსადმი სიყვარული უფრო „ლანდშაფტური“ ხასიათისაა: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლო მთებია“. საქართველოში მენშევიკების მბრძანებლობის დროს ჩამოვიდა პოეტი „დაბინდულ ქლიავისფერ მთებიან“ სამშობლოში და რა დაუხვდა? სატირის თეატრი „ელამი ჯიმი“, რომელიც რუსეთიდან გამოქცეულ და ადგილობრივ შავრაზმელებს ემსახურებოდა, „ქიმერიონი“ „დემოკრატიული“ და თავადაზნაურულ-სპეკულიანტური ორგანიზაციებით, ლამის ფეიების ქარავენები, რუსული თეთრგვარდიული მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალები, ზოოლოგიური შოვინიზმი, გლეხთა აჯანყებები, რევოლუციონური მუშების ხვრეტა, მასიური შიმშილი, ეპიდემიური ავადმყოფობანი, პატრიოტული ხმლების ლაპლაპი; მწერლობაში? შოვინისტური, პორნოგრაფიული, მისტიური, პესიმისტური, რელიგიური, ფეოდალური კარმიდამოს და სხვ. მოტივები. „ობივატელი“ (ამ ცნების სოციალ-პოლიტიკური გაგებით) გალ. ტაბიძე გულწრფელად შეაძრუნა ამ ჭაობის მდგომარეობამ და არსებულ სინამდვილეს ნაწილობრივ პროტესტანტულად გაეწყო, იგონებს ოქტომბრის დიდ რევოლუციას და სარკასტულად მიმართავს მენშევიკური „ოქროს ხანის“ გულჩიორა კალმოსნებს:

იყო ბურუსი გაურღვეველი.
და კაკანებდა ტყვიისმფრვეველი.
დღემ მოღუშულმა ნარბი შეხარა,
დაცლილ ქუჩებში მკვდრები ეყარა.
უცებ მაღალი ცეცხლი აჯარდა
და ბნელი ცისკენ გაინავარდა.
ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე,
როს იმედები სხვა დავინახე.

ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს
თქვენთვის საყვარელ ბუღბულ-მდელოში
ტკბილად გეძინათ საქართველოში.

მართლაც, რომ „ბუღბულ-მდელოს“ მომღერლები, მესაზანდრეები და მეზარენი მტრულად იყვნენ განწყობილნი მონინავე იდეებისადმი და თავიანთ ცხვირს იქით ვერას ხედავდნენ. როგორც აღვნიშნეთ, გ. ტაბიძის მისტიურ და პესიმისტურ შემოქმედებაში მოცემული გამორჩეული მოტივები და განწყობილებები მხოლოდ დროებითი განწყობილებები იყო, მაგრამ ამავე დროს დასაწყისიც გ. ტაბიძის რევოლუციონური გარდაქმნისა, მის თავში რევოლუციის მოხდენის მკრთალი და სუსტი საწყისები. გ. ტაბიძის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური გაჯანსაღება და გარდაქმნა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში იყო შესაძლებელი. ეს ასეც მოხდა! უმნეო მისტიკოსი და პესიმისტი, „მე და ლამე“, „მესაფლავე“ და „მერი“-ს ცრემლიანი ავტორი, პროლეტარული რევოლუციის პირველი ქართველი ლიტერატურული თანამგზავრი გახდა, ოქტომბრის გულწრფელი რომანტიკოსი! გალ. ტაბიძე დღეს სამართლიანად პროლეტარული რევოლუციის, პროლეტარული მწერლობის მოკავშირედ ითვლება.

ოქტომბრის რევოლუციის გარეშე მას, ისევე როგორც გიორგი ქუჩიშვილს, შემოქმედებითი თვითმკვლელობა დაემართებოდა. რევოლუციამ ადამიანების მასალა გარდაქმნა, გადააკეთა! გულჩათხრობილი პესიმისტი და მისტიკოსი გალაკტიონ ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციამ პროლეტარული ლაშქრობის ჯარისკაცად, ახალი ქვეყნის ენთუზიასტად გადააქცია: „ჯონ რიდი“, „ეპოქა“ და სხვ.

წიგნიდან: „ქართული ჟირონდის მწერლობა“, ტფილისი, 1931.

შალვა რადიანი

გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. პირველი მისი ლექსები გამოქვეყნდა 1908 წ. „ჩვენს კვალში“ და „ამირანში“. ასე რომ, გ. ტაბიძის სამწერლო გზა უკვე 25 წლით განიზომება. ეს გზა სავსეა წინააღმდეგობებით.

შემოქმედების პირველ პერიოდში („ლექსები“, I ტ., 1914 წ.) გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელი იყო რომანტიული მწუხარება, მოთქმა ცხოვრების არარაობაზე და უიმედობა. მის პოეზიაში მოისმოდა დეკადენტური ლიტერატურის დამახასიათებელი მოტივები: სევდა, „taedium vitae“, დაღლილობა და მისწრაფება ამქვეყნიურობისაგან გაქცევის. გ. ტაბიძე მიიღტვოდა უსაზღვრო სივრცეებისაკენ, ცის სილაყვარდეში ეძიებდა მიუწვდომელს, ეტრფოდა უძილო ლამეებს. მხოლოდ ერთადერთი იდეით იყო მაშინ შემოფარგლული მისი განწყობილება: ადამიანის ბუნება განსაზღვრულია, ადამიანი სუსტი არსებაა, ის განმარტოებული და ობოლია, ყველასაგან მიტოვებულია. ადამიანის ამქვეყნად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ იგი მუდამ იდგეს ღრმა უფსკრულის პირად, ადამიანი ბედნიერებას მხოლოდ ცხოვრებისაგან მოშორებით ჰპოვებს.

ამ ძირითად მოტივს გ. ტაბიძე ღრმად და მხატვრულად ანვითარებდა თავის შემოქმედებაში. როგორ კონკრეტულ გამოხატულებას აძლევდა გ. ტაბიძე ამ მოტივს?

გ. ტაბიძისათვის ცხოვრებაში „ყოველი წუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით“, მისი „სული“ იყო „დანეწილი მწარე ქარებით“, „არ არის ბედნიერება“ მისთვის, სიხარული და სიამოვნება მიუღწეველი ამბავია ამქვეყნად: „ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი რომ დამაბარე – ვერსად

1 ლათ.: ცხოვრებით დაქანცულობა.

ვერ ვპოვე, ბედნიერება ჩემთვის არ არის, ბედკრული შვილი გამომიგლოვე“. მისთვის დედამი-
ნაზე არ არის ხსნა. ამქვეყნიურობა გ. ტაბიძეს არ აკმაყოფილებს, იგი მისთვის ვინრო და უში-
ნაარსოა, ამქვეყნად ყოფნა მისთვის კუბოში წოლად გამხდარა. ამ აზრს იგი ხშირად იმეორებს:

ვეტყვი – რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში.
(„შორეულს“)

გ. ტაბიძე გაურბოდა საზოგადოებას, ხალხს და მწუხარებით გამსჭვალული ეძებდა
განმარტოებას, მთვარიან ღამეს, სასაფლაოს, რომ დაევიწყებინა ქვეყნიერება და გადასუ-
ლიყო ოცნებაში. ამიტომ იგი ჰქმნიდა ღამის და მთვარის პოეზიას.

გ. ტაბიძის პოეზიაში მოისმოდა ნაადრევად მოხუცებული ადამიანის იდეები. მისთვის
მთელი ქვეყანა უდაბნოდ იყო გადაქცეული. სიყვარული, რომლისაკენაც მიისწრაფოდა ის,
მიუღწეველი ოცნება შეიქნა: „დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა. ჩემთვის მარ-
ტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“ („უდაბნო“).

პოეტი არავის არ უმჟღავნებდა თავის სევდას იმიტომ, რომ მისი წყლული უკურნებე-
ლია. იგი დარწმუნებული იყო, რომ თავის გაზაფხულს, ახალგაზრდულ ადფრთოვანების წლებს
ველარ იხილავს. აღტაცების დრო სამუდამოდ გაჰქრა და ბედნიერებას ველარ ეღირსება. მისი
გული უკვე შეჩვეულია სევდას და ურწმუნობას:

და მომწყინდა ყველაფერი,
და მომბეზრდა ყოფნის მცნება.
(„ხელოვნება“)

გ. ტაბიძის ამ დროის ლექსებში აქტივობის ვერავითარ ნასახს ვერ იპოვნით. პოეტი არ
ცდილობდა, თავი დაედგინა მარტოობისათვის, სიცარიელისთვის. პირიქით, იგი სცდილობდა
მის გაღრმავებას და გამუქებას:

რა წამებაა, როცა იმედთა
ნაცვლად გულს ჭმუნვა გარემოცავს...
როცა მეგობართ გუნდი გეცლება,
როს თანამგრძნობი არავინა გყავს...
როცა არა ხარ მოხუცებული
და მაინც გრძნობ, რომ არავის ელი,
როცა უცხო ხარ მთელი სოფლისთვის
და უცხო არის შენთვის სოფელი.

„ცხოვრება ცარიელია“, „ცხოვრება უდაბნოა“, – აცხადებდა გ. ტაბიძე, მაგრამ იმ დროს
ასე მსჯელობდა არა მარტო იგი. ის იყო მერყევე, გაუბედავ ინტელიგენტების ცხოვრები-
საგან გაქცევის, თვითმკვლევლობათა დრო, რაც ლიტერატურაში გამოიხატა სიკვდილის
აპოლოგიაში.

გ. ტაბიძე ხშირად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მას სწყუროდა მახლობელთათვის
გაეკეთებია კეთილი საქმე, მაგრამ ის შესცვალა მწარე გულგატეხილობამ ადამიანებზე. მკაც-
რმა სინამდვილემ, ადამიანთა დაცემულობამ გაუტეხა მას გული:

მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძღურდი და მოვიშხამე.
(„მიმღერე რამე“)

ახლა იგი ცივი, განმარტოებული და უიმედოა. მას უკვე აღარ აქვს ნათელი, დადებითი მომენტები. დიდათ აღლევებს ადამიანების განსაზღვრულობა, სიმკაცრე და გაუტანლობა. ადამიანებით უკმაყოფილო ბაირონი მათ (ადამიანებს) სთვლიდა „ძაღლებზე უმდაბლეს არსებათ, რომლებიც, თავიანთი საზიზღარი მოქმედების გამო, არც კი არიან ღირსნი, ენოდოს ადამიანები“ („დონ-ჟუან“). გ. ტაბიძე კიდევ უფრო შეურიგებელი იყო ადამიანებთან.

სიყვარული, ტრფობა გ. ტაბიძეს მიაჩნდა ოცნების და მაღალ იდეალისადმი მისწრაფების დამასამარებლად (ლექსი „განწირულება“), იგი სწყევლიდა, აძაგებდა სიყვარულს:

ეხლა კი ვწყევლი, ვწყევლი მე ტრფობას.
მან ამოაშრო გულის სიღრმიდან
აუხდენელი ოცნება ნაზი
და მთელ სიცოცხლეს სულით ობლობის
წითელ ზოლივით დაავლო ხაზი.
(„ვენყველი სიყვარულს“)

სიყვარულის გაუტანლობის, დროულობის და თვალთმაქცობის სურათს გ. ტაბიძე იძლეოდა აგრეთვე ლექსში „მესაფლავე“.

ადამიანთაგან, საზოგადოებისაგან, სინათლისაგან გ. ტაბიძე გარბოდა სიმარტოვეში, სიბნელეში, მოუხმობდა სიკვდილს. მან მოგვცა მთელი წყება ლექსებისა, რომლებიც სწორედ ამ განწყობილებებზე იყო აგებული.

გ. ტაბიძეს თავისი „სულის“ თანამოზიარედ და თანამგზავრად ღამე და სიბნელე ჰყავდა. მთელი თავისი გულის სიღრმით მიისწრაფოდა პოეტი ღამისკენ. ნაღველი, რომლითაც შეპყრობილი იყო პოეტი და რომელიც გაუგებარი იყო თვით მისი მეგობრებისთვისაც კი, მხოლოდ ღამემ იცოდა მისი საიდუმლოება:

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული...
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის – როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევენე და ვენამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!
(„მე და ღამე“)

გ. ტაბიძისათვის ღამე იყო არა მარტო „სულის“ მესაიდუმლე, მარტოობის და დამშვიდების წყარო, არამედ შემოქმედების პირობაც („მთანმინდაზე“, „მაისის ღამე“, „წამების ღამე“ და სხვ.).

ამ ორ მომენტს (ღამეს და მარტოობას) უკავშირდებოდა აგრეთვე მესამე მომენტიც, რომელიც პოეტის „სულის“ თანმხლებელი იყო და რომელსაც პოეტი უმჟღავნებდა თავის განცდებს: – ეს იყო ბუნება.

გ. ტაბიძეს უყვარს ბუნება, მაგრამ არა – როგორც რეალური მოვლენა, არამედ – როგორც საშუალება თავისი განწყობილებების გამოსამჟღავნებლად. ბუნება მისთვის არის შინაგანი მდგომარეობის სიმბოლიზაციის საშუალება, „სულის“ პეიზაჟი. ამიტომ ასე ხშირად იყო მის ლექსებში მოწყენილი შემოდგომა, როდესაც მზის მხურვალეობა გამქრალია, როდესაც სიყვითლე იპყრობს ყველაფერს, როდესაც ფოთლები სცვივა, როდესაც ყოველივე ნორჩი და ჯანსაღი გვემშვიდობება; ან კიდევ – ზამთარი, როდესაც ყოველივე ყინვის და თოვლის სუსხის ქვეშ არის მოქცეული, როდესაც სამარისებური სიჩუმე იპყრობს ყველაფერს; გაზაფხული და ზაფხული, ბუნების გამოღვიძების და აყვავების ხანა, მხურვალე მზე, სიმწვანე და სიხარული ნაკლებად იპყრობდა პოეტს:

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე,
დღე ნალვლიანი, ღონემიხდილი,
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე.
ცვივა და ცვივა ხეებს ფოთოლი,
გაყვითლებული, უდროოდ მჭკნარი,
დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი,
გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი...
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი...
გამიქრა სულის ოცნება წმიდა,
ილულება მზე, იძარცვება ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!
(„შემოდგომის დღე“)

გ. ტაბიძის პოეზიის ძირითად მოტივად ხდება სიკვდილის გრძნობა და სიკვდილის „კანონის“ მიღება. მის პირველ წიგნში ძლიერად იყო წარმოდგენილი სიკვდილის კულტი:

მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამავინყოს გულის ღრმა წყლული.
(„განწირულება“)

გ. ტაბიძის ლექსიკონი სავსე იყო ტერმინებით, რომელიც შეეხებოდა სიკვდილს და მის ატრიბუტებს, თითქოს კითხულობდით ე. წ. „poesia sepolcrale“¹-ს წარმომადგენლებს:

დღეს კი, როდესაც შავი ბურუსი
მისპობს და მიკლავს ოცნების კუთხეს,
ჩემს გაჩენის დღეს ვწყევლი იდუმალს
და ვლოცავ ყოფნის აღსასრულის დღეს.
ბნელი ღამეა... მალე ინათებს...
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები...
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავბნელი ფრთები!

ასეთ დამოკიდებულებას სიკვდილისადმი, როგორც სასურველისადმი, რომელიც თითქოს ანთავისუფლებს ადამიანს ტანჯვისაგან, ხშირად ვერ შეხვდებით თვით უდიდეს რომანტიკოსების შემოქმედებაში (**ბაირონი**, **ჰაინე**, **ბარათაშვილი** და სხვ.) მხოლოდ ისეთი პესიმისტები, როგორც იყვნენ იტალიელი პოეტი **ჯაკომო ლეოპარდი** და გერმანელი მწერალი **ნოვალისი** შეყვარებულნი იყვნენ სიკვდილში. ლეოპარდომ სიკვდილის მთელი ჰიმნი შექმნა. მას სიკვდილი მიაჩნდა უბედურებისაგან და ტანჯვისაგან თავდასაღწევ საშვალებათ. ლეოპარდი თავის მეგობარს, **დჟორდანის**, სწერდა, რომ იგი თავის თავს სთვლის უკვე მკვდარად. თავის მამას ლეოპარდი ფლორენციიდან სწერდა, რომ „მე მშურს მკვდრების და მხოლოდ მათ მინდა გავუცვალო ჩემი მდგომარეობა“, რომ იგი „ვერ ხედავს განსხვავებას სიკვდილსა და იმ ცხოვრებას შორის, რომელსაც ის ატარებს“.

ნოვალისი თავის „ფრაგმენტებში“ სიკვდილს ფილოსოფიურად ამართლებდა: „სიცოცხლეს მხოლოდ სულის ავადმყოფობაა“, იგი „დასაწყისია სიკვდილის“, „სიცოცხლეს არსებობს მხოლოდ სიკვდილის გულისათვის“, ხოლო „სიკვდილი ერთ და იმავე დროს დასასრული და დასაწყისიცაა“, „სიკვდილი არის გამარჯვება თავის თავზე და იგი ჰქმნის, როგორც ყოველი გამარჯვება, ახალს, უფრო მსუბუქ ცხოვრებას“.

¹ poesia sepolcrale (იტ.) – სასაფლაოების პოეზია – პირობითი სახელწოდება სენტიმენტალიზმის ლიტერატურული მიმართულებისა, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნის ინგლისში და რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო პესიმიზმი, მელანქოლია, სიკვდილისა და სასაფლაოს კულტი.

გ. ტაბიძეს აქვს ისეთი ლექსები, რომლებიც განვითარებულია ორი სხვადასხვა პლანით: პირველი პლანია – ყოფითი, რეალური და მეორე პლანი – „ზერეალური“, „არამქვეყნიური“, რომელიც პოეტისათვის უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა. აქედან მის პოეზიაში **მისტიციზმის** ელემენტები. რომანტიულ „ორქვეყნიურობის“ გაზიარებით პოეტს მინიერი სინამდვილე ეჩვენებოდა ილუზიონალურად, არარეალურად („ბედს იქით“ და სხვ.).

გ. ტაბიძის პოეზიაში საგრძნობი იყო ინდივიდუალიზმი, რომელიც ხშირად უკიდურესი სახით მჟღავნდებოდა. პოეტი „შორდებოდა“ რა რეალურ ქვეყნიერებას, „იმალბოდა“ თავის თავში, თავის „მე“-ში. აქედან ლირიკული მომენტების სიჭარბე მის შემოქმედებაში. გ. ტაბიძის პოეზიაში ინდივიდუალისტური მიდრეკილებანი თვით ლექსების სათაურებიდან იწყებოდა: „მე და ზამბახი“, „მე მესიზმრება“, „მე და ღამე“, „ჩემს ირგვლივ“, „მე მოვალ“ და სხვ.

პირველ წიგნში გ. ტაბიძეს ჰქონდა გაუბედავი ცდები, რათა გამოსულიყო სამყაროს ათვისების ინდივიდუალისტურ-მისტიკურ რკალისაგან („პოეტი“, „განახლდა გული“, „შემოდგომის დღე“ და სხვ.). დროგამოშვებით თვით პოეტსაც აშინებდა ღრმა უფსკრულის პირად დგომა, მის შემოქმედებაში იმედიანობის ნაპერწკალი გაიფლავებდა, ის ცდილობდა თავისთავი და სხვების დაემშვიდებინა. წამით ოპტიმისტურად განწყობილი პოეტი ფიქრობს, რომ ქვეყნად მოისპობა მტრობა, დაბრუნდება სიყვარული და თავისუფლება. მაგრამ ეს წამიერი გატაცება იყო. შემდეგ პოეტი კვლავ თავის ძველ, ძირითად განწყობილებას უბრუნდებოდა, კვლავ პესიმიზმის ბურუსში ეხვეოდა:

დღეს კი, როს შავი სახე სიკვდილის
შავბნელ უფსკრულში მიცდის და მიცდის,
მინდა ვიმღერო გამარჯვებისა,
მაგრამ მომწყინდა – არ ვიცი რისთვის.
რაც მოხდა, იგი ნისლს ეფარება,
ხსოვნა იდუმალ საზღვრებს შორდება,
არ განახლდება შავი დღის ძებნა
და სიცოცხლეც არ განმეორდება.
(„უკანასკნელ დღეს“)

გ. ტაბიძის პოეზიაში ძლიერ ნაკადად იყო შეჭრილი დისჰარმონიულობის მიდრეკილებანი. მაგრამ პოეტი არ ცდილობდა თავი დაეღწია ამ დისჰარმონიულობისაგან. ჩვენ ვიცნობთ **ჰენრიკ იბსენს**. ისიც ხომ დისჰარმონიული განწყობილებით იყო შეპყრობილი, მაგრამ იგი რკინისებური სიმტკიცით ეძებდა გამოსავალს ამ ფსიქოლოგიური ჩიხიდან და მიისწრაფოდა უმაღლესი სინთეზისაკენ. გ. ტაბიძეს კი ამისი მსგავსი არაფერი ჰქონდა, მას თითქმის არავითარი კოლიზია არ ახასიათებდა.

1919 წ. გ. ტაბიძემ გამოაქვეყნა თავისი ლექსების მეორე წიგნი. ამ წიგნშიც იგი ისევ თავის ძველ განწყობილებას შერჩა. მთელი სამყარო ამ წიგნის მიხედვით სრულიად ჩაბნელებული და უსახოთ მოსჩანდა. ის, რაც ვერ სთქვა სრულიად პირველ წიგნში, მეორე წიგნში უკვე სრულყოფილად იქნა მოცემული. პოეტი მოსთქვამდა ცხოვრების დაზამთრებაზე:

ათოვდა ზამთრის ბაღებს.
მიქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმაგანწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო.
მიქონდათ კიდევ კუბო.
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს.
(„ათოვდა ზამთრის ბაღებს“)

იმისდა მიხედვით, რამდენადაც უფრო მტკიცედ და ფართოდ შემოდიოდა გ. ტაბიძე პოეზიაში, რამდენადაც მისი ლექსები უფრო დასრულებული ხდებოდა, მისი განწყობილებებიც უფრო პესიმისტურ და უიმედო ხასიათს იღებდა. სიკვდილი ეხლა მას უკვე ვარდისფერ გზად ეჩვენებოდა („მთანმინდის მთვარე“).

მეორე წიგნში გ. ტაბიძეს თითქმის არც ერთი ახალი მოტივი არ მოუცია. ის პირველი წიგნის ბუნებრივი გაგრძელება იყო თავისი შინაარსით. მეორე წიგნით გ. ტაბიძე უკვე ჩამოყალიბებულ, მთლიან და ძლიერ პოეტურ ფიგურას წარმოადგენდა. მეორე წიგნში მოგვცა გ. ტაბიძემ თავისი პოეზიის ისეთი საყურადღებო მხატვრული ფაქტები, როგორიც არის: „ლურჯა ცხენები“, „მერი“, „მთანმინდის მთვარე“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „სიკვდილი მთვარისგან“ და სხვ.

შემდეგ ხანებში გ. ტაბიძის პოეზიაში ჩნდება, მსგავსად რომანტიკოს-სიმბოლისტ პოეტებისა, განსაკუთრებული სიყვარული ქარისადმი. იგი ცდილობდა ყოველგვარი განცდა, სულიერი მდგომარეობა და მოვლენა ქართან შედარებით გადმოეცა. ამიტომ მის ლექსებში ქარზე უფრო ხშირად თითქმის არც ერთი სხვა სიტყვა არაა ნახმარი. ლექსების სათაურებიც ხომ ხშირად ქართან არის დაკავშირებული: „ქარი ქანაობს ქნარად“, „ქარი“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, „ქარით დატირებული“, „რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი“, „მღვრიე ქარი“, „ქარი არხვედა შობის ხეს“, „ქარი, ამნევი ფარდის“, „ქარი მოგონებათა“, „ქარებმა კარი შემოაჯახეს“.

გ. ტაბიძისათვის ქარის ქანაობა დაჭრილი გულის მოგონებაა, გულის, რომელიც უკვე აღარ გამრთელდება („ქარი ქანაობს ქნარად“). პოეტის წარმოდგენით, ქარსაც შეუძლია გულმდუღარედ ტირილი, გამოუთქმელი სივარებათ კვნესა და წვალება („ქარი“), ხანდახან ქარი სევდიან ზღაპარსაც ამბობს: „რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი“ და სხვ.

გ. ტაბიძე მეტისმეტად ლირიკულ ხაზებში შლიდა თავის პოეზიას. ეპოსი მისთვის, როგორც ტიპიური იმპრესიონისტისათვის, მიუღწეველი დარჩა.

ასეთი იყო გ. ტაბიძის პესიმიზმი, ასეთი იყო მისი შემოქმედების ხასიათი პირველ პერიოდში. ამ პერიოდის მისი ნაწარები ეკუთვნის იმ კატეგორიის შემოქმედებას, რომელსაც გერმანელები უწოდებენ „Schauerromantik“¹.

ეხლა სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ სად უნდა ვეძიოთ მისი პესიმიზმის სოციალური საფუძველი, სოციალური მიზეზები.

მართალია, გ. ტაბიძის ლირიკა სიმბოლისტურია, მისტიური, მაგრამ მას საფუძველი მაინც რეალურ ცხოვრებაში აქვს.

გ. ტაბიძის პესიმიზმს პირადი წყაროც ჰქონდა, მაგრამ ის მაინც არ იყო მისი პესიმიზმის ძირითადი სათავე. მის პესიმიზმს უმთავრესად საზოგადოებრივი მოტივი ჰქონდა.

გ. ტაბიძის შემეცნების ჩამოყალიბება ხდებოდა საზოგადოებრივ დაცემულობის პერიოდში. ცხრაასხუთის რევოლუციონური მაქსიმალიზმი შეიცვალა მისი დამარცხების შემდეგ მეშჩანური განწყობილებებით ცხოვრებაში და ხელოვნებაში. ლიკვიდატორობა პოლიტიკაში, ესთეტიზმი და მისტიციზმი ლიტერატურაში, რელიგიური ძიებანი ფილოსოფიაში, უკანდახევა და პატარა საქმეების კულტი – აი, ის ატმოსფერო, რომელიც იყო ცხრაასხუთის შემდეგ. აქედან ადრინდელი პესიმიზმი გ. ტაბიძის შემოქმედებაში.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ გამეფებული რეაქცია გ. ტაბიძის მიერ ათვისებულ იქნა, როგორც სასიკვდილოდ ამართული მახვილი მთელი თაობისათვის, როგორც საუკეთესო იდეალების დამარცხების ხანა. პოეტი ირგვლივ ვერ ხედავდა იმედიანობას და სიხარულს, რადგანაც ყველაფერი მონურ და „ჩინოვნისკურ“ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. გ. ტაბიძე ყოველივე ამას გრძნობდა, მაგრამ მას, როგორც წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიით გამსჭვალულს, არ ჰქონდა ისეთი ძლიერი ნება და ენერჯია, რომ გარკვეული და მტკიცე რევოლუციონური გზით გაელაშქრა არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ კი

1 Schauerromantik (გერმ.) – ბნელი რომანტიზმი, იგივე გოთიკური ლიტერატურა – ცნება, რომელსაც იყენებენ რომანტიკული მწერლობის იმ ნაკადის დასახასიათებლად, რომლისთვისაც ნიშნულია ირაციონალიზმი, მისტიციზმი, გროტესკი, ინტერესი დემონური სამყაროსადმი. „იდუმალეებისა და საშინელებათა“ ლიტერატურას მიაკუთვნებენ: ედგარ პოს, ნათანაილ ჰოთორნის, ჰერმან მელვილის თხზულებებს. ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე ბნელი რომანტიზმის წარმომადგენლებად მიიჩნევს ლორდ ბაირონს, ს. ტ. კოლრიჯს, მერი შელის.

მის განკარგულებაში იყო მხოლოდ პასიობის და პესიმიზმის გზა. ამ უკანასკნელ გზას გაჰყვა გ. ტაბიძე. მაგრამ ეს გზა არ იყო გამართლებული და მისაღები, ის ნაკლები წინააღმდეგობების გზა იყო.

ასეთი განწყობილებებით და მხატვრული მარაგით შეხვდა გ. ტაბიძე 1917 წლის თებერვლის რევოლუციას. ამ რევოლუციამ გ. ტაბიძეში აღფრთოვანება და ოპტიმიზმი გამოიწვია. როგორც ოდესღაც კუნძულ **გელგოლანდზე ჰენრიხ ჰაინე** რომანტიული ძილისაგან გამოაღვიძა ცნობამ ივლისის რევოლუციის შესახებ, ასევე 1917 წელს დაწყებულმა ქარიშხალმა გამოაღვიძა გ. ტაბიძე.

პოეტი რომანტიკოსი გაიტაცა რევოლუციის ლამაზ სანახაობამ, ზარის ძლიერმა ხმამ:

გათენდა! ცეცხლის მზე აენტო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!..
დიდება, ვინც კიდე გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრათ დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!
(„დროშები ჩქარა“)

ამგვარად, პოეტი გაიტაცა რევოლუციის და თავისუფლების დროშამ, წითელმა დროშამ. მას ერქარება, იხილოს „დროშები, დროშები“.

თებერვლის რევოლუციას მოჰყვა ოქტომბრის რევოლუცია. 1917 წლის ოქტომბერში მუშათა კლასმა აიღო ხელში ძალაუფლება. გ. ტაბიძემ უშუალოდ განიცადა ეს რევოლუცია. ის მონაწილე თუ არა, მაყურებელი მაინც იყო იმისა, თუ როგორ იბრძოდა რუსეთის პროლეტარიატი საბჭოების ხელისუფლებისათვის. ოქტომბრის რევოლუციის გავლენით და განცდით აქვს გ. ტაბიძეს დანერილი „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „იყო ბურუსი“ და „ჯონ რიდი“.

როდესაც, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გ. ტაბიძე რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ამ დროს მენშევიკების ბატონობა იყო, ის იგონებს ოქტომბრის ქარიშხალს და ასე მიმართავს პოეტებს:

იყო ბურუსი გაურღვეველი
და კაკანებდა ტყვიისმფრქვეველი.
დღემ მოღუშულმა წარბი შეხარა,
დაცლილ ქურჩებზე მკვდრები ეყარა.
უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა
და ბნელი ცისკენ გაინავარდა.
ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე,
როს იმედები სხვა დავინახე.
ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს
თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში
ტკბილად გეძინათ საქართველოში.
(„იყო ბურუსი გაურღვეველი“)

საკმაოდ კარგ ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ გ. ტაბიძე გარკვეულად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლუციისადმი. ის თავისებურად, რომანტიულად იღებს დაჩაგრულთა ამ დიად მოძრაობას:

მიუხედავად აღფრთოვანებული ტონისა, გ. ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ხშირად უბრუნდება პესიმისტურ და მელანქოლიურ განწყობილებას:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი,
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.
(„მას გახელილი დარჩა თვალები“)

საქართველოს გასაბჭოებამ გ. ტაბიძეს ფართო ასპარეზი გადაუშალა. ამ ხანიდანვე იწყება გ. ტაბიძის შემოქმედებაში ძველი პესიმისტური რკალის უფრო ფართედ და საფუძვლიანად გარღვევა და თანამედროვეობასთან დაახლოების ცდა. პირველ ხანებში მას იტაცებდა რევოლუცია, როგორც აბსტრაქტული მოძრაობა. რევოლუცია მისთვის იყო მოგონება ქარის, გაქანების, განადგურების, სისხლის და სხვ. რევოლუციაში იგი ეძებდა საერთოს, ბრჭყვიალას და რომანტიულს. ამიტომ იყო, რომ იგი ხშირად ვერ აფასებდა რევოლუციის პერსპექტივას, ვერ ერკვეოდა თანამედროვეობის რთულ პროცესში, აქედან მოდის ჩავარდნები და რყევანი მის პოეზიაში.

როგორც ზემოთ დავინახეთ, 1917 წლამდე გ. ტაბიძე უცხოა ჩვენი დროისათვის. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ კი გ. ტაბიძე ისევე, როგორც რუსეთში **ა. ბლოკი**, იცვლის პოეტურ ტონს. რამ გამოიწვია გ. ტაბიძეში ეს გარდატეხა? როგორ მივიდა ის ოქტომბრის მიღებამდე? როგორ შეაქცია მან ზურგი „თავის“ ხალხს და საით წავიდა შემდგომ მისი განვითარება?

რომ ამ კითხვებზე სათანადოდ ვუპასუხოთ, ამისთვის საჭიროა ერთგვარი „ლირიკული“ უკან დახევა.

როგორც ვიცით, ა. ბლოკიც ისეთი მსოფლმხედველობის პოეტი იყო, როგორიც გ. ტაბიძე. მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. საერთო არის მათ შორის ოქტომბრის მიღებაც. რისთვის მიიღო ა. ბლოკმა ოქტომბრის რევოლუცია?

როგორც დღეს უკვე საბოლოოდ დამტკიცებულია, ა. ბლოკმა ოქტომბრის რევოლუცია მისტიურ-მაქსიმალისტური მოსაზრების გამო მიიღო. რევოლუციის მეოხებით ის ხილული და „უხილავი“ ქვეყნის ფერისცვალებას ელოდა: „გასაქანი რუსეთის რევოლუციისა, რომელსაც სურს, მოედოს მთელ ქვეყნიერებას (ნამდვილ რევოლუციას არ შეუძლია ამაზე ნაკლები ისურვოს, ხოლო შესრულდება თუ არა ეს სურვილი, – ეს სხვა საქმეა), ასეთია: მას ასულდგმულებს მსოფლიო ციკლონის გამონვევის იმედი... სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ღირს, როდესაც ცხოვრებას უსაზღვრო მოთხოვნებს უყენებ. ან – ყველაფერი, ან – არაფერი. მოლოდინი მოულოდნელის, რწმენა არა იმის, რაც „არ არსებობს ქვეყნად“, არამედ იმის, რაც უნდა იყოს ქვეყნად. არაფერია, რომ ის ჯერ არ არსებობს, დიდხანს არც იქნება. მაგრამ ცხოვრება მოგვცემს იმას, ვინაიდან ის მშვენიერია“. – ასე წერდა ბლოკი თავის ცნობილ „Интеллигенция и революция“-ში.

ჩვენის გაგებით, ბლოკისებური იერი აქვს გ. ტაბიძის მიერ პროლეტარული რევოლუციის ესთეტიკურ მიღებას. გ. ტაბიძემ პროლეტარული რევოლუცია აითვისა, როგორც სტიქია. მან რევოლუციაში დაინახა თავისი პოეტური მისწრაფების მალლობზე ასასვლელი გზა; მან რევოლუცია აითვისა, როგორც დაპირისპირება იმ ძველი ქვეყნის, რომელიც იწვევდა და ხელს უწყობდა მის პესიმიზმს. რევოლუცია გ. ტაბიძისათვის გახდა დასაწყისი რაღაც არაჩვეულებრივი „მსოფლიო ორკესტრის“, „მსოფლიო ნგრევის“, „მეცხრე ზვირთის“ და სხვ.

დღეს გ. ტაბიძის შემოქმედების ძირითადი განწყობილებაა რევოლუციონური რომანტიკა, რევოლუციონურ მოვლენათა გრანდიოზულობით და სიძლიერით გატაცება:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!
(„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გ. ტაბიძის კონკრეტული პოეტური ფაქტებია: „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „ჯონ რიდი“, „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“, „აღმოსავლეთი“, „ეს ლექსი“, „ასი ლექსი“, „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და სხვ. ეს ლექსები და პოემები ქრონოლოგიურად გამოხატავს გ. ტაბიძის შემოქმედებით განვითარებას, პროლეტარულ რევოლუციასთან უფრო და უფრო მოახლოების გზით.

პოემაში „ჯონ რიდი“ მკითხველის წინაშე ჩვენი თანამედროვეობა, მახლობელი განვლილი წლები წარმოგვიდგება. ყველას ახსოვს პროლეტარული საბჭოთა რუსეთი, რომელიც რევოლუციონურ კოცონს წარმოადგენდა, როდესაც რუსეთი „გუგუნებდა, როგორც მუხა და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს, როგორც რკოებს“, როდესაც ქარხანა-ფაბრიკები მდუმარებით იყო მოცული, როდესაც მინდვრებში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული, როდესაც მშრომელ ხალხს თავს დასტრიალებდა შიმშილისა და ტანჯვის აჩრდილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კლასიურ-პროლეტარული იდეებით გამსჭვალული მუშათა და გლეხთა მასა მაინც გამირულად და თავგამოდებით იბრძოდა დიადი მიზნებისათვის, – აი ყოველივე ამის შესახებ არის ლაპარაკი ამ პოემაში.

ეს პოემა საინტერესოა იმ მხრივაც, თუ როგორ აითვისა ქართველმა პოეტმა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის ბრძოლები.

ლექსში – „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“ —, რომელიც მოთავსებული იყო „მნათობში“ (1925 წ. №1/9/-ში), მაგრამ რატომღაც თავის წიგნში არ შეუტანია გ. ტაბიძეს, პირველად ეხება ის თემას – ლენინს, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბელადს და ხელმძღვანელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსი რამოდენიმე ბუნდოვანი და არაკონკრეტიულია.

გ. ტაბიძემ თავის ყურადღების ცენტრი აგრეთვე დაჩაგრულ, კოლონიალურ აღმოსავლეთსაც მიაპყრო. პოეტი ხედავს, გრძნობს, რომ აღმოსავლეთის მშრომელი ხალხი იმპერიალისტ-დაპყრობელთა უღლის ქვეშ საშინლად იზნიქება, ის (ე. ი. დაპყრობილი ხალხი) „კულტურული“ ბორკილის ქვეშ იმყოფება, ის შრომობს: „მძინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას, ხატავს ყვავილებს და იალონებს, რომ ქსოვილები შვენებად დარჩეს ისევ ევროპის მდიდარ სალონებს“, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში დაჩაგრული აღმოსავლეთიც იღვიძებს, აღმოსავლეთიც ემზადება მომავალი ბარიკადებისათვის. უკვე ცეცხლის ამურმა ინახულა აღმოსავლეთიც:

სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი.
მას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
არც უდაბნოს კორიანტელი,
არც მომავალი ბარიკადები.
დახეტილებს ცეცხლის ამური
მოულოდნელი სიმხურვალეთი,
მან მოიარა ყველა ქვეყნები
და ინახულა აღმოსავლეთიც.
(„აღმოსავლეთი“)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტაბიძისათვის ოქტომბრის რევოლუციის, ჩვენი სინამდვილის მხოლოდ გარეგანი ბრჭყვიალა მხარეა საინტერესო უმთავრესად. რევოლუცია, როგორც აბსტრაქტული მოძრაობა, – აი, რა იტაცებს მას. რევოლუცია მისთვის არის მოგონება ქარის, გაქანების, სისხლის, განადგურების და სხვ., ის რევოლუციაში ეძებს მხოლოდ საერთოს, განყენებულს და რომანტიულს. ამის გამო ის ხშირად ვერ აფასებს რევოლუციონურ პერსპექტივას, ვერ ერკვევა თანამედროვეობის რთულ მიმდინარეობაში.

ამგვარად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ გ. ტაბიძემ საკმაოდ მტკიცედ განსაზღვრა თავისი ადგილი პროლეტარიატის უდიდეს ბრძოლაში. არავითარ წმინდა ესთეტიურ-რომანტიულ გატაცებებს არ შეუძლიან დააბნელოს გ. ტაბიძის საზოგადოებრივი თანაგრძნობა. შეიძლება მისი თანაგრძნობა, სიყვარული პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლისადმი ზოგ შემთხვევაში გარკვეულად არაა შეგნებული, მასში ჯერ კიდევ არის თავისებური გაურკვე-

ველი გატაცებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გ. ტაბიძემ იცის საზოგადოებრივი მოვლენების საერთო აზრი და მიმდინარეობა, მან იცის, რომ საჭიროა პროლეტარული წესწყობილების საკეთილდღეო მუშაობა და ბრძოლა:

ასეთ დროს
უნდა აჩქარდე, უნდა აჩქარდე, უნდა დაენიო
ისე სწრაფად, როგორც შეგიძლია.
წამმა დაყოვნება არ იცის...
ჩქარა, ამხანაგო, თორემ დაგვიანდა.
წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება.
ვინ სთქვა გადადება?
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის.
(„ეს ლექსი“)

გ. ტაბიძის უკანასკნელი პერიოდის მხატვრული ფაქტები სწორედ იმას ადასტურებს, რომ პოეტი ძირეულად მობრუნდა ახალი ქვეყნისაკენ.

„ეპოქა“ გ. ტაბიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მასში პოეტი ცდილობს გადმოგვცეს ახალი ეპოქის ნიშანდობლივი მოვლენები, ძირითადი განწყობილებანი. რომ ყველაფერი ეს გ. ტაბიძემ კარგათ მოხაზოს, მას ხელს უწყობს პოეტური ლოზუნგი, რომლის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მწერალი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს თანამედროვეობას.

„რევოლუციონური საქართველო“, მსგავსად ეპოქისა, წარმოადგენს ცალკეული ლექსების მონტაჟს. თვითუფლ ამ ლექსში პოეტი გვიხატავს ჩვენი ცხოვრების რომელიმე მომენტს და გადმოგვცემს მის საფუძველზე შექმნილ განწყობილებებს. რიონჰესი, ახალი ქარხნები და ფაბრიკები, კოლმეურნეობა, ტრაქტორი, ნითელი არმია, საწარმოო-საფინანსო გეგმა, ხუთნღედი და სხვ. აი, ის თემები, რომელსაც ეხება გ. ტაბიძე „რევოლუციონურ საქართველოში“.

გ. ტაბიძე გარკვეულად გრძნობს, რომ დღეს ხელოვნების ფრონტის მომუშავე ახალ ცხოვრებას უნდა უდგეს გვერდში. უამრავ და უდიდეს მასალას იძლევა ხელოვნებისათვის ახალი, საბჭოთა ცხოვრება. მხოლოდ საჭიროა მისი დანახვა, ორგანიულათ განცდა და გამოსახვა. გ. ტაბიძე თავისი პოეზიით სწორეთ აქეთკენ მიისწრაფის. მის შემოქმედებას ახასიათებს გადამწყვეტი გადასვლა ისეთი პოეზიის შექმნაზე, რომელიც პროლეტარიატის საქმისთვის არის მიძღვნილი.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე საუკეთესო საბჭოთა მწერალია, მის პოეზიას მაინც საგრძნობი სუსტი მხარეები, ჩავარდნები და ნაკლოვანებები ახასიათებს.

საერთო-იდეიური მიმართულება გ. ტაბიძის პოეზიაში ვერ არის დამაგრებული კონკრეტული სახეებით, კონკრეტული სურათებით, მასში ჯერ კიდევ ძლიერია აბსტრაქტული რომანტიკა.

იქ, სადაც გ. ტაბიძე ეხება კლასთა ბრძოლის მომენტს, ყველაფერ ამას ის შემცირებული სახით იძლევა. კლასთა ბრძოლა მთელი თავისი სისრულით არის ნაჩვენები თვით ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებშიაც, როგორიცაა „რევოლუციონური საქართველო“. მტრები უსუსურად არიან მასში მოცემული.

ყველაფერი ეს შემდეგს ამტკიცებს: მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე პროლეტარულ რევოლუციასთანაა, მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა თავისი მსოფლხედველობის გარდაქმნა, ის ჯერ ვერ ხედავს სოციალისტურ მშენებლობის სირთულეს და სიღრმეს.

გ. ტაბიძე დებულობს იმ გზას, რომლითაც პროლეტარიატს მიჰყავს ქვეყანა სოციალიზმისაკენ, მაგრამ ეს გზა მას ჯერ კიდევ მთლიანად არ აქვს გააზრებული და ამიტომ ვერ იძლევა მას სრულად. გ. ტაბიძეს სჯერა სოციალიზმის გამარჯვება, მაგრამ ვერ გვიჩვენებს გამწვავებულ კლასთა ბრძოლას.

გ. ტაბიძის შემოქმედებაში არსებული შეცდომების მიზეზი არის არა მასალის ხასიათი, რომელზედაც ის მუშაობს, არამედ მისი შემოქმედებითი მეთოდის მცდარობა, მის მსოფლმხედველობაში დარჩენილი ძველი სიმბოლისტური გავლენები.

აქედან კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ძირითადი ამოცანა, რომ საბჭოთა მწერლებმა თავიანთი თემატიკა არ დააცვიფრებინათ თავიანთ მეთოდს.

როგორია გ. ტაბიძის შემოქმედების ფორმალური მხარე?

გ. ტაბიძე ტიპიური სიმბოლისტია. ამიტომ მისი შემოქმედების ფორმალურ მხარეს მისი პოეზიის რომანტიული ბუნება განსაზღვრავს. ფორმალისტი **ვ. ჟირმუნსკი** რომანტიულ სტილს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„რომანტიული სტილისათვის დამახასიათებელია ემოციონალური და მუსიკალური სტიქიის სიჭარბე, სურვილი, რომ მკითხველზე იმოქმედოს უფრო ბგერით, ვიდრე სიტყვების აზრით, გამოიწვიოს „განწყობილება“, ე. ი. გაურკვეველი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, განუსაზღვრელი ლირიკული განცდები ამთვისებლის ემოციონალურად აღელვებულ სულში. სიტყვების ლოგიკური და საგნობრივი აზრი შეიძლება დაფარულ იქნას: სიტყვები მხოლოდ ბუნდოვანად აღნიშნავენ რამოდენიმე საერთო და განუსაზღვრელ მნიშვნელობას; სიტყვათა მთელ ჯგუფს ერთი და იგივე აზრი აქვს, რომელსაც საზღვრავს მთელი გამოსახულების საერთო ემოციონალური ფერები. ამიტომ სიტყვათა ამორჩევაში და მათ შეერთებაში არ არის ინდივიდუალობა, განუმეორებლობა, შეუცვლელობა თითოეული სიტყვისა, რაც ახასიათებს კლასიკურ სტილს... ძირითადი მხატვრული პრინციპია გამეორება: გამეორება ცალკე ბგერების და სიტყვების, ან მთელი ლექსის, რომელიც ჰქმნის ემოციონალური შემკვრივების შთაბეჭდილებას, ლირიკულად შემჭიდროებულ შთაბეჭდილებას. პარალელიზმი და უბრალო სინტაქსური ერთეულების გამეორება საზღვრავს სინტაქსური მთლიანობის შენებას. მხატვრული ნაწარმოების საერთო კომპოზიცია ყოველთვის შეხამებულია ლირიკულად და გვიჩვენებს ავტორის ემოციონალურ მონანიშნობას მის მიერ გამოხატულსა და მოთხრობილში“. ამ დამახასიათებელ სტილის პრობლემა მეტად შეზღუდულია, მასში უგულებელყოფილია ძირითადი მომენტი, სოციალური საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა რომანტიული სტილი. ფორმალისტების „განსაზღვრულობა“ აქ ნათლად მოსჩანს.

გ. ტაბიძე რომანტიკული სტილის ტრადიციებს პირნათლად მიჰყვება.

მეტაფორა წარმოადგენს იმ ძირითად ხერხს, რომლითაც რომანტიკოსი პოეტი ამხეურებს თავის მხატვრულ განცდებს. გ. ტაბიძე თავის პოეტიკას საფუძვლად უდებს მეტაფორას. მეტაფორა მისთვის წარმოადგენს უმთავრეს ხერხს, სტილურ „დომინანტას“. როგორც ვიცით, მეტაფორა არის, როდესაც სიტყვა მხატვრულ ნაწარმოებში იხმარება საგნისა და მოვლენის გადატანილი მნიშვნელობის აღსანიშნავად.

გ. ტაბიძე რევოლუციას ადარებს სამუმს:

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,
რომ არაერთხელ აგუგუნდება
დედამინაზე კიდევ სამუმში.
(„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“)

გაზაფხულის წასვლა პოეტს აგონებს ახალგაზრდობის დღეების სიკვდილს:

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა ადრე მოჰკვდა, რა ადრე მოჰკვდა!
(„ბედს იქით“)

გ. ტაბიძის ლირიკული კომპოზიციის ერთ-ერთი დამახასიათებელი სახეა საგნების და მოვლენების **ირაციონალური** ხედვა. ეს უკანასკნელი კი არის ლექსის შენების ისეთი ხერხი, როდესაც სახეები ლაგდებიან რაღაც ქაოტური უწესრიგობით, რომელიც თითქოს

გამოსახავს ემპირიული სინამდვილის იქით მოქცეულ, ჩვეულებრივი ლოგიკის კანონებისადმი დაუქვემდებარებელ მისტიურ რეალობას. ამის გამო გ. ტაბიძის მხატვრულ ფაქტებში ჩვეულებრივი კომპოზიციური ხერხია საკვირველი, მოულოდნელი სახის გამოჩენა იქ, სადაც არავინ ელოდა მას და ზოგ შემთხვევაში, – სადაც არც იყო საჭირო.

ირაციონალური კომპოზიცია განსაკუთრებით ნათლად არის წარმოდგენილი მისი ლექსების მეორე წიგნში და შემდეგდროინდელ ლექსებში. ამ წიგნში მოთავსებულ ლექსებში ხშირია ყოველგვარი საბუთის გარეშე ერთი სახიდან მეორეზე გადასვლა, მათი ლოგიკური დაუკავშირებლობა, რაც, რასაკვირველია, ჰქმნის ლექსის მისტიურ, საიდუმლო და ამოსაცნობ განწყობილებებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ გ. ტაბიძის მიერ ხმარებულ სახეებს აკლია კონკრეტობაც, რაც რომანტიზმის და სიმბოლიზმის ტრადიციებიდან გამომდინარეობს.

გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელია ალიტერაციაც. მას ერთგვარ ბგერათა გამეორების ხშირი მაგალითებიც აქვს:

ზარზე ზარი, სწრაფი, ჩქარი,
მღელვარებათ ჩქეფდა ღვარი,
ტრიალებდა, როგორც ფარი,
შემოდგომის ჩქარი ქარი.
(„მღვრიე ქარი“)

მთვარეში შავი შრიალებს ჩალა.
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს.
(„ალაზნთან“)

გაურკვეველ მისტიურ განცდათა გადმოსაცემად უფრო სასარგებლოა ლექსის ბგერით-მუსიკალური მოქმედება. სიმბოლისტიკის პოეზიაში ბგერა სიტყვაზე, ე. ი. საგნობრივ შინაარსზე მაღლა იყო დაყენებული.

ასეთივე მიდრეკილება ლექსის ბგერითი ხაზებით განვითარებისა გარკვეულად მოსჩანს გ. ტაბიძის პოეზიაში, – მის რითმიკაში და ეფონიკაში, სტრიქონის შენებაში და სინტაქსურ კონსტრუქციაში. გ. ტაბიძე პირნათლად მიჰყვება **ვერლენის** ანდერძს: „მუსიკა, მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. იგი თითქმის მუსიკას უმორჩილებს ყველა დანარჩენ ელემენტს ლექსში. ხშირად ეს მუსიკალობა არ ეთანხმება გრძნობიერების ზომას. მუსიკალობის ჰეგემონია მის პოეზიაში გამომდინარეობს გ. ტაბიძის სიყვარულისაგან ბურუსიან და ცვალებად განწყობილებათაგან. ფრაზა მთლიანად ემორჩილება მუსიკას, რის გამოც უკანასკნელი ხშირად ფარავს სიტყვების და წინადადებების გარკვეულ მნიშვნელობას:

შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია,
მუხლით დაცემულხარ, როგორც ანგელოსი,
სანთლის ელვარება ხატებს შელეკია,
იგი ოცნებაა მიკელ-ანჯელოსი.
მაგრამ მწუხარებას ნულარ ედარები,
კიდევ ამისრულე ერთი სათხოვარი,
უკვე დაილუპა ყველა შენდარები,
შენლა დაგშთენია გამოსათხოვარი.
(„შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“)

ასეთ მუსიკაში აზრის და შინაარსის სინათლე და ჩვეულებრივი გარკვეულობა, რომელიც უნდა ახასიათებდეს ლექსს, უკვე დაკარგულია. ამას მკითხველი ზემოთ მოყვანილი ლექსიდანაც შეიტყობს.

გ. ტაბიძის ლექსებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე სიტყვების და მთელი სტრიქონების ხშირი გამეორება, ჩვეულებრივ, მცირე ვარიანტებით. ეს გამეორებანი საერთო ფონზე ისმის, როგორც მუსიკალური ბგერანი:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს...
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..
(„ქარი ჰქრის“)

ასეთი გამეორება ძლიერ ბევრია გ. ტაბიძის ლექსებში.

გ. ტაბიძის მხატვრულ ფაქტებში შეიძლება პოვნა აგრეთვე შეკითხვითი ინტონაციისა და რომანტიზმის სხვა ნიშანდობლივი თვისებების მრავალი მაგალითის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტაბიძის ლექსები ხშირად მოკლებულია გმირულ, აქტიურ დასაწყისს. მისი ლექსები მეტისმეტად „დარბილებული“, „ქალური“ და ინდივიდუალისტურია.

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ ერთ უარყოფით მომენტს, რომელიც ახასიათებს გ. ტაბიძის უკანასკნელი დროის ნაწარებს: ეს არის ხშირად არასერიოზული დამოკიდებულება სამწერლო ვალდებულებათადმი. პოეტი ლექსავს ყველაფერს, არ აქვს შერჩევის პრინციპი, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ მხატვრულ გაფორმებას. ასე, „ეპოქაში“ და „რევოლუციონურ საქართველოში“ ბევრი ადგილი მხატვრულად სრულიად უსუსური და უვარგისია. ამ მოვლენას უნდა გაუფრთხილდეს გ. ტაბიძე. ახალ შინაარსს სრულყოფილი მხატვრული გაფორმება ესაჭიროება.

ასეთია ტაბიძის შემოქმედების შინაარსი და ფორმა...

რასაკვირველია, გ. ტაბიძის შემოქმედებაში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი და გაურკვევლობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედების უკანასკნელი ფაქტები მაინც დადებითი და მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვეობის თვალსაზრისით. გ. ტაბიძე გამომხატველია ინტელიგენციის იმ ფენის, რომელმაც რომანტიულად მიიღო რევოლუციის სტიქია.

ნივნიდან: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, თბილისი, 1932.

ლევან ასათიანი

გალაქტიონ ტაბიძე

გალაქტიონ ტაბიძე 1908 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ეს ის წელიწადი იყო, როდესაც საქართველომ დიდი ზემოთ აღნიშნა აკაკის ორმოცდაათი წლის იუბილე.¹

საგულისხმოა ამ ორი პოეტური თარიღის შეხვედრა.

ჭაღარა მგოსანს ამ დროს უკვე სანახევროდ დაკეცილი ჰქონდა თავისი არწივის ფრთები. მის შემოქმედებაში დასასრულს პოულობდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის ფართედ მოხაზული და ტევადი რკალი. აკაკის თაობა ადგილს უთმობდა ახალი მოდემის პოეტებს.

აკაკი მთელი თავისი შინაგანი წყობით და შემოქმედი ბუნებით რეალისტი იყო. მართალია, ლირიკული ლექსების და სატირების გარდა, ის სწერდა აგრეთვე რომანტიულ პოემებს და უფრო რომანტიულ პროზას, სადაც თემატიური არე ალებული იყო უმთავრესად საქართველოს ფეოდალური წარსულიდან, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ტენდენციურად გაშუქე-

¹ იგულისხმება აკაკის ნახევარსაუკუნოვანი სამწერლო მოღვაწეობის იუბილე.

ბულს, რომანტიული ნისლით შემოხურვილ და იდეალიზირებულ ისტორიას იგი ხატავდა თანამედროვე ცხოვრებასთან დასაპირისპირებლად და რეალური სინამდვილის უფრო მუქი ფერებით გამოჩენის მიზნით. აკაკი, ისევე როგორც ვიქტორ ჰიუგო, რომანტიზმს იყენებდა თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად. ამგვარად, აკაკის რომანტიული გატაცებები რეალიზმის მკვიდრ ბურჟუაზიულ იყო დაყრდნობილი. რომანტიზმი კი, როგორც მარადი ლტოლვა მიღმა სამყაროს ნაპირებისაკენ, როგორც ძიება ტრანსცენდენტალურის, აკაკისთვის უცნობი იყო და გაუგებარი. ეს მსოფლმხედველობა კი საქართველოში უკვე მაგრად იკიდებდა ფეხს, პირველი რევოლუციის დამარცხების მომდევნო წლებში.

ყველაზე უფრო დასრულებულად და მკვეთრად რომანტიულმა განწყობილებებმა თავი იჩინეს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

პუშკინი უსაყვედურებდა თანამედროვეებს: „ჩვენ ზარმაცები ვართ და ცნობისმოყვარეობას მოკლებულნი“¹. ეს სიტყვები ჩვენთვისაც ზედგამოჭრილია.

გალაქტიონ ტაბიძის მნიშვნელობა მე-XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადო შესწავლილი. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს შეფასებული სიტყვის და ფორმის ის ოსტატობა, რომელიც მოცემულია გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

გ. ტაბიძე თავის დროზე ერთი ნოვატორთაგანი იყო ქართული ლექსისა. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდება ჩვენთვის, როდესაც შესწავლილი იქნება მისი ლექსი რიტმიული და მეტრიული თვალსაზრისით, როდესაც გამორკვეული იქნება, თუ როგორი კულტურა შემატა მან ქართულ პოეზიას თავისი სახეების, მეტაფორების, ეპიტეტების, რითმების და ასონანსების სიმდიდრით.

მხოლოდ ტენდენციური ადამიანისათვის არ იქნება ცხადი ის ფაქტი, რომ გ. ტაბიძემ მეტად საგრძნობი გავლენა იქონია უახლოესი ქართული პოეზიის განვითარებაზე და რომ ეს გავლენა დღესაც ხელსახეობა ბევრი თანამედროვე პოეტის ნაწარმოებში.

გალაქტიონ ტაბიძე, როგორც პოეტი, ნაშიერია რეაქციის იმ პერიოდის, რომელსაც ბლოკმა „ყრუ წლები“² უწოდა. ორი რევოლუციის შორის მოთავსებული დროის მანძილი გასაღებს იძლევა გ. ტაბიძის პოეტური ფორმაციის გასაგებად. 1905 წლის შემდეგ პროლეტარი-ატი ძალებს იკრეფდა ახალ შეტევებისათვის. რევოლუციური ძალები ღრმად იყვნენ იატაკ-ქვეშ წასულნი – დაქსაქსულ რიგების შესამჭიდროებლად. ნაწილი ამ ძალებისა სახრჩობელაზე იყო გაგზავნილი, ან გადაკარგული ჩრდილოეთის შორეულ მადნებში. ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა მყუდრო თავშესაფარი მონახა რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებასა და „აპოლიტიკური“ ხელოვნების შიგნით. „რეაქციამ, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, – სწერდა ალექსანდრ ბლოკი ერთ თავის წერილში ამ დროს, – რიდე ჩამოგვიფარა იმ ცხოვრებაზე, რომელიც ის-ის იყო გაღვიძებას აპირებდა. შეიძლება ხანგრძლივი წლებითაც კი ჩვენ ვხედავთ რამდენიმე თაობას, რომელიც სასწრაფოთილებშია ჩავარდნილი საუკეთესო იმედების გაცრუების გამო. ძალიან იშვიათად შეხვდებით ადამიანს, ყველაზე ახალგაზრდებს შორისაც კი, რომელსაც გულზე მაჯლაჯუნასავით არ აწვეს სევდა“ (ა. ბლოკი. „ლიტერატურის შესახებ“. რუს. გამ. 148 გვ.).

ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოშიაც. პესიმიზმი, უიმედობა, ასოციალური მოტივები მკვიდრ ნიადაგს პოულობენ ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში. გამოწვევის პროლეტარული პოეზიის ჯერ კიდევ სუსტი ფრთა წარმოადგენდა.

გალაქტიონ ტაბიძე ამ პერიოდში იწყებს გამოსვლას. რაც დამახასიათებელია ამ მხრივ მისი პირველი ლექსებისათვის: ანაკრეონიზმი,³ ალტაცება სოფლის პრიმიტივით, იმპრესიონისტული ათვისება ბუნების და არაგედონისტური ვარიაციები „პირიმზეს“ თემა-

1 შდრ. ალ. პუშკინი: „Мы ленивы и нелюбопытны...“ („Путешествие в Арзрум во время похода 1829 года“, 1836).

2 ა. ბლოკის ლექსში – „ყრუ წლებში შობილნი“ (ზინაიდა გიპიუსს) (1914), – ასახულია მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი განწყობილება და ამიტომაც სიტყვებმა – „ყრუ წლები“ – განზოგადებული მნიშვნელობა შეიძინა.

3 ანაკრეონიზმი – მხატვრული ნაწარმოების ტენდენცია, დაკავშირებული ძველი ბერძენი ლირიკოსის – ანაკრეონის (ძვ. წ. 582-485 წწ.) – სახელთან, რომლის პოეზიისთვისაც დამახასიათებელი იყო ფორმისა და შინაარსის სიმსუბუქე, მუსიკალურობა, უდარდელი ტონი.

ზე („პირიმზე, რისთვის ჩაფიქრებულხარ, პირიმზე ჩრდილი რაზე გფენია“...). ამ დროს განსაკუთრებით ემჩნევა სოფლის მოტივების და ბუნების თემატიკის სიჭარბე, შეგნებული გვერდის ახვევა ქალაქის მოტივებისაგან („აქ ვერ მოაღწევს ზარი ტრამვაის“...), წარსულისა და ზღაპრების რომანტიკა:

ქართული ოდის აივნის გვერდით
მე მახსოვს მუხა,
მუხიდან ტყისკენ ბილიკი ფერდით,
ვერხვები სწუხან.
ტყიდან ოდისკენ ბილიკი მოდის,
ახლოა მოლი,
ამოდის მთვარე და ძველი ოდის
იშლება ზოლი.
სდგას აივანზე ლამაზი ქალი:
მონყენით ნუ ხარ,
ტყე შრიალებდა – იყო ტყის ძალი,
შრიალებს მუხა.
პირიმზე, ჰაა? ხედავ, პირიმზე:
ამოდის მთვარე.
ტყე განათდება, ქედზე – ირემზე,
ვერცხლდება არე.
რა საოცარი, რა საუცხოვო
ღამეა, გესმის?...

(„ზღაპრებიდან“)

ეს პლასტიურობა ბუნების აღწერაში, რომელიც შემდეგ სხვა ვარიაციით კიდევ ბევრ-ჯერ იჩენს თავს („ეხლაც ჩემს თვალწინ არის თქვენი ბინა ტყის პირად, და საღამო მდინარის, გახელილი ცისფერად“...) დამახასიათებელია გალაქტიონ ტაბიძის ამ პერიოდის პოეტური პალიტრისათვის, და ამდენადვე, იდეური განწყობილებისათვის. პოეტი თანდათანობით, წლებთან ერთად, სულ უფრო მეტად მიდის თავის შინაგან არსში, თითქოს მისთვის სრულიად აღარ არსებობს სოციალური გარემოცვა და დღიური სინამდვილის „წყეული პრობლემები“. იგი შეგნებულად ერიდება საზოგადოებრივ მოტივებს და მაგრად იკეტება ინდივიდუალიზმის „ცისფერ გალიაში“. გ. ტაბიძის იმპრესიონისტული ესტეტიზმი უმაღლეს მწვერვალს აღწევს ომის წინა და მომდევნო წლებში. იგი ერთი პირველ წარმომადგენელთაგანია ქართული სიმბოლიზმისა, რომელიც მსოფლმხედველობისა და ლიტერატურული მიმართულების სახით დასავლეთის კაპიტალიზმის წიაღში წარმოშობილი და განვითარებული, იმ დროს რუსეთში უკვე ასრულებდა თავის თავს.

ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ინდიფერენტიზმი სოციალური მოტივებისადმი, პესიმიზმი, რელიგიური ექსტაზი და ინდივიდუალიზმი მთავარი თვისებები იყო ყველა ქვეყნის სიმბოლისტიკისათვის.

განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას გალაქტიონ ტაბიძეზე. მისი უიმედობის, პესიმიზმ-ტური განწყობილების დამახასიათებელია მთელი რიგი ლექსებისა:

თოვს, ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა,
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა
(„თოვლი“)

უფრო დამახასიათებელი და კლასიკური ნიმუშია იმავე ზამთრისა და თოვლის ლექსების ციკლიდან:

ათოვდა ზამთრის ბალებს,
მიქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირალებს
თმაგანწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო.
მოქონდათ კიდეც კუბო.
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბალებს...

მაქს ნორდაუ ასე ახასიათებდა სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებას: „გარკვეული სიტყვები, ცხოველი წარმოდგენები მათთვის მიუწვდომელია, – სწერდა ნორდაუ, – ვინაიდან მათი აზროვნება არ იცნობს მკვეთრად მოხაზულ, არაორაზროვან წარმოდგენებს, სიმბოლისტიკის წარმოდგენაში ბუნდოვანი, გაურკვეველი სიტყვები ყველაზე უფრო შეფერებიან მათ გაურკვეველ წარმოდგენებს. სიმბოლისტიკის პოეზიაში თქვენ ვერასოდეს ვერ შეხვდებით აზრის ლოგიკურ განვითარებას; ბუნდოვანი სიტყვების შერჩევით მათი გარკვეული შეფერვის გარეშე სიმბოლისტი პოეტები ცდილობენ შექმნან მხოლოდ განწყობილება“. სიმბოლისტური პოეზიის ერთი მამათაგანი, ვერლენი, თავის ცნობილ ლექსში („პოეზიის ხელოვნება“) ასეთ დარიგებას აძლევდა თავის მიმდევრებს: „პირველ პირობას წარმოადგენს ის, რომ პოეზია იყოს მუსიკა, რომელიც გადმოსცემს განწყობილებებს. უპირატესობა მიაკუთვნე, – ურჩევს იგი პოეტს; – ბუნდოვანობას; ყველას სჯობს გაურკვეველი ლექსი, სადაც ბუნდოვანობა შერეულია სიცხადესთან. ჩვენ გვჭირდება უფრო ჩრდილები, ვიდრე ფერები, მეტი ჩრდილები“.

ნიმუშები და საუკეთესოც ასეთი „გაურკვეველობის“ ბევრი მოიპოვებოდა გალაქტიონ ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში. ბუნდოვანი სიტყვებით განწყობილების შექმნის ცდას წარმოადგენს თუნდაც ლექსი „მას გახელილი დარჩა თვალები“:

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით,
ის მიიცვალა რალაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით!
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები.
და ეს თვალები სალამოთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით,
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
რა ხდება იქით! საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით“?
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს
უამიდობით, უამიდობით... და სხვ.

გალაქტიონ ტაბიძე თავისი პოეტური სპეციფიკით ძლიერ განსხვავდება ქართული დეკადენტი პოეტების („ცისფერი ყანწების“) თაობისაგან. გ. ტაბიძის პოეზიაში ვერ ნახავთ ვერც ბოგემის აპოლოგიას, ვერც სიმახინჯის ესთეტიკას, ვერც თავაშვებული ეროტომანიისა და კომმარების კულტს. ბოდლერის „შხამიანი ყვავილების“ სურნელი არ შეხება მის პოეზიას. ქართულ ლიტერატურულ დეკადანსთან შედარებით მისი იმპრესიონიზმი ჯანსაღი ბუნების მატარებელი იყო.

გ. ტაბიძე ქართულ პოეზიაში თავის პოეტური რიტმით, შინაგანი განწყობით ძალიან ენათესავებოდა ბლოკს. ანალოგიისათვის საკმარისია გახსენება ბლოკის „უცნობი ქალის“ და გ. ტაბიძის „მერის“, „თოვლის“ და სხვა მოტივების განსაკუთრებულად – სიყვარულის ორივე პოეტის პოეზიაში და სხვ. ამ თანხმობას უსათუოდ გრძნობდა გ. ტაბიძე და, ვფიქრობთ, არც ერთ რუს პოეტს, გარდა ბლოკისა, არ ეხამებოდა ისეთი მიძღვნა, როგორც არის მისი ლექსი „რუს პოეტს“:

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის,
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი
პალადინები ერთი იმედის.
თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი
დაბინდებული ნისლით და ყინვით
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი
შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.
მივმართავ ბალმონტს, მივმართავ შელლის,
რომ არ გვაშორებს მხოლოდ სართული,
უდაბურობა კალუგის ველის
და მწუხარება ჩვენი, ქართული.

რეგოლუციამდე გ. ტაბიძემ შექმნა რამდენიმე რკალი ლექსებისა, რომლებიც დიდის მხატვრული ოსტატობით არიან შესრულებულნი. საკმარისია მარტო სათაურების ჩამოთვლა, ასეთებია: „მთანმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მერი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „აკაკის ლანდი“, „სროლის ხმა მთაში“, და მრავ. სხვა.

საინტერესოა, რომ გ. ტაბიძემ ნახა თემები, რომლითაც თითქოს აღადგინა გასული საუკუნის ნახევარში შეწყვეტილი ხაზი ქართული რომანტიული პოეზიისა. ერთი საუკუნის მანძილზე „მერანის“ შორეულ გამოსმაურებათ ისმის „ლურჯა ცხენები“.

ნოვალისის ცისფერი ყვავილი¹ და ნ. ბარათაშვილის რომანტიული აღსარება „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს სიყრმიდან ვეტრფოდი“, ანალოგიით გვაგონებს გ. ტაბიძის ლექსების მთელ წყებას. თუნდაც მოვიგონოთ ლექსი „გზაში“:

...აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი: მერი —
არის ცისფერი და მწუხარება.
გახედე შორ მთებს! გახედე სერებს!
გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში,
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს დღეთა ელვარებაში.
სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს,
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს...

ანალოგიები შორს წაგვიყვანდა. შეიძლება კიდევ ითქვას, რომ გ. ტაბიძემ მერის სახის შექმნით ნ. ბარათაშვილის მსგავსად „განანმნიდავა სიყვარული“ (ილია ჭავჭავაძის სიტყვებია, — და სიყვარულში სულიერებას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელებას“).

¹ „ცისფერი ყვავილი“ ნოვალისის რომანის „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ და მთელი მისი შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური სიმბოლოა.

ოქტომბრის რევოლუცია უღელტეხილია გ. ტაბიძის შემოქმედებაში. რევოლუციის პათოსმა სრული გადატრიალება მოახდინა მის პოეტურ შემეცნებაში. იგი თავს აღწევს სოციალურ ცხოვრებიდან განდევილობას და თავისუფლდება „წმინდა“ ლირიკის „ცისფერი საპატიმროდან“.

1917 წელს ცარიზმის დამხობას იგი ესალმება პათეტიური ლექსით „დროშები ჩქარა“:

გათენდა! ცეცხლის მზე აენტო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!... და სხვ.

ამავე წელს ეკუთვნის უაღრესი ემოციონალურობით გაჟღენთილი „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, სადაც უდიდესი ექსპრესიით არის მოცემული განწყობილება ზამთრის, თოვლით გადაპენტილი დიდი ქალაქის და მარტოობის გრძობით შეპყრობილი პოეტის.

ოქტომბრის რევოლუციის მიმდევარებაში გ. ტაბიძეს, როგორც პოეტს და მოქალაქეს, არ განუცდია ინტელიგენციის უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელი რყევა და კრიზისები. იგი თვით იყო მოწმე და მხილველი „ათი დღის, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“. რევოლუციისაკენ სავალ გზაზე მას დაუძლეველ დაბრკოლებად არ გადალობებია წინ ინდივიდუალიზმის მაღალი ბარიერი. პასტერნაკის ჰამლეტისებური კითხვა: „Как мне быть с моей грудной клеткой“¹.

მან თავიდანვე გადასჭრა თავისი პიროვნული და პოეტური ბედი რევოლუციის ბედთან დაკავშირებით. რევოლუციის პირველი დღეები გალაქტიონ ტაბიძემ მოგვცა „ჯონ რიდში“. ამ პოემას მოსდევს ქრონოლოგიურად მთელი რიგი პოემებისა: „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლიუციონური საქართველო“ და წყება ლექსებისა რევოლიუციონური დღეების თემატიკაზე („პრესა“ და სხვ.). საერთოდ, თემატიკა ამ პოემებისა მრავალფეროვანია, იგი იტევს: იმპერიალისტურ ომს, სამოქალაქო ბრძოლებს, ოქტომბრის რევოლიუციას, აღმოსავლეთს, მუშათა კლასის თავგანწირვას კაპიტალისტურ დასავლეთში, სოციალისტური აღმშენებლობის სურათებს და სხვ.

ეს პოემები ოდაა რევოლუციის და სოციალისტური დღევანდელობისათვის ბრძოლისათვის მიძღვნილი:

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლისფერია;
მან ბევრი რთული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.
მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი
ეს ათი წელი – ათი აგური
დამკვიდრდეს როგორც ძმური სალამი —
მხურვალე, მხნე და ამხანაგური!...
(„ეპოქა“)

პოეტი მოუწოდებს ხელოვნების არმიას, ჩაებან სოციალიზმის ბრძოლის საქმეში:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

¹ ციტირება ბ. პასტერნაკის ლექსიდან „ბორის პილნიაკს“ („Борису Пильняку“, 1931).

დამახასიათებელია ამ პოემებისათვის ანეული, პათეტიური ტონი. ფაბულარული მრავალფეროვნება პოეტს საშუალებას არ აძლევს, მკვიდრ სიუჟეტურ-კომპოზიციურ მთლიანობით შეკრას თავის პოემები. ეს პოემები ამიტომ უფრო ცალკე ლექსების კრებულებს წარმოადგენენ.

რამდენადაც ძლიერია გ. ტაბიძე თავის პატარა ლექსებში, რამდენადაც ეს პატარა ნაწარმოებები წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ კვლავ განაგრძობენ „ჟღერას“ ჩვენს ცნობიერებაში (აკუსტიკურად, ასოციაციების გამოწვევით, „ამღერების ეხოთი“ და სხვ.) და მცირე სიტყვობრივ რესურსებით აღწევენ ემოციონალური ზეგავლენის დიდ შედეგებს, იმდენად ავტორისათვის ეს ძნელი ხდება მასალის კომპოზიციურ მთლიანობას მოკლებულ დიდ ნაწარმოებში.

გ. ტაბიძისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო (ისევე როგორც ბლოკისათვის) რევოლუციის გაგება როგორც გრანდიოზული ნგრევის სტიქიონის; აქ თითქოს ხდება გაგრძელება ავტორის ძველი, უსაგნო რომანტიზმის ტრადიციებისა; ამ ტრადიციულ მანერას შედეგად მოსდევს გ. ტაბიძის პოემებისათვის დამახასიათებელი თვისება: სქემატიზმი, გადაჭარბებული პათეტიურობა, რიტორიული სიმშრალე და სხვ. ამავე დროს უკანასკნელი პერიოდის გ. ტაბიძის შემოქმედებას ახასიათებს მაღალი იდეურობა, დიდი პათოსი და ენტუზიზმი გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა.

თანამედროვე საბჭოთა პოეზია საგრძნობ ტენდენციას იჩენს ეპიური ფორმების შექმნისაკენ (ცხადია, ამავე დროს არ მცირდება ლირიკის, როგორც პოეზიის ერთ-ერთი მთავარი დარგისადმი ყურადღება). ეპიური ფორმები კი მოითხოვენ უაღრესად კონკრეტულ (თანამედროვე თუ ისტორიულ) მასალის გამოყენებას. აქ ისმება სოციალისტური რეალიზმის, როგორც პოეზიის განმსაზღვრელი სტილის, გამოყენების საკითხიც.

საბჭოთა ლიტერატურის მონინავე რიგებში მდგომ პოეტს, გ. ტაბიძეს, შეუძლია კიდევ მოგვეცეს მუშათა კლასის ამოცანებისათვის სასარგებლო, სოც. რეალიზმის სტილით დანერგილი ნაწარმოებები.

პროლეტარიატის მსოფლმხედველობის დაუფლებით, მაღალი ოსტატობით და ჩვენი სინამდვილის ზედმიწევნითი გაცნობით პოეტი შესძლებს იყოს ნამდვილი გამომხატველი ეპოქის შინაარსისა და იდეების. ეს არის დღეს თვითეული მწერლის საპატიო მოვალეობა: „მას სამოსელი ბრწყინვალეების და გამარჯვების მოაქვს მებრძოლი პოეტისათვის“.

კრებული „გალაქტიონ ტაბიძე 1908-1933“, თბილისი, 1933.

გიორგი ნატროშვილი

გალაქტიონ ტაბიძე

მიმდინარე საუკუნის პირველი ორი ათეული წლების მანძილზე პროლეტარულ რევოლუციამდე ქართულ ლიტერატურაში იგრძნობოდა ყოველმხრივი კრიზისი. როგორც თავადაზნაურული პოეზია, ისე ხალხოსნურიც უკვე დაცემის გზაზე ეშვებოდა, მხოლოდ პროლეტარული მწერლობა ნინოშვილიდან დაწყებული ახლად იდგამდა ფეხს. კლასიკური რეალიზმის ეპიგონები და ნაწილობრივ „დემოკრატიული“ პოეტებიც მომაბეზრებელი ერთფერობით იმეორებდნენ იმ იდეებს, მხატვრულ სახეებს, ფორმებს, რომელიც ჩვენი ლიტერატურის კორიფეებმა სთქვეს, როგორც ახალი სიტყვა. ეს კრიზისი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ამ პერიოდში „დემოკრატიულ“ პოეტების ეპიგონური რეალიზმი უკვე გაითქვიფა სიმბოლიზმში (აბაშელი და სხვ.). ამ ნიადაგზე შეიქმნა ნამდვილი ეკლექტიკური პოეზია. მისი იდეური ჰეგემონია წვრილბურჟუაზიული მკითხველის მასებში უკვე საგრძნობი ფაქტი ხდებოდა. ამ გარემოებას, ლიტერატურის დონის ამ საერთო დაბლა დაშვებას ნათლად გრძნობდა მაშინდელი

ლიტერატურული კრიტიკაც. „ჩვენს თანამედროვე მგოსნებს, – სწერდა ერთი მაშინდელი კრიტიკოსი, – ესთეტიკური მშვენიერება დაახლოებით ასე აქვთ წარმოდგენილი: ღამეა... ისმის სიოს იდუმალი ჩურჩული და ბულბულის შორეული სტვენა, მგოსანი სდგას მიყრდნობილი ხეზე და სტირის, სატრფომ უღალატა ვერაგულად. ძირს აგდია ჩანგი, რომელსაც სიმები აქვს დანყვეტილი... ამ დაუსრულებელმა ვარიაციებმა ერთსა და იმავე თემაზე კბილები მოგვკვეთა მჟავე ტყემალივით“...¹

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამთავრებამ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია მოწყენილ გუნებაზე დააყენა. თვით რევოლუციის საუკეთესო თანამგზავრმა პოეტმა **ირ. ევდოშვილმა** ნითელი დროშა ფედერალისტურ ნაციონალიზმზე გასცვალა და წყრომით შეაქცია ზურგი მუშათა კლასს...² ერთი სიტყვით, ეს ისეთი დრო იყო, როდესაც არა მარტო დეკლასიური ინტელიგენცია, არამედ ბოგდანოვი და ლუნაჩარსკიც კი ახალი ღმერთის ძიებაში იყვნენ გართული. ასეთ ეპოქაში გამოვიდნენ ასპარეზზე ქართველი სიმბოლისტები და კერძოდ – გალაქტიონ ტაბიძეც. გალაქტიონ ტაბიძე, მართალია, არ ეკუთვნოდა „ცისფერ ყანების“ დაჯგუფებას, მაგრამ მათ იდეურად აახლოვებდათ ის გარემოება, რომ ორივე ფრანგულ სიმბოლიზმის მემკვიდრენი იყვნენ. გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში ისევ გამოჩნდა ბარათაშვილის პესიმიზმი და მისი მერანი ფანტასტიკური ლურჯა ცხენების სახით, რომელნიც მიიჩქარიან ამ ქვეყნიდან, რომ დროზე გასცილდნენ „ამაოთა ამაოებას“. წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის დაღლილმა თაობამ, რომელმაც ვერ გაიგო მუშათა კლასის და მისი ფოლადისებური პარტიის მიზნები, დაჰკარგა ბრძოლის გზის ძეხვის უნარი და წამოიჩოქა რეაქციის წინაშე. იმედის გაცრუებამ დეკლასიური ინტელიგენციის შეგნებაში მრავალგვარი სახე მიიღო: არაგვისპირელი მწარე სარკაზმით და ცინიკური ირონიით დასცინოდა ამ ქვეყანას, დასცინოდა ადამიანთა სიყვარულს, იდეალურ მეგობრობას და ამავე დროს ჩუმი ქვითინით გლოვობდა თავისი წრის ადამიანის ფილისტერულ გადაგვარებას, ის ცხოვრებაში ხედავდა მხოლოდ თვალთმაქცობას და ფარისევლობას. ყანწელების ერთი ნაწილი ნაციონალიზმში და პორნოგრაფიაში (ელენე დარიანი და გრიგოლ რობაქიძე) ეძებდნენ გამოსავალს, ხოლო გალაქტიონ ტაბიძე ე. წ. „წმინდა“ ხელოვნების ტრადიციების მიხედვით განცალკევებული ლოცულობდა ბუნების ტაძარში, მთაწმინდის მთვარის და აკაკის საფლავის წინაშე. ფაქტიურად მათ, ყველას, ერთი კლასიური ბაზისი ჰქონდათ. რეაქციის ბნელ ღამეში ისინი ვერ ხედავდნენ პროლეტარულ მოძრაობის ბრწყინვალე მომავალს და რასაც ხედავდა ყოველი მოწინავე პროლეტარი, – მას ვერ ხედავდა დეკლასიური ინტელიგენტი, რომლის თვალებს აბნელებდა ფრანგული სიმბოლიზმის ქაოტური ფილოსოფია.

გალაქტიონ ტაბიძე თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ნამდვილი წარმომადგენელი იყო **რომანტიული სიმბოლიზმისა**. სიმბოლიზმი ყველა ხალხთა ლიტერატურაში დაიბადა, როგორც რეაქციონური მოვლენა, რადგანაც მან გამოსვლისთანავე ბრძოლა გამოუცხადა ადამიანთა სოციალურ იდეებს, მათს ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის და რომანტიზმის გულგრილი მისვლა ქვეყანასთან თავის მთავარ ლოზუნგად გაიხადა. სიმბოლიზმს აქვს თავისი ფილოსოფიური საფუძვლებიც, რომელიც იდეალისტურ სუბიექტივიზმიდან და ღრმა მისტიციზმიდან მოდის. სიმბოლიზმი ცნობილია აგრეთვე **ნეორომანტიზმის** სახელწოდებით. რომანტიზმი თავის დროს გამოვიდა ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიიდან, სიმბოლისტებიც მაინცა და მაინც არ გასცილებიან გერმანულ იდეალიზმის სისტემას. სიმბოლიზმის თეორეტიკოსებიც პროტესტს უცხადებენ პოზიტივიზმს და მატერიალიზმს. XVIII საუკუნის ფრანგმა მატერიალისტებმა: ჰოლბახმა, ჰელვეციუსმა, დიდრომ უარყვეს „სული“ და ადამიანის ფსიქოლოგია მიიჩნიეს მატერიის უბრალო გამოვლენათ, რის შედეგადაც მაშინ, ჰეინეს თქმით, „სული“, შეურაცხყოფილი, შურს იძიებდა რეინის მეორე მხარეს (ე. ი. გერმანიაში) და ფიხტეს და შელინგის ფილოსოფიაში ცხადდებოდა, როგორც მატერიის უარყოფელი და აბსოლუტური არსი სამყაროსი, როგორც ცალკე ტრანსცენდენტური ქვეყანა. ეს ფილოსოფია სავსებით გაიზიარეს სიმბოლისტებმა. რენე გილი სწერდა: „სიმბოლიზმი – ეს ძალზე ბნელი სპირიტუ-

1 იხ. „გრდემლი“, 1912 წელი. გვ. 136.

2 იროდიონ ევდოშვილი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობაში 1905-1907 წწ., ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ განუდგა ქართველ მარქსისტებს.

ალიზმია, ახლო მდგარი ფიხტესა და ჰეგელის ფილოსოფიასთან, ის მთლიანად დაჩრდილულია მისტიკური გრძობით და დაღლილია ქვეყნის რეალურობით“. იმასვე ამტკიცებდა ვალერი ბრიუსოვიც: „თავის მთავარი თვისებებით, – სწერდა ბრიუსოვი, – ინტელექტს არ შეუძლია შეცნობა საგნების არსის და ამიტომ ყოველგვარი შემეცნება, – მეცნიერულიც და შემოქმედებითიც, მონოდებულია, შეიცნოს მხოლოდ მოვლენები, რომელთა ჭეშმარიტი მიზეზები რჩება გამოუცნობელი“. ეს კანტის აზრების უბრალო განმეორებაა, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. სამართლიანად სწერდა კოგანი, რომ „სიმბოლიზმს თეოლოგიურ და რომანტიულ მსოფლმხედველობასთან შედარებით არაფერი ახალი არ შეუქმნიაო“. როგორც ბრიუსოვის სიტყვებიდანაც სჩანს, მათ დაუპირისპირეს ერთიმეორეს არსი და მოვლენა, „საგანი თავისთავად“ (ნოუმენი) და „საგანი ჩვენთვის“ (ფენომენი). ამით მათ მთლიანად გაიმეორეს კანტის მოსაზრება წმინდა და პრაქტიკულ გონების შესახებ. ხელოვნება გადაიყვანეს პრაქტიკულ გონების სამეფოში. ეს იყო მათი წარმოდგენით ტრანსცენდენტური ქვეყანა, რომელიც არ ემორჩილებოდა მკაცრი აუცილებლობის კანონებს. კანტისთვის და მისი მიმდევრებისთვის, არც შემდეგ დროის მოაზროვნეთათვის (რომელთა რიცხვშიც შედის სიმბოლიზმის თეორეტიკოსი მეტერლინკი), არ არსებობდა ის ჭეშმარიტება, რომ თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა, რომ მოვლენის შეცნობა არსის შეცნობას ნიშნავს. ცხადია, ამიტომ მათ თავის წარმოდგენაში შექმნეს ცალკე სამყარო, ზეემპირიული და ბუნებისაგან გათიშული. ამ ზეგრძობად ქვეყანაში მოთავსებულია, მათი აზრით, მარადიული მშვენიერება, რომელიც სინამდვილის მიღმა სდგას. რეალური პლანი, უარყოფილი მათ მიერ, როგორც არასწორი გამოკრთომა ზეგრძობადი და ფანტასტიური ქვეყნისა, როგორც მკრთალი ნათელი ქვეყნის მიღმა არსებული მშვენიერებისა. აქედან გამომდინარეობდა სიმბოლისტების მისწრაფება დაუსრულებლობისადმი და საიდუმლოებისადმი. ცალკე ქვეყანა, მოვლენათა მიღმა მხარე – აი, საიდან სცდილობდნენ ისინი, აეღოთ თავისი თემები, რომელიც არა ჰგავდა ცხოვრებას და გამოგონილი იყო. მათი წარმოდგენით ქალიც რაღაც არაჩვეულებრივი ცისფერი ლანდია, წუთიერი მოჩვენება, მთვარეც მათ ლექსებში საკუთარი კალიბრისაა; ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს გალაქტ. ტაბიძის პოეზიაში. განა იღია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არ სწერდნენ მთვარეზე, ლამაზ ასულებზე, მაგრამ ეს ყველაფერი ჭეშმარიტი რეალიზმით იყო მათ მიერ ხორცშესხმული, ადამიანური ქვეყნიდან იყო აღებული. ცხადია, ამის შემდეგ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სიმბოლიზმი ნამდვილი რევოლუციონურ-პროლეტარული ხელოვნებაა, როგორც ამას მინსკი სჩადიოდა, – მთლიანად გაუგებრობა და სიყალბეა. როგორც ვსთქვით, სიმბოლიზმმა „შეჰქმნა მოვლენათა მიღმა ქვეყანა, გაექცა რეალურ ცხოვრებას. ქრისტიანულმა რეალიზმმაც შეჰქმნა მეორე ქვეყანა, ეს იყო ბიბლიური სამოთხე, მაგრამ სიმბოლისტური გაგება არ ემთხვევა მას, ვინაიდან სამოთხის ცნებასთან (როგორც ქრისტიანულ ზღაპრებში და ლეგენდებშია აღნიშნული) უთუოდ შეუთავსებელი უნდა ყოფილიყო მაგარი სასმელების კულტი და ბოჰემური კაფემანტანური თავაშვებულობა, რის გამოკლება სიმბოლიზმის მხატვრულ პრაქტიკიდან თითქმის შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიმბოლისტურ „მიღმურ ქვეყანაში“, რომელიც არ იყო მსგავსი რეალურ ცხოვრებისა, – იყო რელიგიურობის ელემენტები და უმთავრესად კანტიანიზმი. ეს დამორება რეალურ ცხოვრებისგან და დაახლოება ხელოვნურად გამოგონილ ლანდების და აჩრდილების სამყაროსთან, დიდ ადგილს იჭერდა გალაქტ. ტაბიძის პირველი პერიოდის შემოქმედებაში.

ეს ნათლად მტკიცდება პოეტის მაშინდელი ლექსებისაგან. ის სწერს ლექსს: „ლანდი არაქვეყნიური“. პოეტს ევლინება მოჩვენება ქალის სახით „იმ ქვეყნიდან“, რომელსაც იგი მიმართავს:

ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო, მე იმგვარად გარდაგქმენი,
რომ მეგონა, თუ ხორცსხმული იყო ლანდი იგი შენი...
ხელუხლებელს, ჰაეროვანს სხეულს ხელი ვერ შევახე
და ვიგრძენი, რომ თანდათან იშლებოდა ლანდის სახე...
ვდგევარ გრძობამორეული,
მოგონება სევდას მაქსოვს,
მაგრამ მახსოვს, მუდამ მახსოვს
ლანდი წმინდა, მონყენილი,
ლანდი არაქვეყნიური, ლანდი უცხო, შორეული!

ამავე იდეას „მეორე ქვეყნის“ შესახებ ანვითარებს პოეტი აგრეთვე თავის ლექსში „ხელოვნება“:

მას ვერასდროს ვერ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი...

არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,

მაგრამ ქვეყნად არ არსებობს – ცის ალერსი, ცის ამბორი.

არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი.

ამ „საღვთო ბილიკების“, (რომელნიც „უცხო ქვეყნისაკენ“ მიდიან), ძებნას ხშირად ვხვდებით ტაბიძის ლექსებში:

1. გწყურია, ოდეს სანთლები ელავს,

წაილო სულით აურზაური —

ბაგით შეეხო მადონას ხელებს

და იგრძნო სუნთქვა არაქაური.

2. და ერთადერთი ნაზი დარაჯი,

გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის!

არ-ამქვეყნიურ უზუნდარაში

გაიყოლიებს სულის სიბერეს.

მაგრამ ყველაზე უფრო დასრულებულად და მთელი თავისი მისტიური სახით ეს იდეა გადმოცემულია ლექსში: „ლურჯა ცხენები“. აქ არის მისწრაფება „სამუდამო მხარისაკენ“, საითაც ჩქარი გრგვინვა-გრიალით“ მიიჩქარიან ლურჯა ცხენები, რომ გადაიყვანონ პოეტი „საოცრების უბეში“, სადაც მოშორებული იქნება ამქვეყნიურ საკითხების რეალისტურ ატმოსფეროს.

თავის შემოქმედების ამ პერიოდში გალაქტიონ ტაბიძე მთლიანად გატაცებული იყო ფრანგული დეკადანსით. ის უარყოფდა რეალურ ცხოვრებას, რომლის ფილისტერული სახე (სხვა სახეს კი პოეტი არ იცნობდა, რადგან არ იცნობდა მუშათა კლასს) მხრებზე აწვა მას, არ აძლევდა მომხიბვლავ იდეებს და უპიროვნოდ ხდიდა მას. ამას ვერ ითმენდა დეკლასიური ინტელიგენცია, მით უმეტეს, ეპოქაში, როდესაც საზოგადოების ამ წრეს ავადმყოფობად ჰქონდა გადაქცეული ზეკაცობის და ინდივიდუალიზმის იდეებით გატაცება. ამ ნიადაგზე ტაბიძის პოეზიაში ფეტიშად და მთავარ თემად გახდა „უგზობით დაღლილი სული“. თუ როდესმე ქართულ ლიტერატურას ევროპიულ პოეზიასთან დამოკიდებულება ჰქონდა, – ეს იყო ისევე მეოცე საუკუნის დასაწყისი. XVIII საუკუნის მანძილზე და უფრო ადრეც ქართული ლიტერატურა სპარსეთის და, საერთოდ, აღმოსავლეთის გავლენის ქვეშ იყო, XIX საუკუნის კლასიკოსები – ილია და აკაკი – რუსულ რეალიზმის იდეებზე აღიზარდნენ, ხოლო სიმბოლისტებმა მთლიანად დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ლიტერატურას მიმართეს და გადმოიტანეს იქიდან კაფე-მანტანების და ბოჰემის იდეები, – ესეც იმ დროს, როდესაც სიმბოლიზმი იქ უკვე სასიკვდილოდ ხუჭავდა თვალებს.

გ. ტაბიძის იმდროინდელ ლექსების მთავარი განწყობილება უიმედობაა, უკანასკნელ საზღვრამდე მისული პესიმიზმი და თავგანწირულება. იგი წერდა:

ათოვდა ზამთრის ბალებს.

მიქონდათ შავი კუბო

და შლიდა ბაირალებს

თმაგანწილი ქარი.

გზა იყო უდაბური,

უსახო, უპირქუბო.

მიქონდათ კიდეც კუბო.

ყორნების საუბარი:

დარეკე! დაუბარე!

ათოვდა ზამთრის ბალებს.

სამგლოვიარო პროცესიის ეს მხატვრული სახე უზომოდ პოპულიარულია გალაქტიონისათვის. ამ შავი კუბოების და დათოვლილ ზამთრის ბალებს იქით მას ეჩვენებოდა, რომ ასაფლავებდნენ მთელ დედამიწას, აღარაფერი რჩებოდა საიმედო და პოეტი მწუხარე მარტოობის გრძნობას ეძლეოდა:

და მე ავტირდი ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

ყოველ სიმბოლისტს სურდა ყოფილიყო თავის არსებაში ჩაკეტილი პოეტი, განცალკევებული ინდივიდუალისტი, განუმეორებელი ერთეული, უწინაპრო და უშთამომავლო, მაგრამ მათი საკუთარი მისწრაფების მიუხედავად, ყველა მათ ჰყავდათ თავისი წინამორბედებიც და ეპიგონებიც. ლექსში „მე და ღამე“ გალაქტიონ ტაბიძე სცდილობს შექმნას ილიუზია ასეთი მსოფლიოსგან მოწვეტილობისა:

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

თვით ალ. ბლოკიც სწერდა: „სიმბოლისტი პოეტი არის პირველ ყოვლისა თეურგი, ე. ი. მფლობელი საიდუმლო ცოდნისა, რომლის თანახმად ხდება მისი საიდუმლო მოქმედება. ამ საიდუმლოს, რომელსაც მხოლოდ შემდეგ იგებს ქვეყანა, ის უცქერის, როგორც თავის საკუთრებას. ეს არის მისი საუნჯე“. ამავე აზრის მატარებელია გ. ტაბიძის ზემოთმოყვანილი ლექსის ტაეპი.

ჰენრიხ ჰეინე სწერდა ნოვალისისა და გოფმანის შესახებ: „უდიდესი მგზავსება ამ ორი პოეტისა იმაში მდგომარეობს, რომ მათი პოეზია იდეურად ავადმყოფურია. ამიტომაც ამბობდნენ, რომ მათი ნაწარმოების შესახებ უნდა ილაპარაკონ ექიმებმა და არა კრიტიკოსებმა. ვარდისფერი კრთომა ნოვალისის მთელ შემოქმედებაში – სიჯანსაღის ფერი კი არ არის, არამედ ავადმყოფობის, ვარდისფერი კოლორიტი გოფმანის ფანტასტიურ ზღაპრებში – გენიის ალი კი არ არის, არამედ ციებ-ცხელების ცეცხლია“. საერთოდ ამჟამად ჩვენი ლიტერატურა დაემზგავსა საერთო ლაზარეთს“. სწორედ ასეთივე იდეურად ავადმყოფური ატმოსფერო მეფობდა მაშინ ყველა ქვეყნის სიმბოლისტების შემოქმედებაში. ეს მწუხარე ატმოსფერო, ეს მელოდიური კვნესა თავის დაღს აჩენდა გ. ტაბიძის პოეზიასაც. ამიტომ ბუნებრივი იყო მისთვის ასეთი სევდა, პესიმიზმი:

მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნემო.
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?..
ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი,
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

სიმბოლისტური ბოჰემის კულტი ამ განწყობილებებთან ძლიერ ახლოა, სიმბოლისტური პოეზია, როგორც ასოციალური მოვლენა, ინდივიდუალიზმსა და მისტიკასთან ერთად სდევნიდა ლექსიდან ყოველგვარ კლასიკურ უბრალოებას, სამაგიეროდ ჰქმნიდა რითმების რთულ ტექნიკას. ამ მხრივ გალაქტიონ ტაბიძის ლექსი უდიდეს სიმალლეზე იყო ასული.

გ. ტაბიძის პირველ პერიოდის ლექსებში ამ ბოჰემური სიმბოლიზმის გვერდით, რომელიც უშუალოდ ბურჟუაზიული ქვეყნის სატახტო ქალაქის გადაგვარებამ შექმნა, ისმოდა ის-

ეთი მოტივებიც, რომელიც უფრო სპეციალურად რომანტიზმს ახასიათებდა. მის ლექსებში კიდევ ერთხელ ენა ამოიდგა გერმანული რომანტიზმის სიმღერამ იმქვეყნიური ცისფერი ყვავილის შესახებ. ცნობილი გერმანელი რომანტიკოსი ნოვალისი ასე იწყებდა თავის რომანს: „ჰენრიხ ოფტერდინგენს“: „ახალგაზრდა ადამიანი შფოთავდა სანოლზე, ფიქრობდა უცხო ქვეყნიდან მოსულზე და მის მიერ მოთხრობილ ამბებზე. არა, საუნჯეს არ აუვსია ჩემი სული ასეთი გამოუთქმელი სურვილებით, – ეუბნებოდა იგი თავის თავს, – ჩემგან შორსაა ყოველგვარი ანგარება, მაგრამ მე გატაცებით მსურს ვიხილო ცისფერი ყვავილი. ის განუწყვეტლად იქცევს თავისკენ ჩემს ფიქრებს, მე უკვე სხვა აღარაფერზე ფიქრი აღარ შემიძლია! ასეთი გრძნობა არასოდეს არ გამომიცდია. მე მეჩვენება, თითქოს ჩემი ცხოვრება დღევანდლამდე იყო სიზმარი, ან კიდევ სიზმარმა გადმომიყვანა მეორე ქვეყანაში, ვინაიდან ამ ქვეყანაში, სადაც მე ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ვის სცალია ყვავილებისათვის?“ ეს ცისფერისადმი შეუჩერებელი მისწრაფება მძლავრად იყო ფეხმოდგმული მთელი რომანტიზმის და შემდეგ ზოგიერთ სიმბოლისტიკის მხატვრულ პრაქტიკაში. გ. ტაბიძეც გამოეხმაურა ნოვალისის ამ ტრფიალებას ცისფერი ყვავილისადმი:

იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი,
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი.

რით აიხსნებოდა ასეთი მისწრაფება ცისფერისაკენ? მათი თვალსაზრისით, ცისფერი სიმბოლო იყო ყოველგვარი არაამქვეყნიური ჩვენების, ის პროტესტი იყო რეალური ცხოვრების წინააღმდეგ და ამიტომ ამ უკანასკნელის ემპირიული საზღვრების გარეშე ეძებდა დასაყრდენს. ამ პუნქტშიაც ნათლად სჩანს გ. ტაბიძის ემოციონალური არქაულობა:

აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება.
როგორც ქალწულის სახელი: მერი –
არის ცისფერი და მწუხარება.

ასევე სწერს გალაქტიონი ქალის შესახებ, რომელიც მას ევლინება ლანდურ ჩვენებაში:

სადღაც შორს მუსიკა ქარივით კითხულობდა:
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

ან კიდევ, განა ბარათაშვილური ტრფიალება არაა ცისფერისადმი გალაქტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“? დამოკიდებულება ბუნებასთან გ. ტაბიძის პოეზიაში არსებითად ისევ რომანტიულ ხასიათს ატარებდა. პოეტი ვერხვის ფოთოლთა შრიალში ისმენს უძველეს ზღაპრებს და ბარათაშვილის („მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო, უასაკოთა და უსულთ შორის“) მზგავსად ადამიანურ ენაზე ამეტყველებს ჩინარს.

* * *

ამ განწყობილებათა რკალში იყო მოქცეული პოეტი, როდესაც დაიწყო მსოფლიო ომი. რა გამოხმაურება ჰპოვა მის პოეზიაში ამ მოვლენამ? საზოგადოთ, პოეტი, რომელიც „წმინდა“ ხელოვნების პრინციპების დაცვას ცდილობს, არ ეხმაურება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს, მისთვის, ტურგენევის სიტყვით რომ ვსთქვათ, მილოსის ვენერა უფრო ძვირფასია, ვიდრე 1789 წლის პრინციპები. მიუხედავად ამისა, სინამდვილეში ასეთი პოეტები კლასთა ბრძოლის კანონზომიერების ძალით მიჯაჭულნი იყვნენ „მინაზე“. გალაქტიონი არ მისალმე-

ბია ომს, როგორც იტალიის ფუტურისტები, მას არ გამოუცხადებია ომი ქვეყნის ჰიგიენათ და პირიქით, ინდივიდუალისტური პაციფიზმით და ადამიანის ნვრილბურჟუაზიული სიყვარულით (და არა პროლეტარული პოზიციებიდან), ქრისტიანული სათნოების პოზიციიდან მან გაილაშქრა მსოფლიო სასაკლავო და იმპერიალისტური კაციჭამია პოლიტიკის წინააღმდეგ. გ. ტაბიძე სწერდა სწორედ ომის წლებში:

სასაფლაო და რკინის გზები.
მკვლელობათ რიცხვი
ადამიანის სასიკვდილო ხრიალით სტკება
ოქროთი მოვარაყებული სირცხვილი...
ტყვია... რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიან...

ლექსში „ქარი მსოფლიო ომის მაუწყებელი“ იგი სწერდა:

მშვიდობით! იყო და აღარ არი
ბედნიერება გრძნობამდებელი,
დარეკეს ზარი
მსოფლიო ომის მაუწყებელი...
წავლენ სოფლები, მზე აღარ მოვა,
არ გააშუქებს დაღლილ თაობას,
ცხედრების გროვა
ცვლის მიუნდომელ სანახაობას.

როდესაც ფრიდრიხ ადლერმა 1916 წელს მოჰკლა ავსტრიის პრემიერ-მინისტრი შტიურგვი, ამ ფაქტსაც გამოეხმაურა გალაქტიონი და ამაღლებული პათოსით უმღერა ქუჩის დემონსტრაციას.

გალაქტიონ ტაბიძეს რევოლუციამ მოუხსნო იმ დროს, როდესაც მის პოეზიაში მეფობდა მხოლოდ ბოჰემა, რომანტიული ცრემლი, სიკვდილის მწუხარება, მისტიური ინდივიდუალიზმი, წასვლა ცხოვრებიდან და პროტესტი რეალურ სამყაროს წინააღმდეგ, რელიგიური ტრაგიზმი. სიმბოლიზმმა ამ დროისათვის უკვე ამოსწურა თავისი თავი, მან უკვე დაასრულა თავისი ათასერთი ზღაპარი, რომელიც ისტორიამ მას არგუნა სათქმელად. ამ დროს დაიწყო რევოლიუცია. პოეტმა საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ ინგრეოდა მეფის რუსეთი. ამ ნიადაგზე მის მაშინდელ მხატვრულ ფაქტებში იპოვა გამოვლენა გრანდიოზული გარდატეხის ამბავმა. გ. ტაბიძე გაიტაცა რევოლიუციამ, მისმა გარეგნულმა დიდებულებამ, მაგრამ ძნელი იყო მისთვის მისტიციზმის ქაოსის ერთი ხელის მოსმით უარყოფა, მან ერთბაშით ვერ მოიხსნა რომანტიზმის სამგლოვიარო მანტია და ამიტომ პირველ ხანებში მისი მოსვლა რევოლიუციასთან ანარქიულ და ქაოტურ ფილოსოფიის დაღს ატარებდა. ასე რომ, რევოლიუცია გალაქტიონმა გაიგო, როგორც მარადიული ჯანყი, ბუნტარული ნგრევა და განუწყვეტელი გრიგალი. სინამდვილეში კი ოქტომბერი ჩატარდა არა როგორც ანარქისტული ჯანყი, არამედ, – როგორც მწყობრი, ორგანიზაციული პროექტი, რომელიც იმთავითვე განსაზღვრა ლენინური პარტიის ტაქტიკა-სტრატეგიამ. ასე იყო თუ ისე, რევოლუციის დროს ძველ ღირებულებათა გადაფასების პროცესში გალაქტიონი, როგორც პოეტი, ახალი ქვეყნის მხარეზე აღმოჩნდა. „მწერალთა ნაწილი დარჩა ძველ ქვეყანასთან და ილუპება მასთან ერთად, რადგან შეუძლებელია მძორთან ამღერება. მთელმა საზღვარგარეთულმა რუსულმა ლიტერატურამ ვერ შექმნა ვერც ერთი დიდი მხატვრული ნაწარმოები. სხვები დადუმდნენ და გადიქცნენ მარილის სვეტად, როგორც სთქვა ანნა ახმატოვამ თავის ტრაგიკულ ლექსში: „ლოტის ცოლი“. იმათ იციან, რომ ილუპება სოდომ-გომორი, ხედავენ, რომ დაილუპა ძველი ქვეყანა, მაგრამ ისე არიან დაკავშირებულნი მასთან, რომ ვეღარ ამორებენ თვალს მისი დალუპვის სურათს და სდგანან მარილის სვეტებად გადაქცეულები. ნაწილმა მწერლებისამ, უფრო ახალგაზრდამ, სცადა ეცნო ახალი ცხოვრება. ეს იყო დიადი ტანჯვების და გმირული ბრძოლების ხანაში. ისინი გრძნობდნენ, რომ რუსეთის

თავზე გუგუნით გადადის ისტორიის ქარიშხალი. მათ არ შეშინებიათ ელვების და ქუხილების. სუნთქავდნენ მძაფრ ჰაერს, რომელიც სცემდა მათ სახეში თმების გლეჯით და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ქარიშხალს!“ ასე დაიბადნენ საბჭოთა მწერლები. ისინი დაიბადნენ, როგორც მომღერლები ნგრევის სილამაზის და სიდიადის“ (კარლ რადეკი). მწერალთა ამ მეორე ნაწილის რიგებში იდგა მაშინ გ. ტაბიძეც. გალაქტიონ ტაბიძემ ჰეინეს მზგავსად რომანტიზმის ცისფერი ყვავილი რევოლუციურ სიმღერაზე გასცვალა, მის პოეზიაში მერის ნაცვლად ცხრაასჩვიდმეტის ბარიკადები გამოჩნდა, ისე, როგორც ჰეინემ 1848 წლის რევოლუციის მოახლოების ჟამს უარყო რომანტიულ სიყვარულზე ლექსების წერა და უმღერა სიღვინის ფეიქრებს, „ჯონ რიდში“ ტაბიძემ გაამასხარავა რომანოვების დინასტია, ისე, როგორც ჰეინემ თავის დროზე გენიალური ცინიზმით გაანადგურა ჰოპენცოლერების სამეფო გვარი. ამრიგად, მოხდა ძველი ქვეყნის კატასტროფა და რევოლუციის ტალღამ პოეტი ახალი ქვეყნის ნაპირზე გადაისროლა. ამ დღეების შემდეგ გალაქტიონ ტაბიძის ლექსების იდეური არსება აღმავალი გზით იზრდება, დღეს ის უკვე მონინავე საბჭოთა მწერლის პოზიციაზე სდგას.

მუდმივ სასონარკვეთილებაში მყოფი პოეტი რევოლუციის პირველ დღეებში გაიტაცა ბრძოლის პათოსმა და იმედიანად წამოაძახებია:

სასონარკვეთის დედამიწას ნება ვინ მისცა?..
მინა გამოჩნდა, მეგობრებო, ახალი მინა!

გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციის შემდეგდროინდელი შემოქმედება სავსეა რევოლუციონური ბრძოლის პათოსით და ენტუზიაზმით. პოეტი, რომელსაც მსოფლიო ეჩვენებოდა „შელამების ელიზეუმად“ და სასაფლაოდ, დღეს მუშათა კლასს უმღერს. ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა მის პოემებში „ეპოქა“ და „რევოლუციონური საქართველო“. „ეპოქაში“ შეგრძნობილია ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზული როლი. ტაბიძეს იტაცებს ამ რევოლუციის ყოველი მომენტი: იგონებს პოემაში სამოქალაქო ომის წლებს, იქვე ეხება ევროპის პროლეტარიატის აუტანელ გაჭირვებას, ნათელი სურათებითაა გადმოცემული „ეპოქაში“ სოციალისტური მშენებლობის სურათებიც. „ეპოქას“ აქვს ნაკლოვანებაც, განსაკუთრებით ფორმალური ხასიათისა: ასე მაგ., პოემას არა აქვს სიუჟეტი და ამიტომ იგი მთლიანად ერთ ძალზე გრძელ ლექსს მიაგავს. გარდა ამისა, „ეპოქაში“ ადგილი აქვს „ლირიკულ წყალდიდობას“, მას აკლია ფაქტების მონტაჟი.

გალ. ტაბიძის უკანასკნელი ლექსები მთლიანად განტვირთულია მკვდარ თაობათა ყველა ტრადიციებისაგან. მან თავისთავში უკვე დასძლია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მერყეობა. პოეტმა საკმაოდ ვრცელი და რთული შემოქმედებითი გზა გაიარა, ეს ისტორიამ ორ ნაწილად გაჰყო: ცხრაასჩვიდმეტემადე მისი პოეზია იყო იმედგაცრუებული უკანდახევა მთელი ფრონტით, ცხრაასჩვიდმეტის შემდეგ – წინსვლა ჯერ ზიგზაგებით, ნელი მოძრაობით, მაგრამ შემდეგში ნათელი და მტკიცე ნაბიჯებით.

* * *

ოქტომბერმა შემოჰხსნა ბორკილები ნამდვილ შემოქმედებას, მან დაამსხვრია ის ზღუდეები, რომელსაც რეაქციის ობსკურანტიზმი გარს ავლებდა ხელოვნებას, – იმ ფრთას ხელოვნებისას, რომელსაც სურდა განუყრელ კავშირში ყოფილიყო პროლეტარიატთან, ჭეშმარიტებასთან და ისტორიულ სიმართლესთან. გალაქტიონის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე იგრძნო ეს განახლების ეპოქის ქროლვა, ეს სიახლე „ძღვევამოსილი ამ საუკუნის“. „კაცთა ღელვისა დიადმა ზვირთმა“ თან გაიყოლა პოეტი, გახვია თავის ტალღებში და ჩამოაშორა დაყრუბულთა და დაბრმავებულთა თაობას, რომელთაც არ სურდათ დაენახათ მშრომელი მილიონების გამარჯვება, არ უნდოდათ გაეგონათ ლენინის იდეების განხორციელება. ესენი იყვნენ ერთი ნაწილი სიმბოლისტების (გ. ბრიუსოვის, ალ. ბლოკის და სხვ. გამოკლებით), ბოლშევიკების სიძულვილით გადარეულ მერეჟკოვსკების, რომელნიც გაეხიზნენ ჭეშმარიტების პოზიციას და დონკიხოტური ბრძოლა დაიწყეს მის წინააღმდეგ.

რევოლუციამ, როგორც იშვიათმა ბალზამმა, ისე განკურნა ჩვენი პოეტი პესიმისტურ
ჭრილობებისგან, მისტიკურ ფანტაზიის ტკივილებისაგან და სწორედ ამავე რევოლუციის
წყალობით გახდა გალაქტიონ ტაბიძე იდეურად გაჯანსაღებული:

იმიტომ ხდება რევოლუცია,
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნი,
რომ პოეტების არ გაისმოდეს
უიმედობა, კენესა, ნუნუნნი!..
იმიტომ ხდება რევოლუცია,
რომ ამიერიტ არ გვეფარება
მწუხარე ხანა დეკადანსისა:
დაცემა, გახრწნა, გადაგვარება.
(„ეპოქა“)

„ეპოქის“ ფაბულა ძლიერ ფართო და ვრცელია, მაგრამ ამ პოემას არა აქვს სიუჟეტი.
ეს საერთო დამახასიათებელი თვისებაა გალაქტიონის პოემების, ასევე იყო „ჯონ რიდიც“.
უკანასკნელი ვრცელი პოემა „რევოლუციონური საქართველო“ ამ მხრივ ნაწილობრივ ახალ
ნაბიჯს წარმოადგენს. მასში არიან ცალკე გმირები (კულაკი, ნიკა და სხვ.), არის სიუჟეტიც,
მაგრამ „ეპოქა“ მთლიანად უგმირო და უსიუჟეტო პოემაა, მისი სიუჟეტი – მსოფლიოა,
რომლის ფარგალში შედის როგორც პოლიტიკური, ისე ყოფითი და იდეოლოგიური მოვლე-
ნები, ლაყბობა ერთა ლიგაში, ლორდ კემენდენის გამოსვლები, კოლონიალური ქვეყნების
ჩაგვრა, კაპიტალიზმის კრიზისი, ინდუსტრიალური საქართველოს მშენებლობა, ბარიკადებზე
ბრძოლა, იდილიურ რომანტიზმის სიკვდილი, ქარხანა და სოფლის ყანები, იმპერიალისტური
ომი, „ტეოდორ ნეტტე“ (ამ თემას მაიაკოვსკიმაც უძღვნა ლექსი „ტეოდორ ნეტტეს – ამხანაგს
და ხომალდს“) და ინტიმური ფსიქოლოგიის საკითხები. ყველა ამ პრობლემის გადაჭრას პო-
ეტი აწარმოებს მოწინავე საბჭოთა პოეტის თვალსაზრისით. გ. ტაბიძე გრძნობს ახალი ეპოქის
ტემების რიტმს და სისწრაფეს:

ააყირავენ ეს ათი წელი
ათიათასი წლის ისტორიას –

სწერდა გასაბჭოების ათი წლის თავზე. „ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა“, – სწერ-
და „ეპოქაში“ გ. ტაბიძე. იგი ეხება არა მარტო თანამედროვე მშენებლობას, არამედ წარსუ-
ლის რევოლუციონურ ბრძოლებსაც, მას „ინტერნაციონალის“ ჰიმნის გაგონებაზე აგონდება
პარიზის კომუნა:

მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,
სცენა პარიზის საშინელ დღეთა,
ვერსაღელეების მიერ მხეცურად
კომუნარების რბევა და ჟლეტა.

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ „ეპოქაში“ პოეტი ეხმაურება მაქსიმ გორკის
რევოლუციონურ რომანტიზმს. ეხება რა იგი ოქტომბრის გადატრიალებას, წერს:

და ალექსეი პეშკოვის მაშინ
მელოდიები სჩქეფს გაზაფხულის,
ჰიმნი ახალი რევოლუციის,
ჰიმნი მასისთვის მებრძოლი გულის
.....
ბოძთან რომ ვაგონს უცდიდა მგზავრი
გათეთრებული თოვლიან მოხვრით,

ამ გაზაფხულის დღეს იმავე მგზავრს
ირონიულად და ამოოხვრით
უფლება აქვს, რომ შეხვდეს ძველს რუსეთს
წლების სხვა წლებთან გადამწინდველი.
იმის კითხვაზე: ის დრო სად არის?
თქვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი.

ამ ლექსებში გალაქტიონი აგრძელებს რევოლიუციონურ პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს.

თავის უკანასკნელ ლექსებში გ. ტაბიძე გვიხატავს აგრეთვე ე. წ. „წვრილმანებსაც“, რაც სოციალისტური რეალიზმის პერსპექტივებით ისტორიულად გამართლებულია. პირიქით, მაიაკოვსკიმ ამ დარგში გენიალური ნიმუშები მოგვცა („ჰიმნი სადილს“, „ჰიმნი ქრთამს“). პოეტი-რეალისტისათვის პირველ პლანზე სინამდვილის მრავალფეროვნების მხატვრული შემეცნება სდგას, ამ პროცესში ის გვერდს ვერ აუხვევს „კერძო“ და „ცალკეულ“ მოვლენათა გადმოცემას, რომელნიც, საბოლოო ანგარიშში, იძლევიან რევოლიუციის სახეს.

გ. ტაბიძის ლექსებში მისტიკური სიმბოლიზმი ჯანსაღი რეალიზმით შეიცვალა, წვრილ-ბურჟუაზიული უიმედობა – პროლეტარულ ოპტიმიზმით და სიმხნევით, ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმით. მისი ლექსების თემა დღეს არის არა „ცისფერი ყვავილი“ და „მთანმინდის მთვარე“, არამედ – დამკვრელი მუშა და მონინავე მშენებელი, ნითელარმიელი და კოლმეურნე გლეხი. ის დღეს უკვე გახდა ახალი ადამიანის სულისკვეთების გამომხატველ პოეტად. ასეთი გარდატეხა პოეტში, ასეთი გადასვლა „მარადიული საკითხების“ სფეროდან სოციალურ პრაქტიკის ატმოსფეროში ღირსია მისალმების, გამხნევების. პროლეტარიატი ყოველთვის აფასებდა თავის ბანაკში მყოფი მწერლის ბრძოლას, მის შემოქმედებით გაქანებას აძლევდა ცოცხალ ენერჯიას და უძლევდა პერსპექტივას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გალაქტიონ ტაბიძე ყოველთვის გრძნობს მომენტის ამოცანას და ამ მხრივ მის მხედველობით არეს გარეშე არ რჩებოდა ისტორიული ნაბიჯები ეპოქისა. მას აქვს ლექსები საბჭოთა პრესის, ეროვნებათა ძმური კავშირის და საერთოდ აქტუალურ პოლიტიკურ კითხვების შესახებ.

ჩვენ დღემდე უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე ბევრი პოეტის ლიტერატურულ სიკვდილს და დავინწყებას მოვესწარი და კიდევ ბევრს მოვესწრებით. მაგრამ არ მოკვდება ისეთი პოეტი, რომელმაც ადრე გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ ისტორია პროლეტარიატის მხარეზეა და თავისი მძლავრი შემოქმედებითი უნარი მოახმარა ახალ ეპოქას. ასეთი პოეზია დარჩება ლიტერატურის ისტორიაში მომავალ თაობისათვის, როგორც საუკეთესო მემკვიდრეობა. ამავე ხასიათს ატარებს გალ. ტაბიძის პოეზიაც რევოლიუციის შემდეგ.

ჟურნ. „მნათობი“, 1933, № 5.

შ. რადიანი

გალაქტიონ ტაბიძე

[...] მეორე წიგნში გ. ტაბიძე უკვე ამჟღავნებდა ერთგვარ რელიგიურ განხრას. ხელოვნება აქ უკვე გადადიოდა რელიგიურ განწყობილებებში. ეს მოვლენა თანდათან ძლიერდებოდა მასში. გ. ტაბიძე მთელ რელიგიურ ლოცვებს ქმნიდა [...] „განდეგილ მამათა „უმანკო ჩასახვის“ სავანეში“ მისვლა გ. ტაბიძეში იწვევს გახსენებას ცხოვრების სიმკაცრის შესახებ. აქედან პოეტი ადვილად გადადის რელიგიურ მოწოდებაში:

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალეზი შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!
დაქრიან უდაბნო ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!
(„შემოდგომა „უმანკო ჩასახების“
მამათა სავანეში“)

მეორე ტომში ხშირი იყო რელიგიურ-საეკლესიო ატრიბუტების გამომხატველი სიტყვები: ღვთისმშობელი, მონასტერი, მაცხოვარი, ჯვარისწერა, სამრეკლო, ზარები, წმინდა გიორგი, ქრისტე და სხვ.

წიგნიდან „შემოქმედება და კრიტიკა“, თბილისი, 1933, გვ. 186-187.

შ. რადიანი

გალაქტიონ ტაბიძე

[...] საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგაც ჰქონდა გ. ტაბიძეს იდეური ხასიათის ჩავარდნები. ეს ყველაზე უფრო რელიგიურად გამოჩნდა „ას ლექსში“. აქ ჯანსაღ განწყობილებასთან ერთად გ. ტაბიძე გამოეხმაურა თავისი ძველი დაცემულობის განწყობილებას, მაგრამ მას დიდხანს არ შეერჩენია პოეტი. რევოლუციურ მასებთან კავშირმა მას ხელი შეუწყო, დაედლია ძველი ანტირევოლუციური „ნოტი“ თავის თავში.

გაზ. „კომუნისტი“, 1933, 5 ივლისი, № 153.

სიმონ ხუნდაძე

გალაქტიონ ტაბიძე

1

გალ. ტაბიძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა მეტად ვრცელი და შინაარსიანია. პოეტს ორი დიდი ეპოქის მანძილზე მოუხდა თავისი შემოქმედებითი ენერჯის გაშლა, ხოლო ამ ეპოქებს არ შეეძლო თავისი დიდი გავლენა არ მოეხდინა პოეტის სულიერ განწყობილებაზე და ამა თუ იმ სახით არ მიემართა მისი პოეზიის ძირითადი მოტივები.

გალ. ტაბიძის გონებრივი აყვავება 1905 წლის დიდი მოძრაობის პერიოდში მოხდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მთელი თავისი ჭაბუკური გატაცებით განიცადა ეს დიადი ხალხური მოძრაობა და თავისუფლების ბრწყინვალე დღეები. მაგრამ ეს დღეები ხანმოკლე აღმოჩნდნენ: შავმა რეაქციამ დიადი აბობოქრება სისხლში ჩაახრჩო და მთელი რუსეთის მანძილზე „შავი ნისლი“ გადააფარა. თვით პოეტი თავის პირველ არალეგალურ ლექსებში (1908 წ.) ამბობდა:

მეფეს კი, მეფეს კი –
ქარით და გრიგალით
თითქოს არავისა
და არარაისი –
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.

პირველ აღფრთოვანებას და მზიან დღეებს ზამთრის სუსხიანი დღეები მოყვა, გაზაფხულის აყვავილება დაჭკნა და ყოველივე შავი ბურუსით დაიფარა. სუსხიანი დღეების დასაწყისში პოეტს კიდევ სწამდა, რომ დიადი გაზაფხულის დღეები კვლავ განახლდებოდა, მაგრამ „მაისის მობრუნების“ იმედი სუსხმა დააჭკნო და პოეტის გულიც სევდით აივსო:

სწუხს არე-მარე, კვნესის მიდამო,
ხმაჩანყვეტილი ზუზუნებს ქარი...
და მის ქვითინში მე ჩემი ყრმობის
აუხდენელი მესმის ზღაპარი.

ეს „ზღაპარი“ წარსულ თავისუფალ დღეების ტკბილი მოგონებაა, განვლილ მაისის დღეებით აყვავებულ იმედების ზმანებაა.

ყმანვილკაცობა, სიხალისე სიცოცხლის დილის,
ისე გამიქრა ვით ბურუსი... როგორ ვენამე!
მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძღურდი და მოვიშხამე...
ახალგაზრდათა დაცემის და დაუძღურების,
ახალგაზრდათა მწუხარების მე ვარ მონამე;
მეც იმათ შორის უკუბრუნებელ წყლულებით ვკვდები...

ასე გაუქრო პოეტს „სიცოცხლის დილის სიხალისე“ შავმა დრომ და „მწუხარების“ გრძნობით აივსო მისი გული. „ახალგაზრდათა დაცემისა და დაუძღურების“ მონამე პოეტი თავისი ქნარის კვნესით ეპოქის განწყობილებას გამოხატავდა.

ახალგაზრდობაში გამეფებულ უიმედობით კვნესოდა. ირგვლივ „სიბნელე“ გამეფდა, გამოსავალი გზა არსად სჩანდა:

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“
მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა;
გადაიფრინა და მომაგონა
დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,
ჟამი, ყველაფრის მქმნელ-გარდამქმნელი,
სივრცე, ყველაფრის მიმტევებელი.

„უბედობის დრომ“ დააჭკნო ახალგაზრდული გატაცება და იმედები. ირგვლივ შავი ნისლი გამეფდა, ცხოვრება და ქვეყანა კუბოს დაემსგავსა.

რად მინდა სატრო, ნათესავი, თანამგრძობელი?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი სოფელი.

„მთელი ქვეყანა, სოფელი, სამშობლო“ პოეტისთვის უდაბნოდ გადაიქცა, მას გამო-
სავალი არსად არ აქვს.

საით მივყევარ ჩემს მონყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?..
არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს
ვითვლი და ვითვლი ყმანვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.

პოეტის „უიმედობა“ და სასონარკვეთილება უმაღლეს ნერტილამდე აღწევს:

ასე უმიზნოდ, უალერსოდ სულს დავლევ ბრბოში
ასე მოვკვდები ჩემს საყვარელ საქართველოში.

ვიტყვი – რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში.

ამ „მწუხარებისა“ და „შემოდგომის იარებით“ დაფერფლილი „სულის კვნესა“, „გულის
ტკივილი“, „სიყმანვილის ნეტარი ფიქრით“ გამონვეული, – ნაზი მელანქოლიით ისახება გალ.
ტაბიძის შემოქმედებაში:

ჭკნება, ყვითლდება საბრალო ბაღი,
ქარი უბერავს, ფოთლები ცვივა...
გამოურკვეველ მწუხარებაში
სული მიკვნესის და გული მტკივა!
ოჰ, მტკივა გული! ყვითელ ფოთლებით
კვალ-ბილიკები მიმოიფარა,
ფოთლები სცვივა ჩემს გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა...
რა ვქნა, რა ვუყო ამ მწუხარებას
არც დღე, არც ღამე ის არ მშორდება...

„ნარსულის განუმეორებლობა“, „სიყმანვილის ნეტარი ფიქრის“ დამსხვრევა და „გაყ-
ვითლებული“, გადამჭკნარი, ფოთლებდაცვნილი ბაღი – აი, როგორი პირობები შეიქმნა
პოეტისათვის, რომლის გული უიმედობის ტკივილებით აივსო:

რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი.

ამ „სიბნელეში“ და გამოუვალ ქაოსში მომწყვდეული პოეტი სიცოცხლის მიზნის ძებნა-
შია, მაგრამ პასუხს ვერსად პოულობს:

არ ვიცი... მაგრამ უმიზნობაში
ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...

ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა პოეტის ბუნებაში უიმედობა და ღრმა პესიმიზმი გაამეფა.

გალ. ტაბიძემ უცილოდ განიცადა უცხოეთისა და რუსეთის სიმბოლისტური გავლენა, მაგრამ ეს გავლენა თავისებურად არის განცდილი და გამოსახული. გალ. ტაბიძე XX-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თავისებური სახისა და ორიგინალური პროფილის მატარებელია; იგი არ შეიძლება სხვამდე დაყვანილ იქნეს. გალ. ტაბიძის ეს თავისებურობა და ორიგინალობა გამოიხატება არა მარტო იმ დიდ ხერხიანობაში, რომლითაც პოეტი ააშკარავებს თავის დიდ ნიჭს ფორმისა და შინაარსის შესიტყვებაში, არა მარტო ქართული ლექსის გარეგანი ფორმის დამუშავებაში, სახეების, რითმისა, რიტმისა და ასონანსების სიმდიდრეში, არამედ იმ თავისებურ განცდებშიაც, რომელიც პოეტის შემოქმედების ყოველ სტრიქონში სჩანს.

გალ. ტაბიძე ნერვების, გრძნობებისა და განცდების დიდი პოეტია. იგი ბუნებაში, ფერებში, სახეებში, რითმებსა და რიტმებში ეძებს ისეთ რამეებს, რაც ყველაზე უფრო ასახავს მისი ზღვა გულის მღელვარებას, მისი ნერვების ცახცახს, მისი გამოუცნობი განცდების თრთოლვას, მის შინაგან წვას. და ეს ყოველივე ხდება ბუნებრივად, თავისთავად, ძალდაუტანებლად. სიტყვა და ფორმა მის ლექსში მუსიკალურად ესხეულება ერთიმეორეს, და აქ ისახება ის დიდი ნოვატორობა, რომელიც გალ. ტაბიძემ შემატა ქართული ლექსის კულტურას.

გალ. ტაბიძე უაღრესად ინდივიდუალური განცდების მგოსანია. იგი, როგორც ყოველი სიმბოლისტი მგოსანი, თავის შინაგან „მე“-ში იყურება და თავისი შინაგანი მსოფლიოთი არის დაინტერესებული. პოეტი ამ გულში „საიდუმლოდ ნაგრძნობ-ნაფიქრს“ უმღერის, მისი გამოუცნობი მეტყველება აინტერესებს:

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჯღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ამ „გულის გულის ნაღველი“ და „მის სიღრმეში“ „საუკუნოდ შენახული“ განცდები ველარ ეტევა პატარა გულში, იგი თავის „გაფორმებას“ მოითხოვს; პოეტის ტრაგედია აქ იწყება. ის ჰფიქრობს, რომ ჩვეულებრივი სიტყვათა მარაგი და საუკუნოებით განმტკიცებული ლექსიკა უძლურია გადმოსცეს, „ამოაშროს“ მის „გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი“. პოეტი იბრძვის ამ შაბლონურ სიტყვათა წინააღმდეგ და „გულის საიდუმლოების“ ამსახველ ახალ ხერხებს ეძებს:

არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება,
სიმართლის ალი, როგორც ბურუსი
ისე ირღვევა და იფანტება...
და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს
გამოუთქმელი და მწარე ალი.
სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს
გულში ნაგრძნობი ნაფიქრალი?..

ამ „გამოუთქმელ მწარე ალს“, ამ „საიდუმლო გულის ნაგრძნობს“ ვერ გადმოსცემს ჩვეულებრივი ენა. მას ახალი „ინსტრუმენტი“ ესაჭიროება ასახავად. აქ ასახულია ის ტრაგედია, რომელიც ვიარ. ივანოვის სიტყვით, ააშკარავებს თანამედროვე სიმბოლიზმის ძირეულ პრობლემას „...болезненно пережитое современной душой противоречие – потребности и невозможности

“Высказать себя“ („Заветы символизма“ 121, 1916)¹. აქედან წარმოსდგა სიმბოლიზმისათვის ახალი პოეტური ენის გამომუშავების ამოცანა. ჩვეულებრივი სიტყვა უძლურია ასახოს სავსებით ადამიანის შინაგანი წვა, – საჭიროა სიმბოლოების საიდუმლო ფერების და ნიშნების შემუშავება, რომ „შინაგანი თქმა“ თავის შესაფერის ფორმით აისახოს. დ. მერეჟკოვსკი 1893 წ. სწერდა: „Слова только определяют, ограничивают мысль, а символы выражают безграничную сторону мысли“². აქედან წარმოსდგა სიმბოლიზმის თეორიის ის გარკვეული მოთხოვნა, – ახალი ხერხით, სიმბოლოებით, უსახო და ბუნდოვანი ნიშნებით – შინაგანი განცდების გამოხატვა, ბუნდოვანმა სიტყვამ უნდა გადმოსცეს უსახო განცდები, უსახო სიმბოლოებმა უნდა გადმოსცეს უსახო განცდები. სიმბოლიზმმა მუსიკაც გამოიყენა, შინაგანი განწყობილების გადმოსაცემად. გალ. ტაბიძის პოეზია ცხადი მაჩვენებელია ასეთი შეხედულებისა. „დაცვენილი ფოთლებით“, „ნისლებით“, „ლურჯი ფერებით“, „უცნობი ზმანებით“ და რაღაც უსახო სიმბოლოებით სავსეა მისი პოეზია.

წყნარი სევდა მენვევა:
წამილებს სიმთა ჟღერა;
ნისლით გამოერკვევა
ჩემი გულის სიმღერა.

მღერის პოეტი და მისი „გულის თქმა ნისლით გამორკვეული“ კიდევ უფრო ბუნდოვანი და გამოურკვეველი ხდება. მაგრამ პოეტი ჰფიქრობს, რომ მისტიური, უჩვეულო, გამოურკვეველი ნიშნები უფრო გადმოსცემენ მის „გამოუთქმელ“ განცდებს და განწყობილებებს:

წუხელი ღამით ქარი დაქროდა
და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა.
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა...
გადამიშალა თვალწინ წარსული
და მწარედ, მწარედ ამაქვითინა.
როდესაც მისებრ მიუსაფარი
ვეხეტებოდი სევდიან ღამეს,
რამდენ ტკბილ ფიქრებს მოელო ბოლო,
რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს...
წუხელი, ღამით ქარი დაქროდა
და როცა დილით გამომეღვიძა,
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს
მიმოეფარათ ყამირი მინა,
ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე
დაცვენილიყო ფოთოლი რბილი
და დიდხანს, დიდხანს ვხეტილობდი,
წარსულ სიზმრებში გადაფრენილი.

ეს მისტიურ-მელანქოლიურ განცდათა მთელი ზღვაა. პოეტის ნაზი გული, გამოუცნობი და ღრმა მელანქოლია, დაკარგულ სიამით ათრთოლებული ნერვები მოხდენილი ოსტატობით არის შეხამებული ობოლი ქარის მოთქმასა და ყვითელ ფოთლების მწუხარებასთან:

ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,
როცა ქვითინებს და კენესის ყველა,
როგორც ჩვენება გასაკვირველი,
ფრთხილად აყვება თეთრი პეპელა.

1 „...თანამედროვე სულის მიერ მტკიცდებულად განცდილი წინააღმდეგობა – ნაგრძნობის გამოთქმის მოთხოვნილება და შეუძლებლობა („სიმბოლიზმის ალექსანდი“ 121, 1916).
2 „სიტყვები მხოლოდ საზღვრავენ, ზღუდავენ აზრს, სიმბოლოები კი გამოხატავენ აზრის უსაზღვროებას“.

ასე, ნუგეშო, ჩემს შფოთარ ყოფნას
შენ მოუვლინე სხივი პირველი,
როგორც სიმღერა მოულოდნელი,
როგორც პეპელა გასაკვირველი.

გალ. ტაბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული სიძლიერით არის შეზავებული ფერე-
ბი და ბუნების სხვადასხვაგვარი მოვლენები. ასეთი შეფერება ჰქმნის მელანქოლიურ
განწყობილებას, რაც მგოსნის შეგრძნობით, საუცხოვოდ ასახავს მისი სულის მღელვარე სა-
იდუმლოებას, პოეტი მხოლოდ ბუნების საიდუმლო ფენებში პოულობს თავის გამოუთქმელ
განწყობილების ასახვას:

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

პოეტმა თავის „მე და ღამეს“ შორის საიდუმლო გზები ნახა.

გალ. ტაბიძე ერთ თავის წერილში ამბობდა: „რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქ-
ნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებათ“. გაბედულად და გადაჭარბებულად არის ნათ-
ქვამი, მაგრამ პოეტს სურდა თავისი თეორიით გაემართლებია ის ძირითადი მოტივი, რომელიც
მის პირველ პერიოდის პოეზიას ახასიათებდა.

ძველ რომანტიზმსა და გალ. ტაბიძის შორის მრავალი ნათესაობითი კვანძებია გამარ-
თული. ეს ნათესაობა არა მარტო ფერების სიყვარულში გამოიხატება, არა მარტო ლექსიკის
მარაგში, არამედ გარკვეულ განწყობილებასა და განცდებში. უდავოა ნ. ბარათაშვილისა და
გალ. ტაბიძის ნათესაობა. მათ აუცილებლად ამორებს ეპოქის მანძილი და სოციალური ბუნე-
ბის სხვადასხვაობა; მიუხედავად ამისა, მისტიური მელანქოლია დაკარგულ „ტკბილ ყრმო-
ბაზე“ და მეტაფიზიკური სურვილი „ბედის საზღვარის“ გადალახვისა, – თავისებურ ნათესაურ
კავშირს აბამს ამ ორი სხვადასხვა საუკუნის პოეტს შორის. არ იყო შემთხვევითი ის გარემო-
ება, რომ ორივე პოეტის „ბედს“ „შავი ყორანი“ დასჩხაოდა: არც ის, რომ მთაწმინდის ბურუსიანი
საიდუმლო და ღამე იტაცებდა ორივე პოეტს:

ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული.
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედათ,
ოღონდ ვთქვა თუ – ღამემ სულში როგორ ჩაიხედა.

შეიძლება ეს ნათესაური კავშირი უფრო გაღრმავებული იქნეს: ნიკ. ბარათაშვილის
„სულო ბოროტო“ და გალ. ტაბიძის „ელეგია“ ააშკარავენ ამ ნათესაობის მთავარ ხაზებს.

ჩვენი საუკუნის „ბედგანანამები“ პოეტი მღერის:

რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი!
დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები,
დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა, რომ მოგენამლა
ყვავილოვანი სიყმანვილე და ჩემი ქნარი?
ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი,
რად დამიმსხვრია სიყმანვილის წრფელი სიამე...
სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა?
ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე!

ეს მელანქოლიური ტანჯვა, დამსხვრეულ ბედით გამოწვეული, პოეტში იწვევს დაუსრულებელ სურვილს ცხოვრებისგან გაცილებისა და „ყრუ ადგილის“ პოვნისას. ნ. ბარათაშვილმა „ბედის საზღვრის“ გასარკვევად ლაგამაშვებელი, გიჟურად მქროლავი მერანი მიუშვა უსაზღვრო სივრცეში. გალ. ტაბიძეს ეს „გიჟური“ ქროლვა ვერ იტაცებს, იგი უფრო ნაზი და მშვიდობიანია.

ნავალ, გავყვები ამ სევდიან გზას,
ზღვათა ქუხილით, წყალთა ლიკლიკით...
და დავამკვიდრებ დაღლილ სიცოცხლეს
შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით.

ეს „ბედის საზღვრების“ გადალახვა, არსებულ ყოფით უკმაყოფილება და „სიბნელისაგან“ განთავისუფლების ცდა ნაზი ფერებით არის შეზავებული გალ. ტაბიძის პოეზიაში:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.
ცა ლაჟვარდია... დღე არის თბილი,
მზე არის მწარე... გზა არის ცხელი.
კმარა! მოვშორდი შფოთიან ტფილისს!
არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი.

„შფოთიან ტფილისის“ და საერთოდ მღელვარე ქალაქის უარყოფა პოეტის კლასიური ბუნებით აიხსნება. მისი ნაზი შეგნება და მგრძნობიარე ნერვები ვერ ისვენებს და ვერ წყნარდება აბოზოქრებულ და ბრძოლით მოცულ ქალაქებში, მისთვის „ყრუ ადგილი“ და პრიმიტიული ყოფა არის მიმზიდველი.

თავისებურ სიმბოლურ გამოხატულებას ჰპოვებს პოეტის მიერ ქალაქების ცხოვრებით გამოწვეული ქაოტური განცდა ლექსში „ავდრის მოლოდინი“:

ფიქრები ქარის ქვითინში კვდება,
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში:
არ არის არსად ბედნიერება!
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში.

რალაც თავისებური, საიდუმლო და მტკივნეულია პოეტის მიერ განცდილი სიყვარული. იგი რალაც მიუწვდომელი, მისტიურ-მელანქოლიური და ღრმა მწუხარების გამომწვევია, პოეტი წინასწარ გრძნობს თავისი სიყვარულის მიუწვდომლობასა და ტრაგიკულს ბედს. „მერი“ XX საუკუნის ქართული პოეზიის საუკეთესო შედეგია. აქ ამონურულია პოეტის შინაგანი განცდის მისტიურ-მელანქოლიური შინაარსი და ტრაგიკულობა მისი ყოფნისა:

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრილებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრილებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მელირსა —
ქარს მიყვებოდა, როგორც ნამქერი.
სთქვი: უეცარი გასხივოსნება

რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრილდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?..
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყებოდნენ, როგორც მწყებოდა გული
და მე ავტირდი – ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

დიახ! პოეტი დიდხანს იდგა ასე მწუხარე თავის ბედის კარებთან. მაგრამ დრომ მოითხოვა და ეს ლირივით ატირებული სევდიანი მგოსანი ახალი ეპოქის დიდ მგოსნად გარდაიქმნა: რევოლუციონური პათოსისა და სოციალისტური მშენებლობის დიდი მეხოტბე გახდა.

გალ. ტაბიძე მთელი თავისი არსებით შეუერთდა და შეესხეულა თანამედროვე ეპოქას. პოეტი ღრმად განიცდის რევოლუციონური და ინდუსტრიალური ეპოქის შინაარსს. მის აზროვნებაში, მორალურ შეგნებასა და მხატვრულ იდეოლოგიაში ძირითადი და საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა. პოეტი ახლა წმინდა ხელოვნებასა და წმინდა მუსიკას კი არ უმღერის, არამედ სოციალისტურ კულტურასა და რევოლუციონურ მოძრაობას.

პოეტმა ყველაზე ადრე გაიგო რევოლუციის არსებითი შინაარსი და ყველაზე უფრო გადაჭრით, მტკიცეთ მივიდა ახალი ეპოქის მშენებლებთან. თავის „მანიფესტში“ პოეტი სწერდა: „თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანჭებში ახრჩობს ძველს, ახალგაზრდა კბილებით იგი ღრღნის მარმარილოების საფეხურებს წარსულისას... ისინი მარხავენ ძველს ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას... თქვენ: პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შეძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ის ისე, როგორც მოითხოვს თანადროულობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება?.. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა“ („გალ. ტაბიძის ჟურნალი“, №1, 1922). ეს ახალი, რევოლუციონური საქართველოს ხმა ენერგიული პათოსით მეტყველებს გალ. ტაბიძის თანამედროვე შემოქმედებაში.

აღსანიშნავია, რომ გალ. ტაბიძე ნელის, მაგრამ გადაჭრილი ნაბიჯით მივიდა ოქტომბრის რევოლუციამდე.

პირველ ხანებში პოეტს რევოლუციონური რყევის პათოსი და ზოგადი თავისუფლება იტაცებდა. თებერვლის რევოლუციის დროს პეტროგრადში მყოფი მგოსანი მღეროდა:

გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!..
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები, ჩქარა!

რევოლუციის შემდეგმა განვითარებამ პოეტის შეგნებაში უფრო ნათლად ასახა რევოლუციონურ მოძრაობის კონკრეტული შინაარსი და მისი ისტორიული რაობა:

არათუ წლები გადაიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პნკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოქა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

პოეტის შემოქმედებაში ძველმა მისტიურ-მელანქოლიურმა, ნისლიანმა და ბუნდოვანმა თემატიკამ ადგილი დაუთმო სოციალისტური მშენებლობის თემატიკას: პოეტის შეგნებაში უკვე გარკვევით ისახება კონკრეტული სახე და მისი რეალური მნიშვნელობა, ახალი ეპოქის მშენებლობაში პოეტი უკვე განიცდის „რკინიგზის სახელოსნოების მანქანების მუსიკა“-ს. რომ „ეს რკინის სიმღერა არის პოეზია ორი გიგანტის: ადამიანის გონებისა და დაუდგომელი შრომის“.

ამ „რკინის გიგანტურ სიმღერას“ განიცდის პოეტი და თავისებურად ასახავს თავის შემოქმედებაში. ამ მხრივ ჩვენი პოეტი მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი ახალი ლექსის ფორმა მოხდენილად გადაამუშავებული და შესიტყვებულია ახალ თემატიკასთან. თანამედროვე ეპოქის მძლავრი შემოქმედებითი რიტმი, ენერგიული ექსპრესიით სჩქეფს მის შემოქმედებაში. აღსანიშნავია ის, რომ გალ. ტაბიძე ერთნაირი სიძლიერით და ხალისით იყენებს როგორც სოფლის, ისე ქალაქის თემატიკას. თანამედროვე სოფლის სოციალისტური მშენებლობის ასახვაში პოეტი მოხდენილად იყენებს თანამედროვე ხალხური ლექსიკის მუსიკალურ შეზავებას, ბუნებისა და კონკრეტული საგნების რიტმულ და მეტრიულ მხარეებით იშვიათი მუსიკალობით არის დანერვილი კოლექტივთა სიმღერა:

მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს:
წავიდეთ, მოვედოთ
თავისუფალ მთა და ბარს.
მივიდეთ, მივუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს.
ჰარიქა, ჰარიქა
ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს,
ჰარიქა, ბობოლა
ძველ ღობეებს უვლის გარს.
ჰარიქა, ქალაქო,
ველით მანქანების ღვარს.
მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს.
აბა ჰე, აბა ჰე,
მივდგეთ გექტარსა და გას.
წავიდეთ, მივხედოთ
ცეცხლმოდებულ მთა და ბარს!
დროშებით მოვუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს,
ვინ ნახავს რამე დარს.
ახალ საქართველოს დარს,
მეხი-მეხს, ქარი ქარს!
ჩვენ კი მივცეთ მხარი მხარს!

„ეს ძღვევამოსილებს ჰიმნია“ (გ. ქუჩიშვილი) ახალი სოციალისტური სოფლის ნიადაგზე აღმოცენებული.

ასეთ ჰიმნებს უმღერის ახალ კულტურას საბჭოთა ეპოქის დიდი მგოსანი.

კრებული „გალაკტიონ ტაბიძე 1908-1933“, თბილისი, 1933, გვ. 12-36.

ყოველი შემოქმედი თავისი ეპოქის შვილი არის, იგი ეპოქის მძიმე ტვირთით არის დატვირთული. მაგრამ არც ერთი ეპოქა არ წარმოადგენს ერთსახოვანსა და ერთფეროვან მოვლენას; მით უფრო XX საუკუნე მთლიანად აღებული მკვეთრ სოციალურ წინააღმდეგობათა და კლასიურ ბრძოლების ამსახველია; ამ კლასიური ბრძოლების ფონზედ ისახება ადამიანთა მისწრაფებანი. იდეოლოგია და მისი სულიერი განცდანი; თანამედროვე გიგანტური ბრძოლა ორ მსოფლიოს შორის განსაზღვრავს ყოველი ადამიანის მისწრაფებათა რაობას და არსებით შინაარსს.

ეს მომენტები საზღვრავენ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების რაობას, მისი პოეზიის სოციალური შენების არსებით შინაარსს. გალ. ტაბიძე არა მარტო XX საუკუნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელია. იგი საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტიც არის. გალ. ტაბიძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ფართო და ძნელი ბილიკია მისტიურ სიმბოლიზმისაგან რევოლუციონურ რომანტიკისაკენ მიმავალი. გალაკტიონ ტაბიძემ, ერთ დროს პესიმიზმითა და მისტიურ განცდებით აღსავსე პოეტმა, ახალი ეპოქის გიგანტურ პროცესებს შეუერთა თავისი შემოქმედება და უმაღლესი რევოლუციონური პათოსით აავსო თავისი პოეზია:

ცნობილია, რომ გალ. ტაბიძე იმ პერიოდში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე შავი რეაქცია ბატონობდა და დიად რევოლუციონურ მოძრაობას ფრთები შეეჭრა. ამ პოლიტიკურმა რეაქციამ თავისებური გავლენა მოახდინა, სხვადასხვა სოციალურ ფენებზე. განსაკუთრებული მწვავე ტკივილები განიცადა შექმნილ ობიექტურ გარემოებით ერთ დროს რევოლუციონურად განწყობილმა წვრილბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ, რომლის ერთი ნაწილი ღრმა პესიმიზმმა და სასონარკვეთილებამ მოიცვა. ამ პერიოდის პოეზიაში გამეფდა პესიმიზმი, დაცემულობა, ინდივიდუალიზმი და ამქვეყნიურობიდან გაქცევის სურვილი, „ოცნების მხარისკენ“ ლტოლვა. ამ ფონზე განვითარდა ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმი, რომლის ადრინდელი და საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ: გალ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი და ალ. აბაშელი. მაგრამ მათი ადრინდელი სიმბოლიზმი, თავისი ისტორიულ-სოციალური შინაარსით, არსებითად წარმოადგენდა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პროტესტს, გამანადგურებელ რეაქციის წინააღმდეგ მიმართულს. მაგრამ ქართული სიმბოლიზმი თავისი განვითარების პირველ ეტაპზე არ შეჩერებულა და „ცისფერი ყანწების“ სახით (1916 წ.) დეკადენსის უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია, თავისი ბოჰემური განწყობილებითა და აქტიური მოქმედებით ამ პერიოდის ქართული სიმბოლიზმი უკვე სხვა სოციალური ფენის ფსიქო-იდეოლოგიურ განწყობილებას გამოხატავდა: მისი სოციალური საშო ქართველ შავრაზმელ ინტელიგენციის ფენებში უნდა ვეძიოთ, რომლის დასაყრდენი სოციალური კლასი რეაქციისა და მენშევიზმის პერიოდში პოლიტიკურად მოლონიერდა და აქტიურ ბრძოლებზე გავიდა. „ცისფერყანწელები“ ამ განწყობილების ამსახველნი იყვნენ. „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე – ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას“ („ცის. ყანწები“ №1, გვ. 2, 1916 წ.), – ვკითხულობთ მათ მანიფესტში. „ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს მწუხარებას და დაღლილობას!“ – ეს აქტიური ბრძოლა „ცისფერ ყანწებისა“ არსებითად ამსახველი იყო ქართველი ბურჟუაზიის აგრესიობისა და ნაციონალისტური ბრძოლის, მაგრამ ქართველი ბურჟუაზიის გააქტივება ისტორიულად თან ატარებდა თავის სიღრმეში ამ კლასის განწირულ მდგომარეობას: იგი ისტორიის მიერ სასიკვდილოდ იყო განწირული და ეს გარემოება თავისებურ ასახვას პოულობდა „ჩვენი ლოთი ძმების“ – ბოჰემურ შემოქმედებაში. არსებითად თავისი სოციალური საფუძვლებით ქართული სიმბოლიზმის ეს მიმდინარეობა გამოხატავდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ რეაქციას რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულს.

1 სიმონ ხუნდაძის ნარკვევის მეორე ნაწილი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ნაშრომი 1933 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დანერილი.

გალ. ტაბიძის იმ პერიოდის შემოქმედება სიმბოლოზმის საუკეთესო გამომხატველი იყო, მაგრამ მისი პოეზიის სოციალური წყარო ძირიანად განსხვავდება „ცისფერყანწელების“ სოციალური წყაროსაგან; მათი კლასიკური ბუნება სხვადასხვა სოციალურ ფენებში პოულობდა თავის მასაზრდოებელ ნიადაგს:

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.

ასეთი იყო პოეტის მიერ განცდა იმ შავი სიბნელისა და გზათა აღრევისა, რომელიც რეაქციის ეპოქამ გაამეფა ჩვენში. პოეტის განცდა უმაღლეს სასონარკვეთილებამდე მიდიოდა, მასსა და გარემოს შორის განყდა შემაკავშირებელი ძალა, იგი მარტოდ დარჩა, ქვეყნად კი შავი სუდარა გამეფდა:

ვიტყვი, რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში.

ეს კუბო ის ობიექტური გარემო იყო, რომელიც შავმა რეაქციამ გაამეფა და რომელმაც პესიმიზმით აავსო პოეტის ნაზი და სათუთი გული. გარემოსაგან მონყვეტილი პოეტი, ღრმა პესიმიზმითა და სასონარკვეთილებით შეპყრობილი, თავის შინაურ „მე“-ში ეძებს მხსნელ ძალას და თვითვე ქმნის ოცნების სამეფოს:

ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.

მაგრამ ეს „ვიღაცა“ არსად სჩანდა, ის მხოლოდ პოეტის ძიების, სურვილის ნაყოფი იყო და არა – რეალური სინამდვილე. „ვიღაც“ და „რაღაც“ ცის იდუმალობით იქნა დაფარული:

სინამდვილეში ოცნებისას ავანთებ კანდელს,
იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს.

მაგრამ პოეტმა ვერც აქ ჰპოვა გამოსავალი. ოცნების კომპი რეალურმა სინამდვილემ დაამსხვრია და პოეტს „მოსწყინდა ყველაფერი და მობეზრდა ყოფნის მცნება“. ასეთს გამოუვალს მდგომარეობაში პოეტის განცდა მეტად ღრმა და სევდით მოსილი იყო; მისი შემოქმედება იყო – „შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით“.

მაგრამ პოეტს მაინც დარჩა ერთი სათაყვანებელი საგანი – წმინდა ხელოვნებისა და პოეზიის სამსახური:

ხელოვნება – ეს ოქროა მინის გულში დამარხული,
ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი,
მას ვერასდროს ვერ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი...
არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,
მაგრამ ქვეყნად არ არსებობს – ცის ალერსი, ცის ამბორი.
არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი,
აირჩიე მათგან ერთი, აირჩიე ერთი კვალი!

პოეტმა უშიშრად აირჩია ერთ-ერთი გზა, გზა პოეზიის სამსახურისა და თავის ლეიტმოტივად გაიხადა „პოეზია უპირველეს ყოვლისა.“ ამ შემთხვევაში გალ. ტაბიძე საფრანგეთისა და რუსეთის სიმბოლისტების დიდ გავლენას განიცდიდა.

პოეზიის მუსიკალობა და ლექსის ტექნიკის უმაღლესად განვითარება სიმბოლიზმის მხატვრული თეორიის ნაყოფი იყო. მაგრამ ამ თეორიის მონაფე გ. ტაბიძემ ქართული ლექსის გარეგანი მხარე და მისი მუსიკალობა უმაღლეს მწვერვალამდე განავითარა, ამაში არის გალ. ტაბიძის ორიგინალობა და მისი სიძლიერე. მისი „ლურჯა ცხენები“ „გურიის მთები“, „მერი“, „მე და ღამე“, „მთანმინდის მთვარე“ და მრავალი სხვა XX-ე საუკუნის ქართული პოეზიის შედეგებს წარმოადგენენ.

უდიდესი დამახასიათებელი თვისება გალ. ტაბიძისა და მისი შემოქმედების იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, შეგნებულად გამოეთხოვა თავის ძველ განცდებს და იდეოლოგიას და მთელი თავისი სიძლიერით შეიხორცა და შეითვისა თანამედროვე რევოლუციონური და ინდუსტრიალური ეპოქა. გალ. ტაბიძე უცბად არ მისულა თანამედროვე დიადი ეპოქის სინამდვილესთან, იგი ერთი ხელის მოქნევით არ გამოთხოვებია თავის წარსულ შემოქმედებით თემატიკას. ამ გამოთხოვება-შეთვისების დროს მან საგრძნობი პროცესები განიცადა. პირველ ხანებში რევოლუციას „გარედან“ განიცდიდა მგოსანი: ჯერ კიდევ არ იყო შესული მის პოეტურ განცდაში, როგორც მისი გადამჭრელი და ძირითადი დამახასიათებელი თვისება, მაგრამ პოეტი დღითი დღე ორგანიულად ესხეულებოდა რევოლუციას, და სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ გალ. ტაბიძის მიერ განცდილი თანამედროვე ეპოქა და ამ ეპოქის შემოქმედებითი პროცესები ორიგინალურია, თავისებური, მეტისმეტად ღრმა და ყოველგვარ ნაძალადობას მოკლებული. პოეტი მთელი თავისი არსებით განიცდის თანამედროვე ეპოქის დიად რიტმს და უკვდავ ლექსების ფორმებში ასხეულებს მას.

გალ. ტაბიძის შემოქმედებაში დიდი და ორიგინალური გარდატეხა მოხდა: პოეტი აღარ სცდილობს „ძველს“ შეაქსოვოს „ახალი“, როგორც ეს ახასიათებს მრავალ ძველი თაობის მგოსნებს. მისი გადანყვეტილება მტკიცე და გაბედულია, მისი ძველი შემოქმედების მრავალი დამახასიათებელი თვისება ახალი რევოლუციონური ეპოქის განცდებმა გააცამტვერეს. პე-სიმინი იმედიანობამ და ოპტიმიზმმა შესცვალა. სინამდვილიდან მონყვეტილობა და ოცნების სამეფოსკენ სრბოლა – სოციალისტურ სინამდვილესთან შესხეულებამ; პასიობა – რევოლუციონურმა პათოსმა; მისტიური სიმვოლიზმი – რევოლუციონურმა რომანტიკამ; მისტიურ-მელანქოლიური მუსიკალობა და რიტმი – სოციალისტური ინდუსტრიის რევოლუციონურმა რიტმმა და შრომის პროცესების მუსიკალობამ; ოცნება „ვილაცაზე“ და „რალაცაზე“ კონკრეტულმა სოციალისტურმა სინამდვილემ და ახალი ადამიანის თემატიკამ; ძველი ნაზი და მშვიდობიანი ლექსიკა – რევოლუციონური ეპოქის ბგერათა გუგუნმა, წვრილ-ბურჟუაზიული განცდა – პროლეტარული შემოქმედების დიადმა ენერგიამ და კლასობრივი ბრძოლის შეგნებამ.

ზოგიერთს ჰგონია, რომ გალ. ტაბიძის ასეთი „გარდაქმნის“ პროცესში დაზიანდა მისი ლექსების გარეგანი ფორმა, ტექნიკა და მუსიკალური მხარე. რასაკვირველია, ეს არსებითი გაუგებრობაა: დაზიანდა ძველი ფორმა, რომელიც თავისებური გამოხატულება იყო მისტიურ-მელანქოლიურ განცდათა და შინაარსისა; ახალმა თემატიკამ ახალი ფორმა მოითხოვა. ძველი ფორმებით ახალი განცდების გადმოცემა შეუძლებელი იყო. პოეტმა საფუძვლიანად გადაამუშავა ახალ თემატიკასთან ერთად თავისი პოეზიის გარეგანი ფორმის საკითხი და მეტად საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია. თუ გნებავთ, გალ. ტაბიძის მთელი შემოქმედების საიდუმლოების გამორკვევა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შესძლო პოეტმა ასე მოხდენილად ერთი ეპოქის მწვერვლიდან მეორე ეპოქის მწვერვალზე გადასვლა. თავისი პოეზიის თემატიკის, ფორმის, რიტმისა და იდეოლოგიის ასე რადიკალურად გადახალისება, გარდაქმნა და ფორმისა და შინაარსის ასე მოხდენილად შეზავება ახალ სოციოლოგიურ ბაზაზე.

შეიცვალა პოეტის აზრი პოეზიისა და თვით პოეტის დანიშნულებაზე, „აღარ ვარგა, როგორც წინათ, ძველი გულით სიარული,“ ამბობს პოეტი და იგი გადაჭრით მოუწოდებს მგოსნებს ახალი ცხოვრებისათვის მეზრძოლთა რიგებში დადგომას:

პოეტი არის მეზრძოლი,
ახალი ქვეყნის მჭედელი,
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში,
როგორც ქვიტკირის კედელი.

პოეტი აქტიური მებრძოლი უნდა იყოს ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში; ეს აზრი წითელი ზოლივით არის გატარებული გალ. ტაბიძის შემოქმედებაში:

არა თუ წლები გადაიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსი, ყოველი პნკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა, ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

ამ ინდუსტრიალურ ეპოქის მგოსნად გადაიქცა გალ. ტაბიძე. მისი პოეზია ახალი ეპოქის ენერგიითაა გაჟღენთილი, მისი ლექსის ყოველ რიტმში ახალი მშენებლობის მედგარი ენერგია მეტყველებს:

ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს,
წარმოებისთვის წამი არ იცდის,
საკაცობრიოდ იცვლება შრომად
ძველი ბუნაგი კაპიტალისტის.
დაატრიალეთ მედგრად ბორბალი.
ამ მტკიცე ხმაში მკაფიოდ ისმის
პროლეტარული აღფრთოვანება
მოახლოვებულ სოციალიზმის!

პოეტი შეერთებულ შრომის მეხოტბეა. არა მარტო ქალაქის ინდუსტრია, არამედ სოფლის კოლექტიური შრომაც მისი პოეზიის ძირითადი თემატიკაა.

არ შეიძლება აქ არ მოვიყვანოთ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მის „რევოლუციონურ საქართველოდან“:

შეერთებულ შრომას მღერის,
ნისლები რომ ეხურა,
ხანისწყალი, გუბისწყალი,
ცხენისწყალი, ტეხურა.
შეერთებულ ძალას, შრომას
მღერის ვით მაყრიონი –
ლიახვი და ალაზანი,
ჭოროხი და რიონი.
შეერთებულ შრომას მღერის
ჩანჩქერების მარაგი,
ნატანები, იმერხევი,
ენგური და არაგვი –
მაშავერი, მტკვარი, ქსანი,
ალაზანი, ძირულა,
აქ მრავალი ათასი ხმა
ერთად გადაკირულა.
მთებო! დასწვით ძველი შავი
ახალ დროის სიალეთ,
თავისუფალ მწვერვალების
დროშა ააფრიალეთ!

მშვენიერი ლექსია. ამ ლექსის მუსიკალობა და მისი რიტმი საუცხოვოდ შეზავებულია ლექსის მასალასთან და ყოველივე ეს მარტივ ფორმებშია აგებული.

გალ. ტაბიძის პოეზიის თემატიკა სოციალისტურ მშენებლობის დიადი ფრონტია. არ არის დარჩენილი ამ მშენებლობის არც ერთი მხარე, რომ პოეტს თავისებურად არ აესახოს რჩეულ მძივებად: ლითონი, მანქანა, მაზუთი, ნახშირი, რატაციონი, ზაჰესი, რიონჰესი, ხუთნღედი, წითელი არმია, პიონერი, კოლექტივი, ფაბრიკა, სოფელი და ქალაქი – ახალი ადამიანი შედის გალ. ტაბიძის შემოქმედებაში, როგორც მისი ორგანული ნაწილი. აქ ადგილი არა აქვს რაიმე შაბლონსა და ცრუ-კლასიკური ტონით გადამღერებას. პოეტი თვით განიცდის და გრძნობს ყოველივე ამ ფაქტორს: მას მთელი თავისი არსებით ესმის მათი უდიდესი მნიშვნელობა „ახალი კაცობრიობის“ აშენების საქმეში:

წავიდეთ ქარხნებში, ავტეხოთ განგაში,
მუშებო, შეხედეთ რამდენი –
ევროპის ტყვიებში, გაზებში, ტანკაში
ხსნას ელის სიყალბის ჩამდენი!

პოეტი გაჟღენთილია „თანამედროვე ცხოვრების გრძნობით“. მან იცის, რომ გამძაფრებულ კლასიკურ ბრძოლის დროს „სიყალბის ჩამდენი სოციალისტური სიმაგრეების გახრწნას ცდილობს, პოეტს სურს ფხიზლად იდგეს ახალი კულტურის სადარაჯოზე და პროლეტართა მძლავრი არმიის ყურადღება გაამახვილოს მოსისხლე მტერთა წინააღმდეგ. გალ. ტაბიძის შემოქმედების დამახასიათებელი ფორმა ის არის, რომ პოეტს ნათლად აქვს შეგნებული რევოლუციონური მოძრაობის როგორც გრანდიოზული ნგრევითი მხარე, ისე მისი გრანდიოზული შემოქმედებითი პროცესები. ა. ბლოკისათვის მიმზიდველი გახდა რევოლუციის ნგრევითი პროცესები; მისი შემოქმედებითი ინტუიცია ვერ მივიდა რევოლუციონური შემოქმედებითი პროცესების შეგნებამდე. აქ განსხვავება ბლოკსა და გალ. ტაბიძეს შორის მეტად დიდია, უკანასკნელი ნათლად ხედავს, რომ რევოლუციის გამანადგურებელი ცეცხლით ინგრევა ძველი დახავსებული ცხოვრების საფუძვლები და იმავე დროს ნიადაგი ეყრება ახალი ცხოვრების გიგანტურ მნიშვნელობას. გალ. ტაბიძე ძველის რღვევა-განადგურებისა და ახალი გიგანტური სოციალისტური მშენებლობის მომღერალია. იგი განყენებულ და აბსტრაქციის სიცივეში გაყინული ცნებით კი არ სწერს, არამედ კონკრეტულ რეალურ მასალებით, იგი ეხება ისეთ საგნებს, რომელიც რეალურად ხელშესახებია და გონებით წარმოსადგენი. არა აბსტრაქტულობა და სქემატურობა, არამედ საღი რეალიზმი და რევოლუციონური პათოსი, – აი რით ხასიათდება საბჭოთა ეპოქის დიდი მწერლის შემოქმედება.

წიგნიდან: „წარკვევები“, თბილისი, 1941, გვ. 352-369.

მალაქია ტოროშელიძე

გალაქტიონ ტაბიძე

(სიტყვა წარმოთქმული 29 ივნისს, მწერალთა კლუბში

გ. ტაბიძის შემოქმედებით საღამოზე)

დღეს საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს პოეტ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს. ეს საღამო ერთგვარი შესავალია იმ დიდი ლიტერატურული ზეიმის, რომელსაც პოეტს უხდის საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება და მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა მისი სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

გალ. ტაბიძემ განვლო 25 წლის მეტად რთული და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გზა. ეს არ არის მარტო მისი პირადი სასიცოცხლო გზა. როგორც ყოველი საზოგადო მოღვაწე და დიდი შემომქმედი, გალ. ტაბიძეც თავის შემოქმედებით გზებზე გამოიმხატველი იყო და არის

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ეტაპების, გარკვეული საზოგადოებრივი ფენის განწყობილებისა და იდეების. მაშინაც კი, როცა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება უკიდურესად ინდივიდუალისტური იყო, როცა პოეტი, უიმედობის გრძნობით შეპყრობილი, სოციალური ცხოვრებიდან გახიზვნისა და თავის თავში ჩაკეტვის ტენდენციებით ხასიათდებოდა, – ამ პერიოდშიაც კი მისი შემოქმედება გამოხატულება და ანარეკლი იყო განსაზღვრული სოციალური გარემოსი.

თქვენ იცით, რომ ქართულ ლიტერატურას წარსულში მოეპოვება არაერთი ისეთი გიგანტი, რომელთა შემოქმედების ელვარებას შეუძლია გაანათოს არა მარტო ის შედარებით ვიწრო ასპარეზი, რომლის ფარგლებშიც მათ მოქმედება უხდებოდა, არამედ – გაცილებით უფრო ფართო და ვრცელი მანძილი. ავიღოთ თუნდაც კერძოთ ლირიკის დარგი. აქ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ქართული ლირიკის ისეთი მწვერვალები, როგორც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი. მარტო ამ ორი სახელის გახსენება საკმაოა იმის აღსანიშნავად, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორია არაა ღარიბი პოეტური სიტყვის უდიდესი ოსტატებით. მაგრამ აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩვენმა ეპოქამ ქართულ პოეზიას შემატა კიდევ ერთი ახალი მწვერვალი გალ. ტაბიძის შემოქმედების სახით. ჩვენ აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ტაბიძე, როგორც დიდი ხელოვანი, ჩამოყალიბდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

ზედმეტია აქ იმის მტკიცება, რომ გალ. ტაბიძე უდიდესი ნიჭის პოეტია. მისი დიდი პოეტური ნიჭი და პოტენცია არ ინვეს არავითარ ეჭვსა და დავას. მაგრამ საქმე ის არის, რომ პოეტმა შესძლო ამ თავისი ძლიერი ნიჭის და შესაძლებლობათა სათანადოდ გამოყენება ჩვენი კულტურისა და საერთოდ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. თქვენ იცით, რომ გალ. ტაბიძის ნიჭის აღმოცენება და განვითარება ხდებოდა ისეთ საზოგადოებრივ გარემოცვაში, რომელიც არ უქმნიდა პოეტს შემოქმედებითი ზრდისათვის ხელშემწყობ პირობებს. გალ. ტაბიძე არ გამოსულა პრივილეგიურ წოდებიდან. ამიტომაც მისი ტალანტისათვის განსაკუთრებით რეალური იყო პოეტური უნარის ჩახშობის საფრთხე. მაგრამ, როგორც ვხედავთ, პოეტმა შესძლო თავისი ნიჭი გადაერჩინა რეაქციის სუსხიანი გარემოცვისაგან და იგი უმაღლეს პოეტურ ფორმებში გადმოეშალა. ეს მოწმობს მისი ნიჭისა და პიროვნების ზედმინევიან აქტიურობას, მეტად ბუნებას.

მაგრამ თუ რეაქციის გარმოეცვამ ვერ გაყინა, ვერ ჩაკლა გ. ტაბიძის მძლავრი შემოქმედებითი მისწრაფება, სამაგიეროდ ღრმა ზეგავლენა მოახდინა მასზე. ის უიმედობა, ღრმა პესიმიზმი და დაცემულობის განწყობილებანი, რომლითაც აღბეჭდილია გ. ტაბიძის რევოლუციის წინაპროინდელი პოეტური პრაქტიკა, შედეგია იმ სოციალური უიმედობისა და სასონარკვეთის, რომელიც წვრილბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ განსაკუთრებით მძაფრად განიცადა 1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში. აქ პოეტმა უკვე ვეღარ შესძლო ორგანიულად დაკავშირებოდა მომავლის რწმენით ამოძრავებულ და მორიგ ბრძოლებისათვის ძალთა მოკრების პროცესში მყოფ პროლეტარიატს. სოციალური უიმედობის ნისლში მან ვერ განსჭვრიტა მუშათა კლასის ნათელი პერსპექტივა და უიმედობის და სკეპსისის რკალში მოემწყვდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის შემოქმედებაში გ. ტაბიძემ მიაღწია დეკადენტური ლექსის უმაღლეს ფორმებს, რევოლუციის წინ იგი ჩავარდა შემოქმედებითი ერთფეროვნებისა და სოციალური იდეურობისაგან დაცლის საფრთხეში. აქ კი პოეტის ტალანტს მართლაც რეალური კრიზისი მოელოდა. იგი მივიდა ავადმყოფური მისტიციზმის და უსაგნო აბსტრაქციათა უაღრეს ხაზებამდე და მხოლოდ ჩვენმა რევოლიუციამ გამოიყვანა პოეტი ასეთი ჩიხიდან, დააყენა იგი რევოლუციური შემოქმედების ფართო და ძლევამოსილ გზაზე.

ის გარემოება, რომ გალ. ტაბიძეს დღეს ზეიმს უხდის ჩვენი ფართო პროლეტარული საზოგადოებრიობა, აიხსნება არა მარტო ტაბიძის პოეტური ნიჭის სიძლიერით და მრავალფეროვნებით, არამედ იმითაც, რომ ჩვენი რევოლუციის პირველსავე წლებში გ. ტაბიძე გარკვეულად და გაბედულად გაემიჯნა ანტიპროლეტარულ იდეოლოგიას. მან, პირველმა ოქტომბრის წინაპროინდელი მხატვრული ინტელიგენციის ბანაკიდან, გადმოდგა გაბედუ-

ლი ნაბიჯი მუშათა კლასის იდეური პოზიციებისაკენ, რითაც თავის შემოქმედებაში ახალი ფურცელი გადაშალა.

თქვენთვის ცნობილია პოეტის ასეთი შემოქმედებითი მობრუნების შედეგები. უიმედობისა და ავადმყოფური მისტიციზმის ნაცვლად, მის პოეზიაში მძლავრად აღიძრა რევოლუციური აღფრთოვანების და მებრძოლი ენტუზიაზმის სტიქია. მისი უკანასკნელი ნაწარმოებები: „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და სხვ. ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ პოეტი დღეს უკვე არა მარტო უმღერის ამ რევოლუციას, არამედ ღრმა პოეტურ გამოხატულებას აძლევს ჩვენი რევოლუციური პრაქტიკის კონკრეტულ მოვლენებს, სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილ პროცესებს სოფლად და ქალაქად. თავის უკანასკნელი ნაწარმოებებით გ. ტაბიძემ დაატკიცა, რომ მან უკან ჩამოიტოვა პროლეტარიატთან ლიტერატურული თანამგზავრობის სტადია და უფრო ორგანიულად დაუკავშირდა ჩვენი კლასის მხატვრული კულტურის მშენებელთა კადრებს. ამიტომ ვაფასებთ და სათანადოთ ვზვიამობთ ჩვენ გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავს.

დღევანდელი საღამო ერთგვარი შესავალია იმ დიდი ლიტერატურული მუშაობის, რომელიც გაიშლება გალ. ტაბიძის შემოქმედებითი გზების ყოველმხრივად შესწავლისა და მეცნიერულად დამუშავების ხაზით. სრულიად ბუნებრივია, რომ პირველი საღამო იმართება აქ, მწერალთა სასახლეში. საბჭოთა მწერლობა ვალდებულია, სთქვას პირველი სიტყვა პოეტის დასაფასებლად და სთქვას იგი სრულიად ავტორიტეტულად, კომპეტენტურად.

მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლობის ორგანიზაცია შესძლებს გალ. ტაბიძის შემოქმედების ღირსეულ დაფასებას. თუმცა დღევანდელი ერთი საღამოს ფარგლებში შეუძლებელია პოეტის ასეთი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის ყოველმხრივი, ღრმა ანალიზი, მაგრამ მაინც დღევანდელი სხდომა, მე ვფიქრობ, შესძლებს ტონი მისცეს იმ დიდ ლიტერატურულ ზეიმს, რომელსაც გალ. ტაბიძის იუბილე წარმოადგენს.

ნება მომეცით, გალ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო გახსნილად გამოვაცხადო და საქართველოს საბჭოთა ლიტერატურული საზოგადოებრიობის სახელით მხურვალედ მივულოცო და მივესალმო იუბილარს იმ მტკიცე რწმენით, რომ პოეტი მომავალშიაც ენერგიულად და უკანდაუხეველად განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას საბჭოთა პოეტური კულტურის ახალ სიმაღლეებზე ასაყვანად.

„სალიტერატურო გაზეთი“, 1933, 5 ივლისი, № 15.

ბენ. ბუაჩიძე

გალაქტიონ ტაბიძე

ახლახან გამოვიდა გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომი. წიგნში მოცემულია პოეტის შემოქმედების რევოლუციური ნიმუშები, მისი ჯანსაღი ტენდენციები. პოეტის იდეური გარდატეხა რევოლუციის გავლენით, მისი ორგანული ზრდა საქართველოს უდიდეს საბჭოთა პოეტად. გალაქტიონ ტაბიძის ეს წიგნი საბჭოთა პოეზიის უეჭველი და ბრწყინვალე გამარჯვებაა. ქართულ პოეზიაში ეს წიგნი დარჩება, როგორც ჩვენი ეპოქის შესანიშნავი და საამაყო პოეტური დოკუმენტი, როგორც ძვირფასი განძი, რევოლუციურ სინამდვილესთან ორგანული კავშირის საფუძველზე შექმნილი [...]

როგორც საერთოდ, ისე გალ. ტაბიძის მიმართაც, ვულგარული სოციოლოგიზმის „ოსტატები“ ვარჯიშობდნენ პოეტის შემოქმედების ამა თუ იმ კლასის, ამა თუ იმ ჯგუფის კუთვნილობის აღმოსაჩენად. გალ. ტაბიძე თავიდანვე ღრმა აზრისა და რთული შემოქმედების პოეტი იყო და მისი კლასობრივი ბუნების არითმეტიკული განსაზღვრა საქმის გაიოლებას ნიშნავდა. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ პირვანდელი ტაბიძის შემოქმედების რთულ

და მრავალმხრივ ბუნებაში გაიმარჯვა რეალისტურმა და რევოლუციურმა ტენდენციებმა. ეს მოხდა ოქტომბრის რევოლუციის იდეური გავლენის საფუძველზე. პოეტმა თავი დააღწია მისტიკის ყოველგვარ ელემენტს, გაარღვია პესიმიზმის შემხუთველი რგოლი, დასძლია სულიერად ღარიბი ინდივიდუალისტური ლირიკა და თვისობრივად ახალი, ოპტიმიზმის პოეზიის შესანიშნავი ოსტატი გახდა.

გაზ. „კომუნისტი“, 1936, № 24, 30 იანვარი

აკაკი განერელია

გალაქტიონ ტაბიძის ლირიკა

მიმდინარე წელს სრულდება ოცდაათი წელი გალაქტიონ ტაბიძის გამოსვლიდან ლიტერატურის სარბიელზე, ხოლო მომავალ წელს – ოცი წელი მისი მეორე წიგნის “Crane aux fleurs artistiques” გამოქვეყნებიდან. ლირიკული კრებული, რომელშიაც მოთავსებულია პოეტის მთელი რიგი შესანიშნავი ლექსები, დღემდე ინარჩუნებს თავის სიცხოველესა და მიმზიდველობას. და რადგანაც ახალი ქართული პოეზიის ისტორიაში ამ წიგნით იხსნება სრულიად ახალი ხანა პოეტური კულტურისა, დროა, უფრო დაწვრილებით გავერკვეთ უნიჭიერესი ქართველი ლირიკოსის შემოქმედების ზოგიერთ თავისებურებაში.

გალაქტიონ ტაბიძემ ლექსების პირველი წიგნით გამოამჟღავნა იშვიათი ოსტატობა ლირიული თრთოლვის გადმოცემის სფეროში. მართალია, პოეტი ჯერ კიდევ მიდიოდა რომანტიული ლირიკის ნაცნობი გზით, იგი დიდის სიფაქიზით იმეორებდა ძველს მოტივებს, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა თანამედროვეთა შორის, მაგრამ ფერების ზუსტი განაწილება, პეიზაჟის ხატვის უნარი, დიდი ემოციური ძალა მისი ლექსებისა იმთავითვე ცხადჰყოფდა, რომ რომანტიულ ლირიკას შემდეგში აღარ შეეძლო რაიმე ახლისა და მნიშვნელოვანის თქმა ამ მიმართულებით. გალაქტიონ ტაბიძემ თითქმის ამოსწურა ამ ლირიკის შესაძლებლობანი. იგი ეხებოდა საკმაოდ ცნობილ თემებს („ყორანი“, „მთანმინდაზე“, ციკლი ლექსებისა მარტოობისა და მიუსაფრობის შესახებ) და თითქოს უკანასკნელად იმეორებდა ნ. ბარათაშვილის პოეტურ ხმას:

რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი!
დროო წყეულო, სად წარიღე
ჩემი ფიქრები,
დროო ბოროტო, სად დამარხე
ოცნება წყნარი?
მარქვი... და სხვა.

მეორე წიგნში კი პოეტმა სრულიად შესცვალა ეს ინტონაცია. „მე მილაღატეს ძველმა რითმებმა!“ – აცხადებს გალაქტიონ ტაბიძე “Crane aux fleurs artistiques”-ში. არა მარტო რითმებმა, ძველმა რიტმმა და სახეებმაც უღალატეს მას. ეს იყო ღალატი, გამართლებული ისტორიულად, რომელმაც ქართული პოეზიისათვის პროგრესიული როლი შეასრულა: გალაქტიონ ტაბიძე შემდეგ აღარ დაბრუნებია ტრადიციას.

ამ წიგნის პირველ ფურცლებზევე ჩნდება ეპიგრაფები ფრანგი ლირიკოსების ლექსებიდან. ავტორი ამით თითქოს წინასწარ გვანიშნებდა თავისი პოეტური კულტურის ევროპულთან დაახლოვებას. პირველად ქართულს პოეზიაში იბადება საგნების თავისებური იერარქია, განწყობილების ახალი ტონოსი, რომელიც უნდა გაეზიარებინა ქართული მხატვრული სიტყვის ბუნებას, ან – უკუეგდო იგი. გალაქტიონ ტაბიძემ შესანიშნავად გადასჭრა ეს ამოცანა.

წინასწარი პირობები ამისათვის თვით გალაქტიონ ტაბიძის ლექსებში იყო მოცემული.

იშვიათია პოეტი, დაჯილდოვებული ისეთი აბსოლუტური სმენით, როგორც გალაქტიონ ტაბიძე. ყოველი ბგერა მის ლირიკულ შედეგებში წარმოადგენს მუსიკალური გამმის ერთეულს, მელოდიური ტალღის ფაქიზად გამართულ ელემენტს. თუნდაც ამიტომ გალაქტიონ ტაბიძეს უფლება ჰქონდა “Romances sans parole”-ის ავტორის¹ სახელი აღენიშნა თავისი წიგნის პირველსავე გვერდზე.

თუ უმაღლესი პოეზია არასოდეს არ შეიძლება იყოს ის, რაც არის პროზა (პოლ ვალერი), გალაქტიონ ტაბიძის ლექსიც, როგორც იუველირის ნამუშევარი, ვერ ითმენს დაშლას არაპოეტური კონსტრუქციისათვის: მისი უაღრესად ნიუანსირებული სტროფისა თუ ტაეპის აზრის თარგმნა პროზის ენაზე შეუძლებელია. და საერთოდ – თუ პოეზიაში ორიგინალური, მაგრამ ბუნებრივი ხმა მხოლოდ მაშინ იბადება, როცა პოეტი გამოთქმისათვის შესაფერი ფორმების ძიებისას უნდობლად ეკიდება ყოველ ფრაზას, სიტყვის ყოველ მიმოხრას (მათთვის ახალი ბუნებრივობის მინიჭების მიზნით), ხოლო საბოლოოდ გაფორმებულ ლექსში ამ უნდობლობის კვალსაც არ სტოვებს, – გალაქტიონ ტაბიძემ შესანიშნავად იცის პოეტური ალქიმიის ეს საიდუმლოება.

* * *

ის თავისებური დამოკიდებულება სიტყვისადმი, რომელიც სიმბოლისტურ სკოლას ახასიათებდა საფრანგეთსა და რუსეთში, ყველაზე ფრთხილად ქართულს პოეზიაში გალაქტიონ ტაბიძემ გაიზიარა. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გალაქტიონ ტაბიძე იმთავითვე იყო განთავისუფლებული ამ სკოლის დეკადენტური თემატიკისაგან.

გავლენის საკითხი პოეზიაში საერთოდ რთული პრობლემაა. ერთს შემთხვევაში გავლენა თამაშობს დადებით როლს, რამდენადაც ის მეორე ერის პოეტური მეტყველების კულტურაში სიტყვის ახალ შესაძლებლობებს ხსნის და ახალი კუთხით აშუქებს თემებსა და განწყობილებებს. მეორე შემთხვევაში კი გავლენა ჰბადებს ეპიგონობას, რჩება ორგანიულად უცხო ამ ერის მხატვრული კულტურისათვის.

გალაქტიონ ტაბიძეს ჰყავდა თავისი მასწავლებლები რუსულ და ევროპულ პოეზიაში “Crane aux fleurs artistiques”-ში გვხვდება სახელები ბოდლერის, ვერლენის, გოტიესის და სხვების; უფრო ადრინდელი თუ გვიანი ხანის ლექსებში – ნოვალისის, ბლოკისა და სხვებისა. მაგრამ არც ერთი ამათგანის პირდაპირი მიმბაძველი გალაქტიონ ტაბიძე არ ყოფილა. მან იცოდა, რა მიუღობი თავისი უცხოელი წინაპრებისაგან.

სწორედ ამის გამო შესძლო გალაქტიონ ტაბიძემ მოენახა სინთეტიკური ხაზი ევროპულსა და ქართულს პოეზიას შორის. პოეტი მიმართავს ქართული ლექსის იმ მარაგს, რომლებიც საუკუნეებით დაგროვებულა, ხოლო მისი ორიგინალურად გამოყენების დროს, მეტყველების სიხლის ძიებისას ტექნიკურ საშუალებებს ევროპულ პოეზიიდან იღებს. ამ სინთეტიკური მომენტის დაჭერა შეიძლება თვით მისი სალექსო ფრაზის პერსონაჟების სიაშიც. ვერლენის, ედგარ პოესა და ბლოკის სახელებს გარდა იქ გვხვდება რუსთაველის, აკაკის და ილიას სახელები. მსოფლიო ისტორიულ პირებში გარეულია დავით ნარინის სახელიც. და მის წარმოდგენას ერთნაირად იზიდავს როგორც ტეოფილ გოტიეს ეგზოტიკური ქვეყანა, ისე „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში ამეტყველებული აღმოსავლეთი. ეს ემოციური უნივერსალიზმი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია გალ. ტაბიძის მრავალფეროვანი ლირიკისა.

* * *

შეიძლება ითქვას, რომ გალაქტიონ ტაბიძემდე ქართულმა პოეზიამ არ იცოდა მინორული ტონის ისეთი შეთანხმება წარმოდგენებისა და განწყობილებების უფაქიზეს ქსოვილთან, რომელსაც ჩვენ “Crane aux fleurs artistiques”-ში ვგრძნობთ. ქართულ ლექსში ამ ახალი თვისების შეტანა პოეტის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა.

¹ იგულისხმება – პოლ ვერლენი და მისი “Romances sans paroles”, „უსიტყვო რომანსები“, რომელიც გამოქვეყნდა 1874 წელს.

გალაქტიონ ტაბიძის ლირიკაში მელოდიური რხევა შერწყმულია სიტყვის მერყევ, თავისებურად გამჭვირვალე აზრობრივ პლანთან: პოეტი ლაპარაკობს არა მარტო სიტყვათა პირდაპირი, საგნობრივი მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვებს შორის დატოვებული ხარვეზებით, ნახევარტონებით: „სიტყვის აზრის განზრახ დაბნელებას“, რომელიც ვალერი ბრუსოვს სიმბოლისტური პოეტიკის არსებით ნიშნად მიაჩნდა, გალაქტიონ ტაბიძე სრულიად შეგნებულად მიმართავს. სწორედ ამ სფეროში რჩება იგი ერთგული თავისი ევროპელი და რუსი მასწავლებლებისა.

სიტყვისადმი ასეთი დამოკიდებულება თითქოს წინასწარი პირობა უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ გალაქტიონ ტაბიძეს ჭეშმარიტი სიმბოლისტის გზით ევლო. მაგრამ პოეტს ეს მეთოდი თვითმიზნური აბსტრაქციისათვის არ მოუხმარებია. სიზმარი, ზღაპარი, ლანდები, რომელნიც მის ლექსებში იჭრებიან, მოკლებულნი არიან იმ მეტაფიზიკურ განზოგადებას, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო რუსი და ფრანგი სიმბოლისტების ლირიკისათვის. არც ამ სკოლის ლირიკულ პერსონაჟებს (ჰამლეტი, ოფელია, კოლომბინა, არლეკინი) დასესხებია პოეტი მათ. სხვათა შორის, აქ ჩანს განსხვავება გალაქტიონ ტაბიძესა და ალექსანდრე ბლოკს შორის, რომელთანაც ხშირად აკავშირებენ “Crane aux fleurs artistiques”-ის ავტორს.

სიზმრისა და ზღაპრის, როგორც ირრეალური ყოფის მოტივები, გალაქტიონ ტაბიძის ლირიკაში შეფერილია ქართული კოლორიტით. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც მისი შესანიშნავი „პირიმზე“, რომლის სათაურიც გვანიშნებს ლექსის ქართულ ხასიათს:

დავინწყებული ჭიშკრის კარბაზე
ხავსი, ყავრები და წვიმის წვეთი!
გაქრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი.
კუბო კი ღამით სავსეა იით
და ნაქცეული სვეტები დგება:
ამოდის მთვარე და სამაიით
ფერმკრთალ ქალების მიმოდის წყება.
ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში
და ხელსახოცთა ქრიან ზღაპრები,
და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მთები, სიზმრები და წინაპრები.
დილით დამჭკნარი არის ბალახი...
ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი.
გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბალი
და მწუხარება დამრჩა ასეთი.

გალაქტიონ ტაბიძემ პირველმა გააცოცხლა ქართული პეიზაჟი:

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავში
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.
შემლილი სახით კივოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ყვავოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა!

ხშირად ეს პეიზაჟი წმინდა იმპრესიონისტულად აქვს დახატული პოეტს:

ეხლაც ჩემს თვალწინ არის
თქვენი ბინა ტყის პირად

და სალამო მდინარის
გახელილი ცისფერად.

ან: ოჰ, ეს ფოთლები ცვენილი ქარით,
 ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
 ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
 არავის თქვენგანს არ ენანება?
 („შემოდგომის ფრაგმენტი“)

აღსანიშნავია, რომ გალაქტიონ ტაბიძემ ლექსების მეორე ნიგნში შესცვალა პეიზაჟების ხატვის მანერაც. აზრის ცხადსაყოფად კმარა რამდენიმე პარალელი.

იგი შვენოდა – ნაზი, როგორც პირველი ვარდი
და მკვირცხლი, როგორც უდარდელი მაისის წვიმა.

ან: ჰაეროვანი, როგორც სიოს ნელი ალერსი,
 მსუბუქი, როგორც გაზაფხულის დღეთა მშვენება.

მოყვანილი ადგილები ამოღებულია პირველი ნიგნიდან. “Crane aux fleurs artistiques”-ში კი ბუნება მელანქოლიით შეფერილი აღწერისა და შედარების საგნიდან დამოუკიდებელ ემოციურ სურათად არის ქცეული:

ჩემს სამშობლოში მე მოვლენ მხოლოდ
უ და ბ ნ ო ლ უ რ ჯ ა დ ნახვერდები...

მეორე ტაეპი ამ ნაწყვეტისა წარმოადგენს ბუნების შეგრძნებას სიტყვების საწინააღმდეგო ფერების შეთანხმების (ოქსიუმორონი) გზით (...უდაბნო ლურჯად). გალ. ტაბიძე ხშირად მიმართავს ამ ხერხს მეორე ნიგნში, ხოლო არც ერთხელ – პირველ ნიგნში. ბუნება მის ლექსებში გვევლინება საკუთარი ტკივილებით:

ათოვს გამვლელებს და გულცივ ბალებს...
..... სცივათ ნაპრალებს.

ან: ჩამავალი მზის მომაკვდავ ალებს
 ისვრის ღრუბლები და დაღლილობა,
 მთებს, ირმებს, შველებს, ხევს და ნაპრალებს
 ანუხებთ ღრუბლის მძიმე ჭრილობა.

მართალია, გალაქტიონ ტაბიძეს შემდეგშიაც შერჩა ბუნების პლასტიურად გადმოცემის სტილი (ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ და სხვ.) და ისეთი სტრიქონები, როგორიცაა, მაგ.:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია!

ან მთელი სტროფი:

გაისმა შორი სროლის ხმა მთაში
და მონადირემ დაჰკოდა შველი,
სალამო იწვა ხავერდის ყდაში,
ვით ნიგნი ლურჯი და ძველისძველი, –

შესანიშნავი არიან ფერების სისრულითა და საგნობრივი რელიეფობით, მაგრამ გალაქტიონ ტაბიძის მეორე პერიოდის ლირიკაში ბუნების სურათები უმთავრესად იმპრესიონისტულად არის შესრულებული. ლექსებში: „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „თოვლი“, „ალღები თოვლში“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „პირიმზე“, „სალამო“, „ვერხვები“, „გობელენი“, „სახლი ტყის პირად“, „ზღაპარი“ – ბუნება გადმოცემულია ნახევარჩრდილებით. დაჭერილია მხოლოდ კონტურები. საგნები ფაქიზი პირბადით არის დაფარული. ბუნება და ადამიანები ერთნაირად არიან ამ კანონს დაქვემდებარებული:

მდინარის პირად ხეივანში ყოველ სალამოს
ორი ქალწული მემორევე ჩრდილად გახდება,
ისინი ჩუმად გადიხდიან ლეჩაქთა სამოსს.
თვითონ მდინარეც და დუმილიც გალენაქდება.
ტყის პირად სხედან ნაზნი, წარბებგადახატული
და თავს ადგანან თავადები ნაბდიანები.
ეცემა თმები ლურჯ სარკეებს, ვით ნაკადული;
სჩანს: სასიკვდილოდ ამ სიყვარულს არ ვენანები!

ბუნებისა და საგნების ანარეკლთა ასეთი გამმა უნებლიედ გვაგონებს ალექსანდრე ბლოკისა და პირველი პერიოდის რაინერ მარია რილკეს ზოგიერთ ლექსს. ამ უკანასკნელთან გალაქტიონ ტაბიძეს ანათესავებს აგრეთვე მისტიური განწყობილებაც წიგნში Crane... (მხედველობაში მაქვს ლექსები „სილაში ვარდი ანუ სილაჟვარდე“, „ანგელოსს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ და სხ. შდრ. თემატიურად მსგავს ლექსებს რილკეს კრებულში „დას მარიენლებენ“¹).

* * *

ცნობილია გალაქტიონ ტაბიძის ლირიკის დიდი მუსიკალობა. მან გაამდიდრა ქართული ლექსი ახალი რითმებით, თავისებური რიტმიული წყობით, სტროფული მრავალფეროვნებით (სონეტი, Vers libre და სხვ.). ჯერ კიდევ პირველ წიგნში პოეტი მიმართავდა კლასიკური ლექსის თითქმის ყველა ძირითად საზომს – ხუთ, რვა, ათ, თოთხმეტ და თექვსმეტ მარცვლიან მეტრებს ქალური და დაქტილური რითმებით. მიმართავდა წმინდა ვაჟურ რითმებსაც (მაგ.: „პატარა ხალი, კოცნის შემდეგ რომ დააჩნდა სახეს და წაშალა დრომ“. ნახე აგრეთვე ლექსი „იმ ვარდისფერ ატმებს ვიგონებ კვლავ“). მეორე წიგნში კი გალაქტიონ ტაბიძე გვევლინება ნოვატორად, რომელსაც ქართულს პოეზიაში შემოაქვს საკუთარი რიტმი და ინტონაცია, განწყობილებათა და შთაბეჭიდებლათა გადმოცემის ახალი საშუალებანი. ცნობილია აგრეთვე მისი ლექსის ორკესტრული სიმდიდრე („აფრთოვანება აგიჟებს თარებს და ისარის ფრთით ფიქრი მიფრინავს“), ხმოვნების მელოდიური თანმიმდევრობა. ზოგჯერ ეს მელოდიკა პირდაპირ რაფსოდულ მეტყველებაში გადადის:

ატმის რტოო, დაღალულო რტოო,
ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი,
ქარიშხალი მოდის საიმდროო,
ყვავილების ქარში მიჰქრის ტბორი.

გალაქტიონ ტაბიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფონეტიკურად მსგავსი სიტყვების ერთმანეთის მიმართ განსხვავებულ პოზაში დასმას:

თუ ასეთი წარმართი გზით წარემართები.

ზოგჯერ ნეოლოგიზმის დახმარებით:

¹ „მარიამის ცხოვრება“ (გერმ. „Das Marienleben“) – რაინერ მარია რილკეს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წელს.

ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი.

ან კიდევ – სიტყვათა განმეორებანი:

იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს...
(„თოვლი“)

იალებს და ჰქრება და ისევ იალებს...
(„ლამე ხეობაში“)

გრადაციები: ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავში...
(„ი. ა.“)

დამის ნათელში, მტვერში, მთვარეში
მიყვარდა სულის შეხება შენი,
ტფილისის დაღლილ ქარის თარეში,
კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი.
(„სანთელი“)

შეგვეძლო კიდევ სხვა ნიშნებზედაც მიგვეთითებინა, – გალაქტიონ ტაბიძის ლექსი უმდიდრეს მასალას გვაძლევს პოეტური ოსტატობის მრავალფეროვანების გასათვალისწინებლად, – მაგრამ ეს ჩვენს მთავარ მიზანს არ შეადგენს. მით უფრო, რომ პოეტმა თვითონ მოსპო ტექნოლოგიური ნაკვალები თავის პოეზიაში – ყოველი მისი ლექსი უშუალო ამღერებას წარმოადგენს და არასოდეს არ ამხელს მარტოოდენ ექსპერიმენტატორის გონებრივ ვარჯიშობას. სწორედ ამის გამო, უწინარეს ყოვლისა, ვხედავთ თვითონ ავტორს, როგორც მთავარ გმირს თავისივე ლირიკული კრებულებისა: გალაქტიონ ტაბიძის პოეზია უაღრესად პერსონიფიცირებულია.

აუდიტორია იცნობდა ამ ავტორის სახეს ორს პერიოდში – რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ.

* * *

პირველი პერიოდის გალაქტიონ ტაბიძე ამბობდა:

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები...

ამ პოეტმა შეჰქმნა საკუთარი ქვეყანა თოვლისა, ზღაპრისა და სიზმრებისაგან, რომელთანაც ის თითქოს არც აპირებდა გამოთხოვებას:

ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს
გადაზნეილი სიზმრების წელი.
(„ალვები თოვლში“)

ყოველთვის როცა დაბერავს ქარი
და ტყეს მთებისას გაიფრენს აფრად,
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრილდება უშორეს ზღაპრად.

ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ღვინის სმით, უგონოთ, მძაფრად,
ქარში დაკარგულ ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაზრად.
(„ვერხვები“)

ასეთი ირეალური ყოფისადმი მისწრაფებას გალაქტიონ ტაბიძე ამართლებდა მარტო-ობისა და მიუსაფრობის მოტივით. იგი, თითქოს, თავის თავს მიმართავდა:

წურავინ ქვეყნად ნუ დარდობს შენზე,
ბედნიერებას შენ აღარ ელი!..

ან:
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში
მარტო ვიქნები და რა ვპოვო მარტოობაში?
ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს ვერ შლის, ვერა!
და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის წავეყვ ჩემის წამებით?

მარტოობის ამ რაინდს ჰყავდა თავისი ლირიკული მიმართვების საგანი – „ცისფერი ქალი“ – მერი. გალაქტიონ ტაბიძე ამ სახელს ხშირად უბრუნდება (ლექსები „არდაბრუნება“, „შენ ზღვის პირად“ და სხვ.) როგორც თემას, როგორც პოეტურ ბიოგრაფიას. მაგრამ ეს არის მატერიალიზაცია ოცნებისა მხოლოდ. „ერთად ერთს საქართველოში“ – ალბად, იმავე „ცისფერ ქალს“ – გალაქტიონ ტაბიძე უძღვნიდა თავისი შთაგონების ნაყოფს, მაგრამ დიდი სიფრთხილით:

გიგზავნი ამ წიგნს, როგორც ოდესმე
მომქონდა შენთან წიგნი პირველი,
შენმა ღიმილმა უბოროტესმა
დაინდოს წიგნი და შემწირველი!

პოეტს თვითონვე აწვალებდა მარტოობისაგან გამონვეული ნიჰილიზმი:

ჩემთვის ერთია: ბედის წინაშე
ბავშვებს საიდან ელით საშველი.
მე აღარ ვამბობ: უშველეთ ბავშვებს,
მიეცით ბავშვებს სასუფეველი.
მაგრამ ხანდისხან მე გული მტკივა,
რად არის ასე, რად არის ასე?
რისთვის მოჰკალით ჩემი სინაზე?
მახსოვს ფოთლები, ვენახი, თივა...
ოჰ, მეგობრებო, სანამდე მივა...
ოცნება ფერფლზე, მზეზე, წვიმაზე!

ამ ინდივიდუალისტური განმარტოებისა და უიმედობის ატმოსფეროში, რომელსაც საზოგადოებრივი სარჩული გააჩნდა, გალაქტიონ ტაბიძეს მაინც ჰქონდა გამოსავლის ძიების სურვილი.

ოჰ, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაცალო!

ასეთ ძალად უნიჭიერესი ქართველი ლირიკოსისათვის იქცა რევოლუცია.

1916 წელს დაწერილ ლექსში „წერილი მეგობრებისადმი“ გალაქტიონ ტაბიძე აცხადებს:

ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას, – როგორც ჩვენი საქართველოა, –
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ვულკანიური ორკესტრით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი.

მეორე წიგნში (1919 წ.) პოეტი ბუნდოვანად, მაგრამ მაინც ხედავდა ამ უჩვეულო ძალის მოახლოვებას, – წიგნში, სადაც პირველად გაიელვა რევოლუციის გენიოსი ბელადის ლენინის სახელმა.

გალაქტიონ ტაბიძემ, როგორც ბლოკმა რუსეთში (მე მიხდება ცნობილი მოსაზრების განმეორება), თავიდანვე მიიღო ოქტომბრის რევოლუცია, – როგორც ძველი სამყაროს ნგრევის სტიქია და ახალი ქვეყნის შენების საფუძველი.

რევოლუციების ეპოქაში გალაქტიონ ტაბიძემ მშვენივრად განსაზღვრა თავისი მისია:

ჩვენ ეხლავ ვიცი, სად დადგებიან
კლოდელი, ჟამმი, სიუარესი.
დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

ამჟამად გალაქტიონ ტაბიძის ლირიკული შემოქმედების გარეშე არ რჩება არც ერთი სფერო ჩვენი სინამდვილისა. პერსონალიზმის ნაცვლად მის პოეზიაში საბოლოოდ განმტკიცდა საზოგადო და ინდივიდუალური სიხარულის შეგნება.

ეს არის მეორე პერიოდის გალაქტიონ ტაბიძე – თავისი დიადი სოციალისტური სამშობლოს მომღერალი.

გამოიცვალა ამ მომღერლის ხმაც. გალ. ტაბიძის უახლოეს ლირიკულ შემოქმედებაში ძლიერია რევოლუციური პათეტიკა და სასაუბრო დეკლამაციის ნაკადი, თქმის რეალიზმი და ფოლკლორული პოეზიის გავლენა.

გალაქტიონ ტაბიძის ცდა ჟანრული სიახლის ძიებისა – პოემების შექმნის მხრით – არ დამთავრებულა სრული გამარჯვებით და გასაგებია, თუ პოეტმა თვითონ დაშალა ეს პოემები ცალკეული ლირიკული ლექსების ციკლებად, ნაწერების უკანასკნელ გამოცემაში (ნახე თხზულებანი, ტომი 2, 1935). გალაქტიონ ტაბიძე უწინარეს ყოვლისა ლირიკოსია, თუმცა განსაკუთრებულ ეფექტს აღწევს ზოგიერთ თავის სააგიტაციო ლექსებშიაც (მაგ.: „პრესა“ და სხვ.).

* * *

გალაქტიონ ტაბიძის ლირიკის საერთო ხასიათის მიმოხილვის შემდეგ, მე მრჩება რამდენიმე სიტყვა მისი მნიშვნელობის შესახებ ახალი ქართული პოეზიისათვის, ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისათვის.

გალაქტიონ ტაბიძემ შექმნა პოეტური გემოვნების კულტურა თანამედროვე ქართულს პოეზიაში. ეს ძალდაუტანებელი პათოსი, ეს იშვიათი მელოდიურობა მისი ლექსებისა, არაჩვეულებრივი სიფაქიზე მისი სახეებისა და შედარებების ქსოვილისა დღემდე ინარჩუნებს უმაღლესი კონტროლის მნიშვნელობას. 30 წლის მანძილზე მისი ლირიკა ჰკვებავდა პოეტების მთელს პლეადას. ხშირად ვისმენდით მისი სტრიქონების, მისი ინტონაციის, რითმებისა თუ სახეების გამოძახილს სხვა პოეტების ლექსებში. ეს ზეგავლენა თავიდანვე თვალსაჩინო შეიქნა. პირველი პერიოდის გალაქტიონ ტაბიძე, რომელსაც „მარტოობის დემონი“ უჩურჩუ-

ლებდა – ნისლის, სიზმრებისა და მიუსაფრობის ქვეყანა გამოეხატა ემოციურად მთრთოლვარე სტრიქონებში, ყოველთვის პოულობდა რეზონანსს ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ, მშფოთვარე ყოფაში. ეს იყო ტრიუმფი, უკანასკნელი ზეიმი იმ თავისი თავის გამოტირების პოეზიისა, რომელსაც წარსულში უდიდესი წარმომადგენლები ჰყავდა გურამიშვილისა და ბარათაშვილის სახით. ამ პოეტების შემდეგ და ამ მიმართულებით არავის არ უმოქმედნია ისე ძლიერად ჩვენს ემოციებზე, როგორც გალაქტიონ ტაბიძეს. მისმა ლირიკამ შეიძინა რაღაც შთამაგონებელი ძალა, ის გვდევდა ყველგან, – ხან როგორც ცალკე ტაეპი, ხან როგორც სტროფი, ხან როგორც მთელი ლექსი. ეს ლექსი გვჭირდებოდა ჩვენ მარტოობაში, ლხინში, ქალთან, მეგობართან. ამ ლექსისადმი სიყვარულში შეთანხმებულნი იყვნენ უბრალო მკითხველნიც და ლიტერატურული გემოვნების მქონენიც, – პირველი ნიშანი ნამდვილი პოეზიისა!

გალაქტიონ ტაბიძემ შემოიტანა ახალს ქართულ პოეზიაში ფორმის კულტი, ლექსის უმაღლეს იდეალად მიჩნევის დევიზი, თავისებური პოეტური ფანატიზმი:

იყო მრავალი განადგურება,
ლექსის სიკვდილი კი – არასოდეს!

ეს ლექსი მუდამ აფრთხილებდა პოეტებს, რომ ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის გვა-ოცებს მოულოდნელობით, ენაში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენით, – როცა პოეტური მეტყველებისათვის მიუღწეველი არ რჩება უინტიმესი განცდების გამოხატვაც კი. გა-ლაქტიონ ტაბიძე ყოველთვის იმარჯვებდა ამ გზაზე, და თუ მისი, როგორც ადამიანის, ცხოვრება მდიდარი არ არის გარეგნული ეფექტებით, სამაგიეროდ მას აქვს ბიოგრაფია ნამდვილი შემოქმედის – ჩვენი ემოციების დამპყრობელი პოეტის ბიოგრაფია!

მაგრამ, ვიმეორებ, ქართველი საზოგადოებრიობის ეს უსაყვარლესი ლირიკოსი არ ჩა-კეტილა თავის ხმაში, ის არ მოუტყუებია „ყრუ წლების“ ეხოს. მთელი თავისი ტემპერამენტით გ. ტაბიძე ეძებდა ახალ გზას, რომ მისი ფსალმუნური სიმღერა შეცვლილიყო სიხარულის ჰიმნად. ჯერ კიდევ პეტერბურგში, 1917 წელს, მან ნახა ძველი ქვეყნის გამოღვიძება და, ამ სანახაობით გატაცებულმა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ სთქვა:

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაჰქრა, ვით ლანდი,
მოშორდენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,
ნიკოლოზი და ფერდინანდი.
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ საშინელ წელს – პოეტი-მეფე –
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,
ჰანგების მეფე – დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში, მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევილო ჯერარსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

თავის ხალხთან ერთად გამოღვიძებული პოეტი მადლიერია იმათი, ვის სახელებთანაც არის დაკავშირებული ისტორიის ახალი ეპოქის დასაწყისი:

გგონია, იქნებ გზას გავიგნებდით,
გზას გაიგნებდა წყვილიაღმა თვალი –

უკვდავი ლანდის კლდე რომ არ სჩანდეს,
რომელს მარადის ჰქვია სტალინი!

გალაქტიონ ტაბიძე – ჭეშმარიტი პოეტი – ამიერიდან მთელი თავისი ხმით უმღერის დიდი სტალინის მზით განათებულ სამშობლოს.

ჟურნ. „მნათობი“, 1938, №12.

კორნელი კეკელიძე

სიტყვა

**წარმოთქმული საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის
დაბადებიდან 50-ე და სამწერლო მოღვაწეობის 35-ე წლისთავზე. 1943 წ. 29. XI.**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან
ოპერისა და ბალეტის თეატრში**

ჩვენო საყვარელო და სასახელო მგოსანო გალაკტიონ!

ნება მიბოძეთ, დღევანდელ ზეიმს, რომელიც არის ნამდვილი დღესასწაული ქართველი ერისა და სახელოვანი ტრადიციის მატარებელი ქართული პოეზიისა, შევეუერთო ჩემი სუსტი ხმაც და მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სახელით მხურვალედ მივესალმო თქვენს 35 წლის ინტენსიურსა და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას პოეტური პარნასის მწვერვალზე.

ოცდათხუთმეტი წელი ისტორიისათვის არც ისე დიდი დროა, მაგრამ კერძო ადამიანისათვის შეიძლება ცხოვრების ნახევარი გზაც იყოს. 35 წლის განმავლობაში ცეცხლივით გიზგიზებდეთ პოეტური ზემთაგონების სამსხვერპლოზე და მოძმე ადამიანს გზას უნათებდეთ, ეს უბრალო საქმე არაა. ეს ნამდვილი ღვაწლია! მე დღეს მოვედი თქვენთან ლიტერატურის ისტორიის სახელით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ უკვე ისტორიის საგანი გახდით და მის საღაროს ჩაბარდით. არა! – დღეს თქვენ უშუალო ჭვრეტისა და ხედვის საგანი ხართ, თუმცა, საბედნიეროდ, მომავალს ისტორიკოსსაც არ ექნება თავსამტვრევად გარკვევა იმისა, თუ ვინ იყო გალაკტიონი, ვინ იყო საგანი მისი პოეზიისა, რას უმღეროდა ის და როგორ უმღეროდა. თქვენი ლამაზი, ტკბილი, დახვეწილი, გულში ჩამწვდომი, წყაროსავით მოჩუხჩუხე და აღმაფრთოვანებელი ლექსი ყველას ნათლად ეუბნება, რომ გალაკტიონი არის პოეტი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა, მგოსანი ადამიანისადმი გულწრფელი სიყვარულისა, მომღერალი საყვარელი სამშობლოს აყვავებისა და წინსვლისა.

ქართულს მხატვრულ სიტყვას 16-საუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს. ამ ხნის განმავლობაში მისი გზა არ ყოფილა ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი, მას ჰქონდა პერიოდები დაცემისა და უკან დახვევისაც, მაგრამ რა დაბრკოლებაც არ უნდა შეხვედროდათ გზაზე, ამ სიტყვის ოსტატებს ერთხელაც არ უღალატნიათ და ძირს არ დაუხრიათ ის წმიდა დროშა, რომელზედაც ოქროს ასოებით იყო ამოქსოვილი სიტყვა „სამშობლო“. ეს დროშა თაობიდან თაობამდე გადადიოდა. ცურტაველ-საბანიძე-მერჩულიდან, არაბთა მიერ დანთხეული ქართველთა სისხლში ამოვლებული, ის გადაეცა დიდ რუსთაველს, რუსთაველის ეპოქიდან, მონღოლთა, სპარსთა და ოსმალთა მიერ დანთებულ ცეცხლში გარუჯული, ის გადაეცემა გულმონწყულ გურამიშვილსა და მისი ეპოქის პოეტებს, ამათგან, მეფის უღმობელი ცენზურის მიერ შეკრეჭილი, დასერილი და შეკვეცილი გადადის მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების ხელში. ხოლო მათგან, მამულისათვის დაღვრილ ცრემლებში დასველებული, ის გადმოგვცათ თქვენ, ჩვენი დროის საბჭოთა სამშობლოს მომღერალო მგოსნებო, პირველ რიგში კი – შენ,

ჩვენო გალაკტიონ, როგორც უხუცესს, რომელმაც პირველმა უმღერე ცეცხლისფერი ლექსები ლენინგრადში დანთებულს, განმანთავისუფლებელი რევოლუციის ცეცხლს. ამ დროიდან შენ შეიქენი ნამდვილი „ბაიანი“ სოციალისტური სამშობლოსი. მისი წინსვლა, აყვავება და გაფურჩქვნა შენში ინვეცდა უსაზღვრო სიხარულს. ხოლო უკანასკნელ წლებში, ვერაგი ფა-შისტ-მხეცების მუხანათური თავდასხმის გამო, მისი აღმშენებლობითი ზეიმის შენელება და შესუსტება შენს გულში ალაგზნებდა და ალაგზნებს მტრისადმი ზიზღს, გულისწყრომას და მათი საბოლოო და საჩქარო მოსპობის სურვილს. ერთი სიტყვით, მოყვარული შვილი სასიყვარულო ჰანგებს უმღერის სამშობლო მხარეს. უკანასკნელიც საყვარელ შვილად აღიარებს მას და სახალხო პოეტის სახელით დააჯილდოებს. იცი, გალაკტიონ, რა დიდი ჯილდოა ეს ჯილდო? უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხდებით მონმენი ახალი სამშობლოს შენდამი განსაკუთრებული ყურადღების ახალი აქტისა.

მე ხელში ჩამივარდა უკანასკნელი ნომერი (7) ჟურნალ „მნათობისა“, რომლის პირველ გვერდებს ამშვენებს შენი მომხიბვლელი ლექსები. ამ ლექსებს ანერია არა „გალაკტიონ ტაბიძე“, როგორც ამას შეჩვეული ვიყავით, არამედ უბრალოდ და მარტივად – „გალაკტიონი“. ეს ნიშნავს, რომ ამიერიდან შენ შედიხარ ჩვენი პოეზიის სასახლეში არა როგორც „გალაკტიონ ტაბიძე“, არამედ – როგორც „გალაკტიონი“. იცი, რა სათუთ გრძნობას გამოსთქვამს შენდამი ამით და როგორ გაფასებს ამ აქტით სამშობლო? ვის იხსენიებს მშობლიური პოეზია ასე მარტივად, მხოლოდ სახელებით? ყველაზე უფრო ცნობილს და საყვარელ თავის წარმომადგენლებს. მართლაც, მოიგონეთ: შოთა, ბესიკი, აკაკი, ილია, ვაჟა. ამიერიდან შენ უერთდები ამ საყვარელ და სასიქადულო სახელებს! დიდია და გასაფრთხილებელი ეს ჯილდო!

შენი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ჯერ კიდევ დიდი და გრძელია. ყველას ჩვენ, დღეს აქ მოზღვავებულ საზოგადოებას, გვინდა, რომ ის ასეთი იყოს. იარე მედგრად, შეუფერხებლად და ნაყოფიერად ამ გზაზე. გახსოვდეს სამი რამ: სამშობლო, ადამიანი და პოეზია!

გაუმარჯოს სახელოვანს ქართულ პოეზიას და დღეს უკვე გამარჯვებულს მის წარმომადგენელს, – ჩვენს ძვირფას გალაკტიონს!

გაუმარჯოს ჩვენს ქალარამოსილს, მაგრამ სულით ახალგაზრდა სამშობლოს!

ჟურნ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1973, № 3.

ბესარიონ ჟღენტი

გალაკტიონ ტაბიძე¹

თანამედროვე დიდ ქართველ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს დაბადების 50 წლისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავი შეუსრულდა [...]

გალაკტიონ ტაბიძის სახელთან არის უშუალოდ და განუყოფლად დაკავშირებული მეოცე საუკუნის ქართული პოეტური კულტურის ისტორია, მისი ყველა დამახასიათებელი პროცესი, მისი მამოძრავებელი ყველა ძირითადი იდეა და მოტივი. 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის აღფრთოვანებული გამოძახილი ქართულ ლიტერატურაში, შემდეგ, ამ დიდი სახალხო მოძრაობის ჩახშობით გამოწვეული გულგატეხილობისა და სოციალური სევდის განწყობილებანი, მწერლობაში დამკვიდრებული ინდივიდუალიზმისა და რეალური სინამდვილიდან ფანტასტიურ წარმოდგენათა სამყაროში გახიზვნის მისწრაფებანი, ხოლო შემდეგ ჩვენს სამშობლოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე შექმნილი ახალი ცხოვრების ღირსეულად ასახვისათვის წარმოებული დიდი შემოქმედებითი ბრძოლა, – ყოველივე ეს მაღალ პოეტურ გამოხატულებას პოულობს გალაკტიონ ტაბიძის შთაგონებულ პოეტურ ქმნილებაში.

¹ ნაკითხულია მოხსენებად გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50 წლისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, 1943 წლის 29 ნოემბერს.

თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის აღმოცენებისა და დამკვიდრების საქმეში გალაქტიონ ტაბიძეს ისეთივე ნოვატორული როლი ეკუთვნის, როგორც ქართული მხატვრული მეტყველების მთელს ისტორიაში შეუსრულებიათ მის უდიდეს რეფორმატორებსა და განმაახლებლებს – ჩვენი ნაციონალური პოეზიის დიდ კლასიკოსებს. გალაქტიონ ტაბიძე ღირსეული მემკვიდრეა და ახალი გზებით გამაგრძელებელი ქართული პოეტური ხელოვნების იმ დიდი ტრადიციისა, რომელიც შეუქმნიათ ჩვენს დიდსა და საამაყო წინაპრებს, უკვდავი რუსთაველით დაწყებული, გურამიშვილით და ბარათაშვილით გაგრძელებული და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დიდებული სახელებით დამთავრებული.

ჩვენი დროის დიდი ნაციონალური პოეტი გალაქტიონ ტაბიძე მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ცხოვლად ეხმაურება ეპოქის მონინავე სოციალურ და ლიტერატურულ იდეებს. ამ მხრივაც იგი ქართული პოეზიის დიდ კლასიკოსთა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას განაგრძობს. საბჭოთა ხალხების პოეტური კულტურის განვითარებაში გალაქტიონ ტაბიძეს უაღრესად თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავს, როგორც ახალი სტილის, სოციალისტური რეალიზმის სტილის, ლირიკის საუკეთესო ტრადიციის ერთ-ერთ შემოქმედს და ფუძემდებელს...

როგორც ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებამ თავის ნამდვილ მწვერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბრძნულსა და მღელვარე ლექსებში მიაღწია, ისე მეოცე საუკუნის ქართული დეკადენსის პოეზიამ თავისი უმაღლესი და უღრმესი გამოხატულება გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ჰპოვა.

უიმედობისა და განწირულობის, მწუხარებისა და მარტოობის, სოციალურ სინამდვილისაგან გახიზვნისა და საკუთარ განცდათა სიღრმეში ჩაკეტვის განწყობილებებით არის აღბეჭდილი გალ. ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი. იგი დიდი და მრავალჰანგოვანი სევდიანი სიმფონიაა, „დანერილი სისხლის წვეთით, დანერილი სასოებით“.

„უდაბნოს“, „მე და ღამის“ და „მესაფლავის“ დამწერ პოეტისათვის უკვე ბუნებრივად გახსნილი იყო გზა ევროპული და რუსული დეკადენტური სკოლების პოეტური პოზიციებისაკენ, თუმცა გალაქტიონ ტაბიძე არასდროს არ მოსწყვეტია მშობლიურ ნიადაგს, მშობლიური პოეზიის ტრადიციას. საკმარისია გავიხსენოთ ამ პერიოდის გალ. ტაბიძის შედევრები „მთანმინდის მთავრე“ და „ლურჯა ცხენები“, სადაც პოეტმა შეგნებულად გვანიშნა მისამართი თავისი დიდი წინამორბედის – ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ამ ღრმა სულიერი ნათესაობის უეჭველ კვალს ვხედავთ აგრეთვე გალაქტიონ ტაბიძის ლექსში „შავი ყორანი“:

გზა გავიარე... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები.
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის,
ნუ იხედები... ნუ იხედები...
გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
შორს ნუ გასცქრი... შორს ნურვის ელი!

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი შეუდარებელი სიმდიდრეა რევოლუციის წინაპერიოდის ქართული პოეზიისა და უეჭველად ერთი უდიდესი მოვლენათაგანი ევროპული და რუსული სიმბოლიზმის მასშტაბით. ამ წიგნში ტაბიძემ მიაღწია იმპრესიონისტული პოეტური ფერწერის უკიდურეს საზღვარს, გამოიმუშავა პოეტის ღრმად სუბიექტური განცდებისა და გრძნობების გადმომცემი მიმზიდველი მუსიკა ლექსისა, პოეტური სახეების ემოციური ძერწვის თავისებური მანერა, რომლის მეოხებითაც ლოგიკურ ენაზე აუხსნელი მოტივებიც კი ხშირად აღწევენ განზრახულ ეფექტს, დაუვინყარის ძალით გადადიან მკითხველის ცნობიერებაში. ამ წიგნში მთელი სისავსით გამოვლინდა ჩვენი დროის ამ დიდი პოეტის უსაზღვროდ მდიდარი ფანტაზია, გადაიშალა პოეტური სიტყვის ღრმად ინდივიდუალური ლაბორატორია, სადაც ლექსის რთული მოდერნული კულტურა ორგანულად არის შეთავსებული მეტყველების ძალდაუტანებელ, ბუნებრივ მდინარებასთან.

პოეტისათვის ჩვეული სევდა გამძაფრებულ სკეფსისშია გადასული. მისტიციზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი განსაზღვრავენ მის მსოფლშეგრძნებას, სამყაროსადმი მიმართების, გარემოცვის ხედვისა და ხატვის ხასიათს და ამ ლექსების კითხვისას, ერთის შეხედვით, გაუგებრდაც მოგეჩვენებათ, თუ როგორ შესძლო ამის შემდეგ პოეტმა სოციალისტური რევოლუციის პირველსავე წლებში ერთბაშად და თანმიმდევრულად დამდგარიყო დიადი სოციალური იდეების განმსახიერებელი, ახალი, რევოლუციური პოეტური კულტურის ნიადაგზე. მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით. ნამდვილად კი გალაქტიონ ტაბიძის მთელი პოეტური ბიოგრაფია გვაძლევს გასაღებს პოეტის ამგვარი გარდაქმნისა და შემობრუნების ასახსნელად. გალაქტიონ ტაბიძე თავისებური გზით მივიდა სიმბოლიზმის იდეურ-შემოქმედებითს კონცეპციამდე. მისი კონფლიქტი თავისი დროის სოციალურ სინამდვილესთან გამონვეული იყო არა ბურჟუაზიული დაცემულობის, არა ბურჟუაზიის მიერ თავისი კლასობრივი განვითარების ამონურვისა და განწირულების შეგნების შედეგად, არამედ წარმოშობილი იყო იმ სოციალური სევდის საფუძველზე, რომელმაც მოიცვა წვრილბურჟუაზიული მხატვრული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

ეს გარემოება განასხვავებს გალაქტიონ ტაბიძეს ევროპული სიმბოლისტი პოეტებისაგან და ამაშია მისი შეუთანხმებლობის მიზეზი ქართველ „ცისფერყანწელების“ სკოლასთანაც, რომელიც გულმოდგინედ მიჰყვებოდა უცხოეთის სიმბოლისტური სკოლების ტრადიციას და ერთგულად ნერგავდა ქართულ ლიტერატურაში ბოჰემის, ეროტიზმის და თვითმკვლევობის კულტს, სიმახინჯის ესტეტიკას, ასე უცხოს და მიუღებელს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებისათვის.

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში მკაფიოდ გამოსჩანს იმის შეგნება, რომ იგი რევოლუციამ, სოციალური განთიადის ძალამ წარმოშვა:

„მე დავიბადე განთიადისას,
როცა მთის წვერზე დილა მაისის
თვალეებს ახელდა... და ნაზი იყო
ელვა-ელფერი მტრედისფერ სივრცის“.

ამ განთიადის დროებითი ჩაქრობისა და რეაქციული ბურჟუასის მძვინვარების წლებში მივიდა ქართულ პოეზიაში გალაქტიონ ტაბიძე და თავისი პირველი ლექსებით თან მოიტანა წითელი ყაყაჩოს ელფერი და იასამნის სურნელება. ახალი შეტევების, ახალი განევის დიად დღეს – პირველ მაისს მიუძღვნა მან თავისი ჭაბუკური სიმღერები:

დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს,
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ შეტევას,
იმ პირველ მაისებს!

ასეთი სოციალური ოპტიმიზმით შთაგონებული ჰანგი შემოიტანა ახალგაზრდა პოეტმა სევდისა და უიმედობის ნისლით მოცემულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და ეს მოტივი გალაქტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის დასაწყისისათვის სავსებით დამახასიათებელი იყო. 1910 წლით დათარიღებულ მის ერთ ლექსში ისევ ნათელი რწმენით აღგზნებული ასეთი ჰანგები გვესმის:

მალე ფერ-გადაშლილი
ამწვანდება ტყე-ველი,
გაიშლება ყვავილი,
სურნელების მფრქვეველი;

გაცოცხლება დაფნარი,
მთის მწვერვალი, ტყის პირი,
და დაივლის ნარნარი
გაზაფხულის ზეფირი.

მაგრამ ასეთი იმედითა და რწმენით აღბეჭდილი სიმღერები თანდათან გადადიან გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედების მეორე პლანზე. რაც უფრო ღრმად შედის პოეტი ამ პერიოდის ლიტერატურულ გარემოცვაში, მით უფრო მეტის ძალით ეუფლება მას გარემოცვისათვის დამახასიათებელი განწყობილება – სოციალური უიმედობის, გულ-გატეხილობის, სევდის განწყობილება.

ინყება სოციალური ცხოვრების მკაცრი და სუსხიანი სინამდვილის წინაშე „თვალის დახუჭვის“, საკუთარი გრძნობებისა და განცდების ინტიმურ სამყაროში გახიზვნის უფრო და უფრო მზარდი ტენდენცია. საკუთარი „გულის სიღრმეში“ ინყებს პოეტი „რამე ნათელის“ ძიებას. ძნელი არ არის დანახვა პოეტის ამგვარი ევოლუციის განმაპირობებელი მიზეზებისა. პოეტი პირდაპირ გვაძლევს ამ მოვლენის გასაღებს:

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა ადრე მოკვდა, რა ადრე მოკვდა!
ეხლა ღამეა... ქვითინებს ქარი,
რომ გამახსენოს ტკბილი წარსული
და გაზაფხულის სახე ნეტარი.

ძნელი არ არის ამ სტრიქონების ნამდვილი აზრის გაშიფვრა და დანახვა იმისა, თუ რა ტკბილ წარსულზე, რა გაზაფხულის ნეტარ სახეზე, რა ქარის ქვითინსა და ღამეზე ლაპარაკობს ეს ლექსი. გალაქტიონ ტაბიძე, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში მოდერნული ლექსის კულტურა, თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველსავე საფეხურზე ხასიათდება რთული პოეტური სახეებისაკენ სწრაფვით. იგი თემებსა და იდეებს გადმოგვცემს არა სააგიტაციო ფრაზაში (როგორც მეტწილად სჩადიოდნენ ევდოშვილის სკოლის პოეტები), არამედ – გართულებული სიმბოლური ნიშნების მეშვეობით. მაგრამ პოეტური ხატვის ამ მანერის პირობებშიც სავსებით ნათლად გამოკრთიან პოეტის სოციალური სევდის სათავეები, საზოგადოებრივ გარემოცვასთან მისი ურთიერთობის გამძაფრებული კონფლიქტების ბუნება:

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

აყვავილებული ატმის ყვავილების სახით წარმოიდგენს პოეტი თავის ჭაბუკური ოცნების, თავისი მაღალი მისწრაფებებისა და სურვილების ცხოველმყოფობას:

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი.

და ამას მოსდევს იმ ყვავილების დაცვენის, დაჭკნობისა და მიმოფანტვის სევდიანი პეიჟაჟი, რომელიც უეჭველად გარკვეული სოციალური აზრის სიმბოლურ სახედ არის აგრეთვე მოფიქრებული და დახატული:

მაგრამ ენვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი –
გადაცვნილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

იმის გასაგებად, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა გალაქტიონ ტაბიძის რევოლიუციამდე-
ლი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ღრმა სევდისა და განწირულების სულისკვეთება,
რომელმაც შემდეგ პოეტი ისევ ღრმად დაახლოვა ევროპისა და რუსეთის ლიტერატურულ
დეკადენსის სკოლებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლექსს „მშობლიური ეფემერა“:

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: – დიდი ხანია!
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვილაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს.
და ტყე გუგუნებს – ამირანია.
ეს მძაფრი კვნესა მინამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს.
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია.

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი პატრიოტული ტრადიცია თავისებურ ღრმა
გამოხატულებას პოულობს გალაქტიონ ტაბიძის ამ პერიოდის შემოქმედებაში. ზემოთ მოყ-
ვანილ სტრიქონებში ამირანის კვნესის მოტივით პოეტი უშუალოდ უკავშირდება და აგრძელებს
პატრიოტული რომანტიკის ხსენებულ ტრადიციას. მაგრამ პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი
მგზნებარე სიყვარულის გრძნობის გამოსახატავად, მშობელი ქვეყნის მძიმე ხვედრით დამწუხ-
რებული პოეტის განწყობილების გადმოსაცემად სავსებით თავისებურ და განსხვავებულ, დას-
რულებულ პოეტურ ფორმას მიაღწია გალაქტიონ ტაბიძემ ლექსში „მამული“. ეს პატარა ლექ-
სი ერთ-ერთი უბრწყინვალესი პოეტური ქმნილებაა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში და
საერთოდ ახალ ქართულ პოეზიაში. სამშობლოს იდეა აქ გამოხატულია ღრმად ინტიმურ და
კონკრეტულ განცდათა ასპექტში: მოხუცი მამის სახე, მშობლიური მიწა-წყლის უშუალო შეგ-
რძნება, გადასულ წინაპართა ხსოვნა. „სხვა ხალხის“ ჟრიამული – ყოველივე ეს განსახიერე-
ბულია ორგანიულად მთლიან, ღრმა სევდით და წრფელი პატრიოტული გზნებით აღბეჭდილ
ლირიკულ კომპოზიციაში:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული!
წინაპართაგან ნავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება,
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი.
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

მარტო ეს ერთი ლექსიც საკმაო მდიდარ მასალას გვაძლევს იმის გასარკვევად, თუ რამდენად ახალ ლიანდაგზე გადაიყვანა გალაქტიონ ტაბიძემ ქართული ლექსის განვითარება, ქართული პოეტური კულტურის მოდერნიზაციის თვალსაზრისით.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამ ლექსს მივმართეთ იმიტომ, რომ უფრო ცხადად დაგვეჩვენა საფუძვლები და სათავეები გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიაში გამოხატული სევდიანი და მწუხარე განწყობილებებისა.

„მე და ღამე“-ში უმძაფრესი გამოხატულება ჰპოვა სიმარტოვისა და სულიერი ობლობის განცდამ. უფრო შორს წავიდა პოეტი ლექსში „უდაბნო“, სადაც არა მარტო მოცემულია პოეტის წარმოდგენა სამყაროზე, როგორც ყრუ და უმოძრაო უდაბნოზე, არამედ ამასთანავე გამოხატულია პოეტის განწირული დამორჩილება უდაბურობისადმი:

რათ მინდა მივწვდე მიუნვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს!
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს.

ლექსების წიგნში „არტისტული ყვავილები“ გალაქტიონ ტაბიძე გვევლინება უკვე დასრულებულ დეკადენტად, რომლის არა მარტო განწყობილება, არა მარტო მსოფლმეგრძნობა, არამედ პოეტური მეტყველების საშუალებათა მთელი სისტემაც ტიპიურად სიმბოლისტურია.

მისი პოეტური სახე უკიდურესად სუბიექტურია, სადაც მოხსნილია ობიექტური შემეცნებითი დანიშნულება პოეზიის ამ ძირითადი სპეციფიური კომპონენტისა. გარემოცვისადმი, პოეტური ხედვისა და ხატვის ობიექტისადმი ურთიერთობაში გალაქტიონ ტაბიძე მივიდა იმპრესიონიზმის უკიდურეს საზღვრამდე. იგი გვაძლევს არა რეალური საგნებისა და მოვლენების პოეტურ ანარეკლს, არამედ – მხოლოდ საკუთარ შთაბეჭდილებებს და განწყობილებებს, სადაც ობიექტურ სამყაროს მხოლოდ იმპულსის ფუნქცია რჩება ამ შთაბეჭდილებათა აღმოცენებისათვის. პოეტი უკარგავს საგნებს მათს სხეულებრივ, საგნობრივ ბუნებას. მის ლექსებში პეიზაჟიც მხოლოდ პოეტის ემოციური სამყაროს, სულიერი ცხოვრების მოძრაობის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს.

საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი გალაქტიონ ტაბიძის ამ პერიოდის შედეგებიდან:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა;
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევესება თოვლით –
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.

ასევე მკაფიოდ გვიჩვენებს სრულ დაშორებას რეალისტური პოეტიკის პოზიციისაგან ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

შემოიღამებს მთის ნაპრალები
და თუ როგორმე ისევ გათენდა –
ღამე ნათევი და ნამთვრალევი
დადლილ ქალივით მივალ ხატებთან.

ხშირად სახეების ბუნების ასეთი სუბიექტური, იმპრესიონისტული მანერა დაკავშირებულია აგრეთვე სიტყვის განტვირთვასთან ობიექტური, საკომუნიკაციო მისი დანიშნულებისა და შინაარსისაგან, როცა სიტყვა აღებულია, როგორც მხოლოდ ბგერითი ფენომენი, როგორც მხოლოდ მუსიკალური ერთეული ლექსის მელოდიურ ნყოფაში:

მირბის დაღალ-გადაყრილი
დოვინ-დოვენ-დოვლი.
თოვლი, ფიფქი და აპრილი –
ვარდისფერი თოვლი.

აქ პოეტური სიტყვა გაგებულია როგორც მუსიკალური ფრაზის შემადგენელი მელოდიური ერთეული, როგორც პოლ ვერლენის „უსიტყვო რომანსებში“. გალაქტიონ ტაბიძის ასეთი ლექსები ეხმაურებიან არტურ რემბოს „სიტყვათა ალქიმიას“, ან კიდევ უფრო მეტად ალექსანდრ ბლოკის ირაციონალურ მელოდიებს, რომლებიც უშუალოდ არიან მიმართული მკითხველის ემოციათა სამყაროსაკენ.

ხშირად პოეტის წარმოსახვითს საშუალებათა სისტემაში სრულიად ნაშლილია საზღვრები სმენითსა და მხედველობითს შეგრძნებათა შორის:

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელ-ხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და ყოველივე ამის მიუხედავად, გალაქტიონ ტაბიძის ამდროინდელი ლექსები ემოციური ზემოქმედების უდიდესი ძალით ხასიათდებიან. მკითხველი ყოველთვის შეუწინააღმდეგებელი და ცხოველ ემოციურ კონტაქტშია პოეტთან. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ლექსის მუსიკალურ ბუნებას, რის სფეროშიაც გალაქტიონ ტაბიძე შეუდარებელ სიმდიდრეს და ოსტატობას იჩენს. მისი ყოველი სტრიქონი გაცოცხლებულია და შინაგანად ამღერებული.

ასე შორს წავიდა გალ. ტაბიძე კლასიკური რეალისტური ლირიკის ტრადიციებიდან. ასე ღრმად გამოიხატა მის შემოქმედებაში დეკადენსის პოეტური კულტურის დამახასიათებელი თვისებები. მაგრამ მისი მთელი შემოქმედებითი ევოლუციის გზა აღბეჭდილია წინააღმდეგობებით. არის მთელს მის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ერთგვარი „ქვეტექსტი“, ზოგჯერ მეტად ღრმად შებურვილი. ზოგჯერ უფრო ცხადად გამოვლენილი შენაკადი, რომელიც ყოველთვის გამოხატავს პოეტის სულიერ ნათესაობას ეპოქის რევოლუციურ ფაქტორებთან.

ღრმა სევდასა და განწირულებასთან ერთად, რომლითაც საერთოდ განმსჭვალულია ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზია, იშვიათად როდი ვხვდებით რწმენით და სასიცოცხლო მისწრაფებებით აღბეჭდილ სტრიქონებს. უეჭველია, რომ პოეტის მახვილ ყურთასმენამდე მაინც აღწევდა ხმა იმ ფარული გუგუნისა, რომლითაც სოციალური სინამდვილის სიღრმეში გროვდებოდნენ რევოლუციის ახალი მამოძრავებელი ძალები:

ო, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი,
განადგურების ეკლიან გზაზე
გულს ბევრი რამ აქვს ხელუხლებელი.

და შინაგანი პოეტური ხილვა პოეტს თვალწინ წარმოუსახავს სადღაც არსებულ „სხვა სამყაროს“, რომლისკენაც მიპყრობილია მისი იმედი და მისწრაფება:

და მუდამ გავზრდი გულში იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე,
სადაც ედემი ყვავის მზიანი,
სადაც არ არის სული მწუხარე.

ბნელი და პირქუში საზოგადოებრივი ვითარების მიღმა პოეტი მაინც ხედავს თავის საოცნებო ნათელს და თუმცა ის ნათელი მიუწვდომელ სიშორედ ეჩვენება, მაინც გულით მიინევს მისკენ:

მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია, სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწინავს.
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

არა მარტო ოცნება შორეულ ნათელზე, არა მარტო რწმენა და სწრაფვა ამ „მზიურ ედემისაკენ“ გამოსჩანს ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიაში, არამედ ზოგჯერ მგზნებარე ტემპერამენტით აღბეჭდილი განწყობილება ამ იდეალის მოახლოებისათვის საბრძოლველად შთაგონებული პოეტისა:

ვივინყებ წარსულს... ჩემს სიყმანვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაპკურებ,
გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყეულ ღამესაც გავანადგურებ.

„მე და ღამის“ ავტორს აქვს ისეთი ლექსიც, სადაც იგი უკუადაგებს სიმშვიდისა და მყუდროების იდილიას, რათა გრიგალს შეეხას და ქარიშხალს მოუწოდოს:

ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე ვერც სიტკბობა,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო და სანეტარო.
დაჰქროლე, ქარო, მე არ მიყვარს ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა, დაჰქროლე, ქარო!

და როგორც კი დაჰქროლა ამ ქარიშხალმა, პოეტმა დიდის გაბედულებით გაანადგურა „ხელის შემშლელი ნისლი“ საკუთარი პოეტური წარსულისა. თუმცა ეს ნისლი ღრმად და ორგანიულად იყო დასადგურებული პოეტის ბუნებაში, მაინც რევოლუციასთან შინაგანმა ნათესაობამ და მისწრაფებამ დასძლია იგი:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

მთელ რიგ პოეტურ ქმნილებებში განასახიერა გ. ტაბიძემ ოქტომბრის რევოლუციის დიადი დღეებით გამოწვეული შთაბეჭდილებანი, რომლებიც მან უშუალოდ განიცადა რუსეთში. თავდაპირველად ბუნდოვანი იყო პოეტის ცნობიერებაში ამ დიადი დღეების საერთაშორისო ისტორიული აზრი. მას რევოლუცია ჯერ კიდევ ნგრევის სტიქიად მიაჩნდა, რომლის გარემოცვაში იგი თანაბრად იყო შეპყრობილი აღტაცებისა და განწირულების გრძნობებით:

ქურა სიავის გრძობამ შეფიფქა,
თან მეფიცება დობას და ძმობას,
და ყორანივით უცნობის სკრიპკა
ჩემს მხართან ტირის უიმედობას.
კარგია ძილი, რკინაზე მძიმე,
ან უცხოეთში უგზოდ დაკარგვა,
კარგია თოვლი, კარგია წვიმა,
მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა?

მაგრამ რევოლუციის ასეთი მიმღები მსწრაფლწარმავალი აღმოჩნდა პოეტისათვის. იგი აღტაცებით გაჰყვა რევოლუციას და ამიერიდან მის ლექსებში განწირულებისა და უიმედობის მოტივი სამუდამოდ შესცვალა გამარჯვებული ბრძოლის სიმღერამ:

ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიამულმა გადაიჟღერა,
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.

ეს გარდაქმნა ტაბიძისათვის არ ყოფილა მტკივნეული, მერყეობასა და დაეჭვებასთან დაკავშირებული. მაგრამ, ცხადია, ადვილი არ იყო ახალი, რევოლუციური თემებისა და იდეებისათვის შესაფერი პოეტური მოტივებისა და საღებავების მიგნება. პირად-ინტიმური თემების განსახიერებისათვის, ეფემერებისა და ფანტასტიური სურათების გადმოცემისათვის გადამუშავებული პოეტური ფორმა საფუძვლიან გარდაქმნას და შეცვლას მოითხოვდა. ეს კი შედარებით უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ამ სიძნელის გადალახვისადმი წარმოებულ დიდ შემოქმედებითს ბრძოლაში ტაბიძე ყოველთვის როდი ახერხებდა შეენარჩუნებინა პოეტური ქმნილების მისთვის ჩვეული ესთეტიური ძალა და სიღრმე. ავიღოთ, მაგალითად, პოემა „ჯონ რიდი“. ამ ვრცელ პოეტურ ნაწარმოებში, სადაც ავტორი ოქტომბრის რევოლუციას გვაძლევს როგორც ნგრევის სტიქიის ანარეკლს, პოეტური ფორმის მხრივ დარღვეულია ყოველგვარი კანონზომიერება და ზოგჯერ დავინწყებულია ლექსის სპეციფიკის მოთხოვნებიც. პოეტი აქ ფაქტებისა და მოვლენების კალეიდოსკოპს იძლევა, მათი ესთეტიკური გააზრებისა და სახეობრივი გადამუშავების გარეშე:

ნაქცეული ხე ტვერის ბულვარში,
ნაქცეული ცხენი ტვერის ბულვარში.
ტყვიისმფრქვეველი დიდ სამრეკლოზე,
ცეცხლი ედება
უზარმაზარ სახლებს ბულვარზე.
სახლები იწვიან ყოველმხრივ,
ყოველმხრივ...
ლეგენდა ერთ სახლზე,
მოსკოვი ღამით განათებულია,
განუწყვეტელი კანანადები,
საშინელი შიმშილი,
და მე ვინტოვკით!
კრემლში გამაგრება:
პური, რომელიც მიჰქონდათ კრემლში!

ამ სტრიქონებში გადმოცემულია დიადი რევოლუციური დღეების მძაფრი შეგნება. მაგრამ სინამდვილის სტიქიურ ათვისებასთან ერთად აქ თვით ლექსის მდინარეც სტიქიურია: ირღვევა პოეტური კანონზომიერების ყველა ჯგბირი. ცხადია, გალაქტიონ ტაბიძე აქ სრულიად

შეგნებულად ახდენს საკუთარი პოეტური ტრადიციების უღმობელსა და დაუზოგავ დეფორმაციას. ალბათ, მათს დარღვევაში ხედავს პოეტი ახალ, რევოლუციური ეპოქის პოეტური კულტურისათვის აუცილებელი მუსიკის აღმოცენების წინაპირობას.

შემდეგში რევოლუციური თემებისა და იდეების უფრო ღრმა დაუფლების ნიადაგზე პოეტი თანდათან შედის ახალი ხარისხის, მაღალი და მძლავრი პოეტური ფორმის ყალიბში. მის პოემებში, რომლებიც უფრო ლირიკული ფრაგმენტების თემატურად აწყობილს კომპოზიციებს შეადგენენ, ჩვენ ვხვდებით დიდი შთაგონებით და ღრმა ემოციური ძალით ამოძრავებულ ლექსებს:

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია,
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.

ქარიშხლიანი რევოლუციური ეპოქის პათოსი თანდათან მკვიდრდება გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ბუნებრივად ირღვევა მისი ლექსის ინტიმურ-კამერული ინტონაცია. უფრო მძაფრი გარდატეხებისა და დიადი კლასობრივი ბრძოლების დაძაბულ ატმოსფეროს ამსახველი ჰანგი განსაზღვრავს ეხლა მისი პოეზიის მელოდიურ ბუნებას. გ. ტაბიძის ლექსი უფრო მონუმენტალურ, ვაჟკაცურ, პათეტიურ სტილში იწყებს მდინარებას [...]

ოქტომბრის რევოლუციის თემა ორგანულად დამკვიდრდა ტაბიძის პოეზიაში და ამ თემის მრავალმხრივი დამუშავებით იგი საბჭოთა ეპოქის პოეტური კულტურის პირველხარისხოვან ოსტატად მოგვევლინა. გალაქტიონ ტაბიძე უმღერის ოქტომბრის რევოლუციას, როგორც კაცობრიობის ახალი სიცოცხლის დასაწყისს:

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე ეხლა რაოდენია!
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,
მათ განახლებას ეუბნება ბანს
ეს გაზაფხული, უხარებს დღეებს
და არწევს ახალ სიცოცხლის აკვანს...

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების უდიდეს ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მის პოეზიაში ღრმად არის გამოხატული ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა. მთელ რიგ პოეტურ ქმნილებებში იგი გვაძლევს კაპიტალისტური გარემოცვის მომაკვდინებელ მხილებას და განამტკიცებს მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვების ურყევ რწმენას:

მაგრამ მოვა დრო, მედგარი წვიმა,
მსოფლიო წვიმა დაჰკრავს ჯეჯილებს,
მიეზღინება იგი პოლიუსს,
ვით ცისარტყელის ფერი მზიანი.
წყალს იგი თუ არ, სხვა ვერვინ მისცემს
წყურვილისაგან ხმა ჩახლეჩილებს,
იგი: მსოფლიო ოქტომბრის შუქი,
ქვეყნის პირველი მერიდიანი!

უშრეტი პოეტური ენერგიით შევიდა ტაბიძე ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობის თემებისა და იდეების არეში და იშვიათია ჩვენი ეპოქის რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ანარეკლი და გამომხმაურება არ ეპოვოს ჩვენი დროის ამ მოწინავე პოეტის შემოქმედებაში [...]

წრფელი სიმღერებით ეხმაურება პოეტი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური აღმავლობის პათოსს და გაქანებას:

აქ ძახილია ლიანდაგების,
აქ ტრიალია სემაფორების.
შორი ძახილი სადგურებისა,
მოსვლის, შეხვედრის და განშორების.

გამარჯვების რწმენით აღბეჭდილი, მგზნებარე ლექსით მიმართავს პოეტი კოლხეთის ველზე ახალ მატერიკისათვის, ახალ ცხოვრებისათვის მებრძოლ გმირ ადამიანებს, „ახალი დროის არგონავტებს“:

თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა,
დაბრკოლებანი გარემოისა,
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა,
არგონავტებო ახალ დროისა.

განახლებული საქართველოს მზიური პეიზაჟი, ჩაის პლანტაციებით დაფარული ველები, აყვავებული ვარდის სურნელით გაჟღენთილი ბუნების ზეიმი გალაქტიონ ტაბიძის პოემაში პოულობს მგრძნობიარე ლირიკულ გამოხატულებას:

ჩემი გულია, მშვენიერ მაისს
ხვენნად მუხლებში რომ ვუვარდები,
სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის
და უყვითლესი ჩაის ვარდები!

პოეტი შთაგონებულად უმღერის ჩვენი სოფლის მამაპაპური იდილიის განახლებას, მის ცხოვრებაში მანქანის შეჭრას. ლექსში „ავტომობილი და ურემი“ გამოხატულია ახალი ცხოვრების ძლევამოსილი წინსვლა, წარსულის უკანასკნელი ნაშთების კატასტროფა:

ახალ-ახალ შარაზე
მიჰქრის ავტომობილი,
ჩემი გადარეული
და კეთილი ძმობილი.
გზა მიეცით მანქანას,
მომავალი მისია.
იგი ჩვენში ახალი
ყოფნის დასაწყისია.

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში ღრმად არის განსახიერებული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უწმინდესი იდეა. პოეტი შთაგონებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს უძლეველ და სახელოვან წითელ არმიას:

რწმენით იარ, იარ, იარ,
მტკიცე გქონდეს ბიჯი,
ყველა ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.

ასე ფართოა გალაქტიონ ტაბიძის პოეტური დიაპაზონი, ასე ვრცელია მისი შთაგონების თემებისა და იდეების სამყარო. ამ დიდსა და დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობაში, თემებისა

და პრობლემების ამ არაჩვეულებრივ სიუხვეში იშვიათი როდია პოეტურ ქმნილებათა არათანაბარი დონე და ხარისხი. „ეპოქის“, „პაციფიზმის“ და „რევოლუციონური საქართველოს“ ციკლებში ვხვდებით შედარებით დაბალი ესთეტიური ღირებულების ლექსებს. ეს უმთავრესად იმ შემთხვევებში, როდესაც პოეტი სოციალური სინამდვილის კონკრეტული მოვლენების ასახვას, ყოფაცხოვრებითი სურათების დახატვას ლამობს, როდესაც იგი მომთხრობელობით ლექსზე გადადის და ეპიკურ ჟანრში იწყებს მუშაობას. სჩანს, ლირიკული ლექსის უმაღლეს ხელოვნებას დაუფლებულ პოეტს ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავისი ინდივიდუალური გასაღები კონკრეტულ, რეალურ, თემატიურ მასალისათვის. შეიძლება ეს აიხსნებოდეს პოეტის ინდივიდუალური თვისებით, მისი ნიჭის სპეციფიკით. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ საბჭოთა პოეტური კულტურის ისეთი შედეგების გვერდით, როგორც არის „ქალაქი წყალქვეშ“, „პრესა“ და მრავალი სხვა, ტაბიძის შემოქმედებაში ვხვდებით ისეთს შემთხვევებს, როცა, პოეტისავე სიტყვით:

თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც
არ არის ლექსი!

აბა, რა აქვს საერთო გალაქტიონ ტაბიძის პოეტურ ბუნებასთან, მის შესანიშნავ და წარმტაც ლირიკულ სიმღერებთან, მაგალითად, ასეთ სტრიქონებს:

რიონჰესი
საქართველოსთვის არის
უმაღლესი
თავისუფლება,
რიონჰესს შემდეგ
საქართველოსთვის
ვერ იარსებებს
ვერავითარი
დამმონებელი
ძალაუფლება.

აქ მთლად ჩახშობილია ის დიადი პოეტური გზნება, მხატვრული აზროვნების, მოვლენების ლირიკული განცდის და შთაგონებული ამღერების ის იშვიათი თვისება, რომელიც ასე დამახასიათებელია გალაქტიონ ტაბიძის მთელი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის.

განსაკუთრებით შეეხება ეს მთელ რიგ თავებს პოემიდან „აკაკი ნერეთელი“ და ვრცელ პოეტურ ტრაქტატს „საუბარი ლირიკის შესახებ“.

აქ ვხვდებით უბრალოდ გართიმულ მსჯელობებს, სადაც ლექსის ემოციური ძალა მინიმუმამდეა დაყვანილი:

აზრთ შინაგანი მოძრაობა,
ბუნება გრძნობათ –
უნდა გაიხსნას გარეგანად,
იმ მოძრაობად,
რასაც იძლევა სიტყვათ რიტმი
და ჰარმონია;
ხელმარჯვეობა უმრავლესთა
ყვაველთ მკონია.
მრავალნაირი მოძრაობით
შექმნილი ძეგლი
მრავალფერობა ხმათა – როგორც
ამბობს ჰეგელი.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად მცირე პოეზიაა ამ სტრიქონებში, თუ რამდენად არ შეესაბამებინან ეს სტრიქონები გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედების ნამდვილ ბუნებას, საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე სტრიქონი ამავე პოეტური ნაწარმოების შესავალ ნაწილიდან, რომელიც ღრმა პოეტური ფანტაზიაა, გალაქტიონისებური ქეშმარიტი ლირიზმით აღბეჭდილი:

ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს,
ჭალების გაღმა,
კავკასიონის კლდოვანი მთის
მოსჩანდა ფერდი,
სალამობით, ვით ხომალდი
ასნიოს ნაღმმა –
მზით ენთებოდა და ჰქრებოდა
ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე ის სიშორე
მტანჯავდა ერთი –
ლაჟვარდოვანი მიტაცებდნენ
ნაქერალები
და ვკითხულობდი, ვვოცნებობდი,
ვმღერდი თუ ვსწერდი –
მდედნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ
ის მწვერვალები.

ეს არის ნამდვილი გალაქტიონ ტაბიძე, მისი ქეშმარიტი პოეტური ხმა, მღელვარე გრძნობა, დაუცხრომელი ლირიზმი, მხატვრული აზრის ექსპრესია, ლექსის შინაგანი ამღერება, თავისებური მელოდიურობა.

სჩანს, გალაქტიონ ტაბიძის პოეტური ცხოვრების სტიქია მდგომარეობს არა მსჯელობითი რეზონანსულ ლექსთა თხზვებში, არა მომთხრობელობითს ეპიურ პოეტურ ჟანრებში, არა ყოფა-ცხოვრებითი სურათების მხატვრობაში და ტიპიურ ადამიანთა პორტრეტების გადმომცემ ფორმებში მხატვრულ მეტყველებისა.

გალაქტიონ ტაბიძე ჩვენი ეპოქის დიდი ლირიკოსია და იგი თავისი პოეტური ბუნების მთელ ძალას სწორედ მაშინ გამოავლენს, როდესაც ობიექტურ სამყაროს გამოვლინების მიმართ თავისი დამოკიდებულების, თავის განცდათა და განწყობილებათა განმასახიერებელ ლექსებს ჰქმნის, და თუ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ზღუდავს მის პოეზიას, ღრმა სოციალურ რეზონანსს, ვერ ამწყვედევს მას პირადულ-ინტიმურ გრძნობებისა და ვიწრო ინდივიდუალისტურ ემოციების რკალში, ეს იმიტომ, რომ იგი მღელვარე ლირიკულ მელოდიებში, რომლებითაც პოეტი თავისი თანამედროვეობის დიდ სოციალურ ძვრებსა და იდეებს ეხმაურება, აღწევს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ტიპიურ მისწრაფებათა და განწყობილებათა გადმოცემას. საკუთარი ლირიკული ასპექტი სინამდვილის პოეტური ათვისებისა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ორგანულად არის დაკავშირებული ხალხის საბრძოლო იდეალებთან, უდიდესი ისტორიული მისიით ამხედრებულ მილიონების სულისკვეთებასთან და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი, როგორც სოციალისტური ლირიკის გამორჩენილი ოსტატის, ერთ-ერთი უპირველესი ღირსება.

ეპოქის მასულდგმულბეღელ დიდ სოციალურ იდეებს, ჩვენი უაღრესად დაძაბული და გმირული სინამდვილის მოვლენებს გალაქტიონ ტაბიძე ეხმაურება და გამოხატავს ისეთივე ლირიკული გზნებით, ისეთივე მწყურვალე მგრძნობელობით და პოეტური მღელვარებით, როგორც იგი ოდესმე პირად-ინტიმურ განცდათა სამყაროდან მომდინარე მოტივებს განასახიერებდა, ან საკუთარი ფანტასტიური წარმოდგენებით შეთხზულ სამყაროში ხილულ სურათებს წარმოსახავდა.

გალაქტიონ ტაბიძის პოეტური ბუნების ეს თვისება განსაკუთრებით ცხოვლად და მკვეთრად ვლინდება ეხლა, დიადი სამამულო ომის ვითარებაში, როდესაც მისი შემოქმედების

მასულდგმულელებელ ძირითად ძალად გადაიქცა სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულების იდეა, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების უბოროტესი მტრებისადმი მომაკვდინებელი მძულვარების წმინდა გრძნობა [...]

სამშობლოს მიუძღვნა და მიაკუთვნა პოეტმა თავისი ჩანგიც და თავისი გულიც. თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების მთელი არსება სამშობლოსთან დააკავშირა მან ისეთი ინტიმური და მშობლიური სიახლოვით, როგორც განიცდის ადამიანი რაიმე თავის უსაყვარლეს და უძვირფასეს საგანს.

სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში უშუალოდ არის დაკავშირებული მტრულ სამყაროსადმი მღელვარე სიძულვილის გრძნობასთან.

დაუცხრომელი პოეტური ენერგიით და შეურიგებლობის მძაფრი განცდით ჰქმნიდა გალაქტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ მშვიდობიან მშენებლობის წლებში მტრული რეაქციული სამყაროს მამხილებელ ლექსებს. დიდი სიუხვით და სისავსით არის დამუშავებული ეს თემა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. გარდა დიდი პოეტური ციკლებისა: „ეპოქა“ და „პაციფიზმი“, ამ თემისადმი მიძღვნილი გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მესამე ტომის ძირითადი ნაწილი „მოგონებები ევროპაზე“.

ამ ლექსებში პოეტი ღრმა დამაჯერებლობით განასახიერებს რეაქციულ სამყაროს სასიკვდილო განწირულების აზრს, გადმოგვცემს საბჭოთა ადამიანის ნაციონალური სიამაყის გრძნობას, მის შეგნებას ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებული ახალი ცხოვრების უპირატესობისა, ჩვენი ხალხის ბრძოლის დიადი საერთაშორისო ისტორიული აზრისა. ამ აზრით აღბეჭდილი ლექსებით მიმართავს პოეტი ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტერთა სამყაროს:

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს –
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის
ურთიერთრწმენის ურყევ საძირკველს.
თქვენი ქვეყანა კი ურთიერთის
ღრმა სიძულვილის ვულკანზე მდგარი,
ქანაობს, ომის მძვინვარე ღმერთი
არის იმისი ბაირახტარი.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსი ყოველთვის ისწრაფვოდა, გაეწროთ და გაემახვილებინა ჩვენი ხალხის სიფხიზლე მტრული ძალების მიმართ, ხალხის გრძნობა მზადყოფნისა მომავალი დიადი ბრძოლებისათვის სამშობლოს მტრების წინააღმდეგ.

პოეტს იერიში მიჰქონდა ჩვენი გულდამშვიდების ყოველგვარ ილუზიაზე. იგი დაჟინებით მოგვაგონებდა:

რომ არა ერთხელ აგუგუნდებდა
დედამინაზე კიდევ სამუმი.

იგი გვიხატავდა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ისტორიის ყველაზე ბნელი და უბოროტესი ძალების მოსალოდნელი ვერაგული გამოლაშქრების სურათს, აღბეჭდილს ღრმა პოეტური ექსპრესიით:

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,
ხევიდან ხევზე გადიგრიანებს
ხევიდან ხევის გამოძახილი.
გააფთრებული ომის გენია
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის
გადეფარება მენამულ ზეცას
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის,

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრეოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს ტფილისს!

ეს წინათგრძნობა და წინდახედვა საერთაშორისო რეაქციის უბნელეს ძალთა მოსალოდნელ თავდასხმისა ჩვენს დედა-სამშობლოზე მრავალჯერ არის გამოხატული გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. ამიტომ უმღეროდა იგი ყოველთვის ისეთი ფრთაასხმული შთაგონებით ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, მის უძლეველობას, მტერთ შემმუსრავე სიმტკიცის იდეას:

ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლაში მაგარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი.

ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის თითქმის წინა დღით, 1941 წლის თებერვალში, დასწერა გალაქტიონ ტაბიძემ პატრიოტული მგზნებარებით შთაგონებული ვრცელი ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ – ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკისა. [...]

ვერაგი მტრისადმი მომაკვდინებელი ზიზლის წმინდა გრძნობით აღგზნებული ლექსი გალაქტიონ ტაბიძისა ეხლა ადამიანობის უმაღლეს იდეალად, სიცოცხლის უმაღლეს დანიშნულებად და გამართლებად, მტრის ურდოების შესამუსრავად და უკუსაქცევად ვაჟკაცურ ბრძოლას სახავს:

სანამლაგით ხელში მოსულს
მას სიკვდილი მოსდევს მხლებლად,
ომს აჩალებს ბარბაროსულს,
ხალხს ეკვეთა სანამებლად.
უნდა გაჰქრეს სიმწრის ფერი,
მძიმე სულის მძიმე ქროლა,
ეხლა არის ყველაფერი –
მასთან ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა [...]

ეხლა გალაქტიონ ტაბიძე თავისი პოეტური ცხოვრების უმაღლეს დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ღირსეულ პოეტურ სიმღერებში უკვდავჰყოს ჩვენი ხალხის ეხლანდელი დიადი, უმაგალითო გმირული ბრძოლა:

ამ დღეებს ძეგლი უნდა აუგო,
უნდა აღმართო წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენტან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

გალაქტიონ ტაბიძის მთელი პოეტური ბიოგრაფია წარმოადგენს ურთულეს შემოქმედებითს განზრახვათა ბრწყინვალე განხორციელების უწყვეტ თანმიმდევრობას. უეჭველია, რომ იგი ასეთივე წარმატებით დასძლევს იმ დიდ შემოქმედებითს ამოცანას, რომელიც ჩვენი მწერლობისა და, კერძოდ, პოეზიის წინაშე დასახა ჩვენმა გმირულმა თანამედროვეობამ [...]

გალაქტიონ ტაბიძის განუხრელი ერთგულება თავისი მაღალი სოციალური იდეალისადმი, მისდამი მთელი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების, თავისი მაღალი ნიჭისა და ოსტატობის დამორჩილება სანიმუშოა საბჭოთა ეპოქის მხატვრული კულტურის ყოველ მოღვაწისათვის.

გალაქტიონ ტაბიძის მიმართ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ მისივე სიტყვები, თქმული ჩვენი ეპოქის ჭეშმარიტი პოეზიის დასახასიათებლად:

სიმღერით მოდის,
არ გადუხვევს რჩეულ გზისაგან,
სხვა გზა – უცნობი –
ვერასოდეს ვერ შეირიგოს...
იგი ისწრაფვის კომუნიზმის
გამარჯვებისკენ,
მაშ გაუმარჯოს
სიმართლისთვის მებრძოლ ლირიკას!

ჟურნ. „მნათობი“, 1943, № 9-10, გვ. 161-180.

ილია შენგელია

სიზოლოზიმი საქართველოში¹

[...] ქართული პოეზიის გოლიათებმა – ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ – ისეთის ძლიერებით დაიქუხეს თავის დროზე, რომ თუმცა მათი შემოქმედებითი ზენიტი მე-19 საუკუნეშია, მაინც ჩვენი საუკუნის პირველი 15 წელიც მათი პოეტური ბატონობის წლები იყო. მრავალი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შემოქმედი ამ პერიოდისა ისე შთაინთქნენ სამ მომხიბვლელ ნაკადად მომდინარე პოეზიის ტალღებში, რომ პატარა კუნძულებად მოსჩანან ისეთი პოეტური პოტენციისა და ტალანტის მქონენიც კი, როგორც გრ. აბაშიძე და მ. გურიელია.

ასე ყოფილა მუდამ: მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები შთანთქავენ ხოლმე თანამედროვეთ, ხშირად უფროს და უმცროს თაობებსაც. მაგრამ როგორი დიდებული და აზავ-თებულებიც არ უნდა იყოს შემოქმედებითი მდინარება, იგი წყალგამყოფს წაანყდება მაინც. ერთი ასეთი წყალგამყოფი ქართულ ლიტერატურაში 1910-სა და 1920 წლებს შუა უნდა ვეძიოთ. კერძოდ, 1915-1916 წლებში გარკვეულად იჩინა თავი ახალმა მიმდინარეობებმა. აქედან იწყება ე. წ. უახლესი ქართული ლიტერატურა, რომლის დასასრული მიჯნა ჯერხნობით არა სჩანს.

მართალია, საბჭოეთი შეეცადა ხელოვნური წყალგამყოფი შეექმნა – ჯებირებად აღმართა ათასი დაბრკოლებანი, რომელთა დანიშნულებაც მხატვრული ლიტერატურის მდინარებათა ნაძალადევი შეცვლა იყო, – მაგრამ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალას თავისი გააქვს, ხელოვნებაში იგი უძლურია. ჯებირი მდინარეს დროებით შეაჩერებს, მაგრამ ვერ შეცვლის კი. მდინარე ან გვერდზე გაუსხლტება, ან თავს გადაეცლება, ანაც თვით ჯებირში გამოიჟონვის და თავის გზას კი გააგრძელებს. იქნებ აიმღვრეს კიდეც ამ წვალეებაში, ჯებირის ნახლექი რომ გამოიყოლოს, მაგრამ მალე დაინმინდება ისევ და წავა თავისი გზით.

უახლოესი ქართული ლიტერატურის საწყისი წლები დაემთხვა რთულ პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს. ეს იყო პერიოდი ათასი იზმებისა. დედამინა სამშობიარო სარეცელზე იყო გაკრული და უჩვეულოდ ბორგავდა (არც თუ უბრალოდ: ასეთი საშინელი ტყუპი არასოდეს უშვია მას!). შესაბამისად, მხატვრული შემოქმედებაც ამ პერიოდის იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია რომელიმე ერთი პრინციპით იმის განხილვა. ერთში ვართ მხოლოდ ღრმად დარწმუნებული, – მიუხედავად მრავალი დაკნინებული (პროლეტარული მწერლობა), ავადმყოფურისა (ფუტურიზმი) და უფრო გვიან – სამარცხვინოსი (საბჭოთა მეხოტბენი), – ამ პერიოდმა მოგვცა ისეთი მომხიბვლელი მწვერვალებიც ცალკე პოეტური პიროვნებებისა თუ სკოლების სახით (გრიშაშვილი, გალაკტიონი, რობაქიძე და „ცისფერყანწელები“, „არიფიონის“ ჯგუფი და კონსტანტინე გამსახურდია), რომ უსათუოდ ღრმა კვალს დასტოვებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

¹ იბეჭდება გალაკტიონისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი. დედანში მცდარად დამონმებული ციტატები გასწორებულია.

ამ მრავალფეროვნებაში მკაფიოდ გამოირჩევა გარკვეული ლიტერატურული მიმართულება – სიმბოლიზმი. იგია ყველაზე მძლავრი მოძრაობა ამ პერიოდისა საერთოდ პოეზიაში გაბატონებული.

ამაოდ უკიჟინებდნენ ქართველ სიმბოლისტებს სიმბოლიზმის დრომოჭმულობაზე. პოეზია მარად ძველია და მარად ახალი. ასე, ძველი სიახლე შეიტანეს მათ ქართულ პოეზიაში. მათ სათანადო ნიადაგი ჰქონდათ უთუოდ და მკვიდრადაც მოიკიდეს ფეხი.

მთავარი წარმომადგენლები ქართული სიმბოლიზმისა არიან გ. ტაბიძე და „ცისფერყან-წელთა“ ძმობა გრ. რობაქიძის მეთაურობით.

გალაკტიონ ტაბიძე ერთი უდიდეს ფიგურათაგანია უახლოეს ქართულ პოეზიაში.

არასოდეს ასეთის სიმსუბუქით და დამატრობელი მუსიკალობით არ აჟღერებულა ქართული ჩანგი. მიუხედავად სევდის უსაზღვროებისა და ცრემლებისა, – „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ – ისმის ყოველ სტრიქონში. განუმეორებელი სიმარტივით და სილამაზით აგებს იგი ლექსს. მისივე ლექსები ამართლებენ სიტყვებს ლექსიდან „პოემა ვეფხისა“:

ხმათ აიაზმის ნელი ჰკურება...
ისარი გულზე ვის არა სოდეს?
იყო მრავალი განადგურება,
ლექსთა სიკვდილი კი – არასოდეს.

მაინც: თუმცა გამონაკლისს გარდა მის პოეზიაში ვერ შევხვდებით ღრმა გააზრებებს, გრანდიოზულ თემებს, თავისი მსუბუქი ყოვლის შემცველობით, სინატიფით და ძნლად სახილველი სიღრმით, უკვდავებას იჩემებენ მისი ლექსები.

გულო, ოცნებას მალავ!
ცაო, ლურჯდება ზოლი!
ვაჟი: – დაიცა, ქალავ!
ქალი: – დაგიბრმა თოლი!
შორით ბრუნდება წყალი,
ნისლი იცრება მთაში.
– არა! – ჩურჩულებს ქალი.
– კარგი! – ამშვიდებს ვაჟი.
გულო, ოცნებას მალავ,
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ისევ: – დაიცა, ქალავ!
ისევ: – დაგიბრმა თოლი!

აქ ტკბილი მუსიკით და ყალმის მსუბუქი თამაშითაა დახატული მარადი სურათი ქალ-ვაჟიანისა. რამდენად მეტია იდუმალება, რამდენადაც უფრო დაფარულია აზრი თქმათა შორის, – იმდენად უფრო ადვილად მიდის იგი გრძნობიერებამდის, ოღონდ მეტის სიძლიერით უსათუოდ.

ლექსი თავისებური რამაა და მკითხველს გარკვეულ ოსტატობასთან ერთად გრძნობის მექონეობა მოეთხოვება. მოვიყვანოთ თუნდაც ეს ნაწყვეტი:

გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს,
განათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს.
ასე მიდის ეს ზამთარი
სიზმარავით მდევარი,
ასე რეკავს საზანდარი
უქმი, შემაქცევარი...

ამ სტრიქონებს შეუძლია გაუგებარი უკმაყოფილება და მხურვალე ალტაცება გამოიწვიონ სხვადასხვა მკითხველში.

ვინც გალაკტიონის, საერთოდ სიმბოლისტური, ლექსის მანიშნებელ იდუმალებას ჩასწვდომია, მხოლოდ ის დამეთანხმება, რომ ქუთაისზე უფრო ლამაზად ჯერ არავის უთქვამს, ვიდრე:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ უთხრა კი – ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

მის ცრემლებით სავსე პოეზიაზე, წამებასა და იდუმალების თეთრ ლამეებზე, ცისფერი-სადმი, უცნაურისადმი, ქარტყილებისადმი ლტოლვაზე, გულის მომკვლელ ამოძახილზე,

რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას,

აქვითინებულ სტრიქონებზე:

ათოვდა ზამთრის ბალებს.
მიქონდათ შავი კუბო...
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო.
მიქონდათ კიდევე კუბო...
ათოვდა ზამთრის ბალებს.

ხანაც ანაზღეულად გამომკრთალ ღიმილზე (წინააღმდეგობა პირველი ნიშანია სიმბოლიზმისა), ცისარტყელასავით რომ გამორჩდება და ბარათაშვილისეულ მერანს მოაგელვებს მაშინ პოეტი, – აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. პოეტის მტერ-მოყვარეთაგან ბევრი რამ თქმულა თავის დროზე, დამკვიდრებულა წლების მანძილზე და ახლა შორეთიდან, ამ პირობებში, როგორი დიდიც არ უნდა იყოს სიყვარული, ძნელია შეეჭიდო შემცდარს, ანაც შეჰმატო მართებულს.

კვერს დავუკრავდი მხოლოდ პოეტს:

ვიცან, გალაკტიონ, შენში აქტიონი
(ლექსიდან „როცა აქტიონი...“).

საბჭოებმა მოინდომა გალაკტიონის გასაბჭოება. ყველაზე მაგრად ხელი ჩასჭიდეს ლექსებს ოქტომბრის დღეებზე, მაგრამ იგი აქაც სიმბოლისტია.

მას იტაცებდა არა ოქტომბრის იდეები, არამედ – მსოფლიო ნგრევის გრანდიოზული ორკესტრი, საშინელებათა ქარტყილი.

ასევე უმართებულა მისი შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფა. მთელი გასაბჭოების შემდგომი შემოქმედება პოეტისა ან გაგრძელებაა ერთხელვე აჟღერებული ჩანგისა, ანაც შემოქმედებით სიკვდილს უფრო მოასწავებს, ვიდრე ახალ პერიოდს მის შემოქმედებაში.

ამ აზრისათვის ერთგვარი ნათელის მოსაფენად, ზედმეტი არ იქნებოდა, მკითხველისათვის მოგვეთხრო ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც მჭევრმეტყველურად უჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდნენ ხშირად „ახალი“ ლექსები. მე მიქონდა შემთხვევა დაბეჭდვამდის გაცნობილი გალაკტიონის ორ ლექსს. მომყავს ნაწყვეტი:

ამწვანებული მდელო,
აყვავებული მთები,
ჩემო ლექსებო ძველო,
გქონდათ არწივის ფრთები,
რუსთაველი და – მშვიდი?
დამშვიდება და – ვაჟა?
ანმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავალს ვაშა!..

მთაგორების ზემო –
მყინვარებთან ახლო
აგაშენე, ჩემო
მშვენიერო სახლო.

„მზრუნველებმა“ ამ სტრიქონებში საშიში აზრი დაინახეს, – ლენინის ორდენსანი პოეტისათვის შეუფერებელი და... სწორედ დიდის ამბით ჩატარებულ იუბილეს დღეს ასეთის შესწორებით იქმნენ დაბეჭდილი:

ამწვანებული მდელო,
აყვავებული მთები,
ჩემო ლექსებო **მარად**
გქონდათ მსუბუქი ფრთები...

მთაგორების ზემო –
მყინვარებთან ახლო
არ გაშენებ, ჩემო
მშვენიერო სახლო.

პირველი შესწორებით მოისპო პოეტის გულწრფელი აღიარება, რომ მისი ძველი ლექსები იყვნენ არწივის ფრთიანნი, – ეს ხომ ახალი – საბჭოთა ლექსების თავისებური უარყოფა გამოდიოდა. არ დართეს ნება...

რომ აქ მართლაც შესწორებასთან გვაქვს საქმე, იქიდანაც სჩანს, რომ ლექსის პირვანდელი აღნაგობა დარღვეულია. დაუკვირდით შინაგან რითმებს: **მდელო – ძველო, მშვიდი – დიდი**, – პირვანდელ წყობაში და შემდეგ: **მდელო – მარად!**... ვინ გაჰბედავს, რომ გალაკტიონს მიაწეროს ეს რითმები, გალაკტიონს, რომლის პოეზიაშიც მუსიკა იყო უპირველეს ყოვლისა.

მეორე შესწორება, უფრო მსუბუქის ხელისმოსმით გაკეთებული (რალაც ორი ასოს ჩამატებით), სულ ერთიანად ცვლის ლექსის აზრს.

პოეტი ამბობდა, რომ მისი მშვენიერი სახლი მას აუშენებია მთაგორების ზემოდ, მყინვარებთან. ცხადია, მშვენიერ სასახლედ გულისხმობს თავის პოეზიას, რომელიც მართლაც საზოგადოებიდან განდგომილებაში – მყინვარებთან იქმნებოდა.

აქედან: უარყოფა იმისა, რაც **„ბარში“ ააშენებინეს**¹.

შესწორების შედეგი ნათელია – ისე მკაფიოდ განსხვავდებიან **აგაშენე და არ გაშენებ**.

მაინც აქაც წარმოიშვა ერთგვარი შეუსაბამობა: თუ პოეტს განზრახული ჰქონდა თავისი მშვენიერი სახლის ადგილსამყოფელობა მკითხველისათვის გაცნო, რა თქმა უნდა, იგი პირდაპირ ამ სახელს დაასახელებდა, ხოლო იმის აღნიშვნა, თუ სად არ ააშენებს, არაფერი საჭირო იყო.

არ ვიცი, ეს შესწორებანი პოეტთან შეთანხმებით მოხდა თუ არა, ამას არსებითად არცა აქვს მნიშვნელობა. ლექსების პირვანდელი ტექსტი კი საკუთარის თვალთ ნამიკითხავს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში¹.

¹ ორივე ლექსი („ანმყოს დიდება დიდი“ და „მთაგორების ზემო“) დაიბეჭდა არა გაზეთში, არამედ ჟურნალ „მნათობში“ 1936 წელს (№ 6, 11).

მე სწორედ ლექსების იმ აზრმა აღმაფრთოვანა, რომელიც შემდეგ გადაასწორეს, იქვე გავიზებური ისინი და როცა მეორე თუ მესამე დღეს გაზეთის ახალი ნომერი გადავათვალიერე, განზილებული დავრჩი. მიტომაც დამამახსოვრდა სათანადო ადგილები.

ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ ქმნიდნენ მეორე პერიოდს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში...

ჟურნ. „ქართველი ერი“, 1943, № 10-11, გვ. 6-7.

სანდრო შანშიაშვილი

ტალანტები და თაყვანისმცემლები

ამხ. ა. ჟდანოვმა ცნობილ მოხსენებაში¹ განაცხადა: „ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თუ გვსურს შევინარჩუნოთ კადრები, ვასწავლოთ მათ და აღვზარდოთ ისინი, არ უნდა გვეშინოდეს პრინციპული, გაბედული, გულახდილი და ობიექტური კრიტიკისა. მხოლოდ გაბედული და ჯანსაღი კრიტიკა ეხმარება ჩვენს ადამიანებს სრულყოფაში, აძლევს მათ წინსვლის, თავიანთ მუშაობაში ნაკლოვანებათა დაძლევის სტიმულს, სადაც კრიტიკა არ არის, იქ ფეხს იკიდებს დაობება და დახავსება, იქ ადგილი არა აქვს წინსვლას“.

შემდეგ ამხანაგი ჟდანოვი დაასკვნია: „ვისაც თავისი მუშაობის კრიტიკისა ეშინია, ის საზიზღარი ლაჩარია, რომელიც საბჭოთა ხალხის მხრივ პატივისცემის ღირსი არ არისო“.

აი ეს უნდა იყოს ჩვენი მუშაობის პრინციპი. მეც ვეცდები ეს თვალსაზრისი დავიცვა ამ წერილში, ვეცდები ვიყო „პრინციპული, გაბედული და გულახდილი“, ხოლო თუ სადმე გადავცდი, ან მკაცრი გამოთქმა ვიხმარე, – ეს მომივა ჩემს უნებურად, მარტოოდენ ხელოვნების სიყვარულით.

ვეცდები, გამოვამზეურო უიდეო პოეზიაში, რომელსაც პანეგირიკებით გატაცებული ჩვენი კრიტიკოსები ხშირად ვერ ამჩნევენ.

ჩვენს ლიტერატურაში თავიდანვე ძლიერი იყო მოწინავე, მოქალაქეობრივი პოეზია, ქართული სიტყვის დიდი ოსტატები მუდამ უპირველეს ყოვლისა, გრძნობისა და აზრის ჯანსაღობას ესწრაფვოდნენ, მათთვის მთავარი იყო – ჯანსაღად შეცნობა რეალური ცხოვრებისა, ისინი უმღეროდნენ სულის სიღიადეს, ნების სიმტკიცეს და გმირობას, ზნეობით აღსავსე სიყვარულს, ოჯახის სინმინდეს და მაღალ, უანგარო პატრიოტიზმს.

ეს ტრადიციები მტკიცედ დაამკვიდრა რუსთაველმა, მეთვრამეტე საუკუნეში მას იცავდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე და სხვები, ხოლო მეცხრამეტეში – ორბელიანები, ყველაზე მეტად ბარათაშვილი, შემდეგ ილია, აკაკი და ბოლოს აბსოლუტურად გენიალური ვაჟა-ფშაველა, მე ვასახელებ მხოლოდ პოეტებს.

მაგრამ ისმოდა სხვა ხმებიც ჩვენს პოეზიაში. ხდებოდა ხოლმე, რომ ჩვენს ლიტერატურაში შემოიჭრებოდა მღვრიე ნაკადი, ეს იყო იმ პერიოდებში, როცა ლექსები იწერებოდა დროის შესაქცევად, სალაზღანდაროდ, უზნეო სიყვარულის ქების შესახებმელად.

შემდეგში ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ ეს უიდეო სრულიად დამარხეს და მინაც მიაყარეს, როგორც უმიზნოს, უშინაარსოს და გამართობ პოეზიას, მაგრამ დარჩა კიდევ სადღაც ხვრელი და ამაზე დანვრილებით შემდეგ...

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში დაჰგმო რუსთაველმა ის პოეტები, რომელნიც ლექსებსა სწერენ:

სააშკოდ სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად.

მათი ლექსების გამო რუსთველი ამბობდა:

¹ იგულისხმება ა. ჟდანოვის გახმაურებული მოხსენება ჟურნალების „Звезда“ და „Ленинград“-ის შესახებ.

მძულს უფულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუშიო!

ჰხედავთ, რაოდენ მკაცრი და სამართლიანი ყოფილა რუსთაველი თავისი თანამედროვე მწერლობის შეფასების დროს.

ასეთია ტრადიცია; ჩემს ნათქვამს ისე ნურვინ გაიგებს, თითქოს ეს ტრადიცია მარტო ჩვენ, ქართველებს გვექონდეს, არა, ასეთი შეზღუდულობისაგან შორს უნდა დავიჭიროთ თავი.

* * *

ისტორია არ შეიძლება არც გავაუმჯობესოთ და არც გავაუარესოთ – გვასწავლის ამ-ხანაგი სტალინი.

ცხადია, იგივე ითქმის ლიტერატურის ისტორიაზეც. რატომ უნდა მივცეთ ცალმხრივი გაშუქება ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოეტის მოღვაწეობას წარსულში? რატომ უნდა შევუქმნათ ახალგაზრდა მკითხველს ყალბი წარმოდგენა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ?

ჩვენი კრიტიკოსები კი ხშირად იჩენენ სწორედ ასეთ ცალმხრივობას.

როგორ აფასებენ ისინი რევოლუციის წინაპერიოდის ქართულ ლიტერატურას? აი, მაგალითად ბესარიონ ჟღენტი წერს:

„გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ნიგნი შეუდარებელი სიმდიდრეა რევოლუციის წინაპერიოდის ქართული პოეზიისა და უეჭველად ერთი უდიდესი მოვლენათაგანია ევროპული და რუსული სიმბოლიზმის მასშტაბით. ამ ნიგნში გ. ტაბიძემ მიაღწია იმპრესიონისტული პოეტური ფერწერის უკიდურეს საზღვარს, გამოიშვა პოეტის ღრმა სუბიექტური განცდებისა და გრძნობების გადმომცემი მიმზიდველი მუსიკა ლექსისა, პოეტური სახეების ემოციური ძერწვის თავისებური მანერა, რომლის მეოხებითაც ლოგიკურ ენაზე აუხსნელი მოტივებიც კი (?) ხშირად აღწევენ განზრახულ ეფექტს, დაუფინყარი ძალით (?) გადადიან მკითხველის ცნობიერებაში“ („მნათობი“, 1943, № 9-10, გვ. 162-163).

ამრიგად, ჩვენი კრიტიკოსის მოსაზრების მიხედვით, თურმე, შესაძლებელი ყოფილა ლოგიკურ ენაზე აუხსნელი მოტივებით მიაღწიო განზრახულ ეფექტს, უფრო მეტიც – ეს „ლოგიკურ ენაზე აუხსნელი მოტივები“ თურმე შეიძლება „დაუფინყარი ძალით გადადიოდნენ მკითხველის ცნობიერებაში“. განა ეს იგივე არ არის, რასაც სიმბოლისტები – რემბო და მალარმე ქადაგებდნენ? ისინიც ხომ ამას ამტკიცებდნენ, რომ ულოგიკო სიტყვების შეფერადებით შეიძლება ადამიანზე ემოციური ზეგავლენა მოვახდინოთ, არა იდეა, არა აზრი, არამედ მუსიკა უპირველეს ყოვლისა – აი სიმბოლიზმის დედააზრი. რატომ დასჭირდა საბჭოთა კრიტიკოსს გაეზიარებინა დეკადენტური ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი დებულება? ეს ხომ სავსებით ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ხელოვნებაზე.

მაგრამ კრიტიკოსი შესცდა იმიტომ, რომ მან მოინდომა გაემართლებინა პოეტის ყოვლად ბუნდოვანი ლექსები, მან „თეორიული გამართლება“ მოუპოვა ამ ბუნდოვანებას, ულოგიკობას და ასე, თავისდა შეუმჩნეველად, გაიზიარა სიმბოლიზმის ძირითადი დებულება.

გალაკტიონ ტაბიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე, ის ავტორია მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებისა, მაგრამ ეს სრულიად არ გვაძლევს იმის საბაბს, რათა მის ბუნდოვან ლექსებსაც „თეორიული გამართლებები“ მოვუძებნოთ. [...]

ჩვენი კრიტიკოსები, ალბათ ძალიან გაბრაზდებიან და ნაწყენებიც დარჩებიან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ისინი ხშირად არასწორად აშუქებენ ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, კიდევ ერთხელ მინდა გავახსენო მათ ბრძნული სიტყვები: ისტორია არც უნდა გავაუმჯობესოთ და არც უნდა გავაუარესოთ.

ვიცი, მკითხველი გულში ჩაილაპარაკებს: „შენ რომ სხვას აკრიტიკებ, სხვისი ამდენი ნაკლოვანება რომ გამოჰფინე, განა შენ თვითონ უცოდველი პაპი ბრძანდებიო?“ მე ვუპასუხებ:

თუ რომელიმე ჩემი ნაწარმოები მიუღებელი და შეუფერებელია მკითხველისათვის – ისიც უნდა ამოიწვას ძირიან-ფესვიანად.

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, 17 მაისი, № 19.

ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და
ჩვენი ამოცანები

მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე¹

[...] კლასიკური მემკვიდრეობის ჩვენს სინამდვილესთან მოახლოება დასაბუთებული უნდა იყოს მეცნიერულად. კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საკითხიც დიდად აქტუალური საკითხია. რომელიმე ჩვენი კლასიკოსის და საბჭოთა მწერლის შორის ნათესაობის საკითხი სწორედ უნდა იყოს გაშუქებული. საბჭოთა ახალგაზრდობას უნდა მივანოდოთ ზუსტი და მკაფიო ლიტერატურული მოსაზრებები. საერთოდ, სხვადასხვა ეპოქის პოეტთა დაპირისპირება თუ დაახლოება დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს. სამწუხაროდ, ნაწილობრივ არასწორი შეხედულებები გამოამყლავნა ამხ. სერგო ჭილაიამ ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილ წერილში გ. ტაბიძის პოეზიის შესახებ. ამხ. ს. ჭილაიას აზრით, გ. ტაბიძე უშუალო მემკვიდრეა მე-19 საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეებისა. ამხ. ს. ჭილაიას თავის წერილში მხედველობაში აქვს მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედება. გამოდის, რომ წმინდა დეკადენტურ პოზიციებზე მდგარი, ინდივიდუალისტი, „მე და ღამის“ ავტორი გ. ტაბიძე პირდაპირი შთამომავალი ყოფილა მე-19 საუკუნის ნაციონალ-განმათავისუფლებელი იდეებისა. ეს დებულება ყოვლად დაუსაბუთებელია. გ. ტაბიძე რევოლუციამდელ ლექსებში ყოველგვარ სოციალურ თემებს გაურბის და მთლიანად უპირისპირდება მე-19 საუკუნის პოეტებს. ამხ. ს. ჭილაია ნ. ბარათაშვილის პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში და, მეორეს მხრივ, გ. ტაბიძის ლექსებში ეძებს შეხვედრებს, როგორც თვითონ ამბობს, „შეხვედრებს“ და არა ნაბადვის ნიმუშებს. შეხვედრები შეიძლება ერთსა და იმავე დროში მოღვანე პოეტთა შორის არსებობდეს და თუ ნ. ბარათაშვილის ლექსებისადმი მისგავსებულ ნაწარმოებებს რომელიმე თანამედროვე პოეტი წერს, იგი ეპიგონია და არა მისი თანამოაზრე. თუ პირველ მთქმელის აზრს, ან ფორმას ვინმე იმეორებს, ახლა იგი მხოლოდ მიმბაძველია და შეხვედრებზე ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ უნდა ითქვას, გალაკტიონ ტაბიძე არასდროს არ ბაძავდა ნ. ბარათაშვილს, იგი თავისი პოეტური ბუნებით სრულიად სხვა პოეტური სამყაროს წარმომადგენელია. თუ მას ცალკეულ ლექსებში ბარათაშვილისეული ლექსიკური მასალა გააჩნია, ან თუ ის ლექსში ახსენებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს, რომელიც ბარათაშვილსაც აქვს მოხსენებული, ეს კიდევ მათს ურთიერთობაზე არაფერს არ ლაპარაკობს. ნ. ბარათაშვილი მკაფიო კლასიკური აზროვნების პოეტია. მის ყოველ ლექსში ლირიკული გრძნობა პოეტური აზრით არის გახსნილი და დადასტურებული. გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი ლექსები კი იმპრესიონისტულია და პოეტი ქართულ მწერლობაში იმპრესიონისტულ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლად გვევლინებოდა. იმპრესიონისტი პოეტი უშუალო შთაბეჭდილებათა ფიქსაციას ახდენს და მისი ემოციურობა მხოლოდ შთაბეჭდილებათა ამღერებით არის მიღწეული. მისი პოეტური აღწერა ლირიკულ შთაბეჭდილებათა მიღმა არ მიდის. მის სულიერ ზრახვებში სოციალური შინაარსი უგულვებელყოფილია. ნ. ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთანმინდაზე“ ლირიკული შთაბეჭდილებები გადაზრდილია თემების ფილოსოფიურ გააზრებასთან და ეს შთაბეჭდილებები საფუძველს უქმნის პოეტს ქვეყნად სიბნელის დამხობაზე იფიქროს და ბნელის განმაბნეველ მზეს მიესალმოს, ე. ი. მთანმინდაზე მიღებული შთაბეჭდილებები დიდ ლირიკულ აზრში გადადის და პოეტის სულიერი ცხოვრების განზოგადება ხდება. გ. ტაბიძის „მთანმინდის მთვარეში“ კი დიამეტრალურად საწინააღმდეგო სულია გამჟღავნებული. პოეტის შთაბეჭდილება საკუთარი სულის თრთოლაზე მაღლა ვერ ადის და იგი, როგორც შთაბეჭდილების ფიქსაცია, რჩება მკითხველის მეხსიერებაში. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ გალაკტიონი ძლიერი პოეტი არ არის, – არა. ეს გალაკტიონ ტაბიძის პოეტური თვისებაა. ის რევოლუციამდე ნამდვილი დეკადენტი იყო. აკ. განწერელია ერთ წერილში ამტკიცებს, რომ, მართალია, გალაკტიონ ტაბიძემ ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის გზა გაიარა, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

¹ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი.

გ. ტაბიძე იმთავითვე თავისუფალი იყო ამ სკოლის დეკადენტური თემატიკისაგანო. ეს საკვირველი მტკიცებაა. როგორ შეიძლება, კაცი დეკადენტი იყოს და ამავე დროს თავისუფალი იყოს დეკადენტური თემატიკისაგან. აბა, რას წარმოადგენენ: „ხშირად ვიგონებ ვერლენს“, „დომინო“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „ლურჯა ცხენები“ და სხვა მრავალი. ეს ნამდვილი დეკადენტური თემატიკაა. ესაა სამყაროს რღვევისა და დაშლის ილუზიაზე დამყარებული პოეტის შთაბეჭდილებები. ან რას ნიშნავს სათაური მეორე წიგნისა – „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“! ეს არის წიგნის შინაარსის ნამდვილი დეკადენტური განმარტება. ყოველივე ამის შემდეგ წარმოდგენელია ნ. ბარათაშვილის და რევოლუციამდელი გ. ტაბიძის შეხვედრებზე ლაპარაკი. ავიღოთ ლექსი „მტკვრის პირას“, შევადაროთ გ. ტაბიძის, რომელსაც გნებავთ, ლექსს: ბარათაშვილის ლექსში ლირიკული შთაბეჭდილება თანდათან გადაზრდილია დიდ საზოგადოებრივ ლირიკულ აზრში, ლექსის ლირიკულ კომპოზიციაში შემოიჭრება სამყაროს რაობის საკითხი, ამით ხდება ლირიკული აზრის განზოგადება და ავტორი თავის ლირიკულ შთაბეჭდილებას დიდი სოციალური შინაარსის დასკვნას აძლევს. გალაკტიონ ტაბიძეს თავის შთაბეჭდილებათა ამგვარი გააზრება არ ახასიათებს და ის თავის პირად განცდას საზოგადოებრივი შინაარსის მოვლენას არ უკავშირებს. გ. ტაბიძის მიმართვა ბუნებისადმი არ ზოგადდება. გალაკტიონი ეუბნება ბუნებას: „მოუალერსე ავადმყოფ გულს და დაამშვიდო“. ჩვენი კრიტიკოსები: შალვა რადიანი, ბესო ჟღენტი და სერგო ჭილაია ერთმანეთს ეჯიბრებიან და ცდილობენ გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან დააკავშირონ. მათ ჰგონიათ, რომ „მერანმა“ მისცა სათავე გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებს“. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ალ. პუშკინის „ბრინჯაოს მხედარს“ რუსეთში ვინმემ შეადაროს ვ. ბრიუსოვის „Конь блед“, ან – კ. ბალმონტის „Красные кони“. ეს შედარება უსათუოდ დიდ გაოცებას გამოიწვევდა რუსულ საზოგადოებაში. ყოველი ცხენის შედარება „მერანთან“ არ შეიძლება. „ლურჯა ცხენები“ ბალმონტის „წითელ ცხენებს“ და ბრიუსოვის „ფერმკრთალ ცხენს“ ენათესავენ და მათი ზეგავლენით არის დანერილი. ნ. ბარათაშვილი დიდი ლოგიკური აზროვნების პოეტია და მისი ემოციურობა დამყარებულია არა მარტო პირადი ტკივილების გადმოცემაზე, არამედ ყოველი პიროვნული ტკივილის განზოგადებაზე. ამ ორი დიდი პოეტის სახით ჩვენ გვყავს აშკარად ორი სხვადასხვა ბუნების მატარებელი შემოქმედი. ამხ. პეტრე შარიამ საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობაზე მკაფიოდ და ზუსტად შეადარა რევოლუციამდელი გალაკტიონ ტაბიძე ალ. ბლოკს და აღნიშნა, რომ ქართველი პოეტი ალ. ბლოკით გახდა პირველ ხანებში რევოლუციის თანამგზავრი, ხოლო შემდეგ – მისი ორგანული ნაწილი. მაგრამ ხომ საკვირველი იქნებოდა, რომ ალ. ბლოკის ლექსები „მშვენიერ ქალზე“ შეგვედარებინა ალ. პუშკინის, ლერმონტოვის, ან ტიუტჩევის ლექსებისათვის. არ შეიძლება ძალა დაატანო მასალას და ახალგაზრდობას სრულიად არასწორი წარმოდგენა მისცეთ როგორც ნ. ბარათაშვილზე, ისე – საბჭოთა პერიოდის ცნობილ პოეტზე – გალაკტიონ ტაბიძეზე. ამხ. აკაკი განერელია ამტკიცებს: ბოდლერის, ვერლენის და რემბოს გვერდით გალაკტიონ ტაბიძე აკაკი წერეთელს და შოთა რუსთაველს ახსენებდა და ეს მის ქართულ ტრადიციებზე და არა დეკადენტობაზე მიუთითებსო. ანდრეი ბელი კლასიკური წარმომადგენელია რუსული დეკადენტიზმისა. იგი ალ. პუშკინს, ტიუტჩევს და ლერმონტოვს ხშირად ახსენებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ანდრეი ბელი დეკადენტი არ არის. ის სტრიქონები, რომელიც ამხ. სერგო ჭილიას და ამხ. შალვა რადიანს მოჰყავთ და რომლებსაც ისინი შეხვედრებს უწოდებენ, შეხვედრები არ არის. ცალკეული სიტყვიერი მასალის, ან ცალკეული სტრიქონის მიბაძვით ათვისება სრულიად არ ნიშნავს მემკვიდრეობის ათვისებას. რამდენადაც თანამედროვე პოეტი ბაძავს რომელიმე კლასიკოსს, იმდენად იგი შორდება მისაბაძი კლასიკოსის პოეზიის ბუნებას. მართალია, გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ წიგნებში გაბნეულია რამდენიმე რეალისტური, აღწერიითი ლექსი, მაგრამ ისინი სრულიად სხვა ტრადიციიდან მომდინარეობენ, ვიდრე ბარათაშვილის პოეზია. გალაკტიონ ტაბიძის იმდროინდელი რეალიზმის ელემენტები ლიტერატურულ საზრდოს პოულობდა დიდი ქართველი პოეტის – აკაკი წერეთლის – პოეზიაში. თვით გალაკტიონ ტაბიძის იმპრესიონისტული „მთანმინდის მთვარე“ ძალიან შორეულად, მაგრამ მაინც აკ. წერეთლის „განთიადში“ ჰპოვებს საფუძველს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ „მთანმინდის მთვარეში“ ნ. ბარათაშვილზე ადრე აკ. წერეთელია მოხსენებული. შემთხვევითი არ არის, რომ რევოლუციამდე გ. ტაბიძემ ერთადერთ ქართ-

ველ პოეტს უძღვნა ლექსი და ეს პოეტი გახლდათ აკაკი წერეთელი (მე ვგულისხმობ ლექსს „აკაკის ლანდი“). აკაკის პოეტურ სახეს შემდეგ ისევ მიუბრუნდა გალაკტიონ ტაბიძე და მიუძღვნა მას დიდი პოემა.

მაგრამ რევოლუციამდელ გალაკტიონ ტაბიძისთვის ეს ძლიერ ეპიზოდური მოვლენა იყო და იგი მალე განშორდა აკაკის გზას, დიამეტრალურად მის სანინალმდებო პოზიციაზე დადგა და მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ორგანულად არ შესულა მის პოეზიაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიუბრუნდა იგი რეალიზმს და უფრო აშკარად დაუახლოვდა აკაკი წერეთლის პოეტურ გზას.

ამხ. სერგო ჭილაია მართებულად სწერს, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმით გამოწვეული ემოციურობა მის რიტმიულ მრავალფეროვნებაზე დამყარებული, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ლექსთანყოფის ძალა მის რიტმიულ ნაჭედობაში მჟღავნდება, შემდეგ ს. ჭილაია ამტკიცებს, თითქოს გალაკტიონ ტაბიძემ ეს რიტმიულობა ნ. ბარათაშვილისა ორგანიულად შეითვისა და განავითარა იგი. ეს დებულება არ შეეფერება სინამდვილეს. გ. ტაბიძის ლექსთწყობაში მთავარი რიტმიული ნაჭედობა კი არ არის, არამედ მისი პოეზიის საფუძველია მელოდიურობა. შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ფორმალურად მელოდიური შედეგები შექმნა ჩვენში. ამ მხრივ მისი პოეზია მართლაც საოცარი მოვლენაა. ლექსის მელოდიური გამართვით და ამღერებით ის უფრო აკაკი წერეთელს ენათესავება, ვიდრე ნ. ბარათაშვილს. აკაკი წერეთელიც მეცხრამეტე საუკუნეში ყველაზე ამღერებული და მელოდიური პოეტი იყო. ამგვარად ლექსთანყოფის გარეგნული რიტმიული თუ მელოდიური დინებით ნ. ბარათაშვილი და გ. ტაბიძე სხვადასხვა გზით მიემართებიან. ნ. ბარათაშვილის ლექსი უმთავრესად რიტმიულ ნაჭედობას ემყარება, ხოლო აკაკი წერეთლის და გ. ტაბიძის პოეზია უმთავრესად მელოდიურობით და ამღერებით ხასიათდება...

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, 30 მაისი, № 21.

სერგი ჭილაია

ქველი დავა ახალი ფორმით

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“¹ დაიბეჭდა ს. ჩიქოვანის მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ შესდგა. მოხსენებაში მრავალი საინტერესო საკითხია აღძრული. მათ შორის ბევრია სადავო, ზოგი კი აშკარად მცდარიც. ამჟამად ჩვენ ამ საკითხთა შორის მხოლოდ ერთ საკითხს გვინდა მივაქციოთ ყურადღება. ეს შეეხება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შეფასებას. მომხსენებლის აზრით, გ. ტაბიძე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე „ნამდვილი დეკადენტი იყო“ და მას საერთო არაფერი აქვს კლასიკურ ქართულ მწერლობასთან. ამიტომაც „ყოვლად წარმოუდგენელია“ გ. ტაბიძესა და მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერლებს შორის საერთო „შეხვედრებზე“ მსჯელობა. ვინც ასე ფიქრობს, ის, თურმე, „მასალას ძალას ატანს და ახალგაზრდობას სრულიად არასწორ წარმოდგენას აძლევს“. მივცეთ სიტყვა თვით ს. ჩიქოვანს. იგი სწერს: „წმინდა დეკადენტურ პოზიციებზე მდგარი... გ. ტაბიძე პირდაპირი შთამომავალი ყოფილა მე-19 საუკუნის ნაციონალ-განმათავისუფლებელი იდეებისა. ეს დებულება ყოვლად დაუსაბუთებელია. გ. ტაბიძე რევოლუციამდელ ლექსებში ყოველგვარ სოციალურ თემებს გაურბის და მთლიანად უპირისპირდება მე-19 საუკუნის პოეტებს“... „მის სულიერ ზრახვებში სოციალური შინაარსი უგულვებელყოფილია“... „ის თავის პირად განცდას საზოგადოებრივ შინაარსის მოვლენას არ უკავშირებს“ და ა. შ.

ახლა ვნახოთ, მართლა ასეა? მივმართოთ ფაქტებს.

¹ იხილეთ გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ №19, 20, 21.

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსი – „პირველი მაისი“ – 1908 წელს დაიბეჭდა. პოეტმა ეს ლექსი დაბეჭდვამდე არალეგალურ რევოლუციონერთა კრებაზე წაიკითხა და ამით თავისი პირველივე სიტყვით რევოლუციურ მუშათა კლასს დაუკავშირდა. ამ ლექსში აშკარად სჩანს პოეტის ოპტიმისტური დამოკიდებულება რევოლუციისადმი, ხალხის მომავლისადმი. პოეტი ჯერ აღწერს რეაქციის მძვინვარე პერიოდს და ჩვენს თვალწინ აღიმართება დარბევის, შიმშილის, ბორკილებისა და საპყრობილის მწვავე სურათები, მაგრამ გ. ტაბიძე აქ არ სვამს წერტილს. მას სწამს, რომ მოვა დრო და რევოლუციური პროლეტარიატი კვლავ აღმართავს თავისუფლების დროშას:

დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ განევას,
იმ პირველ მაისებს!

ასეთი იყო ის რომანტიკული შთაბეჭდილებანი, რომელიც 1905 წლის რევოლუციიდან მოდიოდა და პოეტის რწმენასა და იმედს აღძრავდა. მაგრამ რეაქციის მძვინვარე ხანამ და მის-მა ხასიათმა თავისი მძიმე დაღი დაასვა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ სულს. პოეტი აკვირდება ცხოვრებას, მის გარშემო არსებულ სინამდვილეს და მას სევდა იპყრობს, ოპტიმისტურ კილოს უიმედობისა და მისტიკის ხმა ცვლის. იგი თვითონ ცდილობს ერთგვარად ახსნას ამ სევდიანი განწყობილების მიზეზები. 1909 წელს დაწერილ ლექსში პოეტი საკითხს სვამს, „თუ რა აკრ-თობს და აწუხებს აქ ადამიანს?“ დასმულ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა:

თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება!..
შეისმინევი, ჰე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!
გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს... გული წუხდება...
რად არ სწყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?
მზე დაგვექათათებს... ყვავილთ გუნდი გვეაღერსება,
ტანჯვა არისო ყველაფერი მოსაგონებლად,
თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება!
იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად!..

ასე უკავშირებს პოეტი პირადსა და საზოგადოებრივს. ამავე წელს დაწერილ ლექსში „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“ გ. ტაბიძე იმედით შეჰყურებს ხალხის მომავალს:

შორს ჩვენგან, ღამის წყვილიადო!
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო!
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო...
ჩვენ მზე გვსურს... ხალხო, შეერთდი –
ზევით ასწიე მზე, ზევით...
მის აღდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით!

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ძნელია მოინახოს მეორე უფრო ოპტიმისტური ლექსი. გალაკტიონ ტაბიძე აქ მთელი ხმით უმღერის ხალხის შეერთებას, ხალხის ბრძოლას უსამართლობის, ჩაგვრის წინააღმდეგ. უფრო გვიან, 1915 წელს, პოეტი თავის მოვალეობად სთვლის უმღეროს ხალხს და ემსახუროს მის მომავალს. მართალია, მე მავნო ბურუსმა, მაგრამ მწყუროდა და კვლავ მწყურია ხალხისათვის თავდადებაო. იგი ასკვნის:

სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნანართობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგომობელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

პოეტს უყვარს ქარიშხალი:

მიყვარს მარტო ქარიშხალი თვალუნვდენელ ზღვიდან ზღვამდე,
ზღვიდან ზღვამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე!

ქარიშხლის ბრძოლაში პოეტი ქვეყნის განახლების ძალას ხედავს. პოეტს იზიდავს ქარიშხლიანი, ბობოქარი ცხოვრება:

დაჰქროლე, ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე, ქარო.

პოეტის სიყვარული ქარიშხლისადმი, მისი გატაცება გაზაფხულით, ცხოვრების სიყვარულით, სიცოცხლის მშვენიერებით დიდი რომანტიკული გზნებით არის გამოხატული ცნობილ ლექსში „გურიის მთები“. გ. ტაბიძეს იშვიათი ოსტატობით აქვს აღწერილი 1905 წლის რევოლუციის ცეცხლით განათებული ნასაკირალი, რომლის ხილვამ და მთების სიმწვანემ სიცოცხლისა და განახლების აზრი აღუძრა პოეტს. გ. ტაბიძის შემოქმედებაში ეს ჯანსაღი ნაკადი, ოპტიმისტური რწმენა მომავალისა ერთგვარად ძლიერდება რევოლუციის მოახლოებასთან ერთად. პოეტს გამარჯვების იმედს აძლევდა რევოლუციის მოლოდინი. ამ იმედით აღფრთოვანებული 1916 წელს სწერდა:

ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები.
განა არ არის საშინელი საცოდავობა,
ისეთ ქვეყანას – როგორც ჩვენი საქართველოა –
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

ყოველივე ამის გამო გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის წინაპერიოდის პოეზია არ შეიძლება, როგორც ამას სიმონ ჩიქოვანი ამტკიცებს, წმინდა დეკადენტური, სიმბოლისტური პოეზიის ნიმუშად მივიჩნიოთ. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისათვის არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი ქართველი სიმბოლისტების – ცისფერი ყანწელებისათვის – დამახასიათებელი დეკადენტური უკიდურესობანი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში არ მოსჩანდეს კვალი, და ძლიერი კვალიც, დეკადენტური, სიმბოლისტური პოეზიისა. ამას ჩვენ გარკვევით ვწერდით ჟურნალ „მნათობშიც“ (№ 1, 1948 წ.).

ამხ. ს. ჩიქოვანს ამაოდ ჰგონია, თითქოს ვივინყებდეთ და ანგარიშს არ ვუწვევდეთ დეკადენტური სკოლის გავლენას გალაკტიონ ტაბიძის ადრინდელი ხანის შემოქმედებაში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს გალაკტიონ ტაბიძის ამ პერიოდის ლექსებში მისი შემოქმედების მეორე ნაკადი, რომლითაც ის დაკავშირებულია ქართული მწერლობის სათავეებთან. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას არასოდეს გაუნყვეტია კავშირი ქართული პოეზიის ჯანსაღ ნაკადთან. მთელ მის პოეტურ მოღვაწეობას ძლიერი ქართული კლასიკური პოეზიის ნაკადი ასაზრდოებდა.

საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში, სამშობლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დადგა რევოლუციური საქართველოს პლატფორმაზე. გალაკტიონ ტაბიძე ამ პერიოდის მწერლებს შორის ყველაზე ადრე მოვიდა პირდაპირ

და გადაჭრით რევოლუციასთან. 1922 წელს გაზეთში „პოეზიის დღე“ პოეტი სწერდა: „ჩვენი სამშობლო სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არა აქვს უარყოფის თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული. მეხუთე საუკუნის სტილი შვენიის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის იგი მარტოოდენ ძონძებია... ჩვენ განვიცადეთ საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი – ახალი სიტყვა“.

ქართველმა პოეტმა იცის, რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვა. ეხლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, უნდა მოცილოს შემოჭველი სიცივე „გარდამავალ ლანდებისა“. ამავე წელს გალაკტიონ ტაბიძე გაბედულად აყენებს კითხვას: „განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული შემოქმედების უნაყოფო ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“. გალაკტიონ ტაბიძის ეს მაღალი პატრიოტულ-პოლიტიკური სიტყვები გაისმოდა, როგორც ძლიერი მოწოდება საბჭოთა პოეტისა. აქ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ეს სტრიქონები მაშინ იწერებოდა, როდესაც ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში ბურჟუაზიულ-დეკადენტური მწერლობის მიერ განვლილი პერიოდის უბადრუკი მიბაძვის ნიმუშები ახლად ითხზებოდა დეკადენტური ლიტერატურული ჯგუფების წყალობით.

გ. ტაბიძემ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე ხანებში სწორი ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ რევოლუციის წინაპერიოდის მის შემოქმედებას ახასიათებდა ჯანსაღი მხარეებიც, რომ პოეტის შემოქმედება საზრდოობდა ქართული ლიტერატურის ტრადიციებით, მიემართებოდა რომანტიზმის გზით. მეორე მხრივ, გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებს შორის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დეკადენტური პოეზიის გავლენა განიცადა და თავის პოეტური ხარკი გადაუხადა ამ მიმართულებას. და თუ მწერალს გავიგებთ მისი შემოქმედებითი მოტივების, თემების, განწყობილების და არა წინასწარ შემუშავებული სუბიექტური, ზერელე შთაბეჭდილებისა და ტრაფარეტული იარლიკების მიხედვით, მაშინ არც შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ქართული ნაციონალური ძირების ნამყვანი მნიშვნელობა გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში. ამან გადაარჩინა გ. ტაბიძე დეკადენტობის ბრწყყალებს და როდესაც შესაფერისი მომენტი დადგა, მოაშურა საბჭოთა მწერლობის ნათელ გზას.

უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტიური ხასიათის შეცდომა, რომელიც ამხ. ს. ჩიქოვანმა დაუშვა. ჯერ ერთი, მომხსენებელი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება, როცა წერს, რომ **გალაკტიონ ტაბიძე ლიტერატურულ საზრდოს პოულობდა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის პოეზიაში** (რამდენიმე სტრიქონის წინ კი ამტკიცებდა: **„გ. ტაბიძე მთლიანად უპირისპირდება მე-19 საუკუნის პოეტებს“**. ს. ქ.)

ს. ჩიქოვანი წერს: „გ. ტაბიძემ ერთადერთ ქართველ პოეტს უძღვნა ლექსი და ეს პოეტი გახლდათ აკაკი წერეთელი. (მე ვგულისხმობ ლექსს „აკაკის ლანდი“)“ და შემდეგ: „გ. ტაბიძის ლექსებში პირველად მხოლოდ აკაკი წერეთლის სახელი გვხვდება“. აქ ს. ჩიქოვანს ფაქტიური შეცდომები მოსდის. გ. ტაბიძემ აკაკი წერეთელზე უფრო ადრე მოიხსენია შოთა რუსთაველი (იხილეთ ლექსი „მცხეთიდან“), ილია ჭავჭავაძე (ლექსი „წინამურში რომ მოკლეს ილია“), ხოლო ყველაზე ადრე მაინც ბარათაშვილია მოხსენებული (ლექსი „მხედარი“). ბარათაშვილის სახელი ტყუილად როდი გვხვდება გ. ტაბიძის პოეზიაში, მაგრამ მარტო სახელის ხსენებას რა მნიშვნელობა ექნებოდა, საქმე ისაა, რომ იგი გამოყენებულია როგორც შთაგონების, თემის გააზრების წყარო.

გალაკტიონ ტაბიძემ 1910 წელს აღმანახში „ახალ ტალღას“ დაბეჭდა ლექსი, რომელსაც წამძღვარებული აქვს ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსის სიტყვები: „აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით“. ეს ლექსი სიანტერესოა არა მარტო იმით, რომ აქ ბარათაშვილი პირველად გვხვდება, როგორც დიდი ავტორიტეტი ახალგაზრდა პოეტისათვის, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ეს ლექსი არის ბარათაშვილის ცნობილი ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ პირდაპირი შთაგონებით დაწერილი. სამწუხაროდ, ეს ლექსი არ შესულა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების

არც ერთ გამოცემაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ბევრი რეალისტური ლექსი ამ პერიოდისა, მაგალითად – „მწუხარება“ – დაბეჭდილი „პირველ ტალღაში“, №1, 1909 წელს – „ფანტაზია“ (იქვე, №2), „ახალ ტალღას“, „მწყემსი“ და სხვა, რატომღაც არ არის შეტანილი ტაბიძის ლექსების კრებულში.

ამხ. ს. ჩიქოვანი დიდი მონდომებით ამტკიცებს: **„ავიღოთ ლექსი „მტკვრის პირას“, შევადაროთ გ. ტაბიძის, რომელსაც გნებავთ, ლექსს: ბარათაშვილის ლექსში ლირიკული შთაბეჭდილება თანდათან გადაზრდილია დიდ საზოგადოებრივ ლირიკულ აზრში... და ავტორი თავის ლირიკულ შთაბეჭდილებას დიდი სოციალური შინაარსის დასკვნას აძლევს. გალაკტიონ ტაბიძეს თავის შთაბეჭდილებათა ამგვარი გააზრება არ ახასიათებს და ის თავის პირად განცდას საზოგადოებრივი შინაარსის მოვლენას არ უკავშირებს“.**

ნამდვილად კი გ. ტაბიძის ლექსი „ახალ ტალღას“ სწორედ ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ პოულობს სათავეს. ბარათაშვილის ლექსის შთაგონებით გალაკტიონ ტაბიძე ფრიად დიდ და საინტერესო სოციალურ, საზოგადოებრივ საკითხს ეხება. პოეტი ჯერ აღწერს ზღვის მიდამოებს, სადაც ყველაფერი იმავე სევდით სუნთქავდა, რა სევდასაც პოეტი შეუპყრია:

მუდამ თან მსრბოლი ფიქრი მწვავდა, ფიქრი მტანჯავდა,
გამოვექეცი გულის დამწველს მშვიდ არემარეს;
ნაპირი ზღვისა იმავე სევდით მშვიდად სუნთქავდა,
ცას შესცქეროდა ზღვა ლაჟვარდი გულცივს, მდუმარეს.

ამას ასეთი მეზრძოლი სტრიქონები მოსდევს:

არ მინდა, არა! სულს მოსწყინდა ეგ ერთფერობა,
სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს,
მუდმივ დუმბილში ვერ თავსდება ტანჯულის გრძნობა
და ნაზ სიმღერას, გულში აღძრულს, ზღვას შეღალაღებს:
შენს მოლოდინში
გულს ნუ მიდაგავ,
დაჰკარ, დაჰქუხე,
ახალო ტალღავ!

ამ ლექსში გალაკტიონ ტაბიძემ ახალი ჟღერა მისცა ბარათაშვილის საზოგადოებრივ, სოციალურ აზრს ადამიანის დანიშნულების შესახებ, ბარათაშვილის მეზრძოლი ბუნება და უკავშირა რევოლუციას. ასე თავისებურად გადატყდა დიდი წინაპრის საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა გ. ტაბიძის პოეზიაში.

ლიტერატურის ისტორიამ არა ერთი შემთხვევა იცის, როდესაც მწერალს სხვადასხვაგვარი გაგებით, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო შეფასებით ახასიათებდნენ. გ. ტაბიძის შემოქმედება გამონაკლისი როდია. გალაკტიონ ტაბიძის მისამართით ჯერ კიდევ „ცისფერი ყანწელები“ ამტკიცებდნენ, რომ ის ნაციონალური, ეროვნული პოეტი არ არის, რომ გ. ტაბიძის დეკადენტური პოეზია ქართულ მწერლობაში ნიადაგს ვერ პოულობსო. ამ მხრივ ს. ჩიქოვანი პირველი არ ყოფილა, ოღონდ ს. ჩიქოვანი ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა და უფრო ვრცელი „დასაბუთება“ სცადა. მაგრამ განა ვინმეს, ვინც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას საფუძვლიანად იცნობს და ობიექტურ შეფასებას აძლევს, შეუძლია დაამტკიცოს, რომ ისეთი ლექსების ავტორი, როგორცაა „მამული“, „კახეთის მთვარე“, „მეთხუთმეტე საუკუნე“, „კოლხეთს“, „გახედე, კახეთი“, „თბილისი“, „მთანმინდის მთვარე“, „ეს მშობლიური ქარია“, „უნაზესი ხელნაწერი“, „გურიის მთები“ და სხვ. მონყვეტილია ქართულ ეროვნულ ნიადაგს და ეროვნული პოეტი არ არის? ამგვარი კრიტიკოსების მისამართით პასუხს თვით გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში ვპოულობთ:

ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.

მას შემდეგ, რაც ს. ჩიქოვანმა გ. ტაბიძე წმინდა დეკადენტად გამოაცხადა, ქართული მწერლობის გარეშე დააყენა და ნაციონალური ძირები გამოაცალა, როგორ შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა მივცეთ მის სიტყვებს: „გ. ტაბიძე დიდი პოეტიაო“. წარმოუდგენელია დიდი პოეტი იყოს ის, რომელსაც ნაციონალური, ეროვნული არაფერი გააჩნია და გამოცხადებულია დეკადენტად. ჩვენ არ გვინდა ამჟამად ამ უცნაურ თეორიას კვალიფიკაცია მივცეთ, ოღონდ გვაოცებს, საიდან მოიტანა ეს აზრები ს. ჩიქოვანმა?

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვგონია, ნათელია, თუ ვინ არის მართალი და ვის „შეყავს შეცდომაში ახალგაზრდობა“, – იმას, ვინც ამტკიცებს გალაკტიონ ტაბიძის კავშირს ქართულ მწერლობასთან, კერძოდ ნ. ბარათაშვილთან, თუ ს. ჩიქოვანს, რომელიც „თავის თავს ეჯიბრება“ დაამტკიცოს გ. ტაბიძის წმინდა დეკადენტობა.

გაზ. „კომუნისტი“, 1948, 19 ივნისი, № 121.

სერგი ქილაია

გალაკტიონ ტაბიძე¹

გალაკტიონ ტაბიძე ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელია ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით. აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ ქართულ ლიტერატურას გ. ტაბიძეზე უფრო შესანიშნავი ლირიკოსი არა ჰყოლია. გალაკტიონ ტაბიძეს დიდი ხანია უკვე დაემკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ლექსის დიდი ოსტატის, დამოუკიდებელი, ორიგინალური პოეტური ხმის, მაღალი განცდებისა და ემოციების ლირიკოსის სახელი. დიდია გალაკტიონ ტაბიძის გავლენა მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაზე. ეს გავლენა შეინიშნება არა მარტო ტაბიძის მომდევნო თაობათა ნაწარმოებებში, არამედ მისივე თაობის პოეტების შემოქმედებაშიც. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ბრწყინვალე ლირიკით ახალი ხანა დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში, ახალი ჟღერა მისცა ქართულ ლექსს, ახალი მღელვარებითა და განცდებით გაამდიდრა იგი. ბრწყინვალე ტრადიციის მქონე ქართულ ლიტერატურაში გალაკტიონ ტაბიძე წარმოდგა დიდი პოეტური ტალანტის გამოსხივებით, მან ახალი პოეტური ალით გაანათა ჩვენი ლიტერატურა.

გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობა ვრცელი, მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ამ დიდ პოეტურ მრავალმხრივობას რევოლუციის წინა პერიოდში თანასდევს ღრმა წინააღმდეგობა. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია არსებულ შავბნელ სინამდვილესთან კონფლიქტში დაიბადა. ამ კონფლიქტს ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში ორი ნაკადი ასაზრდოებდა. ძირითადი, მაგისტრალური პოეტური სათავე და განვითარება ქართული კლასიკური მწერლობის საწყისებიდან მოდიოდა, ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი ტრადიციით საზრდოობდა და რომანტიზმის გზით მიიმართებოდა. მეორე მხრით, გალაკტიონ ტაბიძე მე-20 საუკუნის ქართულ პოეტებს შორის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც რუსულ-ევროპული სიმბოლისტური დეკადენტური პოეზიის გავლენა განიცადა და თავისი პოეტური ხარკი გადაუხადა ბურჟუაზიულ დეკადენტურ მიმართულებებს. მაგრამ როგორც უნდა იყოს ამ უკანასკნელ ნაკადთა კვალი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია, რომ პოეტის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ამ ხაზს მივაკუთვნოთ ერთადერთი მნიშვნელობა. საკითხის ამგვარად წარმოდგენა იქნებოდა ფაქტების დამახინჯება. მწერალი მისი შემოქმედებითი მოტივებით, თემებით, განწყობილებით და ფაქტებით უნდა გავიგოთ და არა წინასწარ შემუშავებული სუბიექტური ტრაფარეტებითა და იარლიყებით.

¹ იბეჭდება შემოკლებით.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება ორი, სრულიად სხვადასხვა ეპოქის მიჯნაზე გაიშალა. ერთი მხრით, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება დაიწყო და მიმდინარეობდა სოციალისტური რევოლუციის წინა ეპოქაში, რეაქციის, პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკების უდღეური ბატონობის დღეებში. ამ ეპოქამ თავისი დალი დაასვა ტაბიძის პოეზიას. მეორე მხრით, მისი პოეტური მოღვაწეობა სოციალისტური რევოლუციის ეპოქას დაუკავშირდა და ამ ახალ ეპოქაში ჰპოვა ტაბიძის პოეზიამ ოპტიმისტური გაშლა და განვითარება. ამ განსხვავებულ ეპოქათა ხასიათმა თავისებურად გამოიწვია გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება განწყობილების, თემების, მოტივებისა და მათი პოეტური გამოხატვის ხერხებითაც კი.

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსი 1908 წელს დაიბეჭდა. მაგრამ ტაბიძე, როგორც პოეტი, უფრო ადრე ჩამოყალიბდა. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური აზროვნება 1905 წლის რევოლუციის დღეებში მომწიფდა. ამ დროს უკვე ჭაბუკი პოეტი მოწმე იყო, თუ როგორ აღდგა თავისუფლების საქმისთვის ჩვენი ხალხი, როგორ აღიმართა რევოლუციის დიადი დროშა. ამ ბრწყინვალე და მღელვარე რევოლუციის დღეებში მოხდა პოეტის სულიერი ფორმირება. გალაკტიონ ტაბიძემ თავისი პირველი ლექსი რევოლუციონერთა არალეგალურ კრებაზე წაიკითხა, და ამით თავისი პირველი პოეტური სიტყვით რევოლუციურ მუშათა კლასს დაუკავშირდა. ამ ლექსში აშკარად ჩანს პოეტის ოპტიმისტური დამოკიდებულება რევოლუციისადმი, ხალხის მომავლისადმი. პოეტი ჯერ აღწერს რეაქციის პარპაშს და ჩვენ თვალწინ იშლება დარბევის, შიმშილის, ბორკილებისა და ციხის მწვავე სურათები:

მეფეს კი, მეფეს კი –
ქარით და გრიგალით
თითქოს არავისა
და არარაისი –
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.

პოეტი აქ არა სვამს წერტილს. მას სწამს, რომ მოვა დრო და რევოლუციური პროლეტარიატი კვლავ აღმართავს დროშას თავისუფლებისას. პოეტი მთელი თავისი რომანტიკული გრძნობით მიესალმება „ამ ნათელ განვევას“.

დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ განვევას,
იმ პირველ მაისებს.

ასეთი იყო ის რომანტიკული შთაბეჭდილებანი და რწმენა მომავლისა, რაც 1905 წლის რევოლუციიდან მოდიოდა. მაგრამ სულ მალე ამ ნათელ რწმენას შხამი ჩაენვეთა და მის გვერდით დიდი ადგილი მისტიკურმა განწყობილებამ, სევდამ და კაეშანმა დაიჭირა. გალაკტიონ ტაბიძე ადრინდელ ლექსებში ერთგვარად ცდილობს ახსნას ამ სევდიანი განწყობილების მიზეზი, თავისი უკმაყოფილებისა და კაეშნის საფუძველი. 1909 წელს დაწერილ ლექსში გ. ტაბიძე სვამს კითხვას, თუ „რა აკრთობს და ანუხებს აქ ადამიანს?“ დასმულ კითხვას ასეთ პასუხს აძლევს:

თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება!..
შეისმინევი, ჰე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!
გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს... გული წუხდება...
რად არ სწყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?
მზე დაგვქათქათებს... ყვაველთ გუნდი გვეალერსება,
ტანჯვა არისო ყველაფერი მოსაგონებლად,
თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება!
იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად!..

ასე აქვს უკვე წარმოდგენილი პოეტს ადამიანის სევდის, ნალველისა და ცრემლის მიზეზი ამ პერიოდში. უფრო მეტი. პოეტი ამ შავზნელი სინამდვილის გამო იტანჯება ადამიანებთან ერთად. პოეტი გულწრფელად ამბობს: „როცა დავუგდებ ამ ხმებს ყურს, მეც ვიტანჯები“.

გალაკტიონ ტაბიძისთვის რევოლუციის მზიანი დღეები დარჩა რომანტიკული მოგონების ნათელ სხივად. ამ გუშინდელი დღის შთაბეჭდილებას და მისგან მიღებულ სიხარულს არაერთხელ იგონებს პოეტი როგორც წარსულს. პოეტს უყვარს ეს დიდი წარსული:

როგორ მიყვარდა: მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის
დარჩა ჩემს გულში წარუშლელი და მოკამკამე,
იმას იგონებს დაღონება დაღალულ გულის...
იმ სიყვარულის მიმღერე რამე.

პოეტი დიდი რომანტიკული გზნებითა და აღტაცებით ლაპარაკობს იმ დიად ბრძოლების შესახებ, იმ ქარიშხლიან სიცოცხლის დღეებზე, რომლებმაც მასში წარუშლელი შთაბეჭდილება და სიყვარული დასტოვეს:

დიდი მიზანი, ბრძოლა იყო ახალ დღეების,
არ დავცემულვარ, მაგრამ გესლით მე მოვიშხამე.
აი, ნაყოფი, ქარიშხლიან სიცოცხლის ვნების.
მე იმ ბრძოლების მიმღერე რამე.
ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ დაუძლურების
და წარუშლელი მწუხარების გავხდი მონამე,
მონამე გავხდი ცეცხლისა და განადგურების
გემუდარები, მიმღერე რამე.

ასე იგონებდა პოეტი უფრო გვიან, 1912 წელს, დიდი ბრძოლების მზიან დღეებს. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ძირითადი ხაზი თავიდან ბოლომდე გასდევს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. მაგრამ სამართლიანი არ იქნებოდა, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ამგვარ განწყობილებათათვის დომინანტური მნიშვნელობა მიგვენიჭებია. არა! გ. ტაბიძის პოეზიაში ამ დროს მწუხარე, სევდიან სტრიქონებს პროპორციულად მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე ოპტიმისტურ ლექსებს, ოღონდ ამ უკანასკნელს არასოდეს დაუკარგავს თავისი ადგილი გ. ტაბიძის პოეზიაში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებით, რეაქციის მძვინვარებით გულმოკლული პოეტი აკვირდება ცხოვრებას, მის გარშემო არსებულ სინამდვილეს და მას სევდა იპყრობს. ბურუსით მოცული პოეტის ფიქრები ამ მკაცრ სინამდვილეში გამოსავალს ვერ პოულობს და ხშირად გ. ტაბიძე სუბიექტური განწყობილებით, უპერსპექტივო ხედვით, ცხოვრებისაგან განდგომის მისწრაფებით გვევლინება. სულიერი მარტოობის მწვავე ტრაგედია მოსვენებას უკარგავს პოეტს:

ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა
და ტანჯვა სულის,
საუკუნეთა მსვლელობაში
გაციებულის?

ადამიანო! ყოფნა შენი
კუბოთ იცვლება,
მე კი, უბედურს,
თვით სიკვდილიც არ მეღირსება.

ტაბიძის პოეტურ ლექსიკაში მკვიდრდება მისტიკური სიტყვების ლექსიკონი: კუბო, მონასტერი, სასწაული. პოეტის განწყობილება სევდიან, უსასოობით მოცულ ფიქრებში ვლინდება. ცხოვრებისაგან, მარტოობისაგან გულმოკლულ პოეტს ბეზრდება თვით სიცოცხლაც კი. „ღამის სიცვიისაგან სულის ქენჯნა-წვალებით“ განამებული პოეტი დაასკვნის:

ვეტყვი, რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში,
რომ მას ველოდი და მუდამ ასე
დაღონებული ვვიდოდი ბრბოში.

ცისფერთვალეა ქალი, რომელიც ცხოვრებისადმი სიყვარულის, იმედის სიმბოლოდ დაუსახავს პოეტს, არსად ჩანს და მას სევდა იპყრობს.

პოეტის მისტიკურ-დეკადენტური განწყობილებაა გამოხატული ლექსში, რომელსაც ჰქვია „ათოვდა ზამთრის ბაღებს“. ამ ლექსში პოეტს ცხოვრება წარმოდგენილი აქვს დაუსრულებელი უსასოობისა, მწუხარებისა და სევდის სადგურად. იგი მუქი, მისტიკური ფერებით ხატავს არსებულ ყოფას:

ათოვდა ზამთრის ბაღებს.
მიქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმაგანწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო.
მიქონდათ კიდევ კუბო.
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

ასეთი მისტიკური ექსტაზით უცქერის ცხოვრებას გალაკტიონ ტაბიძე. მისთვის ეს ქვეყანა მჭკნარი იმედების სავანეა. ცხოვრება უდაბნოდ ქცეულა. მარტოდ შთენილი პოეტი სულიერ ტრაგედიას ასე წარმოგვიდგენს:

სიყმანვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი.
ჟამი მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,
არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც გული ვნებული.
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.

პოეტი უიმედობის ჯადოსნურ რკალში მოექცა. არაერთხელ ცდილა იგი გაერღვია ეს „სულის გამყინავი ბურუსი“, რომ დაენახა თავის სამშობლოს „მთისა ქედები“, მაგრამ შავი ყორანი სიყრმიდანვე ასდევნებია პოეტს და აღუკვეთია მისთვის სინათლის, სიცოცხლის, პერსპექტივისა და მომავლის რწმენა. გულის მომკვლელი უსასოობით შეპყრობილი პოეტი მწარედ მოსთქვამს თავის ბედზე:

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“

ამ მდგომარეობაში მისთვის გაურკვეველია ცხოვრების გზა:

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.

პოეტს სურს ერთგვარი გამოსავალი მონახოს, დროებით მაინც დაიმშვიდოს სული და ჰპოვოს მეგობარი. რაკი პოეტმა ასეთი მეგობარი დაკარგა ადამიანებს შორის, რაკი ცხოვრებამ ისე მწარედ დასაჯა, იგი ფანტაზიით ქმნის, იგონებს, თხზავს ობოლი სულის ორეულს – მეგობარს. პოეტური ფანტაზიით საოცნებო ორეულების შექმნა ის საშუალებაა, რომელშიაც სულიერ სიმშვიდეს, თუ კმაყოფილებას ეძებს იგი. ეს გზა ნაცადი გზა იყო რომანტიკოსებისა, მაგრამ მან თავისებურ უკიდურეს განვითარებას მიაღწია სიმბოლისტიკის შემოქმედებაში. გალაკტიონ ტაბიძეც რომანტიზმისა და სიმბოლიზმის შემაერთებელ გზაზე მთელი სისრულით ავითარებს ამ მოტივს. გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ სამყაროში მრავალფეროვანია ორეულების, სულით ობოლი პოეტის ფანტაზიით შექმნილი „მეგობრების“ სახელები. ამ ორეულთა შორის პირველი ადგილი მაინც ღამეს ეკუთვნის. გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „ღამე და ღამე“ „ორეულების“ მთელი ფილოსოფიაა. ამ ლექსში რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ელემენტების თავისებურად შერწყმასთან გვაქვს საქმე. პოეტი ოსტატურად გადმოგვცემს დუმილის სიმბოლისტიკურ არსს ღამის მისტიკური გამოძახილის ფორმით. სიმბოლისტიკის აზრით (ასევე უფრო ადრე – რომანტიკოსების აზრით), ადამიანი თავის შინაარსს ნამდვილად ავლენს არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში, არა ხილულ და ნათელ ქვეყანაში, არამედ მის ბუნდოვანებაში, მონისლულ მდგომარეობაში. სიმბოლისტიკის „მიზეზობრიობის პრინციპი“ დამყარებულია პოზიტიურობიდან განდგომაზე, ცხოვრების ბრძოლის მოტივების შენაცვლებაზე საიდუმლო ექსტაზით. სიმბოლისტი პოეტი ემიჯნება ხილულ ქვეყანას და იმზირება საკუთარ „მე“-ში, რათა იქ ჰპოვოს აბსოლუტის ნამდვილი გამოვლინება და შეუერთდეს მას. ამიტომ ის თავის თავს ათავისუფლებს ცხოვრების სიმართლისაგან, სინამდვილისაგან და მთელ თავის გულისყურს მიაპყრობს თავის საკუთარ „მე-ს“, მის შინაგან განცდებს, ცხოვრებისაგან სრულიად გამოთიშულს. იგი მოჩვენებულ სულიერ ცხოვრებას ქმნის. სულიერი ექსტაზის საუკეთესო დროდ სიმბოლისტიკისათვის აღიარებულია ღამე. იგი ადამიანს აახლოებს თითქოს ირეალურ სამყაროსთან. სიმბოლისტიკის აზრით, პოეტმა უნდა უკუაგდოს პოზიტიური შემეცნების გზა, უარჰყოს მიზეზობრივი კავშირი საგანთა შორის და საიდუმლო ნიშნების საშუალებით მიგვახვედროს, გვანიშნოს ობიექტური სამყაროს მიღმა მდებარე იდეა. ამის საუკეთესო საშუალება არის ბუნდოვანება. ყველა ამ გარემოების გამო სიმბოლისტიკმა ხელოვნების პრინციპად შთაგონება აღიარეს, არა დახატვა საგნისა, არამედ სიმბოლოების საშუალებით მინიშნება, მიხვედრა – ესაა აღიარებული ხელოვნების გზად. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ხელოვნების დეკადენტური თეორია ხშირად არის განვითარებული.

როდესაც ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძე თავისი ძლიერი რეალისტური პრინციპით შემოვიდა, მან ხელოვნების დროშას ცხოვრების სიყვარული, ამქვეყნიური ყოფის სამსახურის ლოზუნგი დააწერა. ცხოვრებისა და სინამდვილის ეს რეალისტური ფილოსოფია ი. ჭავჭავაძემ მკვეთრად გამოხატა თავის საპროგრამო ნაწარმოებში – „მგზავრის წერილებში“. აქ ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი, სიცოცხლეს, ბობოქარ ცხოვრებას, დღის სინათლეს შეტრფის. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრების ნათელი აზრით შთაგონებული, აღტაცებით წერს: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძლიერ და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვით, წვალებით, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით

ჰოი, ბნელო ღამე, მეჯავრები შენ მე!“ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა რეალიზმის დიდ წარმომადგენელთან. სრულიად სხვაგვარია მდგომარეობა, როდესაც ჩვენ გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამეს“ ვეხებით.

გალაკტიონ ტაბიძე თავის მეგობრად, თავისი სულის მესაიდუმლედ ღამეს ხატავს. გალაკტიონ ტაბიძეს იტაცებს „მთვარის ნათელი, მტრედისფერი ცა, ლურჯი სვეტებით დასერილი“. ეს საიდუმლო შუქი მასში აღძრავს „უხვ გრძნობებს“. ღამის ეს საიდუმლოება მას საკუთარ მდგომარეობას აგონებს:

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე საესე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული!

პოეტი თავის ფიქრს, განუზომელ ნაღველს, რასაც ასე საიდუმლოდ გულში ატარებს, როდი უმჟღავნებს თავის მეგობრებს. ამ საიდუმლოს მცოდნე მხოლოდ ღამეა:

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევენე და ვენამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე!

ღამე, ბუნდოვანი მდგომარეობა პოეტს უღვიძებს მიუწვდომელისა და ირაციონალური ქვეყნის განცდებს, აღძრავს მასში საიდუმლოს ამოხსნის გრძნობას. ეს „ამოხსნილი“ სამყარო სრულებით არ ემსგავსება რეალურს, ემპირიულს, მისი მეგობრებისათვის ნაცნობ ცხოვრებას. ეს სულ სხვა მხარეა, რომელიც მხოლოდ პოეტმა იცის. ექსტაზით წარმოდგენილი სინამდვილე უნდა მუდამ თან ახლდეს მას. პოეტს ბინდი უყვარს, ღამე უყვარს, სამაგიეროდ დღე, განთიადი და სინათლე ტანჯავს. ეს განწყობილება აქვს გამოხატული გალაკტიონ ტაბიძეს ლექსში – „ბინდის სტუმარი“:

ოჰ, გვედრები, ნუ შემიშფოთებ
ლოცვას მხურვალეს, ლოცვას პოეტურს...
შუა ღამეა... მოსთქვამ და გოდებ...
– შენთან ყოფნა მსურს... შენთან ყოფნა მსურს...
ბინდი ღამისა გადაიშალა,
განთიადია... მე ვიტანჯები...
სად მიგაქვს სუნთქვა... სად მიგაქვს ძალა?
შენთან დავრჩები, შენთან დავრჩები!

პოეტს შესძლებია დღე, ეს ქვეყანა და ეს ცხოვრება. სამაგიეროდ, მხურვალედ უყვარს და „ლოცვას პოეტურს“ აღძრავს მასში შუაღამე, რომელთანაც ყოფნა უზომოდ სურს მას. ამაზე უფრო გარკვევით იშვიათად გამოუხატავს ვისმე რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტიკის წესი და მრწამსი ქართულ ლიტერატურაში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მარტოოდენ ღამე როდი იყო სულის სიმბოლიზაციის საშუალება. პოეტის მიერ შეთხზულ ღამისმაგვარ ორეულებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქარს. ქარი მრავალგზის გვხვდება ტაბიძის პოეზიაში. ჯერ ერთი, იგი გვხვდება როგორც რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების სიმბოლო, უფრო ხშირად კი, როგორც პოეტის სულიერი ობლობის, მარტოობის სიმბოლო. და იმაშიაც, რომ ქარი ერთ დროს იყო ქარიშხლიანი დღეების სიმბოლო და ახლა პოეტის სულიერი ობლობისა და მარტოობის, სევდისა და კაეშნის სიმბოლოდ ქცეულა, – ამაშიაც ჩანს გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ თუ თემატიკურ წინააღმდეგობათა ის გზა, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში გაიარა.

შუაღამისას, როდესაც პოეტი თავის სევდიან სტრიქონებს ქმნის, როდესაც იგი უჩვეულო ფიქრს შეუპყრია, ამ დროს მას მხოლოდ ქარზე ფიქრი და ოცნება იტაცებს. მასში ის თავისი მდგომარეობის ანალოგიას პოულობს.

გალაკტიონ ტაბიძე თავის ცნობილ ლექსში – „ქარი“ – ასეთ სურათს გვიხატავს:

ქარი ხან სტვენდა, ხან სტიროდა
გულამოსკვნილი,
ხან გამოუთქმელ სივარდით
კვენესდა... წვალობდა.
გული უსმენდა მას, ამ ქვითინს
გამოურკვეველს
და ოცნებობდა აუხდენელ
ფიქრ-მოგონებით;
ქარი კი ისევ ედებოდა
ქვითინით ტყე-ველს,
დამჭკნარ ყვავილებს იტაცებდა
მოსხლეტილ ფრთებით...
მხოლოდ მე ვიყავ იმის მსგავსი
და იმისთანა
და მონყენილ ხმებს მიტომ კვენესდა
სარკმელთან ქარი.

ასეთსავე განწყობილებას გვიხატავს გ. ტაბიძე ლექსებში: „წუხელის ღამით ქარი დაქროდა“, „ქარით დატირებული“ და სხვ. ყველგან აქ ქარი წარმოდგენილია, როგორც პოეტის სულიერი განცდების და მდგომარეობის გამომხატველი. ქარიც იმავე მარტოობის, სულიერი ობლობის მწარე განცდებით არის გასულიერებული, როგორადაც თავისი მდგომარეობა წარმოუდგენია მას. ეს მდგომარეობა მოაგონებს პოეტს იმ წარსულსაც, როდესაც ის და ქარი ბედით კმაყოფილნი იყვნენ. ამიტომ პოეტი მოაგონებს თავის სულის მეგობარს – ქარს ამ სიამის დღეებს, რითაც სურს ერთგვარი იმედის გრძნობა აღძრას მასში. იგი წერს:

დასცხრი, გრიგალო! ყველაფერი
როდი დავკარგეთ,
რა ვუყოთ გულში თუ სიამის
ჩურჩული მიწყდა.
რად დაგავინყდა წყნარი ლოცვა
ქალწულის ბაგეთ,
და მოგონება დღეთა წარსულთ
რად დაგავინყდა?

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში პოეტის „მე-ს“ სიმბოლიზაციის საშუალებად წარმოდგენილია აგრეთვე ვარსკვლავებიც. ლექსში „ხომლი“ პოეტი თავის სულის მესაიდუმლეს, თავისი მდგომარეობის ანალოგიას ვარსკვლავში ხედავს. თუ წინათ მხოლოდ ვარსკვლავებმა იცოდნენ ცაში „რომ ქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ იყო,“ აი ახლა, როდესაც შეეჩვია გული სევდას და ურწმუნობას,

ეხლაც კი, მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში
ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი.

ამგვარად, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში მრავალფეროვანია ის პოეტური ხერხი, რომელიც ორეულების გამოხატვის მიზნით არის გამოყენებული. ხშირად რომანტიზმ-სიმბოლიზმის პოეტიკის საღაროში პოულობდა თავისებურ გამოხატვას გ. ტაბიძის ამდროინდელი განწყობილება. ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში ცხოვრებისაგან განდგომის, სინამდვილისაგან გაცილების დეკადენტური აზრი არაერთგზის არის გამოხატული ტაბიძის ლექსებში. პოეტი ხშირად ოცნებობდა:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

ამგვარი აზრით შეპყრობილ პოეტს იტაცებდა რომანტიკოსების საყვარელი ცისფერი, ირეალური სამყაროს ეს თავისებური სიმბოლო.

იგი წერდა:

აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი მერი –
არის ცისფერი და მწუხარება.
გახედე შორს მთებს! გახედე სერებს!
გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში.
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს დღეთა ელვარებაში.
სული ეძახის ამ უჩინარ ტყვეს,
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

თუ, ერთი მხრით, გალაკტიონ ტაბიძის სიყვარული ცისფერისადმი, მისი გატაცება უჩვეულო აბსოლუტით, ქართული რომანტიზმიდან მოდის, მეორე მხრით, რევოლუციის წინაპერიოდის ლექსებში თავისებურ გამოხატულებას პოულობდა რუსული და ევროპული დეკადენტური სკოლების გავლენა. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში არაერთგზის გვხვდება ვერლენის, არტურ რემბოს, ბოდლერის და ედგარ პოს სახელები. ბევრ შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძე მათ „მამებად“ მოიხსენიებს. ლექსში „ჭიანურები“ ტაბიძე წერს:

ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას.
დაღვრის შეშლილი ცრემლებს,
მოგონებათა გამმას.

ასევე მისი ლექსები: „საუბარი ედგარზე“, „ედგარი მესამედ“ ნათლად გამოხატავენ გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულებას რომანტიკოს-სიმბოლისტებთან. სიმბოლისტურ-რომანტიკულ პოეზიის გავლენით უნდა აიხსნას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გამოხატული სიკვდილის თავისებური აპოლოგია. გალაკტიონ ტაბიძემ, მას შემდეგ, რაც ვერ ჰპოვა სულიერი მეგობარი ადამიანთა შორის, ვერ დაიმშვიდა მშფოთვარე სული ვერც ბუნებაში, ვერც სიყვარულში, – რომლითაც გულმოკლული პოეტი ამბობდა: „ეხლა მე ვწყევლი, ვწყევლი სიყვარულს“, – სიკვდილში იწყობს გამოსავლის ძებნა. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სიკვდილისაკენ სწრაფვას თავის ახსნაც აქვს. რასაკვირველია, ეს ახსნა როდია დასაბუთებული თუ გამართლებული, მაგრამ პოეტის ამ შემცდარ აზრს „ახსნა“ აქვს მონახული, და ამაში უთუოდ მოჩანს ერთნაირი თავისებურება. პოეტი ამბობს, მე დავიბადე განთიადისასო, მე კარგად მახსოვს როგორ ვიბრძოდიო:

ცხარედ ვიბრძოდი ყმანვილურ ყინით,
მაგრამ დაცინვით მომიკლეს რწმენა
და ძირს დავემხე კვნესა-ქვითინით...
და დღეს კი, როცა შავი ბურუსი
მისპობს და მიკლავს ოცნების კუთხეს,

ჩემს გაჩენის დღეს ვწყევლი იდუმალს
და ვლოცავ ყოფნის აღსასრულის დღეს.
ბნელი ღამეა... მალე ინათებს...
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები...
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავბნელი ფრთები!

მაგრამ როგორც უნდა იყოს ეს ახსნა, მაინც ფაქტია, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ასე ძლიერად გამოსახული სიკვდილის აპოლოგია დეკადენტური სიმბოლისტური სკოლის გამოძახილია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სიკვდილის აპოლოგია არასოდეს ყოფილა ისეთი თვითმიზნური და მუდმივი კატეგორია, როგორც ეს სიმბოლისტების შემოქმედებაშია. ის არც ევროპულ რომანტიკოსების უკიდურესობამდე მისულა. მაგალითად, ნოვალისი თავის ფრაგმენტში წერდა: „სიკვდილი არის გამარჯვება თავის თავზე და იგი ქმნის, როგორც ყოველი გამარჯვება, უფრო მსუბუქ ცხოვრებას“. მეტ უკიდურესობამდე მიდის ლეოპარდი. იგი წერდა მამას: „მე მშურს მკვდრების ბედი და მხოლოდ მათ მინდა გავუცვალო ჩემი მდგომარეობა“. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ეს უკიდურესობა თვალსაჩინოდ შენელებულია. უფრო მეტი: გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ ლექსებში სიკვდილის აზრს ხშირად ცვლის სიცოცხლის, სიყვარულის აზრი. პოეტი ხშირად ოცნებობს ისეთ ძალაზე, რომელიც ბურჟუს მოაცლის, სიკვდილს ააშორებს და ცხოვრებას დაუბრუნებს:

ფიქრს ვერ ვაკავებ, ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს.

მეორე ადგილას პოეტი წერს:

არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნალველი,
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრო ხელი,
ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაცალო!

ყოველივე ამის გამო, ჩვენის აზრით, გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის წინაპერიოდის პოეზია არ შეიძლება ისეთი უკიდურესი დეკადენტური, სიმბოლისტური პოეზიის ნიმუშად მივიჩნიოთ, რომელიც ევროპული და, კერძოდ, ქართველ სიმბოლისტების – „ცისფერყანწელების“ პოეზიის დამახასიათებელი იყო. უდავოა, რომ გ. ტაბიძის პოეზიაში გარკვევით მოჩანს გავლენის კვალი, და ძლიერი კვალიც, დეკადენტურ-სიმბოლისტური პოეზიისა. აქედან მომდინარეობს გალაკტიონ ტაბიძის მთელი რიგი ბუნდოვანი, უსარგებლო ლექსები (განსაკუთრებით, ლექსების მეორე ნიგნში, 1919 წლის გამოცემა). მაგრამ გალაკტიონ ტაბიძეს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქართული პოეზიის ჯანსაღ ნაკადთან და მთელ მის პოეტურ მოღვაწეობას ქართული კლასიკური პოეზიის ეს ძლიერი ნაკადი ასაზრდოებდა. აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, ყოველთვის პირდაპირი და უშუალო გავლენით იყო ეს მიღებული თუ არა.

ყოველ დიდ მწერალს აქვს თავისი სტილი, ორიგინალური პოეტური ხმა. ეს საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა. მაგრამ ასევე ცნობილია, რომ თითქმის ყოველ მწერალს, რაგინდ დიდი შემოქმედიც იყოს იგი, ჰყავს წინაპრები, ისევე როგორც მიმდევარნი. პოეტი ზეციდან არ ვარდება, ის თავის წინაპრებში, ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურაში დაგროვილ პოეტურ ტრადიციებში პოულობს შემოქმედებითს სათავეს. თუ, ერთის მხრით, გ. ტაბიძის პოეზიამ მოახდინა გავლენა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე, ასევე, მეორე მხრით, თვით გ. ტაბიძის შემოქმედებამ განიცადა ქართული მწერლობის გავლენა. გ. ტაბიძის პოეზია თავისი

ნაციონალური სანყისებით ქართულ კლასიკურ პოეზიას უკავშირდება. მართალია, მეოცე საუკუნის პოეტთა შორის გ. ტაბიძე პირველი გამოეხმაურა რუსულ-ევროპულ დეკადენტურ მიმართულებებს, მაგრამ გ. ტაბიძის ნამდვილი და უშუალო შთამაგონებელი საქართველოს სინამდვილე და ამ სინამდვილის ამსახველი ქართული კლასიკური მწერლობა იყო.

დიდი მწერალი თავისი ეპოქის მოწინავე იდეების გამომხატველიცაა უდავოდ; მას ის იდეა, რწმენა და ინტერესი გააჩნია, რაც მის ეპოქას ამოძრავებს და წარმართავს. დიდი პოეტის ხმაში მისი ეპოქის მოწინავე ხმა გაისმის, რომელიც ეძახის, მოუწოდებს, რაზმავს და ამხნევებს მის ხალხს. ამიტომ ყოველი დიდი ნაწარმოების ნამდვილი არსის ახსნას ჩვენ ვპოულობთ იმ ეპოქის ხასიათში, რომელშიაც შეიქმნა იგი. დიდი ხელოვანის შემოქმედი სული მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ ღრმად, როდესაც კარგად შევისწავლით იმ გარემოცვას, რომლის პროდუქტიც არის მისი ხელიდან გამოსული ქმნილებანი.

დიდი ლენინი გვასწავლის: „თუ ჩვენს წინაშე ნამდვილად დიდი მხატვარია, მაშინ ზოგიერთი, თუნდაც არსებითი მხარე რევოლუციისა მას უნდა აეხსნა თავის ნაწარმოებში“...

ქართველი ხალხის ყოფა, ჩვენი სამშობლოს ბედი სევდიანად აკვნესებდა მე-19 საუკუნის ჩვენს კლასიკოსებს. „ჩვენს პოეზიაში წარსულში ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული ნამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისეხსეს მანერა საუბრის, მანერა სულის დაქანების, მანერა ბრძოლისო“, – წერდა ოციოდე წლის წინათ პოეტი გ. ტაბიძე. სამშობლოს ბედით გამოწვეული უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობა აწმყოს მიმართ ქმნიდა კონფლიქტს მწერალსა და სინამდვილეს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით შეინიშნება მე-19 საუკუნის კლასიკოსების შემოქმედებაში.

უპირველესად ყოვლისა, ძველ ცხოვრებასთან უთანასწორო ბრძოლით შექმნილი განწყობილების ნიაღში დაიბადა გ. ტაბიძის პოეტური სევდა. გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის პირველი პერიოდი იმ ხანას დაემთხვა, როდესაც ჩვენი სამშობლო კოლონიურ ქვეყანას წარმოადგენდა და ეს გარემოება უფრო ამძიმებდა სოციალურად დაჩაგრული ქართველი ხალხის ცხოვრებას.

* * *

გ. ტაბიძე თავისი პირველივე ლექსით ამ თემას გამოეხმაურა; თავის პოეტურ დებიუტში, რომელიც 1908 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს კვალში“, გ. ტაბიძე რევოლუციამდელი საქართველოს გულსაკლავ სურათს გვიხატავს.

სქელი ღრუბელი,
შავი და ბნელი
სამშობლო მხარეს გადაეფარა,
სხივთა მფენელი
მზისა ნათელი
ჩვენ სანუგეშოდ სჩანდა აღარა.
მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
მიკლაკნ-მოკლაკნა მისი სხივები,
სამარადისოდ მე მომეჩვენენ
გარდმოვლენილნი ღვთით ნაპერწკლები.
ელვა სწრაფლ გაქრა,
ისევ დაფარა
სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა.
ისევ ცრემლი მდის,
ვტირი მარადის,
გული წაიღო ისევ ნალველმა!

გ. ტაბიძის ეს ლექსი, სადაც ასე ოსტატურად უკავშირდება სამშობლოს ბედი 1905 წლის რევოლუციას, თავის სათავეს XIX საუკუნის პატრიოტულ ლირიკაში პოულობს. კერძოდ, იგი უშუალოდ ეხმაურება ილ. ჭავჭავაძის პატრიოტულ ლექსს – „ელეგიას“, ისევე, როგორც გ. ტაბიძის უფრო გვიანდელი ლექსი – „ციხის ნანგრევებთან“ ეხმაურება ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“. ილია ჭავჭავაძის მსგავსად, გ. ტაბიძე ასე მიმართავს თავის მშობლიურ მხარეს:

გემშვიდობებით, მშობლიურო ჩვენო გორებო,
თქვენც, ნანგრევებო ციხის და ტაძრის.
გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება,
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...
გემშვიდობებით, მქუხარეო ზვირთო რიონის!
ყურს უგდებ ხმათა შენთა ჟღერებას.
რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის –
უბედობას თუ ბედნიერებას?

გ. ტაბიძე თავისი პოეზიის ერთი კუთხით უშუალოდ უკავშირდება ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას და, საერთოდ, კლასიკურ ქართულ მწერლობას. მაგრამ გ. ტაბიძის პოეზიის ეს მხარე, მისი ადრინდელი რომანტიკული ლექსებით, ჩვენი აზრით, უფრო ნ. ბარათაშვილის პოეზიაში პოულობს სათავეს. მართალია, გ. ტაბიძე ნ. ბარათაშვილის ბრძოლის პოეზიას, მის ბობოქარ სულს მინორულ-სუბიექტურ ლირიკით ეხმაურება, მაგრამ ეს არ უარყოფს გავლენის არსებობას.

გალაკტიონ ტაბიძემ 1910 წელს ერთდროულ აღმანახში „ახალი ტალღა“, დაბეჭდა ლექსი, რომელსაც ნამძღვარებული აქვს ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსის ცნობილი სიტყვები: „იქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით“. ეს ლექსი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ აქ ბარათაშვილი პირველად გვხვდება, როგორც დიდი ავტორიტეტი ახალგაზრდა პოეტისათვის, არამედ იმიტომაც, რომ ეს ლექსი ბარათაშვილის ცნობილი ლექსის „ფიქრი მტკვრის პირად“ პირდაპირი შთაგონებით არის დაწერილი.

„ახალ ტალღაში“ დაბეჭდილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „ახალი ტალღა“ გ. ტაბიძე, ბარათაშვილის ლექსის შთაგონებით, ფრიად დიდ და საინტერესო საზოგადოებრივ საკითხს ეხება. პოეტი ჯერ აღწერს ზღვის მიდამოებს, სადაც ყველაფერი „იმავე სევდით მშვიდად სუნთქავდა“, რა სევდასაც პოეტი შეეპყრო:

მუდამ თან მსრბოლი ფიქრი მწვავდა... ფიქრი მტანჯავდა.
გამოვექცევი გულის დამწველს მშვიდ არე-მარეს,
ნაპირი ზღვისა იმავე სევდით მშვიდად სუნთქავდა,
მას შესცქეროდა ზღვა ლაჟვარდი გულცივს, მდუმარეს.

ამას ასეთი საბრძოლო სტრიქონები მოსდევს:

არ მინდა, არა; სულს მოწყინდა ეგ ერთფერობა,
სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს,
მუდმივ დუმშილში ვერ თავსდება ტანჯულის გრძნობა
და ნაზს სიმღერას, გულში აღძრულს, ზღვას შეღალადებს

შენს მოლოდინში
გულს ნუ მიდაგავ...
დაჰკარ, დაქუხე,
ახლო ტალღავ!

ამ ლექსში გალაკტიონ ტაბიძემ ახალი ჟღერა მისცა ბარათაშვილის საზოგადოებრივ აზრს ადამიანის დანიშნულების შესახებ. ბარათაშვილის მეტრძოლი ბუნება დაუკავშირა რევოლუციას და ასე თავისებურად გადატყდა დიდი წინაპრის საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა გ. ტაბიძის პოეზიაში.

* * *

ნ. ბარათაშვილს და გ. ტაბიძეს მთელი საუკუნე აშორებს ერთი მეორესაგან. პირველი მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟს ამოჰყვა, მეორე მეოცე საუკუნის განთიადზე დაიბადა. და მიუხედავად ამისა, გალაკტიონ ტაბიძემ ყველაზე ახლობელი გავლენა, უშუალო შთაგონება ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან მიიღო.

ნ. ბარათაშვილი პოეტური გენიის მწვერვალია. ქართულ ლიტერატურაში განუზომლად დიდია მისი პოეტური ხმა. ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია, რაც სიყვარულისა და დიდების შარავანდედით შემოსა ეს სახელი. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება კი ჩვენს თვალწინ გაიშალა. ჩვენ უშუალო მონაწილე ვართ ტაბიძის პოეტური სიტყვისა და არა უბრალო მერქივე მომთხრობელი მისი ღვანლისა. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება მეტად რთულია, მაგრამ ამ სირთულეს აქვს ერთი მხარე, რომელიც შედარებით გვიადვილებს ამ ძნელ საქმეს.

ჩვენ დღეს საქმე გვაქვს, ასე ვთქვათ, ორ გალაკტიონ ტაბიძესთან. ერთი უკვე ისტორიას ეკუთვნის, ის უკვე ლიტერატურის ისტორიკოსის საქმეა. და როდესაც ჩვენ ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს ვაყენებთ, აქ მხედველობაში გვაქვს საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგი გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნიჭის მომნიშვნას ნინ უძლოდა დიდი ეროვნულ-პოლიტიკური გარდატეხის ეპოქა. ნ. ბარათაშვილის პოეტური აზროვნება საქართველოს მეფის რუსეთთან შეერთების პირველ ათეულ წლებში ჩამოყალიბდა. ქართველი ინტელიგენციის შეთქმულთა წრის იმედები, საქართველოს მეფის რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების იდეა ზრდიდა თოთხმეტი წლის ჭაბუკის პოეტურ გრძნობას. ნიკოლოზ ბარათაშვილი რომანტიკული აღტაცების მთელი ძალით თანაუგრძნობდა „შეთქმულთა საქმეს“. შეთქმულება დამარცხდა. ამ პერიოდის ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა მემამბოხეთა წრეში აღმოჩნდა. საქართველოს „უკეთესი შვილი“ – ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი შორეულ ქვეყანაში გადაასახლეს. დაცარიელდა კულტურული ასპარეზი, ცხოვრება მოდუნდა, ქართული პრესა და საზოგადოებრივი დაწესებულებანი გაქრა. სევდამ და უიმედობამ მოიცვა ქართული საზოგადოებრივი აზრი. ასეთ ვითარებაში მოხვდა ბარათაშვილის პოეტური გენია. პოეტის პირად ცხოვრებაში ფსიქოლოგიურად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი სევდიანი განწყობილებებისათვის (მოვიგონოთ მისი ბიოგრაფია). ბარათაშვილის პოეზიაში მთელი სისრულით აისახა ქართველი ხალხის ეროვნული სევდა. ახალგაზრდა პოეტს ქართულმა სინამდვილემ არგუნა იმედის განბილება, და მან დაკარგა „მშვიდობა სულის“. პირადი ხვედრით გულმოკლული ნ. ბარათაშვილი ასე მიმართავდა ბოროტ სულს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?!

ბარათაშვილის პოეტური სევდა და სულიერი განწყობილება, მისი შავბნელი ეპოქის სიცალიერისა და ბურუსიანი დღეების გამოხატულება იყო.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განწყობილება მისმა მღელვარე ეპოქამ მოამზადა. 1905 წლის რევოლუცია ახალგაზრდა პოეტმა მთელი გატაცებით განიცადა. ჭაბუკის პოეტურმა ნიჭმა რევოლუციის ქარიშხალში გაახილა თვალი. რევოლუციის გრანდიოზულმა რომანტიკამ მოხიბლა იგი, წარუშლელი შთაბეჭდილებებით აავსო პოეტის სული. გავიდა დრო, რევოლუციის ქარიშხალი ჩაადგა. გამეფდა რეაქცია, რომლის ბნელმა ძალებმა დაარბიეს რევოლუციური ორგანიზაციები. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, ნაწილი კი იატაკქვეშ მუშაობას შეუდგა. დაცარიელდა საზოგადოებრივი ცხოვრება. „დაცემულობამ, დემორალიზაციამ, განხეთქილებამ, დაბნეულობამ, რენეგატობამ, პორნოგრაფიამ შეცვალა პოლიტიკა. გაბატონდა მისტიციზმი“ (ლენინი).

ასეთ ატმოსფეროში მოხვდა სრულიად ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. რევოლუციისაგან მიღებული აღფრთოვანება რეაქციის სუსხმა დააზრო. პოეტის სული სევდით აივსო და წარსულზე ფიქრმა უიმედობის დალით აღბეჭდა:

რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი.

ასე იგონებს მოგვიანებით პოეტი გაზაფხულს, – რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს.

გალაკტიონ ტაბიძისათვის ბრწყინვალე წარსული რევოლუციის მქუხარე დღეები იყო. მისი აწმყო კი – რეაქციის სუსხიანი ხანა. პოეტს მთელი თავისი გატაცებით უყვარდა პირველი და სძაგდა მეორე. მისი სევდიანი პოეზიის გზაც ამ გარემოებამ განსაზღვრა. მოვუსმინოთ პოეტს:

ყმანვილკაცობა, სიხალისე, სიცოცხლის დილის
ისე გამიქრა, ვით ბურუსი... როგორ ვენამე!
მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძღურდი და მოვიშხამე.
ახალგაზრდათა დაცემის და დაუძღურების,
ახალგაზრდათა მწუხარების მე ვარ მონამე.
მეც იმათ შორის უკუურნებელ წყლულებით ვკვდები...

უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული პოეტი სევდით მოცული ფიქრებით შესცქეროდა ქვეყანას და სულიერი ტკივილების მწვავე განცდებზე წერდა.

ეს გარემოება სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ეს ორი ეპოქა, ეს ორი მოძრაობა – 1832 წლის შეთქმულება და 1905 წლის რევოლუცია – თავისი ხასიათითა და მიზნებით მსგავსი იყოს. არა. ასეთი დასკვნა დიდი შეცდომა იქნებოდა: 1832 წლის რომანტიკული შეთქმულება არსებითად მიზნად ისახავდა „ფეოდალური მონარქიის“ აღდგენას. 1905 წლის რევოლუცია კი, ამხანაგ ლენინის გენიოსური განსაზღვრით, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია იყო. ეს ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საკითხის სხვა მხარე გვინტერესებს. ჩვენ საზგასმით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ორივე პოეტის – ნ. ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის – შემოქმედებითს მომნიჭებას წინ უსწრებდა დიდი გარდატეხის ეპოქები, რომელთა შინაარსი სხვადასხვა იყო.

ნიჭიერ პოეტებს თავისებური ბედი აქვთ. ზოგს ხალხი იმთავითვე ზეიმით მიიღებს, აიტაცებს ყოველ მის სიტყვას, დიდებით შემოსავს მის სახელს. ზოგს კი გვიან ერგება ყურადღება და დაფასება. აქ მნიშვნელოვანია ერთი მომენტიც. პოეტს, ხალხმა რომ გაიცნოს, ლექსს, ხალხის გულთან რომ მივიდეს, „შუამავალი“ სჭირდება. ასეთ როლს პრესა ასრულებს. ამ მხრით გ. ტაბიძე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ნ. ბარათაშვილი. ნ. ბარათაშვილის დროს არც იყო ქართული ბეჭდვითი სიტყვა, რომ ასეთი შუამავლობა გაენია პოეტსა და მკითხველს შორის. მიუხედავად ამისა, ბარათაშვილი მაშინვე გახდა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი. მის ლექსებს ზეპირად ამბობდნენ, ეს ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა.

გალაკტიონ ტაბიძის დროს ქართული პრესა შედარებით ძლიერი იყო. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მეორე გარემოებაც. ამ დროს ქართულ ლიტერატურულ პრესას აკაკისა და ვაჟას ბრწყინვალე სახელები ამშვენებდა და აქ გამოჩენა, სახელის მოხვეჭა არც აგრე ადვილი საქმე იყო. გალაკტიონ ტაბიძე სულ მალე, მოკლე ხანში გახდა პოპულარული მწერალი.

მაგრამ რაც უნდა მსგავსი იყოს ავტობიოგრაფიული მომენტები ამ ორი პოეტისა, ეს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არის. ის, რაც გერცენმა თქვა ჩაადაევის შესახებ, შეიძლება გავიმეოროთ ბარათაშვილის პოეზიის მიმართ: „ეს იყო შუალამისას გასროლილი თოფის ხმა“.

* * *

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?
(ნ. ბარათაშვილი)

მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა,
რომ მოგენამლა
ყვავილოვანი სიყმანვილე და ჩემი ქნარი?
(გ. ტაბიძე)

ნ. ბარათაშვილის სევდა – „კაეშნიანი პოეზია“ მისი ეპოქის უშინაარსობამ და ამაოებამ წარმოშვა. სულიერი მარტოობით განამებული პოეტი წერდა:

ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,
ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი.

გ. ტაბიძის სულიერი მარტოობაც „ცხოვრების არარაობის“ განცდის საფუძველზე აღმოცენდა. მეგობრებსა და თანამგრძნობებს მოკლებული პოეტი წერდა:

რა ნამებაა, როცა იმედთა
ნაცვლად გულს ჭმუნვა გარემოიცავს...
როცა მეგობართ გუნდი გეცლება,
როს თანამგრძნობი არავინა გყავს...
როცა არა ხარ მოხუცებული
და მაინც გრძნობ, რომ არავის ელი,
როცა მეგობართ გუნდი გეცლება,
და უცხო არის შენთვის სოფელი.

გ. ტაბიძის პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა მარტოობის, სულიერი მიუსაფრობის განწყობილება. გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

მარტოდ-მარტო ვარ... ვისაც ოცნება
ედემის ციურ ხატებათ სთვლიდა,
ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა ნავიდა.

მარტოობისაგან გულდათუთქული პოეტი ეკითხება ობლად შთენილ თავს:

საით მივყავარ ჩემს მონყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?

როგორ გვაგონებს ეს ძლიერი პოეტური ადგილები ნ. ბარათაშვილის წერილს, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილს. ბარათაშვილი თავის მეგობარს წერდა: „შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო... ვისიც ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალეულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერებისა, წვეთი საშინელი სანამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

ნ. ბარათაშვილს „იდუმალი ხმა“ ჩასჩურჩულებდა:

ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი.

მაგრამ მთელმა ამ ძიებამ უიმედობითა და სევდით აავსო პოეტის გრძნობა:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ
და მით კაემანს ვერლა ვიშორებ.

ასევე გ. ტაბიძეს „იდუმალი გრძნობა“ უკარნახებდა:

დამშვიდდი, გულო. შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო,
ნავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღსდგება გამქრალი შვება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

მაგრამ პოეტის სურვილი „აუხდენელ“ ოცნებად დარჩა.

გაქრა ზაფხული... ნავიდა ის დღე,
როს მეორე დღეს შვებით ვხვდებოდი,
მე ყვავილები მესიზმრებოდა
და მე ყვავილებს ვესიზმრებოდი.
ახლა კი ბნელი შემოდგომის დღე
ვერ განაახლებს მზის ელვა-ციმციმს...
დასჭკნა ყვავილთა ნარნარი გროვა...
გული სწუხს და სწუხს...
გარეთ წვიმს და წვიმს.

ასეთი განწყობილება ეუფლება უიმედოდ, მარტოდ „შთენილ“ პოეტს.

* * *

არსებული სინამდვილით უკმაყოფილო პოეტები, სევდითა და ჭმუნვით შეპყრობილი რომანტიკოსები მიმართავდნენ ბუნებას, როგორც სულიერი ტკივილების გაყურების საშუალებას. რომანტიკოსებისათვის ბუნება ცოცხალი, გრძნობიერი არსებაა, ადამიანის სევდისა და უკმაყოფილების ნამდვილი მოზიარე. ბუნებასთან აბამენ ისინი იდუმალ კავშირს, მას ანდობენ სევდასა და წუხილს.

ბუნების აღწერას და ლირიკული პეიზაჟების გადმოცემას განსაკუთრებული ყურადღება რომანტიზმმა მიაქცია. ქართულ მწერლობაში პირველად რომანტიზმმა დააყენა ბუნების საკუთარი განწყობილების ფონად გამოყენების ამოცანა და მანვე გადაჭრა იგი ჩინებულად. მაგრამ ბარათაშვილი აქაც გამოირჩევა. ბარათაშვილმა ქართველი რომანტიკოსების ეს მხარე გააღრმავა და ერთგვარად განაზოგადა. ბარათაშვილმა ბუნებასთან შეზიარების თავისებური ფილოსოფიური დასაბუთება მოგვცა. ბარათაშვილი ბუნებას უბრალოდ კი არ აღწერს, არამედ მასში საკუთარი სულის ტკივილების მოზიარეს ხედავს. იგი ბუნებას განიცდის, როგორც ცოცხალ მეგობარს, პოეტის სულის თანამოზიარეს:

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო.
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო.

აქ თითქო ბუნება მეტყველებს. პოეტს ესმის საიდუმლო ენა ბუნებისა. იგი ბუნებას შესთხოვს, „დახსნას გულსა ვაება“ და მოუღებინოს მეგობარს. ბარათაშვილი ბუნებაში პოულობს საკუთარი სულის მდგომარეობის ანალოგიას:

გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადახრით შუქმიბინდული.

ბუნების აღწერას დიდი ადგილი უჭირავს ტაბიძის შემოქმედებაშიც. გ. ტაბიძის ბუნება ცოცხალი არსებაა, ადამიანის ჭირისა და მწუხარების მოზიარე. „ცხოვრების ზვირთთა დაუცხრომელი ტრიალის შემდეგ“ პოეტი ბუნებას მიმართავს მუდარით:

ბუნებავ ტკბილო, ვურიგდები ჩემს ამნაირ ხვედრს.
შენ შეითვისე და შეიტკბე მწუხარე შვილი.
უთხარი ნანა, როგორც დედა ეტყვის თავის შვილს
და მოასვენე შენს გულმკერდზე ღონემიხდილი.
რომ მარტოობის დამთრგუნველ და დამლუპველ ჟამად,
ჩემს სულს იდუმალ და შეუმჩნევ სიამეს გვრიდე.
განსაცდელშია დამსხვრეული და ცივი სული,
მიუალერსე ავადმყოფ გულს და დაამშვიდე.

ასე შემოსა ცოცხალი განცდებითა და გრძნობით ბუნება ტაბიძემ.

გალაკტიონ ტაბიძემ ბუნების რომანტიკულ გაგებას ახალი შტრიხიც შემატა და ამ მხრივაც სიმბოლიზმისაკენ გადაიხარა. გ. ტაბიძის „შემოდგომის მოტივები“ ქართული რომანტიზმის „გამდიდრებას“ წარმოადგენს. ბუნებაში ტაბიძე მისი სევდიანი სულის თანატოლს დაეძებდა და ასეთი „ტოლი ობოლი სულისა“ შემოდგომის ბუნებაში ჰპოვა. შემოდგომის დრო სულის სიმბოლიზაციის საშუალებად იქცა და ეს ნიჭიერი მიგნება იყო „დამჭკნარ ფიქრთა“ პოეტისათვის. ქართველი რომანტიკოსების სამყაროში ეს ერთგვარი აღმოჩენაც იყო. შემოდგომის მოგვიანო დრო, გაძარცული ბუნება, ყვითელი და დამჭკნარი ფოთლების ცვენა აგონებს პოეტს თავის „გაუშლელ სიყმანვილეს“, ნაადრევად დამჭკნარ ოცნებას; ობოლი ფოთლები, შემოდგომის დღე, „დღე ნალვლიანი“ კი – სევდის „იდუმალ გრძნობით აღვსილ ცხოვრებას“. მაგრამ ეს ანალოგიაც, ეს მსგავსებაც ნუთიერია და წარმავალი. პოეტის ბედი უფრო უნუგეშოა, ვიდრე ბუნებისა:

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჭკნება ფოთოლი:
ყმანვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებით დნება,
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული –
და სიყმანვილე კი არასდროს
არ დაბრუნდება!

* * *

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ინტიმურ გრძნობის ლირიკას. ბარათაშვილის პოეზიის უმშვენიერესი სამკაულნი სიყვარულის გრძნობით არიან შთაგონებულნი. ამ მხრით პირადმა რომანტიკულმა ისტორიამ, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, გადამწყვეტი გავლენა იქონია ბარათაშვილის პოეზიაზე. სიყვარულის თემაზეა შექმნილი ბარათაშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა „ჩემს ვარსკვლავს“, „ჭაჭაჭაყაძის ასულ ეკატერინეს“, „ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი“, „საყურე“, „ჩემს მეგობარს“, „არ უკიჟინო სატრფოო“ და სხვ.

ასევე გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში სიყვარულისა და ქალის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გ. ტაბიძის უშესანიშნავესი ლექსები ამ თემაზეა შექმნილი. სიყვარულმა ფანტასტიკური ალით გაანათა პოეტის გული, შემდეგ გაქრა და სევდით აავსო მისი გრძნობა. პოეტმა ბოლომდე შემოინახა სიყვარულის პირველი ალით გამონვეული სევდა და კაეშანი. გალაკტიონ ტაბიძის საუკეთესო ლექსები: „მერი“, „თოვლი“, „მერის თვალებით“, „დიდი ხანია“, „სანამ შორს იყავ“, „სინანული“, „მომაკვდავი“, „ვნწყველი სიყვარულს“, „უსიყვარულოდ“, „ჩვენება“ და სხვ. ამ თემაზეა დაწერილი. ბარათაშვილსა და ტაბიძეს შორის ერთგვარი ნათესაობა არსებობს ამ მხრივაც. მათ მწვავედ განიცადეს სიყვარულით გამონვეული განზილება ბედისაგან და თავისებურად გადმოსცეს შემდეგ ეს განწყობილება. აქაც საგულისხმო პარალელია.

ნ. ბარათაშვილისათვის სიყვარული მარტო ჩვეულებრივი განცდა როდია, იგი რაღაც უფრო ღრმა გრძნობაა:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.

დაახლოებით ამავე აზრისაა გალაკტიონ ტაბიძე სიყვარულის უკვდავების შესახებ:

არ მჯერა სული რომ გაიფანტოს,
შენზე ლოცვაში აღმონაცენი.
ის თვით სიკვდილის შემდეგაც მაინც
სამარადისოდ შენია, შენი!

გალაკტიონ ტაბიძემ იცის, რომ:

... არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ.

ნ. ბარათაშვილსა და გ. ტაბიძეში სიყვარულის განცდას მწვავე კოლიზიები თანა სდევდა. იგი სევდასა და გულის დარდს შეჰყრის პოეტებს, მწარედ ათქმევენებს ერთსაც და მეორესაც:

ნ. ბარათაშვილი:

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი.
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

გ. ტაბიძე:

მაშინ მე ვიტყვი, რომ მოკვდა გული,
რომ სიზმარივით გაჰქრა ყოველი,
რომ ჩემს წარსულში არ ვეძებ ახალს
და სიყვარულშიც ხსნას არ მოველი.

ან:

რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?
ბედნიერებას? ოჰ, არა, არა!
სიყვარულს? – განა ამ სიყვარულმა
მე ოცნება არ დამისამარა?

გ. ტაბიძე ბარათაშვილს სიყვარულის გაგებაში ყველაზე უფრო პირდაპირ ენათესავება ლექსით – „ჩემი ვარსკვლავი“. ეს ლექსი ეხმაურება ნ. ბარათაშვილის ლექსებს: „ჩემს ვარსკვლავს“ და „არ უკიჟინო, სატრფოო“. ნ. ბარათაშვილი ლექსში – „ჩემს ვარსკვლავს“ – სიყვარულს გვიხატავს როგორც „სულის ნათელს“, „ცხოვრების ძალას“:

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო;
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მაღბინებელ დაბინდულის გულისა!

იგივე აზრი მეორე ლექსში ასეა გამოთქმული:

მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დაჰსდვან კაცთა სახელი.

გ. ტაბიძის ლექსში „ჩემი ვარსკვლავი“ ეს აზრი ასეა გადმოცემული:

და მე, შენს მგოსანს, იქ ძალმიძს მარადჟამს ვიბედნიერო,
იქ ძალმიძს მხოლოდ ვიცოცხლო, სადაც შენა ხარ, ციერო,
და რაც კი ქვეყნად ამ ჩემს თვალთ უეცრად მოეჩვენების,
მარტოდენ ანარეკლია მაგ ღვთაებრივი შვენების.

ასე გამოიყენა გ. ტაბიძემ ბარათაშვილის მღელვარე განცდები, სიყვარულის ინტიმური გრძნობით გამონვეული.

ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის შედეგში – „შემოღამება მთანმინდაზედ“ – სალამოს ბინდის, მთანმინდის პეიზაჟის ფონზე მთვარე ასეა აღწერილი:

ჰსდუმდა ყოველი მუნ არემარე;
ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიწნური
ვარსკვლავი მარტო მისა ამარას;
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო,
მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე,
დისკო-გადახრით შუქმიბინდული.

გალაკტიონ ტაბიძესაც სალამოს ბინდისას, მთანმინდის პეიზაჟის ფონზე, ასე აქვს წარმოდგენილი მთვარე:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი,
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარავით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,
ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული!

ნათელია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ეს ლექსი გამონვეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემოაღნიშნული ლექსით. მართალია, ეს უფრო აღწერით მხარეშია გამოხატული, თორემ იდეურად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქ მხოლოდ

იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ბარათაშვილის ლექსს მიუცია ერთგვარი ბიძგი, შთაუგონებია გ. ტაბიძე. აქ საგულისხმოა ერთი მომენტიც, – „მთანმინდის მთვარეში“, 1919 წლის გამოცემაში, სტრიქონი – „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“, – ასე იკითხება: „დაწყველილ ყრმას აქ უყვარდა ობლად სიარული“. [...]

ამ ლექსით შორეულად გამოეხმაურა ტაბიძე სახელოვან წინაპარს, რომელთანაც მას პოეტური განწყობილება აკავშირებდა. ასე რომ, მთანმინდა – „ეს ფანტასტიკური ქვეყანა ქართული პოეზიისა“ – ახალი პოეტური სხივით გაანათა ტაბიძემ. და ეს ლექსი – „მთანმინდის მთვარე“ – მიემატა ქართული პოეზიის კლასიკურ შედეგებს: ბარათაშვილის „შემოღამებას მთანმინდაზედ“ და აკაკის „განთიადს“.

ავილოთ მეორე შემთხვევა. ნ. ბარათაშვილი, ცხოვრების ამოებისაგან გულმოკლული, ადამიანური ტრაგედიის მღელვარე განცდებით დატვირთული, ასე მიმართავს ბოროტ სულს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმამფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?

წუთისოფლის გაუტანლობა და სულიერი ობლობა მსგავსივე განწყობილებით გამოხატა გ. ტაბიძემ:

დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები,
დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა, რომ მოგენამლა
ყვავილოვანი სიყმანვილე და ჩემი ქნარი...
(„ელეგია“)

ან კიდევ:

ნ. ბარათაშვილი:

მარქვი, რა იქნენ საკვირველნი ესე აღთქმანი,
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმმფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

გ. ტაბიძე:

ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოთ მე ჩემი ბედი!
რად დამიმსხვრია სიყმანვილის წრფელი სიამე.

ზემოთ დასახელებულ პარალელებში ამგვარი გავლენის კვალი აშკარად ჩანს.

აქ არა მარტო გარკვეულ განწყობილებასა და განცდებშია გამოხატული მსგავსება, არამედ თვით ფანტაზიებშიაც კი. მსგავსი პოეტური ინვენტარიტა და განწყობილებით ეხმაურება გ. ტაბიძე ნ. ბარათაშვილს. ასეთი პარალელების შემთხვევები კიდევ შეგვეძლო მოგვეყვანა [...] ხშირად ეს გამოხმაურება არა უშუალოდ შთაგონებითია, არამედ შორეული გამოძახილია. გალაკტიონ ტაბიძის შესანიშნავი ლექსი „მე და ღამე“ ბარათაშვილის პოეზიაში უშუალო პროტოტიპს არ პოულობს და აქ არც საერთო პარალელებზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ვინც ბარათაშვილის პოეზიას კარგად იცნობს, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ გალაკტიონ ტაბიძის აღნიშნულ ლექსში ერთის მხრით ბარათაშვილის პოეზიის რომანტიკული სული ჰქრის, მაგრამ ისე ორიგინალურად, ისე დამოუკიდებლად, რომ აქ პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი შეუძლებელი ხდება. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რამდენად დამოუკიდებელი და ორიგინალური გზით გადატყდა ტაბიძის შემოქმედებაში ბარათაშვილის პოეზიის საერთო განწყობილება. სწორედ ამაშია ის საიდუმლო ძაფი, რომლითაც გ. ტაბიძე უკავშირდება ბარათაშვილს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ტაბიძის რევოლუციამდელი პერიოდის ის ლექსები, რომლებიც წმინდა დეკადენტური ხასიათისა იყო (მაგ. „ლურჯა ცხენები“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „დომინო“ და სხვ.), ისე არ გასულა ხალხში და პოპულარობა არ მოუპოვებია, როგორც იმ ლექსებს, რომლებიც რომანტიზმთან არიან დაკავშირებული („მერი“, „მესაფლავე“, „ატმის ყვავილები“, „გურიის მთები“ და სხვ.). გ. ტაბიძის მაღალი პოეტური სახელი უფრო რომანტიზმთან არის დაკავშირებული, ვიდრე სიმბოლიზმთან. ალბათ, ეს მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში გ. ტაბიძეს, როდესაც იგი უფრო გვიან წერდა: „რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებად“. ხოლო გრძნობდა რა, რომ მისთვის ძველებური რომანტიზმი მიუღებელია, იქვე დასძინა: „ახალი პოეზია ძველი რომანტიზმის განახლებული სულით აივსება“.

გალაკტიონ ტაბიძე სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული იყო სიმბოლიზმი. გ. ტაბიძე იცნობდა ამ ლიტერატურულ მოძრაობას. სიმბოლიზმი იყო რეაქცია ნატურალიზმის წინააღმდეგ, ისე როგორც რომანტიზმი თავის დროზე ფსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. სიმბოლიზმმა, როგორც ცნობილია, რომანტიზმის სკოლის პრინციპები გაიზიარა. ბევრ შემთხვევაში გ. ტაბიძის პოეტურმა განწყობილებამ რომანტიზმის სტილში ჰპოვა განსახიერება (გ. ტაბიძის პირველი ნიგნი). შემდეგ იგი ამ გზით სიმბოლიზმამდე მივიდა პოეტური სიჭაბუკის დროს (მეორე ნიგნი). ამ გამეორებას ხელს უწყობდა რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის ეპოქის სულიერი განწყობილება. ქართული რომანტიზმისა და სიმბოლიზმის შემაერთებელი ხაზი გახდა ტაბიძის პოეზიად. ამიტომ თემებით, განწყობილებით, ამღერების მანერით გ. ტაბიძე, თუ ერთი მხრით რომანტიზმს, კერძოდ ბარათაშვილს, უკავშირდებოდა, მეორე მხრით, სიმბოლიზმის სტილში პოულობდა თავის თავს. და როდესაც ბარათაშვილს ვადარებთ მას, ეს გარემოება არ უნდა იქნეს დავიწყებული. ეს გარემოება არ უნდა იქნეს დავიწყებული მაშინაც, როდესაც ჩვენ პარალელებს ვავლებთ ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის ცალკეულ ლექსებს შორის.

ბარათაშვილის ლირიკის ლეიტმოტივი არსებითად განსხვავდება ტაბიძის ლირიკის ლეიტმოტივისაგან, ისე როგორც ბარათაშვილის ეპოქის ხასიათი და ინტერესები განსხვავდებიან ტაბიძის ეპოქისაგან, ან სიმბოლიზმი – რომანტიზმისგან. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ზემოთ აღნიშნულ ლექსების პარალელებში გვეგულისხმებინა ეს გარემოება. და მართლაც, როდესაც ბარათაშვილის ლექსებს ვადარებთ გ. ტაბიძის ლექსებს, პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, ესაა გ. ტაბიძის აღნიშნული ლექსების ქარბი პესიმიზმი.

„მერანის“ ავტორმა ცხოვრებისაგან გაცლის სურვილი კვლავ უკეთესი ცხოვრების მიგნების მიზანში ჰპოვა:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავი ბედის წინ გამოუქროლდეს.

ასეთივე დასკვნა აქვს ნ. ბარათაშვილის მეორე ლექსს „შემოღამება მთანმინდაზე“:

მწუხრი გულისა – სევდა გულისა ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

სულ სხვანაირად წყდება ეს საკითხი ტაბიძის ლექსებში. აი ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ ერთი ადგილი:

სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.

ასეთ მისტიკურ-მელანქოლიურ სამოსელშია შავი ბედის საკითხის ძიება გახვეული გ. ტაბი-
დის შემოქმედებაში. ან კიდევ:

სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა.
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები...
(„მთანმინდის მთვარე“)

ასე შეცვლილია გ. ტაბიდის უსასოო მელანქოლიით ბარათაშვილის „მერანის“ და სხვა
ლექსების მბორგავი და მეზრძოლი სული. მაგრამ ჩვენ აქ უკვე გ. ტაბიდის პოეზიის მეორე
მხარეს ვეხებით, რომელიც სიმბოლიზმთან არის დაკავშირებული.

საერთოდ კი ტაბიდის შემოქმედების პირველ პერიოდშიც გვხვდება ოპტიმისტური მო-
ტივები. მას ხშირად ეწვევა ცხოვრების სიყვარულის ძალა, რომელიც სევდიან პოეტს ბურუსი-
დან გამოიყვანს:

ო, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი...
და, მუდამ გულში გავზრდი იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე,
სადაც ედემი ჰყვავის მზიანი,
სადაც არ არის სული მწუხარე.

მაგრამ ესეც ცალკე საკითხია, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი. როგორც
ვნახეთ, გ. ტაბიძე პოეტურ სათავეს, ერთი მხრით, ნ. ბარათაშვილის ლირიკიდან იღებს. გ. ტა-
ბიდის მელანქოლიური განწყობილება ბარათაშვილის სევდიანმა სიმღერამ გამოაღვიძა. ამ
გარემოებაზე თვით გ. ტაბიძემ მიუთითა:

ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე-ველი
და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი.
ამ დროს მომესმა სევდიანი სიმღერა გზაზე,
გზაზე მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე.
გადაიარა ჩემთა თვალწინ და მიიმალა,
სამარადუჟამოდ გაურკვეველი აღმიძრა ძალა.

სხვა ქვეყანაზე მეოცნებე მხედარი ხომ ბარათაშვილია, რომელმაც პოეტს აღუძრა ძალა.
ამ პატარა ფაქტში მთელი სისრულით მხილდება ის დიდი ინტერესი, რომელიც გ. ტაბიძეს
ბარათაშვილის პოეზიასთან აკავშირებდა.

პოეტური, ფორმალური მხრითაც არის მნიშვნელოვანი ანალოგია ტაბიდისა ბარათაშ-
ვილთან, ოღონდ აქ საჭიროა ერთგვარი ისტორიული პერსპექტივა დავიცვათ. ბარათაშვილის
პოეზიის ფორმალურ მიღწევას როდი შეიძლება დღევანდელი პოეტური ფორმის დონე პირდა-

პირ შევადაროთ. ბარათაშვილის შემდეგ ქართული ლექსის ფორმალური მიღწევანი განუზომ-
ლად გამდიდრდა. როგორია ბარათაშვილის ლექსების ფორმა, რა ახალი ფორმალური მხარე
შეიტანა მან ქართულ ლექსში? ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურაში ორგვარი შეხედულება
არსებობს: ზოგიერთის აზრით, ბარათაშვილი ტრადიციულ ფორმებს არ გასცილებია, ზოგის
აზრით კი, ბარათაშვილი ქართული ლექსის ნოვატორია, ახალი ქართული ლექსის სათავეა.
ჩვენ უფრო მართებულად მეორე მოსაზრება მიგვაჩნია. ნ. ბარათაშვილი ქართულ პოეზიაში
მაშინ მოვიდა, როდესაც ანტონ კათალიკოსის სკოლის ტრადიციული რუტინა ბატონობდა.
ბარათაშვილიც არ გადაურჩა ამ ნორმატივის გავლენას. მაგრამ ბარათაშვილის პოეტურმა
გენიამ პირველად გაარღვია ეს რუტინა. მან ქართული ლექსი გამოიყვანა ვიწრო რკალიდან და
გაათავისუფლა იგი მუხამბაზურ-აშულური პოეტიკის ნორმებისაგან. „ამასთან ბარათაშვილმა
სრულიად ახალი ჟღერა მისცა თვით ქართული ლექსის ინსტრუმენტსაც, ახალ თემაზე ააწყო
იგი, ქართული ლექსის რიტმი ახალი მღელვარებით აავსო“ (პ. ინგოროყვა).

ნ. ბარათაშვილის ეპოქის პოეზიას, უნიჭო მიმბაძველთა მთელი წყების წყალობით,
ცრუკლასიციზმის იერი გადაჰკრავდა (ამ შემთხვევაში გამონაკლისი იყო გრიგოლ ორბელი-
ანი). მძიმე სტილი, ლექსის ხელოვნური წყობა, შტამპიანი ლექსიკონი, ერთფეროვანი რითმე-
ბი... ამგვარ ფორმაში წარმოდგენილ აზრს დაკარგული ჰქონდა სიცოცხლე, გამოსახულების
სიმართლე. ბარათაშვილმა პირველმა დაარღვია ეს სქოლასტიკური სტილი მწერლობისა და
გაუკაფა მას განვითარების ახალი გზა.

გ. ტაბიძის დამსახურება უახლეს ქართულ მწერლობაში პოეტური ფორმის გადახალი-
სების საქმეში განუზომლად დიდია. მან მისცა არა მარტო ახალი ჟღერა ქართულ ლექსს, არამედ
პირველად შემოიღო ახალი ფორმები, გაამდიდრა ქართული სიტყვა ახალი გამოსახულების
მხრით. ახლებურად ააწყო ლექსის რითმა და რიტმი. ლექსის ფორმაში დიდი განახლება
და რეფორმა შეიტანა. ამ მხრითაც პოულობს იგი ანალოგიას დიდი ქართველი პოეტის
ბარათაშვილის შემოქმედებაში.

ნ. ბარათაშვილის ლექსს უდიდეს ძალას აძლევს მისი ემოციური მხარე. პოეტის მღელვა-
რე განწყობილებანი, უპირველესად ყოვლისა, გადმოცემულია ლექსის ბოპოქარ რიტმში.
ბარათაშვილის მეტროლი და პროტესტანტული სული ლექსის უაღრესად ორიგინალურ
რიტმში პოულობდა სრულ განხორციელებას. საკმარისია აქ დავასახელოთ მისი ცნობილი
ლექსები „მერანი“ და „შემოლამება მთანმინდაზე“. რიტმზე დამყარებული ემოციურობა ლექ-
სისა, ნ. ბარათაშვილის მიერ ასე ორიგინალურად დანერგილი ქართულ ლიტერატურაში,
გამოიყენა და თავისებური სახე მისცა გ. ტაბიძემ. და მაინც, გ. ტაბიძემ უმთავრესი ყურადღება
გადაიტანა ლექსის რითმზე. რითმის მრავალფეროვნება და ჟღერადობა, ლექსის მუსიკალო-
ბა არის მისი პოეზიის დამახასიათებელი თვისება. პოეტური ლექსიკონის სიახლის ძიებით,
ლექსის რიტმითა და მრავალფეროვანი ორიგინალური რითმებით გ. ტაბიძე განსაკუთრებით
გამოირჩევა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. გ. ტაბიძის ლექსს ახასიათებს ნატიფი გრაცია,
მღელვარე ემოციურობა და ტემპერამენტი, ამაღლებული ინდივიდუალური შთაბეჭდილება.
აქ რიტმი შეფარდებულია ემოციურობასთან. გ. ტაბიძის მრავალფეროვანი პოეტური ფორ-
მის დასახასიათებლად საკმარისია დავასახელოთ მისი ისეთი ლექსები, როგორცაა „ეს
მშობლიური ქარია“, „ატმის ყვავილები“, „თოვლი“, „მთანმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ
ვარდი სილაში“. გ. ტაბიძემ გაამდიდრა ქართული ლექსი ორიგინალური მხატვრული ხერხებით.
გ. ტაბიძე იყენებს, ერთი მხრით, ქართული ლექსის მდიდარ ტრადიციას, მეორეს მხრით, იგი
ორიგინალურად ამუშავებს სიმბოლისტიკის ფორმალურ „მიღწევებს“, სიმბოლისტიკისა,
რომელთაც მთავარი ყურადღება ლექსის ფორმალურ მხარეზე გადაიტანეს და შინაარსი და-
ივიწყეს. გ. ტაბიძის შემოქმედების ეს მხარე სპეციალური კვლევის საგანია და ჩვენ ამჟამად
ამაზე არ შევჩერდებით, ოღონდ ვიტყვით, რომ გ. ტაბიძემ პირველმა გაამახვილა ყურადღება
ლექსის მუსიკალურ მხარეზე. იგი ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა:

იმღერე გრძნობით და როცა მღერი
მწუხარების ან იმედის ხმაზე,
მარად გახსოვდეს, რომ ყველაფერი
მუსიკა არის და სილამაზე.

* * *

ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი, შავბნელ ეპოქაში დაიბადა. ამავე ეპოქამ დაასვა მას სევდის მძიმე დალი, ნამდვილად კი ნ. ბარათაშვილი თავისი მაღალი პოეტური სულითა და რწმენით ეკუთვნოდა უკეთეს ხანას, მომავალს. მას სწყუროდა განახლებული და თავისუფალი საქართველოს ხილვა, ამ სურვილს ედგა მისი სევდიანი ფიქრები დარაჯად, მაგრამ იგი ისე მოკვდა, სამშობლოდან გადახვენილი, ნათესავთაგან დაუტირებელი, რომ თან წაიღო ეს სევდა, საიდუმლოებით მოცული.

გ. ტაბიძეს სულ სხვა ბედი ხვდა წილად.

გ. ტაბიძის პოეტური ნიჭი, ბარათაშვილის მსგავსად, ბნელითა და ბურუსით მოცულ ეპოქაში დაიბადა. განვლო დრომ და ეს ნიჭი სრულიად ახალ ქვეყანაში, საბჭოთა ეპოქაში მოხვდა.

გ. ტაბიძე ოცნებობდა:

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა.

და ჭეშმარიტად აღსრულდა პოეტის ოცნება, გ. ტაბიძე „გადაურჩა“ მეფის რუსეთის შავბნელ „ზამთარს“. და ასე დასცილდა პოეტური ბედით ნიჭიერი მემკვიდრე სახელოვან წინაპარს.

* * *

ქართულ ლიტერატურაზე ზერელე დაკვირვებაც კი ერთ ნათელ სურათს წარმოგვიდგენს. სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის თემას საბჭოთა პერიოდამდე განუშორებლად თანა სდევდა სევდისა და უკმაყოფილების კილო. სამშობლოს ბედით გამონვეული რომანტიზმი იყო დამახასიათებელი თვისება ქართული ლიტერატურისა. ასეთმა რეალისტმა მწერლებმაც კი, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ, ვერ დააღწიეს თავის ამ გზას. ქართველი ხალხის ყოფა, ჩვენი სამშობლოს ბედი სევდიანად აკვნესებდა მუდამყამს ჩვენს კლასიკოსებს. სამშობლოს ჩაგვრით გამონვეული უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობა აწმყოს მიმართ ქმნიდა კონფლიქტს მწერალსა და სინამდვილეს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით შეინიშნება მე-19 საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლიტერატურაში.

სინამდვილესთან კონფლიქტი დამახასიათებელია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისათვისაც. პოეტს გულს უკლავდა და გრძნობას უწამლავდა უფლებააყრილი სამშობლოს ბედიც. სამშობლოს უნუგეშო აწმყო მწარედ აკვნესებდა პოეტის ჩანგს. იგი გამობდა და წყევლიდა ასეთ ყოფას და ოცნებობდა ბედნიერ მომავალზე:

ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს,
ღრმა ძილში შთანთქმულს, მაგრამ უზრუნველს:
შორს დავეძებდი მყუდრო სამარეს,
უცხოეთისკენ მე ვიშვერდი ხელს.

მძულხარ, მონობავ, – ვამბობდი და ხმებს
ცელქი ნიავი სათუთად კრეფდა,
„მძულხარო“ – ასე უთვლიდა ზვირთებს,
„მძულხარო“ – თერგი იმეორებდა.

რუსეთისაკენ მიმავალი გ. ტაბიძის პოეტური ფიქრები, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, სამშობლოს დასტრიალებდა. პოეტმა ღრმა სიყვარულით გადაფურცლა საქართველოს ისტორია და თვალწინ დაუდგა წინაპართა გმირული სახე. გარდასულ დროთა გმირების ვაჟკაცობით აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავს ჩვენს წინაპრებს:

ოჰ, როგორ მინდა, მეგობრებო, რომ თქვენთან ერთად
მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი,
ბევრი რამ არის მათ გრძნობაში კეთილშობილი,
მათი მხურვალე ოცნებებით მსურს ვიამაყო.

წარსულის გულმხურვალე მოგონების შემდეგ პოეტის ფიქრები შეჩერდა საქართველოს ანმყოზე და სანუგეშოს ვერარას ჰპოვებს. გულმოკლული პოეტი მწარედ ამოიკვნესებს – „მძულხარ, მონობავ“... ანმყოთი უკმაყოფილო პოეტი მომავალში ეძებს სამშობლოს ბედს. სამშობლოს ბედის ძიებამ იგი „უცხოეთში გადახვეწა“. პეტროგრადში მყოფი პოეტის ფიქრები კვლავ საყვარელ სამშობლოს დასტრიალებს. პოეტი ოცნებობს სამშობლოზე, იგონებს „შფოთიან თბილისს“, რომელმაც მწუხარება და სევდა გაატანა რუსეთში მიმავალ პოეტს.

მაგრამ „უცხოეთში“ მყოფი პოეტი არ კარგავს იმედს. მასში იღვიძებს რწმენა, რომ საქართველო კვლავ „წარმოდგება ძლიერად“:

მოვა... მწუხარე, მაგრამ ნაზ სიტყვით
ძალას აღუძრავს თავდახრილ მონებს.

– წერდა პოეტი. გ. ტაბიძის პოეტურ განწყობილებას სევდასთან ერთად ჰკვებავს იმედის რწმენა. ბურუსით მოცული „მომავალი“ პოეტს იმედიანად ეხატებოდა. „სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მესატება, ადამიანი ზეცას შეჰხარის“. ასე წერდა პოეტი 1916 წელს. ეს იმედი სამშობლოს აღორძინებისა ის შუქი იყო, რომელიც გ. ტაბიძის სევდიან პოეზიას ანათებდა.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სამშობლოს აღორძინების საქმე სახალხო რევოლუციას უკავშირდებოდა. გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც პირველი პოეტური ნათლობა 1905 წლის რევოლუციის გრანდიოზული სანახაობის შთაგონებით მიიღო, ხშირად იმედით შეჰყურებდა ხალხის მომავალს. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზია სიმბოლიზმის ჩარჩოში ვერ თავსდება, მას, როგორც მისი მეორე ნაკადი, თან გასდევდა ცხოვრების, ბრძოლის, რწმენის განწყობილება. სამართლიანი არ იქნებოდა გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის წინა პერიოდის პოეტურ სამყაროში ამ განწყობილების მოტივები არ დაგვენახა. ეს იქნებოდა ფაქტების სუბიექტური დამახინჯება.

გალაკტიონ ტაბიძეს რევოლუციის წინა პერიოდში პესიმისტური და მისტიკური განწყობილების გვერდით, როგორც ეს ჩვენ ზევით ვაჩვენეთ, ოპტიმიზმის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის განწყობილება ახასიათებდა. კიდევ რამდენიმე მაგალითი: 1910 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“ პოეტი იმედით შეჰყურებს მზეს, თავისუფლების დიად სიმბოლოს და წყვდიადით მოცული არემარეს განათებას შესთხოვს. პოეტმა იცის, რომ „უსასოება და სიკვდილი ნადგურდება და იხრწნება“ იქ, სადაც მზე თავისი ძალით ანათებს. მზის ამოსვლის რწმენით შთაგონებული პოეტი ოპტიმისტურად ღაღადებს:

შორს ჩვენგან, ღამის წვდიადო,
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო,
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო.
ჩვენ მზე გვსურს...
ხალხო, შეერთდით,
ზევით ასწიეთ მზე, ზევით,
მის აღდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ძნელია მოინახოს მეორე უფრო ოპტიმისტური ლექსი, ვიდრე გალაკტიონ ტაბიძის ეს ლექსია. გალაკტიონ ტაბიძე აქ მთელი ხმით უმღერის ხალხის ბრძოლას, ხალხის შეერთებას უსამართლობის, ჩაგვრის, ბურუსის, თავისუფლების

მტრების წინააღმდეგ. მას სწამს, რომ წყვილი დასძლევს ხალხის შეერთებული ძალა. უფრო გვიან, 1915 წელს, პოეტი თავის ამოცანად თვლის უმღეროს ხალხს და ემსახუროს მისი მომავლის საქმეს. პოეტი გულს არ იტყვის. მართალია, მას ავნო ბურუსმა, მაგრამ კვლავ სწყურია, ისე როგორც სწყუროდა, ხალხისთვის თავდადება. იგი წერს:

სიმღერავ, უხმე დალილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, ისმენდნენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდნენ, რომ ბევრის მგომობელს
მათდამი დიდი აქვს სიყვარული.

პოეტს უყვარს ქარიშხალი. იგი მას თავისუფლებას აგონებს:

მიყვარს მარტო ქარიშხალი თვალუნვდენელ ზღვიდან ზღვამდე,
ზღვიდან ზღვამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე.

პოეტს უყვარს ბობოქარი ქარიშხლიანი ცხოვრება:

დაჰქროლე, ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე, ქარო.

პოეტის სიყვარული რევოლუციის ქარიშხლისადმი, მისი გატაცება გაზაფხულით, ცხოვრების სიყვარულით, სიცოცხლის მშვენიებით – დიდი რომანტიკული გზნებით არის გამოხატული ცნობილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „გურიის მთები“. პოეტს იშვიათი ოსტატობით აქვს აღწერილი 1905 წლის რევოლუციის ცეცხლით განათებული ნასაკირალი, რომლის ხილვამ და გაზაფხულის მთების სიმწვანემ სიცოცხლის და განახლების აზრი აღუძრა მას.

სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში ეს ჯანსაღი ნაკადი, ეს ოპტიმისტური რწმენა მომავლისა თანდათანობით ძლიერდებოდა რევოლუციის მოახლოვებასთან ერთად. სევდიან გულზე გამარჯვების იმედს პოეტს რევოლუციის მოლოდინი აძლევდა. ამ იმედით აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავს მეგობრებს:

ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები.
განა არ არის საშინელი საცოდავობა,
ისეთ ქვეყანას – როგორც ჩვენი საქართველოა –
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

ასეთი განწყობილებით და იდეებით შეხვდა, ერთი მხრით, გალაკტიონ ტაბიძე 1917 წლის რევოლუციას. გალაკტიონ ტაბიძეს პეტროგრადში მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. პოეტი მიესალმა „ცეცხლის მზეს“. რევოლუციაში დაინახა განახლების გზა, თავისუფლების გზა, ხალხის ბედნიერების გზა, ამ რწმენით შთაგონებული იგი წერდა:

გათენდა, ცეცხლის მზე აენტო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით,
დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!

რამდენიმე ხნის შემდეგ პოეტი კვლავ ბრუნდება საქართველოდან პეტროგრადში და იგი მოხიბლულია გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის გრანდიოზულობით. პოეტი ამაში ხედავს საქართველოს მომავალსაც. ამ იმედით შთაგონებული მიემგზავრება იგი საქართველოში 1918 წელს. უდღეური ნაციონალისტური მენშევიკური ხელისუფლებით უკმაყოფილო პოეტი გამოსავალს ოქტომბრის რევოლუციის მიღებაში ხედავს. იგი პირველი ქართველ პოეტებს შორის ლენინს და კრემლს უკავშირებს ამ იმედს. 1918 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „გემი დალანდი“, იგი წერს:

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდათ ჰქონდა,
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?
გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

თავის სამშობლოში – საქართველოში პოეტს დახვდება მენშევიკების უდღეური ხელი-სუფლება. პოეტის შემოქმედებაში ეს სინამდვილე კვლავ უიმედობასა და სევდას ბადებს. სიცოცხლეზე ფიქრს, განახლებულ ცხოვრებაზე ჩუმ ოცნებას კვლავ უსასოება ცვლის. ეს განწყობილება გამოხატა პოეტმა 1918 წელს დაწერილ ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალე-ბი“. „უამიდობით“ გულმოკლული პოეტი სევდით მოსთქვამს, რომ ის ისევ საქართველოშია მწუხარებით შეპყრობილი.

მიდის ზაფხული. ბაღში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნემო,
მე ისევ აქ ვარ, საქართველოში.
რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?

შინაგანი მონოდება, შინაგანი ხმა პოეტს სხვა სიცოცხლისკენ, სხვა მხარისაკენ ეძახის. მაგრამ საქართველოში არსებული სინამდვილე ისევ სევდით ავსებს მის სულს, და იგი მწარედ მოსთქვამს:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში სამშობ-ლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დგება რევოლუციური საქართვე-ლოს პლატფორმაზე. გალაკტიონ ტაბიძე ამ პერიოდის მწერლებს შორის ყველაზე ადრე მივიდა რევოლუციასთან მტკიცედ და გადაჭრით. 1922 წელს ერთდროულ გაზეთში „პოეზიის დღე“ გ. ტაბიძე წერდა: „ჩვენი სამშობლო – სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს – არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით, ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არა აქვს – უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული... მე-5 საუკუნის სტილი შვენის თვით მე-5 საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისთვის იგი მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენა გვყავს ახლებიც, ისეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ მიღწევებს. ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის – რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც. იცის შურისძიება და იცის თავგანწირვა. ახლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება,

უნდა მოიცულოს შემოჭველი სიცივე გარდამავალ ლანდებისა“. ამავე წელს გალაკტიონ ტაბიძე აარსებს თავის საკუთარ ჟურნალს – „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. ჟურნალის პირველი ნომრის მონინავე წერილში – „მანიფესტში“ პოეტი გაბედულად აყენებს საკითხს. იგი წერს: „საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენს ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად ვერ იპოვით. აირჩიეთ ორში ერთი: განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული შემოქმედების უნაყოფო ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“. გალაკტიონ ტაბიძის ეს მაღალი პატრიოტული და პოლიტიკური სიტყვა გაისმოდა როგორც ძლიერი მონოდება საბჭოთა პოეტისა.

უფრო ადრე იგი („ლომისი“, №1, 1922 წ.) წერდა: „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში... ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანის, დეკადენსის. აქ პოეზია ხდება „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამრთობად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებთ. სრულიად უნდა გავთავისუფლდეთ აგრეთვე იმ კონსერვატიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შებოჭილია თანამედროვე შეგნების პოეზია“. დამახასიათებელია, რომ გ. ტაბიძეს ეს წერილი დაწერილია მაშინ, როდესაც „ხელუხლებელ მდგომარეობაში“ იყო „კაფე-შანტანების პოეზია“ – „ცისფერი ყანებისა“ – და „სკანდალისტების“ – ფუტურისტების – პოეზია. ამ პერიოდში საბჭოთა ხალხის ინტერესებისაგან გამოთიშული ანტირეალისტური სკოლების წინააღმდეგ გ. ტაბიძემ ასე გაბედულად აღიმალა ხმა. და ეს უთუოდ არის გ. ტაბიძის დამსახურება საბჭოთა მწერლობის წინაშე.

* * *

სამშობლოს ბედით გამონვეული მწუხარებისა და სევდის ნაცვლად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, გ. ტაბიძის პოეტურ სამყაროში დამკვიდრდა ოპტიმიზმის, პერსპექტივისა და ცხოვრების სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა. გ. ტაბიძემ ილუზიებისა და ოცნების ნაცვლად შექმნა ოპტიმისტური იდეებით განწყობილი პატრიოტიზმის ახალი პოეტური სამყარო. მან უმღერა დიდებული ჰიმნი აღორძინებულ და გამარჯვებულ სამშობლოს. პოეტი კარგად ხედავს და გრძნობს განსხვავებას „ძველსა და ახალს“ შორის. იგი წარსულის ნისლიან სურათებს უპირისპირებს ახალ, საბჭოთა სამშობლოს ნათელ სახეს და ერთგვარი კონტრასტების გზით ქმნის აღორძინებული სამშობლოს სურათს. აი როგორია საქართველოს გუშინდელი დღე პოეტის წარმოდგენით:

იყო მთლად შეუმოსავი
კაცობრიობის აკვანი,
იყო ერთმუჭა ბრბოსადმი
მრავალთ-მრავალის თაყვანი.
იყო ბორკილი მონობის,
გზა უამური შრომისა,
იყო ცა უპატრონობის,
ვით ნისლი შემოდგომისა.

ეს იყო წინათ. სულ სხვა, დიამეტრულად სანინააღმდეგო სურათს ხატავს პოეტი ამჟამად. თანამედროვე სამშობლოს დიდებული სახე ასეთია:

დღეს კი მსოფლიოს მეექვსედს
ჩემს სამშობლოში სვიანი,
სხივმოსილი და მოლექსე
დამკვიდრდა ადამიანი:

ულევი – დროს ეუფლება
ვეფხთა ნიჭი და გენია,
უმაღლეს თავისუფლებას
სამშობლო აღუდგენია.

ამ ახალმა დრომ ახალი განწყობილებანი დაბადა ტაბიძის პოეტურ ქვეყანაში. პოეტი გულწრფელად წერს:

მე სხვანაირად ზვირთი მოვსახე,
მზემ ჩემსკენ შუეი არ მოიღერა,
ბოლოს ხომ მაინც მე შემოვდახე
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.

აღორძინებული და განახლებული სამშობლო გახდა გალაკტიონ ტაბიძის ოპტიმისტური პოეზიის უშრეტი წყარო. საბჭოთა ეპოქამ წარმოშვა მისი ხალისიანი და ნათელი ლირიკა.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი პოეტური გზა მტკიცედ დაუკავშირა საბჭოთა ხელი-სუფლების, საბჭოთა ეპოქის გზას, სოციალისტური მშენებლობის გზას. და არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც ის არ გამოხმაურებოდა თავისი ნიჭიერი კალმით. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი თავისი ბუნებით ლირიკოსია, – ლირიკოსი ამ სიტყვის პირდაპირი და მაღალი მნიშვნელობით, – იგი ცდილობდა დიდი, ეპიკური, სიუჟეტური ტილოებისთვის მიემართა, რათა უფრო სრულყოფილი და მთლიანი სახით წარმოედგინა საბჭოთა საქართველოს სახე. ეს მიზანი ედვა საფუძვლად გალაკტიონ ტაბიძის „ეპოქას“. როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძემ მწერლების მსოფლიო კონგრესის მონაწილეებთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრები დაათვალიერა. და ამ ნახულისა და მიღებულ შთაბეჭდილებათა პოეტურ მოთხრობას წარმოადგენდა „ეპოქა“. პირველად ის პოემის სახით გამოვიდა. მართალია, ეპიკური ნაწარმოებისათვის საჭირო სიუჟეტური მთლიანობა აკლდა ამ „პოემას“. ამას თვითონ გრძნობდა პოეტი. ამიტომ შემდეგ გამოცემაში პოეტმა იგი ცალკე ლირიკული ლექსების სახით წარმოგვიდგინა. (ასევე მოიქცა იგი „რევოლუციონური საქართველოს“ მიმართაც). მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ყოველი ლირიკული ლექსი ამ „პოემებში“ გულწრფელი სიყვარულითა და საბჭოთა სინამდვილისადმი თავდადების გრძნობით სუნთქავს და ცოცხლობს. ნამდვილი, ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტის სიხალისით არის გამსჭვალული ამ ნაწარმოებთა ყოველი ბნკარი. საბჭოთა ეპოქის ადამიანის განწყობილება და მრწამსია გადმოცემული ამ პოემების ცალკეულ ლექსებში. ეს მრწამსი იგრძნობა მაშინ, როდესაც პოეტი კოლექტიური ცხოვრების გზით მიმავალ სოციალისტურ სოფელს უმღერის. ეს რწმენა იხატება მაშინაც, როდესაც პოეტი საბჭოთა ქალაქების ინდუსტრიალიზაციის გზას შეხარის. საბჭოთა ადამიანის მაღალი პატრიოტული გრძნობით მეტყველებს პოეტი, როდესაც იგი საბჭოთა არმიას, წითელ არმიას მოუწოდებს, დაიცვას რევოლუციის დიდი მონაპოვარი. [...]

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ოპტიმიზმის, რევოლუციური რომანტიკის გზით წარიმართა. გალაკტიონ ტაბიძე აღწერს არა მარტო დღევანდელ დღეს, არამედ იგი წარმოიდგენს ჩვენი ხალხის შესანიშნავ მომავალს. რომანტიკული ფერებით აცოცხლებს პოეტი ხვალისდელი დღის სახეს:

იმ სიმძლავრეს, იმ სიმალლეს...
ჯერ ძლივს ხედავს ჩემი თვალი,
რამდენ შვებას და სიცოცხლეს
მოაქანებს მომავალი.
ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას
დაუკარგოს ფეროვნება –
რომ თანასწორ მზესთან მივა
თვითეული ეროვნება.

გალაკტიონ ტაბიძის დამახასიათებელი რომანტიკულობა ჩვენს დროში სრულიად ახალი განწყობილებითა და სულით ჟღერს. ამ სიახლის, ამ რომანტიკის თავისებურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“. სიყვარულის ისრით დაკოდილი დე გრიესა და მანონის სევდიანი რომანის ისტორია პოეტურად არის გააზრებული აქ. პოეტმა კარგად იცის, რომ ახლა სხვა დროა. „რუსოს ხანა, ოხვრა“ ისტორიას ჩაბარდა და ახალი ადამიანები მოვიდნენ, ახალი გრძნობებითა და ნერვებით. მაგრამ ისიც იცის პოეტმა, რომ:

მაგრამ წიგნი მაინც დარჩა
ვაჟისა და ასულის,
როგორც სარკე, როგორც ფარჩა
დროის ფერგადასულის.

და ეს წიგნიც ამ ძველი გარდასული დროის, ეპოქის სარკეა, რომელიც დიდხანს ძლებს.

გალაკტიონ ტაბიძემ ძლიერი პოეტური ხმით უმღერა აღორძინებულ და გამარჯვებულ სამშობლოს. ამ სიმღერაში ჟღერს პატრიოტი პოეტის დედასამშობლოს სიყვარულის, ჩვენი მამულის, ჩვენი ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვის სპეციაკი გრძნობა. გალაკტიონ ტაბიძის მრავალფეროვან პოეტურ ლირიკაში სამშობლოს სიყვარულის თემა განსაკუთრებული ორიგინალური ფერებით ცოცხლდება. ამის ნიმუშია თუნდაც ისეთი ლექსი, როგორცაა „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. ყოველ ადამიანს აქვს სასოებითა და სიყვარულით შენახული რაიმე ნაბოძები ნივთი, – ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კიდევ ბარათი, ბეჭედი, საფერფლე თუ საყურე და ზოგს წიგნი რამ მონაპოვარი. და უაღრესად ადამიანურ გრძნობათა რომანტიკას მოსდევს ყველაზე მძლავრი აკორდი საბჭოთა პოეტის გრძნობისა:

შენი, სამშობლოვ, მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

პატრიოტული შთაგონებით გამთბარი პოეტური სტრიქონები გადმოგვცემენ პოეტის სულის ინტიმურ რხევას, მის მაღალ პატრიოტულ შეგნებას.

სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის იდეაა გადმოცემული ტაბიძის ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ“. სამამულო ომის პერიოდში გამოქვეყნებული ეს ლექსი დიდი პატრიოტული ძალით ჟღერდა. ჩვენს წინაპართა სახელოვანი ისტორია აქ ახალი ძალით ცოცხლდება, როგორც დიდი შთამაგონებელი ძალა, რომელიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში კვლავ მოგვიწოდებდა გმირულად დაგვეცვა „წინაპართა ძვლები“, ჩვენი მამებისა და ძმების „სისხლით ნაპოვნი ახალი გზები“. ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და განწყობილება გამოთქმული პოეტის სიტყვებში:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

გალაკტიონ ტაბიძემ სამამულო ომის პერიოდში მთელი რიგი ლექსები გამოაქვეყნა. ბევრი მათგანი გალაკტიონ ტაბიძის დიდი პოეტური ტალანტის გამონათებით არის გაბრწყინებული. მათ შორის უნდა აღინიშნოს „სამშობლო“, „ვნერ ვინმე მესხი მელექე“, „ღრუბლები დაუგთან“ და სხვ.

გ. ტაბიძის დამახასიათებელი ორიგინალობის ნამდვილი ნიმუშია „ელგუჯას დაბრუნება“. დაბრუნებულ მეომარს სანატორიუმის წინ ყვავილნარში პატარა გოგონა შეხვდება. გამოხედვა, თმა, სახე ბავშვისა შორეულ მოგონებას აღძრავს სტუმარში. მსგავსი სახე მას უნახავს

სადღაც, ოდესღაც. ცნობისმოყვარე კაცი ვინაობას გამოჰკითხავს ბავშვს. გამოიჩვენებ, რომ ომში წასული მამა დიდი ხანია „დაკარგულია“. დედა სანატორიუმის ექიმია. გოგონა დედასთან მიიყვანს უცნობს. შემდეგ ბავშვი სტოვებს დედას და სტუმარს. „ევა“ – აღმოხდა მაშინ მოსულს. – „ელგუჯა, შენა?!“ – იყო პასუხი, და ისინი მხურვალედ ჩამოართმევდნენ ერთმანეთს ხელს. ამ დროს გამოჩნდა კვლავ გოგონა, რომელმაც მოფანტა ალუჩებისა და ვარდების კონა ირგვლივ. – „რა უნდა მეთქვა, – განაცხადა მან, – თქვენ მამაჩემის მკითხველ სახლი – მას სახელად ერქვა ელგუჯა“. ინტიმური გრძნობის ფაქიზი შეხებით ცოცხლობს მთელი ეს მიმზიდველი სურათი. [...]

გალ. ტაბიძის ლექსების ღირსება, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ იგი აღწევს მოვლენათა მრავალფეროვან ხატვას. მკითხველის შეგნებაში მოვლენა თუ საგანი აღიბეჭდება სრულიად ახალი ძალით, ცოცხალი ფერებით, სურათებითა და სახეებით. გალ. ტაბიძის ლექსები, უპირველეს ყოვლისა, თემის რომანტიკული შეგრძნობით ხასიათდებიან. ამა თუ იმ ლექსის თემას და მის მიერ შექმნილ სულიერ განწყობილებებს გალ. ტაბიძე სათანადო რიტმიულ-მუსიკალურ მეტყველებას უფარდებს. ეს განწყობილებანი იქმნებოდნენ იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იყო პოეტი ცხოვრებასთან, სინამდვილესთან. ასე გაიარა გალაკტიონ ტაბიძემ საკმაოდ ვრცელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა – რომანტიკულ-მისტიკური, სიმბოლისტური განწყობილებებით დაწყებული და რევოლუციური რომანტიზმის – სოციალისტური რეალიზმის ჯანსაღი განწყობილებებით გათავებული. ამ გზით დასძლია მან წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი ცხოვრებაზე, უიმედობა, უპერსპექტივობა, სევდა და იგი განიმსჭვალა რევოლუციის რწმენითა და პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი პათოსით ჩვენს ეპოქაში – საბჭოთა ეპოქაში. აღორძინებული და განახლებული სამშობლო გახდა გ. ტაბიძის ოპტიმისტური პოეზიის უშრეტი წყარო. ამ განახლებულმა სამშობლომ შეუცვალა კილო მის პოეზიას. ამ ახალმა ეპოქამ წარმოშვა გ. ტაბიძის ხალისიანი და ნათელი ლირიკა.

წიგნიდან: „ლიტერატურული წერილები“, ტომი II, 1949.

სერგი ქილაია

ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ

ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის წინა დღეებში გამოქვეყნდა, ამხანაგ სტალინის ბრძნულ სიტყვაში ამავე ყრილობის საბოლოო სხდომაზე და ყრილობის სხვა დოკუმენტებში ნათლად არის დასახული სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზა. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები კომუნიზმის მშენებლობის პროგრამაა. [...]

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში დიდ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა, რომელიც საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროში განამტკიცებს ახალ სოციალისტურ შეგნებას, ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის მძლავრ აღმავლობას. მწერლობას, ხელოვნებას, იმ მაღალი ფუნქციის გამო, რომელიც მათ ენიჭებათ ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, პარტია მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მთელ თავის წარმატებებს და მიღწევებს საბჭოთა მწერლობა უმადლის ლენინსა და სტალინს, დიად კომუნისტურ პარტიას. პარტიის ეს მზრუნველობა და ყურადღება კიდევ ერთხელ ნათლად გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე. ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში და ყრილობის დელეგატების სიტყვებში ლიტერატურის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ტიპიურობის, კონფლიქტისა და სატირის საკითხების ამომწურავ განმარტებას, რაც მოცემულია ამხანაგ მალენკოვის მოხსენებაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურს ოჯახში გაიფურჩქნა და გაიზარდა ახალი სოციალისტური საქართველოს პირ-მშობი – ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ამხანაგმა ა. მგელაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე წაკითხულ საანგარიშო მოხსენებაში მოგვცა ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობის სრული სურათი და დასახა მისი განვითარების პერსპექტივები. „ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, – აღნიშნა ამხანაგმა მგელაძემ, – თვითმყოფი ეროვნული ფორმებით ვითარდება, თავისი იდეური შინაარსით კი სოციალისტურია“. ეს არის ზუსტი სტალინური დებულება, რომელიც ნათლად მიგვითითებს, თუ რა გზით უნდა ვითარდებოდეს ქართული საბჭოთა კულტურა. ამასთან ერთად ამხანაგმა ა. მგელაძემ ამხილა ის ნაკლოვანებანი, შეცდომები და იდეოლოგიური დამახინჯებანი, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში გვხვდება. თავის მოხსენებაში ამხანაგი ა. მგელაძე ამბობდა:

„ლიტერატურული კრიტიკა დღემდე სუსტად ამხილებდა იდეოლოგიურ დამახინჯებებს, ცუდად იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწილში ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და დეკადენტობის რეციდივების წინააღმდეგ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა, – გადაჭრით აღმოიფხვრას ძველის ამ ნაშთების ყოველგვარი გამოვლინება“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობის შემდეგ თითქმის სამმა თვემ გაიარა და ჩვენს კრიტიკოსებს მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამთ ამ ჩამორჩენილობის დასაძლევად, არ უმხილებიათ ნაციონალიზმისა და დეკადენტობის ნაშთები. ცხადია, ჩვენ ასეთ მდგომარეობას ვერ შევურიგდებით. პარტია და ხალხი ჩვენგან მოითხოვენ გადამწყვეტი ბრძოლა გამოეუცხადოთ კაპიტალიზმის ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში, პირველ რიგში, ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთებს. „პრავდა“ თავის სარედაქციო წერილში „ლიტერატურაში იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ“, ამხილებდა რა ვ. სოსიურას ლექსის „გიყვარდეს უკრაინის“ ნაციონალისტურ შინაარსს, აღნიშნავდა: „კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში ბევრად უფრო გამძლეა ნაციონალური საკითხის სფეროში, ვიდრე სხვა რომელიმე სფეროში. ეს ნაშთები უფრო გამძლეა, რადგან მათ შესაძლებლობა აქვთ კარგად შეინიღბონ ეროვნული სამოსლით“.

ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე აღნიშნა, რომ წარსულის იდეალიზაცია ნაციონალისტური განწყობილების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ნაციონალიზმი ხშირად შენიღბული სახით, ეროვნული სამოსელით, ვითომდა პატრიოტიზმის სახით გვევლინება, მაგრამ ამგვარ „პატრიოტიზმს“ არაფერი აქვს საერთო საბჭოთა პატრიოტიზმთან. ჩვენმა პარტიამ თავიდანვე ააფრიალა ინტერნაციონალიზმის დროშა, ამ დროშით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი, ამ დროშის ქვეშ გაიფურჩქნა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა; სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართულმა საბჭოთა მწერლობამ, განსაკუთრებით იმ წლებში, როცა ჩვენს რესპუბლიკას სათავეში ედგა ამხანაგი ლ. პ. ბერია, ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ხალხის ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. საკმარისია გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ალიო მამაშვილის, ილო მოსაშვილის, გრიგოლ აბაშიძის, კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილის, რევაზ მარგიანის და სხვათა ლექსები ამ თემაზე; თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებში მათ სწორად და ნათლად გამოხატეს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა სტალინური მეგობრობის ცხოველმყოფელი იდეები.

მაგრამ ჩვენ დუმილით გვერდს ვერ ავუხვევთ იმ ფაქტსაც, რომ ამასთან ერთად, ხანდახან თვით ამ მოწინავე პოეტების შემოქმედებაშიც კი გვხვდება ისტორიული წარსულის, გარდასული ფეოდალური ცხოვრების რომანტიკული იდეალიზაცია. ჩვენს პოეტებს თავიანთი ნიგნების ახალ გამოცემებში კვლავ შეაქვთ რევოლუციამდე დაწერილი ისეთი ლექსებიც, რომლებიც აშკარა ნაციონალისტურ განწყობილებებს გამოხატავდნენ. ამაშიც მჟღავნდება ნაციონალიზმისა და დეკადენტობის რეციდივები. ასე, მაგალითად, გ. ტაბიძეს თავის ძველ ლექსში „ეფემერა“ გამოყენებული ჰქონდა რალაც მისტიკური ცნება „ქართული სისხლის“

შესახებ. „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“; 1944 წელს პოეტმა კვლავ გამოაქვეყნა ეს ლექსი შემდეგნაირი რედაქციით: „არაფერი არ არის ჩემში არაქართული“.

ჩვენ ვამაყოფთ ჩვენი სახელოვანი ქართველი ხალხით, მისი დიდი წარსულით და მისი ბრწყინვალე ანმყოფით, მისი ბუმბერაზული კულტურით, მაგრამ ჩვენ ვერ შევურიგდებით საკუთარ ნაჭუჭში იმგვარ გამომწყვდევას, როგორსაც გულისხმობს ფორმულა: „არაფერი არ არის ჩემში არაქართული“. ეს ფორმულა უშუალოდ მომდინარეობს ბურჟუაზიული ნაციონალიზმიდან, რომლის „არსია, – როგორც „პრავდა“ წერდა – მისწრაფება განკერძოებისაკენ, ეროვნული შეზღუდულობის ნაჭუჭში ჩაკეცვისაკენ“.

ნაციონალისტურ და დეკადენტურ განწყობილებათა ნაშთები გვხვდება გ. ტაბიძის ლექსების მეშვიდე ტომშიც, რომელიც 1950 წელს გამოვიდა. [...]

ჩვენ მთელი სიმკაცრით უნდა გავაკრიტიკოთ ნაციონალისტური ხასიათის შეცდომები, ნაციონალისტური ცრურწმენების ყოველგვარი ნაშთი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზემოთ აღნიშნული შეცდომები მაინც ცალკეული შეცდომებია და არ უნდა ავურიოთ იმ შეცდომებში, რომლებიც გვხვდება ზოგიერთ სხვა მწერლის შემოქმედებაში. [...]

ქართველი საბჭოთა მწერლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის ყოვლისშემძლე ძალა მხატვრულ სიტყვაში ახალი ელვარებითა და ძალით გამოხატონ. [...] დღეს ყველა ნიშნები არის იმისა, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლები გამოასწორებენ თავიანთ ჩამორჩენას და პირნათლად მოიხდიან ვალს კომუნისტების მშენებელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 12 დეკემბერი.

ქსენია სიხარულიძე

გალაქტიონ ტაბიძე და ხალხური შემოქმედება

სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ხალხურ შემოქმედებასთან ნათესაობის საკითხთან დაკავშირებით გვაგონდება მისი სტრიქონები:

კარგია ლექსი, მაშინ როს
ნათელია და ხალხური,
არ მოაკლდება არასდროს
მასსის მღელვარე თვალყური.

გალაქტიონ ტაბიძემ არა ერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა, შთაბერა თავისი პოეტური სული და მშობლიურ ხალხს მიაწოდა იდეურად ღრმა, მაღალმხატვრული, ბრწყინვალე, ორიგინალური ლექსები.

უჭკნობი სილამაზის, გრძნობის მომხიბვლელი გულწრფელობისა და განცდის გამო გალაქტიონ ტაბიძის პოეზია მუდამ იყო და არის ფართო მასის მღელვარე თვალყურის საგანი. მისი მეტად ორიგინალური პოეზია „ნათელია და ხალხური“ იმიტომ, რომ იგი ქართული კლასიკური მწერლობისა და ხალხური შემოქმედების მაგარ ფესვებზე აღმოცენდა და განვითარდა. თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების გზაზე გალაქტიონ ტაბიძე ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საკუთარი ლექსის სტრიქონებში გამოთქმული აზრით:

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის, ეპოქის და სივრცის გარედ.

ამიტომ გალაქტიონ ტაბიძის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხი არ გულისხმობს პოეტის ლექსების ხალხურ სიუჟეტებთან, თემებთან, პოეტურ სახეებთან, სტილთან თუ ენასთან მხოლოდ დამთხვევებს. მთავარი ის არის, რომ პოეტმა სწორედ დროის, ეპოქის, ხალხის ფიქრისა და განცდის მიხედვით გადაამუშავა ხალხური სიუჟეტები, თემები, პოეტური სახეები, გამოთქმები თუ სხვა და შექმნა ბრწყინვალე ლექსები, რითაც ორიგინალურად განავითარა ქართული პოეზია. საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ხალხის ოცნების, მოლოდინისა და იმედის გამომხატველი, ლამაზი ფანტაზიის შემცველი ხალხური შემოქმედება დიდი პოეტის მდიდარი და მრავალფეროვანი პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გ. ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიაში ხალხური შემოქმედება ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი საშუალება იყო. პოეტმა ძველ თქმულებებს, სიმღერებს, ლექსებს მისცა ახალი აზრი, შინაარსი, დაუკავშირა ისინი დროს, ეპოქას, სივრცეს და ამგვარად გამოხატა პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის პროტესტი თვითმპყრობელობის უხეში პოლიტიკის წინააღმდეგ. დროსა და ეპოქასთან დაკავშირებით ასევე არის გამოყენებული ხალხური შემოქმედება რევოლუციის შემდეგროინდელ პოეზიაში. იგი გამომხატველია განთავისუფლებული მშრომელების ნათელი ფიქრისა და ამ უნიჭიერესი პოეტის დიადი ოცნების.

გალაქტიონ ტაბიძე ისე უკავშირდება ხალხურ შემოქმედებას, რომ ინარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას. გალაქტიონ ტაბიძეს გულწრფელად უყვარს ხალხური შემოქმედება. პოეტი შესანიშნავად იცნობს ხალხური შემოქმედების ყველა უბანს. ეს იგრძნობა ყველა პერიოდის მის ლექსებში, რომლებშიც მაღალი ოსტატობით არის გამოყენებული არა მხოლოდ სიუჟეტები, თემები, სტრიქონები, პოეტური ხერხები ხალხური შემოქმედებისა, არამედ – ხასიათი, ტრადიცია ხალხურ ნაწარმოებთა შესრულების წესები. გ. ტაბიძეს განსაკუთრებით უყვარს ქართული ეპოსის უკვდავი ძეგლი, უძველესი კლასიკური თქმულება ამირანის შესახებ. ამ თქმულებით არის შთაგონებული გალაქტიონ ტაბიძის რამდენიმე პატრიოტული ლექსი. გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში მრავალსაუკუნოვანი ეპიკური გმირი საყვარელი სამშობლოს სახეა. კლასიკური ეპოსის გმირი ხშირად აგონდება პოეტს სამშობლოს ბედისა თუ მშობლიური პეიზაჟის დახატვისას. ლექსში „გორიდან“ საქართველოს წარმტაც ბუნებას, კავკასიონის გრანდიოზულობას პოეტი აგვირგვინებს უძველესი მითოლოგიური თქმულებით:

...მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ –
სულ ახლო არის თეთრი მთები კავკასიონის.
მთები, რომელზეც ლეგენდების თქმით, რა ხანია,
მუდმივ თოვლი და მიჯაჭვული ამირანია.

წარსულში მშრომელი ხალხის ძნელებდობით შექმნილ თავის დაცემულ განწყობილებას, უსამართლობით შეხუთულ სულს პოეტი ღრმად განგვაცდევინებს ლექსში „მე მოვალ“. პოეტი მწარე ხვედრით ედარება კლდეზე მიჯაჭვულ ყორნების კლანჭებით გულდაფლეთილ გმირს:

ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,
თვალეებში ყორნების მქეჯნიან კლანჭები,
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს ნაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკვეცავს... ეჰა, ვიტანჯები!

ეს არ იყო უიმედო მოთქმა-გოდება პოეტისა. ეს აშკარა პროტესტი იყო ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ მიმართული.

ეპიკური გმირის მძიმე ხვედრით არის გამოხატული აგრეთვე ბნელი რეაქციის მძიმე წლებში ინტელიგენტთა დაცემული განწყობილება ლექსში „ოცნება კლდეზე“. პოეტმა მშობლიურ ბუნებას დაუკავშირა ოცნება მომავალზე, ღრმა განცდა აწმყოსი:

მე მომეჩვენა, ვითომ ოცნებას
თავისუფლების შესხმოდა ფრთები,

მე ეხლაც მახსოვს მისი შვენება,
მისი ღიმილი, მისი თვალები.
სად გაჰქრა მეთქი, – ვჰკითხავდი ნიავს
და შორს გავხედე მთების მწვერვალებს;
იქ კავკასიის კლდეზე ვამჩნევდი,
მოლლილ-მოქანცულ და მიმქრალ თვალებს
ოცნება კლდეზე მიჯაჭვულიყო,
ოცნება სისხლში თრთოდა და კვნესდა,
სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა
და ყორანთ გუნდი მის სხეულს სწენდა.

ქართული კლასიკური ეპოსის ძეგლი კიდევ უფრო მაღალი ოსტატობით არის გამო-
ყენებული პოეტური მშვენების ისეთ იშვიათ ნიმუშში, როგორიცაა „მშობლიური ეფემერა“. ეს
ვირტუოზული ლექსი იყო პოეტის მედგარი ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, გამირის ძნელ-
ბედობა მოხდენილად დახატულ გრანდიოზულ მშობლიურ პეიზაჟთან ერთად აღრმავებდა
პოეტის თანამემამულეთა პატრიოტულ გრძნობებს და რაზმავდა მათ შეგნებას უკეთესი
მომავლის შექმნისათვის საბრძოლველად. „მშობლიურ ეფემერაში“ პოეტმა აასულდგმულა
მშობლიური დიადი ბუნება. იდეალური პოეტური მშვენება ღრმად გაგვაცდევინებს უსამარ-
თლობით სულშეხუთული ადამიანის მებრძოლ განწყობილებას. ჩვენ ახლაც მღელვარებით
ვკითხულობთ ამ ლექსს:

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია“...
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვილაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „ამირანია“...
ეს მძაფრი კვნესა მინამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია“...
გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...
ფერები ჭვერი ირევა ბევრი,
ლალეების ტევრი – ლილა და შვინდი...
ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა.
ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდენ,
დარიალიდან ზარავდა ზარა.
სულ ერთი წამით, განსაცდელ ჟამად,
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო.
მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!..
შეხავსებია კლდეები კლდეებს.
იქ ვილაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – კვლავ ვკითხავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „ამირანია“.

გალაქტიონ ტაბიძის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგდროინდელ პოეზიაში ახალი იერით გაბრწყინდა უძველესი ეპიკური გმირის სახე. ამ პერიოდის ლექსებში ამირანი განთავისუფლებული სამშობლოს სახეა. თავისუფალი სამშობლოს სახეა ამირანი ლექსებში „ახალი ტფილისის დაფუძნება“, „როგორც მერანი თავს აღწევს ლაგამს“, „მთვარის ნაამბობიდან“, „მთის გულისცემა“. ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ პოეტი საქართველოს მომხიბვლელი ბუნების სურათს ასე ამთავრებს:

აგერ მძლავრი და ტიტანი
მოჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭვული აქ იყო და
აქ აეშვა ამირანი!

ლექსი „მთის გულისცემა“ თითქოს მეორე ნაწილია ლექსისა „მშობლიური ეფემერა“. თუ რევოლუციამდელი ლექსის მიხედვით მთისა და ტყის გუგუნი ხალხის კვნესა იყო ძლევა მოსილი გმირის ბედით გამოხატული, რევოლუციის შემდეგდროინდელ ლექსში მთის გულისცემა, მისი გუგუნი გმირის განთავისუფლების – ხალხის გამარჯვების მაუწყებელია. ახალ ლექსში გამოყენებულია ეპიკური თქმულების თითქმის ყველა უძველესი მოტივი: სიმართლისათვის მებრძოლი გმირის კლდეზე მიჯაჭვა, მისი მონყვეტა ადამიანებისაგან და ჩაკეტვა ბნელს, ყინულიან კლდეში, გმირის გულის უმონყალოდ ფლეთა ყორნების მიერ, ყოველ ას წელში ფრინველის ცბიერებით თითქმის ამოგლეჯილი პალოს ისევ გამაგრება და სხვა.

მშრომელი ხალხის ჯანსაღი სულისკვეთების გამოსახატავად პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს გმირის უდრეკ ნებისყოფას:

გმირმა იცოდა – რა არის ხუნდი,
და არ იცოდა – რა არის კვნესა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა მშრომელ ხალხს. ბოროტების დათრგუნვა, სამშობლოს განთავისუფლება ასეა გამოხატული ლექსის დასასრულში:

და ერთხელ ფრინველს დაუწყდა ფრთანი,
დააკვდა პალოს და აი, ბოლოს,
თავისუფალი სდგას ამირანი
და ან ვერავინ ვერ დაიმონოს.
თუ მიაყურებ დუმილს ღამისას
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი,
მოისმენ გულის ცემას ამ მთისას,
ის კრთის, იდუმალ, მოგუგუნარი.

გ. ტაბიძის პოეზიაში გაახლებულია ბერძნული მითოლოგიის ნიმუშებიც. ერთგვარი სათაურის მქონე ორ ბრწყინვალე პატრიოტულ ლექსში „არგონავტები ახალი დროის“ გამოყენებულია მითი არგონავტების შესახებ. ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული გამარჯვება, ახალი ეპოქის მაჯისცემა ასე აუნყა პოეტმა ხალხს:

სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს –
ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული,
დიდი ხანია შრომის სახლი დგას
ქებნათა ეშხით დამონებული,
დრომ რომ ნაილო უბოროტესმა
აქ სანმისია იმ ოქროისა,
მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის
არგონავტები ახალ დროისა.

მეორე ლექსი მგზნებარე სიმღერაა დიდ სოციალისტურ მშენებლობაზე. პოეტი აღ-
ტაცებით მიმართავს ახალი ცხოვრების მშენებლებს:

ახალი დროის არგონავტები
მიეშურებით კოლხიდის მხარეს,
ოქროვ, შენ მაინც არ ათავდები,
თუ სხვა გრძნობები მიაქვს სამარეს.
ვით ძველი დროის არგონავტები,
ვით ძველი დროის არგონავტები,
მიეშურებით კოლხიდის მხარეს,
ახმაურებით და აზავთებით.
თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა,
დაბრკოლებანი გარემოისა,
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა,
არგონავტებო ახალ დროისა.

პოეტმა გადაამუშავა აგრეთვე ბერძნული მითი აქტეონის შესახებ და ოსტატურად გა-
მოსატყობის სიყვარულის მწველი გრძნობა ლექსში „როცა აკტეონი, ძეჲ არისტეას“.

პოეტს გადამუშავებული აქვს სხვა ხასიათისა თუ ჟანრის ნაწარმოებნიც. ხალხური
სიმღერის გადამუშავების, მასში ახალი შინაარსის შეტანის ერთი საუკეთესო ნიმუშია ლექ-
სი „შვებული“. პოეტი თავისებური ხმით უმღერის დიად სოციალისტურ მშენებლობას და
ძველი პატრიოტული სიმღერის სტრიქონების, კილოსი, მოტივებისა და მხატვრული ხერხების
გამოყენებით ნათლად გვაგრძნობინებს ახალი ეპოქის მაჯისცემას, სოფლად კოლექტიური
შრომის გამარჯვებას. ხალხური სიმღერა „ჟუჟუნა წვიმა მოსულა“ მეტად ორიგინალურად
არის განახლებული პოეტის ლექსში:

აქ როგორ არ გაიხაროს,
რაც დილის ნამმა დანამა,
შვებულის გული ახაროს
კოლექტიურმა ყანამა.
მზის შუქზე უფერადესი
ჟუჟუნა წვიმა მოსულა,
მოსანეგ-ნახნავ-ნათესი
ყიჟინით გარემოცულა.
ეს მოსავალიც, ვით მოლი,
ჟუჟუნა წვიმამ დანამა,
თუ რამემ გული გაათბოს,
ისევ აკრეფის ხანამა.
ზვარს ვინ შეხედავს უგულოდ,
ვარდი ყელამდე მოსულა,
სიმღერა დავაგუგუნოთ,
ჩვენი შვებულიც მოსულა.
მოსულა, მოსულა, მოსულა,
ჩვენი შვებულიც მოსულა,
გაზეთი მოუტანია,
ბობოლა დგას გულმოსულად.
დანამა, დანამა, დანამა,
ჟუჟუნა წვიმამ დანამა,
თუ რამემ გაგვახალისოს –
შეხვედრამ ამისთანამა!

პოეტს ისე უყვარს ამ ძველი პატრიოტული სიმღერის კილო და მისი პოეტური ფაქტურა, რომ იყენებს აგრეთვე სატრფიალო ლექსში „ქალმა დამწყველა ლამაზმა“.

ხალხური ნაწარმოების მაღალი ოსტატობით გადამუშავების ნიმუშია ბრწყინვალე ლექსი „გამხიარულდი, ბუხარო“. ხალხური ნაწარმოების გადამუშავებით პოეტმა წარმოგვიდგინა ბნელი რეაქციის მრისხანე წლები, თავისუფლებისათვის მიბრძოლთა განადგურებული სახლ-კარის შემადრწუნებელი სურათი:

თოვლი და ქარის ფაფარი, გაფითრებული მთა-ბარი.
ქობმახი მიუსაფარი, უსახურავო, უკარო.
ისიც გადასწვეს ცხრაასშვიდს (აბობოქრებულს, განა მშვიდს,
შენლა იხდიდი პანაშვიდს, თავმონგრეულო ბუხარო!).

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეს წარსულს ჩააბარა და პოეტმა აღტაცებით მიმართა ძველი ნასახლარის თავმონგრეულ ბუხარს:

ის გაჰქრა! იმ სამწუხარო გზისკენ ვერ გადაუხარო,
გამხიარულდი, ბუხარო, ბუხარო თვალებგიზგიზა.
ოც წელს (ყოველ წელს) თრთის გული: მოზღვავედა ბავშვთა კრებული,
და თავის გახარებული სიცოცხლით გადიკისკისა.
ცხოვრება – მზის თანაბარი, გაცოცხლებული მთა-ბარი.
ვართ დიდი ცეცხლით გამთბარი – ტიტანის ჯულაშვილისა.

გ. ტაბიძე მაშინაც კი ინარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას, როდესაც საკუთარ ლექსებში უცვლელად შეაქვს ხალხური ნაწარმოებები.

ძველ სიმღერებს პოეტი იყენებს დროისა და ეპოქის მოთხოვნილებების მიხედვით. პოეტის ლექსებში ხალხურ ტექსტებს ახალი დანიშნულება აქვთ. შესანიშნავ ლექსში „ზევით ას-ნიეთ მზე, ზევით“ წარსულში მზის სადიდებელ ჰიმნს პოეტმა თავისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია დააკისრა – და ამით გამოხატა პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ. ბნელი რეაქციის წლებში ანმყოფი უკმაყოფილო პოეტმა ასე უგალობა მზეს – თავისუფლებას:

მზეო, დაუდე საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლასა,
„მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა“.

ეს არ არის უბრალო განმეორება მზის საგალობელი ძველი სანესო სიმღერისა. სიმღერისათვის ამგვარი ახალი ფუნქციის დაკისრება ნიმუშია მაღალი ოსტატობით განვითარებული ორიგინალური შემოქმედებისა.

გ. ტაბიძის ლექსში „აგერა, აჰანდე!“ უცვლელად არის შეტანილი ხალხური საყოფიერო ლექსი:

კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა.

დასახელებულ ლექსში მოცემულია სურათი ძველი სოფლისა, რომლის მცხოვრებნიც უნდობლად და მტრულად იყვნენ განწყობილნი ქალაქისა და ქალაქელებისადმი. ამ ლექსს ახლა ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის შედეგად, როგორც აღნიშნული აქვს ი. ბ. სტალინს, ქალაქსა და სოფელს შორის მტრობის და უნდობ-

ლობის კვალიც კი აღარ დარჩენილა. გ. ტაბიძის ლექსში ჩართული ხალხური სიმღერაც გვაცნობს წარსულში მშრომელთა განწყობილებას.

ზოგ შემთხვევაში პოეტს გამოყენებული აქვს ხასიათი ან მხოლოდ ერთი მოტივი ხალხური ნაწარმოებისა. ლექსში „თუმც ცოცხალი ვარ“ ძირითადი მოტივი პატრიოტული სიმღერისა „მუმლი მუხასა“ გვაცნობს წარსულში პოეტის ლტოლვას ჯანსაღი მომავლისაკენ. წარსულში პოეტის განწყობილების ამსახველ ლექსში „იქ პოეტების ფრიალებს დროშა“ გამოყენებულია მოტივი ზღაპრისა „მებადური და ოქროს თევზი“. რევოლუციამდელ ლექსში „არაგვი“ ოცნება უკეთეს მომავალზე მშვენივრად არის გამოხატული ხალხური რწმენით:

ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება,
რასაც მაშინ ისურვებ – ყველაფერი იქნება.

ლექსში „სადღაც დარჩა...“ კოლმეურნეთა საამური ცხოვრების დასახატავად, ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირების საშუალებად პოეტს გამოყენებული აქვს შინაარსი წარსულში მოჯამაგირეთა ბედუკუღმართობის ამსახველი ლექსისა:

იქ თვლა არ აქვთ ამანათებს,
სიუხვეა და სიმღერაც,
კოლმეურნის ოჯახს მატებს
სიხალისეს ფერად-ფერადს.
სხვათა მოჯამაგირობით
რომ სწყველიდა ბედისწერას,
თავისუფალს, თავის შრომით
ბედს აწვდიან ფერად-ფერადს.

ასე ორიგინალური და სავსებით დამოუკიდებელია ჩვენი პოეტი ხალხურ ნაწარმოებთა გადამუშავებისა და საკუთარ ლექსში მათი უცვლელად შეტანისას.

* * *

გ. ტაბიძის მდიდარი პოეზია შეიცავს ისეთ საყურადღებო ცნობებს ხალხური შემოქმედების ხასიათის, ტრადიციისა და შესრულების წესების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფოლკლორისტიკის, ისე ეთნოგრაფიისა და საერთოდ ისტორიისათვის.

პოეტს გატაცებით უყვარს ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერები. ცრემლებით დანამული ქამანჩა, სალამურისა და სტვირის კვნესა, ფანდურის სევდიანი ჟღარუნი, მწუხარე ჰანგები ურმულისა გ. ტაბიძის რევოლუციამდელი ლექსების ატრიბუტებია – და გვაცნობენ მშრომელთა ძნელბედობას წარსულში, გვაცნობენ უსამართლობით ამღვრეულ სულსა და გულს პოეტისა. იგივე ხალხური მუსიკა, იგივე ხალხური სიმღერები იმავე პერიოდის ლექსებში გამოხატავს პოეტის უსაზღვრო ლტოლვას უკეთესი მომავლისაკენ, გვაცნობს მშრომელი ხალხის ბრძოლის უნარს, უდრეკ ნებისყოფასა და დიდ გამძლეობას.

ღრმა შინაარსის, წარმტაც მუსიკალურ ლექსში „ქუჩის მომღერალი“ პოეტმა მაღალი შეფასება მისცა პოეზიას, ხალხურ მუსიკას. პოეტმა განსაჯა ქუჩის მომღერლის – მესტირის გულსაკლავი ხვედრი წარსულში. მახვილ სოციალურ მოტივზე აგებული ლექსი ცოცხლად წარმოგვიდგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კარიდან კარზე მოხეტიალე მომღერლებს:

მან ეზო-ეზო,
კარიდან კარად
ბევრი ლამაზი
სიმღერა ხარჯა,
მაგრამ არავინ
ჩასთვალა არად:

მას ძონძი მოსავს,
მდიდრებს კი ფარჩა.
ქამანჩა, ქმნილი
ცრემლების ღვარად –
აი სულ – რაც მის
ცხოვრებას დარჩა.

მოხეტიალე მუსიკოსთა ხელოვნება ეფარდებოდა სამშობლოს ბედით შექმნილ პოეტის სევდას. ეს კარგად არის გადმოცემული ლექსში „სარკმლიდან“. ამ ლექსის დასაწყისი და დასასრული სტროფია:

სარკმელთან ვდგავარ. მალე სულ მალე
სევდიან ჰანგებს დაუგდებ მე ყურს.
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს...

პოეტის გულისტკივილს გვაგრძნობინებს სალამურის კვნესა ლექსში „პრიმიტივი“. სიყვარული ხალხური მუსიკისადმი, როგორც სიცოცხლის ერთი მშვენიერი მხარისადმი, პატრიოტულ ლექსში „ქალაქისაკენ“ ასეა გამოხატული:

ჩემო ძვირფასო დედამინავ,
ძვირფასო დედა,
მხოლოდ შვილურმა სიყვარულმა
აქ მომახედა.
პირქვე ვემხობი, ვიყრი მუხლებს
და ასე ვამბობ:
გმადლობ, დედაო, ყველაფრისთვის,
უზომოდ გმადლობ.
რომ აშრილდენ ჩონგურები,
როგორც ტყეები,
მიტოვებული, დავიწყებით სავსე ტყეები.
რომ მიჰყავს სიმთა ოქროს ნავეებს
სიმსუბუქეში
ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ
მინდვრის ნუგეში.

ხალხური სიმღერის დიდ შთამაგონებელ ძალას უძღვნა პოეტმა მშვენიერი სტრიქონები მეტრძოლი განწყობილების, დინამიკური ლექსისა „გურიის მთები“.

– ჩუმად! ვილაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში,
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...

ხალხური მუსიკის დიდი შთამაგონებელი ძალა შესანიშნავად არის გადმოცემული სამამულო ომის წლებში შექმნილ ლექსში „სიმართლის დროა“. ამ ლექსის სტრიქონებში გამოსატყუარია ხალხური მუსიკის პატრიოტული ფუნქცია:

ჩვენი ჭუნირი, ფანდური,
სიცოცხლით გაიწკრიალებს,
მის ჰანგში ანდამატური
სამშობლოს დროა ფრიალებს.

პოეტს განსაკუთრებით უყვარს შრომის სიმღერები, ხალხური შემოქმედების ეს მეტად მიმზიდველი უბანი. მრავალ ლექსშია დახასიათებული შრომის სიმღერების სხვადასხვა სახე: ურმული, სამკალი, მწყემსის სიმღერა და სხვები.

პოეტის შემოქმედებიდან ვეცნობით იმასაც, რომ სულ სხვადასხვა ხასიათი აქვს რევოლუციამდელსა და რევოლუციის შემდეგდროინდელ ხალხურ სიმღერებს. ასე მაგალითად, ლექსში „მთვარე მთას ამოეფარა“ წარსულში პოეტს ურმულის შესრულების გარემო ასე აქვს აღწერილი:

მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა,
სიცხე მინელდა, მტვერს მიეძინა.
მეურმე მღერის და მოგონებათ
აჩრდილს სურს მისცეს მსუბუქი ბინა.

ეს სიმღერა სრულიად შესატყვისი იყო პოეტის მაშინდელი განწყობილებისა, რაც გადმოცემულია ლექსის დასასრულ სტრიქონებში:

მე კი კაემნის მხარეში მიწვევს
სევდით მოცული ოცნება შავი.

საბჭოთა პერიოდის ლექსში სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი ურმულის შესრულება:

პაპას ზღაპრები შემოელია,
დიდედას კიდევ ამბები ძველი;
სიტყვა ეკუთვნის ეხლა პიონერს,
ხვალ რა მოხდება – კარგი თუ მწველი?
მეურმეს გზაზედ წყნარი სიმღერით
წისქვილისაკენ მიაქვს ხორბალი.
კოლექტივებზე ჭრიალებს ღერძი
და ტრაქტორებზე მღერის ბორბალი.

სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობაა გამოხატული მზის სადიდებელი ჰიმნის, მრავალჟამიერის, ხასანბეგურას, ალიფამას, ლილეს და სხვათა შესრულების წესის აღნიშვნით ლექსებში: „აჰა თენდება“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „სადღეგრძელო“, „შეხედე“, „ცაზე მიდის“ და სხვ.

* * *

ხალხურ შემოქმედებას ენათესავება აგრეთვე გალაქტიონ ტაბიძის მხატვრული ენა და სტილი. ღრმა შინაარსთან ერთად გალაქტიონ ტაბიძეს უყვარს საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ხალხური ჟანრი, პოეტური სახეები, მოტივები, სტილი და ენა. ყველა ამას ახალი აზრით, ახალი შინაარსით მისთვის ჩვეული ოსტატობით იყენებს პოეტი საკუთარ ლექსთა სრულქმნისათვის. ზღაპრული ჟანრისა და ზღაპრული ფანტაზიის მიხედვით არის შექმნილი პოეტის სავსებით ორიგინალური ლექსები „ზღაპარი“ და „ზღაპრებიდან“. ხალხური მოტივების გამოყენებით პოეტის ლექსებს ახასიათებს მომხიბვლელი სისადავე. ლექსი „ხალხური მოტივებიდან“ მხოლოდ მოტივებით, რიტმითა და მეტრით ენათესავება ხალხურ სასიმღერო ლექსებს; ასევე – ხალხური კილო ლექსისა „მე ვინც მიყვარდა“ პატრიოტული გრძნობის გამოხატვისა და თანამემამულეთა შორის ამ გრძნობის გაღრმავების მიზნით. მსგავსად ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, გ. ტაბიძე ხშირად იყენებს ძველი სანესო, სააკვნო სიმღერის ჰანგს, კილოს, მისამღერს და პოეტურ ხერხებს. ამის ნიმუშებია დიდი სამამულო ომის წლებში შექმნილი საგმირო-პატრიოტული ლექსი „ივანანა“ და დიადი სოციალისტური მშენებლობის ამსახველი „ახალი ნანა“. ეს ლექსები არა მხოლოდ ჰანგითა და კილოთი ენათესავება ხალხურ შემოქმედებას, ისინი შთაგონებულია სახალხო გმირის სახითა თუ ძველი პატრიოტული

ლექსით. პირველი ლექსის მიხედვით მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ფრონტელი ვაჟკაცის შვილს პოეტი ანდერძად უდებს, რომ იყოს „გმირი ვით ოძელაშვილი“, მეორე ლექსისა და ხალხური ტექსტის შედარებიდან ჩანს, რომ პოეტს ძველი ლექსის სტრიქონებისათვის ახალი დანიშნულება მიუცია:

ხალხური

ნეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
გალმა-გამოლმა ქალაქი,
შუაზე მეიდნისთანა,
წყალში ფეხი რო უდგია
იმ ოქროს ჩარდახისთანა,
კაცის ხელითა ნაშენი
საყდარი გელათისთანა,
დედის ძუძუთი ნაზარდი
ქეთევან დედოფლისთანა.

გალექსილი

ინჟენერი თუ ხარ განა,
ცოტა არის ამოცანა?
სახლი დადგი იმისთანა,
საუბრობდეს ღრუბლებთანა,
ნეტა რაა იმისთანა,
ამომავალი მზისთანა,
შრომასთან რომ დროშებია
გაერთიანებისთანა.

ვის არ გაუგონია სატრფიალო შაირი:

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყლისა დენამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი
ერთმანეთისა ცქერამა.

ან კიდევ, ისევ სამწევრიანი პარალელიზმით შეკრებილი საგმირო პატრიოტული შაირი:

სიმღერას ბანი ამშვენებს,
ნალკოტსა – ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა – ფარი და ხმალი,
გაილამაზოს კისერი.

ამ სასიმღერო შაირების სტრიქონებს და პოეტურ ხერხებს პოეტმა მისცა ახალი დანიშნულება. ახლებურად გააზრებული ხალხური სიმღერების სტრიქონებით გ. ტაბიძემ მოხდენილად დახატა საქართველოს ერთი წარმტაც კუთხე ღრმად პატრიოტულ ლექსში „ეს მშობლიური ქარია“, ამ ლექსის სტრიქონებია:

დღემ ნისლი შემოიხვია,
გზაც სიარულმა დალია,
ის – ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წინანდალია.

წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას – ვაშლი წითელი,
როგორ რთავს, როგორ აშენებს
აკიდობის მკიდელი.

ყამარისადმი საყვედურით მიმართული მამის სიტყვები თქმულებიდან ამირანის შესახებ – „რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა“ – ახალი შინაარსით არის გამოყენებული დასაწყის და დასასრულ სტროფებში ლექსში „შენ რაღას იტყვი, ყანა?“ ამ ლექსში ხალხური სტრიქონები პოეტის მღელვარე სულს გვაცნობს:

თვალთ ველარას ვხედავ,
გული მოელის დანას,
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას?
... თვალი წაილო სევდამ,
როგორ აჟრჟოლებს ყანას...
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას?

ლექსში „ერთი გავარდნილი კაცი“ წარსულში უსამართლობით სულშეხუთული ადამიანის მწვავე განცდის გამომხატველი სტრიქონები —

მე ხომ ხეებს ვეფარები
ერთი გავარდნილი კაცი.

– გვაგონებს სახალხო გმირის – არსენა ოძელაშვილის – შესახებ შექმნილ მესტირული ლექსის სტრიქონებს:

ერთი გავარდნილი კაცი
ტყეში ეფარება ხესა.

შემთხვევითი არ არის, რომ მეამბოხე გმირის შესახებ ნათქვამი სიტყვებით გამოხატა პოეტმა პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ.

საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილ პატრიოტულ ლექსში „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“ კაპიტალისტური ქვეყნების არმიები დახასიათებულია გამოცანის ფორმით:

ქვეყნად ბევრი არმიაა –
სულ სხვადასხვა ფერია;
ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი,
ზოგან ყორნისფერია.

ამ შემთხვევაში გამოყენებულია ხერხი ხალიჩაზე შექმნილი გამოცანისა:

გამოცანას მოგახსენებთ,
ბევრი არაფერია,
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ,
ზოგან ალისფერია.

მთლიანად ხალხური ხერხითაა აგებული სტრიქონები მინიატურისა „აი, რა მზის სიზმარია“. ლექსის ყოველი სტრიქონი დასაწყისიდან და ბოლოდან ერთნაირად იკითხება, ისევე, როგორც მაგალითად ხალხური: „ატამი ითესა, ასეთი იმატა“.

* * *

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები სასიმღეროდ აიტაცა ხალხმა. ამის მიზეზი ლექსების ღრმა ემოციურობასთან ერთად რითმათა სინარნარე და მომხიბლავი მუსიკოსობაა. ხალხში გავრცელებულია სატრფიალო სიმღერა:

მიყვარს ეთერი,
სულ ვმღერი, ვმღერი,
ჩემთვის ერთია
სულ ყველაფერი.

არის ლექსიდან „სხვა... ყველაფერი“... ოდნავ შეცვლილი სტროფი:

მხიბლავს ეთერი,
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა ყველაფერი
ერთია ჩემთვის.

ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში სამშობლოს სიყვარულის ფაქიზი და სათუთი გრძნობის იშვიათი ოსტატობის გამომხატველი სიმღერა: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“.

ასე მრავალფეროვანია ჩვენი უნიჭიერესი პოეტის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან, რომელსაც იგი სავსებით დაუფულა და ბრწყინვალედ გამოიყენა რეალისტური ხელოვნების ფართო გზაზე გამოსასვლელად.

კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, 1955, IX, გვ. 57-69.

მამია ებრაღიძე

გალაკტიონ ტაბიძე და ძველი ქართული პოეზია

დიდი პოეტის, დიდი ხელოვანის ნიშანდობლივი, დამახასიათებელი თავისებურებაა ჭეშმარიტი ეროვნულობა, რასაც იგი აღწევს მშობლიური პოეზიის, კულტურის შემოქმედებითი ათვისებით, მშობელი ხალხის სულიერი საუნჯის შესისხლხორცებით.

გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ღირსეულად დაიმკვიდრა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი უნიჭიერესი ქართველი პოეტის სახელი, ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია. გ. ტაბიძის შემოქმედებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ეროვნული ლიტერატურის ნოყიერ ნიადაგში. პოეტის ნაწარების შესწავლა თვალსაჩინოს ხდის მის მჭიდრო კავშირს გასული საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებასთანაც. ირკვევა, რომ ძველ ქართულ პოეზიასთან, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსანთან“ ჩვენი პოეტების უშუალო შემოქმედებითი კავშირიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი უეჭვლად ღირსია ყურადღებისა. რით გამოიხატება ეს ნათესაობა, რა ფორმით ვლინდება იგი?

თუ არ ვცდებით, არც ერთი პოეტი, გარდა არჩილისა, რომელმაც რუსთაველისა და თეიმურაზ პირველს მეტად ვრცელი პოემა-გაბაასება მიუძღვნა, თავის მხატვრულ ქმნილებებში არ შეხებია რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეეხო გალაკტიონ ტაბიძე. მთელ რიგ თავის ლექსებში გ. ტაბიძე დიდი პოეტური სითბოთი და ოსტატობით ძერწავს რუსთაველის სახეს, ამასთან იძლევა მისი პოემის უბადლო ღირსებათა მოხდენილ მხატვრულ დახასიათებას. საკმარისია თვალი გადავავლოთ გ. ტაბიძის ისეთ

შესანიშნავ ნაწარმოებებს, როგორცაა: „პოემა ვეფხისა“, „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ის გამოხედვა მზიური“, „ისევ მესხის გამოხედვა“, „ძეგლის გახსნა“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“, „რუსთველი პარიზში“ და სხვა, რომ ადვილად დავრწმუნდებით, თუ რა შთაგონებულად წარმოსახავს პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უკვდავ სახეს.

გარდა იმ ლექსებისა, რომლებიც შოთასადმი საგანგებოდ აქვს მიძღვნილი, გ. ტაბიძე რუსთაველსა და მის პოემას იხსენიებს მრავალ ნაწარმოებში და თითქმის ყოველთვის სხვადასხვა იდეურ-მხატვრული გააზრებით.

სამშობლო ქვეყნის ბუნების პეიზაჟთა ხატვის დროსაც კი გალაკტიონ ტაბიძე შედარებისათვის თუ მეტაფორად რუსთაველის ტრადიციული პორტრეტის ნიშნებს იყენებს. ასე მაგალითად, მცხეთის საყოველთაოდ ცნობილ გორაკს, სადაც ჯვარის მონასტრის ეკლესიაა აშენებული, გ. ტაბიძე შემდეგი საგულისხმო შედარებით ამკობს:

ასულა კორდი, როგორც ქუდი რუსთაველისა.
(„მცხეთიდან“)

მეორე ლექსში ამაყად წამომართული შოდა-კედელას მთის გამოსახატავად პოეტი რუსთაველის პროფილს მიმართავს:

დგება შოდა-კედელას მთა
რუსთაველის პროფილით.
(„ბუხართან“)

რა სახის ზეგავლენა მოუხდენია „ვეფხისტყაოსნის“ გ. ტაბიძის შემოქმედებაზე? თქმა არ უნდა, აქ ლაპარაკია გავლენაზე, როგორც პოეტური მემკვიდრეობის შემოქმედებითს ათვისებაზე; სხვანაირი გავლენა ჭეშმარიტი პოეტის ჩანგმა არც იცის.

ცნობილი ამბავია, თუ რა დიდი ზემოქმედება იქონია რუსთაველმა მთელს მომდევნო ქართულ ლიტერატურაზე უფაქიზესი სიყვარულის, გმირობის, უანგარო ძმობა-მეგობრობისა და პატრიოტიზმის იდეების ბრწყინვალე გამოხატვით. ერთ-ერთ ლექსში („გამბედავო და მაგარო ხელო“) გ. ტაბიძე ამ აზრს ასე გადმოგვცემს:

რა ბრწყინვალედ
გამოხატავს შოთა
სიყვარულის
და გატანის გრძნობას,
მეგობრობას,
რაინდობას, ძმობას,
დაუჭკნობ ჰანგს
იმ გარდასულ დროთა.

„ვეფხისტყაოსნის“ წარმტაცი იდეები ასულდგმულეზდა მთელ ქართულ კლასიკურ მწერლობას საუკუნეთა მანძილზე. მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა შორის გალაკტიონ ტაბიძე გვევლინება ერთ-ერთ შესანიშნავ მესიტყვედ, რომელმაც ახლებურად ააჟღერა ეს იდეები, შთაბერა მათ ახალი შინაარსი. გ. ტაბიძემ ქართული ლიტერატურის საუნჯე გაამდიდრა ამაღლებული სიყვარულის ახალი უჭკნობი სიმღერებით, რომლებიც საუცხოოდ აგრძელებენ რუსთაველისა და ნ. ბარათაშვილის სამიჯნურო პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს. გ. ტაბიძის შემოქმედებაში მძლავრად გაისმის ხალხთა მეგობრობის დიადი საგალობელი, გ. ტაბიძე დიდი პატრიოტია – აქაც არ შეიძლება არ დავინახოთ რუსთაველის ჰუმანისტური ტრადიციების გაგრძელება ახალ ისტორიულ პირობებში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სიახლოვე და ნათესაობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან თავისი სპეციფიკური სახით საძიებელია არა მარტო იდეურ-შინაარსობრივ თუ თემატურ სფეროში, არამედ ფორმის დარგშიც.

არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ გ. ტაბიძის შემოქმედება უაღრესად მდიდარია ლექსიკურად და საერთოდ ენობრივად. რაც მთავარია, იგი მდიდარია მხატვრული გამომსახველობის ხერხებით.

გ. ტაბიძის პოეტიკა შესამჩნევადაა გამდიდრებული ტრადიციული, კერძოდ, ძველ ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელი, კოლორიტული ენობრივი მასალითა და მხატვრული ხერხებით. აქ არ ვგულისხმობთ ძველ, ეგრეთწოდებულ ნარ-თანთან მრავლობითსა და შესიტყვებათა ინვერსიულ წყობას, – ერთსაც და მეორესაც გ. ტაბიძე საკმაოდ ხშირად ხმარობს. მხედველობაში გვაქვს სხვა რიგის ენობრივი მოვლენები, რომლებიც გ. ტაბიძის შემოქმედებაში გვხვდება, ხოლო ადრე კი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო „ვეფხისტყაოსნისთვის“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი შემდგომ, რუსთაველის გავლენით, ძველი ქართული პოეზიის საერთო კუთვნილებადაც ქცეულა.

I. ცალკეული სიტყვები და ლექსიკური ფორმები: შაირი (ლექსის მნიშვნელობით), ამირბარი, სპასალარი, ზენაარი, სახმილი, სოფელი, (ქვეყანა), ხელი (გაგიჟებული), რონინი, ბნედა (დაბნედა), სიშორიშორე (შდრ. შორი-შორი), ჯავარი, ზესთა-ზე, მოკდემო, ფეროვანება, ლალის ბაგე, სანუთროება, ჭმუნვარება, მოყმე, სვლამარდი, ცქერამზიანი; გარე, ლბილი, შვენიერი, შვენება, ნანა (სინანულის მნიშვნ.), განერიდა, გარდამომშვები, ან, ოდეს, განიბნენ, ჩნდა (-ჩანდა), სჩანს (-უჩანს, მიაჩნია), უჩნდეს, ანუ სჩნდეს (-მიაჩნდეს), გარდავიდა, უსულოდ ქმნილი, ამაოდ ქმნილი, დაპყრობილვიქმენ, დღემან, დიდ არს, გმირსა თანა, ზღუდეთა, გზათა თანა, იმა გზით, იმა ხნობით, იმა ხმით, არ სიავით (შდრ. არ ავი), ვერ დამტოველი, ჰხამს, არამგამა, დაშთენილი, შთენილხარ, შთენია, რომელ („რომ“ კავშირის მნიშვნელობით), ესე სიტყვა, ამბავი ესე (შდრ. ესე ამბავი), მოეთინათინა, თინათინებდეს, წარვიდა, განქრა, იუნყა, უფრორე, შორად (-შორს) და ა.შ.

II. გამოთქმები და ფრაზები: უცხო ნალკოტში, ჟამთა სიალმაცერე, ბედის მშვილდები, დაჭრილ ლომივით მიაფენს ფაფარს, მრისხანე ვეფხივით დაკოდილს, ვეფხვის ტყავი, ვეფხისებრი და ბობოქარი, ველად გაჭრას, ხელად რონინს, ბნედა გონის, მედგრად მომმართი, ყოველ სიუხვე-წყალობით, ფერად უცხო და ყნოსვად კეთილი, ჩანგი და ებანი, თვალთა უსივრცო ღამე, თვალთა ისარი, ისრებივით დახრილ წამწამებს, წამწამთა ქოხი; რომელ გმეს ამაოება, არარა ჰგეის უკუნისამდე, აღმოხდეს ბნელით, დაბრუნდეს ველით, ოდეს იყრების ომად ლაშქარი, ჭიხვინებდა შავი მერანი, და როს შავი უცხო მოყმე ვითა მხნედ მისვლას არ მოვერიდე, განვლიე ტვერი, ლტოლვით რბოდა, ნელნი ილტვიან, განილტვენენ ციხის კარები, კარნი განახვენეს და სხვ.

როგორც დავინახეთ, დამონმებული მაგალითები, მცირე გამონაკლისის გარდა, პოეტური არქაიზმებია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ მრავლობითსა და ინვერსიულ წყობას, სხვა ტიპის არქაიზმები, საერთოდ, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში შედარებით იშვიათადაა ნახმარი, თანაც მეტწილად ისინი მოხდენილ პოეტურ სამკაულებად არიან გამოყენებული, გარკვეულ ინტონაციურ-სტილისტურ ფუნქციას ასრულებენ.

ძველი ქართული პოეზიის ტრადიციებთან კავშირისა და ნათესაობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ პოეზიისთვის სპეციფიკური მხატვრული სახეებისა და ხერხების შემოქმედებითი ათვისების მრავალი მაგალითი, რასაც გ. ტაბიძის ნაწარმოებებში ვხვდებით. უპირველესად, აქაც თავს იჩენს „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველმყოფელი გავლენა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს გავლენა ისეთი ნიჭით დაჯილდოებული, უაღრესად თავისთავადი და ორიგინალური ხმის მქონე პოეტის შემოქმედებას, როგორცაა გ. ტაბიძე, ოდნავადაც არ აძლევს მიმბაძველობის, მნივნობრულობის იერს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია და საკმაოდ ბევრისმთქმელი ვეფხვის პოეტური სახე, რომელიც გ. ტაბიძის ერთ-ერთი უსაყვარლესი სახეა და რომელსაც იგი შედარებისთვის ან მეტაფორად მრავალი სხვადასხვა საგნისა თუ მოვლენის თვისებათა გამოსახატავად იყენებს. დავიმონმებ ერთ მაგალითს. როდესაც პოეტს სურს საქართველოს წარმტაცი და მრავალფეროვანი მთა-გორებისა და

ველ-მინდვრების მხატვრული წარმოსახვა, იგი მიმართავს ვეფხვის სახეს, ვეფხვის ტყავს და საუცხოო მეტაფორად იყენებს მას:

დასავლეთიდან აღმოსავლეთით
გადაშლილია ოქროს ტყავები,
სად დაუხოცავთ ამდენი ვეფხვი,
სად აქვთ ამდენი საღებავები?
(„ოქროს ტყავები“)

ვეფხვი გ. ტაბიძის პოეზიაში არის, ერთი მხრივ, მომხიბლავი სიმშვენიერის, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჟკაცური ძალის, სიჩაუქისა და სიკიკისასის, ადამიანური ბუნების ამ ამაღლებულ თვისებათა მხატვრული სიმბოლო. ვინც კი რამდენადმე საფუძვლიანად იცნობს, თუ რა ფუნქციას ასრულებს ვეფხვის პოეტური სახე რუსთაველის პოემაში, გ. ტაბიძის ნაწარმოებთა ამავე თვალსაზრისით გაცნობისას მისთვის ცხადი გახდება, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედებითი გავლენის საინტერესო მომენტთან.

გალაკტიონ ტაბიძის მეტაფორებიც ეხმიანება ხშირად რუსთაველის ტროპებს. არის კონკრეტული მსგავსების რამდენიმე მაგალითიც; შეინიშნება რუსთაველის მეტაფორების პირდაპირი სესხების თითო-ოროლა შემთხვევაც. სახელდობრ, გ. ტაბიძეს გამოყენებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უმშვენიერესი მეტაფორა – „ნამნამთა ქოხი“. რუსთაველი, როცა იგი აღწერს იმ მომაჯადოებელ სილამაზეს ფატმანისას, რომელმაც ავთანდილიც კი აცდუნა, წერს:

ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი **ნამნამთა ქოხისა**.¹

გ. ტაბიძე თავის ერთს, შედარებით ადრინდელ ლექსში („გასაოცარი მისი შვენება“) გვიხატავს ასევე მომაჯადოებელი, ვნებიანი სილამაზის ქალს, რომელიც ცდილობს დაეუფლოს ლომ-ვაჟკაცს, დატკბეს მასთან დროსტარებით, ხოლო საკვირველი მშვენებით შემკული, „ამქვეყნიური დემონის დარი“ თავისი მეტოქე მშრალზე დატოვოს. აი, ამ ქალის შესახებ გვეუბნება გ. ტაბიძე, რომ იყო „პატრონი იგი **ნამნამთა ქოხისა**“.

მეტაფორის სესხებას პოეტი საგანგებოდ უნდა მიმართავდეს, რაკი, ალბათ მას მიაჩნია, რომ ორივე ეს „ნამნამთა ქოხოსანი“ მრავალმხრივ ემსგავსება ერთმანეთს, მსგავსია მოცემული სიტუაციებიც მათი მოქმედებისა.

მხატვრული შედარების სფეროდანაც ამჯერად დავასახელებთ ერთ მაგალითს, სადაც გ. ტაბიძე იყენებს კარგად ცნობილ ძველ შედარებას, მაგრამ იყენებს არა უცვლელად, არამედ ახალი გააზრებით, რაც მთავარია, მისი ძირითადი მომენტის მოხდენილი გაძლიერებით. გ. ტაბიძის ცნობილ ლექსში „დროშები ჩქარა!“ ვკითხულობთ:

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...

რაიმე ძლიერი ნადილით შეპყრობილი ადამიანის შედარება მწყურვალე ირემთან „ვეფხისტყაოსანში“ ორგზის გვხვდება:

გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად.
შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა.

1 კ. ჭიჭინაძე ფიქრობს, რომ მეტაფორა „ნამნამთა ქოხი“ ავთანდილს განეკუთვნება, აქ ავთანდილის ნამნამებზეა ლაპარაკი (ნ. ნიგნში: შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით, 1934 წ., გვ. 295). უნდა ითქვას, რომ ტექსტიდან გარკვევით არ ჩანს, – ვის ამკობს რუსთაველი ამ მეტაფორით: ფატმანს თუ ავთანდილს. საგულისხმოა ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის არ გვხვდება ეპითეტებისა და მეტაფორების დიფერენცირებული ხმარება ქალისა თუ მამაკაცის მიმართ. მიუხედავად ამისა, თუ სტროფის საერთო შთაბეჭდილებიდან გამოვალთ, ვგონებ, საანალიზო ეპითეტი ფატმანს უფრო უნდა მივაკუთვნოთ ვიდრე ავთანდილს.

პროფ. კ. კეკელიძე აღნიშნავს¹, რომ რუსთაველს აქ გამოყენებული აქვს ფსალმუნის შემდეგი გამოთქმა: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყლისათა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“.

ეს შედარება გამოყენებული აქვს დავით გურამიშვილსაც თავის შესანიშნავ პოემა „ქართლის ჭირში“. იმის გადმოსაცემად, თუ რა სულმოუთქმელად ესწრაფებოდა ვახტანგ მეექვსე პეტრე პირველის ნახვას, დ. გურამიშვილი წერს:

ვითარ ირემსა მაშვრალსა
წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის
ხემნიფის ნახვა სუროდა.

არ არის გამორიცხული, რომ დ. გურამიშვილი ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, უშუალოდ ბიბლიას ეყრდნობოდა. მაგრამ აღნიშნული შედარების პირველი გზის გამკაფავი ქართულ პოეზიაში მაინც რუსთაველია. გურამიშვილს ეს შედარება გამდიდრებული აქვს იმით, რომ მისი ირემი დაღლილია, დამაშვრალია („ვითარ ირემსა **მაშვრალსა**“...). გ. ტაბიძეც ამ მიმართულებით ამძაფრებს შედარებას: მისი ირემები დაჭრილია („ვით **დაჭრილ** ირემების...“).

გ. ტაბიძე მიმართავს „ვეფხისტყაოსნის“ პირდაპირ ციტირებასაც. ლექსში „ამზავი ერთი ღამისა“ მთხრობელი პერსონაჟი თავისი ერთ-ერთი თავგადასავლის გრძლად მოყოლის გასამართლებლად მოაგონებს მსმენელთ:

„მოშაირე არა ჰქვიან,
ვერას იტყვის
ვინცა გრძელად“.
სანუკვარი ესე სიტყვა
რუსთაველის მიერ
ითქვა.

ფრაზა „ვნერ ვინმე მესხი მელექსე“, რომელსაც გ. ტაბიძე ამავე სახელწოდების ლექსში შოთა რუსთაველს ათქმევინებს, აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგიდან.

პირველი პირით ალაპარაკებს რუსთაველს გალაკტიონ ტაბიძე ორიოდ ნაწარმოებშიც, რომელთაგან ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“. ავტორი შეგნებულად მიმართავს სტილიზაციას, რაც მოტივირებულია იმით, რომ სტროფების დიდი ნაწილი რუსთაველის ნათქვამითაა წარმოდგენილი. ნაწარმოებში წერის მანერის ერთიანობა რომ არ დარღვეულიყო, პოეტს დასჭირდა დანარჩენი სტროფებიც, რომლებიც ავტორისეულ თხრობას შეიცავენ, რუსთაველურ ყაიდაზე გაეწყო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ აქ მაინც არა გვაქვს სტილიზაცია ჩვეულებრივი გაგებით, ის სტილიზაცია, რომელიც პასიურ მიმბაძველობას გულისხმობს. უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ამ ლექსში გ. ტაბიძე მხატვრული ჩანაფიქრის კარნახით, თემის კარნახით, ცდილობს ზოგადად წარმოსახოს რუსთაველის პოეტური მეტყველების კოლორიტი. ამას იგი ცოტად თუ ბევრად ახერხებს კიდევ სხვადასხვა საშუალებით, რომელთა შორის ერთ-ერთი აუცილებელია რუსთაველური შაირის მეტრი, გადამწყვეტ როლს კი მაინც სულ სხვა ხერხები ასრულებენ, სახელდობრ – „ვეფხისტყაოსნისათვის“ დამახასიათებელი ფორმებისა თუ გამოთქმების მოხდენილად ჩართვა აქა-იქ, რაც გემოვნებითა და ტაქტით არის შესრულებული.

ეს ლექსი საყურადღებოა და საგულისხმო უმთავრესად იმით, რომ მასში ფაქიზი განცდითა და პოეტური უშუალობითაა გამჟღავნებული გალაკტიონ ტაბიძის მგზნებარე, შთაგონებული სიყვარული რუსთაველისადმი. გ. ტაბიძე აქ რუსთაველს გვიხატავს უაღრესად

1 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941 წ., გვ. 203.

დიდბუნებოვან ადამიანად და გულმხურვალე მამულიშვილად, რომელიც უსაზღვროდ ეტრფის სამშობლო ქვეყანას და მზად არის თავი შესწიროს მის კეთილდღეობას. უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პიროვნების ასეთი გახსნა ბუნებრივია და დამაჯერებელი.

სხვა შემთხვევაში გ. ტაბიძის ლექსის შეხმიანება რუსთაველის სახეობთან, რასაც თან ახლავს რამდენიმე ტროპის სესხებაც, გამოუწვევია იმას, რომ შესაქები პირი „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალის სენიანაა და, პოეტის წარმოდგენით, სიმშვენიერთა ცემსგავსება მას. ესაა აფხაზი ასული თინათინი, რომელსაც პოეტი ხოტბას ასხამს აფხაზურადვე დასათაურებულ ლექსში „ჩარდა ამთა“ (ამის ქართული შესატყვისია „მრავალჟამიერი“).¹ დავიმონებ რამდენიმე ტაეპს:

შემკობად თინათინისა ამ სასმისს ვსვამ თამამადა,
ვის მკერდზე გადმოფენია ნაწნავი ცხრა სამ-სამადა...
და წარბ-წამწამი ყველასი არ ღირს მის წარბ-წამწამადა,
სახის კანს სადაფისფერსა მზემ შუქი რამ მიამატა,
ტან-სარო, ალვა ასული, შვენება მარად ჟამადა,
ვინ მზესა სწუნობს, მაგრამ მზე თინათინებდეს მარადა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ გალაკტიონ ტაბიძე შესანიშნავად არის დაუფლებული არაერთ საუცხოო პოეტურ ხერხს, რომლებიც სპეციფიკურად რუსთველური ხერხებია და სხვა – ადრინდელი თუ თანამედროვე – პოეტების შემოქმედებაში მეტად იშვიათად გვხვდება. გ. ტაბიძე ერთ-ერთ ლექსში, სადაც ხოტბას უძღვნის „ოცდაექვსი საუკუნის წინათ“ შექმნილ ქართულ ანბანს, ამბობს:

შენით მღერდა
მომღერალი ვეფხის,
უდარებლად
მცოდნე ლექსის ხერხის.
(„ჰომინი ქართულ ანბანს“)

რუსთაველი – ლექსის ეს უბადლო ოსტატი – იყო და დღესაც არის ქართველი მგონების უდიდესი მოძღვარი. ბევრი რამ შეუთვისებიათ მათ „ვეფხისტყაოსნის“ ამოუწურავი მხატვრული საუნჯიდან: ზოგს – როგორც უდიდლამო მიმბაძველს, ზოგს – როგორც უფრო ნიჭიერ, მაგრამ მაინც მარტოოდენ მოწაფეს, ხოლო ზოგიერთს – როგორც ბრწყინვალე და ტალანტის მქონე ჭეშმარიტ შემოქმედს, საკუთარი ორიგინალობისათვის ოდნავი ჩრდილის მიუყენებლად. გალაკტიონ ტაბიძე სწორედ უკანასკნელთა შედარებით მცირერიცხოვანი ბანაკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მაინც რომელია ეს რუსთველური ხერხები და კონკრეტულად როგორ ვლინდება ისინი გ. ტაბიძის შემოქმედებაში?

I. პარალელიზმები. გალაკტიონ ტაბიძე ჩინებულად ფლობს მხატვრული განმეორების მრავალ ხერხს. ამჯერად ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ერთ მათგანზე, რომელიც სპეციფიკურ-რუსთველურია და რომელსაც პარალელიზმს უწოდებენ. პარალელიზმი პოეტური ხაზგასმის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია და მისი მოხდენილად ხმარება დიდად უწყობს ხელს შთაბეჭდილების გაძლიერებას. არსებობს პარალელიზმთა ორი სახეობა. გ. ტაბიძე მეტ-ნაკლებად ორივე მათგანს იყენებს.

1. დადებითი პარალელიზმები. ისინი გ. ტაბიძის თხზულებებში სინონიმთა განმეორების სახით არიან წარმოდგენილი. მაგალითები:

¹ „ჩარდა ამთა“, როგორც ეს აფხაზურ-ქართული ლექსიკონის ავტორმა ბ. ჯანაშიამ განმარტა, არის სახეცვლილი ფორმა აფხაზური გამოთქმისა – „შარდა აამთა“, რომელიც დასახელებულ ლექსიკონში ასეა ახსნილი: „მრავალჟამიერი (სიმღერა და ამ სიმღერის პირველი სიტყვები)“.

თოვლი იყო **ირიბი, ალმაცერი**; მასზე **წამებას** და მწარე **ჯვარცმას**; რას მიმზადებენ **ჟამნი** და **დრონი**; ო, მიდიან **ჟამნი, დრონი**; რაა **თხოვნა** და **ხვეწილი**? **ველად გაჭრას, ხელად რონინს** ცვლიან შემოდგომანი; მოვლენათა უდიდესთა მძლავრი **ჩანგი** და **ებანი**; იცის, ეს მიწა სავსეა ყოველ **სიუხვე-წყალობით**; მოგონებები ატოკებს... **ლალ-იაგუნდებს**; შრომა **დიადი**, შრომა **საზეო** („საზეო“ აქ „დიადის“ სინონიმადაა ნახმარი); ძალ-**გამეტებით**, ძალ-**გადაკვდომით** ზღვა ხმაურობდა, პასუხად ისმის დიადი ენა – ასე **ლამაზი**, ასე **ქართული** („ქართული აქ გამოყენებულია „ლამაზის“ სინონიმად) და მრავალი სხვ. უკანასკნელ სამ მაგალითში გვხვდება საკუთრივ მხატვრული განმეორების ხერხიც.

ცალკე უნდა აღინიშნოს დადებითი პარალელიზმის ერთი მაგალითი, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს სინონიმთა რუსთველური განმეორების საინტერესო მომენტი. ლექსში „თავისუფალი და ძლიერი ადამიანი“ გ. ტაბიძე ამბობს:

შეუზღუდველად არსებობდეს
ამ **სოფელ-ქვეყნად**
თავისუფალი და ძლიერი
ადამიანი.

ცნობილია, რომ რუსთაველი სინონიმურ წყვილში წმინდა ქართული სიტყვის გვერდით ზოგჯერ ხმარობს ხოლმე იმ დროისათვის უკვე არქაიზმად ქცეულ ქართულსავე სიტყვას, ასე მაგალითად: „ნუ პატრონსა, ნუ უფალსა“. მსგავსი მოვლენა სხვა რომელიმე ქართველ პოეტთან არ შემხვედრია, გარდა გ. ტაბიძიდან დამონმებული ამ ერთი ნიმუშისა – „სოფელ-ქვეყნად“, რომელიც სწორედ ასეთი ტიპის პარალელიზმს წარმოადგენს (სოფელი//ქვეყანა) როგორც ვხედავთ. ამ ტიპის პარალელიზმის აუცილებელი ელემენტია პოეტური არქაიზმი. მაგრამ არქაიზმის გამოყენებას, რაც თანამედროვე პოეზიაში დიდ ზომიერებასა და მხატვრულ ტაქტს მოითხოვს, აქ ის უპირატესობა აქვს, რომ არქაულ სიტყვას, ჩვეულებრივ, უშუალოდ თან ახლავს ყველასათვის გასაგები განმარტება პარალელიზმის სხვა წევრის სახით.

2. უარყოფითი პარალელიზმები. ამ სახეობის პარალელიზმები გაცილებით მეტ მხატვრულ ეფექტს იძლევა, ვიდრე დადებითი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: **სიყვარულით და არ სიავით**; **ჰხამს შეტევა**, არ **დარიდება**; ისევ **სავსეა** შენი თასი, არ **დაგიცლია** და სხვ. ჭეშმარიტად რუსთველური პარალელიზმებია.

თავის ერთ-ერთ ლექსში („კავკასიონის დასაცავად“) გალაკტიონ ტაბიძე იძლევა უარყოფითი და დადებითი პარალელიზმების ჯგუფთა შესანიშნავ შეპირისპირებას:

მძლავრია ჩვენი
მშობლიური
წითელი ჯარი:
არა მონური,
არა მშვიდი,
არა გვიანი,
არამედ **სწრაფი,**
ვეფხისებრი
და **ბობოქარი** —
მასში მღელვარებს
და მოქმედებს
ადამიანი.

II. პარონომაზია. შეიძლებოდა უამრავი პარალელის გავლება რუსთაველსა და გ. ტაბიძეს შორის იშვიათი მუსიკალური ვირტუოზობის, ლექსის არაჩვეულებრივი ამღერების მხრივაც. გალაკტიონ ტაბიძეს საუცხოოდ ემარჯვება ალიტერაციისა და ასონანსის ხერხი. მისი პოეტური ფრაზა მეტწილ შემთხვევაში ხმაშეწყობილად ჟღერს უშუალო, ბუნებრივი

ჟღერადობით. გ. ტაბიძე ჩინებულად იყენებს ეგრეთწოდებულ სიტყვათა ალიტერაციასაც, რასაც სხვანაირად პარონომაზია ჰქვია. ეს ხერხიც უაღრესად სპეციფიკურ-რუსთველური ხერხია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ გ. ტაბიძე მთელს ქართულ პოეზიაში ამ ხერხის უბადლო ოსტატია.¹ „სიტყვათა ალიტერაცია“ გ. ტაბიძის მრავალი ლექსის ძვირფასი სამკაულია. დავიმონმოთ მაგალითები:

1. იით მოაიავებს.
2. იყვავილებენ ეს ყვავილები.
3. და მუდმივი ყვავილობა
დაუმჭკნარი ყვავილობით...
4. კუბოებისთვის მეკუბოვეს ხე აღარ ეყო.
5. ბრალად არ ებრალება.
6. განკიცხულის დალით დაღავს.
7. მიაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური.
8. ზღვა ხმაურობდა ყრუ ხმაურობით.
9. რომელ სინათლით განათდება ზღვათ მწუხარება.
10. მოსინათლობის მზერით ნათელით.
11. იქ მშვენიერი სუნთქვით სუნთქავს მზეთა მაგია.
12. ღრუბლებმა მთები მოათივთიკეს ფერად თივთიკით.
13. ელვამ კვლავ უნდა იელვოს.
14. არის მხარე და მხარეობს.
15. მე არა ერთხელ მინახავს,
თუ როგორ ფერობს ეს ფერი.
16. მაისს დიდ გზაზე დამფარველი
ფრთით ეფარება.
17. ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები,
კარგია თრობა,
და მებრალება მე ჩემი მტრები:
არ ვიცი მტრობა.
18. დროთა თოვლით თოვებული (– ჭაღარით მოსილი).
19. თითქოს დროებით ართმევს დროებას.
20. სივრცეს უცქერის უვრცესს.
21. მოველით, დროო, დღეთა ხშირი
ჰშვენი შვენებით. (მე-20 და 21-ე მაგალითებში გვხვდება ტმესიც, მაგრამ ამაზე – შემდეგ).
22. უძლეველ შრომის
მშვენებით ჰშვენი.
23. აჩალეს ჩალა.
24. ვერ იფარცხა მისმა ფარცხმა.
25. სანგრევს მნგრეველი
რომ აგრე ელის.
26. სად გუგუნებენ ნადურს ნადები.
27. შენით მღეროდა
მომღერალი ვეფხის.
28. სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო,
თუ ასე წარმართი გზით წარემართები.
29. ომმა შეცვალა დარის დარება,
და სხვ. და ა. შ.

უკანასკნელი მაგალითი („დარის დარება“) პარალელს ქმნის „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ფრაზასთან: „დარი არ დარობს დარულად“.

¹ ეს ხერხი შედარებით ხშირადაა გამოყენებული აგრეთვე ხალხურ პოეზიაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძე პარონომაზიის ხერხს განსაკუთრებით ხშირად იყენებს მაჯამური რითმით განწყობილ სტროფებში. მაჯამურ ლექსში – „უცნაური სასახლე“ – პარონომაზიის ზედიზედ სამი მაგალითი გვხვდება: „ფართან ლანდი ფარული“, (ფარისა ფარისებრი), „ველი წამით ნანამებს“ (-წამით წამად ქცეულს), „დასთა უცხო დასობას“.

III. ტმესი. ტმესი (მხატვრული გაკვეთა) პოეტური სინტაქსის ერთ-ერთი ურთულესი ფორმაა. იგი მოითხოვს დიდ დახელოვნებას, დიდ ტაქტს, თორემ მოხდენილად ითქმის, ამა თუ იმ ნიუანსის გაძლიერებისა და ფრაზის ინტონაციური გახაზვის ნაცვლად შეიძლება მივიღოთ პირუკუ შედეგი – გაბუნდოვანება და ზოგჯერ – სრული უაზრობაც კი.

ტმესი უაღრესად სპეციფიკურ-რუსთველური ხერხია. რუსთაველი მხატვრული გაკვეთის უბადლო ოსტატად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ იგი ტმესს მიმართავს არა მარტო წინადადებებში, არამედ ცალკეულ სიტყვებშიაც. პირველის საუცხოო ნიმუშად ითვლება „ვეფხისტყაოსნის“ განთქმული ტაეპი:

მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.

როგორც ვხედავთ, სინტაგმა „შვენება ჰკლევდის“ შუა კვეთს წინადადების ჩვეულებრივ მდინარებას, რომლის მიხედვით გვექნებოდა: მას თინათინის წამწამთა ჯარის შვენება ჰკლევდის. ამ ხერხის გამოყენება პოეტს უადვილებს ტაეპის ჩამოსხმა-გამოჭედვასაც და, რაც მთავარია, დიდ მხატვრულ ეფექტს იძლევა.

გალაკტიონ ტაბიძე ჩინებულად არის დაუფლებული ამ შესანიშნავ რუსთველურ ხერხს¹ დავიმონებ რამდენიმე მაგალითს.

1. მაისის ნაზი მოდის სურნელი.
2. უმშვენიერესს მიმართავს სახელს.
3. ნორჩთა დღეთა გულთმიერი
მთარხევდა წყალს ნიავი.
4. შენი მე სახება დამდეგს თან.
5. ქალმა დამწყევლა ლამაზმა.
6. იქ ან შავი ჩანს ხევები.
7. მოლურჯო მთების
მშვენიერი მოჩანს კალთები.
8. ვერა, ვერ შესძლებს მშობლიური კავკასიონის
მტერი უნდობარ და მსახვრალი ხელის შეხებას!
9. ოდეს მრავალი
სამშობლოს ჩვენსას
ჩაგრავდა ჭირი...
10. რამდენი ჭირი ავდრიანით
გაქრა ამინდით.
11. ნანგრევთა უხმოდ ამეტყველდეს
ენა ხაზების.
12. დღეთა ხელთ იგდეს გასალები.
13. შენ სამამულო
ომის დღეების
თავდადებული
გესმის ხმაური?
14. მზის ამოენთე ბრწყინვად.
15. წინსვლის იმნაირია
სასიცოცხლო ანთება...

¹ მხედველობაში მაქვს ტმესის პირველი სახეობა: ტმესს ცალკეულ სიტყვათა მიმართ ამჟამად აღარავინ იყენებს.

16. ახალს აგებს საქართველო
ბედნიერს და მძლე ცხოვრებას.
17. ხეთა ავარდა წყება.
18. შენს მხოლოდ მწვერვალს
ხრის, უაღერსებს და სხვ.

არ იქნებოდა მართებული გვეთქვა, თითქოს გალაკტიონ ტაბიძე ტმესს ყოველთვის უზადოდ ხმარობდეს. ამ ხერხის გამოყენების დროს გ. ტაბიძის ნაწარმოებებში, თუმცა იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც იჩენს ხოლმე თავს გაბუნდოვანებისა და ორაზროვნების საფრთხე. ამის ორიოდ შემთხვევა ზემოთ დამონმებულ მაგალითებშიაც შეინიშნება. მაგრამ მეტწილად გ. ტაბიძე ტმესის მოხდენილად ხმარების საუცხოო ნიმუშებს იძლევა. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი მაგალითი, სადაც პოეტი მიმართავს ცადანვდილ ევკალიპტს, რომ ქარი „შენს მხოლოდ მწვერვალს ხრის, უაღერსებს“. აქ ტმესის მეშვეობით ფრაზას ლაზათიც ემატება და იგი ახალ შინაარსობრივ ნიუანსსაც იძენს, რაც, პირიქით, ორაზროვნობისათვის ადგილს სრულებით აღარ ტოვებს, მაშინ როდესაც ტმესის გარეშე გვექნებოდა: მხოლოდ შენს მწვერვალს ხრის, უაღერსებს, – რაც შეიძლება ორნაირად იქნეს გაგებული იმისდა მიხედვით, თუ სად დავსვამთ ლოგიკურ მახვილს.

ხშირია შემთხვევა, როცა გ. ტაბიძე ტმესის მომარჯვებით წინადადებას, რომელიც უამისოდ უფერულ პროზაიზმად დარჩებოდა, მომხიბლავ პოეტურ ფრაზად ჩამოაქანდაკებს. სანიმუშოდ მოვიტან ერთ პატარა ნაწყვეტს:

მაგრამ მოვიდა
ერთხელ მგოსანი,
შემოქმედება
აზრს შეუზავა,
ვეფხის დაარქვა
მას **ტყაოსანი**
და საუკუნე
გააუკვდავა.
(„ქალაქი“)

ამით დავამთავრებ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის განხილვის ცდას „ვეფხისტყაოსანთან“ შემოქმედებითი ნათესაობის თვალსაზრისით. რაც შეეხება სხვა ძველ ქართველ პოეტებთან ურთიერთობას, ამჯერად იძულებული ვარ მხოლოდ გაკვირით და ზოგადად შევეხო ამ საკითხს და რამდენიმე კონკრეტული მაგალითით შემოვიფარგლო.

გალაკტიონ ტაბიძის რითმები გამოირჩევიან მოულოდნელობითა და მუსიკალური ჟღერადობით. უამრავი რითმა შესძინა მან მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას. სრულიად არ არის საკვირველი, თუ გალაკტიონის თხზულებებში საკმაოდ ვხვდებით მაჯამურ რითმებსაც.

მაჯამურად გართმული სტროფები მოიპოვება ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნის შესანიშნავ პოეტურ ძეგლებში – შავთელის „აბდულმესიანსა“ და ჩახრუხადის „თამარიანში“. აქა-იქ ბრწყინვალე მაჯამური სტროფებია გაბნეული „ვეფხისტყაოსანში“. მაგრამ მაჯამური რითმების ყველაზე გამოჩენილ ოსტატად მაინც თეიმურაზ პირველი ითვლება. ცნობილია, რომ მაჯამის როგორც ერთ-ერთი სახეობის შემოღებაც თეიმურაზ პირველის სახელთანაა დაკავშირებული. თეიმურაზიდან მოკიდებული ძველ ქართულ ლიტერატურაში მაჯამა განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი პოეტი, დიდით მცირემდე, რომ მაჯამაზე კალამი არ ეცადოს. გასული საუკუნის პოეტებიდან მშვენიერი მაჯამური ლექსები დანერგეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებითად, მაჯამა ძველი ქართული პოეტური ტრადიციაა. ახალი დროის პოეტები მას შედარებით იშვიათად მიმართავდნენ. ამ ძველ ტრადიციას თა-

ვის მხრივ ხარკს უხდის გალაკტიონ ტაბიძეც ორიოდ მოხდენილი მაჯამური ლექსით, ესენია: „უცნაური სასახლე“ და „ქალი ლიმონებში“. ამათგან პირველი გ. ტაბიძის შემოქმედების ადრინდელ პერიოდშია დაწერილი და უმღერის უცხო, ეგზოტიკური სასახლის ეფემერულ მშვენებას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფორმით უდავოდ ვირტუოზული ლექსი მოკლებულია მკაფიოდ გამოკვეთილ შინაარსს და ხელოვნურობის იერიითაა აღბეჭდილი. რაც შეეხება მეორე ლექსს, იგი ლამაზი პეიზაჟის ფონზე გვიხატავს სოციალისტური სოფლის ბედნიერი ცხოვრებით გალალეული ქალის სახეს.

იმ რვა სამეული და რვა წყვილეული მაჯამური რითმების გარდა, რასაც ეს ორი რვა-რვასტროფიანი ლექსი შეიცავს, გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებებში გვხვდება კიდევ რამდენიმე ათეული წყვილი მაჯამური რითმა. ზოგიერთი მათგანი პარალელს პოულობს თეიმურაზ პირველის მაჯამურ რითმებთან, ესენია: ხელი (-გიჟი) // ხელი (ადამიანისა), ისარი (მშვილდისა) // ის არი, მორევია (-მორევი მდინარისა თუ სხვ.) // მორევია (დაუძლევია) და კიდევ ორი-სამი წყვილი, რომლებიც გ. ტაბიძესთან რამდენიმე განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. ზოგსაც პარალელი მოეძებნება თეიმურაზის უწინარეს თუ მომდევნო მწერალთა ნაწარმოებებში. მაგრამ გ. ტაბიძის მაჯამურ რითმათა უმრავლესობა სიახლისა და ორიგინალობის იერიითაა აღბეჭდილი.

მეტწილად გ. ტაბიძის მაჯამური რითმები ნათელია და გამჭვირვალე. მაგრამ აქა-იქ გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ავტორი მაჯამური წყვილის შესადგენად არცთუ ისე მაღლიან პოეტურ ლიცენციას მიმართავს. მაგალითად, ამ მიზნით ერთგან ნაცვლად სიტყვისა „ხვენა“ მას ნახმარი აქვს „ხვენილი“:

რაა თხოვნა და **ხვენილი?**
საქართველო **დახვენილი**
ჩანგის დამფასებელია.
(„აკაკი წერეთელი“)

ერთგანაც სიტყვა „მწუხრი“-ს ადგილას გამოყენებულია „მწუხარება“:

სხვაგან სადაა სიხარული
და **მწუხარება**,
რომელ სინათლით განათდება
ზღვათ **მწუხარება** (-მწუხრი, ბინდი).
(„სხვაგან სადაა“)

მაჯამური რითმისთვის გ. ტაბიძე იყენებს ძველ ქართულ პოეზიაში არაერთგზის ხმარებულ პოეტურ ლიცენციასაც. ლექსში „ჩვენი ჟურნალი“ პოეტი წერს:

სულს როგორც ვნება და როგორც **ნანა**,
ისევე ცეცხლის წყუროდა **ნანა**.

პირველ სტრიქონში აქ ნანა ნახმარია სინანულის მნიშვნელობით, მეორეში კი – იავ-ნა-ნასი. სიტვა „ნანა“ სწორედ სინანულის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ გვხვდება:

1. მე გამაპარეთ, გამიშვებთ, თვარა დავიწყებთ **ნანასა**.
2. ტარიელ ეტყვის: „ნუ იქმთო“, მისცა სიტყვისა **ნანანი**.

გვხვდება იგი სხვა ძველ ქართულ პოეტთა თხზულებებშიც. მაგალითად, არჩილის ზემოხსენებულ პოემაში თეიმურაზი რუსთაველს ბოლმამორეული ეუბნება:

ან შენი მქები უფროა, ბოლო დროს ჰყოფენ **ნანასა**.

ყველა ამის შემდეგ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ მაჯამური სტროფის რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში გალაკტიონ ტაბიძის სხვადასხვა თხზულებათაგან. თუ დავაკვირდებით, აქა-იქ მათში ადვილად შევნიშნავთ ზოგიერთ სხვა მხატვრულ ხერხსაც, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ.

1. ჩამავალი მზის ფერადო **კიდევ**,
ჩემს ხსოვნაში არ დაშლილხარ **კიდევ**.
(„ჩამავალი მზის ფერადო კიდევ“)
2. სალამოვ, ტყეზე **ააბი ბინა**,
შენმა ნიავმა **ააბიბინა**
სოფლის ყანათა გულის **ნადები**,
სად გუგუნებენ ნადურს **ნადები**.
(„სხვა სტრიქონები“)
3. დასთა უცხო **დასობას**,
ხანჯლის გულში **დასობას**.
(„უცნაური სასახლე“)
4. ო, ჩემო რკინაო,
ძნაო **და ულოცა**,
ბედმა საქართველოს
გზები **დაულოცა**.
(„ხრამჭესი“)
5. ჩემთვის იმ ხვამლიდან სხივმა **მოადინა**
(-მოატანა),
შოვიდან ისარმა სხეპა **მოადინა**
(-მიიღო).
(„შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“)
6. რა განძი გვექონია,
რა მხნე, **რა მდიდარი**,
ჟღერს ქვის ჰარმონია –
დარობს **რამდი დარი**.
(„ქებათა-ქება ნიკორწმინდას“)
7. ო, ქალწული მთისა **შორის**
ძვირად ჩნდება კაცთა **შორის**.
(„აკაკი წერეთელი“)
8. ხან აინვეიან
მაღლა-მაღლა,
ხან **ეშვებიან**,
მილივლივებენ,
ახლა ღრუბლებს
არ **ეშვებიან**.
(„დაბრუნება სვანეთში“)
9. შეხედე, **რა ცაა!**
ეს არის **რაცაა!**
(„რა ცაა!“)

დიდ ინტერესს იწვევს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება მეტრული მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არც ერთ ქართველ პოეტს არ გააჩნია სალექსო ზომათა ისეთი სიუხვე, როგორც – მას. გ. ტაბიძის პოეტური მეტრის შესწავლა სპეციალური კვლევა-ძიების საგანია და ამ დარგის დახელოვნებული მკვლევარის თვალს მოითხოვს. მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია ჩვენთვის, სახელდობრ – ის, რომ გალაკტიონ ტაბიძე შემოქმედებითად დაუფლებია ქართული პოეზიის მრავალ საუკეთესო ტრადიციულ სალექსო ზომას და ბრწყინვალედ იყენებს მათ.

საკუთრივ ძველი ქართული პოეტური მეტრებიდან გ. ტაბიძე ყველაზე მეტად შავთელურ-ჩახრუხაულ მეტრს მიმართავს. ასე მაგალითად, ამ მეტრითაა დაწერილი ლექსები: „სალამო ხანად, ისევ იმ ნანად“, „განთიადზე კი“, „გზა ბარსელონის და ვალენსიის“, „ტირიფი“ და სხვ. არაიშვიათად პოეტი ამა თუ იმ სალექსო ზომას ახალი ნიუანსით ამდიდრებს. აქ დასახელებული ლექსებიდან ეს ყველაზე მეტად პირველში იგრძნობა. განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ზოგჯერ გ. ტაბიძე ტრადიციულ მეტრთა ბაზაზე იძლევა ახალ ვარიაციას, ქმნის განსხვავებულ ზომას. ასეთია, მაგალითად, ლექსი „მშფოთარებაში დინჯი“, რომელიც ჩახრუხაული ლექსისაგან იმით განსხვავდება, რომ მის ხუთ-ხუთმარცვლიან ტერფებს ყველგან დამატებული აქვს ორ-ორმარცვლიანი მცირე ტერფები, რაც იწვევს არსებითად განსხვავებულ ჟღერადობას.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ცხადყოფს, რომ კლასიკური ქართული ლექსის ტრადიციული ზომები ის მყარი, უხვი და მრავალფეროვანი ბაზაა, რომელზე დაყრდნობითაც გ. ტაბიძეს შემოქმედებითად განუვითარებია და გაუმდიდრებია ეროვნული პოეზიის მეტრული საუნჯეც.

რუსთაველის შემდეგ ძველი ქართული პოეტებიდან გალაკტიონ ტაბიძე ყველაზე მეტად დავით გურამიშვილის მოტრფიალედ და თაყვანისმცემელია. ეს კარგად ჩანს გ. ტაბიძის ლექსში – „თენდება, გათენდა“. ამჯერად მინდა მივუთითო დ. გურამიშვილისადმი გ. ტაბიძის დამოკიდებულების ერთ თავისებურ მომენტზე.

ერთხანად, შავი რეაქციის მძვინვარე წლებში, როცა ჩვენს ლიტერატურაში დაცემულობის განწყობილება და დაბნეულობა სუფევდა, როგორც ჩანს, გალაკტიონ ტაბიძე გატაცებული უნდა ყოფილიყო დავით გურამიშვილის სარწმუნოებრივი ხასიათის ლექსებითაც. გ. ტაბიძის რამდენიმე ადრინდელ ლექსში, რომლებიც მისტიკური იერითაა აღბეჭდილი, შესამჩნევია დ. გურამიშვილის ბიბლიურ-საქრისტიანო თემაზე დაწერილ ლექსთა გავლენის კვალი. გ. ტაბიძის ერთ-ერთი სამიჯნურო თემაზე დაწერილი ლექსი კი („ათი ქალწული“), რომელიც არქაულ-საეკლესიო სტილით რამდენიმე ძველ ქართულ საგალობლებსაც მოგვაგონებს, თავისი „საღვთო ტრფიალების“ მოტივით უახლოვდება დ. გურამიშვილის ამავე ხასიათის ნაწარმოებთ. მომდევნო პერიოდში, ბუნებრივია, გ. ტაბიძე დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების სხვა პროგრესული მხარეებით არის გატაცებული.

გ. ტაბიძის ორიოდ ლექსში – „მივალ, გადავკოცნი ჩემსა მთვარესა“ და „ქალმა დამწყევლა ლამაზმა“ – ჩვენ ვპოულობთ ბესიკის სატრფიალო ლირიკის ერთგვარ გამოძახილს. ამათგან პირველი მხოლოდ საერთო განწყობილებითა და ზოგიერთი გამოთქმით ენათესავება ბესიკს, ხოლო რაც შეეხება მეორეს, მისი დაბოლოება საოცრად ჰგავს ბესიკის განთქმული ლექსის – „დედოფალს ანაზედ“ – სტრიქონებს. გ. ტაბიძე წერს:

ქალმა დამწყევლა ლამაზმა
მხურვალე ლალის ბაგეთი,
ღმერთმა ვერ მითხრას ათასმა
რა ჩავიდინე აგეთი.
მაგრამ, იმ წყევლამ როგორ სთქვას,
გული სიცოცხლით დანამა,
თუ ვინმემ გული მომიკლას,
ისევე იმისთანამა.

ბესიკის დასახელებულ ლექსში ვკითხულობთ:

ცნობა მიმილო და გული
ხედვით შემზღუდა ანამან;
კვლავ მომკლა მისმან ციალმან
და ნელთა მიმოტანამან;
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპკურა ცრემლი, ანამა.
**ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური,
ან მოკლას ამისთანამან!**

ბესიკს ამ სტროფისათვის შეუთხზავს ერთგვარი ვარიაცია, სადაც ვარიაციულადვე მეორდება ჩვენთვის საინტერესო ბოლო ორი სტრიქონიც:

თქმულია ძველად: ვინც იყოს ხელად,
ეტრფე და მოგკლას ამისთანამან!

აქ ერთი გარემოებაც იქცევს ჩვენს ყურადღებას. ლექსის ავტორი აცხადებს: რასაც მე ვამბობ, ეს ძველთაგანვე თქმულია. ვინ იცის ბესიკსა და გალაკტიონ ტაბიძეს ამ შემთხვევაში იქნებ ერთი საერთო წყაროდანაც კი ესარგებლოთ, სახელდობრ, მოარული ხალხური ხატოვანი თქმიდან.

ძველ ქართულ პოეზიასთან გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულების შესახებ მსჯელობა მინდა დავასრულო შემდეგი ზოგადი ხასიათის შენიშვნით, რომელიც გ. ტაბიძის თითქმის ყველა დღემდე გამოქვეყნებული ნაწარმოების დანვრილებით გაცნობას ემყარება. საქმე ისაა, რომ გ. ტაბიძის შემოქმედება, სახელდობრ, მისი პოეტური სტილი, რომელიც ადრითგანვე გამოირჩეოდა ერთსა და იმავე დროს ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებთან მჭიდრო კავშირითაც და თავისთავადობითაც, ჟამთა ვითარებაში სულ უფრო დახვეწილი და ბუნებრივი ხდებოდა, სულ უფრო მეტ ორიგინალობას იძენდა. განსაკუთრებით საყურადღებო აქ ისაა, რომ გ. ტაბიძის პოეტური ზრდისა და სრულყოფის ეს პროცესი მიმდინარეობდა არა აღნიშნული ტრადიციებისათვის ზურგმუქცევისა და მათთან დაშორების გზით, არამედ, პირიქით, – ამ ტრადიციებთან შემოქმედებითი კავშირის თანდათან გაღრმავებისა და განვითარების გზით.

გალაკტიონ ტაბიძე მრავალსაუკუნოვანი და ბრწყინვალე ქართული პოეზიის ღირსეული მემკვიდრეა. უფრო მეტიც, თვითონ გ. ტაბიძეს უკვე დიდი ხანია გამოუჩნდნენ ნიჭიერი მიმდევრები. გ. ტაბიძემ მკითხველის სიყვარული მოიხვეჭა თავისი ჭეშმარიტად სახალხო შემოქმედის ჩანგით, რომლის მგრძნობიარე და თან ვაჟკაცური ლირიკული ჟღერა ეშხსა და სიმშვენიერეს მატებს ქართული პოეზიის ოსტატთა მრავალხმიან ორკესტრს.

ჟურნ. „მნათობი“, 1955, № 9, გვ. 168-176.

დიმიტრი ბენაშვილი

ფილოსოფიური მოტივები გალაკტიონის შემოქმედებაში

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, ერთი მხრით, მემკვიდრეა თხუთმეტსაუკუნოვანი, მდიდარი ქართული ლიტერატურისა და, მეორე მხრით, მისი განვითარების ახალი ეტაპია არა მარტო მხატვრული იდეების, არამედ მხატვრული ფორმების განვითარების თვალსაზრისით.

ამ დებულებას ბრწყინვალედ ადასტურებს გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკა. ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული გააზრება გალაკტიონისა ეხმიანება

ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკას. მაგრამ გალაქტიონი ამ სფეროში რჩება უაღრესად ორიგინალურ, თვითმყოფ პოეტად. მის შემოქმედებაში ღრმად იჭრება ახალი დროის (ე. ი. მე-20 საუკუნის) პრობლემატიკა, მისი იდეები და წარმოსახვის მხატვრული ფორმები პრინციპულად განსხვავდება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური პრობლემატიკისაგან. მაგრამ ისინი ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ სინამდვილის ფილოსოფიური აღქმისა და ადამიანის უმაღლესი სულიერი ინტერესების გაგებაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაქტიონ ტაბიძე სხვადასხვა ეპოქის შვილები არიან, მაგრამ სულიერად მონათესავენი. სულიერი ნათესაობა კი ყველაზე დიდი ფაქტორია მხატვრულ შემოქმედებაში.

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა განაპირობა ეროვნულმა კატასტროფამ და ამ კატასტროფის ნიადაგზე წარმოშობილმა ადამიანურმა ტრაგედიამ, გალაქტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკა, ერთი მხრით, შედეგია პირველი რევოლუციის დამარცხებისა, ხოლო მეორე მხრით, – მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების მიერ მწვავედ დასმული „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიური პრობლემატიკისა. ამით განსხვავდება გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკისაგან. ეს განსხვავება ერთნაირი ძალით ეხება არა მარტო პოეტურ იდეებს, არამედ მხატვრულ ფორმასაც. მაგრამ სინამდვილის მხატვრული აღქმის ასპექტში ისინი რომელიღაც ნერტილში ერთმანეთს ხვდებიან. ადამიანის უღრმესი სულიერი ინტერესების ემოციურ მსოფლშეგრძნებაში, მის ფილოსოფიურ განჭვრეტაში გალაქტიონი სადღაც სულიერ ნათესაობას ამყარებს ნიკო ბარათაშვილთან.

გალაქტიონის ლირიზმი აღსავსეა ემოციით. მისი ლექსის მუსიკალური პულსი მძაფრია და მკითხველს ყოველთვის ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას. მაგრამ ეს თვისება როდი იყო მარტოდენ მისი ინდივიდუალური ნიშანი. ამაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი ვითარება. მაგრამ სინამდვილესთან დამოკიდებულების დროს დიდი პოეტი თავის უმაღლეს ამოცანას მხოლოდ მაშინ სწყვეტს, როდესაც ადამიანის უღრმეს სულიერ ინტერესებს შესატყვისი ფორმის მეშვეობით რეალური არსებობის უფლებას ანიჭებს.

თავისთავად ამ ამოცანის გადანყვეტა ურთულესი პრობლემაა და პოეტისაგან მოითხოვს არა მარტო შემოქმედებითი წარმოსახვის უდიდეს უნარსა და ცხოველმყოფელ ფანტაზიას, არამედ – ცხოვრების ყოველმხრივ ცოდნას, ადამიანის სულიერი ვითარების, მისი ფიქრებისა და ვნების გაგებას. მხოლოდ ამგვარი ცოდნით შეიძლება შინაარსში ჩაძირვა და ხელოვნებითი მშვენიერების შექმნა. ამ გზით პოეტი უახლოვდება ჭეშმარიტ იდეალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ადამიანის სულის უმაღლესი ინტერესების გაცნობიერებას გრძნობად ფორმაში.

ამრიგად, ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და სინამდვილის ფილოსოფიური გააზრება და მისი მხატვრული გადანყვეტა პოეტისაგან მოითხოვს არა მარტო პოეტურ გენიას, არამედ – თვით სიცოცხლის მიზნის დაფიქრებულ განსჯას.

„ყოფნა-არყოფნის“ მარადიული პრობლემის მხატვრულ-ფილოსოფიური გადანყვეტა პოეტის წინაშე ბუნებრივად აყენებდა კითხვას: რისთვის დავიბადეთ და რა არის სიცოცხლის მიზანი? ეს კითხვა უფრო მძაფრ ფორმაში ვლინდებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც სოციალური კატასტროფის შედეგად ადამიანი იმსჯვალეობდა ფილოსოფიური სევდით. ამ დილემის წინაშე დადგა გალაქტიონი პირველი რევოლუციის შემდეგ.

* * *

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში, სადაც ყველაზე ღრმად იგრძნობა არა მარტო სევდიანი კილო, არამედ სინამდვილის ფართო მხატვრული შემეცნება, გამოირჩევა ლექსი „სანთლები“, რომელიც შეესიტყვება პოეტის შემოქმედების პირველი პერიოდის ლეიტმოტივს. ანთებული სანთლების სახით გალაქტიონს სიმბოლურად წარმოდგენილი აქვს საკუთარი იდეალები, რომლებიც გაჩნდნენ სიჭაბუკის გაზაფხულზე. ბობოქარი ზღვა ხელს უშლის პოეტს იდეალებთან მიახლოებაში. ასე სცილდება ერთმანეთს ოცნება და სინამდვილე, რომლის

მხატვრული გააზრება შემოქმედში აღძრავს სევდას. ასე ანადგურებდა არაგონიერი სინამდვილე ნათელ იდეალებს, რომლისკენაც მიისწრაფოდა პოეტი მთელი თავისი შეგნებით:

მას აქეთია, იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია, სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს,
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს.

იბადება კითხვა: ვინ არის მართალი ამ ჭიდილში? დოგმატური თვალსაზრისით (რომელიც ვულგარული სოციოლოგიის პირმშოს წარმოადგენს), სინამდვილის უარყოფა პოეტის მიერ თვით პოეტის სისუსტეზე მიგვითითებს თითქოს. ამგვარი თვალსაზრისი შემცდარია, რადგან ყოველი სინამდვილის მიღება როდი ითვლება პოეტის ღირსებად. ამიტომ, სრულიად ლოგიკურად, გალაქტიონმა არ მიიღო ის სინამდვილე, სადაც ბატონობდა სისხლი და ცრემლი, ციმბირი და სახრჩობელა, სადაც ადამიანის უფლება ფეხქვეშ იყო გათელილი. ამგვარი სინამდვილის უარყოფა პოეტის კეთილშობილებაზე მიგვითითებს.

ამრიგად, პოეტის სინამდვილესთან დამოკიდებულების ანალიზის დროს მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ კითხვა: როგორია თვითონ სინამდვილე, რომელთანაც შემოქმედი ამყარებს გარკვეულ დამოკიდებულებას? გონიერია იგი თუ არაგონიერი? ღირსია იგი იმისა, რომ პოეტმა მოხვიოს ხელი და გულში ჩაიკრას, როგორც საკუთარი სულის ნაწილი, თუ ხელი ჰკრას მას და ბრძოლა გამოუცხადოს?

სინამდვილე, რომელმაც გალაქტიონს სიჭაბუკის იდეალები დაუმსხვრია და თვით პოეტი სადღაც სანაპიროზე გარიყა უსახოდ მიტოვებული, ვერ გახდებოდა გალაქტიონის ტრფობის საგანი. სამაგიეროდ იმავე მკაცრმა სინამდვილემ, დამსხვრეული ოცნებებისა და იდეალების ნიადაგზე, პოეტის სულში წარმოშვა ღრმა სევდა. მაგრამ გალაქტიონის სევდა იმანენტურად ატარებდა საზოგადოებრივ ხასიათს. პოეტის სევდას საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდა მისი ისტორიული აუცილებლობის ნიადაგზე. ამრიგად, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სევდა გალაქტიონის პოეტურ სულში მონოლითურად გაერთიანდა და სრულიად ახალი ასპექტით გაშუქდა ადამიანის ხვედრი მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების მიჯნაზე.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. როდესაც საუბარია ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ სევდის მთლიანობაზე, სრულიადაც არ ნიშნავს მათ იმგვარ შერწყმას, როდესაც იკარგება პიროვნული, პირიქით, გალაქტიონის ფილოსოფიურ პოეზიაში საზოგადოებრივი წარმოდგენილია ინდივიდუალური ასპექტით.

ამ ასპექტით არის განათებული გალაქტიონის „ლურჯა ცხენები“. ლურჯა ცხენების ფლოკების ხმაურში ჩვენ გვესმის გალაქტიონის ძახილი სულიერი განახლებისა. აქ ფსიქოლოგიური ტკივილი ძვლებამდეა დასული. ჩვენ ვგრძნობთ ამ ტკივილს, რომელსაც ინვეს ცივი და მიუსაფარი მდუმარება. პოეტის წარმოსახვაში ჩამავალი მზით ნაფერი „ნისლის ნამქერი“ აელვარებდა სამუდამო მხარის ნაპირს, სადაც:

არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა.

ამ ასპექტში ბუნებრივად იბადება კითხვა: ჩვენი ხალხის კოსმოგონიური შეხედულება ხომ არ არის წარმოსახული „ლურჯა ცხენების“ საწყის სტრიქონებში? იქნებ გალაქტიონი აქ გულისხმობს „მკვდრის მზეს“, რომელიც მხოლოდ „მიცვალებულთა სამყაროს“ ანათებს?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მეორე კითხვაც უნდა დაისვას. რას გულისხმობს პოეტი „სამუდამო მხარეში“? ბიბლიის მიხედვით, „სამუდამო მხარე“ ეწოდება „სულთა სამყოფელს“, სადაც ადამიანი გათავისუფლებულია ყოველგვარი მინიერი ინტერესებისგან, ე. ი. ყოველივე იმისგან, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს და სიცოცხლეს ანიჭებს.

გალაქტიონი თუ „ლურჯა ცხენების“ დასაწყის სტრიქონებში ემოციურად წარმოგვისახავს ჩვენი ხალხის კოსმოგონიურ წარმოდგენებს „მკვდრის მზეზე“ და მისგან განათებულ „მიცვალბულთა სამყაროზე“, რომელსაც პოეტი ალეგორიულად „სამუდამო მხარეს“ უწოდებს, მომდევნო სტროფებში გაცოცხლებულია ბიბლიური ლეგენდა „სულთა სამყოფელის“ შესახებ, სადაც მხოლოდ სიმწუხარე მეფობს:

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალელებში, ნევხარ ცივ სამარეში,
ნევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!

თითქოს აპოკალიპსისებური წინასწარი ხილვითაა მოცემული სიკვდილ-სიცოცხლის შერკინება. გალაქტიონი თავისი მწუხარე თვალეებით ხედავს მკვდრის მზერით განათებულ საფლავებს, სადაც სიცოცხლის ნაცვლად დარჩენილა ფერფლი და ნაცარი. ამ მწუხარე ხილვის ჟამს ლურჯა ცხენები, რომლებიც ლექსში წარმოდგენილია, როგორც მარადიული სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე, თავიანთი ფლოქეების ხმაურით იჭრებიან სიკვდილის საბრძანებელში.

სიზმრიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩვენთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება.
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში,
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

ამრიგად, თუ ლექსის დასაწყისში უღრმესი მწუხარებით აღსავსე პოეტი წარმოგვისახავს „სულთა ადგილსამყოფელს“, სადაც არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს სიცოცხლისა და მხოლოდ „სიჩუმისა და მდუმარების“ ღმერთი მბრძანებლობს, მეორე ნაწილში ამ სიჩუმისა და მდუმარების სამფლობელოში შემოიჭრებიან ლურჯა ცხენები, როგორც სიცოცხლის მახარობლები. სიცოცხლისადმი სიყვარულის ლეიტმოტივი იგრძნობა ლექსის არა მარტო რიტმში, არამედ ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში.

სიცოცხლისადმი სიყვარულის აპოლოგიაა ლექსის ფინალი.

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარა გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.

როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის „მერანი“, ასევე გალაქტიონისათვის „ლურჯა ცხენები“ სიმბოლოა ბედთან ჭიდილისა.

მერანისა და ლურჯა ცხენების ექსპრესიულ დინებაში ჩვენ ვგრძნობთ სინამდვილის უარყოფას და ახალი სინამდვილისკენ მისწრაფებას. ამ ძიების დროს ისინი მზად არიან გასწირონ საკუთარი სიცოცხლეც კი, რომელიც ერთხელ ეძლევა ადამიანს ბუნებისაგან და ერთხელვე ართმევს იგივე ბუნებას. მათ ჭენებას არ აქვს საზღვარი, რადგანაც თავათ

ბუნებაც დაუბოლოვებელია და უსაზღვრო. ნ. ბარათაშვილსა და გალაქტიონს ერთი მიზანი ასულდგუმელებს – ეს არის ჭეშმარიტების მუდმივი ძიება. მათში სევდას აღძრავს არა იმის შეგნება, რომ ჭეშმარიტების ძიება ამაოა, საერთოდ, როგორც ეს ეჩვენებოდა ლეოპარდისა და შატობრიანს, არამედ ის გარემოება, რომ მას ვერ ნახულობდნენ იმ სინამდვილეში, რომელშიც უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ ნიადაგზე ანმყოს უარყოფენ მომავლის სახელით. ორივეს სწამს, რომ მერანისა და ლურჯა ცხენების ნაკვალევი მომავალ თაობას გაუადვილებს გზაზე სიარულს. ამ შეგნებით შედიან ისინი საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში და იმსჭვალებიან იმავე ინტერესებით.

თუ გონების თვალით დავაკვირდებით „მერანსა“ და „ლურჯა ცხენებს“, დავინახავთ, რომ მათ აქვთ არა მარტო საერთო, არამედ განსხვავებული პოეტური ასპექტი. ბარათაშვილის „მერანში“ სჭარბობს ეპიკური სანყისი, ხოლო გალაქტიონის „ლურჯა ცხენებში“ – ლირიკული. ბარათაშვილის რიტმი მღელვარეა და ქარიშხალის ასოციაციებს იწვევს, გალაქტიონის რიტმი თრთის და ნიავევით ეაღერსება ადამიანის სულს.

ამრიგად, ლექსის შინაგან არქიტექტონიკაშიც მკვეთრად ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაქტიონ ტაბიძე სხვადასხვა ეპოქის შვილები იყვნენ და სხვადასხვა დროის ბეჭედი ამჩნევია მათ შემოქმედებას. ისინი განსხვავდებიან სამწერლო პრობლემატიკითაც. მაგრამ მათ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აქვთ რაღაც საერთო, სულიერი ნათესაობა, რომელიც მკვეთრად გამოჩნდა „მერანში“ და „ლურჯა ცხენებში“.

* * *

დიდი პოეტის ყოველ ლექსს აქვს თავისი ისტორია. მკითხველმა ყოველთვის როდი იცის ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შექმნის მიზეზები. ყოველთვის არ არის მართალი მოსაზრება, რომ მიზეზის შესახებ თვით ლექსი უნდა იძლეოდეს შესაფერის წყაროებს. მეცნიერული ფსიქოლოგია დაგვიმონმებს ფაქტს, რომ ხშირად პოეტში შთაგონებას აღძრავს ისეთი ფაქტორი, რომელიც პოეტური განზოგადების შედეგად, ლექსში სრულიად კარგავს თავის პირვანდელ ფორმას. ეს თვისება ყველაზე მეტად ჩანს ფილოსოფიური ხასიათის ლექსებში.

გალაქტიონის „ორი ზარი“ დაწერილია რეაქციის პერიოდში დაღუპული მეგობრების სახსოვრად. მაგრამ პოეტური განზოგადების შედეგად შთაგონების პირველი წყარო ისე გადადნა გრძნობად ფორმაში და იმგვარ პრობლემატიკის არეში შეიჭრა, რომ სრულიად დაკარგა პირველადი, კონკრეტული მნიშვნელობა. ეს არის ერთადერთი ლოგიკური გზა ჭეშმარიტი შემოქმედებისა.

ამ ლექსის ლირიკული გმირი ღამით მიდის სასაფლაოზე, რათა ინახულოს ძველი ტაძარი. ტაძრის ხილვამ მასში აღძრა სამრეკლოზე ასვლისა და ზარის დარეკვის სურვილი. ზარების ხმაზე ლირიკული გმირი განიმსჭვალა რაღაც უცნაური პათოსით, რომელიც სიცოცხლესთან იყო დაკავშირებული. ზარების გუგუნით მას სურდა მიცვალებულთა გაღვიძება:

მსურდა, რომ ყველას გაღვიძებოდა,
ვისაც სძინავდა ცივ სამარეში.
ვინაც მიყვარდა, ან პატივს ვცემდი,
ჩემს განუსაზღვრელ სიმწუხარეში.
რომელთაც სწამდათ ქვეყნად სიცოცხლე
და დღეს საფლავის ფარავდა ლოდი,
მათ მოუხმობდი სასონარკვეთით,
ზარის მწარე ხმით მათ ვეძახოდი...

პოეტი შეაშფოთა მეორე ზარის ხმამ, რომელიც ქვესკნელიდან ისმოდა. ეს უკანასკნელი მოუწოდებდა სააქაოში მყოფ ადამიანებს, რათა საიქიოში ეძებნათ სამუდამო ნავთსაყუდარი:

და, ქვესკნელიდან თითქო იმავ დროს
მიცვალეზულთა რეკავდა ზარი
და ეძახოდა მათ, ვინც აქ დარჩათ
მათ, რომელთ სწამდათ ყოფნის ზღაპარი.
კუბოს ფიცარზე ძვლების რახუნით,
მკვდართა გუგუნით თრთოდა ქვესკნელი,
შეერევოდა ცოცხალთ ძახილი
და მკვდართა მოდგმა უკანასკნელი.

პოეტის ემოციაში, ორი ზარის სახით, ცოცხალთა და მიცვალეზულთა დუელი წარმოსახულია, როგორც რეალური სინამდვილის უკუფენა:

და ორი ზარი საბედისწერო
ერთმანეთისთვის მიუწვდომელი,
დაცინვა იყო, ვით ორი სული,
ვით ის ქვეყანა და ეს სოფელი.
და დიდხანს, დიდხანს ვუსმენდი გუგუნს,
და დიდხანს დიდხანს ზარი ჰგოდებდა...
მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი,
მათ, ვინც ამაოდ მომინოდებდა.

ჩვენ მიერ განხილულ ლექსში გალაქტიონი არ დგას პანთეისტურ თვალსაზრისზე სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის მხატვრული წარმოსახვის დროს. გალაქტიონისთვის სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებებია. იქ, სადაც სიცოცხლე ბრძანებლობს, სიკვდილის ცნებაც გამქრალია. ხოლო სადაც სიკვდილი მეფობს, სიცოცხლე განდევნილია. ლექსის ქვეტექსტში, კერძოდ, იქ, სადაც საუბარია სიცოცხლეზე, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, გალაქტიონი, წინააღმდეგ პანთეიზმისა, გრძნობს, რომ სიცოცხლე იმანენტურად თავისთავში ატარებს სიკვდილის ჩანასახს, რომელიც დროთა სვლაში, კონკრეტულად (და არა საერთოდ) სძლევს მას. გალაქტიონის სევდაც ამ ობიექტური კანონზომიერებების შეცნობის შედეგია.

სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი ჭიდილი, ამ ორი ფენომენის ბრძოლა სიცოცხლისადმი სიყვარულით განმსჭვალავს პოეტს, ჩვენ აზრს ადასტურებს „ორი ზარის“ ბოლოს სტრიქონები:

მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი,
მათ ვინც ამაოდ მომინოდებდა.

სიცოცხლე საბოლოოდ მაინც ძლევს სიკვდილს. ასეთია გალაქტიონის აზრი.

გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკიდან ყველაზე ტრაგიკულად ჟღერს ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. ამ ტრაგიკულმა ტონმა ქართულ სალიტერატურო კრიტიკას მისცა საბაზი მის უარსაყოფად. თუმცა სუბიექტურად ყველა გრძნობდა, რომ ამ ლექსის სახით გალაქტიონმა გვაჩვენა საკუთარი გულის ტკივილი, პოეზიის მაღალი მხატვრული ფორმა და უნაზესი ემოცია.

გალაქტიონის ღრმა სევდამ მთელი სიმძაფრით ამ ლექსში გამოამჟღავნა თავისი ხასიათი. მაგრამ პოეტის მიერ სინამდვილის ამგვარ წარმოსახვას უეჭველად ჰქონდა მიზეზი. ჩვენ ასეთ სინამდვილეს არაგონიერი ვუწოდებთ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს გალაქტიონის სევდიანი კილო, რომელიც ლოცვის ფორმას ატარებს.

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

ლექსი წმინდა ეროვნულ ელფერს ატარებს. ამიტომ რაიმე რემინისცენციები ამ ლექსში გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. რითმაც „სილაჟვარდე“ და „სილაში ვარდი“ პოეტური აღმოჩენაა.

მაგრამ ჩვენთვის ამ ლექსის ანალიზის დროს უპირველესი მნიშვნელობა აქვს პოეტის სულიერი ცხოვრების ცნებების ენაზე ახსნას.

დღიურ ჭირვარამით დაღლილი და დათენთილი პოეტი შუალამის ჟამს მიდის ღვთისმშობლის ხატთან, რათა აღავლინოს ლოცვანი. მაგრამ აქ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ხატთან დამხობილი პოეტის ხმაში ისმის არა ვედრება, არამედ საყვედური ქვეყნის უკუღმართობის გამო. გალაქტიონი ამხელს თვით ღმერთს, როგორც ბოროტების წყაროს. ამიტომ მიმართავს უზენაესს:

და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბალით!
შეხედე! დატკბი ყმანვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!
სად არის ჩემი სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული.
და როცა ბედით დაწყველილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!

არ ვიცი, რატომ ხედავდა ქართული სალიტერატურო კრიტიკა ამ ლექსში სარწმუნოებრივ აღმსარებლობას და რატომ მიაჩნდა იგი რელიგიის აპოლოგიად?! გონების თვალთუ შვეხედავთ ჭეშმარიტი ხელოვნების ამ ბრწყინვალე ნიმუშს, განსაკუთრებით თუ შევიცნობთ მის ქვეტექსტს, ჩვენ იქ შევიგრძნობთ გალაქტიონის ბოზოქარ, მაგრამ ნათელ პოეტურ სულს, რომელიც ჭეშმარიტების სიყვარულის გამო ერკინება თვით უზენაესსაც კი.

ბოროტებას, რომელიც შემოეჭდო მგოსნის სულს და რომელიც არაგონიერ სინამდვილეში ბატონობდა, როგორც უხეში ძალა, გალაქტიონი მიანერს უზენაესის ნებას. ამიტომ გმობს მას. პოეტისათვის ერთად-ერთ მიმზიდველ სახეს წარმოადგენს მაცხოვრის მშობელი – მარიამი და იგი პოეტურ ასოციაციებში ცოცხლდება როგორც დედა, როგორც ქალი, როგორც რეალური პიროვნება.

ამიტომ რეფრენის სახით ლექსის ფინალში კვლავ მეორდება მარიამის სახე, როგორც დედის სინონიმი:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

სუფთა, აუმღვრეველი, გამჭვირვალე ფერებით ქსოვს გალაქტიონი მხატვრულ სახეებს! შუქისა და ჩრდილის საზღვართან დგას პოეტი და მათი შეხამების ფონზე წარმოსახავს ადამიანის სულს ადამიანური ვნებებით, სიხარულითა და სიმწუხარით.

* * *

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დროისა და სივრცის მხატვრულ შეგრძნებას. დროისა და სივრცის პრობლემატიკაზე დანერლი ლექსების ციკლიდან ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გალაქტიონის ლექსი „რომელი საათია?“ აქ საქმე მარტო სიტყვათა დამთხვევაში როდია! არამედ იმ სულიერ განწყობილებაში, რომელსაც

წარმოშობს დროისა და სივრცის შეგრძნება. ამ შეგრძნების დროს გალაქტიონი გულგრილი ვერ დარჩებოდა მეცნიერებით, თუ ყველაფერს წარმავლობის ბეჭედი აზის, მაშინ სად განისვენოს სულმა, ვის წინაშე მოიდრიკოს მუხლი? აი, რა აწვალებს გალაქტიონს. დრო და სივრცე დავინწყების უფსკრულში მარხავს ყოველივეს, ვის წინაშეც თაყვანისცემა და აღტაცება შეგვეძლო. შემოქმედს არ შეუძლია გულგრილად შეხედოს სიცოცხლის დაღუპვას. რაკი მშვენიერი აუცილებლობის ლოგიკით დროსა და სივრცეში ნადგურდება და დავინწყების მტვრით იფარება, მაშინ საჭიროა ბრძოლა მის წინააღმდეგ. ასეთია გალაქტიონის აზრი. მაგრამ რა საშუალება გააჩნია პოეტს დროისა და სივრცის დასამორჩილებლად? მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნება. სიტყვაში, ფერში, ბგერაში ცნაურდება უკვდავება. იგი ებრძვის დროსა და სივრცეს, როგორც სიცოცხლე ებრძვის სიკვდილს.

საათის გულისცემა ადამიანს აახლოვებს სიკვდილთან. ამიტომ პოეტს შეეძლო გაემეორებინა გოეთეს სიტყვები: დროისა და სივრცის დაძლევა მხოლოდ პოეზიით შეიძლება.

ამ ჭრილშია გახსნილი გალაქტიონის ლექსების ციკლი, რომელიც წარმოგვისახავს დროისა და სივრცის მხატვრულ კონცეფციას.

გალაქტიონის „მე და ლამე“ ფილოსოფიური ლექსების ციკლს განეკუთვნება. სრულიად სამართლიანად, პოეტი მას თვლიდა ერთ-ერთ უბრწყინვალეს შედეგად თავის შემოქმედებაში. ქართული სალიტერატურო კრიტიკა გრძნობდა ამ ლექსის მაღალ მხატვრულ ღირსებას, მაგრამ ის მიაჩნდა დეკადენტურ ნაწარმოებად.

სამწუხაროდ, „მე და ლამის“ მხატვრული და იდეური კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის გახსნილი და ამ ნიადაგზე პოეტის „საიდუმლო“, რომლის შესახებაც საუბარია ლექსში, ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება:

მხოლოდ ლამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ლამემ.

ამ ორი ტაეპის ცნების ენაზე გაშიფვრა მთელი ლექსის მხატვრული კონცეფციის გაგების საშუალებას მოგვცემდა. მაგრამ იმისათვის, რომ გაიშიფროს, საჭიროა თითოეული ტაეპის ანალიზი და ამ ნიადაგზე აიხსნას პოეტის „საიდუმლო“.

ლექსის შესავალი ნაწილი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ გარემოცვაზე, რომელშიაც გალაქტიონი იმყოფებოდა „მე და ლამის“ დანერის მომენტში:

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება,
სიო სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება.
მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.
ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

შუალამე, პოეტის წარმოსახვაში, იწვის, დნება. სარკმლიდან მონაქროლი ნიავე ველთა ზღაპარს უამბობს „მუზების ღმერთს“. მთვარეს ვერცხლის საბანი გადაუხურავს გარემოსათვის, და ამ ფონზე, ნიავეს შერხევაზე ცახცახებს სარკმლის წინ მდგომი იასამანი. მტრედისფერი ცა ლურჯი სვეტებით ებჯინება დედამიწას და გრძნობით ავსებს შემოგარენს. რაღაც საიდუმლო შუქი, რომელიც ციდან ეშვება პოეტის ადგილსამყოფელში, სავსეა უხვი გრძნობებით „ვით ამ ლამეს ჩემი გულიო“, – ამბობს გალაქტიონი.

ამგვარი საშუალებით ბუნების სამეფოდან ადამიანური ვნებისაკენ ვიკაფავთ გზას. პეიზაჟით ავტორს შევეყვართ საკუთარი სულის ხვეულებში. შესასვლელზე ავტორს საკუთარი სისხლით წაუნერია შემდეგი სიტყვები:

დიდიხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავესაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს ნუთი ნუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი;
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელს სიღრმეში მოვათავსე.

ციტირებული ტაეპების ანალიზის დროს ხაზი უნდა გაესვას ერთ მეტად საყურადღებო მომენტს: პოეტი ამბობს, რომ საიდუმლოს მეც ვატარებ გულშიო. ე. ი. ამავე საიდუმლოს ატარებს სხვაც და ამ სხვაზე პოეტი ტექსტში აშკარად მიგვითითებს.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევენე და ვენამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე.

ბუნებრივია, რომ მხოლოდ ღამემ იცოდა საიდუმლოება პოეტის განზრახვისა, რომელიც მტანჯველი შემოქმედებითი პროცესის გზით იქცა ლექსად. ბუნებრივია ის გარემოებაც, როცა პოეტი გვესაუბრება უძილობაზე, მარტოდმარტო დარჩენაზე, ობლობაზე, რომ მხოლოდ ღამე იყო სულიერი მეგობარი გალაქტიონისა.

ამრიგად, პოეტის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ თეთრმა ღამემ იცის, როგორც შემოქმედებითი აქტის მოწმემ, მუზაა, რომელიც ევლინება გალაქტიონს, როგორც შთაგონება.

აქედან სრულიად ნათელია, რომ ლექსი „მე და ღამე“ არ არის დეკადენტური ნაწარმოები; რომ ის არ არის დაცემისა და პესიმიზმის აპოლოგია, როგორც ეს ესმოდა კრიტიკას. მხატვრული წარმოსახვის ფორმა ლექსისა რეალისტურია რომანტიკული კოლორიტით შეფერილი.

ლექსის ლეიტმოტივი იმ აზრის აღიარებაა, რომ ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედება არის უღრმესი სულიერი ტანჯვის შედეგი. ის, რაც იოლად ეძლევა მკითხველს და ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, თვით პოეტისთვის ჯვარცმია. პოეტი ქმნის მშვენიერს, რომელიც აღამაღლებს სულს, ბადებს გრძნობებს, რომლებიც წარუშლელ კვალს სტოვებენ ადამიანში. ჭეშმარიტ პოეტურ ნაწარმოებში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ყოველივე ეს მოითხოვს ზომიერების გრძნობას, რეალისტურ ალლოს, აუცილებლობის რკინის კანონის დაცვას. შემოქმედება, როგორც გოეთე ამბობს ეკერმანთან საუბარში, მთელი სულიერი და ფიზიკური ბუნების ძალთა თავმოყრაა. იგი ეუფლება არა მარტო მხედველობასა და სმენას, არამედ – ხუთივე გრძნობას. გარდა ამისა, იგი ეუფლება სხეულსაც, აზრსაც, გონებასაც, ნებისყოფასაც, გრძნობასაც, ფანტაზიასაც.

ეს გზა მძიმე და ძნელია. სწორედ ამ სიძნელეებზე გვესაუბრება გალაქტიონი „მე და ღამეში“.

* * *

ვინც გონების თვალთ კითხულობს გალაქტიონის ლექსების სათაურებს, მან არ შეიძლება არ იგრძნოს ლოგიკური დამთხვევა სათაურისა ტექსტის იდეურ პრობლემატიკასთან. მხოლოდ ლექსის სახელწოდებაც კი ემოციურად განაწყობს მკითხველს და წინასწარ ფსიქოლოგიურად ამზადებს მისი მხატვრული აღქმისათვის.

ლექსი „უდაბნო“ ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევს მკითხველის ყურადღებას. ეს ლექსი გამოხატავს შემოქმედის ტრაგედიას, სულით ობლობა აქ შეგრძნობილია მთელი სიმძაფრით. მარტობის სევდა დაუფლებია მგოსნის სულს და მოსვენება დაუკარგავს მისთვის.

რევოლუციამდელმა სალიტერატურო კრიტიკამ ეს ლექსი გამოაცხადა „უსასოო პესიმიზმის“ შემცველ ნაწარმოებად. რევოლუციის შემდეგდროინდელმა კრიტიკოსების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ამგვარ შეფასებას და მკითხველებს ამ ლექსის წინააღმდეგ განაწყობდნენ. ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ „უდაბნო“ წარმოადგენდა დეკადენტიზმის აპოლოგიას. ზერელე შეხედვით საანალიზო ნაწარმოები, მართლაც, სტოვებს ამგვარ შთაბეჭდილებას; მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ლექსის იდეურ და მხატვრულ

პრობლემატიკას, ჩვენ დავინახავთ სრულიად სანინაალმდეგო მოვლენებს. იქ ერთი იოტიც არ არის დეკადენტიზმისა და „უსასოო პესიმიზმის“.

„უდაბნო“ დაწერილია რევოლუციამდე და განეკუთვნება იმ სინამდვილეს, რომელსაც ზემოთ არაგონიერი ვუწოდებთ. ეს სინამდვილე მიმართული იყო ჭეშმარიტი ადამიანური იდეალების წინააღმდეგ. თავისუფლების ცხოველი სუნთქვა რეაქციის ბატონობის შედეგად მინელდა. ცრემლი და სისხლი მუდმივი თანამგზავრი იყო ადამიანებისა. ეს მძიმე დრო განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ისეთი უნაზესი და გულწრფელი პოეტისათვის, როგორც გალაქტიონია. ამიტომ უმეგობროს, სულით ობოლს, დამჭკნარ ფოთოლს, მარტოდმარტოს უწოდებს საკუთარ თავს. „დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა“. ასე გოდებდა პოეტი. კიდევ მეტი:

მოვკვდე და გული ვის დავწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.

იქნებ, ეს მძიმე, სევდიანი სტრიქონები აძლევდა უფლებას კრიტიკოსებს, რომ პოეტისათვის დეკადენტი ეწოდებიათ! აქ უნებურად გვაგონდება მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსისა, სადაც ნათქვამია:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
მხოლოდ ის არი სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მინაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!...

ბარბარე ჯორჯაძე გამწარებული წერდა: რამ დააბრმავა ილია ჭავჭავაძე, რომ თავის სამშობლოში, ქართველთა შორის ვერ დაინახა კაცი, რომელსაც საკუთარი ფიქრის გაზიარების ღირსად გახდიდაო. ასეთი გულგრილი კრიტიკა ლექსში მხოლოდ სიტყვებს კითხულობს და ვერ გრძნობს ამ სიტყვების ქვეტექსტს, იმ ცეცხლს, რომელიც შემონთებული აქვს პოეტის სულს. განა მოტანილი სტრიქონებისთვის შეიძლება ილიას პესიმისტი ვუწოდოთ? დიდი სევდა ყოველთვის როდია პესიმიზმი! მით უფრო ისეთი სევდა, რომელსაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და გამოწვეულია დროის უკუღმართობით.

ისტორიული აუცილებლობის ძალით გალაქტიონის დიდ სევდასაც საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა; იგი არ იყო პირადი კაპრიზის შედეგი და არ შეიძლება მხოლოდ სუბიექტური ინტერესების სფეროთი განისაზღვროს. სუბიექტური ინტერესები პოეტისა ორგანულად ემთხვევა ობიექტურ აუცილებლობას... აქ არის პოეტის გენიის ძალა.

რად მინდა მივსწვდე მიუნდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს.
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში
მარტო ვიქნები და რა ვპოვო მარტოობაში?
ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!
და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის წავეყვე ჩემის წამებით?
ან მეგობარის თუ მომესმას ნეტარი ხმოვა –
სად შემეძლება სიყვარული და მეგობრობა?

ჩვენ აქ მოწმენი ვართ დიდი ადამიანის დიდი სევდისა, რომელიც შორეული ასოციაციებით ეხმაურება ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიას. რომანტიკულად განწყობილი ორი სული ესაუბრება ერთმანეთს დიდ კაცობრიულ ტკივილზე, და გვიხარია, რომ ეს ორი გენიოსი, თავიანთი დიდი სიბრძნით, ერთი მხრით, ებჯინება ეროვნულ ნიადაგს, მეორე მხრით, – თავისი დროის მსოფლიო პოეტური კულტურის უკანასკნელ მიღწევებს. და მართლაც,

ბარათაშვილისა და გალაქტიონის სევდა მარტო ეროვნული და სუბიექტური როდია, არამედ ზოგადკაცობრიულიც არის. ეს არის ადამიანური ტრაგედია, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს დეკადენტიზმთან.

გალაქტიონი ამბობს: „რათ მინდა მიწვევდე მიუნვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს? ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს“. მიუნვდომელის მიწვევდომა იყო ყოველი გენიოსის ოცნება. ის აძლევდა სტიმულს შემოქმედებაში. გოეთეს აზრით, მიუნვდომელია მხოლოდ მშვენიერი. ის ჩვენში აღძრავს ვნებებს, ემოციებს, სიყვარულს, განცვიფრებას, ამაღლებს ჩვენს სულს და გვაძლევს სიცოცხლის პათოსს. მაგრამ ყოველივე ამის მიღწევა მძიმეა და ძნელი. შემოქმედისათვის ის უდრის ჯვარცმას. უნდა დაივიწყო პირადი ცხოვრება და მთელი გულის უმცირესი ნაწილიც კი არ უნდა დაიტოვო შენთვის. ყველაფერი უნდა მისცე მას, თვით სიცოცხლეს კი. ასეთია დიდი პოეტის ბედი. სამაგიეროდ, ის უკვდავი ხდება შთამომავლობის ხსოვნაში.

გალაქტიონი რალაც საოცარი, მტანჯველი სტრიქონებით გაახსენებს ხოლმე მკითხველს, რომ მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში ის მარტოდ-მარტოა. ამ გარემოებათა გამო პოეტი სვამს კითხვას: „და რა ვპოვო მარტოობაში?“

ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა,
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!
და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის ნაყვე ჩემის ნამებით?

ტრაგიკული კითხვაა დაყენებული, მაგრამ ის პერსონალურად ეხება მხოლოდ პოეტს: „მე ვის ნაყვე ჩემის ნამებით?“ – ამბობს იგი. მაგრამ ქვეტექსტში ვგრძნობთ, რომ მიუხედავად ასეთი ტრაგიზმისა, პოეტი მაინც კმაყოფილია იმის შეგნებით, რომ შორს, სადღაც ადამიანები ტკბებიან მისი სიმღერის სევდიანი ხმებით, რომ ამ ხმას, როგორც მონოდების ზარს, მიყავს საზოგადოება ახალი სინამდვილისაკენ.

პოეზიის ამ დიდი ამოცანის შემწეობით გალაქტიონი იმსჭვალება მიუსაფარ ბედთან შერკინების სურვილით:

ო, სად ხარ, სადა უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო!

„უდაბნოს“ ანალოგიურ ასოციაციებს აღძრავს ლექსი „კორდზე“. ღამეული მგზავრი-მხედარი შეაყენებს ლურჯა ცხენს, რათა უსმინოს სიჩუმეს. ბუნების განუსაზღვრელი სამეფო მინელებული მთვარის შუქის ფონზე გარინდულა. „რა სინყნარეა, ო, ღმერთო ჩემო“, – სამღურავით აღმოხდება პოეტს. მას არ უნდა არც მდუმარება და არც კმაყოფილება, რადგანაც ორივე სიკვდილის სინონიმია. მყუდრო სავანე სევდით ავსებს ისედაც ბედგამნარებული პოეტის სულს. ახლა მისთვის სანატრელია ქარიშხალი, როგორც ახალი ცხოვრების წინამორბედი. ამ შეგნებით უხმობს იგი ქარს:

ჰეი, გაიღვიძე ქარო ძლიერო,
გამოაღვიძე მიდამო მკვდარი,
გასწი, უამბე ადამიანებს –
ჩემი ოცნება მიუსაფარი.
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი
უუშორესი თანამგრძობელი,
ისიც დიდია მისთვის, ვისთვისაც
ზღვა-უდაბნოა მთელი სოფელი.

მიუსაფარი და ბედგამნარებული პოეტი მაინც ეძებს კავშირს ადამიანებთან, რადგან მან იცის, რომ ისინი შეუმსუბუქებენ მძიმე ტკივილებს, რომელიც სინამდვილემ წილად არგუ-

ნა სიტყვის ოსტატს. იგი მაძიებელი სულია და ძიების შედეგად მიღებული დაკვირვება უნდა რომ გაუზიაროს ადამიანებს. ამიტომ ჭეშმარიტებას არ იქნება მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ გალაქტიონის უკიდურესად სევდიან ლექსებშიც კი მოიძებნება ოპტიმისტური პათოსი, მომავლის სიყვარული, ახალი სინამდვილისაკენ შეუნელებელი მისწრაფების სურვილი. ამ მხრივაც გალაქტიონი სულიერ ნათესაობას ამყარებს ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

ამავე მოტივზეა დაწერილი ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყება ასე:

ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვილაცას.
მე ვმლერი მაშინ და მთრთოლვარე ხმას
სევდით ვუერთებ ჩამქრალ გულისთქმას.
ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს,
მეგობრებს, სატრფოს ეშხით მღელვარეს.

ძახილი სიცოცხლის მიზნისადმი, ადამიანებისადმი, მეგობრებისადმი, მათთან კონტაქტის დამყარების სურვილი, რათა პოეტი გამოვიდეს უიმედობის რკალიდან, ბრწყინვალედ ჩანს ისეთი უღრმესი სევდის შემცველ ლექსში, როგორიცაა „სად?“ თავისთავად სათაური მიგვანიშნებს იმ შინაგან ჭიდილზე, რომელიც ხდებოდა პოეტის სულში. ეს ჭიდილი სინამდვილესთან ან შემოქმედებითი კატასტროფით უნდა დამთავრებულიყო, ან არადა პოეტს უნდა დაემსხვრია ბორკილები, რომლებითაც იმავე სინამდვილემ შებოჭა გალაქტიონის თავისუფლება.

ეს ჭიდილი მთელი სიმძაფრით გამოვლინდა დასახელებულ ლექსში.

საით მივყევარ ჩემს მონყენილ გზას,
სად ვპოებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს
ვითვლი და ვითვლი ყმანვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.
მარტოდმარტო ვარ... ვისაც ოცნება
ედემის ციურ ხატებათ სთვლიდა,
ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვსცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.
აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,
ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს?
ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმანვილეს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს!

პოეტის ეს დიდი მწუხარება ჩვენ გვესმის და ვუთანაგრძნობთ მას. გვესმის მისი სულის ტკივილები და ვგრძნობთ, თუ რა ძნელია მარტოდ-მარტო დარჩენა ამ ვრცელსა და უსაზღვრო წუთისოფელში. კიდევ მეტი გვესმის იქ, თუ ჟამთავითარების უკუღმართობის გამო როგორ უსულგულოდ მოსცილდნენ მეგობრები, რომელთაც პოეტი სიყრმიდანვე თაყვანს სცემდა და „ედემის ციურ ხატებად სთვლიდა“. როგორ იქცა გუშინდელი ჭეშმარიტება სიყალბედ და მშვენიერება – საძულველად. ეს დიალექტიკური ბრუნვა ცხოვრებისა, რომელსაც ყველაფერში აუცილებლობის დამხობის ბეჭედი ამჩნევია, პოეტში აღძრავს სინანულს დაღუპულ სიცოცხლისადმი, სევდას დაკარგულისადმი. ამ პროცესში პოეტი ბუნებასავით გულგრილი ვერ დარჩებოდა.

ბრწყინვალე მხატვრული ფერებით ავტორი ქმნის პლასტიკურ სურათებს საკუთარი სევდის გამო. თითქოს ჯადოქრის ხელით ცოცხლდება ჩვენს სულში ყოველივე ის, რაც ოდესღაც ანუხებდა პოეტს, მას კი ბევრი რამ ანუხებდა. კერძოდ, ანუხებდა კითხვა, თუ რას მისცემდა საქართველოს მისი ქნარი? ეს ნუხილი ზოგადი ნუხილია, რომელიც ესტაფეტასავით გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

პოეტი უყვირის, ეძახის სიცოცხლის მიზანს. „ვნუხვარ, ვეძახი სიცოცხლის მიზანს“, მაგრამ ეს კეთილშობილი მოწოდება მაშინდელმა სინამდვილემ ყელში ჩაუნყვიტა პოეტს.

დამარცხებული პოეტი იძულებულია მიმართოს ზეცას, რადგანაც დედამიწაზე გზა აუბნიეს. ის წერს ლექსს სათაურით „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“:

ვენვევი განდეგილ მამათა
„უმანკო ჩასახვის“ სავანეს;
იქ შავი თოვლივით დამათოვს
ჭვარტლი და ბურუსი თავანის.
სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალეში შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის! არ არის! არ არის!

ეს საოცრად ორიგინალური რიტმის ლექსი დიდი ექსპრესიით შთაგვაგონებს, რომ შეუძლებელია ზეცისა და პოეტის მორიგება, მათი თანაარსებობა. სინამდვილისაგან დევნილი პოეტი ვერც ზეცაში ნახულობს პასუხს იმ წყეულ კითხვებზე, რომელიც სიჭაბუკეში აწვალებდა მგოსნის სულს. მამათა მყუდრო სავანის შესასვლელ კარებთან თვით უზენაესს ნაუნერია შემდეგი სიტყვები:

ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის! არ არის! არ არის!

ტაეპში სამგზის მეორდება საბედისწერო სიტყვა, რომ „საშველი არ არის“.

გალაქტიონი წინასწარ გრძნობდა, რომ ზეცისაგან კანონიერი პასუხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. არაგონივრულია არა მარტო მიწიერი სინამდვილე, არამედ – ზეციერიც. მამათა სავანიდან გამოსვლის ჟამს პოეტი ერთხელ კიდევ მიმოავლებს თვალს ზეციურ გარემოს, სადაც შეუბრალებელი „უდაბნოს ქარები“ დაჰქრინან:

დაქრინან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი, გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!
გრიგალთა სადაურ შებერვას
მისდევენ ფოთლების შვავები...
თებერვალს უხმობენ, თებერვალს
სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები.

ამ ფონზე ოაზისივით მოჩანს ლექსის ფინალი:

და ვიცი ღელვაა საგანი,
როდესაც ღამეა უკუნი
და ჩემი მდუმარე საკანი
და ცეცხლის მფარველი გუგუნი.

პოეტი ისევ უბრუნდება მინას, რადგანაც მხოლოდ აქ, ადამიანთა შორის შეიძლება ჭეშმარიტი ცხოვრება; ცხოვრება, რომელიც აღსავსეა შემოქმედებითი ცეცხლით. ამიტომ ისევ ღამე, ისევ ოთახის სარკმელი, საიდანაც ნათელი სვეტივით ეშვება მუზა, როგორც შთაგონების წყარო. ამრიგად გალაქტიონმა ისევ შემოქმედებით განიკურნა სულიერი ჭრილობანი, ისევ პოეზიამ მისცა მომავლის რწმენა. ამიტომ მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

* * *

მაგრამ ამ განუსაზღვრელ ბუნების სამეფოში პოეტს მარტო თავისი მდგომარეობა როდი ანუხებს. ის გოდებს უბინაოთა ბედზე, რომელთაც არა აქვთ თავშესაფარი. კიდევ მეტი: მას ებრალება ბუნების სტიქიონი, – ქარის სახით რომ ევლინება მგოსნის ადგილსამყოფელს:

წუხელის ღამით ქარი დაჰქროდა
და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა;
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.

გალაქტიონისთვის ქარიშხალი სიმბოლოა თავისუფლებისა; უდიდესი მტერი რუტინისა და კონსერვატიზმისა. ამ სულიერი ქარიშხლებით არის აღსავსე ლექსი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“. სიტყვა „ანგელოზი“ გალაქტიონის შემოქმედებაში სინონიმია თავისუფლებისა. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ტაეპი სხვა ლექსიდან: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდგას ანგელოსი“.

საანალიზო ლექსი ერთ-ერთი ბრწყინვალე შედეგია ქართულ სალირიკო პოეზიაში. ლექსის რიტმი სრულიად უჩვეულო, ორიგინალურია; რითმა – ახალი:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მინას დაჰყურებდა.
მშვიდობით! მშვიდობით! ამაოდ დაგენდე,
ელვარე საღამოვ აღმას საყურეთა!
ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კომკები, ლიდის სამრეკლო
შენს ფეხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.

ამ ლექსის გამო მცირე მინანქრში გალაქტიონი ამბობს: „ეს მცირე ნობათი მიმართულია ეგოიზმის, აულაგმავი პატივმოყვარეობის და ბინიერების წინააღმდეგ, რომელიც ბატონობს ჩვენს დროში“. რევოლუციამდელი სინამდვილე პოეტს წარმოადგენილი აქვს ტანჯვის და უბედურების სამყოფელ ადგილად, სადაც ეგოიზმი და პატივმოყვარეობა იფარება ოქროსა და აბრეშუმის ქვეშ; სადაც კეთილშობილება და გულწრფელობა ფეხქვეშ არის გათელილი, ხოლო ბინიერება ნიღაბით დაბრძანდება, როგორც დენდი. ამ გარემოცვაში ადამიანის გენია ვერ იპოვიდა ღირსეულ დამფასებელს და ის გარბის, როგორც დანყვევლილი და მოკვეთილი. განდევნის ჟამს პოეტი მიმართავს ანგელოზს და არა დემონს, როგორც ბოდლერი. ანგელოზი კი გალაქტიონის ცნობიერებაში, როგორც უკვე იყო ნათქვამი, წარმოისახება, როგორც თავისუფლება, როგორც კეთილისა და ახალი ცხოვრების საწყისი.

უკუღმართი სინამდვილე ამსხვრევდა ყველა დიდებას; ადამიანის გენია ჰქრებოდა ლუკმა-პურისთვის ძიებაში; ხუნდებოდა პოეტის საყვარელი ფერები, კეთილშობილი იდეალები. ამ მძიმე ხვედრის შეგნებით გალაქტიონი შემოქმედებითი ფანტაზიით ქმნის ახალ სინამდვილეს, რომლის ფესვები ჩამარხულია მყოფადმი. ძველი ცხოვრებისადმი ზიზღი ჩაწერილია დანყვევლის ეტრატში, რომელიც ანგელოზს უჭირავს ხელში:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის,
ამაოდ დაგენდე და ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები –
სალამო კანკალებს შიშით და რიდობით –
სალამო ნელდება და კვდება ვარდები...
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

ასე სცილდება სინამდვილეს უნაზესი პოეტი. სცილდება საზოგადოებას, რომლის სულ-შიც აღარ ფეთქავდა ჭეშმარიტი სიცოცხლის ნიშანწყალი, სადაც ცინიზმი და უსაზღვრო ეგოიზმი თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა.

ამ პირობებში სიმღერის სევდიანი კილო და რომანტიკული კოლორიტი სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იყო გალაქტიონისათვის. ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო გალაქტიონს არ შეეძლო საზოგადოების გარეშე ცხოვრება, მაგრამ რეალური სინამდვილე აიძულებდა პოეტს, უარეყო ის, რაც გულით უყვარდა, დაენწყვიტა შემაკავებელი სიცოცხლის ძაფები მასთან.

ეს მიძიმე მომენტი იყო გალაქტიონის ცხოვრებაში და ამიტომაც – ტრაგიკული. თუ საანალიზო ლექსში პერგამენტზეა საუბარი, რომელიც ანგელოზს უჭირავს ხელში, ეს მისი სულის ნაწილია. ამიტომ პერგამენტის წაკითხვა ყველას როდი შეუძლია, მით უფრო – გაგება ყოველივე იმისა, რაც იქ სისხლით არის ჩანერილი. ეს ამწუხრებს პოეტს. მიხვდებიან კი თანამედროვენი, თუ რა ჯვარცმა იყო პოეტისათვის ტრაგიკული კონფლიქტი სინამდვილესთან?

ბუნებრივად მეორე კითხვაც იბადება: ნუთუ რევოლუციამდელი გალაქტიონის ადამიანური სევდა შედეგი იყო დეკადენტიზმის, დაცემულობის განწყობილებისა, კეთილშობილი იდეალების უარყოფის? ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ხომ ჯერ კიდევ გალაქტიონის სიცოცხლეში ერთხმად ადასტურებდა, რომ მისი შემოქმედების პირველი პერიოდი დეკადენტიზმის, დაცემულობის და სულიერი პროსტრაციის ემბაზში იყო განბანილი!

მაგრამ აქ მესამე კითხვაც ჩნდება: მამ რატომ გვიყვარს ასე უსაზღვროდ გალაქტიონის პირველი პერიოდის შემოქმედება? რატომ ვთვლით მას ქართული პოეზიის ერთ-ერთ დიდ მწვერვალად? რატომ ვუნდობთ ამ პერიოდში შექმნილ ლექსებს ქართული პოეზიის შედეგებს?

სულიერი ცხოვრების დეკადანსს არც ერთი ქვეყნის ლიტერატურაში ჯერ არ შეუქმნია ისეთი რამ, რომელსაც ერი ნაციონალურ სიამაყედ აცხადებდეს. გალაქტიონი კი ქართული პოეზიის ეროვნული სიამაყეა, მისი დიდება და სახელი.

პოეტის სულიერი კონფლიქტი არაგონიერ სინამდვილესთან მის დიდებაზე უფრო მეტს მეტყველებს, ვიდრე ნაკლზე. სინამდვილის უარყოფა ყოველთვის როდია დეკადანსის შედეგი, ანდა ნაკლი პოეტისა. სინამდვილე, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის ცრემლზე, სისხლზე და ძვლებზე, – არ არის ღირსი ჭეშმარიტი პოეტის ყურადღებისა. კიდევ მეტი, ის სიძულვილის ღირსია. მამ რატომ იყო ვალდებული გალაქტიონი – დამორჩილებოდა სინამდვილეს, რომელიც მასში აღძრავდა ზიზღს. მაგრამ სინამდვილისადმი ზიზღი როდი აიძულებდა გალაქტიონს გულგრილი დარჩენილიყო საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, რომლებიც აღელვებდნენ მისი თანამედროვე ადამიანების პროგრესულ ნაწილს.

ამ გარემოებას ბრწყინვალედ ადასტურებს ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „წერილი მეგობრისადმი“.

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები.
განა არ არის საშინელი საცოდავობა,
ისეთ ქვეყანას – როგორც ჩვენი საქართველოა –
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვიდეს?

შეიძლება იმათ, რომლებიც იცავენ გალაქტიონის დეკადენტობას, გვითხრან, რომ ბოდლერიც ეტრფოდა რევოლუციასთან კავშირს, რომ ის 1848 წლის რევოლუციაში ბარიკადებზეც იღებდა მონაწილეობას. მაგრამ ბოდლერი, მიუხედავად თავისი უზარმაზარი ტალანტისა, მაინც დეკადენტი დარჩა, გალაქტიონი კი – რომანტიკოსი. ბოდლერი თავის აღსარებაში რევოლუციასთან დამოკიდებულების შესახებ წერს: „რევოლუცია ცრურწმენაა მხოლოდ“.

აქვს რაიმე საერთო ბოდლერის აღსარებასთან გალაქტიონის შემოქმედებას? არავითარი, გალაქტიონი ეძიებს ჭეშმარიტებას და ვერ უპოვია. ეს არის წყარო გალაქტიონის სევდისა. გალაქტიონი თავისი დროის სინამდვილესთან კონფლიქტშია და ცდილობს შექმნას ახალი სინამდვილე, რომელიც ეყრდნობა მომავალს. ბოდლერს ეზიზღება ანმყოცა და მომავალიც. ბოდლერის „ბოროტების ყვავილებმა“ სიმპათია დაიმსახურა სენტ-ბევისა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ბოდლერი შექმნა ცივილიზაციამ, რომელიც ხმელსა და გამოფიტულს ნიადაგს ჰგავს, რომელიც იძლევა შხამიან ბალახს. გალაქტიონი წარმოშვა ეპოქამ, რომლის ნიაღშიც მნიშვნელოვან რევოლუციების ქარიშხალი. პოეტის „ლურჯა ცხენები“, წინააღმდეგ „ბოროტების ყვავილებისა“, მახარობელია ძველის ნგრევისა და ახლის დაბადების.

წამოყენებულ თეზისს ადასტურებს ფილოსოფიური ციკლის ერთი ბრწყინვალე ნიმუში „შემოდგომის დღე“. რომანტიკოსისათვის შემოდგომა თავისთავად მიმზიდველია, როგორც თემატიკისა, ისე პოეტური პრობლემატიკის თვალსაზრისით. შემოდგომის მწუხრზე პოეტის ნაღვლიანი კილო უფრო კოლორიტული ხდება. თითქოს იდენტურობა მყარდება სიტყვის ოსტატის განწყობილებასა და შემოდგომის ნაირფერებს შორის. აქ უფრო მეტად იგრძნობა შუქისა და ჩრდილის ერთიმეორეში გადასვლა, ერთმანეთის შენაცვლება.

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე,
დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი,
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე...
სავსე ვარ რაღაც იდუმალ გრძნებით,
გამოუთქმელი მიტაცებს შვება!
რა არის იგი? ბედნიერებით
გამონვეული უბედურება,
თუ უბედობა სიმწარე-ვნებით.

მაგრამ პოეტის ამ ღრმა სევდაში იჭრება იმედის მომცემი სინათლის სვეტი, რომელიც ახალ სინამდვილეზე, ან უკეთ, მომავალზე მიგვანიშნებს. ეს ტენდენცია საერთოდ იგრძნობა რომანტიკოსების შემოქმედებაში, კერძოდ, – ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკულ პოეზიაში. ოპტიმიზმის ნათელი სვეტი არის განათებული მისი ლექსების ფინალი. სიმბოლიზმს ამგვარი რამ არ ახასიათებს. გალაქტიონი აქაც სულიერ (და მხოლოდ სულიერ) ნათესაობას ამყარებს ბარათაშვილის პოეზიასთან.

დამშვიდდი, გულო: შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო.
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღსდგება გამქრალი ვნება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

როგორც აქ მოტანილი ტაეპიდან ჩანს, შენაცვლება ჩრდილისა და შუქისა იგრძნობა არა მარტო მხატვრულ ფორმაში. ამ ორი ასპექტით არის განათებული გალაქტიონის მთელი შემოქმედება პირველ პერიოდში. ეს ტენდენცია მკვეთრად ჩანს ლექსში „ეფემერა“. აქ ისევ მეორდება „ლურჯა ცხენების“ მოტივი. აპოკალიფსური ცხენების ფეხთა ხმაურში ჩვენ ისევ

გვესმის ცხოვრების განახლების მახარობელთა ხმა, რომელიც გვაუწყებს, რომ მუდმივი ნგრევა და მუდმივი აღდგენა ახალ ფორმაში – არის განუსაზღვრელი ბუნების სამეფოსა და სიცოცხლის კანონი; რომ ბუნებაში ნგრევის სტიქიასთან ერთად მოქმედებს აღდგენის სტიქია; რომ ყველაფერზე ბატონობს დრო და სივრცე; და არაფერი არ არის დროისა და სივრცის გარეშე. მაგრამ პოეტი იმასაც კარგად გრძნობს, რომ ის ერთადერთია ამ საუკუნის შემოქმედთა შორის, რომლის ბედი ცაშია გადანყვეტილი:

ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები.
ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.

მაგრამ ეს თვისება არ მიაჩნია გალაქტიონს საკმარისად დიდი პოეტისათვის. დიდი პოეტი მხოლოდ მაშინ არის უძლეველი და მხოლოდ მაშინ ბრწყინავს მისი გენიის ძალა, თუ ის ებჯინება ეროვნულ ნიადაგს. გალაქტიონისათვის არ არსებობს მსოფლიო ეროვნულის გარეშე. მხოლოდ ეროვნულის გზით მსოფლიოსაკენ:

წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული,
დაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

ამ ტაეპის ლეიტმოტივი სიმბოლიზმისა და დეკადენტიზმის კოსმოპოლიტური ბუნების წინააღმდეგ არის მიმართული. ჭეშმარიტი პოეზია ეროვნულის გარეშე დგას, – აცხადებდა ვერლენი. გალაქტიონი აქაც ანტითეზაა დეკადენტიზმისა.

საანალიზო ლექსის ფინალში გალაქტიონი ისევ მოძრაობის, მოქმედების, სიცოცხლის აპოლოგეტად რჩება.

დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყო მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული
ლანდი – არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა.
დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!

თავისი სინდისის წინაშე მარტოდ დარჩენილი პოეტი ისევ და ისევ სამგზის მოუწოდებს ლურჯა ცხენებს შეჯიბრებაზე, სადაც უნდა გადანყდეს „ყოფნა-არყოფნის“ მარად ძველი და მარად ახალი კითხვა. არის თუ არა ადამიანი სიცოცხლის ღირსი? ეს კითხვა აწვალავს გალაქტიონს, როგორც პოეტს. ის კარგად გრძნობს, რომ ადამიანი ხშირად არის ჭურჭელი ბოროტებისა. მის სულში ცოცხლობს კაენიცი, ლუციფერიცი, დემონიცი, მეფისტოფელიცი. მაგრამ ბოროტება, რომელსაც ადამიანი სჩადის ადამიანის მიმართ, განპირობებულია არა ადამიანის შინაგანი ბუნებით, როგორც ამას დეკადენტები ფიქრობდნენ, არამედ – სინამდვილით. ამიტომ გალაქტიონი ათავისუფლებს ადამიანს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. გამოცვალებთ სინამდვილის მიერ შექმნილი პირობები, რომელიც ადამიანს აიძულებს ბოროტების ჩადენას და იმავე წამში თქვენს წინაშე დადგება ცოდვათაგან განმედილი, კეთილშობილი ქმნილება. პოეტი მთელ თავის შემოქმედებაში მხარს უჭერს თეზისს, რომ ბუნებით ადამიანი არ იბადება ბოროტი. მხოლოდ სინამდვილე აიძულებს ბოროტების ჩადენას:

შეგებრალეა თვითონ კაენიცი,
თუკი პოეტის ჰქვია სახელი.

აქ პოეტი სინონიმია კეთილშობილების, მხურვალე მლოცველის, რომელსაც ცხოვრება ვერ გარყვნიდა და ვერ მოუსპობს სულიერ თავისუფლებას.

* * *

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში საპატიო ადგილი უჭირავს ცხოვრებისეულ პრობლემებს, რომელიც ერთსა და იმავე დროს კონკრეტულიც არის და ზოგადიც. პრობლემატიკის ამ სფეროს განეკუთვნება „მესაფლავე“. ამ ლექსში მთავარი ლირიკული გმირი თვით მესაფლავეა, მაგრამ ის პრინციპულად განსხვავდება შექსპირის ხუმარა მესაფლავეებისაგან. გალაქტიონის მესაფლავე თავისუფალია ცინიზმისაგან. თავისმა მძიმე პროფესიამ მესაფლავე დაარწმუნა ცხოვრების მიერ წამოყენებულ ერთ-ერთ თეზისში; რომ ამ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, მას დავინწყების ფერფლი მოსავს და ყველა ჩვენთაგანს ავიწყდება. პოეტს არ შეუძლია ირწმუნოს ეს უღმობელი კანონი ცხოვრებისა. მას ვერ წარმოუდგენია იმის დავინწყება, რაც გიყვარს, რაც წარმოადგენდა შენი სულის ნაწილს, რაც ოდესღაც მშვენიერი იყო შენთვის.

მაგრამ მესაფლავე თავისას არ იშლის! მისთვის სინამდვილე უფრო სარწმუნოა, ვიდრე პოეტური ფანტაზია. მესაფლავე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მხოლოდ დროებითაა ყოველივე წარმავალის გახსენება. ის, რაც გუშინ ჩვენთვის სათაყვანებელ არსებას წარმოადგენდა და რომლის წინაშეც მუხლს ვიყრიდით, – სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ფერფლია და ნაცარი.

პოეტს არ უნდა დაიჯეროს ყოველივე ეს. მაგრამ იმისთვის, რომ მესაფლავის მიერ წამოყენებული დებულება დაარღვიო, საჭიროა შესატყვისი ფაქტები. პოეტი მიცვალებულთა ადგილსამყოფელში ეძებს მაგალითს მესაფლავის მოსაზრების უარსაყოფად. პოეტმა რამოდენიმეჯერ შენიშნა შავებში ჩაცმული ქვრივი, რომელიც დამხობია ქმრის სამარეს და შემდეგი სიტყვებით დასტირის მას:

გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს ჰკანწავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!

ქალის საქციელით აღფრთოვანებული პოეტი მიუბრუნდება მესაფლავეს, როგორც მკაცრ მსაჯულს, რათა ამხილოს მისი დებულების არაქმშარიტება:

მესაფლავევ! კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

ამ კითხვაზე მესაფლავე უნდობლად იღიმება. ამ ღიმილში ნათლად ჩანს ფაქტი, რომ პოეტის აღფრთოვანება ჯერ ნაადრევია; რომ მესაფლავემ უფრო მეტი იცის ამ საქმის შესახებ, ვიდრე პოეტმა. წლების გამოცდილება არწმუნებს მესაფლავეს, რომ შავებში ჩაცმული ქალის ერთგულების ფიცი მოჩვენებაა მხოლოდ და ამიტომ – დროებითი. მას მრავალჯერ გაუგონია ამგვარი სიტყვები, მაგრამ დრო ფანტავს მას უსაზღვრო სივრცეში.

ურწმუნო მესაფლავის პასუხით გამწარებული პოეტი იმავე სასაფლაოზე მოწმე ხდება მეორე მსგავსი ფაქტისა. ახალგაზრდა ვაჟი ასამარებს სატრფოს, რომელიც სიცოცხლეში მისი თავყვანისმცემელი კერპი იყო. ჭაბუკი, სატრფოს კუბოსთან მუხლზე დამხობილი, მარადიული სიყვარულის ფიცს აძლევს ქალს, რომელიც სამუდამოდ გაშორდა მას.

პოეტი ნიშნისმოგებით იმავე სიტყვებით მიმართავს სკეპსისის შხამით მოწამლულ მესაფლავეს:

მესაფლავევ! კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

პოეტი ყოველდღე მონმე ხდება ცოცხლად დარჩენილი ადამიანების გოდებისა მიცვალებულთა საფლავებზე. მაგრამ ერთ დღეს მან იხილა სრულიად სანინააღმდეგო მოვლენა, რომელმაც პოეტს საშინელი გულისტკივილი აგრძობინა. მგლოვიარე სატრფოები ერთმანეთის სიყვარულით განიმსჭვალნენ და მიატოვეს სასაფლაო. ველურმა ბალახმა დაფარა მიტოვებულთა საფლავები და დროთა ქარიშხლისაგან დამსხვრეული ჯვრები მინაზე დაცვივდნენ.

განისვენეთ, განისვენეთ, დავინყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო.

ამ სიტყვებით მთავრდება გალაქტიონის მწუხარე ლექსი. ამრიგად, მესაფლავემ გაიმარჯვა. მართლაც, დრო ყველაზე დიდი მსაჯული აღმოჩნდა. მაგრამ აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ სიკვდილმა გაიმარჯვა სიცოცხლეზე? ამ კითხვას ლექსის მიხედვით ორი მხარე აქვს: ზოგადი და კონკრეტული. კონკრეტულად სიკვდილი სძლევს სიცოცხლეს და დავინყების უფსკრული ფარავს გარდაცვალებულის ხსოვნას. მაგრამ ზოგადად მაინც სიცოცხლე იმარჯვებს ორთაბრძოლაში. ორი ჭირისუფალი შეერთდა სასაფლაოზე, რათა ახალი სიცოცხლე და ახალი ბედნიერება შექმნან მათ. როგორც გალაქტიონი ამბობს; ორივეს მომავალი ასულდგმულებს. სიცოცხლის ძახილი იმდენად ძლიერია, რომ მან ორივე გლოვისა და მწუხარების სფეროდან გამოიყვანა და ახალი სიხარულისა და ბედნიერების სამფლობელოს კართან მიიყვანა.

ამ ფონზე გალაქტიონი დასტირის დაკარგულთ, რომელთა ხსოვნაც სამუდამოდ გაქრა. სამაგიეროდ პოეტი შეგნებულად იზიარებს და უთანაგრძობს ახალ სიცოცხლეს, რომელიც შექმნა ორი ადამიანის შეერთებამ.

ეს არის დიდი კანონი ცხოვრებისა და გალაქტიონი მხარს უჭერს ამ კანონს.

დროთა ვითარებაში პოეტი პერმანენტულად უბრუნდება შავი ყორანის სიმბოლიკას. ცნობილია, შავი ყორანი, როგორც უბედურების მაუნყებელი, ჯერ კიდევ შორეული საუკუნეების სიღრმეში ხალხურმა სიტყვიერებამ წარმოგვისახა, შემდეგ ანტიკურმა და შუა საუკუნეების სიტყვაკაზმულმა მწერლობამ მიაქცია ყურადღება ბოლოს მსოფლიო რომანტიზმმა შავი ყორანის სიმბოლიკური ცნება მიიღო, როგორც ბოროტების შემცველი ფენომენი, მაგრამ არც ერთი პოეტის შემოქმედებაში ამ ცნებას არ მიუღწევია ისეთ სიმალემდე, როგორც ნიკო ბარათაშვილის „მერანში“.

მერანისა და ყორანის შერკინების ფონზე ბარათაშვილი ქმნის იდეურ და მხატვრულ კონცეფციას, სადაც კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა მოჩანს, როგორც ლოგიკური ფაქტორი ცხოვრებისა. ის არ განისაზღვრება დროის ლოკალით და მუდმივი ფაქტორის მნიშვნელობა ენიჭება.

გალაქტიონიც ამ ჭრილში ათავსებს შავი ყორანის სიმბოლიკას, მაგრამ ფორმისა და შინაარსის პრობლემატიკა სხვადასხვაგვარად წყდება, რადგან სხვადასხვა დროის ფაქტორები მოქმედებენ.

ბედგამწარებული პოეტი ცხოვრების დიდ გზაზე მიისწრაფის ახალი სინამდვილისაკენ, ახალი იდეალებისაკენ. შავი ყორანი გამყივარი ხმით აფრთხილებს პოეტს: ნუ იხედები წინ, რადგანაც წინ არაფერია ისეთი, რომელიც ეთანხმებოდეს შენს იდეალებს. ნურავის ნუ ელი ამ გზაზე, რადგანაც ეს არის დაწყველილი გზა და ამ გზაზე მოსიარულეს სიცოცხლის ფასად უჯდება ჭეშმარიტების მოპოვება. მაგრამ პოეტი ტანჯვითა და მწუხარებით აგრძელებს მძიმე გზას. უეცრად გზა ყორანისფერი ხდება:

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.
გადაიფრინა და მომაგონა

დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,
ჟამი, ყველაფრის მქნელ-გარდამქნელი,
სივრცე, ყველაფრის მიმტევებელი.

შავი ყორანის ფონზე დრო და სივრცე პოეტის მიერ კვლავ წარმოსახულია, როგორც უფსკრული, სადაც ყველაფერი ინთქმება. უფსკრულის თავზე დამდგარა ბელზებელი სიკვდილის ცელით, რათა აღასრულოს დროისა და სივრცის ბრძანება.

ამ განწყობილებით გალაქტიონი წერს ლექსს „მას გახელილი დარჩა თვალები“:

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით,
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით.
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

მზის გარდაცვალების აბსტრაქტულ წარმოდგენაში პოეტს ესმის სამგლოვიარო ხმა. ამ ხმაზე ყველაფერი ყვითლდება. ეს გარემოება პოეტში აღძრავს კოსმიურ სევდას. ამ სევდით არის გამონვეული სტრიქონები:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი,
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

მაგრამ ეს არ არის სიკვდილის აპოლოგია, როგორც სჩვეოდათ ხოლმე დეკადენტებს. აქ სიკვდილზე საუბარია, როგორც აუცილებლობაზე. რაკი მზე გვანიჭებს სიცოცხლეს და მის გარეშე შეუძლებელია რაიმე სიცოცხლე, პოეტი იძულებულია მიმართოს თვითმკვლევლობას, რადგანაც წყარო სიცოცხლისა – მზე, დროისა და სივრცის ბორკილებით შებოჭილი, გარდაიცვალა. მზის გარეშე სიცოცხლე კი სიცოცხლედ არ ღირს. თუ გონების თვალთ შევხედავთ ციტირებულ ტაეპებს, დავინახავთ, რომ იქ არის სევდა სიცოცხლეზე.

ამ შეგნებით არის გამონვეული გალაქტიონის დაუძლეველი ლტოლვა ქარებისაკენ, როგორც ცხოვრების განახლების სიმბოლოსაკენ:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს...
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

ამ ფონზე გალაქტიონის სევდიანი სახე ერთხელ კიდევ გაიღვებს „მგლოვიარე სერაფიმებში“. პოეტი გაიხსენებს მთელ თავის ცხოვრებას. მძიმე გზა, რომელიც ცხოვრებაში ტანჯვით გაიარა პოეტმა, აქ წარმოდგენილია, როგორც ტანჯვისა და დიდების გზა. მე პოეზიამ

სიკვდილისა და დავიწყების მსახვრალ ხელს ამარიდაო, – ამბობს პოეტი, – პოეზიამ მე მარგუნა, ერთი მხრივ, დაფენები, ვით კეისარს, მეორე მხრით, ვცლიდი შხამით სავსე ფიალებს. როცა მოვკვდები, საფლავზე დადგებიან ცაცხვები, მოვლენ პოეზიით შთაგონებული ადამიანები, და იტყვიან: „აი ჭეშმარიტი პოეტი“, თანაც დასძენენ:

როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაქტიონი.

დასკვნა: გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკის სევდიანი კილო გაპირობებულია ეპოქის ხასიათით. სინამდვილის ფილოსოფიური წარმოსახვა მხატვრულ ფორმაში და იმ პრობლემატიკის ესთეტიკური აღქმა, რომელიც ერთი მხრით პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ წარმოიშვა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, მეორე მხრით, – „ყოფნა-არყოფნის“ მარადიული პრობლემის გააზრებით, – გადაიქცა გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკის ორგანულ ნაწილად. ეპოქის ხასიათთან ერთად, გალაქტიონის პოეტურმა ინდივიდუალობამ განსაზღვრა მისი ფილოსოფიური ლირიკის ბუნება. ამავე გარემოებით არის მოძებნილი დიდებული მხატვრული ფორმა, რომელიც ადეკვატურია პოეტის მდიდარი სულიერი ცხოვრებისა.

გალაქტიონი თავის ფილოსოფიურ ლირიკაში როდი ემორჩილება უნუგეშო ხვედრს, რომელიც მაშინდელმა სინამდვილემ არგუნა პოეტს. არაგონიერ სინამდვილესთან სულიერი კონფლიქტი განსაზღვრავდა გალაქტიონის პოეზიის ძალასა და სიმდიდრეს. აწმყოს უარყოფა მომავლის სახელით – იყო სასიცოცხლო დევიზი პოეტისა.

გალაქტიონის პოეტური სტიქია იყო მუდმივი ძიება და სწრაფვა ახალი სინამდვილისაკენ.

გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა ადასტურებს გალაქტიონის მხატვრული ხილვის არამარტო ფართო ჰორიზონტს, არამედ მისი წარმოსახვის მხატვრული ფორმის ორიგინალობას, რომელიც განსხვავდება ქართული პოეზიის დღემდე არსებული კლასიკური ფორმებისაგან.

როცა გალაქტიონის ორიგინალურ ფორმაზე საუბარი, აქ არ უნდა ვიგულისხმოთ მისი ლექსების მხოლოდ რიტმისა და რითმის სიახლე, რომლებიც თავის მხრივ მართლაც გაუმეორებელი არიან ქართულ ლიტერატურაში, არამედ საუბარია მთელ კომპლექსზე, მთელ მხატვრულ ქსოვილზე, სადაც სინამდვილის მხატვრული წარმოსახვიდან გამორიცხულია ხბოსებური აღტაცება, – გამოწვეული რაღაც წუთიერი, არამკვიდრი უშუალო შთაბეჭდილებიდან. სინამდვილის მხატვრული აღბეჭდვა გულისხმობს მის გულში შეჭრას, მისი ყველა საიდუმლოს გახსნას, მასში მოქმედი ძალების შეჯახების ნიადაგზე გამოწვეული ტრაგედიის ღრმა შეცნობას, ადამიანთა სულიერი ცხოვრების სწორად გაგებას, რომ ეს ნახული და განცდილი გადაადნოს შემოქმედების სულის ბრძმედში, რათა რეალურმა სინამდვილემ ხელოვნებაში იპოვოს თავისი მხატვრული ასახვის შესატყვისი ფორმა.

გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა ადასტურებს, რომ მის ყოველ ლექსში იგრძნობა დიდი ჰორიზონტი პოეტური ხედვისა და ცხოვრების მხატვრული შემეცნების უდიდესი სიღრმე. ის რეალურ სინამდვილეს უმზერს, როგორც მიუდგომელი მსაჯული. მან კარგად იცოდა მისი ავიცა და კარგიც. ის ეძებდა მშვენიერს, მაგრამ გვერდს არ უვლიდა მახინჯს. მან იცოდა, რომ მშვენიერი მთელ თავის ბუნებას ააშკარავებდა სიმახინჯის გვერდით. პოეტი ეტრფოდა შორეულსა და მიუწვდომელს, მაგრამ აწმყოს როდი უარყოფდა წარსულის სახელით. აწმყოს იგი აფასებდა მხოლოდ მომავლის, უკეთესი მერმისის თვალსაზრისით.

გალაქტიონმა იცოდა სიმღერა მთელი გულით და მისი გულწრფელობა აღემატებოდა ადამიანურ შესაძლებლობას. იგი გულდაკოდილი მღეროდა, მაგრამ ნათლად ხედავდა მომავალი დღის განთიადს.

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში აისახა გარკვეული ეპოქის ადამიანების სიხარულიცა და მწუხარებაც, მაგრამ ის არ მომკვდარა ამ ეპოქისა და ადამიანების სიკვდილთან ერთად. მხატვრული განზოგადების კოლოსალურმა უნარმა, რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედის ბუნებრივი თვისებაა, გალაქტიონს მისცა საშუალება თავის დროის ტკივილებზე ემღერა

ისე, რომ ის საყოველთაო, ზოგადი, სხვა დროისა და ადამიანებისთვისაც ახლობელი, მათი სულიერი ცხოვრების ნაწილიც ყოფილიყო. ამიტომაც, რომ ყოველი ახალი თაობა გალაქტიკონის ფილოსოფიურ ლირიკაში იპოვის ესთეტიკური სიამოვნების უშრეტ წყაროს.

ასეთია გალაქტიკონის ფილოსოფიური ლირიკა მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, 1956, X, გვ. 157-171.

გრიგოლ კიკნაძე

ქართული ლირიკის განვითარების ერთი ასპექტი¹

[...] გალაქტიკონ ტაბიძე თანამედროვეობის ერთი ურთულეს ხელოვანთაგანია და მისი შესწავლა-დახასიათება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასათვალისწინებლად ზოგიერთი რამ ახლაც შეიძლება ითქვას.

გალ. ტაბიძის ლირიკა კარგა ხნის განმავლობაში იყო გარშემორტყმული სევდის დაბინდული შუქით. ეს შუქი ამ ლირიკის სიღრმეშიც იჭრებოდა და მის მამოძრავებელ მოტივებს ეუფლებოდა. მართალია, აქ ზოგჯერ სიცოცხლის სიყვარულიც იჩენდა თავს, მაგრამ ეს სიყვარული თითქმის ვერასდროს ვერ აღწევდა **სიცოცხლით სიხარულის** დონემდე. ყოველ შემთხვევაში, სიხარული ნამდვილ მეტოქეობას ვერ უწევდა მისი შემოქმედების სხვა მოტივებს. რასაკვირველია, ამას გარკვეული სოციალური ვითარება განსაზღვრავდა, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა მხოლოდ ამ ვითარების გამომხატველი პოეტური ფაქტების რაგვარობა.

გალ. ტაბიძემ კიდევ უფრო გააფართოვა შინაარსი და ფარგლები იმგვარი ლირიკისა, რომელიც აქამდე ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური მღელვარებით აღბეჭდილი ლირიკის სახით მოგვეპოვებოდა. გალ. ტაბიძის ლირიკაში მარტო ბედი, საკვირველი ხმა და სულით ობლობა როდი ჩანს. მისი პოეზიით ჩვენს მწერლობაში პირდაპირ შემოიჭრა და მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა საიდუმლო ფილოსოფიური იერით შეღებილმა ლექსიკამ, **რადაც, სწორედ რადაც**, მნიშვნელოვანზე მიმითითებელმა **ზმანებამ, ეფემერამ, ცენტავრებმა, ქიმერებმა და სერაფიმებმა**. გალ. ტაბიძემ პირდაპირ უჩვეულო ენერგია განავითარა, რათა ქართული ლექსის სტილისტურ ქსოვილში ჩაერთო **ექსპრესი და ომნიბუსები, ოქტავები, რადიო და რენტგენი, ამეტისტები, გობელენი, პასტორალები, სატურნალი და პინგვინები, პირამიდები, ელიზეუმი, სფინქსი და რეტროსპექტივი...** უკვე ამგვარი შორეული ლექსიკით მიაღწია გალ. ტაბიძემ იმას, რომ გაერღვია ადრინდელი ქართული პოეტური სიტყვის საზღვარი და შეექმნა შთაბეჭდილება საკუთარი პოეზიის სიმალლისა და მისი შინაარსის მიუწვდომლობის შესახებ. გალ. ტაბიძის ლირიკაში ელავდნენ უცხოელი პოეტების, მხატვრების და ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები, რაც მის ლირიკას ფართო ფილოსოფიურ პიედესტალზე აყენებდა და ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა დამონმება ჰეგელისა და ხსენება ლოგოსისა:

წმინდა ნათელში, ამბობს გეგელი,
წმინდა სინათლის დიად ბადეში
ისე ცოტაა გასაგებელი,
როგორც რომ წმინდა სინყვდიადეში.
შედგება ფიქრი თეთრ აკლდამაზე
გაუნელებელ ცეცხლის, ნაცარის,
სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე...
ლოგოსი... აზრი – მისი, რაც არის.

¹ იბეჭდება გალაქტიკონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი.

მაგრამ ამდაგვარი ფილოსოფიური ექსკურსები ჯერ კიდევ სრულიადაც არ მოწმობს ფილოსოფიური სისტემების წვდომასა და მათს მიმდევრობას. ეს მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიური ინტერესების არსებობასა და ამ ინტერესებით დატვირთული ეპოქის წინაშე ხარკის მოხდაზე მიუთითებს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ჩვენს პოეზიაში ისეთი ინტერესი ამ რიგის საკითხთადმი, როგორც ვალ. ტაბიძემ გამოიჩინა, მანამდე არავის გამოუმჟღავნებია. ეს იყო გამოხატულება ერთგვარი ფილოსოფიური წყურვილისა და, როგორც **წყურვილი**, უკვე თავის თავშივე შეიცავდა ლირიზმს. მაგრამ ამ ნიადაგზე წარმოშობილ ლირიზმს აღარ გააჩნდა ბარათაშვილისებური მღელვარების ხარისხი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თვითონ ეძებდა პასუხს და ამიტომ ძიებისათვის დამახასიათებელ მღელვარებასაც ამჟღავნებდა, ხოლო ვალ. ტაბიძე კი სხვების მიერ უკვე მოწოდებულ უიმედო პასუხს ეყრდნობოდა. იგი ხშირად საბოლოო გადაწყვეტილებას გვამცნობდა და ამბობდა, რომ „ერთადერთი გზა არის სიკვდილი“. ყველაფერი ეს ვალ. ტაბიძეს წარმოგვიდგენდა სევდით გამსჭვალულ პოეტად და თუ მკითხველს მის ამდაგვარ ლექსებში რაიმე მაინც ახარებდა, ამ სიხარულის წყარო ჩვენი პოეტის მიერ სევდის გასაოცარი სიღრმით, ძალითა და მრავალფეროვნებით გადმოცემა იყო.

ვალ. ტაბიძის ერთი დამახასიათებელი თვისებაა ისიც, რომ მისი ლირიკის შინაარსს პოეტის **გრძნობათა ანმყო** შეადგენს. მართალია, იგი თავის წარსულზე ხშირად ლაპარაკობს, მაგრამ იმგვარად, რომ განცდის ხარისხით ეს წარსული ანმყოსგან არ გამოირჩევა. ეს არის წარსულ გრძნობათა ხელახალი აღდგენა ისეთი ძალით, რომ მათ არ ეტყობათ ინტენსივობის ოდნავი შენელება. კი. მის შემოქმედებაში თითქმის ნაშლილია ყოველგვარი საზღვარი, რაც აქტუალობის თვალსაზრისით ურთიერთისაგან მიჯნავს წარსულ გრძნობათა მოგონებას ანმყოში მიმდინარე გრძნობებისაგან. პოეტის მოგონებები ახლაც „მის თვალწინ რბიან სევდიან რხევით“, ახლაც ათოვს მის წარსულ „ზმანებებს და მწუხარებას“. წარსულის გრძნობები იმდენად აქტუალურადაა მოცემული ვალ. ტაბიძის ლირიკაში, რომ პოეტი ერთგან ამბობს:

ცრემლი მდიოდა, – რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა.

გრძნობათა ამგვარი უშუალობაც ანათესავებს ვალ. ტაბიძეს ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ოღონდ ის მაინც აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეოდა და ეუფლებოდა თავის გრძნობებს, ხოლო ვალაკტიონ ტაბიძეს კი თვითონ გრძნობები ისე დაეუფლნენ, რომ ხანდახან ისინი ურეფლექსიო განცდების სახითაც კი გვევლინებოდნენ.

ამ გარემოებამ მისი ლექსების შინაარსობრივ დინებაშიც იჩინა თავი. თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში თვალსაჩინოა შინაარსობრივი კავშირი სტროფთა შორის და სტროფებს შიგნით, თუ ეს კავშირები იქ ყოველთვის მოწოდებულია, ანდა მრავალწერტილით არის მინიშნებული, ვალ. ტაბიძის ლირიკაში ასეთი კავშირები ყოველთვის და ყველასთვის თანაბრად ნათელი არ არის. პოეტი ხშირად თავისუფალ ასოციაციებსა აყოლილი და მაინცდამაინც არ ზრუნავს აუცილებელი შინაარსობრივი კავშირების დამყარებაზე. ასე, მაგალითად, ადვილი არ არის ერთმნიშვნელოვანი აზრითი კავშირის დანახვა პირველ ორსა და მათ მომდევნო ორ სტრიქონს შორის შემდეგ სტროფებში:

დღე გაფითრდა იაგუნდის,
დგას ღრუბლების ჯგუფები.
რაგინდ დიდი გული გქონდეს,
მაინც დაილუპები.

დარჩება აუზთან სანდალი
და ძველი ფოთლები, ყვითელი...
რომანზე ისვენებს შანდალი,
რომანში შემლილი სკვითელი.

სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს,
ვით გულგრილობა და არა ცნობა.
ეს უნდობარი აღტაცება შენ არ გაგიშვებს,
თუმცა ხანდახან ნებდება გრძნობა.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი.
მწუხარე თვალებით მინას დაყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამოდ დაგენდე,
ელვარე სალამოვ აღმას საყურეთა!

ძნელია ამ სტრიქონთა გამაერთიანებელი აზრის პოვნა, მაგრამ ადვილია მათი განცდა. აქ განცდათა ისეთი თავისუფალი დინებაა, როდესაც ყველაფერი შეიძლება ყველაფერს დაუკავშირდეს და ასოციაციაც მხოლოდ სულიერ შინაარსთა ამგვარი დაკავშირების ფაქტს აღნიშნავდეს. ძნელია, და ხანდახან – ამოც, ლოგიკურად გამართული აზრობრივი თანმიმდევრობის ძიება გალ. ტაბიძის ლირიკაში, რადგან მისი ლირიკის „აზრი“ განცდაა. ალბათ ამიტომაც იყო და არის მიუწვდომელი პედანტური გონებისათვის გალ. ტაბიძის პოეტური „ლურჯა ცხენები“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო გალ. ტაბიძის უფროსი ძმა. ასეა ეს არა მარტო ზემო-დასახელებული ლირიკული ხაზის მიხედვით, არამედ პოეტური ლექსიკის თვალსაზრისითაც. ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოიტანა ახალ ქართულ პოეტურ სამყაროში ბედისა და ქროლვის მოტივები, მის სახელს დაუკავშირდა ცისფერისა და ლურჯად მლელვარე ტალღების ხილვა, მან გვაზიარა მწუხრისა, იდუმალებისა, ბუნდოვანებისა, მიქანცებულისა და შუქმიზინდულის... ესთეტიკურ მხარეს.

აქედან ამოიზარდა გალ. ტაბიძის პოეტური ლექსიკა და ასე შეერთო ის თანამედროვეობის ლიტერატურულ ტენდენციებს. ბედის გვერდით გალ. ტაბიძემ შექმნა **„გაბედითება“** („ოცნებას მღერის გაბედითებით“; „შესძლებს გადმოსცეს იმა დღეთა გაბედითება?“), **ქროლვის** გვერდით და მის გასაძლიერებლად მან **„თარეში“** მოიმარჯვა. **მიზუნდვას „შეზინდებუნდების“** ნიუანსი დაამატა, იისფრად და ლურჯად წარმოადგინა არა მარტო ტალღები და ცა, არამედ – აჩრდილი, ტრიალი და ნიავექარი, მწვერვალები, სიზმარი და ორთქლი („ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას“; „ლურჯი ტრიალით ბრუნავენ მთები“; „ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავექარად“; „უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები“; „თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი და დაღალული სიზმრით დამთოვა“; „და სცურავდენ ამ ლურჯ ორთქლში ვარსკვლავები, ყვავილები“). გალ. ტაბიძე გასცილდა იისფერი თოვლის მომხიბვლელ ხატს და სინესთეზიის საზღვრებში შეიჭრა, როდესაც ერთმანეთს შერწყა ბგერა და ფერი:

სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს,
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს **იისფერ სიტყვებს**
და **ცისფერ სიტყვით** ეძებს ციაგებს.

მრავალნაირად ისარგებლა გალაკტიონ ტაბიძემ წინამორბედი პოეტური გენიით, რათა შემდეგ თვით შეექმნა ისეთი საფეხური ქართული ლირიკისა, რომელმაც მკითხველი დაიპყრო, მიმდევრები გაიჩინა და თვითონ კი დაუპყრობელი დარჩა.

გალ. ტაბიძე შუბლმოდრუბლული ეპოქიდან მოვიდა. იგი დიდხანს იყო ამნაირი ეპოქის მთრთოლვარე შვილი, მაგრამ ბოლოს ყველა განაცვიფრა, როდესაც საბრძოლველად მოემზადა და მკვახედ განაცხადა:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,

ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

ასე დაიწყო **ახალი** გალაკტიონი, რადგან მან უკვე შეიძინა ჭაბუკის მოელვარე
ენტუზიაზმი...

წიგნიდან: „მეტყველების სტილის საკითხები“, თბილისი, 1957.

გიორგი ჯიბლაძე

ბალაკტიონ ტაბიძე¹

[...] როცა გალაკტიონ ტაბიძემ შემოაღო ახალი ქართული ლიტერატურის კარები, გა-
მოჩნდა პოეტის სახე, ბრძოლითა და გამარჯვების წყურვილით ანთებული, ხოლო შემოქმედე-
ბაში სრულიად ახალი შთაგონებით გააზრებული.

საზოგადოებრივად მძიმე დროს, **რეაქციის წლებში** გამოვიდა ეს დიდი პოეტური
მეტრით მომღერალი ლიტერატურულ ასპარეზზე. პირველი მისი ხმა იყო გამარჯვების ჰიმნი,
სიმღერა მომავლისათვის საიმედოდ გადანახულ, მრავალ ბრძოლაში გამოვლილ დროშებზე,
პირველ მაისზე, ნასაკირალის გმირულ დღეებსა და მომავლის იდეებზე. მაგრამ რეაქციამ,
შეხუთულმა ატმოსფერომ, პოეტის მსოფლშეგრძნებაში დაჰბადა უიმედობა, სევდა და მის-
ტიციზმიც. იმდროინდელი სინამდვილით უკმაყოფილება ტაბიძემ ჩააქსოვა მხატვრულ სა-
ხეში – **შავი ყორანი**, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა, გზას უბორკავდა, პესიმიზმთან
მიჰყავდა და სასონარკვეთილებაში აგდებდა. [...]

ეს იყო იმდროინდელი სინამდვილისადმი **უარყოფითი** დამოკიდებულება, რომელმაც
თავისი გამოხატულება ჰპოვა, ერთის მხრივ, **მებრძოლ განწყობილებასა** და, მეორეს მხრივ,
მკაფიოდ გამჟღავნებულ **პესიმიზმსა და მისტიციზმში**. ამ დროს მარტოობის მწუხარე
გრძნობა ეუფლება პოეტის არსებას, ქვეყნად მეგობარი არავინ ეგულება და ერთადერთი,
რომელსაც თავის ფიქრს უზიარებს, ანდობს გულის საიდუმლოს, ესაა მხოლოდ ღამე,
გრძნეული ღამე, რომელსაც ეძღვნება 1912 წელს დაწერილი უძლიერესი ლირიკული ლექსი
– „მე და ღამე“. [...] ყველაფერი აქ ისე ჩაქსოვილია ერთმანეთთან, პოეტის **პირადი განცდები-
ცა და ბუნების საკვირველი სანახაობანიც**, რომ სუბიექტური ქვეყანა თითქოს ობიექტურ
სამყაროს უერთდება, როგორც მისი ორგანული ნაწილი. თვით ღამეც კი, რომელიც ადამიანის
ცნობიერებაში შავისა და ბნელის განმასახიერებელია, თეთრი მანტიით შემოსილა, რაკი
პოეტის საიდუმლო გაუგია და მისი მეგობარი გამხდარა... ეს არის **ლირიკული გმირისა და
ობიექტური სინამდვილის** ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც იშლება როგორც სოცი-
ალურ სფეროში, ისე ბუნების უშუალო წიაღის ფონზე. [...]

„მთანმინდის მთვარე“ [...] დაინერა ქართულ ლიტერატურაში სრულიად ახალი ლი-
ტერატურული მიმდინარეობის სამოღვაწეოდ გამოსვლის კვირაძალზე. ამ მიმდინარეობას
ენოდებოდა **სიმბოლიზმი**, რომელმაც მწერლობაში გამოჩენისთანავე **„ცისფერი ყანების“**
სახელწოდება მიიღო.

ჩვენი ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი თუ კრიტიკოსი, რომელიც საფუძვლიანად
განიხილავს XX საუკუნის ქართული მწერლობის მთელ მემკვიდრეობას, აუცილებლად შე-
აჩერებს თავის ყურადღებას ცისფერყანწელების შემოქმედების **გენეზისზე**. მის წინაშე უთუ-
ოდ დაისმება საკითხი, თუ რა საფუძველი ჰქონდა ასეთი ლიტერატურული მიმდინარეობის
წარმოშობას; იყო თუ არა **საზოგადოებრივ-ეკონომიკური ბაზისის გარდა**, თვით მწერლობაში
ისეთი ტენდენცია, რომელიც გვაუწყებდა მომავალ პოეტურ მაჯისცემას, ან მოსალოდნელ
ახალ სკოლებს. შეუძლებელია გვერდი აუარონ იმ გარემოებას, რომ ქართველმა სიმ-

¹ იბეჭდება ვრცელი მონოგრაფიის რამდენიმე ფრაგმენტი.

ბოლისტებმა, რომლებმაც 1916 წელს გამოსცეს ჟურნალი „ცისფერი ყანები“, გამოაქვეყნეს „ახალი პოეზიის“ ნიმუშები და, რაც მთავარია, **შემოქმედებითი დეკლარაციები**, მართალია, უშუალოდ მიმართეს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დეკადენტებს, მაგრამ უფრო ადრე ისინი უთუოდ იყვნენ შთაგონებულნი გალაკტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის ლექსებით. ვინც ამ ლექსებს გულდასმით წაიკითხავს, ღრმად ჩაუფიქრდება და მკვლევარის ანალიტიკური გონებით მიუდგება, ის შეამჩნევს, რომ **„ედგარი მესამედ“**, **„მთანმინდის მთვარე“**, **„ლურჯა ცხენები“**, **„საახალწლო ეფემერა“**, 1915 წელს დანერილნი, ხოლო უფრო ადრე გამოაქვეყნებული **„ხელოვნება“** (1909 წელი), **„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“** (1914 წელი), **„ამაო ძახილი“** (1912 წელი), **„მწვანე ზოლი მთის“** (1914 წელი), **„ბედისწერა“** (1914 წელი), **„ორი“** (1908 წელი), **„შავი ყორანი“** (1912 წელი), **„გურიის მთები“** (1914 წელი) ლიტერატურულად, სინამდვილის მხატვრული ათვისების თვალსაზრისით, ნიადაგს უმზადებდნენ ქართველ სიმბოლისტებს. ამიტომ ბუნებრივი იყო, თუ გალაკტიონ ტაბიძე ქართველ სიმბოლისტებთან ერთად უმღეროდა 1916 წელს ედგარ პოს, არაქვეყნიურ ლანდს, „შემოდგომას უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, მკვლევლობას და თვითმკვლევლობას, პოეზიით თრობას, რიმანელ გენიას და სინამდვილის სიმბოლური ასახვის გზით მიდიოდა. მართალია, **ქართველ სიმბოლისტთა** შორის გალაკტიონ ტაბიძე ყველაზე ნაკლებად ჩანდა **სიმბოლისტად**, მაგრამ ლიტერატურული სათავე, ყველაზე უფრო კეთილშობილური სახით, ამ მიმდინარეობას ჩვენს მწერლობაში მან დაუდო [...] თვით გალაკტიონ ტაბიძემ განიცადა **რუსული და ევროპული** სიმბოლიზმის გავლენა, მაგრამ ეს მოხდა ისე თავისებურად, ისე ორიგინალურად, რომ იგი არასოდეს არ მისულა **რუსული და ფრანგული სიმბოლიზმის ეპიგონობამდე**. მართალია, დასავლეთ ევროპისა და რუსი სიმბოლისტების მსგავსად, მან უარჰყო სიტყვა, როგორც აზრისა და გრძნობის გამოთქმის საშუალება, მისი ადგილი ლექსში ერთხანს დაუთმო სიმბოლოს, მაგრამ **სიტყვის დეკადენტურ სრულ უარყოფამდე, როცა სიტყვა იშლება ბგერებად და ასოებად, პოეტი არასოდეს არ მისულა.** [...]

ფრანგმა დეკადენტებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს **„წმინდა პოეზია“** და **სიტყვა, შინაარსი და ფორმა, აზრი და სიმბოლო**, კლასიკური ლექსის **ტრადიცია** და მისტიკაში გახვეული **ნოვატორობა**, აზრი თითქმის გაჰქრა და მისი ადგილი **მუსიკალობამ** დაიკავა, უცნაურმა მუსიკალობამ, რომელსაც უაზრო სიტყვებით ისევ უაზრო, უცნაური აზრი უნდა გამოეხატა. ამიტომ დაიბადა საჭიროება ლექსში მთავარი ყურადღება მის მუსიკალობას მიქცეოდა, მიღწეულიყო „სასიამოვნო ჰარმონია“, ყოველგვარი მსხვერპლის ფასად, ხოლო ეს მსხვერპლი, დეკადენტების აღიარებით, ანაზღაურებული იქნებოდა უფრო დიდი ღირებულების **„სილამაზით“**, რომელსაც ისინი **სიმახინჯეს** უწოდებდნენ.

არცერთ თავის ნაწარმოებში **გალაკტიონ ტაბიძე** ამ საბედისწერო გზით არ წასულა. მან სულ სხვა იდეალი დასახა, სხვა შთაგონებას დაუწყო სამსახური, ხოლო დეკადენტების საყოველთაოდ გავრცელებულ ესთეტიკურ იდეალს – **„მუსიკა უპირველეს ყოვლისა“**, – რომელიც ასე კატეგორიული ფორმით გამოთქვა პოლ ვერლენმა დეკადენტების სიმბოლურ სახარებაში – **„პოეტური ხელოვნება“**, – 1919 წელს დაუპირისპირა **„პოეზია უპირველეს ყოვლისა“**. [...]

პოეტურ დეკლარაციას – **„პოეზია უპირველეს ყოვლისა“**, – რომელიც უაზრო მუსიკის ნაცვლად მოითხოვდა პოეზიის უფლებათა აღიარებას, პოეზიისა, დაკავშირებული რომ იქნებოდა „სიხარულის შეგნებასთან“, „ხალისისა და ბრძოლის“ სიმღერებთან, – ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ იყო „ძიების ბურუსიდან“ სრული გამოსვლა. მაგრამ იყო იმის სასიხარულო შეგნება, რომ პოეზია დარჩენილიყო **აზრის, მოქალაქეობრივი მოვალეობის, ჭეშმარიტების, ბრძოლის, ადამიანური სილამაზის, მშობლიური მიწაწყლისა და მთელი ქვეყნის სიმღერად, სულის სიმღერად.** [...]

სიმბოლისტურ-დეკადენტური შემოქმედებითი პრინციპებისადმი ამ დაპირისპირებას თავისი ლოგიკური საფუძველი, თავისი ღრმა ფესვები ჰქონდა, რასაც ბუნებრივი შედეგი მოჰყვა. მაგრამ ამ შედეგს თან ახლდა წინააღმდეგობანი, ბრძოლა და ჭიდილი, ვიდრე იგი თავისი სრული სახით მოგვევლინებოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სიმბოლისტურ-დეკადენტურ პოეტიკას გალაკტიონ ტაბიძე თავიდანვე ეხმაურებოდა მთელ რიგ ლექსებში, თუმცა ზოგი-

ერთი მისი პრინციპის აღიარებას უპირისპირებდა ისეთ credo-ს, რომელიც სულ ცვლიდა თითქოს უკვე მიღებულ დებულებათა შინაარსს, ან კიდევ აღიარება უფრო დეკლარატულ-პოეტურ ხასიათს ატარებდა. [...]

სიმბოლიზმი [...] დევნიდა ნათლად გამოთქმულ აზრს, აღიარებდა პოეზიაში მარტო-ოდენ **მინიშნებას აზრზე** სიმბოლოების საშუალებით, რათა ბუნდოვანი გრძნობები აღძრულიყო მისტიკურ სამყაროსთან მიახლოებისათვის. ეს „თეორია“ გალაკტიონ ტაბიძეს ბოლომდე არ მიუღია, თუმცა „ლურჯა ცხენებსა“ და „მთანმინდის მთვარეში“ მისკენ გადაიხარა, ხოლო რიგ ლექსებში გამოამჟღავნა ზოგიერთი მისი შემოქმედებითი პრინციპის თავისებური გაგება. ყოველივე ეს შინაგანი ბრძოლის, მერყეობის, ძიებისა და იმედგაცრუების საფუძველზე ხდებოდა. იმ დროს, როცა პოეტი თავის არსებაში გრძნობდა ყველაზე ძლიერ მოწოდებას ყოველთვის დარჩენილიყო **ქართული რომანტიკულ-რეალისტური ლექსის კლასიკურ ტრადიციებთან და მას არ მოწყვეტოდა**. იგი ეძებდა, იძიებდა, ებრძოდა, ეთანხმებოდა, უარყოფდა, ტაშს უკრავდა, მოსთქვამდა, იცინოდა, ჰგოდებდა, სამყაროს უსასრულობაში იხედებოდა, ფილოსოფიურ პრობლემებს ეჭიდებოდა, ოღონდ ჭეშმარიტი გზა გაერკვია არსებობისა და ზნეობისა. [...]

სიმბოლისტური პოეტიკა, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, უაზრობის გაბატონებას მოითხოვდა. მხოლოდ გრძნობას და სიმბოლოს, გადაკრულ თქმას უნდა წარმოეშვა აზრი, მაგრამ მე მაინც არ მესმის, თუ რას უნდა ამბობდეს პოეტი ლამაზ ლექსში, როგორიცაა **„თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“**. მასში ჩვენ ვერ ვნახეთ **დამთავრებული აზრი**, ხოლო ლექსში მოცემულმა განწყობილებამ ასევე გარკვეული იდეა ვერ გამოიწვია. შესაძლოა ეს იყო სიმბოლისტური პოეტიკის მიხედვით კალმის ნათამაშევი? იქნებ რომელიმე მკითხველმა ახსნას დასრულებული აზრი ან შინაარსი „დიკენსის გმირის ცეცხლთან ჩაფიქრებისა“? თუ აქ მთელი აზრი ის არის, რომ პოეტს სურს ხაზი გაუსვას **სუბიექტურში ობიექტურის შეჭრას**, რაკი თვითონვე ამბობს – „იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერიო“, მაშინ კიდევ შეიძლება რაღაც წარმოვიდგინოთ, რაღაც განვიაზროთ, მაგრამ თვით ლექსი კი მაინც ძნელმისახვედრი და დამაფიქრებელია... ასეთი ხასიათის ლექსები კიდევ გვხვდება პოეტის შემოქმედებაში და ყველა ისინი **სიმბოლისტური პოეტიკის** ნიშნებით არის აღნიშნული, როგორც **„ვჟალისა და ვიოლეს შესახებ“**, რომელიც ძალიან უახლოვდება ფრანგული სიმბოლიზმის მამის, პოლ ვერლენის, ესთეტიკურ კატეხიზმოს. [...] ამ ლექსთან დაკავშირებით ჩვენ შემთხვევით არ გვისხენებია **ვერლენი**, ვინაიდან პოეტმა თვითონვე უწოდა მას „დაღუპული მამა“ ცნობილ ლექსში – **„ჭიანურები“**, რომელიც აგრეთვე სიმბოლისტური ხასიათის ლექსთა წყებას უნდა განეკუთვნოს. ამ ნაწარმოებში დელიბის ოპერა „ლაკმესთან“ დაკავშირებული განცდები პოეტს მისტიკური გარსით შეუმოსავს და პირდაპირ გაუმჟღავნებია, რომ, მართალია, იგი იგონებს პარიზს, სადაც ქართველი სიმბოლისტების „ლოთი ძმები“ გუნდრუკს უკმევდნენ „ახალ პოეზიას“, მაგრამ **გმობს** მას და ამ „დაგმობაში“ **დეკადენტიზმის წინააღმდეგ ერთგვარი საპროტესტო ხმაც ისმის**. [...]

ეს ლექსი სრულებით არ იყო გამონაკლისი იმ პერიოდის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ანალოგიური განწყობილებით დაიწერა არაერთი ნაწარმოები, რომლებშიაც პოეტმა თავისებურად მიიღო სიმბოლისტური პოეტიკის ზოგიერთი პარადოქსი და უთუოდ იქონია გავლენა ცისფერყანწელური პოეზიის განვითარებაზე.

ქართულ სიმბოლიზმს, დასავლეთევროპელი პოეტების გარდა, შეუძლებელი იყო, შთაგონება არ მიეღო გალაკტიონ ტაბიძის ისეთი ლექსით, როგორიცაა 1914 წელს დაწერილი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. ამ ლექსში ბევრია ის, რაც „ცისფერყანწელმა“ შემდეგ თავიანთი პოეტიკის აუცილებელ მოთხოვნებად გამოაცხადეს: რელიგიური **ფანატიზმი**, ცხოვრების მიჩნევა, როგორც **სიზმრისა, ცისფერის იდეალი, ბოჰემის ქადაგება, შურისძიების წყურვილი**, არარსებული **ჯოჯოხეთის** უცნაურობათა დაკავშირება რეალურ ყოფასთან, სიკვდილის **აჩრდილთა** წარმოსახვა და სამარის დეკადენტური **„ფილოსოფია“**. თვით ლექსი კი მხატვრული სამკაულით, შინაგანი ღირსებებითა და პოეტური გრძნობით ისე მაღლა იდგა, რომ მან უთუოდ დაიკავა ერთერთი პირველი ადგილი გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში. [...]

აქ ბევრი რამ გვაგრძნობინებს მომავალი ცისფერყანწური პოეზიის იდეალს: ქრისტიანული ლოცვა, ცხოვრების მიჩნევა, როგორც სიზმრისა, მისტიკური გაგებით, ლოთობის აპოლოგია, ევროპული ლიტერატურული სახეების ორგანიული გამოყენება (ქართულ ნიადაგზე აღმოცენება), სიკვდილის ლანდები, დაბოლოს, **ცისფერის** სიმბოლისტური განდიდება. მთელ ლექსს ორიგინალურ სახეს აძლევს მშვენიერი, ქართულ პოეზიაში პირველად გამოყენებული დისონანსი – სილაში ვარდი – სილაჟვარდე. ერთი წლის შემდეგ იწერება **„ფარდების შრიალი“**, რომელშიაც მისტიკას უკვე სავსებით გაბატონებული ადგილი უკავია: ვილაც „დადის და აზმორებს“... ვილაც სიფრთხილით უვლის გარს „ხავერდებს, ხალიჩებს, ბნელ კარებს“. პოეტი „იდუმალ შუალამით – ბნელ ღამით ჩუმად“ შლის რვეულებს. „ოდნავ თრთის სანთლის ალი... სიჩუმეა“. „ის (გაურკვეველია ვინ? გ. ჯ.) კუთხეში წევს გაუნძრევლად, ცივი თვალებით“. წინანდელი გზა „არსადა ჩანს“, მაგრამ „ჩნდება მწუხარება და ჟრუანტელი“. ნელ ნაბიჯს მიაპარებს შავი იდუმალეობა, სადაც ბავშვური ძალით სძინავს პოეტის „ანგელოს დას“ – „მოგონებებს, პოეზიას!“. შემდეგ იწყება სიგიჟის აპოლოგია, რაც სიმბოლიზმის, კერძოდ ქართველი ცისფერყანწულების შემოქმედებისათვის ასე დამახასიათებელი იყო:

შეხედეთ! თურმე სად მალავდა
ველური ფიქრი
თავის ბასრ ბრჭყალებს...
მე შეიძლება შემლილი ვარ
და ავადმყოფი!
ფარდების შრიალი
მაახლოვებს მშვიდ სამეფოსთან,
რომელსაც ქვია: მოლოდინი
და მღელვარება...

სევდა, მწუხარება, ტანჯვა, მწარე სინამდვილის განცდა, დაუსრულებელი მარტოობა გალაკტიონ ტაბიძის **რევოლუციამდელი პოეზიის** ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა და მისი მიზეზების შესწავლა საინტერესო საკითხებს გაარკვევს XX საუკუნის პირველი ათწლეულების ქართული პოეზიის ისტორიისათვის. [...]

გალაკტიონ ტაბიძე ყოველთვის დაამშვენებს ქართულ პოეზიას, როგორც მისი ნამდვილი დიდი წარმომადგენელი, რომელმაც ბუნებრივი ქართული სიტყვით ისეთი გრძნობები გადმოსცა და ისე შეატოკა მკითხველის გული, ისე ღრმად ჩაგვახედა ადამიანური განცდების ხვეულებსა და ნიუანსებში, როგორც ეს შეიძლო ბარათაშვილის მძლავრმა გენიამ. [...]

თუ ვინმემ აგრძნობინა ვაჟას შემდეგ ჩვენს მკითხველს **დიდი პოეტური ძალა, ქართული ლექსის სითამამე, სილამაზე, მრავალფეროვნება, მისი შესაძლებლობის განუსაზღვრელი, ფართო ველი, სილალე და ფანტაზიის წრეშეუწერელი ნავარდი**, – ეს გალაკტიონ ტაბიძე იყო, რომლის მძლავრ პოეტურ სიმფონიაში თავის საწყისებს პოულობენ მე-20 საუკუნის ქართველ პოეტთა მთელი თაობები, ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, თუ სწორედ მან დაუდო სათავე დღევანდელ ჩვენს პოეტურ მაჯისცემას, როგორც შთაგონებული ქართული ლექსის დიდმა ნოვატორმა ხელოვანმა.

ნივნიდან: „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. III, თბილისი, 1959.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ბუნებისათვის

„ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“.
მამუკა

ლირიკა ერთი ისეთი დარგია პოეზიისა, რომელიც სიტყვის „მართლად ცემისა“ და „მარჯვედ ქნევის“ უდიდეს საშუალებებს იძლევა. მას შეუძლია ადამიანის სულის ყველაზე ღრმა განცდებს შეეხოს და პირველი თოვლის უბინოებით მოიტანოს მათი საიდუმლო. ლირიკა გულისნადების გამჟღავნებას ჰგავს და ამ გამჟღავნების ფორმა დიდი ფიქრით და ტკივილით იძებნება ხოლმე. გალაკტიონ ტაბიძემ თქვა: „რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიანო“. ლირიკა ამ ადამიანური სიმწარის მოშორების ცდაა და ბრძოლაა თქმის სურვილსა და ბუნებრივ მორიდებას შორის. ადამიანის სწრაფვაა თავისი ფიქრი თუ აზრი საზოგადოებრივი გახადოს და ამით ის მატერიალურ ძალად აქციოს. ეს კეთილშობილური მისწრაფება ნებისყოფის უდიდეს დაძაბვას და დიდ შრომას მოითხოვს. მაიაკოვსკიმ შემოქმედი კაცის ბედი სიმბოლურად ჯვარცმის სახით გამოხატა:

Видите _
Гвоздями слов
Прибит к бумаге я.
(«Флейта позвоночник»)¹

ჭეშმარიტი ლირიკა ებრძვის დაშაქრულ, ტრივიალურ სიმღერას და სამყაროს რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზით იმეცნებს. ლირიკის, ისე როგორც ლიტერატურის საერთოდ, სპეციფიკა გამძაფრებული ურთიერთდამოკიდებულებაა ადამიანსა და გარესამყაროს შორის. ეს არა მარტო მღელვარე და შფოთიან სტრიქონებში ჩანს, არამედ მშვიდ და გარეგნულად გულგრილ ნაწარმოებებშიც. მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ლირიკა არ არის პირდაპირი, სწორხაზოვანი ალქმა სინამდვილისა. ლირიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელია სინამდვილის პოეტური წარმოდგენა. პოეტური ნაწარმოები, ხშირ შემთხვევაში, სცილდება ობიექტს და ამ ობიექტისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას ეყრდნობა ხოლმე. ლირიკას საფუძვლად ცხოვრებისეული სიმართლე უდევს და ნამდვილი ხელოვნება იწყება მაშინ, როდესაც პოეტი ცხოვრებასთან არამნიგნობრულ დამოკიდებულებას ამყარებს. სინამდვილის პოეტიზებული წარმოდგენა არ ნიშნავს სინამდვილის ღალატს. ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი ის ნიშანი, რომელიც მხატვრულ ლიტერატურას ფაქტის მშრალი გადმონაცემიდან ასხვავებს.

ლირიკა ადამიანის მიერ მზის ქვეშ ადგილის ძიებას მოგვაგონებს და ხან ეჭვი და სევდაა უმწეობით გამოწვეული და ხან გამარჯვების სიხარულია. პოეტი გარესამყაროში თავისი განწყობის შესატყვის მოვლენებს ეძებს და მისი „ფერადი კალამი“ საოცარი ძალით ამეტყველებს და საცნაურს ჰყოფს ადამიანისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელ საგნებს. პოეზია აღმოჩენას ჰგავს და მუდამ ახლის ძიების ცეცხლითაა გამთბარი. მე მაგონდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დედოფალა“:

საბრალო დედოფალა,
მორთული ფერადი ფარჩით,
მას აქვს დაბურდული, ოქროსფერი თმები,
ცისფერი დიდი თვალები,
პანანინა წითელი ტუჩები
და უმოძრაო ხელ-ფეხი.
სთქვი – დედოფალა:

¹ „ხედავთ – სიტყვის სამსჭვალეობით ვარ გაკრული ქალღმერთი“; პოემა „ფლეიტა – ხერხემალი“.

იმლერე, დედოფალა!
რა გქვიან შენ სახელად?
ხომ არ მიირთმევ, დედოფალა,
ბაგით ალუბლებს?
მაგრამ შენ გინდა ერთადერთი:
წყევლისაგან განთავისუფლება.

ამ პატარა ლირიკულ ლექსში თავს იჩენს საგნების ამეტყველების სურვილი, გარემოს გაცოცხლებისა და მასზე ამალღების ცდა. ამ ლექსში მოულოდნელი ასოციაციებით და დიდი ლირიზმითაა გაცოცხლებული ჩვენი ზღაპრების მოჯადოებული მზეთუნახავების: „რამდენი ხანი მძინებია!“.

ლირიკა ორგანულ კავშირშია ლიტერატურის სხვა ჟანრებთან და მასში, როგორც წვეთში, მთელი ლიტერატურის თვისებები მჟღავნდება ხშირად. ლირიკული ლექსი, თავისი ბუნებით, თითქოსდა კონტრასტულია პროზის მიმართ, ნამდვილად კი პროზა ბევრი პოეტის შემოქმედების პირველწყაროდ გვევლინება. მაგალითად, ბლოკი ლექსის პირველწყაროდ სწორედ პროზას იღებს. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ რუსო და ტოლსტოი, ეს ორი დიდი პროზაიკოსი, ლექსის წერით ინაფავდნენ ხელს და ხშირად აღნიშნავდნენ, თუ როგორ შევლოდათ ლექსი დიდტანიან ნაწარმოებებზე მუშაობის დროს. ჩვენი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან ერთი ნაბიჯილა იყო ლექსამდე და, შეიძლება ითქვას, რომ მან პოეზიის აყვავებას დიდად შეუწყო ხელი. ქართული ეპიკური პოეზია დიდ კავშირში იყო პროზასთან და პროზა (დღევანდელი გაგებით) ჩვენს წინაპრებს ესმოდათ, როგორც ლექსად ნათქვამი ამბავი.

ჩვენი ხალხის ისტორიის თავისებურებამ განაპირობა პოეზიის უპირატესი ადგილი ლიტერატურის სხვა დარგთა შორის, მაგრამ ეს უმთავრესად ეპიკური პოეზია იყო და დიდი ამბების (სიუჟეტური თხრობა) გალექსვას გულისხმობდა.¹

„ამისათვის, ვინც კი კაი მოლექსე ყოფილან, ამბები გაულექსავთ“, – ამბობს მამუკა ბარათაშვილი. ლირიკული ლექსის პირველ ნიმუშებს ჩვენ მე-17 საუკუნეში თეიმურაზ I შემოქმედებაში ვხვდებით. უდიდესი ტრაგიზმით და მღელვარებით ანთებული ლექსები რუსთაველისადმი შემოქმედებითი ჯიბრით აღზნებულ პოეტს პირველ ქართველ ლირიკოსად ხდიან:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე?
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?
სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგი არც თუ მოაწივე,
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მაშინ აგრეც შეგბრალოდე, იტირე და მო, აწი, ვე!

გაიხსენეთ თეიმურაზის შესანიშნავი ლექსი: „გრემის სასახლე“:

დავხატე ფერად-ფერადად, ჰგავს, რამე იყოს მურასო,
ტალახიანის ფერხითა ნურავინ გამიმურავსო.

რაოდენ დიდი პატრიოტული წუხილია პატარა ქვეყნის შვილისა, რომლის სახლიც ომების გზაჯვარედინზე იდგა და ყველა გადამთიელი შემოაბიჯებდა ხოლმე შიგ.

დავით გურამიშვილის შემოქმედებაშიც შეიმჩნევა ერთგვარი ცდა ეპიკური მდინარე-ბიდან სუბიექტური განცდების პოეზიის გამოყოფისა. „დავითიანში“ ჩართული სხვადასხვა ხალხთა სიმღერების ხმაზე ამეტყველებული შესანიშნავი ლირიკული ლექსები: „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“, „ზუბოვკა“ და კიდევ მრავალი სხვა ლირიკულ მელოდიაზე, ლირიკულ განწყობაზე გადასვლას აღნიშნავენ.

¹ ძველ ქართულ ლიტერატურაში ლირიკა უმთავრესად ჰიმნოგრაფიულ ხასიათს ატარებდა. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა, მაგრამ რელიგიური ექსტაზით ავსებული იამბიკოები მაინც არ იძლეოდნენ ადამიანის მღელვარე ვნებათა მთლიან სურათს.

ლექსი კონკრეტული პოეტური განწყობის გადმოცემაა. ლექსია ის ყალიბი, რომელშიაც ლირიკა თავის თვისებებს ათავსებს და ამჟღავნებს. ძნელი იყო ლექსის (ერთი ლექსის) დამკვიდრება ეპიკურობის ზღვაში. ზოგიერთი მკვლევარი უნდობლობით უყურებდა ლირიკული ლექსის პატარა ფორმას: შეუძლია თუ არა მას გადმოსცეს ცხოვრების დიდი მოვლენები? ეს უნდობლობა ზოგიერთ ჩვენს დღევანდელ კრიტიკოსს და პროზაიკოსსაც გადმოჰყვა (ვასილ ბარნოვმა გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ სიტყვაში თქვა: „საოცნებო სახეთ სიუხვე წვრილ ლექსებში ვეღარ ეტევა. გალაკტიონ! ოცნებები დაგრაზმიან, გთხოვენ პოემებს“). ლიტერატურის ისტორიაში კი მრავალი მაგალითია იმისა, როდესაც პოეტები ბოლომდე ლირიკოსებად დარჩენილან და თავიანთი ეპოქის მაჯისცემა სწორუპოვრად გადმოუციათ. ნიკოლოზ ბარათაშვილი სიკვდილამდე ლირიკოსად დარჩა და ამან სრულიად არ შეუშალა ხელი მას იმდროინდელი ცხოვრების პირველ რიგებში ყოფილიყო. ის მსოფლიო ლიტერატურის გზაჯვარედინზე იდგა და აღმოსავლეთის მუსიკით ყურგასენილი დასავლეთის ახალ ქარს ატოლებდა მხრებს. ის იყო პოეზიაში „მუდამ ზეზეულად მცხოვრები“ კაცი და თავისი დროის მიერ წამოჭრილ ფილოსოფიურ საკითხებს უდიდესი ლირიკული ძალით ანათებდა. მას არა მარტო ბუნებისა და სიყვარულის უცნაურობანი იტაცებდა, არა მარტო მარტოსულის უმწეობის დაძლევა სურდა, თავისი ქვეყნის ტკივილები სტკიოდა და საზოგადოებრივ თემებს უყურადებდა. მან დაწერა ბრწყინვალე ლექსი: „საფლავი მეფის ირაკლისა“ და ამით სამოქალაქო ლირიკას ჩაუყარა საფუძველი ჩვენში. ის თავისი პოეტური მრწამსით ცხოვრებასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და ადამიანთა უკეთეს მერმისზე ფიქრობდა.

მე-19 საუკუნე შედეგების საუკუნე იყო და ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედებაში ლირიკულმა ლექსმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში თავი იჩინა გურამიშვილის, ბესიკის, ბარათაშვილისა და ვაჟას პოეზიის დაგვიანებულმა გავლენამ. გურამიშვილის ასოციაციები, ბესიკის პოეტური თქმა, ფრაზა („კვლავ მომკლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან“), ბარათაშვილის ინტელექტუალური ლირიკა და ვაჟას რთული მეტაფორა („მთებმა დახუჭეს თვალები“, „ნისლი ფიქრია მთებისა“) ამ დროისათვის საყოველთაო გაკვეთილად იქცა და ორგანულად შეუერთდა ახალ ხმაზე ამატყველებულ პოეზიას. ჩვენმა პოეტებმა შეძლეს ამ დიდი გარდატეხის დაჩქარება და თავიანთი შემოქმედებით განამტკიცეს ახალი პოეზიის ნიშანსვეტები. პოეზიის ყველაზე უფრო ნიჭიერი წარმომადგენლები გააზრებულად სწავლობდნენ და ამუშავებდნენ წარსული პოეზიის ტრადიციებს, მხოლოდ ეპიგონები და საეჭვო ნიჭის დეკადენტები სწამლავდნენ ჰაერს. გავიხსენოთ ანდრეი ბელის სიტყვები ბრიუსოვის შესახებ: „он научил нас по новому ощущать стих. Но и в этом новом для нас восприятии стиха ярким блеском озарились приемы Пушкина, Тютчева, Баратынского“.¹

ამ დროისათვის ქართულ ლექსში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. პირველი, რაც ამ გარდატეხაში შეიმჩნევა, არის პოეტური სახის მნიშვნელობის გადიდება. პოეტური სახე სინთეტური გახდა. პოეტური სახე თავისი შინაარსისა და მოცულობის მიხედვით ორგვარია: ერთია მთავარი სახე, პრინციპული დანიშნულების სახე, მეორე კი დამხმარე სახეა, რომელიც მთავარი პოეტური სახის მეტი ფერადოვნებისთვის გამოიყენება. „დამხმარე სახე“ (“Вспомогательный образ”) მაიაკოვსკის გამოთქმაა.

მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მშობლიური ეფემერა“ დამხმარე სახეა:

ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით
და ცა ალუბლით სავსეა...

მხატვრულ სახეში გაერთიანდა ფერწერის, მუსიკისა და პოეზიის თავისებურებანი. საერთოდ, უნდა ითქვას, პოეზია ძალიან ახლოს მივიდა ხელოვნების სხვა დარგებთან. ყოველივე ამან გაზარდა ლექსის ემოციურობა, მაგრამ ეს მისი რაციონალური მხარის ხარჯზე არ

¹ „ის გვასწავლიდა ჩვენ, ახლებურად გვეგრძნო ლექსი, მაგრამ ლექსის ჩვენთვის ამ ახალ აღქმაშიც მკვეთრი ელვარებით განათდა პუშკინის, ტიუტჩევის, ბარატინსკის ხერხები“.

მომხდარა. მოხდა ის, რომ მხატვრულ სახეში გამჟღავნებული იდეა უფრო მრავალნაზნაგოვნად მივიდა მკითხველამდე. ახალ ლექსში დიდად გაიზარდა პოეტური ასოციაციის მნიშვნელობა. ასოციაციის საშუალებით პოეტური სახე უფრო ტევადი და ფართო გახდა.

ჩვენი დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია ამ დიდი ცვლილებების და ახალი პოეტური ხერხების დამკვიდრებისა. ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე თავის ადრინდელ ლექსებში სიმბოლიზმის გავლენას განიცდიდა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის უმთავრესად ფრანგული სიმბოლიზმის შედარებით ნათელი ფრთის, კერძოდ, ვერლენის მიმდევარი იყო. ვერლენი კი, როგორც ვიცით, არ იყო თანმიმდევარი სიმბოლისტი. მისი ლექსები, ხშირ შემთხვევაში, ნათელ სანყისებზეა აგებული. გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი ლიტერატურის დეკადანსის დროსაც ერთგული დარჩა წარსული ლიტერატურის დიდი ტრადიციებისა და სწორედ ამან განაპირობა მისი ნოვატორობა, რადგან ნოვატორობა ნიშნავს როგორც სრულიად ახალი ხერხების შემოტანას, ისე ტრადიციების ახალ სიმაღლეზე აყვანას და გაღრმავებას. სიმბოლიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოეტური კულტურის ამაღლებაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან ჩვენს პოეზიას იმ წლებში დაუკარგა საზოგადოებრივი დანიშნულება და დიდი საზოგადოებრივი თემები უარყო.

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს წმინდა სიმბოლისტური ლექსები, რომლებშიც ფორმის არტისტული მხარეა წინ წამოწეული („მას გახელილი დარჩა თვალები“, „ვინ არის ეს ქალი“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ და სხვ). „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ სიმბოლიზმის კანონების ისეთი დაცვითაა შესრულებული, რომ, იფიქრებთ, რემბოს ცნობილ სონეტს – „ხმოვნებს“ – მისდევსო. თოვლის სითეთრეში იჭრება კონტრასტული შავი. შავი ფერი, როგორც მთავარი ფერი ლექსისა, შექმნილია „ა“ ხმოვნის მრავალჯერ გამეორებით („ა – შავია“ – რემბო). გალაკტიონ ტაბიძის წერის მანერა იმპრესიონისტულ ფერწერასაც ჰგავდა:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.

გალაკტიონ ტაბიძემ პოეტური კულტურის თვალსაზრისით ბევრი რამ მიიღო სიმბოლიზმიდან, მაგრამ მისი პოეზიის რეალური დასაყრდენი სამყაროს რეალისტური აღქმა იყო, რაც წარსული პოეზიის ტრადიციების მოშველიებით მან გაზარდა და გაამდიდრა შემდგომ წლებში. ლუი არაგონი ამბობდა: „თუ მაინც გსურთ მოახდინოთ კლასიფიკაცია თანამედროვე ქართველი მწერლებისა იმის მიხედვით, თუ რომელი მიმდინარეობიდან მოდიან ისინი, ასეთი კლასიფიკაცია უნებლიეთ მიგიყვანთ იქამდე, რომ მეტი მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ საიდან გამოვა მწერალი, ვიდრე იმას, თუ სად მივიდა იგი“.¹

ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით პოეტური ასოციაციების შესახებ. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სახეები უმთავრესად ასოციაციების გზით არის შექმნილი:

წარსული წმინდა იყო ამ ქალის –
როგორც სოფელში სამრეკლოს ზარი,
როგორც ყანებში ელვა ნამგალის.

შორეული ასოციაციებით და კონტრასტებითაა შექმნილი ასეთი ეფექტური ლექსი:

სალამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის,
მიდამოს სდებია,
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია!

ან:
ვით დამსხვრეული ჭიქა,
გატყდა ღიმილი ტუჩის...
(„სად დასასრული იყო“)

¹ ლუი არაგონი, „ქართული სიმღერა“, „მნათობი“, № 4, 1957 წ.

გალაკტიონ ტაბიძეს დიდი კავშირი აქვს ფერწერასთან. მისი ზოგიერთი ლექსის კითხვის დროს რჩება შთაბეჭდილება, თითქო ის ამ ლექსებს კი არ წერდა, არამედ ხატავდა. სურდა ხაზების ჰარმონიაში მოექცია ალქმული სურათი. უნებურად გაგონდება ძველი ჩინელი პოეტები, რომლებიც ლექსებს „ხატავდნენ“ – კალიგრაფია მხატვრობის დარგად ითვლებოდა ჩინეთში. გალაკტიონ ტაბიძე ლექსისა და მხატვრობის ერთ ფორმაში, ერთ მთლიანობაში მოქცევას ცდილობს. ალბერტ შვეიცერი წერს: „ხელოვანის სული ძალიან რთული ერთეულია, რომელშიაც ნიჭი პოეტისა, მხატვრისა და მუსიკოსისა იხლართება მუდმივად ცვალებად პროპორციებში“.

განა მხატვრის თვალი არ იმარჯვებს ამ პოეტურ სახეებში:

სიცივემ ნაძვებს ძონძი გახადა.
მოვიდა ნელი ქარვის ფერები,
მკრთალმა მზემ ჭაობს გადაახატა
გაყვითლებული ალვის ღერები.
(„შემოდგომის მოტივებიდან“)

მოდიდებულ მდინარეს პოეტი ასე ხატავს:

დაიძვრება გზა ზვირთული,
როგორც მძიმე ხეხილი,
ნაყოფებით დატვირთული,
ქარით გადაზნექილი.

ანდა გავიხსენოთ:

ან დამშვიდებულ ხეებზე თრთიან
გადაღებული წვიმის წვეთები.

ეს ისეთივე მკაფიო სახეა, როგორიც ჰერედიას:

თითქო მოსთიბეს ვეებერთელა ვარდები ცელით,
ცხედრებით ისე დაიფარა ჭალები ვრცელი.
(„თერმოდონი“, თარგ. მიქელ პატარიძისა).

ზოგჯერ პოეტი საგნის ფერს პირდაპირ კი არ ასახელებს, არამედ სიტყვების ოსტატური შერჩევით ქმნის წარმოდგენას ამ ფერის შესახებ:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“, – სიტყვა „ქალწული“ აძლიერებს წარმოდგენას უნაზეს ცისფერ ფერზე.

ლექსის განვითარებაში გარდატეხა რომ მოახდინო, მთავარი ის კი არ არის, რომ ახალი რიტმი იპოვო, ახალი რითმები შემოიტანო, არამედ მთავარია, იპოვო ახალი ხმა, ახალი პოეტური ხმა, რომელიც ახალ ინტონაციას, „ვოკალურ მიმიკას“ ეყრდნობა ხშირ შემთხვევაში. „ძველ მოცარტ-ფილდისეულ ენაზე იმდენი განსაცვიფრებელი ახალი რამ თქვა მუსიკაში შოპენმა, რომ იგი მუსიკის მეორედ დაბადებად გვეჩვენება“ (პასტერნაკი). ბევრ ერთსა და იმავე ეპოქაში მცხოვრებ პოეტს სწორედ საკუთარი ინტონაცია ასხვავებს ერთმანეთისაგან. მაგრამ არ შეიძლება ინტონაციისათვის გაზვიადებული მნიშვნელობის მინიჭება. არიან პოეტები, რომელთა შემოქმედება მთლიანად ინტონაციას ეყრდნობა. ასეთი პოეტია, მაგალითად, მაიაკოვსკი; ჩვენში ერთ-ერთი ასეთი პოეტი იყო გიორგი ქუჩიშვილი. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა განსხვავებული ხასიათის ლირიკაა საერთოდ და ის უმთავრესად მელოდიას, ამღერებას ეყრდნობა. მისთვის ინტონაციას არა აქვს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისთვის ჰქონდა („მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“)

გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში ხშირად ისმის აკაკისა და ილიას ინტონაციები. ინტონაციური პოეტები უმთავრესად ფრაზას, პოეტურ თქმას ემყარებიან, როცა ორბელიანი ამბობდა:

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა, –

ის მთელ ლექსს ამ ინტონაციურად ამალღებულ ფრაზაზე აგებდა.

გალაკტიონ ტაბიძისთვის კი ეს დამახასიათებელი არ არის. ასევე არ იყო ყოველთვის დამახასიათებელი ინტონაციურ ფრაზაზე დაყრდნობა ბლოკისათვის. პოეზიის ენა ემოციური მეტყველებაა და მას საკუთარი პოეტური გრამატიკა აქვს, რომელიც პოეტურ ლექსიკას და პოეტურ სინტაქსს ეყრდნობა უმთავრესად. პოეტური ენა უაღრესად დაძაბულია და საგრძნობლად განსხვავდება ჩვეულებრივ-სასაუბრო ენისაგან. ეს განსხვავება შენიშნული ჰქონდა პუშკინს, რომელიც დიდი თავმდაბლობით ამბობდა: «прозой пишу я гороздо неправильнее, а горю еще хуже».¹

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის თავისებურების ერთი მხარე სწორედ ქართული ენის პოეტური ლექსიკის არტისტულად გამოყენების ცოდნაშია. პოეტი ქართული ენის სტიქიაში ზის და ენის თვითმყოფადი პოეტურობა კარგად ესმის. მისი ლექსის სიტყვიერი ქსოვილი თავისთავად პოეტურია და ლირიკულ აზრს მეტ ემოციურობას ჰმატებს.

ყველაფერს ზემოთ თქმულს პოეტური ოსტატობის საკითხამდე მივყავართ. დღეს, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება ძველი თქმა: „პოეტებად იზადებიან“, მაგრამ პოეტური ტექნიკის უცოდინრობა ნიჭის გამოუმჟღავნებლობამდე მიგვიყვანს ხშირად. მაქსიმ გორკი ამბობდა: «знание техники дела - это и есть знание дела».²

მაიაკოვსკიმ ლექსების გაკეთების ტერმინიც კი შემოიღო (“Как делать стихи”) ხელოვნების ნაწარმოებში შრომის კვალი შრომითვე იშლება და დიდ ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვს. „დანერილი ბედნიერ შემთხვევითობად უნდა გეჩვენებოდეს“, შემოქმედებითი შრომა ერთი დიდი ადამიანური ბედნიერებაა და, როგორც ჰერედიამ თქვა – ყოველი პოეტის სურვილია მკითხველი ისეთივე ბედნიერებას განიცდიდეს წიგნის კითხვის დროს, როგორი სიამოვნებითაც იწერებოდა მისი წიგნი.

ჭეშმარიტი ლირიკული ნაწარმოები, გარკვეული მხრივ, უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე ის ემპირიული სინამდვილე, რომელიც მას საფუძვლად უდევს. ლირიკა ამ სინამდვილეს ამდიდრებს და ხელმისაწვდომს ხდის სიტყვიერი ქსოვილის ემოციური თვისების გამოყენებით. სწორედ ამას ითვალისწინებს ნამდვილი პოეტური ოსტატობა, რომელიც ნიმუში ხდება მაშინ, როცა სიმარტივესა და სინათლეს აღწევს.

პოეტური ოსტატობის მომარჯვებით პოეტი აღწევს როგორც ლექსის შინაარსისა და ფორმის ერთიანობას, მის კომპოზიციურ მთლიანობას, ასევე ლექსის შინაგანი ფორმის სრულყოფას და მის მუსიკალურ ჟღერადობას. შემოქმედებითი შრომა შეგნებული, გააზრებული შრომაა და ლექსის დიდოსტატები ყოველთვის უფრო მეტ შედეგს იღებენ მისგან, ვიდრე ის პოეტები, რომლებიც თავის ნიჭს ეყრდნობიან მხოლოდ.

დიდი პოეტების ლექსებში ჩვენ გვხვბლავს ხასიათისა და განწყობის ბუნებრივობა, რიტმისა და მელოდიის სილალე.

პოეტური ოსტატობის ერთ-ერთი გამოვლენაა სიტყვის ისეთ კონტექსტში დაყენება, როდესაც ერთი სიტყვა ქმნის მთელი ლექსის განწყობას და თავისი სურნელით ავსებს ლექსის ჰაერს. გადავფურცლოთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები და ავილოთ თუნდაც პირველადვე ხელში მოხვედრილი სიტყვა, ვთქვათ „თოვლი“.

სარკეში თეთრი თმები თოვდება.
(„გადია“)

ათოვს ხიდებს, ათოვს მადათოვს.
(„ტფილისი“)

ცა ვარსკვლავების თოვლით ფენილი
აქანებს თვალებს.

1 „პროზას მე გაცილებით არასწორად ვწერ, ვმეტყველებ კიდევ უარესად“.

2 „საქმის ტექნიკის ცოდნა – სწორედ ესაა საქმის ცოდნა“.

სამივე ლექსში სიტყვა „თოვლს“ თავისებური განწყობა შეაქვს და ლირიკულ ხასიათს სწორედ ეს ერთი სიტყვა ქმნის. ასეთი მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიყვანოთ. შესანიშნავ ლექსში „ი. ა.“ სიტყვა „ალუჩა“ სინმინდებზე, ბავშვური ფიქრის უმანკოებაზე მიგვანიშნებს:

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავში,
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით.
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.
შეშლილი სახით ჰკიოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვავოდა სოფლად ალუჩა
და მოისმოდა დების სიმღერა.

ანდა ამ ლექსში:

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა
უცხო სამოთხეები!

სიტყვა „კარალეთი“ ანათებს მთელ ლექსს.

მას საქართველომ გადაუზნიქა
ვერხვები შორი ალაზანისა.

თქმა: „შორი ალაზანი“ სარკმელს უღებს ლექსს და სივრცეში აფრენს.

ზოგი სიტყვა ზამბარასავით ურჩია, რაც უფრო ცდილობ, ძალით მოათავსო იგი სტრიქონში – მით უფრო ამოვარდნაზეა. „სიტყვას აქვს წონა, ხმა და სახე. მხოლოდ მაშინ შეიძლება დანერო თვალისათვის და სმენისათვის სასიამოვნო ფრაზა, როცა სამივე ეს თვისება გახსოვს“. ყველა დროის დიდი პოეტი ოსტატურად ფლობდა სიტყვას და მის არა მარტო მნიშვნელობას იყენებდა, არამედ მის მუსიკალურ მხარესაც. ცნობილია, რომ სიტყვა თითონ სახეა, მხატვრული სახე. ეს ბევრმა მკვლევარმა შენიშნა და ჩვენ აქ არ შევჩერდებით. ცნობილია ისიც, რომ ენათმეცნიერებაში არსებობს თეორია, რომელიც ადამიანის მიერ გარე სამყაროს ბგერებით მიბაძვას აღიარებს ენის წარმოშობის მიზეზად.¹ ჭეშმარიტი პოეტის ხელში სიტყვა თავის სამივე მხარეს (აზრი, სახე, ხმა) იბრუნებს და მთლიანობაში ბრწყინავს. მე-20 საუკუნის პოეტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ბგერწერას. პოეტებს თითქოს თვალი აეხილათ იმ სიტყვების წინაშე, რომლებიც არა მარტო მნიშვნელობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, არამედ საკუთარი ხმაც ჰქონდათ: ტიროდნენ, იცინოდნენ, კვნესოდნენ, მღეროდნენ, გუგუნებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო შედეგი სიმბოლისტების მოწოდებისა: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. სიმბოლისტები აღიარებდნენ ლექსში მუსიკალური ელემენტის პრიორიტეტს, სიტყვებს პირველად მნიშვნელობებს უკარგავდნენ და მას მუსიკალური ნიშნის ფუნქციას ანიჭებდნენ მხოლოდ. ასე იქმნებოდა მათი გლოსოლალიები.

ლექსის მუსიკალურ მხარეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ადვილად იმღერება. შეიძლება ითქვას, რომ სამღერლად ადვილი ლექსი, რომლის სანწყისი ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციებიდან უნდა მოდიოდეს, დღეს უკვე კარგავს ძველ ადგილს ჩვენს პოეზიაში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში შინაგანი მელოდია, ლირიკული თრთოლვა სიტყვისა უდიდეს მუსიკალურ ეფექტს აღწევს. ის საოცარი მოულოდნელობით აწყობს ლექსებს ახალ მელოდიებზე და შეიძლება ხსოვნაში ჩარჩენილი მოტივივით მოგაგონდეს მისი ლექსიც:

¹ “Мышление и язык”. стр. 3. Москва. 1957 г.

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დალესტანისა,
აიმართნენ კოშკები
ცისა და ნესტანისა.

- ან: სიზმარს აბარია
ველი შენაფერი...
ეხლა ყველაფერი
ოქროს ზღაპარია.
- ან: თითქო იქ შორს სამი დღეა, ინვის
მშვენიერი მწვერვალები წინვის.
- ან: რამდენ მდინარეს არბევს
ეს დატეხილი მთები,
დემონისას ჰგავს ნარბებს
მძლავრი ნიაღვრის ფრთები.

ამ ლექსებში ლირიკული მელოდია სიმღერად გამოყოფას კი არ ცდილობს, არამედ მასში იხლართება, როგორც აუცილებელი, მაცოცხლებელი რამ.

შალვა მშველიძის შესანიშნავ სიმფონიურ პოემაში „ზვიადაური“ ვაჟას ლექსის მუსიკალობა გადადის არა უშუალოდ სიმფონიის მელოდიკაში, მის, ასე ვთქვათ, ჰანგებში, არამედ წარმოადგენს მისი სტრუქტურის საყრდენს, სიმფონიური განვითარების საფუძველს. რეალისტური ლექსის მუსიკალურ ფედერას ჩვენ შეგნებაში აღვიქვამთ არა როგორც მშვენიერ ჰანგს, არამედ როგორც პოეტური სახის შემადგენელ ნაწილს, რომელიც შიგნიდან ანათებს მას.

როდესაც ჩვენ ბგერწერას ვახსენებთ, ვგულისხმობთ სიტყვის მუსიკალურ მხარეს, გამოყენებულს აზრის სიცხადისთვის. პუშკინი ბგერწერის შეუდარებელი ოსტატი იყო, მაგრამ მისთვის ეს არასოდეს თვითმიზნად არ ქცეულა, როგორც ამას ფორმალისტი პოეტების ლექსებში ვხედავთ. („Шипенье пенистых бокалов и пунша пламень голубой», «Когда под соболем согрета и свежа»).

ბგერწერის დიდი ოსტატი იყო ტიუტჩევი:

Копыта кинешь в звонкий брег
И – в брызги разлетишься!
(«Конь морской»).

ბგერწერის საკითხი ახალი დროის პოეტებისათვის პრინციპულ საკითხად იქცა. ქალაქ-მა მოიტანა ახალი ხმაური, რომელშიაც მკაფიოდ ვეღარ ისმოდა ძველი, ლირიკული (ჩვენ ვიტყვით, საკმაოდ გაცვეთილი) ფრაზა. საჭირო იყო სიტყვისათვის დაებრუნებინათ ის პირველი ბრწყინვა, რომელიც ასე აღელვებდა ძველ პოეტებს.

და ბლოკმა დაწერა:

И прошли стопой тяжелой
Тело телое топча.

საგანგაშო დოლის ხმასავით ისმოდა მაიაკოვსკის:

А если у каторого нету рук –
Пришел чтоб и бился лбом бы!

გალაკტიონ ტაბიძეც ბგერწერის შესანიშნავი ოსტატია და მისი მელოდია სიტყვის ამ მხარესაც ეყრდნობა:

1. „მატარებელი მოიჭრა თუჯის,
ბოლს ლეჩაქებად ჯაგებზე ტოვებს“.
2. „ჭიანურს ჭკვიანს“;
3. „ვარსკვლავიანი კამარა ელავს“;

ფიზიკურად ხელშესახებ სილბოს ჰქმნის:

დაფენილია დაფნის ფოთოლი.

ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ პოეტური ბგერნერის ერთ-ერთ მხარეს – ალიტერაციას, ალიტერაციამ უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა თანამედროვე ლექსში. აზრის, განწყობის უფრო ნათლად გადმოსაცემად მსგავსი ბგერებით გახმიანებული სიტყვების გამეორებამ ახალი პერსპექტივები დაუსახა ფრაზას. ბალმონტს „სიტყვის ჯადოქარს“ ეძახდნენ იმიტომაც, რომ ის საოცარ ალიტერაციებს ქმნიდა. მაიაკოვსკის წერის მანერისათვის კი ალიტერაცია ერთ-ერთი განუყრელი ნაწილი იყო.

ქართული პოეზია ძველთაგანვე იყენებდა ალიტერაციას. ბესიკის:

ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო! —

თითქო მიჰკვივის მიმავალ სატრფოს. ლირიკულ ლექსს მოცულობით პატარა ფორმა აქვს და პოეტებმა ყველა ხერხი უნდა გამოიყენონ და გაიაზრონ ახლებურად, რათა მისი მხატვრული მნიშვნელობა გაზარდონ.

მშვენიერი წვიმა ისევე ახარებდა პირველ პოეტებს, როგორც დღეს გვახარებს იგი ჩვენ. გამეორებისა და ერთფეროვნების შიში ხელმოცარულ პოეტებს სჩვევიათ, რადგან დიდი ენერჯის მქონე პოეტებს ყველა ძველი და ნაცადი ხერხი ახალ სიმაღლეზე აჰყავთ და ახალი ძალით ახმიანებდნენ მას.

ლირიკული ლექსის ერთ-ერთი მთავარი საკითხი მისი კომპოზიციის საკითხია. ლირიკული ლექსის კომპოზიცია მთლიანობას, ერთსახეობას გულისხმობს. მისთვის უცხოა თქმათა და ფერთა უსისტემო ხმარება, როდესაც ლექსს, ეგვიპტური ფიგურის მსგავსად „მხრები და თვალები ანფასში აქვს, თავი, ხელები და ფეხები კი პროფილში“. ლირიკული ლექსის კომპოზიცია უპირველესად ისეთ განწყობას ეყრდნობა, როდესაც შენი სულიერი მღელვარება მხოლოდ და მხოლოდ ლექსის ფორმით შეიძლება გადმოიცეს და არაფერი სხვით. ლირიკული ლექსის კომპოზიცია შეიძლება განსაზღვროს: აზრობრივმა გრადაციამ და მკვეთრად გამოკვეთილმა პოეტურმა სახემ („მერანი“, „არნივი“), ლირიკულმა მელოდია („მას გახელილი დარჩა თვალები“) და მდგომარეობათა კონტრასტულობამ (ილიას „მწუხარება“). ლირიკულ ლექსში კომპოზიცია გარეგნულად თითქმის არ ჩანს, მაგრამ ვინ არ მოხიბლულა ილია ჭავჭავაძის ფარული, ლირიკული კომპოზიციით:

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი;
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში მედვა სასიკვდილო გესლი სევდისა.
სული მიგუბდა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვამსა ზედ-გადესხა ნავთი მდულარე,
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტვინი მენოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე.
ესე უწყალოდ განწირული და დაშთომილი
ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,
ქვეყანაზედ და ზედიზედ კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა!
(„მწუხარება“)

ლექსის კომპოზიციას ისეთივე ალტაცება შეუძლია გამოიწვიოს, როგორც ეს ფერწერის შესანიშნავი ტილოების ხილვის დროს მოგვდის ხოლმე. გავიხსენოთ „მერანის“ გენიალურად მოფიქრებული კომპოზიცია, რომელსაც ორი ხმის ვნებიანი კამათი კრავს:

1. სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მინა სამშობლო;
2. კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ლელვას;
1. შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მინას მომაცურის!
2. დაე მოვჰკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

თეთრი ლექსი, „რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არა ნაკლებია რითმიან ლექსისა“ (ილია), სწორედ აზრობრივ გრადაციას, აზრის ლოგიკურ განვითარებას ეყრდნობა და მის რიტმს მარცვლები, მუხლები ან ტერფები კი არ განსაზღვრავენ, არამედ აზრობრივად დასრულებული ფრაზა.

ლირიკული ლექსის კომპოზიცია, შეიძლება ითქვას, ლირიკული გმირის ხასიათის ყალიბია და ყოველგვარი ცვლილება ადამიანის აზროვნებისა მასში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება.

გალაკტიონ ტაბიძე – ეს დიდი ქართველი ლირიკოსი – ღირსეულად აგრძელებს ჩვენი პოეზიის რეალისტურ ტრადიციებს, აგრძელებს ბარათაშვილისა და აკაკის მაღალსა და ნათელ ხმას, რომელიც საყვარელი და მახლობელია ჩვენი ხალხისთვის. გალაკტიონ ტაბიძე ერთ ლექსში ამბობდა:

ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.

ის ბოლომდე რჩება მოტრფიალე მზიანი დღისა და ქართული ჩუქურთმისა და თავის ლირიკულ ლექსებს ჩვენი სამშობლოს ნათელი სივრცეებით ავსებს.

ჟურნ. „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 90-97.

გიორგი მარგველაშვილი

გალაკტიონ ტაბიძე

ნახევარი საუკუნეა, რაც გალაკტიონ ტაბიძე უმნიველოდ ემსახურება ქართველ ხალხს და ამდიდრებს ქართული პოეზიის სწორუპოვარ საგანძურს. ცხრაას რვა წლის მაისობაზე დაიქუხა გალაკტიონის პირველმა პოეტურმა სიტყვამ და რა დიდი, რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო მას შემდეგ პოეტმა! მას – ქართული კლასიკური პოეზიის ნიადაგში ფესვგამდგარ მგოსანს, აკაკი წერეთლის სულიერ მონაფეს – ნილად ხვდა საპატიო მისია: ქართული ლექსის ჯანსაღ რტოზე დაემყნა ახალი საუკუნის პოეტური კულტურა.

თავის პირველსავე საუკეთესო ლექსებით გალაკტიონ ტაბიძე მოგვევლინა როგორც უაღრესად ეროვნული და, ამავე დროს, მსოფლიო პოეტურ კულტურას ორგანულად ნაზიარები ხელოვანი. მაგრამ გზა პოეზიის მწვერვალებისაკენ როდი იყო ადვილად დასაძლევნი და ის, რასაც ჩვენ დღეს გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ნოვატორობას ვუნოდებთ – უცებ და „უდანაკლისოდ“ როდი იყო მიღწეული. ვერცერთი ძიება ვერ მიაღწევს მიზანს, თუ მაძიებელმა ხანდახან მცდარი, ან უკვე სხვის მიერ გათელილი ბილიკიც არ მოსინჯა, სანამ საკუთარ გზას დაიმკვიდრებდეს.

იმ დროისათვის, როდესაც გალაკტიონ ტაბიძე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდა, ქართული კლასიკური ლექსის ფორმალური შესაძლებლობანი თითქმის ამოწურული იყო. რა თქმა

უნდა, ცხრაას რვა წლიდან ცხრაას თხუთმეტამდე ჯერ კიდევ მთელის ხმით ჟღერდა აკაკისა და ვაჟას ჩანგი. უფრო მეტიც, ამ წლებში მხცოვანმა დიდოსტატებმა არაერთი ნამდვილი შედეგები შექმნეს ქართული ლირიკისა, მაგრამ ახალი პოეტური სამყარო (თავის უკვე მკვიდრ სამყაროსთან შედარებით) მათ აღარ აღმოუჩენიათ. საერთოდ, მცირე გამოწვევის გარდა, იმდროინდელ პოეტურ პროდუქციაში მაინც გამეფებული იყო ოთხმოციან-ოთხმოცდაათიანი და ცხრაასიანი წლების პოეტური ინერცია, თანაც ისეთი მძლავრი, რომ ამ ინერციით ამოძრავებულ ნაკადში თითქმის ინთქმებოდა ცალკეული ცოცხალი და ახლებური გაელვებანი. აკაკის თავის ბოლო ქმნილებებში არც კი უცდია მის მიერ შემუშავებული და დაკანონებული პოეტიკის და განწყობილებათა წრის გარღვევა. ვაჟამ სცადა ესინჯა თავისი ძალა ალეგორიულ და განყენებულ ლირიკულ ნიაღვრებათა სფეროში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მან აქ დიდი გამარჯვება მოიპოვა. სწორედ ამიტომაც დაუბრუნდა იგი იმ ხანის საუკეთესო ლექსებში თავის მკვიდრ და თვისტომ პოეტურ სამყაროსა და სახვით არსენალს. მიუხედავად ამისა, აკაკისა და ვაჟას პოეტური პრაქტიკა ამ წლებშიც დიდად ფასეული და მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მათში შეუნელებელი ძალით გიზგიზებდა სამოციან წლებში თუ ცხრაასხუთში გამოკვეთილი ცეცხლი, ხოლო თავისი ჰუმანისტური, პატრიოტული და ხალხური შემართებით მათი პოეზია საიმედო ფარი იყო კულტურის სფეროში დაცემულობისა და რეაქციის, ავადმყოფური ესთეტიზმისა და გადაჯიშებული კოსმოპოლიტიზმის მღვრიე ნაკადის წინააღმდეგ საქართველოში. ცუდი იყო სხვა რამ. ცუდი იყო იმ დაკოდილ მიმბაძველთა ურიცხვი ლაშქრის პოეტური საქმიანობა, რომელიც პირდაპირ წალეკვის საფრთხეს უქმნიდა ქართულ ლექსს. აკაკისადმი მიმბაძველობას თან დაერთო რუსული და ევროპული მოდერნიზმის მოუნელებელი, არაორგანული და მეტად ზერელე გავლენა, რომელიც ხშირად ისეთი ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაშიც იგრძნობოდა, როგორც იყვნენ იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ზოგიერთი ცალკეული მიღწევისა, ამ პოეტებმა ვერ შესძლეს ქართულ პოეზიაში ჭეშმარიტად ახალი პოეტური კულტურის შემოტანა და დამკვიდრება, ვინაიდან თვით ბუნებრივი და კანონიერი შემოქმედებითი ზეგავლენის სფეროც რომ ავიღოთ, მათ ქართული ლექსი დაუახლოვეს არა რუსული და ევროპული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, როგორც იყო თუნდაც ბლოკისა და რემბოს პოეზია, არამედ მეორეხარისხოვანი მოდერნიზტების ზერელე და ტრაფარეტულ „ორიგინალობას“. ძლიერი იყო, მაგალითად, ი. გრიშაშვილზე და ა. აბაშელზე კ. ბალმონტის პოეზიის ზეგავლენა. იგრძნობოდა, სამნუხაროდ, ბალმონტის კიდევ უფრო წყალ-წყალა თანამედროვეების, მაგალითად, ფოფანოვის გამოძახილიც (სამივე პოეტი ყველაზე ძლიერი იყო იქ, სადაც ისინი ქართულ ნიადაგს ეყრდნობოდნენ. ამ ნიადაგზე შექმნეს მათ თავიანთი საუკეთესო ადრინდელი ნაწარმოებები). და თუ ეს ითქმის ასეთ ნიჭიერ და მძლავრ ოსტატებზე, მით უმეტეს სავალალო იყო მდგომარეობა ამ ოსტატთა თვალისდახამხამების უმაღლეს დონეზე მდებარე მიმბაძველთა შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პირველმა გალაკტიონ ტაბიძემ შესძლო, როგორც აკაკის მიმბაძველთა მიერ დამკვიდრებული პოეტური ტრაფარეტის დაძლევა და კლასიკური პოეზიის ცოცხალი ტრადიციების განგრძობა ახალ ეტაპზე, ისე – მოდერნიზტული შტამპის გადალახვა და რუსულ-ევროპული პოეზიის ნამდვილ და ჭეშმარიტად ღირებულ მოღვაწეთა შემოქმედებითი გამოყენება ქართულ პოეზიაში. (ამ მხრივ სხვადასხვა დროს ბევრი იქნა გაკეთებული აგრეთვე ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანისა და სხვა ოსტატთა მიერ). მაგრამ დააღწია თუ არა სავსებით თავი გალაკტიონ ტაბიძემ „შინაური“ შტამპის სცილლასა და მოდერნიზტული ტრაფარეტის ხარიბდას? შესძლო თუ არა მან, ასე ვთქვათ, თავისი პოეტური ხომალდის უმტკივნეულოდ გაყვანა სამშვიდობოზე? რა თქმა უნდა, არა. და გალაკტიონის ადრინდელ ლექსებში, რომლებიც ეხლა ე.წ. პირველ ტომში არიან გაერთიანებულნი, მრავალია ისეთი, რომელიც შეიძლება ერთგვარად ხარკად ჩაითვალოს იმ დროს გაბატონებული პოეტური შტამპის მიმართ. მაგალითად, არის განა რაიმე სპეციფიკურად გალაკტიონისეული ასეთ სტრიქონებში:

ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი და დაფნარი ტოკავს, ტოკავს
და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი მძაფრი ღრენით სალ კლდეს ლოკავს...

ან ასეთ სტრიქონებში;

ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა,
წყნარად აცურდა ნარნარი მთვარე.
ძილს მისცემია მშვიდი მინდორი
და დაფიქრებით დგას მთა მდუმარე...

ან ასეთ სტროფებში:

ბნელ ღამის დროს წყნარი ძილი, რომ ენვევა თეთრ ზამბახებს,
მათ ნარნარი მთის ნიავი უაღერსებს, აცახცახებს.
დასჩურჩულებს: სიზმრად ვნახე თქვენი სახე მომხიბლავი,
და მოფრენა განვიზრახე, გენაცვალოსთ ჩემი თავი!..

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს პოეტური ბანალობის ნიმუშებია. ხანდახან ასეთი პოეტური ბანალობა შედარებით მაღალ საფეხურზე შეიძლება ყოფილიყო აყვანილი (როგორც ეს არის გაკეთებული, მაგალითად, საკმაოდ პოპულარულ „მესაფლავეში“), მაგრამ ამით საქმის არსი სრულიადაც არ იცვლება.

გალაკტიონის ნოვატორობა იწყება იქ, სადაც მას გამომუშავებული აქვს საკუთარი პოეტიკა, თუნდაც გამდიდრებული ქართული თუ არაქართული გავლენით; სადაც მას მონახული აქვს მყარად საკუთარი პოეტური ინტონაცია, პოეტური სინტაქსი, პოეტური მეტყველება საერთოდ. აქ უკვე აღარ არის საშიში რაიმე გავლენა, – ის უკვე მეგობარია პოეტისა და არა მტერი. აქ პოეტს თავისუფლად შეუძლია თუნდაც სახეობრივ, ინტონაციურ ან რიტმულ ციტაცისადაც კი მიმართოს, – ყველა ეს „ციტატა“ თუ შეგნებული მინიშნება დამორჩილებული იქნება მისი საკუთარი პოეტური ინდივიდუალობის მიერ. ასე თავისუფლად შეეძლო პუშკინს სიმნიფის ხანაშიც კი მიემართა ჰორაციუსისათვის თუ დერჟავინისათვის, ანტიკური ავტორებისათვის თუ ევროპელი რომანტიკოსებისათვის. ასევე თავისუფლად შეეძლო ნიკოლოზ ბარათაშვილს თუ ილია ჭავჭავაძეს დაუფლებოდნენ მსოფლიო პოეტური კულტურის საგანძურს. აქ საქმე არცთუ იმდენად იმაშია – დიდი პოეტი ხარ შენ, თუ – არც ისე დიდი. მთავარია, გაქვს თუ არა უკვე გამომუშავებული და დამკვიდრებული საკუთარი პოეტური სტილი და სამყარო. გალაკტიონ ტაბიძემ თავის საუკეთესო ადრინდელ ლექსებში შეძლო, როგორც ქართული კლასიკური პოეზიისთვის დამახასიათებელი პოეტური მოტივების თავისებური აჟღერება, ისე – რუსულ-ევროპული პოეტური მონაპოვარის არა მარტო „გაქართულება“ (ამაში მას დიდი დამსახურება მიუძღვის), არამედ „გათავისებაც“, რაც მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის სიმძლავრეს მოწმობდა.

წმინდა ქართულ ტრადიციაზეა აგებული გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ისეთი შედეგ-რები, როგორიცაა: „მთანმინდის მთვარე“, „გურიის მთები“, „ატმის ყვავილები“, „შავი ყორანი“, „იქ ვილაც კვნესის“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „გამოსალმება“ („პირიმზე, რატომ ჩაფიქრებულხარ“), „წინანდალელი ნათელა“, „გახედე, კახეთი“, „ქალავ!“ და მრავალი სხვა. პოეტიკას რომ თავი დავანებოთ, სწორედ ამ ლექსებში აქვს ყველაზე მეტად შენარჩუნებული გალაკტიონს ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი სულისკვეთება, სულიერი შეუდრეკელობა, ოპტიმისტური შემართება; სწორედ ეს ლექსები აახლოვებენ ყველაზე მეტად გალაკტიონ ტაბიძეს მშობლიური პოეზიის მაგისტრალურ გზასთან. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა ამ ჯგუფის ლექსებში განწყობილებათა სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას – სიხარულისა და აღტაცების სიმღერებიდან – მძაფრ დრამატულ განცდებამდე ან წყნარ მელანქოლიურ რეფლექსიამდე. მოვიყვან ამ უკანასკნელის ერთ მშვენიერ დამახასიათებელ ნიმუშს, სადაც უბრალო და უაღრესად ეროვნულ ფორმაში არის გადმოცემული პოეტის სევდიანი განწყობილება. ეს მცირე ლექსი გალაკტიონის ლირიკის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მარგალიტია:

სადაც უნდა მივდიოდე
უცხო ქვეყნად მარები,
უკანასკნელ შვიდიოდე
წლის თან მომდევს ქარები.

სადაც უნდა შევიარო,
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო:
ღვინოს დააბრალებენ!

ო, ძვირფასო! ჯვარზე მაგეს.
გაჰქრა გიჟი ოცნება.
ვკოცნი, ვკოცნი მე შენს ბაგეს,
მაგრამ რა მეკოცნება?

აღარ შევჩერდები ამ ჯგუფის სხვა ლექსებზე, რომლებიც მეტად პოპულარულია ჩვენს მკითხველში და ლიტერატურულ კრიტიკაშიც საკმაოდ შესწავლილი.

აქ მხოლოდ ავლნიშნავ, რომ როდესაც გალაკტიონ ტაბიძის მიერ კლასიკური პოეზიის ტრადიციების გაგრძელებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიგულისხმობთ, რომ იგი, პირველ რიგში, მემკვიდრე იყო აკაკის პოეზიისა, რომელსაც ენათესავებოდა თვით თავისი ლირიკის ბუნებით. ხშირად მიუთითებენ ხოლმე გალაკტიონის ლექსებში ბარათაშვილისთვის დამახასიათებელი მოტივების განმეორებას, მაგრამ აქ მხოლოდ გარეგნულ „ინვენტარზე“ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან არც მთანმინდის, არც მტკვრისა და არც მქროლავი ცხენების შემოყვანა პოეზიაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს „შემოღამება მთანმინდაზე“-სი და „მერანის“ ავტორის პოეტური ტრადიციის გაგრძელებას. უფრო მეტი: ეს მოტივებიც კი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში აკაკისებური ლირიკის სფეროშია გადმოტანილი და აჟღერებული.

მეორე დიდი ნაკადი გალაკტიონის ამ ხანის ლირიკაში არის, როგორც ვთქვით, რუსულ-ევროპულ პოეტურ კულტურას უფრო ჭარბად ნაზიარები ლექსების ნაკადი. იგულისხმება ისეთი ლექსები, როგორიცაა „მერი“ (რომელიც ბლოკის ლირიკას ენათესავება), იმპრესიონისტული პოეტური ხილვის მშვენიერი ნიმუში – „თოვლი“. ამავე რიგს მიეკუთვნება „ალვები თოვლში“, „ცამეტი წლის ხარ“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „მოვა... მაგრამ როდის“, „გზადაგზა“ და სხვები.

ძალიან ხშირად ეს ორი სტილისტური ნაკადი გაერთიანებულია ერთ მტკიცე პოეტურ შენაღობში. ასეთია ლექსები „მე და ღამე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ყანები“, „შენ ზღვის პირად!“, „ქარი ჰქრის“ და სხვა. მოვიყვან აქ პატარა ლექსს „ყანები“, სადაც ქართული პეიზაჟი დახატულია არა ტრადიციული ქართველი მგოსნის, არამედ ახალ ევროპულ მხატვრულ კულტურას ნაზიარები პოეტის თვალთ:

გამოჩნდა რხევა მაღალი ტანის.
ნამგალით მკლავზე, მავალი ობლად,
მისი სიმღერა ხმა არის ყანის,
სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად.
სიმღერა სულით ემშვიდობება
გადამწკრივებულს ზღვისკენ წეროებს,
მზე ეხუჭება, როგორც ობობა,
შინდის დაქსელილს ხის კენწეროებს.
სულმა არ იცის, რა არის მონა,
გზებზე ნახირი ისევ ბრუნდება.
კრავებს მირეკავს სოფლის მადონა.
მადონა ქოხებს დაუბრუნდება.

მსოფლმხედველობრივ-იდეური ევოლუციის თვალსაზრისით გალაკტიონ ტაბიძემაც გაიარა დაახლოვებით ის გზა, რომელიც რევოლუციამდე გაიარეს სხვა მისმა პოეტურმა თანამედროვეებმა – რევოლუციურ და დემოკრატიულ განწყობილებათა მომძლავრება ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის პერიოდში, ინტიმურ და სუბიექტურ-ლირიკულ მოტივთა

გაძლიერება ოქტომბრის რევოლუციის წინარე ხანაში. მაგრამ გადაჭრით უნდა იქნას აღიარებული, რომ მიუხედავად სიმბოლისტური პოეზიის მნიშვნელოვანი გავლენისა, გალაკტიონის მსოფლმეგრძნობა და მსოფლმხედველობა თავის მთლიანობაში არასოდეს არ ყოფილა დეკადენტური: ჩვენ ვერ დავინახავთ გალაკტიონის ადრინდელ ლირიკაში დეკადენტური **ფილოსოფიისათვის** და **ეთიკისათვის** ტიპიურ დამახასიათებელ ნიშნებს. მეტი საფუძველი გვაქვს სიმბოლისტური **ესთეტიკის** გავლენაზე ლაპარაკისა (ყველა სიმბოლისტი როდი იყო დეკადენტი და ყველა დეკადენტი როდი იყო სიმბოლისტი). გალაკტიონის მელანქოლიურად შეფერილ და ხანდახან სასონარკვეთის მოტივებით გამსჭვალულ ლირიკასაც კი სოციალურ და ეთიკურ უკუფენად ყოველთვის აქვს ჰუმანისტური, დემოკრატიული და პატრიოტული პათოსი, რაც საფუძველშივე გამოორიცხავდა დეკადანსის ასე თუ ისე მნიშვნელოვან ზეგავლენას. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ყურადღებით და დეტალურად არის მინიშნებული ყველა ის პროგრესული მოტივი გალაკტიონის ლირიკაში, რამაც პოეტს რევოლუციის წინა დღეს წარმოათქმევინა უკეთილშობილესი ოცნებით აგზნებული სტრიქონები:

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, რომ თქვენთან ერთად
მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი,
ბევრი რამ არის მათ გრძნობაში კეთილშობილი,
მათი მხურვალე ოცნებებით მსურს, ვიამაყო,
მაგრამ სხვაგვარად ჩვენი დროის მემატინე
ფოლიანტებში სტრიქონების გროვას შეიტანს,
რომ ათასწლოვან ადგილიდან მოსწყდენ კლდეები,
საქართველოზე სამუშებმა გადაიარეს.
და სამუშებთან იყო ქნარი გიგანტიური,
ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი.
ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები.
განა არ არის საშინელი საცოდავობა,
ისეთ ქვეყანას – როგორც ჩვენი საქართველოა –
რევოლიუცია არ აძლევდეს სიმშვენნიერეს?
ვულკანიური ორკესტრით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი.

ამიტომ იყო სრულიად ბუნებრივი და ორგანული გალაკტიონ ტაბიძისათვის ის საყოველთაოდ ცნობილი პოეტური მისალმება, რომელიც შეაგება მან პირველსავე რევოლუციურ აბობოქრებას – „დროშები ჩქარა!“

* * *

გალაკტიონ ტაბიძეს წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება – ქართველ პოეტთაგან ის იყო ერთადერთი მონმე ოქტომბრის დღეებისა მოსკოვსა და პეტროგრადში, ის ერთი „უსმენდა რევოლუციას“ მის პირველწყაროსთან, რათა –

...გამოველო ჯერ არსმენელი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მოეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

ლიტერატურული პარალელები, როგორც წესია, დიდი და რთული მოვლენების მხოლოდ ზოგიერთ მხარეებს მოიცავენ, მაგრამ ისინი ხშირად გვაძლევენ ბიძგს სწორი მიმართულებით აზროვნებისათვის. ჩვენ შემთხვევით როდი გავიხსენეთ ბლოკის სიტყვები („უსმინეთ

რევოლუციას!“) – არ შეიძლება არ შევნიშნოთ ნათესაური ნიშნები ამ ორ, ღრმად ეროვნულ და თვითმყოფ პოეტს შორის. ორივემ აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია, ორივე გულისყურით უსმენდა ისტორიის მინისქვეშა ბიძგებს, ხოლო შემდეგ წრფელი სიხარულით შეხვდა მის ვულკანურ ამოხეთქვას. სიმბოლისტური სკოლის პოეტებმა, მათ მედიუმიური მახვილგრძობიერებით მიანიჭეს თავიანთ ლექსებს ახალი ეპოქის მაგნეტური ძალა და მათი სტრიქონები უმაღლეს ათროლოდნენ მოულოდნელი რიტმული მაჯისცემით, მათი პოეტური სახეები წამსვე განათლდნენ, დაკრისტალდნენ, ასახეს თავიანთ ალმასისებრ წახნაგებში რევოლუციურ გაელვებათ კაშკაში, სროლის ცეცხლი და ღამეულ კოცონთა ციალი. ტაბიძე ბლოკის მოწაფე იყო, მაგრამ არა ისეთი მოწაფე, რომელსაც ხელით მიიყვანენ მასწავლებელთან, ჩარიცხავენ მის კლასში და უბრძანებენ კლასის დამრიგებლის დარიგებათა ათვისებას. არა, იგი იყო მისი მოწაფე სულიერი ლტოლვით, ადრე შენიშნული და გააზრებული შინაგანი თვისტომობით, რომელიც იმდენად ღრმა იყო, რომ უფრო შორსაც სწვდებოდა – ტაბიძე ახლო იდგა ბლოკთან იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელი ემიჯნებოდა მაიაკოვსკის. შეიძლებოდა ამ პარალელზე შეჩერება, მაგრამ სჯობს დავუბრუნდეთ ლექსებს:

ეპოქა იშვა და გაიზარდა
სამოქალაქო ბრძოლების რკალში,
ტყვიამფრქვეველის კორიანტელში
და ზარბაზნების მედგარ გრიალში.
მოგონებანო,
ხან სავსე სპაზმით,
გრძნობას რომ ველარ აუთავდებით,
ხან აღგზნებულნო ენტუზიაზმით,
გმირული რწმენით და თავდადებით.
იყო შიმშილი არაერთი წლის,
იყო სიცივე და წყალდიდობა,
ყირიმს მინისძვრა ანადგურებდა
და საქართველოს – უამიდობა.
ზღვისგან დალენილს ჰგავდა ბათუმი,
მხარეს მოაწყდა მშიერთა კვეთა,
იყო კერზონის ულტიმატუმი,
იყო ჩინელი მუშების ჟღერა.
ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ
სერავდი ხალხის მძიმე იარას.
უფრო და უფრო და განუწყვეტილ
აჟღარუნებდი მის წინ იარალს...
რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა?
შრომა მიეცა სხვა ამთოვრებას,
რევოლუციამ ახადა ფარდა
ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას...
მაგრამ, როდესაც შენდება მხარე,
როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია,
ხარაჩოებში, ხე-ტყეში, მწარე
შეცდომა მუდამ ბუნებრივია.
ისე ბევრია ხე-ტყეში ჟვერი,
ისე ბევრია იქ ნახერხები,
კირი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი,
ხელსაწყოები, ლოდი, ვერხვები.
უხერხულია იქ სიარული,
მათზე გადასვლა და მიმართება,

მაგრამ შენობა მაინც შენდება,
შენობა შრომით მიიმართება...
და მასზე ცაა გადასახული,
შენობა მძლავრი – არა მონური,
უზარმაზარი, ჯერ არნახული,
რევოლუციონური...

ეს ლექსი შედარებით გვიან არის დაწერილი, მაგრამ მასში რეტროსპექტიულად მაინც არის გადმოცემული რევოლუციის ის აღქმა, რომელიც დამახასიათებელი იყო იმ პოეტ-თათვის, ყურთასმენას რომ ძაბავდნენ „რევოლუციის მუსიკის“ შესასმენად. შეიმჩნევა აქ მეტი პოლიტიკური მონიფულობის ნიშნებიც, რაც მიუთითებს ლექსის დაბადების უფრო გვიანდელ თარიღზე, როდესაც გალაკტიონ ტაბიძესაც შეეძლო „не только сказать что „неугомонный не дремлет враг“, но и точно указать или хотя бы дать безошибочно представить фигуру этого врага“¹ (მაიაკოვსკი).

ანდა დეტალების რაოდენი სიზუსტე და სიმახვილეა გალაკტიონ ტაბიძის „ჯონ რიდში“, სადაც ყოველი სახე გაცვობთ თავისი პოეტური კონკრეტულობით და ამავე დროს აღწევს ჭეშმარიტად სიმბოლიურ განზოგადობათა სიმაღლეს! დარღვეულია ლექსის ნონაზომიერი ჟღერადობა, ყველა მოქალაქეობრივი უფლება აქვს მინიჭებული ახალ პოეტურ ენას:

დეჰეშა!
დეჰეშა!
დეჰეშა!
რევოლუცია!
რევოლუცია!
ამბავი
პეტროგრადიდან!
კრემლი იდუმალ
ინყებს მზადებას.
მოსკოვი შფოთავს –
რომ გაუთენებს
საკადრის დღეებს
კაცობრიობას
და თვითეული
ფიქრობდა მაშინ:
აჰა,
საცაა!
აინყვეტს რაში.
არასდროს არ დამავინყდება
ამიდთა სინოტიე.
სითბო ყინვის.
ტალახიანი ჰაერი,
ჭაობიანი,
მგმობი ნათელის
ტირის თვალები
ობივატელის.
ყველაფერი
ნისლის ფერია...
მწუხარე ჩრდილი

¹ „არამარტო ეთქვა, რომ „დაუდეგარი მტერი არ თვლემს“, არამედ ზუსტადაც მიეთითებინათ ან უშეცდომოდ მაინც წარმოესახათ ამ მტრის ფიგურა“.

მწარე დღეების
ფარავს ვარსკვლავებს.
დღემ სიზმრებამდე
გადაამეტა
შელამებული
დიღების ლანდი.
შუადღე –
მსგავსი შუალამეთა
და თვითეული
ფიქრობდა მაშინ,
აჰა...
საცაა...
აინყვეტს რაში.
ეკითხნა ვისმეს
მაშინ საათი –
ვუპასუხებდი:
მარადისობა!

სახეები, სამბოლოები, რომლებიც მისცურავენ ნაპირებგადასული თეთრი ლექსის აბობოქრებული ზღვით, მეზობლობენ მინიერ, თითქოს ცხოვრებიდან ამოგლეჯილ მახვილ პოეტურ დეტალებთან. პოეტი ხედავს „მოვარდნილ დღეთა რკინებად კვეთას“ და აყეფებულ „მოკაკანე ტყვიისმფრქვეველს“, „ცეცხლის ოქროდან გააფთრებულად მქროლავ ტყვიას“, უცებ „გაქვავებულ ქარს“ რომ დამსგავსებია და „ქალაქის გახელილ თვალებს“ ანდა „სართულებს“, რომლებიც „ყეფენ, როგორც ძაღლები“. უეცრად ფანტასტიურ მეტაფორას გზას გადაულო-ბავს უკონკრეტესი ხელშესახები დეტალი და მაშინ:

ალი
ვენახივით იგრიხებოდა,
ლამე
ჩამონოლილიყო
ყურძნის მტევნებივით,
საიდანაც ხიტროვრინოკი
სწურავდა არაყს.

ლექსის გულისძგერა ისე ხშირდება, მისი მაჯისცემა ისე შმაგობს, რომ ჩვენ გვჯერა პოეტის მიერ დანახული სურათის რეალობა, გვჯერა, რომ „მოსკოვი გუგუნებდა, როგორც – მუხა და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს, როგორც რკოებს“, რომ „ჭინჭარივით ისუსხებოდა ლამე“, რომელიც „ახლა დაჯდა სადგურთან და სწევს ყალიონს“. გვჯერა რეალობა ჩვენთვის უკვე თვისტომი ფანტასტიური ჰიპერბოლისა: სდგას ერთი გრანდიოზული სკამი, რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს სამი ფეხი, და ზედ ძლივს ზის ჯერ ისევ ძველი რუსეთი. ქვეშ დახეული ხალიჩა უგია, წინ დამტვრეული ჯამი უდგას ქაშით. აქეთ ცარიელი სკივრი, სავსე სატკივართ. ამ სიცივეში სანყალს არ აქვს ქვეშსაგები, მისთვის ბალიში არ არსებობს და არც საბანი. მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული, ქარში, თოვლჭყაპში ამონუმბული. სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა. ზურგზე ჰკიდია ტომარა, ხელში ცარიელი დოქი, ქამრის მაგიერ თოკი, წელზე ჰკიდია ქვაბი და გატეხილი ტაშტი...

ამ ტრაგიკულ პორტრეტში ჩვენ ვცნობილობთ იმ „დაძონძილი მათხოვრის“ („нищий обор-выш“) ნაკვეთებს, რომელიც მაიაკოვსკის „ასორმოცდაათ მილიონში“ ვნახეთ. მაგრამ აი, აქაც, ქართველი პოეტის ლექსში, „დაძონძილი მათხოვარი“ შემობრუნდება აღმსდგარ, ამბოხებულ გოლიათად, და შორეული საქართველოს დესპანი პოეტიც, თავისი დიდი რუსი თანამოკა-ლმის მსგავსად, „რუსოფილური გრძნობით“ განიმსჭვალება „ამ გაქანების შემყურე“ („Даже зарусофильствовал от этой шири“):

ნეტავი
 იყოს სადმე ასეთი გამბედავი,
 როგორც ეს რუსის კაცი
 მეტად მართალი –
 წინად კი თითქო იყო მხდალი
 და უბედური.
 მაგრამ დასძახეს
 მძლავრი და სასტიკი:
 ალსდევ!
 რუსეთი დაიძრა,
 მომთმენი რუსეთი.
 ავადმყოფი, ცოცხალ-მკვდარი
 რუსეთი დგება.

ჩვენ იმიტომ შევჩერდით ასე დაწვრილებით გალაკტიონის „ჯონ რიდზე“, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ გააფართოვა რევოლუციამ არა მარტო შინაგანი სამყარო პოეტისა, შინაარსი მისი შემოქმედებისა, არამედ როგორ გაანახლა და გადაახალისა მან მისი სიტყვა, მისი სტილი, მისი პოეტიკა. ძნელია, ერთი შეხედვით, იცნო ამ პოემაში ნატიფი სიმბოლისტური კრებულის „არტისტული ყვავილების“ ავტორი, ისევე, როგორც ძნელი იყო „თორმეტში“ ცნობა ავტორისა წიგნის „Стихи о прекрасной Даме“.¹ ნუ გავიგებთ ამას ისე, თითქოს არ არის არავითარი კავშირი გალაკტიონ ტაბიძის (და ბლოკისაც, რა თქმა უნდა) ძველ და ახალ ნაწარმოებებს შორის. კავშირი არის და მეტად ღრმაც, მაგრამ ათმა დღემ, რომელმაც შესძრა სამყარო, შესძრა გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყაროც. ვერ ვიტყვით, რომ „ჯონ რიდის“ პოეტიკა გახდა ტიპური გალაკტიონისათვის. მან შემდგომ აირჩია სხვა გზა, მიუსადაგა ახალ თემებს თავისი წმინდა ლირიკული, რომანტიკული პოეტური მანერა, რომელიც განისაზღვრება არა სახე-დეტალით, არა ჰიპერბოლური გროტესკითა და განვრცობილი მეტაფორით (როგორც „ჯონ რიდში“), არამედ წმინდა ინტონაციური, რიტმულ-სინტაქსური, მელოდიკური ორგანიზაციით პოეტური ფრაზისა. ეს ფრაზა მეტად სადაა, განტვირთული მეტაფორებისაგან, ხშირად ორატორულ-პათეტიკურია, კიდევ უფრო ხშირად ლირიკულად გულითადი ან ფილოსოფიურად განმაზოგადებელი, მაგრამ ყოველთვის აზრით მდიდარი, რევოლუციური რომანტიკის ქარცეცხლით შერხეული და გაალებული.

მთავარი ძარღვი პოეზიის
 ზომაა, რითმა;
 მისით მარადის გაიელვოს
 შუქმა ბედითმა,
 მაინც იმაზე უმთავრესი
 სხვა დედაარსი
 არის მშვენიერ პოეზიის
 იდეა, აზრი.
 მათში იხსნება მგოსნის ძალა
 და მოქმედება,
 ისეთი, ყველას სიხარულად
 რომ მოედება
 და მოჰფარავს გზებს ვარდით, დაფნით
 და ალოეთი.
 იდეა, აზრი, ზომა, რითმა –
 აი, პოეტი!

¹ „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ – ალ. ბლოკის პირველი კრებული.

ეს თავისი პოეტური კრედო გალაკტიონს დეკლარირებული აქვს ლირიკულ-ფილოსოფიურ პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“. აქ ზუსტად არის განსაზღვრული პოეტის ახალი შემოქმედებითი მიზანდასახულობა, და იგი, აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ოციან წლებში ეძებს ახალ პოეტურ ხერხებს, რომლებიც მისცემდნენ მას **ახალი ეპოქისადმი, რევოლუციურ საქართველოსადმი თავისი დამოკიდებულების** უშუალო, პირდაპირ დეკლარირების საშუალებას. ლირიკა ხომ ყოველთვის და ყველგან პოეტის გრძნობათა, ფიქრთა განწყობილობათა დეკლარაციაა. და თუ პოეტი შეიგრძნობს დღეს არა მარტო სატრფოს გულისცემას, არამედ ეპოქის სუნთქვასაც, თუ იგი ტკბება დღეს არა მარტო „არტისტული ყვავილებით“, არამედ „ქალაქი-ბალითაც“, თუ იგი ყურს უგდებს არა მარტო სადამოს ნიავის შარიშურს, არამედ რევოლუციის მუსიკასაც, იგი ვალდებულია – თუკი მას სურს – დარჩეს ჭეშმარიტ ლირიკოსად – გამოსხატოს თავისი ახალი ფიქრები და გრძნობები ლირიკულ აღსარებაში, ლირიკულ მონოლოგში. ასე დაიბადა გალაკტიონის ლექსები და პოეტური რკალები – „მსოფლიო ორკესტრი“, „რევოლუციური საქართველო“, „ეპოქა“, – ლექსების შესანიშნავი ნიგნები, რომელთა ლირიკულ გმირს არ ეშინია არც რევოლუციური პათეტიკისა, არც ორატორული პოზისა, არც სახოტბო აღტაცებისა, არც პირდაპირი მოქალაქეობრივი დეკლარაციისა, ვინაიდან მისი პათოსი გულწრფელია, პოზა ორგანულია, აღტაცება – გულიდან აღმომხდარი, ხოლო დეკლარაცია როდია დეკლარატიული. პოეტის ასეთი პოზიცია, რაც მოიცავს არა მარტო მის იდეათა, მისი მსოფლმხედველობის სამყაროს, არამედ მისი გრძნობების, მისი ნებასურვილის, მისი მსოფლშეგრძნების სამყაროსაც, ერთხელ და სამუდამოდ აზღვევს მას ყველაზე დიდ საშიშროებისაგან, რომელიც კი ხელოვნებას შეიძლება მოელოდეს – სიყალბისაგან, და აძლევს მას, ამასთან ერთად, საშუალებას თითქმის უსაზღვროდ გააფართოვოს თავისი პოეტურ ინტერესთა წრე, მოათავსოს მასში ყველაფერი, რაც კი მას მართლაც აინტერესებს, აღელვებს, ახარებს ან აწუხებს – მტირალი ტირიფი მიუსეს საფლავზე და საროტაციო მანქანის ხმაური, რიცის ზურმუხტოვანი ზვირთები და ტრაქტორთა გუგუნნი, პაციფისტის პირმოთნეობა და „ინტერნაციონალის“ დაქუხება. ამაშია პოეტის ძალა და გალაკტიონი არ მალავს, რომ ეს ძალა მას შთაბერა ოქტომბრის ქარცეცხლმა:

შენ, ჩემო ხალხო! სიყვარულით გამომარჩიე,
 რადგან დავხატე ძლიერება შენთა იმედთა,
 ის ნებისყოფა, რომლის ძალით მტარვალეებს სძლიე,
 რომ ოქტომბერში პირმშო ვიყავ ოქტომბრის დღეთა.
 გულით ვიგძენი მე იმჟამად ჩაუქრობელი
 წკრიალა ხმები ჩემი ჩანგის, გამშუქი თალხის,
 როცა მგზნებარე სიმთა თრთოლვით ახლის მშობელი
 აღტაცებათა მზით გამთბარი ხარობდა ხალხი.
 ოცდაათი წლის დიდებულთა მანძილთ განსჭვრეტით
 ბევრი შევქმენი ლექსი ლალი და სასიმღერო,
 ყველაში ისმის გამარჯვებულ სამშობლოს ხმები,
 შენი ქუხილი და გუგუნნი, მძლე ოქტომბერო!

მეტად განსხვავებული პოეტებია გალაკტიონ ტაბიძე და მაიაკოვსკი, მაგრამ მათ ანათესავებთ მათი პოეზიის ლირიკული გმირის მიერ მოპოვებული უფლება – თავისუფლად, ბუნებრივად, ლაღად ილაპარაკოს ყველაფერზე, რითაც კი ის ცხოვრობს, რაც მას სწავს და დაგავს, ახარებს და გულს უკლავს, აიმედებს და აღაფრთოვანებს; ილაპარაკოს ისე, რომ არ ეშინოდეს მკითხველის ეჭვისა და უნდობლობისა.

ასეთია გალაკტიონ ტაბიძის გზა – გზა მილიონიანი მკითხველის გულისაკენ. პოეტს, რომელმაც უმღერა თავის ლექსებში ეფემერულ მერის და მთანმინდის მთვარეს, ალვებს თოვლში და გურიის მთებს, პოეტს, რომელმაც პირველმა მოიტანა საქართველოში „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“, მისი რევოლუციური განახლებისა, პოეტს, რომლის მუზამ ბევრი იხეტიალა ომის შემდგომი ევროპის გზებზე და ნათლად განჭვრიტა ბურჟუაზიული სამყაროს

მყვირალა კონტრასტები, პოეტს, რომელიც ბარბიუსთან ერთად გამოვიდა ანტიფაშისტურ კონგრესზე პარიზში, ხოლო სამამულო ომის წლებში მიმართა ხალხს ისეთივე შემართებითა და მგზნებარებით, როგორც რევოლუციის დღეებში, ასეთ პოეტს ჰქონდა უფლება ეთქვა თავისთავზე, თავის სიმღერაზე:

ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი,
ზოგს ვარდი, წიგნში ჩანატოვარი –
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
ბარათი, სისხლის ცრემლნატოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი –
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,
წიგნი რამ, ომით მონაპოვარი,
საფერფლე, მამის დანატოვარი –
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
სამშობლოვ, მარად მსასოვარი,
ჰა, გულიც, შენი თანამგზოვარი,
ჰა, ჩემი წიგნი სწორუპოვარი –
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა მდიდარი და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო გალაქტიონ ტაბიძემ ნახევარი საუკუნის მანძილზე, რა საგულისხმო ფურცლები გადაიშალა მის პოეტურ ბიოგრაფიაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. და კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ჭაღარამოსილ ოსტატს დღესაც არა აქვს დაკარგული ახალგაზრდული შემართება და რომ მის საუკეთესო ქმნილებებს ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩავუყენოთ თავში მის მიერ ბოლო ხანს შექმნილი შედეგები ქართული ლირიკისა – „იდიდე!“, „ნიკორწმინდა“, „ვნერ ვინმე მესხი მელექსე“, „იმერის დაბრუნება“ და მრავალი სხვა.

მივცეთ სიტყვა თვით პოეტს, ჩვენი დროის საუკეთესო იდეალების კიდევ ერთხელ გამოსათქმელად:

კვლავ, კიდევ
და კიდევ
ახადე
ბნელს რიდე!
იდიდე,
სინათლევ,
იდიდე!
გრდემლს სცემდე
თუ მკიდე,
მუხანათს
შიშს ჰგვრიდე!
იდიდე,
ო, ხალხო,
იდიდე!
მთის კიდედ,
ზღვის კიდედ
სახალხო
გმირთ ზრდიდე!
იდიდე,

სამშობლოვ!
იდიდე!
სინათლის
სინმინდის
ვარდებად
გვინვდიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

ჟურნ. „მნათობი“, 1959, № 1, გვ. 91-97.

ირაკლი აბაშიძე

კრეპულის წინათქმა

როცა დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილი მთანმინდის მინას მივაბარეთ, მის ახლად მინა-ნაყრილ საფლავთან ათას ფიქრთა შორის ერთმა კითხვამაც გამიელვა. იგი თითქოს მკაცრიც იყო, უსიამოც, მაგრამ ლოგიკური და ბუნებრივი: ვინ იქნება ღირსი, ბოლოს განისვენოს მთანმინდის ამ ძველი და უბადლო მომღერლის გვერდით?

ამ კითხვაზე პასუხი მაშინ ბოლომდე საკუთარი თავისთვისაც კი არ გამიმხელია, ცოცხალ ადამიანთა მიმართ იგი გულშივე ცოდვად ჩავთვალე, თუმცა თვალწინ მხოლოდ ერთადერთმა სახემ გამიელვა.

დღეს, როცა ის კითხვა უკვე პასუხგაცემულია, მეც ბოლომდე გავუმხელ ჩემს თავს მაშინდელ ჩანაფიქრს: – სიკვდილს ხომ ვერავინ წაუვა, მთანმინდის ამ დიდ მგოსანთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან, განსვენება მხოლოდ ერთს, მთანმინდის ახალ მომღერალს – გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის.

სწორად აღნიშნავენ ჩვენი ლიტერატურის სპეციალისტები, – გალაკტიონ ტაბიძეს ბევრი რამ ანათესავებს ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ამ ნათესაობის შესახებ ქართული პოეზიის მკვლევარები ალბათ კიდევ ბევრს იტყვიან. ჩვენ აქ მხოლოდ იმ როლზე მივუთითებთ, რომელიც მათ ქართული პოეზიის ისტორიაში თავ-თავის დროს შეასრულეს:

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილმა მეცხრამეტე საუკუნეში ქართული პოეზია აღმოსავლური მუხამბაზების გავლენას გამოსტაცა, გალაკტიონ ტაბიძემ მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი პროვინციული შეზღუდულობის, დაკნინების, იდეური და ფორმალური დაცემის გზას ააცდინა და მოწინავე ევროპული და რუსული თანამედროვე ახალი პოეზიის სიმაღლეზე ასწია.

მეცხრამეტე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაუდო. მეოცე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე გალაკტიონ ტაბიძემ დაუდო. ამიტომ, ბუნებრივია, გალაკტიონ ტაბიძის გავლენა მეტ-ნაკლებად შემდეგი თაობების თითქმის ყველა პოეტმა განიცადა, მით უმეტეს, – თავის პოეტურ სიჭაბუკეში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მნიშვნელობა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში უსაზღვროდ დიდია.

გალაკტიონი, „ასი ლექსი“, თბილისი, 1959, გვ. 5-6.

გურამ ასათიანი

„რაც დავინწყებით არ იზინდება...“

ის ჩვენთან ცხოვრობდა, ჩვენ შორის დადიოდა...
თბილისის ქუჩებს კარგად ახსოვთ მისი ნერვიული ნაბიჯი, უცნაურად ატოკებული მიხრა-მოხრა.

მას ჩვეულებად ჰქონდა ამ ქუჩებში უქმად ხეტიალი მზეში, წვიმაში, ქარში:

და გავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით...

მის დამძიმებულ სხეულს თითქოს მართლაც ეს შინაგანი ზვირთები აქანებდნენ აქეთ-იქეთ...

უყვარდა გამვლელების გაჩერება, მათთან უცნაური საუბრის გაბმა.

ოდნავ შეშუპებულ სახეს ხშირად სერავდა დაძაბული ღიმილი; ძნელი იყო გაგება, დაგცინოდათ იგი, თუ ალერსს და ყურადღებას მოითხოვდა. თვალები კი თითქოს თქვენს მიღმა გამძაფრებით ელოდნენ ვიღაცის გამოჩენას...

ახალგაზრდები სიამოვნებით უჩერდებოდნენ მას, ცნობისმოყვარეობით ათვალეიერებდნენ, თავაზიანად ილიმებოდნენ მის ირონიულ შენიშვნებზე.

მათ, რასაკვირველია, ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ ეს კაცი იყო „თოვლისა“ და „მთან-მინდის მთვარის“ ავტორი, მეფე-პოეტი, მათი უწმინდესი ოცნებების მესაიდუმლე...

გალაკტიონ ტაბიძე სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად... ძნელი იყო ყოველივე ის, რაც მისმა ლექსმა აღძრა ჩვენს სულში, დაგვეკავშირებინა ერთი, რეალურად არსებული, ცოცხალი ადამიანის სახესთან.

ახალგაზრდა სტუდენტი ქალი, რომელიც თეთრად ათენებდა ღამეს „მერისა“ და „სილაჟვარდის“ კითხვაში, დღისით გულგრილად გაივლიდა მისი ფანჯრების წინ, თითქოს იქ მცხოვრებ უკვე მოხუცებულ ჯადოქარს აღარაფერი ჰქონდა საერთო ბნელეთიდან მის მიერვე გამოხმობილ პოეზიის გრძნეულ სულებთან.

* * *

იმ საკვირველ თქმულებათა შორის, რომლებიც ჩვენმა საუკუნემ შექმნა, არსებობს ერთი, განსაკუთრებით უცნაური. იგი მოგვითხრობს ადამიანზე, რომელმაც საკუთარი ჯადოსნობის წყალობით თავისი სახე და სხეული დაჰკარგა და გარეშეთათვის უჩინარი გახდა.

საოცარი ბედი ხვდა წილად ამ კაცს, მას ველარ ცნობდნენ თვით უახლოესი მეგობრებიც, რადგან იგი მიუწვდომელი იყო მათი ჩვეულებრივი მხედველობისათვის.

მხოლოდ სიკვდილმა დაუბრუნა მას თავისი სახე, და ვიდრე მიწას მიაბარებდნენ, ადამიანებმა კვლავ იხილეს და იცნეს იგი...

* * *

კუბოში დასვენებულ ღვთაებრივად ლამაზ გალაკტიონ ტაბიძის ყოველი ნაკვთი კვლავ პოეზიის სპეტაკი სხივით იყო გაბრწყინებული. უკანასკნელი გამოთხოვების ჟამს ის თითქოს თავისი ჭეშმარიტი სახით მოგვევლინა, რომ სწორედ ასეთი დარჩენილიყო შთამომავალთა მესხიერებაში.

რალაც იდუმალი შუქით შიგნიდანვე განათებული, ის ეხლა მართლაც სიმღერებით მიძინებულ მგოსანთა მეფეს ჰგავდა და მის სასთუმალს შარავანდედით თავს დასტრიალებდა ყველა ნათელი ზმანება, ყველა სახე და აჩრდილი მისი პოეზიისა.

ისე, როგორც არასდროს ახლობელი და გასაგები გახდა იგი იმ დღეს ყოველი ჩვენთაგანისათვის და ჩვენ უკანვე მივუტანეთ ძვირფას პოეტს ის დიდი თრთოლვა და სიყვარული, რომელიც მან სიცოცხლეში ასე უხვად და უზრუნველად მიმოფანტა თავის გარშემო.

* * *

გალაკტიონ ტაბიძემ წარუშლელი დალი დააჩნია ჩვენი დროის ქართველ ადამიანთა სულიერ ცხოვრებას. უაღრესად ღრმა იყო მისი ზემოქმედება კერძოდ იმ თაობის შეგნებაზე, რომლის მხატვრული მოთხოვნებისა და წარმოდგენების ფორმირება უკანასკნელი ომის დროს მოხდა. იმ სასტიკ და მძვინვარე წლებში, სხვა თავის თანამოკალმეებთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძე მთელის სულითა და გულით ეხმაურებოდა თავისი დროის უმნიშვნელოვანეს, სამკვდრო-სასიცოცხლო თემას.

თბილისში, შენიღბული სახლების კედლებისა და დაუმთავრებელ ნაგებობათა ღობეებზე არაერთხელ ყოფილა გამოკრული მისი ლექსები, რომლებიც სამშობლოს თავგანწირულ სიყვარულსა და გამარჯვების რწმენას გვიღვივებდნენ.

ამ გრძნობებში ჰპოვებდა მაშინ თავის გამირულ პათოსს გალაკტიონ ტაბიძის მქუხარე სტროფი:

ამ დღეებს ძეგლი უნდა ავუფო,
უნდა აღემართო წყებათა-წყება...
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დანყება.

მაგრამ უკვე იმ დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ და შევიყვარეთ სხვა გალაკტიონიც – უნაზესი განცდების პოეტი, თავისი ეპოქის სწორუბოვარი ლირიკოსი.

როგორც ანკარა წყაროს, ისე ვენაფობოდით ჩვენ მის ლექსებს, რომლებშიც თითქოს იყო ყველაფერი: ოცნება, სიხარული, სევდა, ლოდინი, თავდავინწყება, სიყვარული, იმედი, ვნება, ეჭვი და სიამაყე – ყოველივე ის, რაც ასე ჰაერივით აუცილებელია ახალგაზრდა ადამიანის სულისათვის.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიამ თავისებური ელფერი მისცა ჩვენს გრძნობებს, განცდებს, შთაბეჭდილებებს.

მისი თვალებით შევხედეთ ჩვენ მშობლიურ ბუნებას და ბევრი ახალი ფერი, ახალი ჩრდილი და შუქი დავინახეთ მასში. მისმა ლექსებმა ჩაგვახედა ჩვენს საკუთარ სულშიც და იქაც ახალი, ადრე თითქოს უცნობი ხვეულები აღმოგვაჩინა.

როგორც XIX საუკუნის ახალგაზრდა ადამიანები მიმართავდნენ თავისი ინტიმური გრძნობების გასამხელად ბარათაშვილის „არ უკიჟინო სატრფოს“, ილიას „გახსოვს ტურფას“ და აკაკის „საიდუმლო ბარათის“ ამალღებულ და რომანტიულ მეტყველებას, ისე ჩვენს დროში გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ენა ჩვენი თაობის წარმომადგენელთათვის იქცა ყველაზე სანუკვარი და ნაზი განცდების გამომხატველ საშუალებად.

გალაკტიონის სიტყვებით დადგა ჩვენში პირველი სიყვარული, სიყმანვილის პირველი მიუღწეველი ოცნება:

რაც უფრო შორს ხარ, – მით უფრო ვტკბები...
მე შენში მხიბლავს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი, როგორც – მზის სხივი,
მიუნდომელი, – როგორც ედემი...

მისივე ლექსით გამოემშვიდობა თვითეული ჩვენთაგანი ცხოვრების უტკბილეს დღეებს, სიჭაბუკის დაკარგულ თანამგზავრთ:

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა,
უცხო სამოთხეები!

კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები,
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?

გალაკტიონის სტრიქონში მოძებნა თავისი გამოკვეთილი სახე ჩვენი ახალგაზრდობის რაინდულმა იდეალმაც – „სული გვექონდეს უსპეტაკეს თოვლისა!“ – და საქართველოს სათუთმა სიყვარულმაც:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე, რაა მამული!

ამ პოეტის მღელვარე სულის ძახილში შევიცანით ჩვენ ჩვენი ეპოქისათვის სისხლ-ხორცეული ნიშანთვისების – თავისუფლებისაკენ შეუჩერებელი სწრაფვის კლასიკური პოეტური გამოხატულებაც:

გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა,
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!..

გალაკტიონ ტაბიძე იყო ერთ-ერთი ამ რჩეულ პოეტთაგანი XX საუკუნისა, რომელთაც შეძლეს თანამედროვე ადამიანის სულის სიღრმეში ჩანვდომა და მისი ახალი, ეპოქისათვის შესაფერისი ენით ამეტყველება.

ერთ ცნობილ მკვლევარს ნათქვამი აქვს თეოფილ გოტიეს შესახებ: მას შემდეგ, რაც ის მწერლობაში მოვიდა, ფრანგული ლექსიკონიდან სიტყვა „გამოუთქმელი“ ამოსაღები გახდაო.

დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლებოდა გალაკტიონ ტაბიძის შესახებაც ახალი დროის ქართულ მწერლობასთან მიმართებით, ჩვენს პოეზიაში მან პირველმა დაიწყო ახალი ფერებისა და ნახევარტონების ძიება და ქართული ლექსი გამოიყვანა იმ აუტანლად გაცვეთილი „ნეორომანტიული“ პოეტიკის ჩიხიდან, რომელშიც იგი ამ საუკუნის დასაწყისისთვის მოექცა.

როგორც ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ XX საუკუნის ფერწერა გაამდიდრეს ადრე უცნობი მოტივებითა და საღებავებით და ამ მხრივ მასში უმნიშვნელოვანესი გარდატეხა მოახდინეს, ისე გალაკტიონ ტაბიძემ პირველმა დაიწყო ჩვენი პოეზიის განახლება და ჯერ არნახული ჰორიზონტები დაუსახა მას ადამიანის თითქოს თავიდან აღმოჩენილი ემოციური სამყაროს გამოსახატავად.

მსგავსად ახალი დროის იმ მონინავე მხატვრებისა, რომლებიც ბუნებაში არსებული, ცოცხალი ფერების უფრო ზუსტი და ინტენსიური გადმოცემისთვის შეეცადნენ მათს შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რათა შემდეგ უფრო სრულყოფილი სინთეზი მიეღოთ, გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ ლირიკაში პოეტური წარმოსახვის ასე თუ ისე სწორხაზოვანი ხერხები შესცვალა ახალი, უფრო დახვეწილი საშუალებებით – ნიუანსებისა და მინიშნებების რთული ენით:

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს
უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა.

ეს სტრიქონები გამოხატავენ გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის საფუძველზე მან შეძლო ქართული ლექსის განთავისუფლება იმ მოძველებული მაღალფარდოვნებისა და მშრალი რაციონალიზმისაგან, რაც XIX საუკუნის ეპიგონათათვის იყო დამახასიათებელი.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქართულმა ლექსმა საოცარი სინატიფე და ჰაეროვნება შეიძინა. ის იყო უტყუარი, აბსოლუტური სმენის პოეტი. მის მუსიკალურ გენიას ყოველივე, გარეშე თუ შინაგანი, ნამდვილად ხილული, გაგონილი თუ ოცნების თვალთაგან წარმოდგენილი, პოეტური მელოდიების ენაზე გადაჰქონდა.

როგორც ღია სარკმელში მოულოდნელად შემოჭრილი გაზაფხულის დღე ათასნაირი სურნელებით ავსებს ჩვენს ოთახს, ისე აავსო გალაკტიონის ლექსმა ჩვენი სული ჯერ არსმე-ნილი მოტივებით, რიტმებით, ინტონაციებით, კეთილხმოვნების სასწაულებით.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში იღებს, ასე თუ ისე, თავის სათავეს უდიდესი წილი ყოველივე იმ ახლისა, რაც ჩვენი დროის პოეზიაში აღმოცენდა და დამკვიდრდა და რაც მისი კანონიერი სიამაყის საგანს წარმოადგენს. ამ მხრივ იგი პირველი მასწავლებელია ქართული მწერლობის ახალგაზრდა თაობისთვისაც.

ამიერიდან ჩვენთვის ძვირფასი და სათუთია გალაკტიონის ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ერთნაირად აღტაცებული ვართ ყველა მისი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში დაწერილი ლექსით.

შესაძლოა სწორედ დღეს, ისე როგორც არასდროს საჭირო იყოს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მემკვიდრეობაში გამოვარჩიოთ ის, რაც მთავარია, **ჭეშმარიტია, ნამდვილად გალაკტიონისეულია.**

გალაკტიონ ტაბიძემ გაიარა შემოქმედების რთული და გრძელი გზა და მის ლექსებს სხვადასხვა დროს შექნილი ჰყავს სხვადასხვა ხასიათის თაყვანისმცემელი.

ერთი კატეგორიის მკითხველთა გალაკტიონის პოეზიაში ხიბლავს მისი ადრინდელი, ჯერ კიდევ ფსევდორომანტიზმის გავლენით შექმნილი ლექსები, სავსე სენტიმენტალური შორისდებულებით, „ცის ფერიებით“, „იღუმალი სიმთა ჟღერით“, „ნაზ-ნარნარი ნიავქარით“, და ა.შ.

ცხადია, ჩვენ არ ვიზიარებთ მათს სიმპატიებს, რადგანაც ეს უკანასკნელნი გალაკტიონის შეურაცხმყოფლად მიგვაჩნია.

მაგრამ არანაკლებ მიუღებელია ჩვენთვის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის იმ მკვლევართა შეხედულებებიც, რომელთა მიერ იგი დაბადებიდანვე შეგნებულ იდეურ მებრძოლად არის გამოცხადებული, – ის უცნაური თეორია, რომლის თანახმად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პოეტის ყველა პესიმისტური ლექსის და საზოგადოდ ყოველგვარი ინტიმური განცდის ქვეტექსტი 1905 წლის რევოლუციის დამარცხებაში უნდა ვეძიოთ.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება არავითარ შელამაზებას და კორექტივებს არ საჭიროებს. იგი დიდია თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით, თავისი შეცდომებითა და მიგნებებით, თავისი სულის არასწორხაზოვანი, არასტანდარტული მოძრაობით.

ჩვენთვის ძვირფასია სახალხო პოეტი გალაკტიონი, რომელმაც გულწრფელი აღფრთოვანებით უმღერა რევოლუციის და განახლების ძალებს, მაგრამ არანაკლებ გვხიბლავს ჩვენის სულის სიღრმემდე შემძვრელი მწუხარე ჰანგების მგოსანი, რომლის განწირულმა ძახილმა პოეზიის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. უფრო მეტიც, ჩვენის აზრით, ბევრად ნაკლები ფასი ექნებოდა პოეტის გვიანდელ, გამარჯვებისა და ბედნიერების გრძნობით ნაკარნახევ სიმღერებს, რომ მათ წინ არ უძლოდეს ესოდენი წამება, სასონარკვეთა და ტკივილი მისი სულისა.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება უაღრესად მრავალმხრივი და ნაირფეროვანია თავისი თემებით, მოტივებით, ინტონაციით. მაგრამ მას თავისი განსაკუთრებული, სპეციფიური თავისებურებაც გააჩნია.

უკანასკნელი დროის ქართულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი, რომ XX საუკუნის პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძე უფრო აკაკის ტრადიციების გამგრძელებელია, ვიდრე ბარათაშვილისა. მართლაც, როგორც ოსტატი, როგორც მომღერალი, იგი დიდად ენათესავება აკაკი წერეთელს. მისთვის თითქმის უცხოა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გენიისათვის დამახასიათებელი ფილოსოფიურ ძიებათა პათოსი და აქედან გამომდინარე თავისებური ინტელექტუალიზმი.

მაგრამ გალაკტიონ ტაბიძეს მაინც ბევრი რამ აახლოებს ბარათაშვილთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი შინაგანი ბუნებით, ხასიათითა და განწყობილებით იგი სწორედ ბარათაშვილის „სული ობოლის“ პირდაპირი შთამომავალია.

მსგავსად ამ ლექსის ლირიკული გმირისა, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ინდივიდუალობაც – მის მთელ რიგ, ქართული პოეზიის კლასიკად ქცეულ ქმნილებებში – აღბეჭდილია სულიერი უთვისტომობისა და მიუსაფრობის ნიშნით.

თუმცა ჯერ კიდევ შედარებით ადრინდელ გალაკტიონს მოეპოვება წყნარი, სიხარულთან შეზავებული სევდის გამომხატველი სტრიქონებიც:

მგლოვიარე ბინდებით
იბურება ყვარელი,
ვაზით და სიმინდებით
მიდის გზა საყვარელი.

მაგრამ მისი მუზა უფრო ხშირად ისევე აფორიაქებული და თავდავინწყებამდე სასო-
ნარკვეთილია, როგორც „სულო ბოროტოს“ ავტორისა:

შეხედე, დასტკბი: ჩემი თვალები
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით,
ღამენათევი და ნამთვრალევი,
სავსეა ცრემლთა შურისძიებით...

ერთ ადრინდელ ლექსში პოეტმა თავის თავს „უსახლო სული“ უწოდა და მართლაც ის
თითქოს მარტოობისათვის იყო დაბადებული.

მაგრამ გალაკტიონ ტაბიძეს წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება, – იგი სიცოცხლეშივე
შეიყვარა და შეითვისა მშობელმა ერმა.

ქართველმა ხალხმა თითქოს შეისმინა მისი განწირული სულის ჩივილი და მას თავის
მფარველი კალთა გადააფარა.

სამაგიეროდ, არც პოეტი დარჩენილა ვალში სამშობლოს მიმართ. არაერთი შთაგონე-
ბული ლექსი უძღვნა მან თავის განახლებულ მხარეს. საქართველო იყო მისი უკანასკნელი
პოეტური გატაცება და უკვე მსცოვანმა მგოსანმა უნაზესი სიტყვებით მიმართა მას: „მამულო,
სიცოცხლეო!“

ამ ცხოველმყოფელი სიყვარულით გამთბარი და ამაღლებული ავიდა ის საქართვე-
ლოს წმინდა მთაზეც, რათა სამუდამოდ შეერთებოდა ჩვენი პოეზიის უბრწყინვალეს
თანავარსკვლავედს.

იგი ნავიდა ჩვენგან, ჩვენი ყოველდღიური, მშფოთვარე ყოფიდან, რათა მშობლიურ
სივრცეთა უსასრულობაში, მშობელი ხალხის მარადიულ ხსოვნაში ეპოვა თავისი სამყოფელი.

ეს უკანასკნელი გზაც მან თავისი ლექსით გაინათა:

მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.

მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც – მინიერი, არც – ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.

მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს, –
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

ჟურნ. „ცისკარი“, 1959, № 4, გვ. 118-121.

ლერნამი და გოგელენი

მოგონებანი გ. ტაბიძეზე

– მუსიკაა მთავარი, ძამიკო, მუსიკა!

ეს ფრაზა ჩვეულებრივ რეპლიკად ისმოდა გ. ტაბიძის საუბარში, თუ იგი საკუთრივ პოეზიას შეეხებოდა. ძამიკოს კი ყველა თანამოასაკესა და უმცროს მეგობარს ეძახდა.

ერთ-ერთ ბანკეტზე, რომელიც მის პატივსაცემად გაიმართა „პალასში“ დაახლოებით ამ ოცდახუთი წლის წინ, გ. ტაბიძე გატაცებით ლაპარაკობდა მუსიკაზე. მან ერთმანეთს შეადარა ბიზე და ვაგნერი და უპირატესობა პირველს მიანიჭა. გ. ტაბიძე პოეზიაშიაც უშუალობასა და სიმღერის პრიმატს იცავდა, წინააღმდეგი იყო ზვიადი პათოსისა და ყოველგვარი ინტელექტუალიზმისა.

თვითონ გ. ტაბიძე, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, სიტყვის მუსიკოსი იყო.

საერთოდ არიან წმინდა მუსიკალური პოეტები, რომელთაც თავიანთი განცდებისა და ფიქრების გამოსახვა უმთავრესად მელოდიურ სამოსელში უხდებათ. ამათგან უნდა გავმიჯნოთ ისინი, რომელთაც მუსიკალურობა წარმოუდგენიათ მხოლოდ ბგერების სხვადასხვანაირ კომბინაციებში. გ. ტაბიძე ეკუთვნოდა იმ ლირიკოსებს, რომელთა შემოქმედებაში უწინარესია უნებური სულიერი მუსიკა, რაც წინ უსწრებს ხოლმე ლექსის ჩასახვას პოეტის არსებაში. ამ სულიერ ვითარებას ზედმინევი იცნობდა, მაგალითად, აკაკი:

რამ ამამალლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?
.....
მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივცისკარა!
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბუღბუღს ენა ერთად მოპარა.

ასეთი, გულის სიღრმემდე შემძვრელი სიხარული თუ დარდი, შთაბეჭდილება თუ ფიქრი ჩვეულებრივ მოედინება, როგორც პირვანდელი და წმინდა თრთოლვა და ლექსი არსებითად მის შემდგომს კრისტალიზაციას წარმოადგენს. ილიაც ამბობდა:

ჩემო სიმღერავ, ნუ დადუმდები,
შენითა ლხინობს ეს კრული გული,
შენში ცხოვრობენ ჩემი დარდები,
ჩემი ნალველი და სიხარული.

გ. ტაბიძის პოეტური ენის სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ მან სიტყვის მუსიკალური ექსპრესია შესანიშნავად შეუხამა სიტყვიერ ფერადოვნებას, ერთგვარ კოლორისტულ წერტილებს, რომელნიც გალხობილი ზურმუხტივით ლივლივებენ მის ლექსებში. მართალია, გ. ტაბიძის პოეტურ ენას ზოგჯერ ახასიათებდა ალოგიზმი, ბუნდოვანებანი, არაერთგზისი შემთხვევები სტილიზაციისა და ლიტერატურულობისა, მაგრამ თვითონ პოეტის შინაგანი ანუ უნებური სულიერი მუსიკა – საეჭვო არასოდეს არ ყოფილა.

გ. ტაბიძე მთლიანად მუსიკალური პიროვნება იყო, – აჟღერებული ლექსის გარეშეც, ულექსოდაც. ერთგან იგი ამბობს:

სულში გენით ატეხილი რეკავს ლერნამი!

თვითონაც მუდამ ლერწამით თრთოდა. გ. ტაბიძე ძალზე მგრძობიარე სულის პატრონი გახლდათ. მხოლოდ ზოგიერთები ვერ გრძობდნენ მისი ირონიული ბუნების იქით პოეტის უაღრესად ფაქიზ და მთრთოლვარე სულს, რომელიც მუდამ წმინდა მუსიკას გამოსცემდა.

* * *

აკადემიისაკენ მიდიოდა, პორტფელს მიაქანავებდა (ეს ჩვეულებად ჰქონდა), თავჩაქინდრული მძიმედ მიაბიჯებდა. დავენიე, ერთხანს უხმოდ მივყვებოდი უკან. უცებ მისი ბუტბუტი შემომესმა: იგი ახალი ტაეპების რითმებს თხზავდა თუ იმეორებდა.

ამან გამაოცა. ერთხანს ყურს არ დავუჯერე. მერე მაინც დავრწმუნდი, რომ იგი რომელიღაც ლექსის კლაუზულების სკანდირებით იყო გართული...

გ. ტაბიძე ჯადოქარია ქართული რითმისა. მისი სმენა ლექსის კადენციის სფეროში უბადლოა.

მხოლოდ გ. ტაბიძეს შეეძლო სარიტმოდ გამოეყენებინა სიტყვა „მადათოვს“ (რომელიც მგონი ტაეპის შიგნითაც კი სმენისთვის ძნელად ასატანი იქნებოდა) და იგი ბრწყინვალედ გაეხმიანებინა: „მადათოვს – დამათოვს!“

რითმა ზოგჯერ მისი ლექსის თემადაც კია გადაქცეული და იგი სათაურშივეა გამოხატული, მაგალითად, ასე: „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.

მარტო ეს სათაურიც ღირს შესანიშნავ ლექსად. იგი ხატოვანია და მუსიკალური ერთსა და იმავე დროს. მთელი ლექსის გასწვრივ ძირითად ლეიტმოტივად ისმის, თანაც ფარშევანგის ბოლოსავით იშლება.

მისი რითმა წარმოშობილია სიტყვისადმი სათუთი დამოკიდებულების საფუძველზე. ზოგჯერ ეს სიტყვა არა მარტო მხატვრულ ცნებას გამოხატავს, ან მუსიკალური გამმის ელემენტია, – იგი უთვალავი ფონეტიკური ვარიაციის მასალადაცაა გამოყენებული. აი, შემთხვევით შერჩეული მაგალითებიც:

როგორც **მენავემ** ძველი **სანავე**
ვით **გულმა გული** და **მკლავმა მკლავი**,
ისე პირველი ნახვისთანავე
ვიცანი ჩვენი მდინარის ნავი.

ან: კაფეში შევალ სრულიად მარტო
და ორს ავაგვებ სასმელით ჭიქას,
ერთი შენია (უნდა ვიდარდო,
ასეც და ისეც, აქაც და იქაც).

კიდევ: ...ზღვა იშმუშნება,
როცა ვნერ ამ სტრიქონებს,
თითქოს რაღაცა
აგონდება, და ველარც **იგონებს**.

აკვიატებული სიტყვა ზოგჯერ უცვლელადაა დატოვებული:

ცივია გული, არ შეუყვარდი?
არაფერია, შეუყვარდები!
თითქოს რაიმეს ნიშნავს, რომ ბნელი
ღამით იმავე მეგობარს ელი?
არაფერია, არაფერია!

ამის შემდეგ სულ მცირე მანძილი რჩება მსგავსი ან ერთი და იგივე სიტყვების ორკესტრულ აჟღერებამდე:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!

* * *

ლენინის მოედანზე, ოქროულობის მაღაზიის პირდაპირ, ჩაფიქრებული იდგა. ნიკაპი ცერსა და სალოკ თითზე დაებჯინა (ესეც მისი ჩვეულება იყო) და გამვლელ-გამომვლელთ ვერ ამჩნევდა.

მივესალმე და ფიქრი შევანყვეტინე. აღმასკომის წინ ამართულ ორ პატარა ხეზე მიმითითა:

– დამიკო, – დაიწყო მან, – შეხედე, დამიკო, ქოლგებიანი ძმებივით არ დგანან?!

გ. ტაბიძეს შეეძლო გამოეყო პეიზაჟის ისეთი, ერთი შეხედვით არასაყურადღებო დეტალი, რომელიც შემდეგ მკითხველის ინტერესს ბადებდა.

გ. ტაბიძე თვითონ ამბობს:

...ან როგორც ასომთავრულს,
მუდამ შევამჩნევ ცაზე
სხვისთვის უხილავ-ფარულს...

მაგონდება, მასთან ერთად წყნეთიდან ჩამოვდიოდი ქალაქში, ავტობუსის ცდაში თავისი მანქანით ჩამომიქროლა და მეც ვისარგებლე შემთხვევით. გზაზე მითხრა:

– ჩემი ეზო უნდა განახო, დამიკო; როცა იქ შევდივარ, ვარდის გახარებული ბუჩქები მკერდს მიშვერენ.

ამ სიტყვებმა უმაღვე მომაგონეს სრულიად ანალოგიური შთაბეჭდილება იასნაია პოლიანაში ჩასულ რაინერ მარია რილკესი.

ყოველივე ეს მარწმუნებს იმაში, რომ გ. ტაბიძის იმპრესიონისტული პეიზაჟი, რომლის შესახებ მე ვწერდი ამ ოცდაორი წლის წინ, როდი იყო მარტოოდენ ლიტერატურული წარმოშობის მოვლენა. გ. ტაბიძე თითქო გაოგნებული დადიოდა მცენარეთა შორის. ბაღში, საღამოს ბინდნაკრავ ყვავილებსა და ხეებს შორის, რომლებიც მას გობელენს აგონებდნენ:

...იმ ღამის-ღამით
უხილავ გზებით შთავა ყოველი.
ტბის პირად, როცა ხეების ხელებს
დაეკიდება მთვარე და ცვარი,
დამთვრალი ბალი გაშლის გობელენს.

თითქოს დებიუსის პრელუდიასავით ჟღერს პოეტის გაკვირვება მთვარიან ღამით:

მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე.
.....
ჯერ დააგუბა თეთრ ღრუბლებში იების ღვარი
და გადაღვარა ვით სირიის ნელსაცხებელი.

ადრინდელი ლექსების მიხედვით გ. ტაბიძეს საღამო აგონებდა ხან ძველისძველ წიგნს, რომელიც ხავერდის ყდაში წევს, ან აკათისტს, ან ლოცვანს, რომელსაც ნელი ხმით კითხულობენ:

საღამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან
და გაოცების მწუხარებას მასთან მიიტან.
თითქო ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი

და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი
და მხოლოდ ღამით იგრძნობს სული როგორც სამებას,
ყვავილებს და ცას, საუკუნო გამოსაღმებას.
(„შენ და დემონი“)

ამის შემდეგ მე მესმის ბუნდოვანი ტაეპი მისი ლექსისა: „სიკვდილი მთვარისაგან“:

ნაკითხულ წიგნთა საღამოსის მსუბუქი ბინდი.

ან კიდევ სხვა, ცალკეული პასაჟები იმავე ლექსისა:

როცა დაეცა შუქი ბინდისა,
დამძიმებული მუქი ხავერდით.
ამართულიყო ის მთაწმინდაზე
სიკვდილის გვერდით, –
.....
საღამო ნაზი, უხავერდო და უვნებელი.

გ. ტაბიძე მთვარის სხივებში ხვევდა პეიზაჟის უაღრესად ლოკალურ ფონსაც:

ამოდის მთვარე, სადღაც ქოხში იელვებს კვარი,
იქ, სადაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი,
სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას, –
.....
წელში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი.

გ. ტაბიძის სიტყვიერი ფერებიც კი მუსიკალურია.

* * *

ერთ პოეტზე საუბრისას გალაკტიონ ტაბიძემ მოკლედ დაასკვნა:

– დადმონ არ უზის სულში, ძამიკო, დადმონ!

და ხმადაბლა ჩაიმღერა თავისივე ლექსის ტაეპი: – აი რა არის თავიდათავი!

ორგზისი განმეორება ბერძნული სიტყვისა ამჟღავნებდა, რომ ჩვენს პოეტს იმ დროს ეს-
წავლა სკოლაში, როცა იქ ძველ ენებს გადიოდნენ. მას შეიძლება სმენია კიდევ სოკრატეს სი-
ტყვები: ჩემი ღმერთები ჩემი დემონები არიანო.

გ. ტაბიძე დემონს უწოდებდა მუზას. იგი ამ დემონის ჩურჩულს უსმენდა ხოლმე. მან
დაანერინა პოეტს არაერთი ბრწყინვალე ლექსი, მათ შორის შესანიშნავი „მე ველი სასწაულს“.

გ. ტაბიძე თვითონ ამბობდა:

.....
სიკვდილის პირად როცა ვიქნები,
მე ჩემს დემონებს
ვთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები.

გ. ტაბიძემ კარგად იცოდა თავისი დემონის ტირანული ზეგავლენის ძალა და ჩვენს პო-
ეტს შეეძლო ბლოკივით მიემართა „მუზისადმი“:

Я хотел, чтоб мы были врагами,
Так за что ж подарила мне ты,
Луг с цветами и твердь со звездами,
Все проклятие твоей красоты.¹

¹ ციტატა ალ. ბლოკის ლექსიდან „მუზისადმი“ („К Музе“, 1912): „მე მსურდა, რომ მტრები ვყოფილიყავით. მაშ, რატომ მაჩუქე ყვავილებიანი მდელი და ვარსკვლავიანი ზეცა – მთელი წყევლა შენი მშვენიერებისა“.

* * *

შეიძლება არაფერი ისე არ ახასიათებდეს ადამიანს, როგორც ღიმილი. გ. ტაბიძეს ხშირად ეწვეოდა ხოლმე ფართო, მშვენიერი ღიმილი, რომელსაც იგი გულიანი სიცილით ამთავრებდა: ხა! ხა! ხა!

თანაც თავს უკან გადინებდა და თვალებს ნაბავდა.

როგორ განსხვავდებოდა გ. ტაბიძე ამ მხრივაც იმ ჯურის ადამიანთაგან, რომელთა ბაგის კიდეებზე გაიელვებს ხოლმე სმერდიაკოვის მქირდავი ღიმილი!

გ. ტაბიძე იცინოდა იმ ადამიანის სიცილით, რომელსაც დიდი ხანია მდიდარი სულიერი რთველი დასდგომია.

მე სრულიად არ მინდა მისი იკონოგრაფია ცალმხრივად წარვუდგინო მკითხველს. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ „პირიმზის“ ავტორის ლირიკულ მემკვიდრეობაში აღბეჭდილია უტყუარი სახე პოეტისა, რომელიც საყვარელია და მიმზიდველი. ხოლო თუ პოეტი აუდიტორიასთან არ ამყარებს მომხიბლაობის ისეთ ინტიმურ კავშირს, არ შეაყვარებს მკითხველს ლექსებში რეალიზებულ თავის თავს, – ყალბი პოეტია. იგი დიდხანს ვერ დაატყვევებს ადამიანს. მისი სიმღერა არ დაივანებს მკითხველთა სულში, რადგან სხვისი სულის დაპყრობა მხოლოდ იმათი ხვედრია, ვინც საკუთარ არსებიდან გამოასხივებს სიწმინდესა და კეთილშობილებას.

* * *

ეს იყო ომის წინ. კომუნართა ბალის შესასვლელთან შევხვდი. მთხოვა „გლახთა სახლის“ ქვეშ, სასადილოში შევყოლოდი. როცა მაგიდასთან დავსხედით, მან პორტფელიდან რალაც ქაღალდები ამოალაგა.

– ახალი ლექსები უნდა წაგიკითხოო, – მითხრა.

აფხაზეთიდან ჩამოსულიყო. გატაცებით ჰყვებოდა შავი ზღვის სანაპიროების მშვენიერ სანახებზე, ეკალიპტებზე. რამდენიმე კარგი ლექსი დაენერა, მთელმა ციკლმა კი განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე არ მოახდინა. გალაკტიონმა იგრძნო ეს, მას არ მოეწონა, რომ თავაზიანობა მაიძულებდა – გამემხნეებინა და დასტურის ნიშნად თავი მექნია.

ლექსები ლურჯი მელნით იყო ნანერი, მხოლოდ ერთ საკმაოდ გრძელ და ვიწრო ქაღალდების დასტის პირველ ფურცელზე ფანქრით ეწერა რამდენიმე ტაეპი. ინტერესი გამოვიჩინე სწორედ ამ შემთხვევითი სტრიქონების მიმართ. გალაკტიონმა მითხრა, რომ აპირებდა ქუთაისზე ვრცელი პოემის დაწერას. ვთხოვე განზრახული პოემის დასაწყისი ჩემთვის წაეკითხა. იგი უხალისოდ დამთანხმდა; თვითონ მაინც არ წაიკითხა, ნანერი გადმომცა და მეც უხმოდ მივადევნე თვალი ტაეპებს:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო...

ყველასათვის ცნობილია ეს პატარა ლექსი. მე ვთხოვე გალაკტიონს – არ გაეგრძელებია იგი და სასწრაფოდ გადაეცა დასაბეჭდად. გალაკტიონი შეეყოყმანდა. მე დაჟინებით გავუმეორე თხოვნა, რომელიც მან შემდეგ შემისრულა კიდეც. ლექსი „მნათობში“ გამოაქვეყნა დამოუკიდებელი კუპლეტის სახით და არა როგორც განზრახული პოემის დასაწყისი.

ახლა ამ ლექსს მთელი საქართველო მღერის. პოემა კი არ დაუნერია. შეიძლება მე შევეუშაღე ხელი. არ ვნანობ კი: პოემის წერა გალაკტიონის მოწოდება არ იყო.

* * *

ომი მძვინვარებდა. ბელეტრისტ ვანო იოსელიანს და მე გზაზე შეგვხვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ღარიბულ სუფრას ვუსხედით.

გ. ტაბიძე პეტროგრადს იგონებდა. იგი ვანოსთან ერთად მოხვედრილა იქ თებერვლის რევოლუციის დროს.

ვანო იოსელიანი შეუდარებელი მთხრობელ-იმპროვიზატორი იყო. გალაკტიონს გულწრ-ფელად უყვარდა თავისი მეგობარი.

ორივენი იგონებდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქარტეხილებს, ლენინის გამოსვლებს, ნევის პროსპექტის ფანრების ციმციმს...

არ ვიცი რატომ და საუბარი შეეხო პროსპერ მერიმეს. ვანო გატაცებული იყო „ეტრუს-კული ვაზის“ ავტორით, არა ნაკლებ უყვარდა ჩეხოვიც.

გ. ტაბიძემ ჩინებული ცოდნა გამოამჟღავნა პროზის სფეროშიაც. საკითხების ღრმა გაგებით ლაპარაკობდა იგი, მაგალითად, ფლობერზე და დოსტოევსკიზე.

უცებ გალაკტიონმა ვიტრინაში თვალი მოჰკრა ყვავილების თაიგულს რომელიღაც სარკ-მელში, ქუჩის მეორე მხარეს და ვანოსკენ ოდნავ დახრილმა ნაიჩურჩულა:

– როგორაა, ძამიკო ვანო, ა?

და შემდეგ ისევ წელგამართულმა ხმამაღლა რუსულად სთქვა ორი ტაეპი, რომელსაც აქ მიახლოებით თუ აღვადგენ ქართულ თარგმანში:

უტიფრად მიხმობენ ვარდები
ჩემი კარმენის ვინრო სარკმლიდან!

დღესაც არ ვიცი – ვის ეკუთვნის ეს სტრიქონები. მაგონდება მხოლოდ, რომ მშვენიერი იყო გ. ტაბიძე მის მიერვე გამოგონილ ლოველასის პოეზიაში!

გ. ტაბიძე თავისებურად ითვისებდა სამყაროს. უეცარი შეწყვეტანი, ბოლომდე უთქმელობა, გაფანტული მხატვრული ასოციაციები – ყოველივე ეს მის რევოლუციამდელ პოეზიასაც ახასიათებდა. ამიტომ მკითხველისაგან იგი მოითხოვს ხარვეზების შევსებას ემოციური სურათის მთლიანობის აღდგენისა და დამთავრების მიზნით.

იგი არ ყოფილა პოეტი-მოაზროვნე, მაგრამ ზოგიერთ მის მცირე, კამერული სტილის ლექსში მეტი პოეზიაა, ვიდრე ბევრი ფსევდომოაზროვნის ლირიკულ ჯახირში. გ. ტაბიძემ შექმნა თავისი პოეტური ქვეყანა, ის განუმეორებელი მხატვრული აბსტრაქცია, ურომლისოდაც პოეტი საერთოდ საჭირო არაა ლიტერატურაში.

მახსოვს ამ შეხვედრის დროს მან უცბად მოიწყინა. გალაკტიონს გაახსენდა, რომ ხუმრობის დრო არ იყო. ხმადაბლა და გრძნობიერად ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნის მძიმე ვითარებაზე, საბჭოთა ჯარისკაცების გმირობაზე.

გ. ტაბიძე ახალი ქვეყნის ნამდვილი ტრუბადური იყო, მაგრამ კერძო საუბარში ან სუფრაზე გაურბოდა პატრიოტულ აღსარებებს. მან იცოდა, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული სათუთი გრძნობაა და იგი ვერ ითმენს სენტიმენტალურ სატრფიალო ახსნა-განმარტებებს, ან თავმომაბეზრებელ ხოტბებს, რაც ასე უხვად მოედინება ბევრი კეთილმონყობილი მოლექსის ბაგიდან.

თავის ცნობილ „ფიცში“ გ. ტაბიძე აცხადებდა, რომ იგი მზად იყო გმირული თავგანწირვისათვის, მაგრამ კერძო ცხოვრებაში არასოდეს არ უტრიაბახნია ვაჟკაცობით; ამბიცია ან თვითტკბობა საერთოდ ორგანულად შეუთავსებელია პოეზიის ბუნებასთან.

გ. ტაბიძის „ეგოტიზმიც“ სულ სხვა რანგის მოვლენაა, რაზედაც ალბათ სხვა ალაგას მოგვიხდება სიტყვის თქმა.

არავის ახსოვს მის მხრივ ვერაგული ჩასაფრება, ხელის შეშლა, ღვარძლი, შავი შურისძიება. მაგრამ სიმპათიისა და ანტიპათიის გრძნობას კი კარგად იცნობდა.

შესანიშნავი ფსიქოლოგი იყო. ამიტომ ვინც უყვარდა – მართლაც სიყვარულის ღირსი იყო ყველა. ვინც სძულდა – ნამდვილად საძულველი. უსაზღვროდ ნიჭიერს მხოლოდ თავისი ანტიპოდები ეჯავრებოდა.

„ძალიან მიყვარს ეს კაცი!“ – მითხრა ვანო იოსელიანმა, როცა გალაკტიონი დაგვშორდა.

* * *

იჭირვეულა. იუცხოვა. იხმაურა. სძულდა. უყვარდა. ფათურობდა. მთვრლობდა. ფხიზლობდა. ყელამდე აივსო სიხარულით. ფართოდ გაუღო თავისი სული შთაბეჭდილებებს. იცოდა დუმილი. სცოდავდა. არ სცოდავდა. უცნაური იყო. ჭკუის კოლოფიც იყო.

სიმღერად იცლებოდა.

ხანდახან კი სულ ყრუდ, ყრუდ ჟღერდა ერთადერთი ობოლი სიმი მისი სულის სიღრმეში...
მაგიდაზე დაასვენებდა ხოლმე თავის მშვენიერ, ნამდვილად მშვენიერ ხელებს...
არაფრის ეშინოდა. ზოგჯერ თითქოს ყველაფერი აფრთხობდა. არაჩვეულებრივი იყო.
და აღარაა.

* * *

გ. ტაბიძის ტრაგიკული ნაბიჯის მიზეზი მისსავე მთრთოლვარე არსებაში იყო, კონკრეტული მიზეზი ამ ნაბიჯს არ ჰქონია. ეს მხოლოდ მისი დემონის ბიძგი იყო:

არის დღეს ჩემთვის ნაზი ნუგეში,
ვიყო უმშვიდეს ნარსულის მტერი;
შევიდე უცხო სიმსუბუქეში,
გამომყვეს ლურჯა ცხენების მტვერი.

უსაზღვროდ უყვარდა დედაქალაქი, რომლის სიახლე მას ეგზომ ახარებდა:

ის დრო ნავიდა. ტფილისი ძველი
მიინგრ-მოინგრა. სცივათ კახურებს!

და სწორედ აქ, თავის სატახტოში, შეჰკვივლა მან უკანასკნელად ვარსკვლავებს. განა
ნამდვილი წინათგრძნობით არაა გამსჭვალული მისი სტრიქონები, დანერილი ამ ორმოცი
წლის წინათ:

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია,
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი,
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი,
მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა,
მე კი ჩვენი დამიფარავს მთანმინდა.

ქართველმა ხალხმა თვითონ აიტანა იგი მთანმინდაზე და თავისი უდიდესი ლირიკოსის
საფლავის გვერდით მიუჩინა ბინა. ჩვენი ხალხი კი ჭირვეულია სიძულვილსა და სიყვარულში, –
ის არავის არ აჯილდოვებს დაუმსახურებლად.

გრანდიოზული სამგლოვიარო კორტეჟი მიაცილებდა მის კუბოს, თითქო მთელი ქალაქი
ტორტმანობდა.

ქართველი მწერლები კოცნიდნენ მის ცხედარს. არავის წილად არ ხვდომია ამდენი ამ-
ბორი გარდაცვალების შემდეგ.

სამი დაკრძალვა მახსოვს ასეთი დიადი:

როცა სარაჯიშვილს ასაფლავებდნენ, ყველამ იცოდა, რომ ეთხოვებოდნენ სიმღერას.

როცა ნატო ვაჩნაძის ფერფლმა ჩაიარა მოედანზე, – ვილაც უცხომ იკითხა – ვის
ასაფლავებენო. მას ერთხმად უპასუხეს:

– სილამაზეს!

გ. ტაბიძის დასაფლავება კი სიტყვის მუსიკის გამოტირება იყო.

სხვებთან ერთად მეც გულმოკლული და ღრმად შეძრწუნებული მივაცილებდი სამარემ-
დე მის ძვირფას კუბოს და მეჩვენებოდა, თითქოს ლერწამი დაიმსხვრა და გობელენები სამუ-
დამოდ დაკეცეს.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1960, 12 აგვისტო.

ავტორთა შესახებ

აბაშელი ალექსანდრე – ალექსანდრე ჩოჩია (1884-1954) – პოეტი, პროზაიკოსი, ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი დამწყები. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლექსის განახლების პროცესში. ალ. აბაშელმა გალაკტიონს რამდენიმე წერილი მიუძღვნა.

აბაშიძე ირაკლი (1909-1992) – პოეტი და საზოგადო მოღვაწე; „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი, სხვადასხვა დროს იყო ჟურნალების – „ჩვენი თაობა“ და „მნათობი“ რედაქტორი.

აბრამიშვილი მიხეილ (1892-1939) – პედაგოგი, ესთეტიკისა და პოეტიკის პრობლემების მკვლევარი; ერთ-ერთმა პირველმა მიუძღვნა საგანგებო წერილები იოსებ გრიშაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. ავტორია წიგნისა „ძველი ქართული თეატრი“ (1925), რომელიც ქართული თეატრის ისტორიის შედგენის პირველი ცდაა.

აკ. პ-ვა – იხ. პაპავა აკაკი. გვ. 328.

ალფა – ფსევდონიმით „ალფა“ მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში რამდენიმე პიროვნება წერდა. ამ სტატიის ავტორის ვინაობა დაუდგენელია.

არიმათიელი იოსებ – იოსებ იმედაშვილი (1876-1952) – მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. რედაქტორობდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთებს – „ხალხის ერთობა“ და „ხალხის თავისუფლება“.

ასათიანი გურამ (1928-1982) – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი წერილი.

ასათიანი ლევან (1900-1955) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებული აქვს ხუთი წერილი.

ბარნოვი ვასილ – ვასილ ბარნაველი (1856-1934) – პროზაიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ბეგიაშვილი თედო (1892-1970) – პედაგოგი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი.

ბენაშვილი დიმიტრი (1910-1982) – საბჭოთა კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. იყო ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია და რამდენიმე წერილი.

ბოჭორიშვილი მიხეილ (1893-1943) – მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწე. გალაკტიონის მეგობარი და თანამოაზრე, რეპრესიების მსხვერპლი. დააპატიმრეს 1924 წლის სექტემბერში, როგორც აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი; გარდაიცვალა გადასახლებაში, სავარაუდოდ, 1943 წელს.

ბუაჩიძე ბენიტო (მირიან) (1905-1937) – საბჭოთა კრიტიკოსი, პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი იდეოლოგი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას ეძღვნება მისი ათამდე წერილი.

გარრიკი ვახტანგ – ვახტანგ ვაჩნაძე (1896-1937) – კრიტიკოსი, მწერალი, მთარგმნელი, პედაგოგი, რეჟისორი. 1915 წლიდან აქვეყნებდა კრიტიკული და თეორიული ხასიათის წერილებს.

გაფრინდაშვილი ვალერიან (1889-1941) – პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი; ცისფერ-ყანწელთა ორდენის ერთ-ერთი თეორეტიკოსი, ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ რედაქტორი. პირველი პოეტური კრებული „დაისები“ გამოაქვეყნა 1919 წელს.

გ. ა. – გობრონ აგარელი (ციცქიშვილი) (1899-1951) – პოეტი, მთარგმნელი.

გ. მ–ლი – მუშიშვილი გრიგოლ – გრიგოლ ხოფერია (1899-1938) – ჟურნალისტი, კრიტიკოსი. 1927-28 წლებში იყო გაზეთ „სოფლის ცხოვრების“, ხოლო 1936-1937 წლებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი. კრიტიკული წერილების ბეჭდვა დაიწყო 1927 წლიდან „მუშიშვილის“ ფსევდონიმით.

გ. ნ. – იხ. ნატროშვილი გიორგი. გვ. 328.

განდეგილი – დომინიკა ერისთავი (1864-1929) – პროზაიკოსი, პოეტი, მონაწილე გალაკტიონის დებიუტისა გაზ. „ამირანში“ (1908).

განერელია აკაკი (1910-1996) – ფართო პროფილის ლიტერატურათმცოდნე, ლექსმცოდნე, პროზაიკოსი და კრიტიკოსი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი წერილი.

გერგესელი ნ. – ნიკო კვერნაძე (1894-1924) – მწერალი, ესეისტი. მისი ნაწარმოებები ამ ფსევდონიმით ქვეყნდებოდა 20-იან წლებში. დახვრიტეს 1924 წელს.

გომართელი ივანე (1875-1938) – გამოჩენილი ექიმი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე; დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭოთა პერიოდშიც განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა და საექიმო პრაქტიკა. ავტორია არაერთი წერილისა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების (ნ. ბარათაშვილი, რ. ერისთავი, მ. გურიელი, დ. კლდიაშვილი) შესახებ.

გრანელი ტერენტი – ტერენტი კვიციანი (1897-1934) – პოეტი, გალაკტიონის სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

გრიშაშვილი იოსებ – იოსებ მამულაშვილი (1889-1965) – პოეტი, მთარგმნელი, მკვლევარი. XX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი რეფორმატორი. ი. გრიშაშვილი გალაკტიონის შემოქმედების შესახებ დაწერილი რამდენიმე წერილის ავტორია.

გუნია ვალერიან (1862-1938) – დრამატურგი, მსახიობი, რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი. რედაქტორობდა ჟურნალ „თეატრს“; დააარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, იუმორისტული ჟურნალი „ნიშადური“.

დადიანი შალვა (1874-1959) – დრამატურგი, პროზაიკოსი, მსახიობი და რეჟისორი.

დიმიშვილი დ. – ჩხეიძე დავით – მწერალი, კრიტიკოსი.

ებრალიძე მამია (1926-2017) – ლიტერატურათმცოდნე. მოამზადა და გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვერსია („რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, 1990).

ეკალაძე-ცინცაძე ია – იაკობ ცინცაძე (1872-1933) – პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი. გაზეთების „ქართლი“ და „სამშობლო“ რედაქტორ-გამომცემელი. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა 1890-იანი წლებიდან; ავტორია ასევე თეთრი ლექსებისა, რომლებსაც „ლექსისებურს“ უწოდებდა. ია ეკალაძეს გალაკტიონმა ორი ნაწარმოები მიუძღვნა.

ელიანი ნ. – სავარაუდოდ, მწერალი პავლე საყვარელიძე.

ვ. ჩ. – ვასილ ჩხენკელი – კრიტიკოსი, ესეისტი.

ი. ი.–ანი – ივანე იოსელიანი – პროზაიკოსი, გალაკტიონ ტაბიძესთან დაახლოებული პიროვნება.

კაიუს პელი – გაიოზ იმედაშვილი (1906-1990) – ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი.

კეკელიძე კორნელი (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, ქართული ფილოლოგიური სკოლის კორიფე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი და აკადემიკოსი.

კიკნაძე გრიგოლ (1909-1974) – ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი.

კლდიაშვილი დავით (1862-1931) – პროზაიკოსი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო მწერალი.

კოტეტიშვილი ვახტანგ (1893-1937) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე

ლეონიძე სიკო (1893-1951) – გიორგი ლეონიძის ძმა.

ლ. ქ. – იხ. ქიაჩელი ლეო. გვ. 329.

ლუარსამიძე ვალერიან – ვალერიან საძაგლიშვილი (1903-1937) – კრიტიკოსი, ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ რედაქტორი (1931-1932).

მარგველაშვილი გიორგი (1923-1989) – საბჭოთა კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. ავტორია ნიგნისა „გალაკტიონ ტაბიძე“ (1973, რუსულ ენაზე).

მებუჟე გიგლა (გიორგი) (1892-1972) – ჟურნალისტი, კრიტიკოსი; გალაკტიონ ტაბიძესთან ახლო მდგომი პიროვნება. ავტორია მოგონებათა ნიგნისა გალაკტიონზე: „ჩანაწერები გალაკტიონ ტაბიძეზე“ (თბ., 1982).

მირბახ – მიხეილ ბოჭორიშვილის ფსევდონიმი. გვ. 325.

მელაძე კარლო (1906-1938) – საბჭოთა კრიტიკოსი, ჟურნალისტი. აქვეყნებდა მწვავე წერილებს ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების წინააღმდეგ პროლეტარული მწერლობის პოზიციიდან.

ნადირაძე კოლაუ (1895-1990) – პოეტი, მთარგმნელი; ცისფერყანწელთა ორდენის წევრი.

ნარი – ამ ფსევდონიმით 1900-1910-იან წლებში რამდენიმე პიროვნება წერდა, მათ შორის: იოსებ იმედაშვილი, ნოე ჟორდანიას და სხვები. წერილის ავტორის ვინაობა დაუდგენელია. გალაკტიონის ჩანაწერებში ნარი რამდენჯერმე იხსენიება, მაგრამ მის სახელსა და გვარს პოეტი არ აკონკრეტებს. გ. ტაბიძე დასახელებულია ნარის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ კიდევ ერთ წერილში: „ქართველ ახალგაზრდა პოეტთა ბედი (მცირე შენიშვნა)“ – ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წელი, № 22.

ნატროშვილი გიორგი (1910-1998) – საბჭოთა კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. იყო „ლიტერატურული გაზეთის“, შემდეგ ჟურნალების „დროშა“ და „მნათობის“ მთავარი რედაქტორი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი წერილი.

ომეგა – სავარაუდოდ, პარმენ ჭანიშვილი.

პავლიაშვილი დავით – ჟურნალისტი.

პაპავა აკაკი (1890-1964) – კრიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. მისი პირველი წერილები ქვეყნდებოდა 1910-იანი წლებიდან. 1922 წელს ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა და იქ განაგრძო ლიტერატურულ-მეცნიერული საქმიანობა. გალაკტიონს აკაკი პაპავას 10-იანი წლების ლიტერატურული მიმოხილვების ცალკეული პასაჟები ეძღვნება.

ჟღენტი ბესარიონ (ბესო) (1903-1976) – საბჭოთა კრიტიკოსი; კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური ხაზის გამტარებელი მწერლობაში. 20-იან წლებში იყო „ფუტურისტ-ლექს-ფელთა“ ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული აქვს ოცამდე წერილი.

რადიანი შალვა – შალვა შენირული (1904-1977) – საბჭოთა კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. იყო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი წერილი, რომელთა უმრავლესობა არსებითად ერთი ნაშრომის ვარიაციებს წარმოადგენს.

რობაქიძე გრიგოლ (1882-1962) – პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, ესეისტი. ქართული მოდერნიზმის მთავარი იდეოლოგი, ცისფერყანწელთა ლიდერი. 1931 წლიდან იყო პოლიტიკური ემიგრანტი. გარდაიცვალა შვეიცარიაში.

რუხაძე ვარლამ (1874-1935) – მწერალი. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „კვალი“, „მოგზაური“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „თემი“, „კოლხიდა“; მისი პირველი ნიგნი „ლექსები და მოთხრობები“ 1902 წელს ცენზურამ აკრძალა.

ს. აბ-ელი – აბაშელი ალექსანდრე. იხ. გვ. 325.

სატურნი – ალექსანდრე აბაშელის ფსევდონიმი. გვ. 325.

ს. თ-ია – სილიბისტრო თოდრია (1880-1936) – თბილისის რევოლუციური კომიტეტის პირველი თავმჯდომარე, ჟურნალისტი, ლიტერატორი.

სინარულიძე ქსენია (1909-1976) – ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე.

სტუდენტი – ივანე ჭიჭინაძის (?) ფსევდონიმი.

ტაბიძე ტიცინი (1895-1937) – პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი მეთაური და თეორეტიკოსი; გაზეთ „ბარიკადის“ რედაქტორი. იბეჭდებოდა 1911 წლიდან. რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

ტოროშელიძე მალაქია (1880-1937) – პარტიული და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი; „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე (1932-1935).

ფაშალიშვილი სიკო/სვიმონ (1894-1970) – მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი, ჟურნალისტი.

ფ. მ-ძე – ფილიპე მახარაძე (1868-1941) – ქართველ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, ლიტერატურული წერილების ავტორი.

ქიანელი ლეო – ლეონ შენგელაია (1884-1963) – პროზაიკოსი. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა 1909 წელს. ადრინდელ ნოველებში საგრძნობია სიმბოლისტური და იმპრესიონისტული მოტივები. ავტორია რამდენიმე რეალისტური რომანისა („ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“ და სხვა).

ყიფიანი. ვ. – ივანე ყიფიანი (1893-1948) – მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების ავტორი.

შანშიაშვილი ალექსანდრე / სანდრო (1888-1979) – პოეტი, დრამატურგი; ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი დამწყები. 1914 წელს დაიწყო გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა, 1917 წელს იყო ჟურნალ „მერანის“ რედაქტორი. თარგმნილი აქვს გოეთეს, შილერის, შექსპირის და პუშკინის ნაწარმოებები.

შენგელაია დემნა (1896-1980) – პროზაიკოსი, ესეისტი. ავტორია მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა ფოლკლორისტიკაში, მის კალამს ეკუთვნის მოდერნისტული რომანი „სანავარდო“, ასევე მთელი რიგი რომანებისა და მოთხრობებისა.

შენგელია ილია (1918-19??) – ქართველი პოეტი, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, ჩავარდა ტყვედ – დარჩა ემიგრაციაში. რის შემდეგაც 1943-45 წწ. იბრძოდა გერმანიის არმიის ქართულ ბატალიონში. საბჭოთა კავშირის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს ილია შენგელიას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით შრომა-გასწორების ბანაკში. ილია შენგელიას ცხოვრების ბოლო წლები უცნობია.

შუამდინარელი მარუთა – იოსებ გრიშაშვილის ფსევდონიმი. გვ. 326.

ჩიქოვანი სიმონ (1903-1966) – პოეტი, ლიტერატურათმცოდნე; ქართველ ფუტურისტთა ერთ-ერთი ლიდერი. 20-იან წლებში მისი აქტიური თანამონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა ქართველ ავანგარდისტთა პერიოდული ორგანოები: „H₂SO₄“, „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“, და „მემარცხენეობა“. 1944-51 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, 1954-60 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“.

წერეთელი ალექსანდრე (1889-1967) – ისტორიკოსი, ავტორი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

წერეთელი ვასილ (1862-1937) – ექიმი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი. 1912 წელს იყო გაზეთ „იმერეთის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, შემდეგ კი – რედაქტორი; რედაქტორობდა აგრეთვე გაზეთებს „სამშობლო“ და „ჩვენი ქვეყანა“.

წულუკიძე მიხეილ – კრიტიკოსი.

ჭილაია სერგი (1912-1993) – საბჭოთა კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, პროზაიკოსი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული აქვს ოცამდე წერილი და ორი წიგნი: „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, (თბ., 1952) და „გალაკტიონ ტაბიძე“, (თბ., 1973).

ჭილაძე თამაზ (1931-2018) – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი.

ჭიჭინაძე ზაქარია (1853-1931) – მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი, გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე. გალაკტიონმა ზ. ჭიჭინაძეს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა.

ჭუმბურიძე გ. – კრიტიკოსი, რომლის წერილები იბეჭდებოდა 1900-1920-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში.

ხომლედი – ფანცხავა რომანოზ (1861-1928) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი. ავტორია წერილებისა ქართველი კლასიკოსების და თანამედროვე მწერლების შესახებ.

ხუნდაძე სიმონ (1897-1933) – ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარი, ჟურნალისტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „ტრიბუნის“, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორად.

ხუროძე ვარლამ (1883-1939) – მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი. კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიების ავტორი. მისი ნაწარმოებები 1910-იანი წლებიდან სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში.

ჯიბლაძე გიორგი (1913-1989) – საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და ესთეტიკოსი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გ. ჯიბლაძეს გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიული ნაშრომი „გალაკტიონ ტაბიძე“, (იხ. მისი კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბ., 1959) და ათზე მეტი წერილი.

პირთა საძიებელი¹

ა

- აბაშელი ალექსანდრე** – იხ. ავტორთა შესახებ. ფსევდონიმები: სატურნი; ს. აბ–ელი. 6, 7, 9, 18, 41, 53, 55, 56, 79, 145, 164, 302, 325, 329.
- აბაშისპირელი კ.** – იხ. გამსახურდია კონსტანტინე.
- აბაშიძე გრიგოლ** (1866-1903) – პოეტი, გვიანი რომანტიზმის წარმომადგენელი. 196.
- აბაშიძე გრიგოლ** (1914-1994) – პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. 239.
- აბაშიძე ირაკლი** – იხ. ავტორთა შესახებ. 239, 312, 325.
- აბაშიძე კიტა(ივანე)** (1870-1917) – ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე; ავტორია ფუნდამენტური ნაშრომისა „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“. 31, 63.
- აბრამიშვილი მიხეილ** – იხ. ავტორთა შესახებ. 23, 325.
- აგარელი გობრონ** – იხ. ავტორთა შესახებ – გ. ა. 98, 326.
- ადამაშვილი მ.** – ჯავახიშვილი მიხეილ (1880-1937) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; რეპრესიების მსხვერპლი. 31, 122.
- ადანი ვილიე დე ლილ** (1838-1889) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი. 30.
- ადლერი ფრიდრიხ** (1879-1960) – ავსტრიელი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, პრეზიდენტ კარლ ფონ შტიურგკის მკვლელი. 151.
- აკაკი** – იხ. წერეთელი აკაკი.
- ამირეჯიბი შალვა** (1887-1943) – პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე; 1925 წლიდან ნავიდა ემიგრაციაში. 31, 36, 94.
- ანდრეევი ლეონიდ** (1871-1919) – დეკადენტურ განწყობილებათა ამსახველი რუსი მწერალი, ექსპრესიონისტი. 41.
- ანენსკი ინოკენტი** (1855-1909) – რუსი სიმბოლისტი პოეტი, დრამატურგი, ესეისტი, მთარგმნელი; „ვერცხლის საუკუნის“ თვალსაჩინო ფიგურა. 32.
- ანტონ I კათალიკოსი, ბაგრატიონი** (1720-1788) – საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი. 230.
- არაგონი ლუი** (1897-1982) – ფრანგი პოეტი, პროზაიკოსი და ესეისტი. 295.
- არაგვისპირელი შიო** – შიო დედაბრიშვილი (1867-1926) – პროზაიკოსი, დრამატურგი, ნოველის უანრის დამამკვიდრებელი ქართულ ლიტერატურაში. 145.
- არიმათიელი იოსებ** – იოსებ იმედაშვილი. იხ. ავტორთა შესახებ. 72, 325, 328.
- არჩილ II** (1647-1713) – კახეთის მეფე, პოეტი. 251, 261.
- არჩილი** – იხ. ჯორჯაძე არჩილ.
- ასათიანი გურამ** (1928-1982) – იხ. ავტორთა შესახებ. 313, 325.
- ასათიანი ლევან** (1900-1955) – იხ. ავტორთა შესახებ. 139, 325.
- ანმატოვა ანა** (1889-1966) – რუსი პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი; „ვერცხლის საუკუნის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. 151.

ბ

- ბაბილინა** – ბარბარე ხოსიტაშვილი (1884-1973) – პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. 6, 8, 9.
- ბაირონი ჯორჯ გორდონ** (1788-1824) – ინგლისელი პოეტი, ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 5, 59, 84, 85, 123, 129, 130, 132.

¹ საძიებელში შეტანილი არაა ანთროპონიმები ბიბლიიდან, აგრეთვე, მითოლოგიისა და მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები.

ბალმონტი კონსტანტინ (1867-1942) – რუსი პოეტი-სიმბოლისტი, მთარგმნელი; „ვერცხლის საუკუნის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 7, 41, 143, 203, 300, 302.

ბარათაშვილი მამუკა – ქართველი პოეტი, პოეტიკური ტრაქტატის – „ლექსის სწავლის წიგნი“ („ჭაშნიკი“) ავტორი. 292, 293.

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) – რომანტიკოსი პოეტი, ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 5, 10, 11, 12, 13, 16, 27, 28, 29, 31, 33, 49, 50, 57, 59, 60, 62, 63, 65, 70, 74, 79, 84, 85, 96, 97, 101, 105, 123, 130, 143, 146, 150, 160, 169, 171, 179, 182, 198, 200, 202, 203, 204, 207, 208, 209, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 252, 265, 267, 268, 273, 274, 275, 279, 282, 285, 286, 287, 291, 293, 294, 301, 303, 304, 312, 314, 316, 326.

ბარატინსკი ევგენი (1800-1844) – რუსი რომანტიკოსი პოეტი. 294.

ბარბიუსი ანრი (1873-1935) – ფრანგი მწერალი, ავტორი გახმაურებული რომანისა „ცეცხლი“. 311.

ბარნოვი ვასილ (1856-1934) – იხ. ავტორთა შესახებ. 99, 294, 325.

ბეგიაშვილი თედო – იხ. ავტორთა შესახებ. 106, 325.

ბელი ანდრეი – ბორის ბუგაევი – (1880-1934) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი; რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი და ლიდერი. 203, 294.

ბელინსკი ბესარიონ (1811-1848) – რუსული დემოკრატიული კრიტიკის მეთაური, პუბლიცისტი. 19, 56, 84.

ბენაშვილი დიმიტრი – იხ. ავტორთა შესახებ. 111, 264, 325.

ბერია ლავრენტი (1899-1953) – საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 239.

ბესიკი – ბესარიონ გაბაშვილი (1750-1791) – პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 75, 105, 181, 263, 294, 300.

ბიზე ჟორჟ (1838-1875) – ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „კარმენის“ ავტორი. 318.

ბლოკი ალექსანდრ (1880-1921) – რუსი სიმბოლისტი პოეტი, ესეისტი, დრამატურგი; სიმბოლისტური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი რუსეთში. 31, 112, 125, 134, 140, 143, 145, 149, 152, 168, 172, 173, 175, 178, 179, 187, 203, 293, 297, 299, 302, 304, 305, 306, 309, 321.

ბოგდანოვი ალექსანდრ (1873-1928) – რუსი მეცნიერ-ენციკლოპედისტი, ფილოსოფოსი, რევოლუციონერი. 146.

ბოდლერი შარლ (1821-1867) – ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი; ევროპული სიმბოლიზმის ფუძემდებელი, „ბოროტების ყვაველებს“ ავტორი. 32, 142, 172, 203, 216, 277, 279.

ბრაუნი ფიოდორ (1862-1942) – რუსი ფილოლოგი, გერმანისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. 41.

ბრიუსოვი ვალერი (1873-1924) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი, მთარგმნელი; რუსული სიმბოლისტური სკოლის ფუძემდებელი და მეთაური. 41, 123, 147, 152, 173, 203, 294.

ბუაჩიძე ბენიტო – იხ. ავტორთა შესახებ. 116, 170, 325.

ბ

გამსახურდია კონსტანტინე (1893-1975) – პროზაიკოსი, ესეისტი, მთარგმნელი, ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო როგორც პოეტმა და პუბლიცისტმა. XX საუკუნის 10-20-იან წლებში იყო რედაქტორი შემდეგი პერიოდული გამოცემებისა: „საქართველოს სამრეკლო“, „პრომეთე“, „ილიონი“. ფსევდონიმი – აბაშისპირელი. 6, 31, 124, 196.

განდევილი – ერისთავი დომინიკა. იხ. ავტორთა შესახებ. 100, 326.

გარრიკი ვახტანგ – ვახტანგ ვაჩნაძე – იხ. ავტორთა შესახებ. 95, 326.

გაფრინდაშვილი ვალერიან (1889-1941) – იხ. ავტორთა შესახებ. 42, 49, 50, 67, 72, 302, 326, 333, 334.

განერელია აკაკი (1910-1996) – იხ. ავტორთა შესახებ. 171, 202, 203, 318, 326.

გერგესელი ნ. – იხ. ავტორთა შესახებ. 83, 92, 326.

გერცენი ალექსანდრ (1812-1870) – რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. 221.

გვეტაძე რაჟდენ (1897-1952) – პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი; „ცისფერყანწელთა“ პოეტური ორდენის წევრი. 42, 122.

გილი რენე (1862-1925) – ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი, მეცნიერული პოეზიის თეორეტიკოსი. 146.

გიორგი ზაქიჭამია – გიორგი XII (1746-1800) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე. 82.

გიპიუსი ზინაიდა (1869-1945) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი; „ვერცხლის საუკუნის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. 140.

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749-1832) – გერმანელი მწერალი, ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი, სახელმწიფო მოღვაწე; მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსი. 271, 272, 274, 329.

გომართელი ივანე – იხ. ავტორთა შესახებ. 10, 28, 29, 49, 326.

გორკი მაქსიმ – ალექსეი პეშკოვი (1868–1936) – რუსი რეალისტი მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი; სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. 41, 116, 153, 297.

გოტიე თეოფილ (1811-1872) – ფრანგი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და კრიტიკოსი; პარნასული სკოლის მეთაური. 172, 315.

გრანელი ტერენტი – იხ. ავტორთა შესახებ. 67, 326.

გრიშაშვილი იოსებ – იხ. ავტორთა შესახებ. 6, 7, 23, 31, 34, 35, 37, 41, 43, 65, 69, 72, 79, 92, 124, 196, 239, 302, 325, 326, 329.

გუდიაშვილი ლადო (ვლადიმერ) (1896-1980) – ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. 315.

გუნია ვალერიან – იხ. ავტორთა შესახებ. 101, 326.

გურამიშვილი დავით (1705-1792) – პოეტი, „დავითიანის“ ავტორი. 104, 179, 180, 182, 200, 255, 263, 293, 294.

გურიელი მამია (1836-1891) – პოეტი, რომანტიკული სკოლის გვიანი წარმომადგენელი. 31, 32, 105, 196.

დ

დადიანი შალვა – იხ. ავტორთა შესახებ. 31, 102, 182, 326.

დანტე – დანტე ალიგიერი (1265-1321) – იტალიელი პოეტი, ფილოსოფოსი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი, ევროპული რენესანსის წინამორბედი და დამწყები. 96, 270.

დარიანი ელენე – პაოლო იაშვილის ფსევდონიმი. 37, 43, 146.

დებიუსი კლოდ აშილ (1862-1918) – ფრანგი კომპოზიტორი, იმპრესიონისტი. 320.

დელიბი ლეო (1836-1891) – ფრანგი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „ლაკმე“. 290.

დერჟავინი გავრილ (1743-1816) – რუსი კლასიციისტი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. 303.

დიდრო დენი (1713-1784) – ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი და მწერალი. 146.

დიმიშვილი დ. – იხ. ავტორთა შესახებ. 6, 326.

დოდაშვილი სოლომონ (1805-1836) – ფილოსოფოსი, პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 220.

დოლიძე ვიქტორ (1890-1933) – კომპოზიტორი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ავტორი. 82.

დოსტოევსკი ფიოდორ (1821-1881) – რუსი მწერალი და პუბლიცისტი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესზე. 32, 73, 87, 88, 323.

დჟორდანი – იხ. ჯორდანი პიეტრო.

ა

- ებრალიძე მამია** – იხ. ავტორთა შესახებ. 251, 326.
- ევდოშვილი იროდიონ** – იროდიონ ხოსიტაშვილი (1873-1916) – პოეტი, პროზაიკოსი, დემოკრატიული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი. 41, 114, 146, 147, 184.
- ეკალაძე ია** – იხ. ავტორთა შესახებ. 83, 91, 102, 327.
- ეკერმანი იოჰან პეტერ** (1792-1854) – გერმანელი ლიტერატორი, პოეტი; იოჰან ვოლფგანგ გოეთეს პირადი მდივანი და მემუარისტი. 272.
- ელიანი ნ.** – 90, 92, 327.
- ერედია ხოსე მარია** (1803-1839) – კუბური წარმოშობის ფრანგი პოეტი, პარნასული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 296, 297.
- ერეკლე** – ერეკლე II (1720-1798) – ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე. 82.
- ერისთავი გიორგი** (1813-1864) – დრამატურგი, პოეტი, ქართული თეატრის ფუძემდებელი. 220.

ბ

- ვაგნერი რიხარდ** (1813-1883) – გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, დრამატურგი, ფილოსოფოსი. მისმა შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ მოდერნიზმზე. 318.
- ვალერი პოლ** (1871-1945) – ფრანგი პოეტი, ესეისტი და ფილოსოფოსი. 172.
- ვან დეიკი ანტონ** (1599-1641) – ფლამანდრიელი ფერმწერი. 51.
- ვაჟა – ვაჟა-ფშაველა** (1862-1915) – პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი. 35, 63, 105, 181, 182, 196, 199, 200, 209, 219, 221, 258, 291, 294, 299, 302.
- ვართაგავა იპოლიტე** (1872-1967) – პედაგოგი, კრიტიკოსი; გალაკტიონის მასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარიაში. 91.
- ვაჩნაძე ნატალია (ნატო)** (1904-1953) – კინომსახიობი, საბჭოთა კინოს ვარსკვლავი.
- ვახტანგ VI** (1675-1737) – ქართლის მეფე, პოეტი. 200, 255.
- ვენგეროვი სემიონ** (1855-1920) – რუსი ლიტერატურის ისტორიკოსი, ბიბლიოგრაფი. 41.
- ვერლენი პოლ** (1844-1896) – ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი, ევროპული ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. 31, 35, 38, 138, 142, 172, 187, 203, 216, 280, 289, 290, 295.
- ვერჰარნი ემილ** (1855-1916) – ფრანგულენოვანი ბელგიელი პოეტი, ევროპული სიმბოლიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 88.
- ვ. ჩ.** – ჩხენკელი ვასილ – იხ. ავტორთა შესახებ. 46, 327.

თ

- თაგორი რაბინდრანათ** (1861-1941) – ინდოელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 31, 77.
- თამარ მეფე** (1160-1213) – საქართველოს მეფე, მისი მმართველობის დრო ცნობილია „ოქროს ხანის“ სახელით. 31, 94.
- თეიმურაზ I** (1589-1663) – ქართლ-კახეთის მეფე, პოეტი. 104, 251, 260, 261, 293.

ი

- იასამანი** – მიხეილ კინწურაშვილი (1885-1955) – მწერალი, მთარგმნელი. 6.
- იაშვილი პაოლო** (1894-1937) – პოეტი, მთარგმნელი, ცისფერყანწელთა ორდენის დამაარსებელი და მეთაური, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ რედაქტორი. 43, 67, 302.
- იბსენი ჰენრიკ** (1828-1906) – ნორვეგიელი დრამატურგი, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგი. 131.

ივანოვი ვიჩესლავ (1866-1949) – რუსი პოეტი, ფილოსოფოსი, ესეისტი და მთარგმნელი; რუსული სიმბოლიზმის თეორეტიკოსი და „ვერცხლის საუკუნის“ გამორჩეული ფიგურა. 158.
იმედაშვილი იოსებ – იხ. ავტორთა შესახებ – არიმათიელი იოსებ. 29, 72, 325, 328.
ინგოროყვა პავლე (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე; ჟურნალ „კავკასიონის“ რედაქტორი. 230.
იოსელიანი ივანე (ვანო) – იხ. ავტორთა შესახებ – ი. ი – ანი. 69, 322, 323, 327.

კ

კაკაბაძე დავით (1889-1952) – ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე. 315.
კალაძე კარლო (1907-1988) – საბჭოთა პოეტი, დრამატურგი. 239.
კანტი იმანუელ (1724-1804) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, გერმანული იდეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 46, 147.
კარმელი შალვა – შალვა გოგიაშვილი (1899-1923) – პოეტი, ცისფერყანწელთა დაჯგუფების წევრი. 43.
კახაბერი – პოეტ მამია გურიელის ერთადერთი შვილი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამის შემდეგ მამია გურიელი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. 32.
კეკელია პ. – 73, 327.
კეკელიძე კორნელი (1879-1962) – იხ. ავტორთა შესახებ. 180, 255, 327.
კერესელიძე ივანე (1829-1892) – პოეტი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი. 75.
კიკნაძე გრიგოლ – იხ. ავტორთა შესახებ. 285, 288, 327.
კლდიაშვილი დავით – იხ. ავტორთა შესახებ. 100, 326, 327, 335.
კოგანი პეტრე (1872-1932) – რუსი ლიტერატურათმცოდნე და ესთეტიკოსი. 147.
კოლრიჯი სემუელ ტილორ (1772-1834) – ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, ინგლისური რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 132.
კოტეტიშვილი ვახტანგ – იხ. ავტორთა შესახებ. 44, 327.
კრილოვი ივან (1769-1844) – რუსი პოეტი-მეიგავე. 75.

ლ

ლამარტინი ალფონს (1790-1869) – ფრანგი პოეტი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. 31.
ლენინი ვლადიმერ – ვლადიმერ ულიანოვი (1870-1924) – რუსი პოლიტიკოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი; 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ლიდერი, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური. 51, 135, 152, 178, 180, 199, 218, 220, 221, 234, 238, 320, 323.
ლენინიძე გიორგი (1899-1966) – პოეტი, პროზაიკოსი, მკვლევარი; ცისფერყანწელთა გაერთიანების წევრი. 43, 239, 302, 327.
ლენინიძე სიკო – იხ. ავტორთა შესახებ. 40, 327.
ლეოპარდი ჯაკომო (1798-1837) – იტალიური რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი; პოეტი, ფილოსოფოსი და ფილოლოგი. 15, 130, 217, 268, 327.
ლერმონტოვი მიხაილ (1814-1841) – რუსი რომანტიკოსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი. 5, 87, 203.
ლომთათიძე ჭოლა (ბიკენტი) (1879-1915) – პროზაიკოსი, მთარგმნელი; დემოკრატიული მიმართულების მწერალი. 94.
ლორთქიფანიძე ნიკო (1880-1944) – პროზაიკოსი, მის სახელთანაა დაკავშირებული იმპრესიონისტული მსოფლგანცდისა და სტილის შემოტანა ქართულ პროზაში. 31, 40, 41.

ლუარსამიძე ვალერიან – იხ. ავტორთა შესახებ. 122, 125, 327.

ლუნაჩარსკი ანატოლი (1875-1933) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი. 120, 146.

ლ. ქ. – ქიარელი ლეო. იხ. ავტორთა შესახებ. 92, 327, 329.

მ

მაიაკოვსკი ვლადიმირ (1893-1930) – რუსი პოეტი, დრამატურგი, რუსული ფუტურისმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რევოლუციის მომღერალი. 123, 124, 153, 154, 292, 294, 296, 297, 299, 300, 306, 307, 308, 310.

მალარმე შტეფან (1842-1898) – ფრანგი სიმბოლისტი პოეტი და ესეისტი, სიმბოლისტური სკოლის მეტრი. 30, 201.

მალენკოვი გიორგი (1902-1988) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. 238.

მამუკა – იხ. ბარათაშვილი მამუკა.

მარგიანი რევაზ (1916-1984) – პოეტი. 239.

მარგველაშვილი გიორგი (1923-1989) – იხ. ავტორთა შესახებ. 301, 327.

მარქსი კარლ (1818-1883) – ეკონომისტი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე. 125.

მაყაშვილი კოტე (1876-1927) – პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე. 79, 81.

მაშაშვილი ალიო – ალიო მირცხულავა (1903-1971) – საბჭოთა პოეტი. 239.

მაჭავარიანი ლადო (1893-?) – პოეტი, ჟურნალ „აისისა“ და „ახალი ცისკრის“ რედაქტორი. 43.

მახარაძე ფილიპე – იხ. ავტორთა შესახებ – ფ. მ – ძე. 37, 327.

მგელაძე აკაკი (1910-1980) – საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 239.

მებუკე გიგლა – იხ. ავტორთა შესახებ. 113, 327.

მელაძე კარლო (1906-1938) – იხ. ავტორთა შესახებ. 120, 327.

მელვილი ჰერმან (1819-1891) – ამერიკელი მწერალი, სახელგანთქმული რომანის „მოზი დიკის“ ავტორი. 132.

მერეჟოვსკი დმიტრი (1865-1941) – რუსი მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, რელიგიური ფილოსოფოსი, მთარგმნელი; რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 152, 159.

მერიმე პროსპერ (1803-1870) – ფრანგი პროზაიკოსი, დრამატურგი, ფრანგული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 323.

მერჩულე გიორგი – X საუკუნის ქართველი მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი. 180.

მეტერლინკი მორის (1862-1949) – ბელგიელი მწერალი, დრამატურგი, ფილოსოფოსი; ევროპული სიმბოლიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 66, 147.

მეტრეველი ლევან (1887-1941) – მოთხრობების, მხატვრული ნარკვევების, კრიტიკული წერილების, საბავშვო თხზულებების ავტორი. 6.

მითრიდატე XV ევპატორი, მითრიდატე დიდი (ძვ. წ. 132-ძვ.წ. 63) – პონტოს მეფე. 94.

მინსკი ნიკოლოზ (1855-1937) – რუსი პოეტი და ესთეტიკოსი „ვერცხლის საუკუნის“ პოეზიის ერთ-ერთი მეკვლე. 147.

მირზას – ბოჭორიშვილი მიხეილ – იხ. ავტორთა შესახებ. 93, 325, 327.

მიუსე ალფრედ (1810-1857) – ფრანგი პოეტი და დრამატურგი, გვიანდელი რომანტიზმის წარმომადგენელი. 310.

მიცკევიჩი ადამ (1798-1855) – პოლონელი რომანტიკოსი პოეტი, ეროვნული იდეის დამცველი. 31.

მოსაშვილი ილო (1896-1954) – საბჭოთა პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი. სცენარისტი. 239, 328.

მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს (1756-1791) – ავსტრიელი კომპოზიტორი, მსოფლიო მუსიკის კლასიკოსი. 296.

მუშიშვილი გრიგოლ – იხ. ავტორთა შესახებ – გ. მ – ლი. 123, 326.

მშველიძე შალვა (1904-1984) – კომპოზიტორი, ქართული სიმფონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 299.

მჭედლიშვილი იოსებ (1888-1956) – პოეტი, პროზაიკოსი. 6.

ნ

ნადსონი სემიონ (1862-1887) – რუსი პოეტი, დიდად პოპულარული XIX საუკუნის 80-იან წლებში. 5, 51.

ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821) – საფრანგეთის იმპერატორი, დიდი მხედართმთავარი. 13.

ნარი – იხ. ავტორთა შესახებ. 5, 328.

ნატროშვილი გიორგი (1910-1998) – იხ. ავტორთა შესახებ – გ. ნ. 115, 145, 326, 328.

ნიკოლა – პატრი ნიკოლა – XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერი. 74.

ნინოშვილი ეგნატე – ეგნატე ინგოროყვა (1859-1894) – ქართველი პროზაიკოსი, დემოკრატიული მიმართულების მწერალი. 145.

ნიცშე ფრიდრიხ (1844-1900) – გერმანელი ფილოსოფოსი, პოეტი; უდიდესი გავლენა მოახდინა მოდერნისტული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. 53, 86.

ნოვალისი – ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგი (1772-1801) – გერმანელი პოეტი, პროზაიკოსი, ფილოსოფოსი; ადრეული რომანტიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. 130, 143, 149, 150, 172, 217.

ნონეშვილი იოსებ (1918-1980) – პოეტი. 239.

ნორდაუ მაქს (1849-1923) – ექიმი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. ევროპული რეზონანსი ჰქონდა მის ნაშრომს „გადაგვარება“ (გერმ. „Entartung“, 1892), რომელშიც ავტორმა მკაცრად გააკრიტიკა დეკადენტური ხელოვნება, როგორც ადამიანის დეგენერაციის გამოვლენა. 142.

ო

ორბელიანი ალექსანდრე (1802-1869) – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი; 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. 200, 220.

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – რომანტიკოსი პოეტი და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე. 31, 74, 92, 105, 200, 220, 230, 236.

ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – რომანტიკოსი პოეტი. 200, 220.

ორბელიანი მაიკო (მარიაშ) (1816-1849) – ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი და მეგობარი, მისი წერილების ადრესატი. 222.

ოძელაშვილი არსენა – არსენა მარაბდელი (1797-1842) – ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხი, ხალხური ეპოსის გმირი. 250.

პ

პავლიაშვილი დავით – 90, 328.

პაპავა აკაკი – იხ. ავტორთა შესახებ. 9, 13, 42, 52, 69, 325, 328.

პასტერნაკი ბორის (1890-1960) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი; ნობელის პრემიის ლაურეატი (1958). 144, 146, 296.

პატარიძე მიქელ (1895-1959) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი; თარგმნილი აქვს ერედიას „ტროფეები“. 296.

პელი კაიუს – იმედაშვილი გაიოზ – იხ. ავტორთა შესახებ. 103, 327.

პეტრარკა ფრანჩესკო (1304-1374) – იტალიელი ლირიკოსი პოეტი, რენესანსის ეპოქის უთვალ-საჩინოესი შემოქმედი. 96.

პეტრონიუსი გაიუს (27-66) – რომაელი მწერალი, „სატირიკონის“ ავტორი. 32.

პლატონი (ძვ. წ. 427-347) – კლასიკური ხანის დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი. 55.

პლენანოვი გიორგი (1856-1918) – რუსი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, მარქსიზმის თეორეტიკოსი; რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე. 123.

პო ედგარ ალან (1809-1849) – ამერიკელი რომანტიკოსი პოეტი, ნოველისტი, დეტექტიური ჟანრის ფუძემდებელი, ლიტერატურის კრიტიკოსი; დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ სიმბოლიზმზე. 33, 70, 94, 132, 172, 216, 289.

პომპეუსი გნეუს (ძვ. წ. 106-ძვ.წ. 48) – რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. 94.

პრიუდომი სიული (1839-1907) – ფრანგი პოეტი, ესეისტი, ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1901). 25.

პუშკინი ალექსანდრ (1799-1837) – რუსი პოეტი და პროზაიკოსი; ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი. 31, 87, 140, 203, 294, 297, 299, 303, 329.

შ

შდანოვი ანდრეი (1896-1948) – საბჭოთა პარტიული მოღვაწე, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი. 200.

შირმუნსკი ვიკტორ (1891-1971) – რუსი ლიტერატურათმცოდნე, ფუნდამენტური ნაშრომების ავტორი ლიტერატურის თეორიასა და ისტორიაში. 137.

შორდანი ნოე (1868-1953) – პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 63, 82, 328.

შლენტი ბესარიონ – იხ.ავტორთა შესახებ. 181, 191, 201, 203, 328.

რ

რადეკი კარლ – კაროლ სობელსონი (1885-1939) – საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე. 152.

რადიანი შალვა – იხ. ავტორთა შესახებ. 127, 139, 154, 155, 203, 328.

რაზმაძე სოლომონ (1797-1860) – რომანტიკოსი პოეტი. 220.

რემბო არტურ (1851-1891) – ფრანგი პოეტი, ახალი ევროპული პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 187, 201, 203, 216, 295, 302.

რესკინი ჯონ (1819-1900) – ვიქტორიანული ეპოქის ინგლისელი მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი. 101.

რიდი ჯონ (1887-1920) – ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი. მისი წიგნი „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ (1919) ეძღვნება 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას. 98.

რილკე რაინერ მარია (1875-1926) – ავსტრო-გერმანელი პოეტი და პროზაიკოსი; მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. 175, 320.

რობაქიძე გრიგოლ – იხ. ავტორთა შესახებ. 30, 31, 37, 40, 43, 44, 146, 196, 197, 328.

რუსთაველი შოთა – უდიდესი ქართველი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. 35, 41, 75, 94, 97, 98, 104, 106, 172, 180, 181, 182, 200, 201, 203, 207, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 261, 263.

რუსო ჟან-ჟაკ (1712-1778) – ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი. 293.

რუხაძე ვარლამ – იხ. ავტორთა შესახებ. 40, 41, 109, 110, 328.

ს

- ს. აბ-ელი** – აბაშელი ალექსანდრე – იხ.ავტორთა შესახებ. 18, 329.
- საადი შირაზელი** (1203-1292) – ირანელი პოეტი, რომლის ლირიკა სპარსული პოეზიის ერთ-ერთ მწვერვალადაა აღიარებული. 31.
- საბანისძე იოანე** – VIII საუკუნის აგიოგრაფი, „აბო თბილელის წამების“ ავტორი. 180.
- სარაჯიშვილი ივანე (ვანო)** (1879-1924) – ქართველი მუსიკოსი, ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 324.
- სენტ-ბევი შარლ ოგიუსტენ** (1804-1869) – ფრანგი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. 279.
- ს. თ-ია** – სილიბისტრო თოდრია. იხ. ავტორთა შესახებ. 82, 328.
- სიხარულიძე ქსენია** (1909-1976) – იხ. ავტორთა შესახებ. 240, 329.
- სოსიურა ვლადიმირ** (1898-1965) – უკრაინელი პოეტი, მთარგმნელი. 239.
- სპინოზა ბარუხ** (1632-1677) – ნიდერლანდელი ფილოსოფოსი, ახალი დროის ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 73.
- სულხანიშვილი ნიკო** (1871-1919) – კომპოზიტორი, ლოტბარი. 90.
- სტალინი იოსებ** – იოსებ ჯულაშვილი (1878-1953) – საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი 1953 წლამდე. 180, 200, 201, 238, 245.

ტ

- ტაბიძე გალაკტიონ** (1891-1959) – პოეტი, XX საუკუნის ქართული პოეზიის დიდი რეფორმატორი. 5-324.
- ტაბიძე ტიცინ** – იხ. ავტორთა შესახებ. 6, 30, 44, 82, 121, 302, 329.
- ტიუტჩევი ფიოდორ** (1803-1873) – რუსი რომანტიკოსი პოეტი, ფილოსოფიური ლირიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი.
- ტოლსტოი ლევ** (1828-1910) – რუსი მწერალი და მოაზროვნე, რომანისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი; ეპოქის შემქმნელი რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში. 65.
- ტოროშელიძე მალაქია** (1880-1937) – იხ. ავტორთა შესახებ. 168, 329.
- ტურგენევი ივან** (1818-1883) – რუსი რეალისტი მწერალი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი. 150.

უ

- უაილდი ოსკარ** (1854-1900) – ინგლისელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და ესეისტი; ევროპული მოდერნიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 32, 52, 85.

ფ

- ფაშალიშვილი სიკო** – იხ. ავტორთა შესახებ. 80, 81, 82, 329.
- ფილდი ჯონ** (1782-1837) – ირლანდიელი კომპოზიტორი. 296.
- ფინტე იოჰან გოტლიბ** (1762-1814) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი; მისმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა რომანტიზმის ლიტერატურულ მიმართულებაზე. 146.
- ფლობერი გუსტავ** (1821-1880) – ფრანგი მწერალი, ევროპული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 323.
- ფოფანოვი კონსტანტინ** (1862-1911) – რუსი პოეტი. 302.

ძ

ქიარელი ლეო – იხ. ავტორთა შესახებ. 92, 327, 329.

ქიქოძე გერონტი (1888-1960) – კრიტიკოსი, ესეისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, მთარგმნელი. 30, 122.

ქუჩიშვილი გიორგი (1886-1947) – პოეტი, დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი; გალაკტიონის ახლო მეგობარი. 6, 31, 41, 42, 127, 163, 296.

ყ

ყიფიანი დიმიტრი (1814-1887) – პუბლიცისტი, მთარგმნელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. 200.

ყიფიანი ვ. – იხ. ავტორთა შესახებ. 15, 329.

შ

შავთელი იოანე – XII-XIII საუკუნეების პოეტი-მეხოტბე, სასულიერო მოღვაწე, ავტორი „აბდულმესიანისა“. 104, 260.

შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) – იხ. ავტორთა შესახებ. 6, 7, 31, 35, 37, 56, 92, 105, 164, 200, 302, 329.

შარია პეტრე (1902-1983) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე. 203.

შატობრიანი ფრანსუა რენე (1768-1848) – ფრანგი მწერალი და დოპლომატი; ფრანგული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 268.

შელი მერი (1797-1851) – ინგლისელი რომანტიკოსი მწერალი, გახმაურებული რომანის „ფრანკენშტეინის“ ავტორი. 132.

შელი პერსი ბიში (1792-1822) – პოეტი, ინგლისური რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 77, 104.

შელინგი ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ (1775-1854) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 146.

შენგელაია დემნა – იხ. ავტორთა შესახებ. 74, 94, 329.

შენგელია ილია – იხ. ავტორთა შესახებ. 196, 329.

შექსპირი უილიამ (1564-1616) – ინგლისელი დრამატურგი და პოეტი; მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა. 281, 329.

შვაიცერი ალბერტ (1875-1965) – გერმანელ-ფრანგი თეოლოგი, კულტურის ფილოსოფოსი, ჰუმანისტი. 296.

შოთა – იხ. რუსთაველი შოთა.

შოპენი ფრედერიკ (1810-1849) – პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი. 71, 296.

შტირნერი მაქს (1806-1856) – გერმანელი ფილოსოფოსი, ინდივიდუალისტური ანარქიზმის თეორეტიკოსი. 53.

შტიურგკი კარლ (1859-1916) – ავსტრო-უნგრელი სახელმწიფო მოღვაწე, ცისლეიტანიის (ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილის საერთო სახელწოდება) პრეზიდენტი. 151.

შუამდინარელი მარუთა – იხ. გრიშაშვილი იოსებ.

ჩ

ჩაადაევი პეტრე (1794-1856) – რუსი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი. 221.

ჩახრუხაძე – XII-XIII სს. მიჯნაზე მოღვაწე პოეტი, „თამარიანის“ ავტორი. 104, 260.

ჩეხოვი ანტონ (1860-1904) – რუსი პროზაიკოსი და დრამატურგი, ნოველის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი. 323.

ჩიქოვანი სიმონ (1903-1966) – იხ. ავტორთა შესახებ. 122, 202, 204, 206, 207, 208, 209, 239, 302, 329.

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926) – პოლიტიკური მოღვაწე, პეტროგრადის მუშათა რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე (1918), შემდგომში – ემიგრანტი. 51.

ჩხიკვაძე ნოე (1883-1920) – პოეტი. ქართული დემოკრატიული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 6, 8, 56.

ც

ცახელი პარმენ – პარმენ თვალჭრელიძე (1866-1919) – პოეტი, პუბლიცისტი, დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენელი. 105.

ცეცხლაძე გრიგოლ (1894-1976) – პოეტი, მთარგმნელი. 43.

ცურტაველი იაკობ – V საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, ჰაგიოგრაფი; „შუშანიკის წამების“ ავტორი. 180.

წ

წერეთელი აკაკი (1840-1915) – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. 18, 31, 35, 38, 39, 51, 65, 70, 78, 79, 80, 97, 98, 104, 105, 114, 139, 140, 143, 146, 147, 148, 169, 172, 181, 182, 192, 196, 200, 203, 204, 207, 209, 219, 221, 227, 231, 248, 261, 262, 294, 296, 301, 302, 304, 314, 316, 318.

წერეთელი ალ – იხ. ავტორთა შესახებ. 41.

წერეთელი გიორგი (1842-1900) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე; ნატურალისტური მიმართულების წარმომადგენელი. 31.

წერეთელი ვასილ – იხ. ავტორთა შესახებ. 95, 330.

წერეთელი ირაკლი (1881-1959) – რუსული მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი, დროებითი მთავრობის მინისტრი. 51.

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე (1786-1846) – რომანტიკოსი პოეტი, რომანტიზმის დამწყები ქართულ ლიტერატურაში. 74, 220.

ჭავჭავაძე ილია (1837-1907) – პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. 27, 104, 105, 114, 143, 147, 148, 172, 181, 182, 196, 200, 207, 213, 219, 231, 248, 261, 273, 294, 296, 300, 301, 303, 314, 318.

ჭილაია სერგი (1912-1993) – იხ. ავტორთა შესახებ. 202, 203, 204, 209, 238, 330.

ჭილაძე თამაზ – იხ. ავტორთა შესახებ. 292, 330.

ჭიჭინაძე კონსტანტინე (1891-1960) – პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურის მკვლევარი. 254.

ჭიჭინაძე ზაქარია – იხ. ავტორთა შესახებ. 104, 330.

ჭუმბაძე არისტო (1880-1971) – მწერალი, გაზეთ „კოლხიდისა“ და „სახალხო ფურცლის“ რედაქტორი. 41.

ბ

ხომლედი – ფანცხავა რომანოზ. იხ. ავტორთა შესახებ. 78, 330.

ხუნდაძე სიმონ – იხ. ავტორთა შესახებ. 155, 164, 168, 330.

ხუროძე ვარლამ – იხ. ავტორთა შესახებ. 56, 74, 330.

ჯ

ჯავახიშვილი მიხეილ – იხ. ადამაშვილი მ.

ჯანაშია ბ. – აფხაზურ-ქართული ლექსიკონის ავტორი. 256.

ჯაფარიძე ლელი – პოეტი, ცისფერყანწელთა ორდენის წევრი. 43

ჯიბლაძე გიორგი – იხ. ავტორთა შესახებ. 288, 291, 330.

ჯორდანი პიეტრო (1774-1848) – იტალიელი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. 130.

ჯორჯაძე არჩილ (1872-1913) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე. 31.

ჯორჯაძე ბარბარე (1833-1895) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე; რაფიელ ერისთავის და. 75, 273.

კ

ჰაინე ჰაინრიხ (1797-1856) – გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 130, 133, 146, 149, 152.

ჰაფიზი (ჰაფეზი) (1320-1389) – ირანელი პოეტი, ლირიკოსი, რომლის პოეზიამ უდიდესი გავლენა მოახდინა ლირიკის განვითარებაზე. 31.

ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ (1770-1831) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 146, 285.

ჰელფეციუსი კლოდ ადრიან (1715-1771) – ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი. 146.

ჰიუგო ვიქტორ (1802-1885) – ფრანგი რომანტიკოსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და პოლიტიკური მოღვაწე. 140.

ჰიუსმანსი კარლ (1848-1907) – ფრანგი მწერალი, მისი რომანი „დინების აღმა“ ევროპული დეკადანსის მანიფესტად ითვლება. 32.

ჰოთორნი ნათანიელ (1804-1864) – ამერიკელი მწერალი, ამერიკული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 132.

ჰოლბახი პოლ ანრი (1723-1789) – ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი. 146.

ჰოფმანი ერნსტ თეოდორ ამადეუს (1776-1822) – გერმანელი მწერალი და კომპოზიტორი, გერმანული რომანტიკული სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. 149.

ჰოფმანსტალი ჰუგო (1874-1929) – ავსტრიელი პოეტი და პროზაიკოსი, ნეორომანტიზმისა და სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 32.

ჰორაციუსიკვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი (ძვ. წ. 65-ძვ. წ. 8) – პოეტი, რომაული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 303.

სარჩევი

რედაქტორისაგან.....	3
ნარი	
ბუნება პოეზიაში.....	5
დ. დიმიშვილი	
ცხოვრება და მწერლობა	
ახალგაზრდა მწერლები.....	6
გ. ჭუმბურიძე	
უკანასკნელ წლების სიმბოლიზმი	
ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.....	6
ა. პაპავა	
შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე	
ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი.....	9
ივ. გომართელი	
სევდის მგოსანი.....	10
აკ. პ-ვა.	
ბიბლიოგრაფიის მაგიერ	
გ. ტაბიძის ლექსები.....	13
ვ. ყიფიანი	
გ. ტაბიძის ლექსები	
ქუთაისი. 1914.....	15
მ. წულუკიძე	
გ. ტაბიძის ლექსები.....	16
ს. აბ-ელი	
ყვითელი ფოთოლი	
(გ. ტაბიძის პოეზია).....	18
მის. აბრამიშვილი	
ლამის მგოსანი	
(გალაქტიონ ტაბიძის ლექსები).....	23
იოსებ არიმათიელი	
ქართველი მწერლები – გალაქტიონ ტაბიძე	
(მისი ლექსების გამოცემის გამო).....	29
გრიგოლ რობაქიძე	
ფრაგმენტები.....	30
ტ. ტაბიძე	
მარტოობის ორდენის კავალიერი	
გალაქტიონ ტაბიძე.....	30

სტუდენტი	
კიდევ „ყანების“ გამო.....	37
ფ. მ-ძე	
საბრალონი.....	37
სატურნი	
პოეტიკა.....	38
ია ეკალაძე – ცინცაძე	
სამი ჟურნალი.....	40
სიკო ლეონიძე	
„სხივი“ ლიტერატურული-სამხატვრო კრებული.....	40
ალ. წერეთელი	
ნეორომანტიზმი ქართულ თანამედროვე სიტყვაკაზმულ მწერლობაში.....	41
აკ. პაპავა	
წლის ნაკვეთები მიმოხილვა 1916 წ. სიტყვაკაზმულ მწერლობისა.....	42
ვ. გაფრინდაშვილი	
რითმების ტურნირი.....	42
ი. გრიშაშვილი	
„სონეტი საქართველოში“.....	43
ვანტანგ კოტეტიშვილი	
გალაქტიონ ტაბიძე (გაკვერით).....	44
ვ. ჩ.	
გალაქტიონ ტაბიძე: Crane aux fleurs artistiques. ლექსები. წიგნი მეორე (1914-1919). ტფილისი. ფასი 25 მ.	46
ივ. გომართელი	
ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წ.	49
ალფა	
წიგნი არამრავალთავის (გალაქტიონ ტაბიძის ლექსთა კრებულის გამო).....	50
აკაკი პაპავა	
ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე 1919 წ. თვალის გადავლებით.....	52
ვარლამ ხუროძე	
გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება (კრიტიკული ცდა).....	56

ვალერიან გაფრინდაშვილი რითმა და ასონანსი.....	67
ტ. გრანელი გალაქტიონ ტაბიძის სალამოს გამო.....	67
კოლაუ ნადირაძე ქართული პოეზია გ. ტაბიძე “Crane aux fleurs artistiques” II ტ. თფილისი. 1919 წ.	68
ი.ი – ანი გენიალური გალაკტიონი.....	69
იოსებ არიმათიელი თეთრი მეფე გალაქტიონ ტაბიძე.....	72
მარუთა შუამდინარელი ახალი ნიგნები გ. ტაბიძის მეორე ტომი.....	72
კოლაუ ნადირაძე ქართული პოეზია „თფილისი“. ხელოვნებათა და ლიტერატურის ყოველკვირეული ჟურნალი. № 1. თფილისი. 1919 წ.	73
პ. კეკელია ქართული პოეზია (1919).....	73
დემნა შენგელაია გალაქტიონ ტაბიძე (სილუეტი).....	74
ხომლელი გალაქტიონ ტაბიძე.....	78
ომეგა გალაქტიონ ტაბიძე.....	80
ს. ფაშალიშვილი ღია ბარათი საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს.....	80
ს. თ – ია. პატარა ფელეტონი ღალატი.....	82
ია ეკალაძე ძღუნად გალაკტიონ ტაბიძეს.....	83

ნ. გერგესელი სამრეკლო უდაბნოში (კრიტიკული ესკიზი).....	83
დავით პავლიაშვილი ორი პორტრეტი.....	90
ნ. ელიანი მწერლობისათვის.....	90
ონი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ № 3, ტფილისი. 17 დეკემბერი. 1923 წ.	91
ლ. ქ. 1922 წლის ლიტერატურული შთაბეჭდილება.....	92
მირზახ 1922 წ. ლიტერატურულ კრიტიკის მიმოხილვა.....	93
სპონდე სიტყვაკაზმული მწერლობა 1922 წელი.....	94
ვასილ წერეთელი ძველი და ახალი.....	95
ვახტანგ გარრიკი გალაკტიონ ტაბიძე.....	95
სალამოს მომწყობი კომისია საზეიმო სალამო გალაქტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 15 წლის შესრულების აღსანიშნავად.....	98
გ. ა. გალაკტიონ ტაბიძის „ჯონ რიდი“.....	98
ვასილ ბარნოვი გალაკტიონ ტაბიძეს.....	99
დავით კლდიაშვილი შვენება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიის გალაკტიონ ტაბიძე.....	100
განდეგილი სადღეისო.....	100
ვალერიან გუნია ტემპერამენტი.....	101
შალვა დადიანი გალაკტიონის ახლოს.....	102

ია ეკალაძე	
მკითხველებს.....	102
კაიუს პელი	
გალაკტიონ ტაბიძე – პოეტი საქართველოსი.....	103
ზაქარია ჭიჭინაძე	
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.....	104
ალექსანდრე შანშიაშვილი	
დიდი ლირიკი (ნაწყვეტი წერილიდან).....	105
თედო ბეგიაშვილი	
რეგოლუციის მგოსანი.....	106
ვარლამ რუხაძე	
მცირე განმარტება.....	109
„ქართული მწერლობის“ რედაქცია	
ვ. რუხაძის „მცირე განმარტების“ გამო.....	110
დიმიტრი ბენაშვილი	
გალაკტიონ ტაბიძე – „ეპოქა“ სახელგამი – 1930 წელი.....	111
გიგლა მებუკე	
გალაკტიონ ტაბიძე – „ეპოქა“	113
გ. ნ.	
გალაკტიონ ტაბიძე – „ეპოქა“	115
ბენიტო ბუაჩიძე	
რეგოლიუციონური ეპოქის ენთუზიასტი.....	116
კ. მელაძე	
შენიშვნები ლიტერატურული თანამგზავრობის შესახებ.....	120
ვ. ლუარსამიძე	
მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე.....	122
გ. მ-ლი	
გალაკტიონ ტაბიძე – „ეპოქა“	123
ვალერიან ლუარსამიძე	
ქართული ჟირონდის მწერლობა.....	125
შალვა რადიანი	
გალაკტიონ ტაბიძე.....	127

ლევან ასათიანი	
გალაქტიონ ტაბიძე.....	139
გიორგი ნატროშვილი	
გალაქტიონ ტაბიძე.....	145
შ. რადიანი	
გალაქტიონ ტაბიძე.....	154
შ. რადიანი	
გალაქტიონ ტაბიძე.....	155
სიმონ ხუნდაძე	
გალაქტიონ ტაბიძე.....	155
მალაქია ტოროშელიძე	
გალაქტიონ ტაბიძე (სიტყვა წარმოთქმული 29 ივნისს, მწერალთა კლუბში გ. ტაბიძის შემოქმედებით სალამოზე).....	168
ბენ. ბუაჩიძე	
გალაქტიონ ტაბიძე.....	170
აკაკი განერელია	
გალაქტიონ ტაბიძის ლირიკა.....	171
კორნელი კეკელიძე	
სიტყვა წარმოთქმული საქართველოს სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50-ე და სამწერლო მოღვაწეობის 35-ე წლისთავზე 1943 წ. 29. XI. ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის თეატრში.....	180
ბესარიონ ჟღენტი	
გალაქტიონ ტაბიძე.....	181
ილია შენგელია	
სიმბოლიზმი საქართველოში.....	196
სანდრო შანშიაშვილი	
ტალანტები და თაყვანისმცემლები.....	200
სიმონ ჩიქოვანი	
ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები. მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე.....	202
სერგი ჭილაია	
ძველი დავა ახალი ფორმით.....	204
სერგი ჭილაია	
გალაქტიონ ტაბიძე.....	209

სერგი ქილაია ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ.....	238
ქსენია სიხარულიძე გალაქტიონ ტაბიძე და ხალხური შემოქმედება.....	240
მამია ებრაღიძე გალაქტიონ ტაბიძე და ძველი ქართული პოეზია.....	251
დიმიტრი ბენაშვილი ფილოსოფიური მოტივები გალაქტიონის შემოქმედებაში.....	264
გრიგოლ კიკნაძე ქართული ლირიკის განვითარების ერთი ასპექტი.....	285
გიორგი ჯიბლაძე გალაქტიონ ტაბიძე.....	288
თამაზ ქილაძე გალაქტიონ ტაბიძის ლირიკის ბუნებისათვის.....	292
გიორგი მარგველაშვილი გალაქტიონ ტაბიძე.....	301
ირაკლი აბაშიძე კრებულის წინათქმა.....	312
გურამ ასათიანი „რაც დავინწყებით არ იბინდება...“	313
აკაკი განერელია ლერნამი და გობელენი მოგონებანი გ. ტაბიძეზე.....	318
ავტორთა შესახებ.....	325
პირთა საძიებელი.....	331